

ბიზნესი



752
1969 W2



1, 9, 6, 9,



საგანმანათლებლო

1 9 6 9 № 2

ს ა რ რ ე ვ ი

- 3 ალბერ კაშიუ უცხო
- 58 იონა ან მსატყარი მუშაობისას
- 78 მზია ბაქრაძე ალბერ კაშიუ
- 81 კონსტანტი ბაღჩინსკი ლექსები
- 89 მონეტა კვინინგუნი ვის უხმობს ზარი. რომანო (გაგრძელება) აქვრიკულე კოჭია
- 152 ტომას სტერნს ელიოტი
- 185 პარლ სინდგარტი
- 186 ედვინ პრინციპონ რიპინსონი
- 189 ანთონ ნიხილი მოცევავე ბასრი
- 194 შაკა კრევეტი ლექსები
- 198 მკრვლდ ანდერსონი
- 201 ქალაქის ბურთულები არაფინ არ ივის
- 205 იმანუელ რიხაუდი ქება სიყვარულისა
- 207 ჯონ ბოლუუორტი ვაშლის ყვაილი
- 256 ფრანც კაუტა მოხსენებითი ბარათი აკადემიას
- სპარსული მოთხრობები
- ჯამილ-შადი
- 265 მემწვარი ბატი
- აბულყასემ ჰილატი
- 275 ბანტონ ბუაჩიკი ეტიკეტი
- 279 ამოღინური
- ზვიად გამსახურდია
- 289 შენიშენები XX საუკუნის ამერიკულ პოეზიაზე



რედაქტორი
ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია
ვახტანგ გვუქაძე
თილა თოფურიძე
მიხეილ კვინინგა
ვახუშტი კოტეტიშვილი
ვახტანგ კონორაძე
ნიკო ფიასაშვილი



გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი



ალბერ ქაიხუ

უცხო

თარგმანი

ლ. გოგილაშვილისა და მ. მამარიაშვილისა

ნაწილი პირველი

თავი პირველი

დღეს დედა გარდაიცვალა, ან იქნებ — გუშინ. რა ვიცი: მოხუცთა თავშესაფრიდან დეპეშა მივიღე: — „დედა გარდაიცვალა, დაკრძალვა ხვალ, ვიზარებთ თქვენს მწუხარებას“. რას გაიგებ, იქნებ გუშინ მოკვდა.

მოხუცთა თავშესაფარი მარენგოშია, ალყირიდან ოთხმოცი კილომეტრის დაშორებით. ორი საათის ავტობუსს გავყვები და დღისსინათლით ჩავალ. დაშვსაც გავუთევ დედას და ხვალ საღამოს უკან დავბრუნდები. უფროსს ორი დღით დავეთხოვე; უარი ვერ მითხრა, ან კი როგორ მეტყოდა. თუშცა ზედვე ეტყობოდა, ვერაფრად ესიამოვნა, ვუთხარი კიდევ, რა ჩემი ბრალთა-მეტქი. აღარაფერი უბასუხნია. მერე ვინანე, ასე არ უნდა მეტქვა. ბოლოს და ბოლოს, მე რა მქონდა საბოდიშო: პირიქით, მას უნდა ეთქვა სამძიმარი. ალბათ, ზევ ნეტყვის, შავებში რომ მნახავს. დღეს რაში მეტყობა, დედა მომკვდომოდეს. დაკრძალვის შემდეგ ყველაფერი შეიცვლება, ოფიციალური იერი მიეცემა.

ორი საათის ავტობუსს გავყევი. ძალიან ცხელოდა. როგორც ყოველთვის, სელესტის რესტორანში ვისაუბრე. ყველას შევებრალე. სელესტმა მითხრა: „დედა ერთი ჰყავს აღამიანს“. წამოსვლისას კარებამდე გამომყვნი. გვიანდა გამახსენდა, რომ ემანუილთან უნდა ავსულიყავი და შავი ყელსახვევი და სამკლავე გამომერთმია. სამი თვის წინ მანაც დამარხა ბიძა.

ძლივს მივუსწარი ავტობუსს. სირბილით წავედი. მთელი დღის დაძაბუ-

ლობამ, ცისა და გზის თვალისმომჭრელმა სითეთრემ და ბოლოს, ბენზინის სუნმა, თავისი ქნეს — მაშინვე ჩამეძინა. თითქმის მთელი გზა მეძინა. როცა გამეღვიძა, მაშინლა შევნიშნე, რომ ვიღაც ჯარისკაცს მივწოლოდი. გამიღვიძა, მორიდან მოდიხარო, მკითხა. პო-მეთქი, მოკლედ მოვუჭერი. ლაპარაკის თავი არა მქონდა.

მოხუცთა თავშესაფარი ქალაქს ორი კილომეტრით არის — დაშორებული. ფეხით გავყევი გზას. მაშინვე მიხლოდა მენახა დედა, მაგრამ კარისკაცმა ჯერ დირექტორის ნახვა მარჩია. დირექტორს არ ეცალა. ლოდინი მომიხდა. მანამ ვიცდიდი, კარისკაცს ერთი წუთით არ გაუჩერებია ენა. ბოლოს დირექტორიც გამოჩნდა, კაბინეტში მიმიღო. ჩია ტანის მოხუცი იყო, მკერდზე საპატოო ლეგიონის ორდენი ეკეთა. ნათელი თვალებით შემომხედა და იმდენ ხანს ეჭირა ჩემი ხელი, რომ აღარ ვიცოდი, როგორ გამომეგლიჯა. ქალაქებში ჩაიხედა და მითხრა:

ქალბატონი მერსო სამი წლის წინათ მოვიდა ჩვენთან. თქვენ მისი ერთადერთი მარჩენალი იყავით.

მომეჩვენა, თითქოს რაღაცაში მამტყუნებდა და ის იყო, თავის მართლება ვცადე, რომ შემაწყვეტინა:

— საბოლოო არაფერი გაქვთ, ჩემო ძვირფასო. აგერ, დედათქვენის ქალაქები გადავათვალიერე. მისი შენახვა სად შეგეძლოთ, დედას მომვლელი ესაჭიროებოდა. პატარა ხელფასი გქონიათ. მასთვის აქა სჯობდა, აქ უფრო ბედნიერად გრობოდა თავს.

— დიას, ბატონო დირექტორო, — ვუპასუხე მე.

შემდეგ დასაძინა:

— რაც არ უნდა იყოს, აქ მეგობრები ეხვია, თავისივე ხნის ხალხი. ერთნაირი ინტერესები მქონდათ. თქვენ ახალგაზრდა ხართ, თქვენთან მოიწყენდა.

მართლაც ასე იყო. შინ დედა ერთთავად მოწყენილი იჯდა და ჩუმად მიმხერდა. პირველ ხანებში, მანამ აქაურობას შეეჩვეოდა, აქაც ტირილდა ხოლმე. მერე გაშინაურდა და რამდენიმე თვეში ვინმეს რომ ეთქვა, აქედან უნდა წაგიყვანოთ, ახლა ამაზე მორთავდა ტირილს. ამიტომაც იყო, რომ ბოლო ხანებში მასთან აღარ ჩავდიოდი. თუმცა სხვა მიზეზებიც მქონდა: მთელი კვირადღის დაკარგვას ეხუმრებით! ახლა ავტობუსის სადგურამდე ფეხით ჩანჩალი, ბაღეთის აღება და მერე ორი საათი ნჯღრევა!..

დირექტორი ლაპარაკს განაგრძობდა; მაგრამ ყურს აღარ ვუგდებდი. მერე მითხრა:

— ალბათ, დახედავთ დედას.

უსიტყვოდ წამოვდექი და ისიც კარისკენ გამიძღვა. კიბეზე ჩასვლისას ამიხსნა:

— პატარა საცხედრე გვაქვს და იქ დავასვენეთ. სხვების შეწუხებას მოვერიდეთ. საშინლად აფორიაქდებიან ხოლმე, როცა ვინმე მოგვიკვდება, მთელი ორი-სამი დღით მოსვენებას კარგავენ, ძნელი მოსავლელები ხდებიან.

ეზო გადავჭერით. მოხუცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ლაპარაკობდნენ. როცა გაეუპირდაპირდებოდით, გაჩუმდებოდნენ ხოლმე, რომ ჩაეუვლიდით, ოსევ აქაქანდებოდნენ, ისეთი ბგერები გამოდიოდა, თუთიყუშების დახშული კარტალი გეგონებოდათ. პატარა შენობის კართან დირექტორმა შემაჩერა:

— ახლა დაგტოვებთ, ბატონო მერსო. თუ რაზე დაგჭირდეთ, კაბინეტში ვიქნები. დაკრძალვა დილის ათი საათისთვის არის დანიშნული. წინასწარ გავითვალისწინეთ, ღამის გათევას თუ მოისურვებდით განსვენებულისათვის. კიდევ რა უნდა გითხრათ: როგორც ამბობენ, დედათქვევს რამდენჯერ უთქვამს მეგობრებისთვის, როცა მოვკვდები, მღვდელმა წესი ამიგოსო. ექვეყნე და გიჟი-ჭირე ამისი თადარიგი, მაგრამ მინდა, რომ თქვენც იცოდეთ ~~...~~

მადლობა გადაუხადა დირექტორს. ათვისტი არ ყოფილა დედაჩემი, მაგრამ არც მორწმუნე იყო.

შევედი. ოთახი ნათელი იყო. ზემოდან — მინის სახურავი, ახლად შეთეთრებული კედლები. შიგ X-ის ფორმის ჯოჯგინები და სკამები იდგა. შუაგულ ოთახში, ორ ჯოჯგინაზე, თავდახურული კუბო ესვენა. სახურავი ჯერ კიდევ არ იყო დაჭედებული, ჭანჭიკები ბზინავდა. კუბოსთან თეთრხალათიანი მომვლელი არაბი ქალი იდგა. თავი ქათქათა თავსაფრით ჰქონდა წაკრული.

კარისკაცმა შემოიყვანა. ეტყობოდა, ერბინა, სულს ძლივს იბრუნებდა.

— ალბათ, გინდათ დახედოთ დედას. ახლაც ავხდი, — და კუბოს მიუახლოვდა, მაგრამ შეეჩერე. — არ გსურთ?

— არა, ეუბასუხე მე.

შეცბა. შეეწუხდი. ვგრძნობდი, რომ ასე არ უნდა მეთქვა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მკითხა:

— რატომ? — კი არ მკიცხავდა, ისე, ცნობისმოყვარეობით მკითხა.

არ ვიცე-მეთქი, ეუბასუხე, — კარისკაცმა თეთრი ულვაში გადაიგრიხა და ჩემთვის არც შემთუხებდავს, ისე განაცხადა:

— მესმის.

ღამაში, ცისფერი თვალები და მწითული სახე ჰქონდა. მომვლელი ქალი ადგა და გასასვლელისკენ გაემართა.

ამ ქალს წყლული აქვს. — მითხრა კარისკაცმა. ვერ მივუხვდი და თვალი გავაყოლე ქალს. სახე დოღბანდით ჰქონდა ახვეული, თვალებიდა მოუჩანდა. ცხვირთან უფრო ჩაბრტყელებული ჩანდა დოღბანდი. როცა იგი გავიდა, კარისკაცმა მითხრა:

— მარტო დაგტოვებთ.

აღარ მახსოვს, ისეთი რა ვანიშნე, რომ აღარ წასულა. მოხუცი ისევ ჩემს უკან იდგა და ეს, ცოტა არ იყოს, მაწუხებდა. ოთახი სავსე იყო შუადღის ნათელი შუქით. ორი კრაზანა ბზუილით ეხეთქებოდა შუშის სახურავს. ძილი მომერია. არ მივბრუნებულეარ, ისე ვკითხე კარისკაცს:

— დიდი ხანია აქ მუშაობთ?

— ხუთი წელია. — ხელადვე მომაგება, თითქოს სულ ამ შეკითხვას ელოდათ, და ენად გაიკრიფა. ადრე, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ისიც აქ მოხუცთა თავშესაფარში დაასრულებდა სიცოცხლეს. მოხუცი სამოცდაოთხი წლისა იყო, პარიზელი, მე შევაწყვეტინე:

— როგორ, აქაური არა ხართ?

მერეღა გამახსენდა: მანამ დირექტორი მიმიღებდა, ის დედაზე მელაპარაკა: რაც შეიძლება, ჩქარა უნდა დავმარხოთ, ალყირში ვართ, ხომ ხედავ. რა სიცხეაო. სწორედ მაშინ მითხრა, პარიზის მკვიდრი ვარ და ჩემი ქალაქი ვერაფრით ვერ დავივიწყეო.

პარიზში მკვდარს სამი-ოთხი დღით ტოვებენ, აქ ეს შეუძლებელია. გონს მოსვლას ვერც კი მოასწრებ, რომ უნდა დაასაფლავო.

ცოლმა შეაჩერა: ამეების ლაპარაკი რა საჭიროაო. მოხუცი გაწითლდა და ბოდიში მოიხადა. მაშინვე ჩავერიე: „რას ბრძახებთ, როგორ გეკადრებათ“. — მოხუცის ნათქვამი მართალი იყო და საინტერესო.

ეროვნული

საცხედრეწი მოხუცმა მიაძხო, რომ ისიც სხვებივით გაქრავდა და იყვანა ამ თავშესაფარში. მაგრამ, რაკი დავრდომილი არ იყო, კარისკაცად დაიწყო მუშაობა. მაშ, თქვენც პანსიონერი ყოფილხართ-მეთქი, ვუთხარი. არაო, უარის ნიშნად თავი გააქნია. აღრეც ყურში მომბვდა და გამიკვირდა: პანსიონერებზე როცა ლაპარაკობდა, თითქოს გარეშეებს ახსენებსო, ისე იტყოდა ხოლმე — „ესენიო“, „ამათ რომ ჰკითხოო“, ზოგჯერ ამასაც გამოუჩევდა „ეს მოხუცებიო“, თუმცა ბევრი მასზე ხნიერი არც კი იყო. ან კი რა გასაკვირია, ბოლოს და ბოლოს, მეკარე იყო, თანამდებობის კაცი და ამათ ზემოდან დასცქეროდა.

ამ დროს მომვლელი ქალიც შემოვიდა. ერთბაშად მოსალამოვდა. მიწის სახურავზე ღამე ჩამოწვა. კარისკაცმა შუქი აანთო. უეცარმა სინათლემ თავალი მომჭრა. წასვლის წინ კარისკაცმა სასადილოში მიმიწვია. არა მშიოდა. მაშინ რძიანი ყავა შემომთავაზა. რძიანი ყავა ქალიან მიყვარს და უარი ვერ ვუთხარი. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც მომიტანა. დავლიე. პაპიროსსაც სიამოვნებით მოვწევდი, მაგრამ შევყოყმანდი, ვერ გადამეწყვიტა, შეიძლებოდა თუ არა დედის ცხედართან მოწევა. მერე ვავიფიქრე: რა მოხდა, რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი და კარისკაცსაც შევთავაზე სიგარეტი. გავაბოლეთ.

ცოტა ხნის შემდეგ მითხრა:

— იცით, დედათქვენის ამხანაგებიც მოვლენ, ღამეს გაუთევენ. ასეთი ჩვეულება აქვთ. წავალ, სკამებს მოვიტან და შავ ყავასაც მოვაყოლებ.

მოხუცს ეთხოვე, რომ ერთი ნათურა ჩაექრო, რადგან ქათქათა კედლებიდან არეკლილი შუქი მღლიდა. შეუძლებელიაო, მითხრა, ერთს თუ ჩაეაქრობ, სხვებიც ჩაქრებიან, განათება ასე გვაქვს მოწყობილიო. მერე კარისკაცისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია. გავიდა. მალე სკამები შემოიტანა. ერთ-ერთ სკამზე საყავე დადგა და გარშემო ფინჯნები შემოუწყო. ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა. კუბოს იჭითა მხარეს, ოთახის სიღრმეში მომვლელი ქალი ზურგშექცევით იჯდა. ვერა ვხედავდი რას აკეთებდა, მაგრამ ხელების მოძრაობაზე ვგრძნობდი, რომ ქსოვდა. სიმშვიდეს დაესადგურებინა ირგვლივ. ყავამ გამათბო. ღია კარადან ღამისა და ყვავილების სურნელება შემოდისოდა. მგონი, ჩავთვლიძე კიდევ.

უეცარმა შერხევამ გამომადვიძა. თვალი რომ გავახილე, ოთახი უფრო გაჩახახებული მეჩვენა. შიგ მდგარი საგნები ჩრდილის ნატამალსაც არ ტოვებდნენ, ყოველ კუთხეს, ყოველ რკალს ისე ნათლად და ზუსტად აღვიქვამდი, რომ თვალები მეწოდა. დედაჩემის მეგობრები შემოვიდნენ. ათამდე იქნებოდნენ. ამ დამაბრძალებელ სინათლეში ისე ფეხაკრეფით მოდიოდნენ და ისე უჩუმრად ჩამოსხდნენ, რომ ერთი სკამიც არ გაჭრაჭუნებულა. ასე გარკვევით არასოდეს მინახავს ადამიანი. არ გამომპარვია მათი სახის არც ერთი ნაკვთი, ტანსაცმლის არც ერთი ნაოჭი. მათად ხმა კი არ მესმოდა. ჩუმად და გაუნძრევლად ისხდნენ ვერც კი იტყოდი, ცოცხლები არიანო. ქალებს, თითქმის ყველას, წინსაფრები ეკეთათ და წელზე შემორტყმული თასები კიდევ უფრო

მეტად აჩენდა მათ გამთბერილ მუცლებს. მოხუც ქალებს თუ ამხელა მუც-
ლები ეჭნებოდათ, ვერ წარმომედგინა. მამაკაცები გაწლიკულები იყვნენ, ხელში
ჯოხი ეჭირათ. ყველაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ თვალები არც კი
უჩანდათ, ისე უციმციმებდათ რაღაც ნაოჭთა ბუდეში. დასხდნენ, შექიმნდნენ
და უხერხულად დახარეს თავი. უკბილობისაგან ყბები ჩავარდნილი კქოხდათ.
ველარ გავიგე—მე მესალმებოდნენ თუ სიბერისაგან უყანყალებდათ თავი—მე-
ნი მესალმებოდნენ. ახლალა შევნიშნე — ჩემს პირდაპირ ჩაწკაპულიყვნენ ყვე-
ლანი, კარისკაცს აქეთ-იქით მისხდომოდნენ და თავს აკანტურებდნენ. უცებ
გამკრა თავში — ნამდვილად ჩემი განსჯა გადაუწყვეტიათ-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმა ქალმა ტირილი დაიწყო. მეორე რიგში იჯდა,
მეგობრის ზურგს უკან და კარგად ვერ ვხედავდი. გულისწამლებად მოთქვამდა,
ასე მეგონა, აღარასოდეს გაჩუმდებოდა. სხვებს თითქოს არ ესმოდათ, ჩუმად
და ნაღვლიანად ისხდნენ, გარშემო ვერაფერს ამჩნევდნენ; ხან კუბოს შეხედავ-
დნენ, ხან — თავიანთ ჯოხებს, ეს იყო და ეს. ქალი კი ტიროდა და ტიროდა.
საოცარი იყო — ამ უცნობ ქალს რა ატირებდა. გული გამიწვრილა, მაგრამ ხომ
ვერ ვიტყოდი. კარისკაცი ქალისკენ დაიხარა, რაღაც წაულაპარაკა, მაგრამ ქალ-
მა თავი გაიქნია, რაღაცა წაიბუტბუტა და კვლავ ამ ხმაზე განაგრძო ტირილი.
მაშინ კარისკაცმა კუბოს შემოუარა და გვერდზე მომიჯდა, არ შემოუხედავს,
ისე ამიხსნა:

— ძალიან მიჩვეული იყო დედათქვენს; ამბობს, ჩემი ერთადერთი
მეგობარი იყო და ამტყვეყნად აღარავინ ღამრჩაო.

დიდხანს ვისხედით ასე. ქალის ობერა და ქვითინი თანდათან მიწყდა. ბევ-
რა იხვნიშა, ბოლოს, როგორც იქნა, ჩაჩუმდა. უკვე აღარ მეძინებოდა, მაგრამ
გადავიღალე და წელიც ამტკივდა. ახლა კი ეს სიჩუმე მტანჯავდა, მამძიმებდა.
დროდადრო რაღაც ხმა შესმოდა. ვერ გავიგე, რა იყო; თურმე მოხუცები უკბი-
ლო ყბებს აწკაპუნებდნენ. ამას თავისდა უნებურად აკეთებდნენ, ისე წასუ-
ლიყვნენ საკუთარ ფიქრებში. ერთი პირობა ვიფიქრე — ეს ცხედარი სულაც
არ აღარდებთ, ისე შეკრებილან-მეთქი. მაგრამ არა, ახლა რომ ეუფიქრდები,
ასე არ იყო.

კარისკაცმა ყავა შემოგვთავაზა. შემდეგ აღარაფერი მახსოვს. ღამე გა-
ვიდა. როცა თვალები გავახილე, მოხუცებისკენ გავიხედე: ერთად მიყუჟუ-
ლიყვნენ და თვლებდნენ. ერთს არ ეძინა. ნიკაპით ჯოხს დაპყრდნობოდა და
თვალმოუშორებლივ მიმზერდა, თითქოს ჩემს გაღვიძებას ელოდებოდა. მე რე
ისევ ჩამეძინა. წელის ტკივილმა გამომადვიდა. მინის სახურავში დღე შემოიპა-
რა. რომელიღაც მოხუცს გაეღვიძა და ხველა აუტყდა, მე რე დიდხანს აფურ-
თხებდა კუბოკრულ ცხვირსახოცში. რამდენს ამთახველებდა, ასე მეგონა გუ-
ლი ამოგლიჯესო. ხველებამ სხვებიც გამოაღვიძა. კარისკაცმა ანიშნა, რომ გა-
სულიყვნენ. წამოდგნენ. სახე სულ გასცრეცოდათ უძილობით. გასვლისას,
ჩემდა გასაკვირად, ყველამ სათითაოდ ჩამომართვა ხელი, თუმცა ღამე ისე გა-
ვატარეთ, კრინტიც კი არ დაგვიძრავს. ღამისთევამ თუ დაგვაახლოვა.

მოვიქანცე. კარისკაცი თავის ოთახში შემიძღვა, ცოტათი სული მოვითქვი.
რძიანი ყავა დავლიე. მესიამოვნა. როცა გამოვედი, კარგა გათენებულიყო.
ბორცვების მიღმა, რომლებიც მარენგოს ზღვისაგან პყოფენ, ცა შეწითლებუ-
ლიყო, ზღვიდან მონაბერ ქარს მარილის სუნი მოჰქონდა. მშვენიერი დღე უნდა

დამდგარიყო; დიდი ხანია სოფლად არ ვყოფილვარ და, ალბათ, დიდ სიამოვნებას ვიგრძნობდი, დედაჩემის დაკრძალვაზე რომ არ ვყოფილიყავი ჩამოსული.

ეზოში ვიდექი, ჭადრის ქვეშ. მიწის გრილმა სურნელებამ გამომართნილა. ჩემი კოლეგები გამიხსენდა; ახლა ისინი დგებიან და სამსახურში წასასვლელად ემზადებიან. ჩემთვის ეს ყველაზე მძიმე საათები იყო. კიდევ დღის ბოლომდე დიქტებდი ამაზე, მაგრამ შენობაში ზარი აწკრიალდა და გამომართნილა. ფანჯრების იქით ჩოჩქოლი ატყდა, ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. მზე უკვე მაღლა ასულიყო; ფეხები გამითბა, კარისკაცი მოვიდა და მითხრა. დირექტორი გიბარებსო. კაბინეტში შევედი; დირექტორმა რამდენიმე დოკუმენტზე ხელი მომაწერინა. შევნიშნე, რომ შავი პიჯაკი და ზოლებიანი მარვალი ეცვა. ყურმილი აიღო და მითხრა:

— უკვე მოვიდნენ ყველანი, ახლა კუბოს თავს დავახურებ. ხომ არ ვსურთ უკანასკნელად დახედოთ დედათქვენს?

არა-მეთქი, ვუთხარი. მან ყურმილში ხმადაბლა ბრძანა:

— ფიქავ, შეუძლიათ დაიწყონ.

შემდეგ მე მითხრა, დაკრძალვას დავესწრებო. მაღლობა გადავუხადე. დირექტორი მაგიდას მიუჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო. კოტიტა ფეხები ჰქონდა გამაფრთხილა, რომ დაკრძალვაზე მორიგე ექიმიც მოვიდოდა. მართო ჩვენ ვიქნებოთ, მითხრა. მოხუცებს არ ისწრებდნენ დაკრძალვაზე. მით მხოლოდ ღამის გათევის უფლებას აძლევდნენ:

— კაცთმოყვარეობას ვერ დავივიწყებთ! — დასძინა მან.

გამონაკლისი თომას პერეზი იყო, დედაჩემის მეგობარი. მას ნება დართეს პროცესიას გამოჰყოლოდა. დირექტორმა გაიღიმა:

— იცით, ეს, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, მაგრამ დედათქვენი და ბატონი პერეზი სულ ერთად იყვნენ. თავშესაფარში ეხუმრებოდნენ ხოლმე: „პერეზ, ქალბატონი მერსო თქვენა საცოლეა“. პერეზი იცინოდა. ორივეს სიამოვნებდა ესა. მართლაც ძალიან იმოქმედა ქალბატონ მერსოს სიკვდილმა ბეროკაცზე. უარი ვეღარ ვუთხარი და ნება დავრთე, გასვენებაზე წამოსულიყო. გუშინ კი ავუკრძალე ღამისთევა. ექიმმა მიჩიია. — ერთხანს ასე ვისხედით. მერე დირექტორი წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა. თვალი მოაელო იქაურობას. — აგერ მარენგოს მღვდელიც. ადრე მოსულა.

გამაფრთხილა, სოფლის ეკლესიამდე ორმოცდახუთი წუთის სავალიათ. ჩამოვედი. შენობის წინ მღვდელი და ორი მგალობელი იდგა. ერთ-ერთს ხელში საცეცხლური ეჭირა. მღვდელი დროდადრო იხრებოდა და ვერცხლის ჯაჭვს ასწორებდა. იგი მოგვეგება, შვილო ჩემო, მითხრა და კიდევ რაღაც დააყოლა. შემდეგ საცხედრეში შევიდა, მეც მივეყვი.

მაშინვე შევნიშნე, რომ კუბოს სახურავი დაეჭელათ. ოთხი შაოსანი მამაკაცი იდგა ოთახში. დირექტორმა გადმომილაპარაკა, კატაფალკი ქუჩაში გველოდებო. მღვდელი ლოცვას მოჰყვა. ამის შემდეგ ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო. შაოსნები კუბოს მიუახლოვდნენ, ფარდაგი გადააფარეს. წინ მღვდელი გაუძღვათ, კუბო გაიტანეს და ჩვენც უკან მივეყვით. კარებში ერთი ქალბატონი იდგა, რომელსაც მე არ ვიცნობდი.

— ბატონი მერსო, — გააცნო ჩემი თავი დირექტორმა. ამ ქალბატონის გვარი ვერ გავიგე, მაგრამ მივხვდი, რომ რწმუნებული იყო. ქუშად დამიკრა

თავი. გრძელი, ჩამომხმარი სახე ჰქონდა. გვერდზე მივდექით, რომ ცხედარი გაეტანათ. თავშესაფრიდან გამოვედით და მივყევით. კარის წინ კატაფალკა იდგა: გაპრიალებული, მოგრძო და მბრწყინავი — საკალმეს წააგავდა კატაფალკის გვერდით გამრიგებელი იდგა — ჩია ტანის პატარა კაცი და კიდევ ერთი მოხუცი, რომელსაც უხერხული მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. მივხედი, რომ ბატონი პერეზი იქნებოდა. მრგვალი და ფართოფარფლებიანი თექის ქუდი მსხვრე ქროდესაც კუბო კარებში გამოატარეს, ქუდი მოიხადა), განიერი შარვალი ეცვა და პატარა შავი ბანტი ეკეთა, რომელიც კიდევ უფრო პატარა მოჩანდა დიდსაყელრიანი თეთრი პერანგის ფონზე. ფერისმჭამელებით აჭრელებული ცხვირის ქვეშ ტუჩები უთრთოდა. შეთხელებული თეთრი თმა ცნობისმოყვარე პანტურა ყურებზე გადმოჰყვნოდა; ფერმკრთალ სახესთან შედარებით, ყურების წითელი ფერი განსაკუთრებით მომხვდა თვალში. გამრიგებელმა ყველას მოგვიჩინა ადგილი. წინ მღვდელი მიდიოდა, მერე — კატაფალკი. კატაფალკს გარშემო ოთხი მამაკაცი ედგა. უკან — მე და დირექტორი, ბოლოს — რწმუნებული და ბატონი პერეზი.

ცა მზით იყო სავსე. მიწა გახურდა და სიცხემაც იმატა. ნეტავ, რას ველოდებოდით ამდენ ხანს. ძალიან მცხელოდა თაღს ტანსაცმელში. პერეზმა ქუდი მოიხადა. დირექტორმა მასზე დამიწყო ლაპარაკი. მე ოდნავ მივაბრუნე თავი და დავაკვირდი. დირექტორმა მიაჩნო: დედაჩემი და ბატონი პერეზი საღამოობით ხშირად გამოისეირნებდნენ თურმე სოფლისკენ, ექთანის თანხლებით, რაღა თქმა უნდა. მივიხედ-მოვიხედე, სოფელს გადავავლე თვალი. კვიბაროსები ჩარიგებულიყვნენ ბორცვების კალთებზე, მათ შორის ალავ წითელი, ალავ მწვანე მიწა მოჩანდა, იშვიათი სახლების კონტურები მკვეთრად იხატებოდნენ — და მე გავუგე დედაჩემს. საღამოები ამ მხარეში მელანქოლიურად მშვიდი უნდა იყოს. ახლა კი, როცა დიდებული მზე ბრწყინავს და ცხელი აღმური არხვეს პეიზაჟს — უღმობელსა და გულქვას ხდის მიდამოს.

დავიბარით. შევამჩნიე, რომ ბატონი პერეზი უკან რჩებოდა. კატაფალკი თანდათან უშატებდა სიჩქარეს. მოხუცი სულ აღარ ჩანდა. ერთ-ერთი შათსანიც ჩამორჩა კატაფალკს, მე გამიპირდაპირდა. საოცარია, რა სისწრაფით მიიწევდა მზე ცაზე. გვიან შევნიშნე, როგორ ბზუოდნენ მწერები, როგორ გაჰქონდა ბალახს ტკაცატკუცი. ოფლი წურწურით ჩამომდიოდა ლოყებზე, ქუდი არ მქონდა და ცხვირსახოცით ვინიავებდი სახეს. ჩემს გვერდით მომავალმა შაოსანმა რაღაც მითხრა, ვერ გავიგე. მარცხენა ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და კეფას იწმენდდა, მარჯვენა ხელით კი ქუდს დროგამოშვებით იხდიდა. რა მითხარით-მეთქი, ჩავეკითხე.

ცას ახედა და გაიმეორა:

— მაგრად აცხუნებს.

დავეთანხმე. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მკითხა:

— დედაა თქვენი?

— დიახ.

— მოხუცი იყო?

— არც ისე. — ასე იმიტომ ვუპასუხე, რომ ზუსტად არ ვიცოდი დედაჩემის წლოვანება. მერე გაჩუმდა. უკან მოვიხედე და ბატონი პერეზი დავინახე, — ორმოცდაათამდე მეტრით ჩამორჩენილიყო. განიერი ქუდის ქნევით და ქო-

შინით მოდიოდა. დირექტორსაც შევხედე; იგი ამაყად და ღირსეულად მოაბიჯებდა. ოფლის წვეთები შუბლზე უბრწყინავდა, მაგრამ არ იწმენდდა.

მომეჩვენა, რომ პროცესიამ სვლას უმატა. განათებულ, ძნით გათხზულ შინდორს ბოლო არ უჩანდა. ცის მცხუნვარება აუტანელი ხდებოდა. ახლად დაგებულ გზაზე გავედით. გუდრონი თვალისმომჭრელად პროცესიამ უხეხები გვეფლობოდა და კვალს ცტოვებდით. შეეტლის ტყავის ქუდი, რომელიც ეტლზე იდო, რატომღაც კუპრში ამოსვრილს ჰგავდა. მოთეთრო ცამ და მისმა მოხოტონურმა ფერებმა, გუდრონის წებოვანმა სიშავემ, კატაფალკის პრილა სიშავემ, მზემ, ტყავისა და ცხენის ჩონჩორიკის სუნმა, უძილო დამემ გონება დამიბინდა, აზრები ამირია. კიდევ ერთხელ გავიხედე უკან. პერეზი კარგა ჩამორჩენილიყო და სიციხის აღმურში ძლივსღა მოჩანდა. ცოტაც და, სულ დამეკარგა თვალღდან. მერე შევნიშნე, რომ გზადან გადასულიყო და შინდორს მიჰყვებოდა. ჩემ წინ გზა უხვევდა. მივხვდი, პერეზი კარგად იცნობდა აქაურობას, მოკლესზე სჭრიდა, რომ დაგვეწყოდა. მოსახვევში დაგვეწია. შემდეგ ისევ დაგვეკარგა. კვლავ შინდვრით წავიდა და ასე — მრავალჯერ. ვიგრძენი, როგორ მომაწვა სისხლი საფეთქლებში. ყველაფერი ისე სწრაფად და ბუნებრივად მოხდა, რომ აღარაფერი მახსოვს, ერთის გარდა: სოფლის შესახვევთან მომვლელი ქალი გამორელაპარაკა, უჩვეულო ხმა ჰქონდა — მელოდიური და მითითლვარე, რაც მის გარეგნობას არ შეეფერებოდა.

— ჩქარა თუ ვიარეთ, გავოფლიანდებით და ეკლესიაში შეიძლება გავცივდეთ, არადა, ნელა რომ ვიაროთ, დავისიცხებით.

მომვლელი ქალი მართალი იყო, გამოსავალი არ ჩანდა. კიდევ რამდენიმე სურათი დამამახსოვრდა. მაგალითად: პერეზის სახის გამომეტყველება, როდესაც იგი უკანასკნელად დაგვეწია; ნერვიულობისაგან ცრემლები დაბალუპით ჩამოსდიოდა, მაგრამ დანაოჭებული სახე გზას არ აძლევდა. კიდევ მახსოვს ეკლესია და ხალხი ტროტუარზე, საფლავზე წითელი ნემსიწვერა, გულწასული პერეზი (იტყოდით, ხის მოშლილი ჯამბაზიო), სისხლისფერი მიწა, რომელიც დედაჩემის კუბოს ეყრებოდა და შიგ არეული გაშიშვლებული ფესვები, ისევ სახეები, ხმები, სოფელი, კაფეს წინ ლოდინი, ძრავის განუწყვეტელი გუგუნო, სიხარული, როდესაც ავტობუსი სინათლეებით გაჩახახებულ ალყირში შევიდა და სიამოვნების გრძნობა, როდესაც წარმოვიდგინე, რომ ლოგინზე დავგდებოდდი და თორმეტი საათი მკვდარებით ვიძინებდი.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

დილით რომ გავიღვიძე, მივხვდი, რატომ ჰქონდა ჩემს უფროსს უკმაყოფილო სახე, როცა ორი დღით დავეთხოვე: დღეს ხომ შაბათია. ეს რატომღაც, გამომრჩა მხედველობიდან, ამ დილით კი უეცრად მივხვდი ყველაფერს; ალბათ, უფროსმა იფიქრა, რომ კვირა დღის ჩათვლით ოთხი დღე გამომდიოდა დასვენება. ეს კი, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდა. რა ჩემი ბრალია, რომ დედა შაბათის ნაცვლად პარასკევს დაასაფლავეს?! ესეც არ იყოს, შაბათი და კვირა მაინც მე მეკუთვნოდა. თუმცა, ჩემი უფროსიც თავისებურად მართალია.

გუშინ ისე მოვიქანცე, რომ ძლივს ავდექი. პირს რომ ვიპარსავდი, ვიფიქრე, რა გავაკეთო-მეთქი და საბანაოდ წასვლა გადავწყვიტე. პორტში მოწყო-

ბილ საცურაომდე ტრამვით მივედი. იქ გადავხტი წყალში და გავცურე. სულ ახალგაზრდობა იყო. წყალში მარი კარდონა შევნიშნე: ჩვენი ბიურის მენი-ქანე. ერთ დროს კარგა მაგრად მადელვებდა. მგონი, მასაც მოგწონდა ჩვენგან მალე წავიდა და ერთმანეთი აღარ გვინახავს. მარი ტივტივაზე შემოვსვი. უცებ მკერდზე მომიხვდა ხელი. მე წყალში ვცურავდი, ის კი ტივტივაზე მოჩქვე იწვა. მარი ჩემკენ შემობრუნდა, თმა თვალეებზე ჩამოშლიდა, ჩემს ხელს ავიწიე და გვერდზე მიუჭყეძი. მშვენივრად მოვეწვევით. ხუმრობით უკან გადავიწიე და თავი მუცელზე დავადე. მარის არაფერი უთქვამს და ასე დავრჩი. ცა თვალეებში მომეჭტა; ცისფერი იყო და მოოქროვილი. ჩემი კეფის ქვეშ მარის მუცელი ნახად ფეთქავდა. დიდხანს ვაყავით ასე, ნახევრად ჩაძინებულები. მზემ მაგრად დააცხუნა. მარიმ ჩაყვინთა, მეც მივყვევი. დავიჭირე, წელზე ხელი შემოვხვიე და ერთად გავცურეთ. იგი სულ იცინოდა. როცა ვშრებოდით, მითხრა, მე თქვენზე შავი ვყოფილვარო. საღამოსთვის კინოში წასვლა შევთავაზე. მარიმ სიცილით მიპასუხა, რომ საამთონებით ნახავდა ფილმს ფერნანდელის მონაწილეობით. ჩავიცვით, შავი ყელსახვევი გავიცეთე. შავი ყელსახვევი რომ დამინახა, მკითხა, მგლოვიარედ სომ არა ხარო. ვუთხარი, დედა გარდამეცვალა-მეთქი. ისევ შემეკითხა, როდისო, და მეც ვუპასუხე: — „გუშინ დავსაფლავე“. მარი შეცბა, თუმცა, აღარაფერი უკითხავს. მინდოდა მეთქვა, ჩემი ბრალი არ არის-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე: იმიტომ რომ, გამეორება გამომივიადოდა. უფროსთანაც ხომ გავიმართლე თავი. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ამას, ასეა თუ ისე, ყოველთვის რაღაცაში დამინაშევე გამოდიხარ.

საღამოს მარის ყველაფერი გადაავიწყდა. ფილმი სასაცილო და სულელური იყო. მარის ფეხი ჩემს ფეხს ედებოდა, მე მკერდზე ვეალერსებოდი. სურათის დამთავრებისას ვაკოცე, მაგრამ უხერხულად. იმ დამეს მარი ჩემთან წამოვიდა.

დილით, როცა გამომეღვიძა, მარი უკვე წასულიყო. ვიცოდი, დეიდა ელოდებოდა. გამახსენდა, რომ კვირა იყო და მეწყინა. არ მიყვარს კვირა დღე. მერე გადავბრუნდი, ბალიშზე ზღვის სუნი შევისუნთქე, მარის თმას რომ დაეტოვებინა. ისევ ჩამეძინა. ათ საათზე გამომეღვიძა. თორმეტ საათამდე ვიწვი და სიგარეტს ვაბოლებდი. კვირაობით სელესტთან ცსაუზნობ ხოლმე. დღეს კი გადავიფიქრე, რადგან შეკითხვებით თავს მომაბეზრებდნენ. კვერცხები მოვხარშე და ლანგრიდან უპუროდ შევქამე. დამეზარა პურზე წასვლა.

ნასაუზმევს უსაქმობისაგან ოთახებში დავიწყე წრიალი. როცა მე და დედა ერთად ვცხოვრობდით, ბინა მოხერხებული მეჩვენებოდა, ახლა კი ჩემთვის ძალიან დიდი იყო. კარგი იქნებოდა, სასადილო მაგიდა ჩემს ოთახში გადამეტანა. მთელ დროს მაინც აქ ვატარებ: ჩალის ჩაზნექილ სკამებზე და ნიკელის საწოლზე, ჩაყვითლებულ სარკიან კარდასა და ტუალეტის მაგიდას შორის. დანარჩენი ყველაფერი მიგდებული მაქვს. მომწყინდა. დროის მოსაკლავად ძველი გაზეთი ავიღე და წაეიკითხე. მარილის რეკლამა ამოვჭერი და ძველ რვეულში ჩავაქარი. თუკი რამ მომეწონება გაზეთში, ამ რვეულში ვაწებებ ხოლმე. ხელები დავიბანე და აივანზე გავედი.

ჩემი ოთახი გარეუბნის მთავარ ქუჩაზე გამოდის. კარგი ამინდი იდგა. ქვაფენილი ჭუჭყიანი იყო; რამდენიმე კაცი ჩქარა მიდიოდა. მათ შორის სასეირნოდ გამოსული ოჯახი შევნიშნე: წინ — მუზღვაურის ფორმაში გამოწყო-

ბილი ორი ბიჭუნა მიდიოდა; ხამ ტანსაცმელში ბავშვები თავისუფლად ვერ გრძნობდნენ თავს. პატარა გოგონას თავზე უზარმაზარი ვარდისფერი ბაფთა ეკეთა და ლაქის ფეხსაცმელები ეცვა. უკან მათ აბრეშუმის ტანსაცმლიანი ზორბა ქალი და ჩია ტანის მამაკაცი მოსდევდნენ. ეს უკანასკნელი სახით შეცნობოდა. მას ხოფი, პეპლების საჭერა ბადე და ანკესი მიჰქონდა. ტოლთან ერთად დაეინახე, მივხვდი, უბანში რჩეულ კაცად რატომ თვლიდნენ. მოგვიანებით ჩვენი უბნის ახალგაზრდებმაც ჩაიარეს. პრილა თმები ჰქონდათ. ამოქარგულჯიბეებიანი გაწკეპილი პიჯაკები და ცხვირგადაჭრილი ფეხსაცმელები ეცვათ. ალბათ, კინოში მიდიოდნენ ქალაქის ცენტრში. ამიტომაც გამოსულიყვნენ ასე ადრე და სიცილ-ხარხარით ტრამვაის გაჩერებასკენ მიიჩქაროდნენ.

ჩაიარეს, ქუჩა თანდათან დაცარიელდა. სპექტაკლები ყველგან დაწყებული იყო. ქუჩაში მედუქნეებისა და კატების მეტა აღარავინ დარჩა. ფიკუსების ზემოთ ცა მოწმენდილი, მაგრამ რაღაცნაირად უსხივოსნო იყო. ტროტუარზე, ჩემს პირდაპირ, თამბაქოს გამყიდველმა სკამი გამოიტანა, შემოაჯდა და ნადაყვებით საზურგეს დაეყრდნო. სულ ახლახან გაქვდილი ტრამვაის ვაგონებმა უკვე დაცარიელებულიყო. პატარა კაფე „შე პიეროც“ ცარიელია. თფიცინანტი იატაკზე ნახერხსა ყრის და გვის. მართლაც რომ კვირა დღეა!

სკამზე ისე დავჯექი, როგორც თუთუნის გამყიდველი: ასე უფრო მოხერხებული მომეჩვენა. კიდევ გავაბოლე. თთახში შევედი შოკოლადისთვის და ფანჯარასთან მივდექი. ნელ-ნელა მოიღრუბლა. წვიმა დაუშვებს-შეთქი, ვიფიქრე. მაგრამ ისევ მალე გადიკარა და მოიწმინდა. აქა-იქ დარჩენილი ღრუბლები ქუჩას წვიმით ემუქრებოდნენ და აბნელებდნენ. ცას თვალი ვერ მოვწყვიტე.

ხუთ საათზე ტრამვაის ვაგონები დაიძრა. გარეუბნის სტადიონიდან მომავალი ხალხი საფეხურებზე ყურძნის მტევნებით ეკიდა. შემდეგ ვაგონებს, ალბათ, ფეხბურთელები მოჰყავდა; ჭაბუკებს პატარა სპორტული ჩემოდნები ეკავათ. სპორტსმენები ღრიანცელით მღეროდნენ კლუბის ქება-დიდებას. ზოგი რაღაცას მანიშნებდა, ერთმა დამიყვირა კიდევაც:

- ხომ ვუჩვენეთ სეარი.
- ჰო. — თავის ქნევით ვანიშნე მე.

შემდეგ ქუჩა მანქანებით გაივსო. დღე ილეოდა. სახურავების ზემოთ ცა შევარდისფრდა. საღამო იბადებოდა, ქუჩები გამოცოცხლდა. წასულები უკან ბრუნდებოდნენ. მათ შორის ის „გამორჩეული“ ბატონიც ვიცინი: ბავშვებს ტორილით მიათრევდა. ცოტა ხანიც და, უბნის კინოთეატრებიდან მაყურებლები ნაკადებად გამოვიდნენ ქუჩებში. ახალგაზრდებს სითამამე შევნიშნე. ვიფიქრე, უთუოდ სათავგადასავლო ფილმი ნახეს-შეთქი. კინოს საყურებლად ქალაქის ცენტრში წასული ხალხი მოგვიანებით და სხვა განწყობით ბრუნდებოდა. იცინოდნენ, მაგრამ უფრო დაფიქრებულები და დაღლილები ჩანდნენ. შინ არ მიდიოდნენ — ტროტუარზე აღმა-დაღმა სეირნობდნენ. უბნის ქალიშვილებმა ხელკავით დაიწყეს სეირნობა. ვაჟები მათ გზას უჭრიდნენ, ეხუმრებოდნენ, გოგონები კი თვალს აყოლებდნენ და იცინოდნენ. ნაცნობი ქალიშვილები ღიმილით მესალმებოდნენ.

ანთებულმა ლამპიონებმა გააფერმკრთალეს პირველი ვარსკვლავები. სინათლითა და ხალხით დატვირთულმა ქუჩამ თვალები მატკინა. სველი ქვაფენილი ბრწყინავდა და ხანდახან ჩაკლილი ტრამვაის შუქი პრილა თმებს,

ლიმისა და ვერცხლის სამაჯურებს აელვარებდა. ტრამვაი გაიშვიათდა. ღამე ჩამოწვა ლამპიონების და ხეების მიღმა. უბანიც შეუშინველად დატარიელდა. პირველმა კატამ ზანტად გადაჭრა უკაცრიელი ქუჩა. მოშვიდებ კისერი მეტკინა, ალბათ იმიტომ, რომ დიდხანს ვიყავი სკამის ზურგზე დაჯდნობილი. პურისა და მარმელადის საყიდლად ჩავედი. სამხარი გავიშალე და ზეზეურად შევჭამე. მინდოდა ფანჯარასთან გამებოლებინა, მაგრამ უცბად ავრილდა და სიცივე ვიგრძენი. ფანჯარა მივხურე და როდესაც შემოვტრიალდი, სარკეში შევნიშნე მაგიდის კუთხე, რომელზედაც სპორტის ლამპა იდგა და პურის ნაჭრები ეყარა. და აი, ეს კვირაც გავიდა. მომავონდა, რომ დედა გუშინ დავასაფლავეთ. მე ისევ დავუბრუნდები ჩემს სამუშაოს. თითქოს არაფერი შეცვლილა.

თ ა ვ ი მ მ ს ა მ მ

ღღეს ბევრი ვიმუშავე. უფროსი თავაზიანად მექცეოდა, ძალიან ხომ არ დაიღალეო, მკითხა და თან დედაჩემის ასაკით დაინტერესდა. რომ არ შემშლოდა, ვუპასუხე:

— ასე, სამოცამდის იქნებოდა.

არ ვიცი რატომ, როცა დედაჩემის წლოვანება გაიგო, დამშვიდდა, ალბათ, ეს გასაუბრება საკმარისად ჩათვალა.

ჩემს მაგიდაზე კონოსამენტების¹, გროვა იყო და უნდა გადამეჭეჭა. სანამ სასადილოდ წავიდოდი, ხელები დავიბანე. შუადღისას ხელებს სიამოვნებით ვიბან, საღამოს კი მეზარებო, რადგან მთელი დღის ნახმარი საერთო ხელსახოცი მთლად სველია. ეს ერთხელ უფროსთანაც აღვნიშნე. უფროსმა მიპასუხა, რომ მასაც არ სიამოვნებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მისთვის უმნიშვნელო დეტალი იყო. ემანუილთან ერთად ბიუროდან ცოტა მოგვიანებით გამოვედი — პირველის ნახევარზე. ემანუილი საექსპედიციო განყოფილებაში მუშაობს. ჩვენი ოთახი ზღვისკენ გამოდის, მზით აღმოდებულ პორტში სატვირთო გემები იდგა. გემების მზერაში გავერთეთ და შეგვაგვიანდა. ამ დროს, სატვირთო მანქანა მოვიდა ჯაჭვების რახარუხითა და ზათქიო. ემანუილმა მითხრა, გავყვეთო და გავიქეციოთ. სატვირთო მანქანამ გაგვისწრო. ჩვენ უკან გამოვუდექით. მანქანის გუგუნმა გამაყრუა. მტვერმა დამახრჩო. ვერაფერს ვხედავდი, ვერაფერს ვგრძნობდი, გარდა ამ უმიზნო სწრაფეისა. ჩემს გასწვრივ გარბოდნენ ამწეები და სატვირთო მანქანები, ანძები და გემები, რომლებიც პორიზონტზე ტივტივებდნენ. მანქანას დავეწიე და შევახტი, მერე ემანუილს დავეხმარე ამოსვლაში, ძლივს და ვსუნთქავდით. სატვირთო მანქანა უსწორმასწორო ქვაფენილზე ინჯლრეოდა მზესა და მტვერში. ემანუილი სულის შეხუთვამდე ხარხარებდა.

სელესტთან რომ მივედიოთ, ოფლში ვცურავდით. როგორც ყოველთვის, წინსაფრით მოგვეგება. სელესტი თეთრულვაშია და ღიპიანია.

— ისე ხომ კარგად ხარ? — მკითხა.

¹ გემით გადაზიდული საქონლის ქვითარი.

— კარგად, — ვუპასუხე და დავძინე: — ძალიან მშობია.

სწრაფად შევქაშე და ყავა დავაყოლე. მერე სახლში წავიდი. ნასუამი ვიყავი და ცოტა წავიძინე. როცა გამეღვიძა, მოწვევა მომინდა. მაგვიანდებოდა და ტრამვაისთვის რომ მიმესწრო, გავიქეცა. გვიანობამდე ვიმუშავე. სამსახურში ისე ცხელოდა, რომ საღამოს სახლში სანაპიროთი დავბრუნდი. უკმაყოფილო თავს მსუბუქად ვგრძობდი. მიუხედავად ამისა, პირდაპირ შენგაყვებულ კატროფილი მინდოდა მომეხარშა.

კიბეზე ასვლისას, სიბნელეში ჩემს კარს მეზობელს, მოხუც სალამანოს შევეჩხეხე. მას თან ახლდა ესპანური ჯიწის მეძებარი. უკვე რვა წელია, რაც ერთად დადიან. ძაღლს კანის ავადმყოფობა აქვს, მგონი ქეცი. ამიტომ ბეწვი მთლად გასცვივდა და კანი ქერცლითა და ყავასფერი ქერქით აქვს დაფარული. რადგან ორივენი ერთ პატარა ოთახში ცხოვრობენ, მოხუცი სალამანო, ბოლოს და ბოლოს, მას დაემგვანა. სახე მასაც წითლად აქვს აქერცლილი, წვერი კი — გაქუცული და გაყვითლებული. ძაღლი ყურებზე ამოყრილი დადის, ცხვირი წინ აქვს წაწეული და კისერგაშეშებულია, ისე, როგორც მოხუცი სალამანო. ისინი ერთი ჯიწისანი არიან. მიუხედავად ამისა, ერთმანეთი სძულთ. დღეში ორჯერ, თერთმეტზე და ექვს საათზე, მოხუცი ძაღლს დაასეირნებს. რვა წელია, რაც ერთი გზით დადიან: ლიონის ქუჩაზე. ძაღლი წინ მიიწევს ხოლმე, მოხუცი კი უკან ექაჩება. ბოლოს, იმით თავდება, რომ მოხუცი სცემს და აგინებს. ძაღლი შიშისაგან იბუზება და ნებდება. მოხუცს თრევა-თრევით მოჰყავს. ცხოველი მალე ივიწყებს ცემას და ისევ ჯიუტობს. მოხუცი ხელახლა სცემს და აგინებს. ბოლო კი ასეთია: ძაღლი შიშით მისჩერებია კაცს, კაცი ძაღლს ზიზღით უყურებს და ასე მეორდება ყოველდღე. ძაღლს როცა მოშარდება უნდა, მოხუცი არ აცლის. ისიც მიჰყვება და ტროტუარზე შარდის წვეთებს აბნევს. თუ ოთახში შეემთხვა, მოხუცი ისევ სცემს. ეს ამბავი რვა წელია გრძელდება. „რა უბედურებაა“, იტყვის ზოლმე სელესტი. მაგრამ ვინ რა იცის... სალამანო, როცა კიბეზე შემხვდა, ისევ ძაღლს აგინებდა:

— გათახსირებულა, მძორა... — ძაღლი წკმუტუნებდა.

— სალამო მშვიდობისა, — ვუთხარი.

მოხუცი კვლავ იგინებოდა. ვკითხე, ძაღლმა რა დააშავა-მეთქი. არ მიპასუხა, ისევ გაიძახოდა: „გათახსირებული, მძორა“. მივუხვდი, რაშიც იყო საქმე. ძაღლისკენ დახრალიყო და საყელურს უსწორებდა. ხმას ავუწიე. თითქოს ყელში მოაწვაო სიბრაზე, უკან მოუხედავად მიპასუხა:

— ყოველთვის ეს აჭარვებს საქმეს.

ბოლოს, მოხუცმა მოჭაჩა ძაღლს და წავიდა. ისიც წკმუტუნით მიჰყვა. სწორედ ამ დროს, ჩემი კარის მეორე მეზობელიც მოვიდა. უბანში ამბობენ, რომ ის საყვარლების ხარჯზე ცხოვრობს. რომ ჰკითხოთ რას აკეთებს, საწყობის გამგე ვარო, გეტყვით. საერთოდ, იგი არავის არ უყვარს. ჩემთან ხშირად შემოდის და მელაპარაკება, ალბათ იმიტომ, რომ ვუსმინ. საინტერესო ამბებს ჰყვება. ბოლოს და ბოლოს, ისეთი რა მიზეზი მაქვს, რომ ხმა არ გავცე. რაიმონდ სენტეზი ჰქვია. იგი საკმაოდ დაბალია. განიერი მხრები და მოკრივის ცხვირი აქვს. ყოველთვის პეწით აცვია. სალამანოზე მასაც უთქვამს ჩემთვის, რა ოხერი კაციაო!

— არ გეზიზღებათ ყველაფერი ეს? — მკითხა მან.

არა-მეთქი, მივუგე.

კიბეზე ერთად ავედით და ის იყო, უნდა დაეცილებოდი, რომ მი-
თხრა:

— სახლში ღვინო და ძეხვი მაქვს, ხომ არ დამეწვევით...

გავიფიქრე, რომ ეს თავიდან ამაცილებდა საუზმის მომზადებას და დავე-
თანხმე. მასაც ერთი ოთახი აქვს და უფანჯრო სამზარეულო. საწოლთან — მის-
თეთრო-მოვარდისფრო ხელოვნური მარმარილოს ანგელოზი, ფილაუნესის ფრ-
ტოები და ორი თუ სამი შიშველი ქალის სურათი უკიდია. ოთახი ჭუჭყიანი
იყო, ლოგინი ანგრეული. ჯერ ნავთის ლამბა აანთო, მერე ჯიბიდან რაღაც ჭინჭი
ამოიღო და მარჯვენა ხელი შეიხვია. ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი. ერთ ახი-
რებულ ტიპს ვეჩხუბეო, მითხრა.

— იცით, ბატონო მერსო, ბოროტი არა, მაგრამ ფიცხი ვარ. ტიპი ჩამა-
ცივდა: „თუ კაცი ხარ, ჩამოდი ტრამვაიდან“. ჭკვიანად იყავი-მეთქი, მივუგე-
მაშინ მითხრა, შენ კაცი არა ხარო. ჩამოვედი და ვუთხარი: „გეყოფა, თორემ
დაგეყავ“. მაინც როგორო, ჩამაცივდა. მაშინ ერთი ვუთავაზე. დაუარდა. წა-
მოყენება მინდოდა, მაგრამ წიხლები დამიშინა. მაშინ მუხლი გავარტყი და
ორჯერ ხის სოლიც ვუთავაზე. საბე სისხლით მოესვარა. ვკითხე: „გამისწორე
ანგარიში?“ კიო, მითხრა. — მთელი ამ ხნის განმავლობაში სენტეზი ჭრალობას
იხვევდა. მე ლოგინზე ვიჯექი. — ხედავ, ჩემი ბრალი არ არის, თვითონ მაიძუ-
ლა. — მართალი იყო და დავეთანხმე. მერე გამომიციხადა, რომ ჩემთან ამ საკი-
თზე უნდოდა ლაპარაკი, რომ მე კაცი ვარ და ცხოვრების ავ-კარგი გამეგება,
რომ შემოიძლია დავეხმარო და მეგობრობა გავუწიო. არაფერი ვუპასუხე. მან
ხელახლა მკითხა, თანახმა ვიყავი თუ არა მეგობრობაზე. ვუთხარი, ჩემთვის
სულ ერთია-მეთქი. სახეზე კმაყოფილება შევნიშნე. გამოიღო ძეხვი, ტაფაზე
შეწვა, სუფრაზე ჭიქები, თეფშები და ორი ბოთალი ღვინო დადგა. ამას ჩუმად
აკეთებდა. სუფრას შემოვუსხედით. ჭამის დროს თავისი ამბავი მომიყვა. პირ-
ველად ყოყმანობდა, მერე დაიწყო: — ერთი ნაცნობი ქალი მყავდა... უფრო
სწორად საყვარელი. — კაცი, რომელსაც იგი ეჩხუბა, ამ ქალის ძმა იყო. ისიც
მითხრა, ამ ქალს ვარჩენო. მე არ შევპასუხებოვარ, მაგრამ მაინც დასძინა,
ვიცი, რა ხმებიც დადის ჩემზე უბანში, მაგრამ სინდისი სუფთა მაქვს და
საწყობის გამგე ვარო. — ისევ ჩემს ამბავს ვუბრუნდები, აქ რაღაც ორგულო-
ბას აქვს ადგილი. — რაიმონდი იმდენს აძლევდა ამ ქალს, რომ მას ცხოვრება
შეეძლო. უხდიდა ბინის ქირას და საჭმელად ყოველდღე ოც ფრანკს
აძლევდა. — სამასი ფრანკი ბინის ქირაში, ექვსასი საჭმელად, ჩანდახან
ერთი წყვილი წინდა, სულ ათასი ფრანკი გამოდიოდა. თანაც, ქალბატონი არ
მუშაობდა. სულ მსაყვედურობდა, არ მყოფნისო. მე კი რამდენჯერ მითქვამს, —
რა მოხდებოდა ნახევარი ღლე გემუშავა-მეთქი, წერილმანში მაინც გეყო-
ფოდა შენა ხელფასი. ამ თვეში კოსტუმი გიყიდე, ყოველდღე ოც ფრანკს
გაძლევ, ბინის ქირა გადაგიხადე. შენ კი შუაღლისას ყავას მაირთმევ მეგობ-
რებთან ერთად. მათ ყავას და შაქარს აძლევ. ფულს კი მე მახარჯინებ.
მე კარგად გექცევი, შენ ცუდით მიხდი, მაგრამ ის მაინც არ მუშაობდა.
თავს იმართლებდა, ვერ ვშოულობო. ბოლოს მივხვდი, რომ მატყუებდა. —
რაიმონდმა ისიც მითხრა, რომ ქალის ჩანთაში ლატარიის ბილეთი უნახავს.
ქალმა ვერ აუხსნა, რა ფულით იყიდა ეს ბილეთი. ცოტა ხნის შემდეგ ქვითარი

უპოვნა. ქალს ლომბარდში ორი სამაჯური დაეგარავებინა. აქედნე რაიმონდმა არ იცოდა, რომ მას სამაჯურები ჰქონდა. — ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდა, რომ პატყუებდა. ავდექი და მივატოვე. მაგრამ სანამ მივატოვებდი, გეტყვი. თან პირში ვუთხარი ყველაფერი, რასაც მასზე ვფიქრობდი; შენთვის სულ ერთია, ვისთან დაწვები-მეთქი. ხომ წარმოგიდგენიათ როგორ ვეტყუდი მას, ბატონო მერსო: „ხომ ხედავ, რომ ხალხს შურს ის სიკეთე, რასაც შენს მიმართ ვეჩვენ, დრო მოვა და ინანებ“. — ისე სცემა, რომ სისხლი ადინა. წინათ, თურმე, არ სცემდა. — ვცემდი, მაგრამ ისე, ხუმრობით, ცოტას კიოდა ხოლმე. მაშინ დარაბებს ვხურავდი და ყველაფერი ჩვეულებრივად თავდებოდა. ამჯერად კი მაგრად მივბეგვე, მაგრამ, ჩემი აზრით, საკმაოდ მაინც არ დამისჯია.

ბოლოს, გამომიტყდა, რომ სწორედ ახლა სჭირდება ჩემი რჩევა. ცოტა ხნით შეჩერდა და აბოლებულ ლამბას დაუწია. სმენად ვიყავი ქცეული. ერთ ლიტრამდე დავლიე და საფეთქლები მიხურდა. სიგარეტი გამითავდა, რაიმონდისას ვეწეოდი. უკანასკნელმა ტრამვამ ჩაიარა და ხმაური გაიყოლა. რაიმონდმა განავრძო: ყველაზე ძალიან ის აწუხებდა, რომ, რაღაც ვგრძნობა კიდევ დარჩა ამ „კახპისადმი“. მიუხედავად ამისა, მაინც უნდოდა მისი დასჯა. რაიმონდს გადაწყვეტილი ჰქონდა, ეს ქალი პუნქტში მიეყვანა, სკანდალი მოეწყო და მისი ქალობა გამოეაშკარაებინა. თავისი წრის ამხანაგებსაც მიმართა; მათ ვერ დაადანაშაულეს ეს ქალი. რაიმონდის აზრით, არ ღირდა ასეთი მეგობრების ყოლა. ერთხელ კიდევ მიმართა ამხანაგებს; მათ ურჩიეს, ისეთი რამე გაუკეთე ქალს, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდესო. არც ეს უნდოდა რაიმონდს. ბევრი იფიქრა. ვიცოდი, რომ რაღაც უნდოდა ეთხოვნა ჩემთვის და სანამ მთხოვდა, ჩემი აზრი აინტერესებდა. ვუბახუხე: ამბავი საინტერესოა, მაგრამ პირადად შე არაფერს ვფიქრობ-მეთქი. მერე მკითხა, ვგრძნობდი თუ არა ამ ქალის ქცევაში თაღლითობას. დიახაც, ვგრძნობდი. საჭირო იყო თუ არა ქალის დასჯა და როგორ მოვიქცეოდი მის ადგილზე. ვუთხარი, ცერაფრით ვერ წარმომიდგენია, რას გავაკეთებდი შენს ადგილზე-მეთქი. მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვიყავი, რომ რაიმონდი მას დასჯიდა. ცოტა კიდევ დავლიე; რაიმონდმა სიგარეტს მოუკიდა და თავისი გულისნადები გამიზიარა: უნდოდა ქალისთვის „მუჭარის წერილი მიეწერა და ისეთი რამეები ეთქვა, რომ ენანებინა“. და თუ ქალი რაიმონდს დაუბრუნდება, სწორედ „ბოლო მომენტში“ სახეში მიაფურთხებს და გარეთ გააგდებს. ამგვარად იგი მართლაც დაისჯებოდა. მაგრამ რაიმონდს არ შეეძლო ასეთი წერილის დაწერა, მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ჩემთვის ეთხოვა მისი შედგენა. რადგანაც ვდუმდი, მკითხა, ახლავე ხომ არ შევუდგებოდი საქმეს. კარგი-მეთქი, დავეთანხმე.

მაშინ ჭიქიდან ღვინო მოსვა და წამოდგა. თევშები და დარჩენილი ძეხვას ნაჭრები მისწია, მერე გულმოდგინედ გადაწმინდა მუშაობა, ტუმბოს უჯრიდან უჯრედებიანი ქაღალდი, ყვითელი კონვერტი, წითელი ხის პატარა კალმისტარი და იისფერი მელნით სავსე ოთხკუთხა სამელნე ამოიღო. როცა ქალის გვარა მითხრა, მივხვდი, რომ მავრი იყო. წერილი დავწერე, ჩემთვის მოულოდნელი იყო ასეთი წერილის დაწერა, მაგრამ ვეცადე, რომ რაიმონდი დამეკმაყოფილებინა. ანდა, რატომაც არ უნდა ყოფილიყო კმაყოფილი. მერე წერილი ხმა-მალლა წავიკითხე. ის მისმენდა, აბოლებდა და თავს მიქნევდა, მთხოვდა, ხელაბლა გადამეკითხა. რაიმონდი სავსებით კმაყოფილი დარჩა. მერე მითხრა:

— ვიცი, რომ ცხოვრების ავ-კარგი გაგეგება. — აქამდე არც კი შემიძინე-
ნეგია, რომ შენობით შელაპარაკებოდა. მხოლოდ მაშინ მივაქციე ყურადღება,
როცა მომმართა: — ესლა კი შენ ჩემი ნამდვილი ამხანაგი ხარ.

ამან გამოცა. მან გაიმეორა ეს ფრაზა და მე დავეთანხმე. ჩემთვის სულ-
ერთი იყო, ვიქნებოდი თუ არა მისი ამხანაგი. მას კი ეს სიამოვნება და-
ხურა კონფერტი და ლეინოც ვავათავეთ. ერთ ხანს ასე ვისხედით: „*მე და-
გაბოლებდით. გარეთ სიმშვიდე იყო. გავიგონეთ, როგორ ჩაისრიალა მანქანამ.
ვთქვი, უკვე გვიან არის-მეთქი. რაიმონდიც ამას ფაჭრობდა. მან შენიშნა, რომ
დრო ჩქარა გადიოდა და ერთს მხრივ, ეს მართალიც იყო. ძილი მომერია. მაგ-
რამ აღვგომა შეზარებოდა. შეიძლება იმითომ, რომ გადაღლილი სახე მქონდა,
რაიმონდმა მითხრა, ცხოვრებას არ უნდა დანებდეთ. პირველივე ვერ გავიგე-
რისი თქმა სურდა. მერე ამიხსნა, თურმე დედაჩემის სიკვდილი გაეგო. მისი
აზრით ეს ბუნების კანონი იყო, დღეს თუ ხვალ, მაინც მოხდებოდა. მეც ასე
ვფიქრობდი.*

წამოვდექი. რაიმონდმა ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა, კაცები
ყოველთვის უგებენ ერთმანეთსო. გამოსვლისას კარი მივიხურე და ცოტა ხნით
კიბის ბაქანზე შევჩერდი. სახლში სიმშვიდე აღგა. ბადიანა კიბის სიღრმიდან
ბნელი და ნოტიო სუნთქვა ამოდიოდა. ყურებში საკუთარი სახლის ფეთქვა
მესმოდა მხოლოდ. უსიამოლო ვიდექი. მოხუცი საღამანოს ოთახში ძაღლმა
დაიყმუვლა.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

მთელი კვირის მუშაობამ გადამალა. რაიმონდი მოვიდა და მითხრა, წერო-
ლი უკვე გავგზავნეო. ემანუილთან ერთად ორჯერ ვიყავი კინოში. მას ძალიან
ხშირად არ ესმის, რა ხდება ეკრანზე და უნდა ავუხსნა ხოლმე. ვუშინ შაბათი
იყო. როგორც შეთანხმებული ვიყავით, მარი მოვიდა. დავინახე თუ არა, ვნება
წამეკიდა. წითელი და თეთრზოლებიანი ლამაზი კაბა ეცვა. ფეხზე ქოშე-
ბი. კაბაში მკვრივი მკერდი ვერკობოდა. მზემოკიდებული სახე ყვავილს მიუ-
გავდა. ავტობუსში ჩავსხედით და წივედით აღუირიდან რამდენიმე კილომეტ-
რით დაშორებულ პლიაჟზე, რომელიც ლუდიანსა და კლდეებს შორის ჩაქედი-
ლიყო. თხი საათას მზე არც თუ ისე აცხუნებდა, გრძელი და თბილი ტალ-
ღები ზარმაცად მოგორავდნენ. მარიმ ერთი უცნაური თამაში მასწავლა.
ცურვისას, ტალღების თბევიდან პირში ქაფი უნდა დამეგულებინა, მერე უტრ-
გზე დაეწოლილიყავი და ცისკენ შადრეგანავით ამეშვა. ასროლილი წყლის
ჭავლი მოგაგონებდათ პაეროვან მაქმანს, რომელიც მერე ქრებოდა ან წვიმას
თბილი წვეთებივით სახეს ეცემოდა. მალე მარილის სიმლაშემ პირი ამიწვა.
წყალში მარი მომიახლავდა და მომეკრა. ტუჩები ჩემს ტუჩებს შეაბო, მისი
ენა ბაგეს მიგრებდა და ძსუ, დიდხანს ვგორავდით ტალღებში.

როდესაც ნაპირზე გამოვედით, მარი ანთებული თვალებით შემომცქე-
როდა. ვაკოცე. ამის შემდეგ აღარაფერი გვითქვამს. მაგრად მივიკარი და ასე,
მოუთმენლად ველოდით ავტობუსს. გვეჩქარებოდა სახლში დაბრუნება, მოთ-
მინება აღარ გვყოფნიდა, როდის დავეშვებოდი საწოლზე. ფანჯარა ღია დავ-

ტოვე. რა კარგი იყო "ხაფხულის ღამე, რომელაც ჩვენს გარუჯულ სხეულებს სითბოს ავლებდა.

ამ დღით მარა არ წასულა. ვთხოვე, ერთად გვესაუზმა. ხორცის საყიდ-
ლად გამოვედა. ასკლისას რაიმონდის ოთახიდან ქალის ხმა მომესმა. მოგვი-
ნებით მოხუცმა სალამანომ ძაღლს დაუწყო ჩხუბა. ხის კიბეზე დაუდგა ბრჭყა-
ლების ფხაჭუნნი და თათების ფაჩუნნი გავიგონეთ, შერე კოჲსაჲსი მონასტრე-
ბულო, მძორო", და მალე ქუჩაში გავიდნენ. მარის მოხუცის ამბავს
მოვუყვები და ბევრიც ვიცინე. მას ჩემი პიჯამო ეცვა და მკლავები პქონდა აკა-
პიწებული. ისე გემრიელად იცინოდა, კვლავ მომერია ვნება. ცოტა ხნის შემ-
დეგ მკითხა, თუ გიყვარვარო. ამას რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მგონი არა-
მეთქი, ვუპასუხე. ცოტა არ იყოს, ეწყინა. საუზმეს რომ ამზადებდა მარის უმი-
ზეზოდ აუტყდა სიცილი. ვერ მოვითმინე და კიდევ ვაკოცე. სწორედ ამ დროს
რაიმონდის ოთახში ჩხუბმა იფეთქა.

ჯერ ქალის ცივი კივილი მოისმა, შემდეგ კი რაიმონდი აყვირდა:

— მომატყუე არა? მომატყუე? შე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა მოტყუ-
ება.

რაღაც ყრუ ხმაური და, ქალმა დაიდმუვლა, მაგრამ ისე საზარლად, რომ
კიბის ბაქანი წამსვე ხალხით გაივსო. მე და მარიც გამოვედი. ქალი გაჰკიოდა,
რაიმონდი კი ურტყამდა. მარიმ თქვა, საშინელებათ და მეც არაფერი ვუპა-
სუხე. მთხოვა გამომეძახა პოლიციის აგენტი. ვუთხარი, რომ პოლიციელები
საერთოდ არ შეპიტნავენბიან. მეორე სართულზე მობინადრე სანტექნიკოსმა
მაინც მოიყვანა აგენტი. მან კარზე დააკაკუნა. ოთახში კრინტი არავის დაუ-
ძრავს, უფრო მაგრად დააკაკუნა. ცოტა ხნის მერე ქალი ატირდა. რაიმონდმა
კარი გააღო: დამშვიდებულიყო, პირში სიგარეტი პქონდა გაჩრილი. ქალი
გამოვიდა და აგენტს განუცხადა, რაიმონდმა მცემათ.

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა აგენტმა. რაიმონდმა უპასუხა. — როცა შე
გვლაპარაკები, პირიდან სიგარეტი გამოიღე. — უთბრა აგენტმა.

რაიმონდი შეყოყმანდა, შე შემომხედა და მაგრად მოქაჩა. მაშინ აგენტმა
გამოუქანა და სილა გააწნა. სიგარეტი რამდენიმე მეტრზე გადავიარდა. რაი-
მონდს სახე დაედრიჯა. უცებ ვერაფერი თქვა. შემდეგ კი მორჩილი ხმით იკითხა,
ნამწვის აღება თუ შეიძლებაო. პოლიციელმა ნება დართო და დაუმატა:

— შემდეგში გეცოდინება, რომ პოლიციის აგენტი ვილაც ტაკიმასხარა არ
არის.

ქალი ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ტიროდა და იმეორებდა:
— მცემა, ოხერმა.

— ბატონო აგენტო, რომელ კანონში წერია, რომ ოხერი უწოდო ადა-
მიანს, — თქვა რაიმონდმა.

— მოკეტე, — უბრძანა პოლიციელმა. მაშინ რაიმონდი ქალს მიუბრუნდა:
— დაცა, ჩემო პატარავ, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

აგენტმა ხმა ჩააწყვეტინა:
— ქალი შინ წავა, შენ კი სახამ კომისარიატში არ გამოგიძახებენ, აქედან
ფეხსაც ვერ მოიცილი. — შერე დაუმატა, სირცხვილია, სიმთვრალისაგან კან-
კალებდეთ.

რაიმონდმა აუხსნა:

— მე მთვრალი არა ვარ, ბატონო აგენტო, საქმე ისაა, რომ თქვენს წინაშე ჩემდა უნებურად მაკანკალებს.

შემდეგ კარი მიიხურა და ხალხი წავიდ-წამოვიდა. მე და მარომ საუბრე მოვამზადეთ. მას არ შიოდა. მე კი თითქმის ყველაფერი შევჭამე. პირველ საათზე მარი წავიდა. მე ცოტა წავიძინე.

სამი საათი იქნებოდა, როცა ჩემს კარებზე დააკაკუნეს და რაიმეს დიქტირებდა. ვიწექი. არ ავმდგარვარ. ის საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ცოტა ხანს არაფერი უთქვამს. ვკითხე. რა მოხდა-მეთქი. მითხრა, რომ წადილი აისრულა. ქალმა გაართყა, მან ფედარ მოითმინა და სცემა. დანარჩენი ვიცოდი. ვუთხარი, ალბათ, კმაყოფილი ხარ, რადგან ქალი ნამდვილად დაისაჯა-მეთქი. ისიც ასე ფიქრობდა. თანაც შენიშნა, რომ რაც არ უნდა გაეკეთებინა პოლიციელს, მაინც ვერ შეამცირებდა იმ მუშტების რაოდენობას, რაც ქალმა მიიღო. თქვა, რომ კარგად იცნობს პოლიციელებს და იცის, როგორ აუღოს ალღო. რაიმონდმა მკითხა:

— გეგონა, რომ სამაგიეროს გადაეუხდიდი აგენტს?

ვუბასუხე, რომ არც არაფერს ველოდი და, საერთოდ, არ მიყვარს აგენტები. რაიმონდს კმაყოფილი სახე ჰქონდა. მთხოვა ერთად გაგვევლო. წამოვდექი და თმას ვარცხნა დავიწყე. რაიმონდმა სურვილი გამოთქვა მისი მოწმე გყოფილიყავი. ჩემთვის ეს სულერთი იყო, თლანდ არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. რაიმონდისთვის რომ გეკითხა, იმის თქმაც საკმარისი იყო, რომ ქალი ატყუებდა. დავპირდი, მოწმედ გამოგყვები-მეთქი.

როცა გამოვედი, რაიმონდმა ფინი¹ შემომთავაზა. შემდეგ ბილიარდის თამაში ისურვა და მე წავაგე. ბოლოს, საროსკიბოში მოუნდა წასვლა. მე უარი ვუთხარი, იმიტომ, რომ არ მიყვარს ასეთი რამეები. ნელ-ნელა წამოვედია. რაიმონდი მიყვებოდა, თუ რაოდენ კმაყოფილი იყო საყვარლის დასჯით. ჩემდამი კარგად იყო განწყობილი და გავიფიქრე, დრო კარგად გავატარეთ-მეთქი.

შორიდან, კარის ზღურბლზე მოხუცი სალამანო შევნიშნე. აფორიაქებული იყო. როცა მიეუახლოვდი, ძაღლი არ ჩანდა. მოხუცი ერთ ადგილზე ტრიალებდა, გარშემო იბეღებოდა, ბნელ ღერეფანა ზვერაკდა, უაზროდ ბუტბუტებდა და ჩაწითლებულ პატარა თვალებს აცეცებდა. როცა რაიმონდმა მკითხა, რა დაგეშართათ, მოხუცმა პასუხი დააყოვნა, რადაცას ჩურჩულებდა, ძლივს გავარჩიე: „გათახსირებული, მძორი“ და კვლავ აფორიაქდა. ვკითხე, სად არის-მეთქი ძაღლი. მომახალა, წავიდაო. მერე უცბად მიაყარა:

— მანევრების მანდორზე მყავდა, როგორც ყოველთვის. საბაზრო დუქნების წინ ზღვა ხალხი ირეოდა. ცოტა ხანს მეც შევჩერდი, და როცა უკან დაბრუნება დავაპირე, ძაღლი გამჭრალიყო. რა თქმა უნდა, უკვე დიდი ხანია მანდოდა მისთვის უფრო პატარა საყელურის ყიდვა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ეს მძორი ასე გამეპარებოდა. — რაიმონდმა დაამშვიდა, ალბათ, ძაღლს გზა აებნა და აუცილებლად დაბრუნდებოდა. ბევრი მაგალითი მოვუყვანე, როცა ძაღლები ათობით კილომეტრს გადიან პატრონის საბოვნელად. მიუხედავად ამისა, მოხუცი უფრო შეწუხდა. — წამართმევენ ძაღლს, გესმით. ვინმემ რომ უპატრონოს, კიდევ პო, თუმცა ეს შეუძლებელია, ის ყველას გულს ურევს თა-

¹ ნატურალური, პირველი ხარისხის არაყი.

ვისი შესახებობით. უეჭველია, აგენტები დაიჭერენ. — მაშინ ვუბრძო, პუნქტში წასულიყო, სადაც უპატრონო ძაღლებს აგროვებდნენ. უძნიშვნელო შავს გადაიხდიდა და ძაღლს დაუბრუნებდნენ. დინტერესდა, დიდი იყო თუ არა გადასახადი. მე არ ვიცოდი. გაბრაზდა: — კიდევ ფული გადავიხადო ამ ძაღრში, სულაც გაუფრთხილა ფები! — და ლინძღვა დაუწყო.

რაიმონდმა ჩაიციხა და სახლში შევიდა. მეც მივყვედი; ერთმანეთს მაქანზე დავშორდით. ცოტა ხნას მერე მოხუცის ნაბიჯების ხმა მომესმა, მერე კარზე დამიკაკუნა. გაფულე. ზღურბლზე შეჩერდა და მითხრა:

— შაპატიეთ, ნაპატიეთ.

შემოვიპატიე, მაგრამ არ შემოვიდა. თავის ფეხსაცმელებს დასწერებოდა და აქერცლილი ხელები უკანკალებდა. არც კი შემოუხედავს, ისე მკითხა:

— ხომ არ წამართმევენ, მითხარით, ბ-ნო მერსო, ხომ დამიბრუნებენ. რა

მეშველება. ვუთხარი, რომ პუნქტში ძაღლებს სამი დღით ინახავენ, მერე კი, როგორც უნდათ, ისე იქცევიან. ჩუმად შემომბედა, მერე მითხრა:

— საღამო მშვიდობისა.

კარი შიახურა. მესმოდა, როგორ დაბორილობდა ოთახში. საწოლმა დაიჭრაჭუნა და საზარელ დახშულ ხმაზე, რომელიც კედელში გამოდიოდა, მივსკდი, რომ ტიროდა. არ ვიცი რატომ, დედა გამახსენდა. დილით ადრე უნდა ავმღვარიყავი, არა მშითღა და უვახშმოდ დავწექი.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ი

რაიმონდმა სამსახურში დამირეკა. მითხრა, რომ ერთი მისი მეგობარი (რომლისთვისაც ჩემზე უამბნია) მთავაზობდა. კვირა დღე მის ქოხში გამეტარებინა, ალფარის მახლობლად. ვუპასუხე, სიამოვნებით წამოვალ, მაგრამ პაემანი მაქვს-მეთქი ჩემს მეგობარ ჭალთან. რაიმონდმა მაშინვე მოშაგება, ქაღალცი წამოიყვანეო და დაუმატა, მეგობრის ცოლს კიდევაც ესიამოვნება, რადგან მარტო არ ივრძნობს თავს მამაკაცთა წრეშიო.

ჩემს უფროსს არ უყვარს, როცა ჭალაქიდან გვირეკავენ და მაშინვე მინდოდა ვუბრძოლი დამედო, მაგრამ რაიმონდმა შემაჩერა და მითხრა: ეს მთბატყეობა საღამოსაც შექუძლო გადმომეცა, ახლა კი სხვა რამე მინდოდა შეთქვაო. მის მთელი დღე არაბთა ჯგუფი დასდევდა, მათ შორის იყო მისი ყოფილი საუკარლოა შმა.

— საღამოს ისინი ჩვენ სახლთან თუ შეიჩნით, განაფრთხილე. კარგია?

ცოტა ხნის მერე უფროსმა გამომიძახა. მეგონა მეტყოდა, ცოტა ილაპარაკე და ჩვენი იმუშავეო. არ მესიამოვნა, მაგრამ შევცდია: — ერთი ჩანაფიქრი მაქვს და თქვენი აზრი მინდა ვიცოდეო. უნდოდა პარიზში ბიურო გაეხსნა, რომელსაც უშუალოდ მსხვილ კომპანიებთან ექნებოდა კავშირი და საკითხებს ადგილზევე გადაწყვეტდა. ჩემგან კი ამის გაგება აინტერესებდა, წავიდოდა თუ არა სამუშაოდ. ეს საშუალებას მომცემდა პარიზში მეცხოვრა და მთელი წელი შემოგზავტრა. ახალგაზრდა ხართ და ეფიქრობ, ასეთი ცხოვრება უნდა მოგწონდეთო. დავეთანხმე, მაგრამ ისიც ვუთხარი, ჩემთვის სულ ერთია-მეთქი. მკითხა,

მსურდა თუ არა ცხოვრების შეცვლა. ვუპასუხე, რომ ცხოვრების შეცვლა შეუძლებელია, ყველაფერს ერთი ფასი აქვს და ჩემი აქაური ყოფა იალღანაც მომწონს-მეთქი. ასეთი პასუხი არ ესაა მოგონა, მათხრა, რომ შეკითხვას გვერდს ვუხევევ, პატივმოყვარე არა ვარ და რომ ეს დამღუპველია საქმისათვის. იქვე სამუშაოს დავუბრუნდი. უფროსის წყენინება არ მინდოდა, არც იმის მიზეზი მქონდა, რომ ცხოვრება გამომეცვალა. ჩემს ცხოვრებას რომელიმე მსჯელობა, თავი უბედური სულაც არ მეჩვენა. სტუდენტობისას რაღაც რაღაცეა მქონდა, როცა სწავლა მივატოვე, ძალიან ჩქარა მივხვდი, რომ ყოველივე ამას არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს.

საღამოს მარი მოვიდა და მკითხა, მინდოდა თუ არა მისი ცოლად შერთვა. თუ შენ გინდა, შეგირთავ, ისე კი, ჩემთვის სულ ერთია-მეთქი. მე რე ეს მკითხა, გიყვარვარ თუ არაო. აღრე ნათქვამი მქონდა, რომ ნამდვილად არ მიყვარდა. ახლაც ასე ვუპასუხე და დავძინე, ეს არაფერს ნიშნავს-მეთქი.

— მაშინ არ უნდა შემიერთო, — თქვა მარი.

ავუხსენი, რომ სიყვარულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, და თუ ძალიან უნდა ჩემი ცოლობა, შეგვიძლია ხელი მოვაწეროთ. მეტი რა უნდა მეთქვა, მარი მთხოვდა — მე კი ვეთანხმებოდი. მაშინ თქვა, რომ ცოლქმრობა სერიოზული რამ არის.

— არა, — ვუპასუხე მე.

ჩუმად შემომხედა. მე რე ალაპარაკდა: აინტერესებდა, სხვა ქალთან რომ ასეთივე ურთიერთობა მქონოდა და ხელის მოწერა შემოეთავაზებინა, რას ვიზამდი, ვუპასუხე:

— რა თქმა უნდა, მასაც დავეთანხმებოდი.

ახლა მარამ თავას თავს ჰკითხა, ვუყვარდი თუ არა. შეუძლებელი იყო ამის შესახებ რამე მცოდნოდა. ცოტა ხნის სინჯის შემდეგ წაიბუტბუტა, საძაგელი ადამიანი ხარ და სწორედ ამიტომ მიყვარხარო. მე რე დასძინა, ერთ მწვენიერ ღღეს შეიძლება სწორედ ამას განო შემსულდევო. სათქმელი არაფერი მქონდა და ვლუპდი. მან დიშაღათ მკლავზე ხელი წამავლო და გამომიცხადა, ცოლად მიხდა გამოგყვეო. ვუპასუხე, რომ როგორც კი მოიხურებოდა, ხელს მოვაწერდით. მარის მოგუყვები უფროსთან საუბრის შესახებ, მას თქვა, სიამოვნებით ვნახავდი პარიზსო, ვუთხარი, ერთ ღროს პარიზში ვცხოვრობდი-მეთქი. აინტერესებდა, როგორი ქალაქი იყო.

— ჭუჭყიანი, ბევრი მტრედებია და ჩაბნელებული ეზოები. ხალხს თეთრი კანი აქვს.

მე რე სახლიდან გავედით და ქალაქის მთავარ ქუჩებში ვიხეტიალეო. ბევრი ლამაზი ქალი შეგვხვდა. მაინტერესებდა, მარიც ამხნევდა თუ არა. მიხვდა, რასაც ვეკითხებოდა და დამეთანხმა. ცოტა ხანს ჩუმად მავლიოდიო. მინდოდა, ერთად ვყოფილიყავით და შევთავაზე სელესტთან გვესაილა. მასაც სურდა, მაგრამ საქმე ჰქონდა. ჩემს სახლთან ვიყავით და დავემშვიდობე. შემომხედა: არ გაინტერესებს, რა საქმე მაქვს?

ძალიანაც მაინტერესებდა, მაგრამ არ მიფიქრია, მეკითხა. შევატყვევ, თითქოს, მადანაშაულებდა. ჩემი დაბნეულობა რომ შეამჩნია, გაიცინა, მთელი სხეულით შემოტრიალდა და ტუჩები საკოცნელად გამომიშვირა.

სელესტთან ვისადილე. ის იყო ჭამა დავიწყე, რომ პატარა, საზარელი გარეგნობის ქალი შემოვიდა და მკითხა, შეიძლებოდა თუ არა ჩემს მაგიდასთან დამჯდარიყო. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ქალს ტლანქი მიბრუნებდა და პქონდა, პატარა, ვაშლივით მრგვალ სახეზე თვალები უცემციმეზდა. ფაქეტი გაიხადა, ღაჯა და გამალებით დაიწყო მენიუა თვალიერებას დაუძახა და შემოსვლისთანავე სხაპასხუპაა შეუკვეთა საუზმე. სწრაფად დაწინაურდა, ჩანთა გახსნა, ფანქარი და პატარა ოთხკუთხა ქაღალდი ამოიღო, წინასწარ გამოთვალა სადილის საფასური და ზედმეტი, რაც უნდა ყრუქებინა. მერე ყუული უბიდან ამოიღო და წინ დაიღო. ამასობაში საუზმეც მოუტანეს, რომელიც არაჩვეულებრივი სისწრაფით გადასანსლა. შემდეგი კვირის მოლოდინში ჩანთიდან ცისფერი ფანქარი და ილუსტრირებული ჟურნალი ამოიღო, რომელშიც ამ კვირის რადიოგადაცემათა პროგრამა ეწერა. თითქმის სათითაოდ აღნიშნა ყველა გადაცემა. გინაიდან ჟურნალი თორმეტგვერდიანი იყო, მთელი საუზმე მოანდომა ამ სამუშაოს მუყაითად შესრულებას. მე უკვე ვისადილე, იგი კი იმავე გულმოდგინებით ინიშნავდა. შემდეგ წამოდგა, ფაქეტი ანგარიშშიუცემლად ჩაიცვა და წავიდა. საქმე არ მქონდა. გამოვედი და უკან მივყევი. ჩქარა და უშიშრად მიდიოდა ტროტუარის ნაპირზე. გზას პირდაპირ მიჰყვებოდა, არსაით გადაუხვევია და არც უკან შემობრუნებულა. ბოლოს, თვალიდან დავკარგე და უკან დავბრუნდი. საზარელი ქალი იყო, მაგრამ მალე დაშავიწყდა.

ჩემი კარის ზღურბლთან მოხუცი სალამანო დამხვდა: შევიპატიე. მითხრა, რომ ძალი ნამდვილად დაიკარგა, რადგან უბატროხო ძაღლების ბუნქტში ვერ ენახა. თანამშრომლებს ეთქვათ: შეიძლება ძალი მანქანამ გაიტანაო. მერე უკითხავს, იქნებ პოლიციის უბანში სცოდნობდათ რამე ამის შესახებ. იქ ეთქვათ, ასეთი ამბავი ყოველდღე ხდება, და ყურადღებას არ ფაქცევთო, ვურჩიე სხვა ძალი ეშოვა. არაო, თქვა, ძალიან ვიყავი მიჩვეული ამ ძაღლსო. მერეღა ვინანე.

მე ლოგინზე ვიყავი მოკალათებული. სალამანო კი ჩემს წინ, სკამზე იჯდა და ხელები მუხლებზე დაეწყო. თექის ქუდი ეხურა. ლაპარაკის დროს სიტყვებს ულაპავედა და ჩაყვითლებულ უღვაშებში დუღდუნებდა. ცოტა მომაბეზვებდა, რა თავი, მაგრამ საქმე არ მქონდა და არც მეძინებოდა. რამე რომ მეთქვა, ისევ ძაღლზე ავლაპარაკდი. მითხრა, ძალი ცოლის სიკვდილს შემდეგ შევიძინებო. გვიან დაოჯახდა. ახალგაზრდობაში მსახიობობა უნდოდა: როცა ჯარში იყო, სამხედრო ვოდევილებში თამაშობდა. მერე რკინიგზაში დაიწყო მუშაობა და, რადგან პატარა პენსია დაუნიშნეს, არც უნანია. ცოლთან ბედნიერობა არ ყოფილა, მაგრამ ბოლოს მიეჩვია. მისი სიკვდილის შემდეგ მარტოდ იგრძნობოდა თავი. სახელოსნოში ერთ ამხანაგს ძალი სთხოვა და ლეკვი მოუყვანეს, ისეთი პატარა, რომ საწოვართი აჭმევდა. ძალი ხომ უფრო ნაკლებს ცოცხლობს, ვიდრე ადამიანი, და ერთად დაბერდნენ.

— ძალიან მძაბე ხასიათი მქონდა, — მითხრა სალამანომ, — ხანდახან კვინკლაობდით, მაგრამ მაინც კარგი ძალი იყო.
— მშვენიერი ჯიშისა იყო, — ვუთხარი მე და სალამანოს სახე კმაყოფილებით აევსო.

ავადმყოფობამდე უნდა გენახათ რა ლამაზი ბეწვი მქონდა. — იმის შემ-

დევ, რაც ძალის კანის ავადმყოფობა შეეყარა, საღამანო ყოველ დილა-საღამოს მაღამოს უსვამდა. მოხუცის აზრით ძალის ავადმყოფობა სიბერე იყო და სიბერე განუკურნავია.

ამ დროს დავამთქნარე და მოხუცმა წასვლა დააპირა. ვთხოვე დაჩვიე-ლიყო, თან დაეძინე, ძალიან მაწუხებს თქვენი ძალის დაკარგვა-მეთქი. საღამომ თანავრძნობისთვის მადლობა გადაგიხადა. მითხრა, რომ დედას მასობა ყვარებია მისი ძალი. დედას ასე ახსენებდა: „საცოდავი დედათქვენი“. მოხუცის აზრით, ძალიან უბედური უნდა ვყოფილიყავი დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. არაფერა ვუპასუხე. შემდეგ უხერხულად და აჩქარებით ოქვა, აუგად გახსენებენ მთელს უბანში, რადგანაც დედა თავშესაფარში მიაბარეო, მაგრამ იგი მიცნობდა და იცოდა, როგორ მიყვარდა დედა.

არ ვიცოდა, თუ ასე ცუდად მიყურებდნენ უბანში დედის მოხუცთა თავშესაფარში შიბარების გამო, — არ ვიცი რატომ, ასე ვუპასუხე, — მაგრამ მე ეს ძალიან ჩვეულებრივად მიმაჩნია, რადგანაც არ მჭონდა საკმაო ფული, რომ დედა შემენახა. მერე დაეძინე: თანაც დიდი ხანია საერთო აღარაფერი გვექონდა. სიძარტოვე კი ძალიან სწყინდებოდა-მეთქი.

— დიახ, — მიპასუხა. — თავშესაფარში, ასე თუ ისე, ეყოლებოდა ახანაგები.

შემდეგ მოიბოდიშა. ეძინებოდა. მისი ცხოვრება ისე შეიცვალა, რომ არ იცოდა რა ექნა. პირველად იმ ხნის განმავლობაში, რაც მას ვიცნობდა, გაუბედავად გამომიწოდა ხელი და ვიგრძენი მისი ქიცვიანი კანი. გაიღიმა და სანამ გავიდოდა, მიოხრა:

— იმედია, ამაღამ ძაღლები არ იყუფებენ, თორემ მეჩვენება, რომ ჩემი ძაღლი ყუფს.

თ ა ვ ი მ მ მ ქ ვ ს მ

კვირას ძლივს გამოვიღვიძე. მარი მეძახდა და მანჯღრევდა. არ გვიჭამია, რადგან აღრასანად გვინდოდა საბანაოდ წასვლა. სიცარიელეს ვგრძნობდი და ცოტა თავიც მტკიოდა. სიგარეტს მომწართ გემო მჭონდა. მარი დამციხოდა და ამბობდა, ისე გამოიყურები, თითქოს პანაშვიდზე ხარო. მას თეთრი ტილოს კაბა ეცვა და თმები გაეშალა. მშვენიერი ხარ-მეთქი, ვუთხარი. სიამოვნებისაგან ჩაიციხა.

ჩამოსვლისას, რაიმონდის კარებზე დავაკაკუნეთ. მოვდივართ, — გამოგვეხმაურა. იმის გამო, რომ დაღლილი ვიყავი და ოთახში დარაბები დახურული იყო, ქუჩაში ჩამოსვლისას გაჩახჩახებული დღე სახეში სილასავით მომხვდა. მარი სიხარულისაგან ხტოდა და იმეორებდა, რა მშვენიერი ამინდიაო, თავი უკვე ვიგრძენი და მომშივდა. მარისაც ვუთხარი, მშია-მეთქი, მან კი მუშაობის ჩანთა მაჩვენა, რომელშიც ჩვენი საცურაო კოსტუმები და პარსახოცი ჩაეწყო. მზად ვიყავით და რაიმონდს ველოდებოდით. მერე გავიგონეთ, როგორ ხურავდა კარს. მას ცისფერი შარვალი და მოკლესახელოებიანა თეთრი ხალათი ეცვა. ჩაღის ქუდი ეხურა და თეთრი, გაბანჯგვლული ხელები მჭონდა. მარის სიცილი აუტყდა. მე შევვინებო. რაიმონდი სტვენით ჩამოდიოდა

და სახეზე ძალიან კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა. მიიხრა:

სალამი ძველო, — მარის კი ასე მიმართა: — მადმუაზელ!

წინა დღით პოლიციის უბანში ვიყავით. მე დავუმაწვე რაიმონდს, რომ ქალი „იტყუებდა“. ამჯერად ნხოლოდ გააფრთხილეს. ჩემი ჩვენება არ შეუმოწმებიათ. სახამ გამოვიდოდით, მე და რაიმონდმა ეს მანქანა და მერე ავტობუსით წასვლა გადავწყვიტეთ. პლიაჟი შორს არ იყო, მაგრამ ასე უფრო ჩქარა მივიდოდით. რაიმონდი დიქრობდა, რომ მისი მეგობარი ჩვენი ადრე მისვლით კმაყოფილი დარჩებოდა. ის იყო, უნდა წავსულიყავით, რომ რაიმონდმა მანიშნა, წინ გაიხედეთ. არაბთა ჯგუფი დაეინახე. ისინი თამბაქოს კანტორის ვიტრინას მიყრდნობოდნენ. ჩუმად იდგნენ და ისე გვიმხერდნენ, თითქოს ქვები ან გამხმარი ხეები ვიყავით. რაიმონდმა მიიხრა, რომ მარცხნიდან მეორე „ის ტიპი“ იყო. შეფიქრიახებულს სახე ჰქონდა, მაგრამ ინტიმარს მაინც არ იტყუებდა და ამბობდა, ეს ვითავებული საქმეაო. მარი გვეკითხებოდა, ვერ გავგო რა ხდებოდა. ავუხსენი, არაბები არიან და რაიმონდს დასდევნა-მუთჭი. მარამ მაშინვე მოინდომა წასვლა. რაიმონდი ამაყად გაიქიმა და სიცილით თქვა, სჯობს ავნიქარდეთო.

გავვემართეთ ავტობუსის განჩერებისაკენ, რომელაც ცოტა მოშორებით იყო. რაიმონდმა მიიხრა, რომ არაბები აღარ მოგვევებოდნენ. მოვიხედე. ისინი ისევ იქ იდგნენ და იმავე გულცივობით მისჩერებოდნენ ადგილს, რომელიც ჩვენ დავტოვეთ. ავტობუსში ჩავსხედით. რაიმონდი თითქმის სრულიად დაწყნარდა და შეუჩერებლივ თხუხუბდა, რომ მარისთვის ეს იმპოვნებინა. მაგრამ მარი მას ყურადღებას არ აქცევდა, მხოლოდ დროდადრო შეხედავდა და გააციუნებდა.

ალუირის გარეუბანში ჩამოვედნა. პლიაჟი ავტობუსის განჩერებიდან შორს არ არის. პატარა ბორცვზე უნდა გადავსულიყავით, რომელიც ზღვას ესაზღვრებოდა და პლიაჟისკენ ეშვებოდა. ტყვიისფერი ცის ქვეშ ბორცვი მოყვითალო ქვებითა და თეთრი ასბოდელებით დაფარულიყო. მარი ერთბოდა: ბუჩქებს შეუშამბის ჩანთას ურტყამდა და ყვავილის ფურცლებს ფანტავდა. ჩვენ პატარა აგარაკების გასწვრივ მივდიოდით, რომელთაც მწვანე და ყვითელი ღობე ერტყა. ზოგიერთების აივნები იალღუშის ტოტებში ჩაფლულიყო, ზოგიერთებისა კი გაშიშვლებულიყო. ბორცვიდან მაჩანდა უძრავი ზღვა, მოშორებით კი, გამჭვირვალე წყალში, მასიური და მთვლეშარე კანცხი. გარშემო ისეთი სიმშვიდე იყო, რომ ძრავის ყრუ გუგუნმა ჩვენამდე მოაღწია. ძალიან შორს, პატარა თევზსაჭერი გემი დაეინახეთ, იგი გასხივოსნებულ ზღვაზე შეუშინებლად მიიწეცდა. მარამ რამდენიმე კლდის ზამბახი მოწყვიტა. დაღმართი ზღვისკენ ეშვებოდა. მობანავენი უკვე გამოსულიყვნენ.

რაიმონდის მეგობარი ზის პატარა ქობში ცხოვრობდა, რომელიც პლიაჟის ბოლოს აეგოთ. სახლი კლდეზე იყო მიდგმული და წინა ბოძებით წყალში იდგა. რაიმონდმა ერთმანეთი გაგვაცნო. მის მეგობარს მასონა ერქვა; იგი კარგად მოსული, მხარბეჭიანი კაცი იყო. ცოლი კი ჩამრგვალებული და სასამთვნო ქალი გახლდათ. სიტყვებს პარიზული აქცენტით გამოთქვამდა. ქალბატონმა მასონმა მაშინვე გვითხრა, თავისუფლად იყავითო და თან ამ დღით დატყერილი შემწვარი თევზი შემოგვთავაზა. რა მშვენიერი სახლი გქონიათ-

მეთქი, ვუთხარი. მასონმა მომიგო — შევბუღების დღეებს, შაბათს და კვირას აგარაკზე ვატარებთო. „ჩემს ცოლს ადვილად ეთვისებიან“, — დაუმატა მან. მართლაც, მისი მეუღლე და მარი ერთად იცინოდნენ. პირველად ჩემს სა-
ცოცხლეში გავიფიქრე, ნამდვილად შემერთო ცოლი.

მასონა ბანაობა უნდოდა, რაიმონდსა და ქალბატონ მასონს კი არა, ჩვენ სამნი წავედიო. მარი მაშინვე წყალში გადაეშვა. მე და მასონმა ცოტა შევე-
ცადეთ. იგი ნელა ლაპარაკობდა და შევაძინე, რომ ჩვეულებად პქონდა დიუ-
მატებიანა: „და ნე მეტსაც ვიტყვოდი“, მაშინაც კი, როდესაც ეს დამატება
წინადადებას აზრს სულაც არ უცვლიდა. მარის შესახებ მიიხრა:

— შესანიშნავა ქალია, და, მეტსაც ვიტყვოდი, მომხიბვლელი.

შემდეგ ყურადღებას აღარ ვაქცევდი მის ამგვარ ჩვეულებას. მზეს ვეფი-
ცებოდი და ეს მსიამოვნებდა, ქვიშა თანდათან თბებოდა. წყალი მიზიდავდა,
მაგრამ ჩემდა უნებურად ადვილზე ვრჩებოდი. ბოლოს, მაინც ვუთხარი მა-
სონს:

— გავცუროთ.

მე ჩავეყინეთ. ის კი წყნარად შევიდა წყალში და მაშინ გადახტა, როცა
ფეხქვეშ მიწა გამოეცალა. მასონი მხარულით ცურავდა და ისე ცუდად, რომ
მივატოვე და მარისკენ წავედი. წყალი ცივი იყო და ცურვა მსიამოვნებდა. მე
და მარი შორს გავედით. ერთი სტილით მივცურავდით და ერთნაირად გან-
ვიცდიდით სიამოვნებას.

წყალში ღრმად შევცურეთ და ზურვზე დაგწექით, პირით მზისაკენ. დაც-
ვარულ სახეს მზე მიშრობდა, დარჩენილი წვეთები კი პირში მივთრდებოდა.
მოგვიანებით მასონი დაეინახეთ, წყლიდან ამოდაოდა, რომ მზეს მიფიცებო-
და. შორიდან იგი უზარმაზარი ჩანდა. მარის უნდოდა ერთად გვეცურავა. მე
უკან დავაწიე, წელზე მოვხვიე ხელები. მარი მხარულით მიცურავდა, მე
კი ფეხებით ვეხმარებოდი. ბევრი ვიცურეთ, წყლას დგაფუნმა დაგვალა. მა-
რი მივატოვე და აუჩქარებლად გამოვცურე ნაპირისკენ. ღრმად ვსუნთქავდი.
პლიაჯზე, მასონის გვერდით პარქვე დაგწექი და სახე ქვიშაში ჩავრგე.

— კარგი იყო, — ვუთხარი მასონს, ისიც დამეთანხმა. ცოტა ხნის შემდეგ
მარიც გამოვიდა. მოვტრიალდი, რომ დამენახა როგორ მოდიოდა. მარილიანი
წყლისაგან მთლად გაღიბულიყო, თმები უკან პქონდა გადაწეული. ჩემს გვერ-
დით გაწეა, მასი სხეულისა და მზის სიბრძნე გამაბრუნა.

მარიმ შემანჯღრია და მიიხრა, მასონი უკვე სახლში ავიდაო. საუზმას
დრო მოსულაყო. ძალიან მწიოდა და მაშინვე წამოვდექი. მაგრამ მარამ მისა-
ყვედურა: დილიდან ერთხელაც არ მეკოცნა მისთვის. მართალი იყო, ეს სურ-
ვილი დილიდანვე მაწუხებდა.

— წამო, წყალში, — მიიხრა მან. გავიქეცი, რომ პირველ შემხედრ
ტალღებში ჩავწოლილიყავით. ცოტა გავცურეთ და მომეკრა. ვივრძენი, რო-
გორ შემომეხვია ფეხებით და ვნება წამეკიდა.

როცა გამოვდიოდით, მასონი გვეძახდა. ძალიან მწია-მეთქი, მივაძახე.
მერსო ძალიან მომწონსო, ასე მოახსენა მასონმა ცოლს. ბუტი გემრიელი იყო.
ჩემი ულუფა თევზი გადავსანსლე. შემდეგ ხორცი და ზეთში შემწვარი კარ-
ტოფილი მოიტანეს. ყველაფერი ისე შევქამეთ, ხმა არ ამოგვიღია. მასონი
სულ ღვინოს სვამდა და მეც მისხამდა. ყავის სმისას თავი დამამძიმდა; ბევრს

ვეწეოდი. მე, მასონმა და რაიმონდმა გადავწყვიტეთ, აგვისტო საერთო ხარჯებით აქ გაგვეტარებინა. უცებ მარიმ იკითხა:

— იცით, რომელი საათია? თორმეტის ნახევარი. — ყველას გაგვიკვირდა, რომ ასე ადრე ვისაუზნეთ.

— საუზმის დრო სწორედ მაშინაა, როცა ალამიამს შიამოქვეყნება. არ ვიცი რატომ, ამაზე მარის გაეცინა. მე მგონი ზედმეტად აღუქმებია მკითხა, პლიაჟზე ჩემთან ერთად ხომ არ გამოისეირნებოთ. მერე ამიხსნა:

— ჩემი შეუღლე საუზმის შემდეგ ყოველთვის ისვენებს. მე კი არ შემოდ-ლია, ამ დროს სიარული მიყვარს. ჩემს ცოლს სულ იმას ვეუბნები, რომ ეს ცუდია ჯანმრთელობისათვის. ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა, ისა ჰქნას.

მარი შინ რჩებოდა, ჭურჭლის რეცხვაში რომ დახმარებოდა ქალბატონ მასონს. პარიზელმა ქალბატონმა განაცხადა, კაცები გავრეკოთო. სამივენი ჩამოვედით.

მზე ზენიტში ასულიყო. ქვიშა ვარვარებდა. მზის ელვარება აუტანელი ხდებოდა, კაციშვილი არ იყო პლიაჟზე. ქოხებიდან, რომლებიც ბორცვის გასწვრივ მწყრივად იდგნენ და ზღვას გადაჰყურებდნენ, ჭურჭლისა და დანაჩანგლის ხმაური ისმოდა. გახურებულ ქვეებს ბული ასდიოდა და სულს გვიხუთავდა. რაიმონდმა და მასონმა ისეთ ხალხზე დაიწყეს ლაპარაკი, რომელთაც მე არ ვიცნობდი. მივხედი, რომ უკვე დიდი ხანია, რაც ერთმანეთს იცნობდნენ და მგონი ერთადაც ეცხოვრათ. ზღვისკენ გავემართეთ და ნაპირს გავყვით. ხანდახან დიდი ტალღა ტილოს ფეხსაცმელებს გვისველებდა. მე აღარაფერზე ვფიქრობდი, რადგანაც მზე ისე მაცხუნებდა შიშველ თავზე, რომ ძილი მომერია.

ამ დროს, რაიმონდმა მასონს რაღაც უთხრა. მე ვერ გავარჩიე. ჩვენგან შორს, პლიაჟის ბოლოს, ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი ორი არაბი შევნიშნე. ისინი ჩვენკენ მოდიოდნენ. რაიმონდს შევხედე.

— ის არის, — მითხრა მან.

ჩვენ გზა გავაგრძელეთ. მასონს გაუკვირდა, აქამდე როგორ მოგვეყვნენო. როცა ავტობუსში ეჯდებოდით, მაშინ თუ შეგვნიშნეს-მეთქი, გავიფიქრე მაგრამ არაფერი მეთქვამს.

არაბები ნელ-ნელა მოიწევედნენ და კარგა მოგვიახლოვდნენ. ფეხი არ აგვიჩქარებია. რაიმონდმა გაგვაფრთხილა:

— თუ ჩხუბი იქნება, მასონ, შენ მეორეს მოუვლი. ჩემს ტიპს ჩემს თავზე ვიღებ. თუ კიდე ვინმე გამოჩნდება, იმას შენ გაუსწორლები, მერსო.

— კარგი. — ვუთხარი მე.

მასონმა ხელები ჯიბეებში ჩააწყო. გადახურებული სილა ახლა წითლად მეჩვენებოდა. ზომიერი ნაბიჯით მივაწევედით არაბებისკენ. მანძილი ჩვენს შორის თანდათან მცირდებოდა. როცა ერთმანეთისგან უკვე რამდენიმე ნაბიჯით ვიყავით დაშორებულნი, არაბები შეჩერდნენ. მე და მასონმა ფეხი შევა-ნელეთ. რაიმონდი თავის „ტიპისკენ“ მიიწევედა. რა უთხრა რაიმონდმა არაბს, ვერ გავიგე. მან თათქოს თავი დაუყრა. პირველად რაიმონდმა უთაქა და მა-სონს დაუძახა. მასონი იმ არაბისკენ გაემართა, რომელიც მისთვის იყო გან-კუთვნილი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორჯერ სთხლიშა. არაბი პირქვე ჩაემხო წყალში. მისი თავის გარშემო წყალში ბუმტულები ამოდიოდნენ და

ჭრებოდნენ. ამასობაში რაიმონდმაც სცემა თავის მოწინააღმდეგეს და საჩე დაუსისბლიანა. შემდეგ ჩემკენ მოტრიალდა და მითხრა:

— ნახავ, რაც მოუვა.

მე დავუხვირე:

— ფრთხილად, დანა აქვს! — მაგრამ რაიმონდი უკვე მკლავში მქონდა და მკლავში მქონდა. რილი, სახეც დახერალი ჰქონდა.



შეგეძინა

მასონი წინ გადახტა. ამ დროს, მეორე არაბი წყლიდან წამოდგა და, როგორც დანა ეჭირა, იმის ზურგს ამოეფარა. ადგილზე გავიყინეთ. არაბი დანას გვადერებდა, თან უკან იხედდნენ ხელ-ხელა, ისე, რომ თვალი არ მოუშორებიათ ჩვენთვის. როცა დარწმუნდნენ, რომ ჩვენს შორის საკმაო მანძილი იყო, შეტრიალდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოუსხვეს. მილურსმხულებით ვიდექით მზის ქვეშ. რაიმონდს დაჭრილი მკლავი სისხლისგან ეცლებოდა.

მასონმა გვითხრა, ერთ ექიმს ვიცნობ, რომელიც კვირა დღეებს აგარაკზე ატარებს. რაიმონდს უნდოდა მაშინვე წასულიყო. როგორც კი რამეს იტყოდა, ჭრილობიდან წამოსული სისხლით პირი ევსებოდა და ებერებოდა. მივეშველეთ და სასწრაფოდ დავბრუნდით ქოხში. როცა შივედით, რაიმონდმა თქვა, ჭრილობა უმნიშვნელოა და მე თვითონ წავალთ ექიმთან. მასონი გაჰყვა, მე კი დავრჩი, ქალებისათვის რომ შეაშინა, რაც შეგვემოხვია. ქალბატონი მასონი ტირიდა, მარი კი ძალიან ფერმკრთალი იყო. დამეზარა ქალებისთვის ამეხსნა ეს ამბავი. ბოლოს გაეჩუმდი. ვეწეოდი და ზღვას გავცქეროდი.

თარის ნახევარზე რაიმონდი მასონთან ერთად დაბრუნდა. მას მკლავი ჰქონდა შეხვეული, ტუჩის კუთხეში პლასტიკი უკრა. ექიმს კი ეთქვა, საშიშია არაფერი, მაგრამ რაიმონდს სახე დაღვრემილი ჰქონდა. მასონი ცდილობდა გაეციხებინა, მაგრამ რაიმონდი ვერ ააღაპარა. პლიაჟზე წავალთ. თქვა ბოლოს. ვკითხე, სად მიდიოდა. მე და მასონმა გადავწყვიტეთ. თან გავყოლოდით. ის კი გაბრაზდა და შეგვაგინა. მასონმა განაცხადა, რომ სჯობდა არ გავეწვია წინააღმდეგობა. მე მაინც ვაყუევ.

პლიაჟზე დიდხანს ვიარეთ. მცხუნვარე მზემ მოგვთენთა. ის ნატყუბად იმსხურებდა და სილასა და ზღვას ეფინებოდა. მეგონა, რაიმონდმა იცოდა, სადაც მიდიოდა, მაგრამ შეეცდი, როგორც იქნა, მივაკვლიეთ პატარა ნაკადულს. რომელიც პლიაჟის ბოლოში, კლდის უკან, ქვიშაში მოწანწკარებდა. აქ არაბებს წავაწყდით. ტანზე გაქონილი ცისფერი სამოსი ეცვათ; წამოწოლილიყვნენ. მათი გამომეტყველება მშვიდი და კმაყოფილი იყო. ჩვენმა მისვლამ არაფერი შეცვალა. არაბი, რომელმაც რაიმონდი დაჭრა, უსიტყვოდ შეჰყურებდა მას. მეორე სალაშურს უკრავდა. ცერად გვაყურებდა და განუწყვეტლივ იმეორებდა სამ ბგერას, რომელსაც მისი ინსტრუმენტი გამოსცემდა.

მხოლოდ მზე და სიჩუმე იყო. ნაკადულის ჩუმი ხმა და სამი ბგერა ისმოდა. რაიმონდმა იმ ჯიბისკენ წაიღო ხელი, სადაც რევოლვერი ედო. არაბი არ განძრეულა და ასე შეჰყურებდნენ ერთმანეთს. შევამჩნიე, რომ მეორე არაბს, რომელიც სალაშურს უკრავდა, ფეხის თათები გაჟარჩხული ჰქონდა. რაიმონდს თვალი არ მოუშორებია მოწინააღმდეგისათვის, ისე მკითხა:

— ვესროლო?

გავიფიქრე, უარი რომ ვუთხრა, გაშმაგდება და ესკრის-მეოქი.

— ჯერ ხომ არ გამოუწვევინხარ, სისულელე იქნება ისე გასროლა, — ესღა ვუთხარი.

ამ სიჩუმესა და სიციხეში სალამური კვლავ უკრავდა, კვლავ ისმოდა წყლის ჩუმში ხმაური. რაიმონდმა თქვა:

— გამოვიწვევ და როცა მიპასუხებს, ვესერი. უკრავდა

მართალი ხარ, მაგრამ სანამ დანას არ დააძრობს, უკრავდა და თრიყენი ავალმთაუშორებლავ უმზერდნენ რაიმონდს.

შენი რეკოლვერი მომეცა და ვაქცა ცურად მიდი; თუ მეორე დანას დააძრობს, ან ჩაერევა, მაშინ მე ვესერი. — ვუთხარი ბოლოს.

რაიმონდმა რეკოლვერი გადმოშტა. იარაღმა მზებზე იელვა. გაუნძრევლად ეიდექით, თითქოს ირგვლივ ყველაფერი დაიხშო. თვალს არ გაშორებდით ერთმანეთს. თითქოს ყველაფერა გაიყინა: ზღვა, სალა და მზეც. სალამური დუმდა. წყლის ხმაურიც აღარ ისმოდა. ამ დროს გავიფიქრე; შესაროლა. არაბებმა უკან დაიწიეს და კლდეებში უცბად გაუჩინარდნენ. ჩვენ გამოვბრუნდით. რაიმონდი თავს უკეთ გრანობდა და ავტობუსით შინ წასვლა დააპირა.

ქობამდე მივყვედი. სანამ ხის კიბეზე აღიოდა, პირველ საფეხურზე შევჩერდი; მზისგან თავი მიხურდა. ის აზრი, რომ თავისთვის ძალა უნდა დამეტანებინა კიბეზე ასასვლელად და ქაღებთან სასაუბროდ, მაწუხებდა. მზის დასაბრძავებელ ღვართქაფში და ამ აუტანელ ხვატში გაჩერებაც მაჭირდა. წასვლაც და დარჩენაც ერთი და იგივე იყო. მერე პლიაქისკენ შევტრიალდი და წავედა.

ისევ ის წითელი ელვარება დამხვდა. ზღვა აჩქარებით სუნთქავდა და პატარა ტალღებს ნოაგორებდა. ხელა ძიედიოდი კლდეებისკენ და ვგრძნობდი, მზისგან როგორ შეებრებოდა საფეთქლები. მთელი ამ ხვატის სიმძიმე ზურგიით მიმჭიბდა და სვლას ნიძნელუბდა. როცა მზის ცხელი სუნთქვა სახეში მხვდებოდა, კბილებს ერთმანეთს ვაქერდი, შარვლის ჯიბეებში მუწტებს ვკუმშავდა და თავს ძალას ვატანდი, რომ გამემარჯვნა მზესზე და ამ გამაბრუებელ სიმოგრაფზე, არაქათს რომ მაცლიდა. ქვიშიდან, გადათეთრებული ნიჭარებიდან და მინას ნამსხვრევებიდან არეკლილა მზის სხივები ისარივით შესობოდა, კბილები მიღრჭიალებდა. დიდხანს ვიარე.

შორიდან ლაქასაგით მოჩანდა კლდე, რომელსაც ზღვისა და მზის დამაბრძავებელი ნათელი ზკალად შენორტყსოდა. კლდის უკან მოჩუხჩუბე გრილი ნაკადული გამახსენდა. მიწოდდა მისი ჩურჩული მეპოვნა, მეპოვნა ჩრდილი და მოსვენება; მზეს გავურბოდი, დააბულობას და ქაღების ტირილს. როცა ახლოს შევედი, რაიმონდის „ტიბი“ დავინახე.

მარტო იყო. ზურგზე იწვა. ხელები თავქვეშ ამოედო, შუბლი კლდის ჩრდილში შეეფარებინა, ტანით კი მზეს ეფიცებოდა. მის ცისფერ სამოსს აღმური ასდიოდა. შევცბი. ჩემთვის ეს გათავებული საქმე იყო და აქ ისე მოვდარი, რომ არაბებზე არ მიფიქრია.

როგორც კი დამინახა, წამოაწია და ხელი ჯიბეში ჩაიყო. რაიმონდის რეკოლვერს, პიჯაკის ჯიბეში რომ მედო, რა თქმა უნდა, ხელი მოვუჭირე. არაბმა უკან დაახია, ისე, რომ ჯიბიდან ხელი არ ამოუღია. მისგან ასე, ათიოდე მეტრის მოშორებით ვიდექი. ნახევრად დახურული ქუთუთოებიდან მიმზერდა. ვაჯარვარებულ პაერში მისი სახე თვალწინ მითამაშებდა, შუადლის მერე

ზღვა თითქოს ჩაჩუმდა, ტალღების ხმაურაც შეწყდა. არაფერი შეცვლი-
ლა. იგივე მზე და იგივე სინათლე ქვიშაზე გართამულიყო. თითქოს დღე ორი
საათით შეჩერდა, დღე, რომელმაც ღუზა ჩაუშვა მდუღარე ლითონის თასებში.
პორციონტზე თბობავალმა ჩაიარა. რადგან არაბისთვის თვალი არ მომიწვევია,
გემი პატარა შავ ლაქასავით მომხვდა თვალის კუთხეში.

შეგონა, ნახევრად რომ შევეტრიალებულიყავი, ყველაფერს დავმარჯვებუ-
და. აღმურმოდებული სივრცე ზურგში მაწვებოდა. წყაროსკენ რამდენიმე ნა-
ბიჯი გადავდგი. არაბი ადგილიდან არ დაძრულა, საკმაოდ შორს იდგა. აღბათ
ამიტომ, რომ ჩრდილი ეცემოდა სახეზე, მომეჩვენა, თითქოს იცინოდა. მე და-
ველოდე. მზემ ლოყები ამიწვა და წარბებში თაღლმა დამასხა. როცა დედაჩემს
ვასაუფლებდი, მაშინაც ასეთი მზე იყო. მაშინაც განსაკუთრებით მტკიოდა
შუბლა, ვეხები კანის ქვეშ ერთდროულად მაცემდა. აუტანელმა სიცხემ ერთი
ნაბიჯი წინ გამამადგმევინა. სისულელე იყო, ერთი ნაბიჯი მზისგან ვერ გამან-
თავისუფლებდა. ერთი ნაბიჯი, მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადავდგი. ამ დროს არაბ-
მა დახა დაძრო და მზეზე ააეღვარა. ფოლადის დანის ანარეკლი შუბლში
ისარივით მომხვდა. წარბებში დაგროვებული ოფლის წვეთები კუთუთოებზე
ჩამომიგორდა და ხედ გადამეფარა, როგორც თბილი და სქელი პირბადე. მზემ
და თბილმა ოფლმა თვალები დამიბრმავეა. ჩემს შუბლზე მზე ფეთქავდა და
თვალწინ დანის ელვარება განუწყვეტლივ იფრქვეოდა. ეს ელვარება წარბებს
ზღრღნიდა და მტკივან თვალებს მიჩიჩქნიდა. სწორედ მაშინ ამერიცა ყვე-
ლაფერა. ზღვამ წაიღო მწვავე და სქელი სუნთქვა. თითქოს ცა გადისხნა, რომ
ცეცხლის ღვართქაფი წამოსულიყო. დავიძაბე და ხელი რევოლვერს მოვეუ-
ჭირე. სასხლეტი დამნებდა. კონდახის პრიალა მუცელს შევეხე და სწორედ ამ
დროს მშრალა და გამაყრუებელ ხმაურში დაიწყო ყველაფერი. თაფლი შე-
მიშრა, მზე შეტორტმანდა. მიეხვდი, რომ დღის სიმშვიდე დაეამსხვრიე. პლია-
ვის ის არაჩვეულებრივი მყუდროება, სადაც ცოტა ხნის წინათ ბედნიერი ვიყა-
ვი. კიდევ თახჯერ იესროლე. მია უსიცოცხლო სხეულში ტყვიები იკარგებო-
და. ეს ის ოთხი მოკლე გასროლა იყო, რომლითაც მე უბედურების კარზე
ვაკაკუნებდი.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

დაპატიმრების შემდეგ მრავალჯერ დამკითხეს. უმოავრესად ჩემს ვინაობას
იკვლევდნენ და დაკითხვა დიდხანს არ ვრძელდებოდა. პირველად კომისარი-
ატში ჩემი საქმე თითქოს არავის აინტერესებდა. ერთი კვირის შემდეგ, პირა-
ქით, გამომძიებელმა ცნობისმოყვარეობა გამომამჟღავნა. ჯერ გვარი და მისა-
პართა მკითხა, მერე პროფესია, დაბადების წელი და ადგილი. შემდეგ დაინ-
ტერესდა, დამცველი თუ აიფვიანეთო.

— არა, — ვუპასუხე და ვკითხე, — ვანა ეს აუცილებელია? ჩემი საქმე
უბრალოდ მგონია.

— ვითომ? — ღიმილით მითხრა, — ეს თქვენი აზრია. კანონს კი გვერდს ვერ ავუბრუნებთ. თუ თვითონ არ აიყვანთ, მაშინ ჩვენ დაგინიშნავთ დამცველს.

გაკვივდებოდა, ძალიან ხელსაყრელია, რომ მართლმსაჯულებამ თავის თავზე აიღო ეს უმნიშვნელო საქმე და ვუთხარი კიდევ. მან კვებუ დაძვინჯა და დასძინა, კანონი კარგად არისო დაწერილი.

თავდაპირველად სერიოზულად არც კი მიმიღია ეს კაცი. გამოსძიებულმა ფარდებიან ოთახში შემიყვანა. სავარაუდოში ჩამსვა. საწერ მაგიდაზე მხოლოდ ერთი ნათურა იდგა და მანათებდა. თვითონ გამოსძიებელი სიბნელეში იჯდა. ამგვარი რამ წიგნებში მქონდა წაკითხული და ყოველივე ეს თამაშობად შეჩვენა. საუბრის შემდეგ კი, როცა მას შევხედე, ეს შთაბეჭდილება გამიქრა. გამოსძიებელს თხელი ნაკვთები, ღრმა, დიდი ცისფერი თვალები, გრძელი ჭაღარა უღვაში და ხშირი, თითქმის თეთრი თმა ჰქონდა. ძალიან ჭკვიანი მომეჩვენა, ბოლოს, სიმპათიურიც, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ნერვიულად უთრთოდა ტუჩი. გამოსვლისას ხელის ჩამორთმევა მიჩნდოდა, მაგრამ დროზე გამახსენდა, რომ კაცი მყავდა მოკლული.

მეორე დღეს ჩემთან, საპატიმროში, დაშცევილი მოვიდა. საკმაოდ ახალგაზრდა იყო, პატარა და ჩამრგვალებული. თმები ზედმიწევნით ჰქონდა გადაგლესილი. მიუხედავად სიცხისა (მე პერანგის ამარა ვიყავი), მას მუჭი კოსტუმი ეცვა, დაჭმუჭნილ საყელოზე უშნო, თეთრზოლიანი შავი ჰალსტუხი ეკეთა. პორტფელი, რომელიც იდლიაში ჰქონდა ამოჩრილი, ჩემს საწოლზე დადო. თავი გამაცნო და მითხრა:

— თქვენი საქმე უკვე გადავამოწავე. ჩემი აზრით, საქმე საჩიოთიროა, მაგრამ თუ ჩემი რწმენა გეჭნებათ, ეჭვი არ მეპარება წარმატებაში. — მადლობა გადაეუხადა. მან განაგრძო: — ახლა პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

ლოგინზე ჩამოჯდა და თქვა, რომ ჩემს პირად ცხოვრებაზე ცნობები უკვე შეეგროვებინათ. შეეტყობ, რომ დიდი ხანი არაა, რაც დედა თავშესაფარში გარდამეცვალა. მარენგოში თუ გაიკითხეს ამის შესახებ. გამოსძიებლებს გავგოთ, რომ „გულცივობა გამოვიჩინე“ დედაჩემის დასაფლავების დღეს.

— იცით, — მითხრა დამცველმა, — ცოტა მეუხერხულეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი საკითხია. თუ ამის გასამართლებელი საბუთი ვერ ვპოვებ, ეს შეიძლება ბრალდების მნიშვნელოვანი მაჩუბიც გახდეს.

ჩემი დახმარება სჭირდებოდა. მკითხა, როგორ გახვიცადე ეს დღე. ამ კითხვამ ძალიან გამოაცა და გავიფიქრე, რომ მე ვერავის დაუყუსგაძდი ასეთ შეკითხვას, ჩემთვის ეს უხერხული იქნებოდა. ეუპასუხე, შეკითხვებს გადავეჩვიე და პასუხის გაცემა მეძნელება-მეთქი. რა თქმა უნდა, დედა ძალიან მაყვარდა, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავდა. ყველა სად ადამიანს, ასე თუ ისე, თავის მახლობელთა სიკვდილი უნატრია. ამ დროს დამცველმა შემაწყვეტინა, აღელდა და პირობა დამადებინა, რომ ამას არ ვიტყოდი არც სასამართლოზე, არც მსაჯულებთან. ავუხსენი, ისეთი ბუნება მაქვს, რომ ფიზიკური შეჭირვება გრძნობას მირევს და ხშირად აზროვნებაში ხელს მიშლის-მეთქი. იმ დღეს, რო-

დესაც დედა დავასათლავე, ძალიან დავილაღე და მეძანებოდა. ამდენად დავი-
ლაღე, რომ ანგარიშს ვერ ვუწევდი რაც ხდებოდა ირგვლივ. ერთ რამეში კი ვი-
ყავი დარწმუნებული: მერჩივნა, რომ დედა არ მომკვდარყო. ჩემი დამცველი
უკმაყოფილო დარჩა: ეს არ არისო საკმარისი.

დაფიქრდა. მკითხა, შეეძლო თუ არა ეთქვა, რომ ამ დღეს მე ვრძობებო
ვიმორჩილებდი, გულში ვიკლავდი დარდს.

— არა, — მივუგე, — იმიტომ რომ ეს არ არის მართალი. **მართალია**
უცნაურად შემომხედა, თითქოს შევეჩიზლე და მითხრა:

— ყოველ შემთხვევაში, დირექტორი და თავშესაფრის პერსონალი სასა-
მართლოზე მოწმედ წარსდგებიან და მათ შეუძლიათ საქმე გაგიფუჭონ.

მე ყურადღება გავამახვილებინე იმაზე, რომ ამას არავითარი კავშირი არ
ქონდა ჩემს საქმესთან, მან კი მიპასუხა, გეტყობათ, რომ მართლმსაჯულებას-
თან არასოდეს გქონიათ საქმეო.

დამცველი უკმაყოფილო წავიდა. მსურდა შემეჩერებინა. მინდოდა, ჩემ-
დამი სამპათია ჰქონოდა, იმიტომ კი არა, რომ უკეთ დავეცავი, უბრალოდ, გუ-
ლისხმიერად რომ მომპყრობოდა. ყოველთვის ცუდ გუნებაზე ვაყენებდი. ჩემი
არ ესმოდა და ამიტომაც მობრაზდებოდა. მსურდა გამეგებებინა მისთვის, რომ
მე სხვებასგან არაფრით განვსხვავდებოდი და ისეთი ვაყავი, როგორც ყველა.
ბოლოს და ბოლოს, ეს არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო და ჩემი დაუდევრო-
ბის გამო ამის მტკიცებას თავი დავანებე.

ცოტა ხნის შემდეგ გამომძიებლას წინ ხელახლა წარმადგინეს. დღის ორი
საათი იყო. მზის სინათლე ფარდებში გაჭირვებით ატანდა. ძალიან ცხელოდა.
გამომძიებელმა დამსვა და გადაჭარბებული ზრდილობით განშიცხადა, რომ
ჩემს დამცველს, „რაც დაბრკოლების გამო“ არ შეუძლია მოსვლა. ისიც მი-
თხრა, რომ უფლება მქონდა არ მეპასუხნა მის კითხვებზე, სანამ ჩემი დამცვე-
ლი არ მოვიდოდა, მაგრამ დავთანხმდი. დილაქს თითო დააჭირა. ახალგაზრდა
მდივანი შემოვიდა და ჩემს ზურგს უკან დაჯდა.

ორივენი სავარძელში გამოვიტამეთ. დაკითხვა დაიწყო. ჩემზე ეთქვათ,
გულჩათხრობილი და ჩუმიო, და ჩემი აზრიც აინტერესებდა ამაზე.

— საქმე ისაა, რომ ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი, იმიტომაც ვდუმვარ.
მან ისევ გაიცინა. თქვა, ეს კარგი გასამართლებელი საბუთიაო და
დასძინა:

— თუმცა, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, — გაჩუმდა, შემომხედა.
მოულოდნელად მხრებში გაიშალა და ჩქარა მითხრა: — ჩემთვის მთავარი თქვე-
ნა ხართ. — კარგად ვერ გავიგე, რისი თქმა სურდა და არაფერი ვუპასუხე. მან
კი დასძინა: — ბევრი რამ თქვენს მოქმედებაში გაუგებარია ჩემთვის. იმე-
დია, დამეხმარებით და გამარკვევთ.

მივუგე, რომ ყველაფერი უბრალოდ მოხდა. დაწვრილებით ამაწერიხა ის
დღე, თავიდან მოვეყევი ის, რაც უკვე ნაამბობი მქონდა: გავიხსენე რაიმონდი,
პლიაჟი, ცურაობა, ჩხუბი, ისევ პლიაჟი, პატარა ნაკადული, მზე და ხუთი გას-
როლა. ყველა ფრაზაზე ამბობდა: „დიახ, დიახ“. როცა ცხედარი ვახსენე, შემა-
წყვეტიხა და, კარგიო, მითხრა. მომბეზრდა ერთი და იგივე ამბის გამეორება.
მომეჩვენა, რომ ჩემს სიცოცხლეში ამდენი არასოდეს მილაპარაკია.

ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ წამოდგა, მითხრა, ძალიან მინდა დაგეხმაროთ,

თქვენით დაიხტერესებული ვარ და ღვთით რაიმეს მოგიხერხებთო. მანამ კი უნდადა რამდენიმე შეკითხვა მოეცა ჩემთვის. უეცრად მკითხა, მიყვარდა თუ არა დედა. ვუთხარი:

— დიახ, როგორც ყველას.

მდივანი აქამდე შეუჩერებლივ ბეჭდავდა, ახლა კი აღბათ, შეეშალა, რაღ-გან შეფერხდა და იძულებული იყო თავიდან დაეწყო. შემდეგ გამომძიებელმა ისევ ყოველგვარი ლოგიკის გარეშე მკითხა, ხუთჯერვე ზედინულ ვისროლე თუ არა. ცოტა ხანს დავფიქრდი და ვუპასუხე, რომ ჯერ ერთხელ გავისროლე და რამდენიმე წამის შემდეგ — თახჯერ.

— რატომ დააყოვნეთ პირველსა და მეორე გასროლას შორის?

კიდევ ერთხელ წარმომადგა გავარჯარებული პლიაჟი და ისევ ვიგრძენი შუბლზე შხის სიმწვავე, მაგრამ ამჯერად არაფერა მიბასუხნია. მთელი ამ ხნას განმავლობაში გამომძიებელი ჩუმად მისმენდა, მერე თათქოს აღელდა. დაჯდა, თავი მოიქექა, ნიდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, ჩემკენ გადმოიხარა და რაღაც უცნაური გამომეტყველებით ჩამეკითხა:

— რატომ, რატომ ესროლეთ მკვდარს?

აქაც ვერ შევძელი პასუხის გაცემა. გამომძიებელმა თითებით შუბლი მოი-სრისა და ოდნავ ათრთოლებული ხმით გაიმეორა:

— რატომ? უნდა მითხრათ, რატომ?

მე კვლავ ვდუმდი.

უეცრად წამოდგა და ფართო ნაბიჯებით კაბინეტის ბოლოსკენ გაეშართა, კარადის უჯრა გამოსწია და ვერცხლის ჯვარი ამოიღო. ჯვრის ქნევით ჩემკენ წამოვიდა და შეცვლილი, თითქმის მთრთოლვარე ხმით წამოიყვირა:

— იცით, ეს რა არის?

— დიახ, რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე.

აჩქარებით და გზნებით მითხრა, რომ ღმერთი სწამდა და დარწმუნებული იყო იმაში, რომ ქვეყნად არ არის დამნაშავე, რომელსაც ღმერთი არ აპატიებს. ოღონდ კაცმა უნდა მოინანიოს და მისი ბავშვივით სუფთა სული მზად იქნება ყველაფრის მისაღებად. გამომძიებელი მთელი სხეულით გადმოწვა მაგიდაზე. ჯვარს თითქმის ჩემს თავზე ათამაშებდა. სიმართლე რომ ვთქვა, მაინცღამაინც კარგად ვერ მივყევი მის მსჯელობას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მცბელოდა, მეორეც ის, რომ მის კაბინეტში დიდი ბუხები დაფრინავდნენ და სახეზე მაჯდებოდნენ, და კიდევ იმიტომ, რომ ცოტა შემაშინა კიდევ. სასაცილო იყო ყვე-ლაფერი ეს. ბოლოს და ბოლოს, მე დამნაშავე ვიყავი. ის კი განაგრობდა. მე თითქმის მივუხვდი: მისი აზრით, ჩემს აღსარებაში ერთი ბუნდოვანა მხარე რჩებოდა: რატომ დააყოვნე პირველსა და მეორე გასროლას შორის. დანარ-ჩენი ყველაფერი ნათელი იყო. ამაში კი ვერა და ვერ გაერკვა.

მინდოდა შეთქვა, რომ ეს უკანასკნელი საკითხი არცთუ ისე მნიშვნელოვანია. მაგრამ შემაწყვეტინა, მთელი ტანით წამოიშართა, უკანასკნელად მომიწოდა და მკითხა: მწამდა თუ არა ღმერთი. არა-მეთქა, მივუგე. აღშფოთებული ჩამოჯდა.

— ეს შეუძლებელია, — წარმოთქვა მან, — ყველა ადამიანს სწამს ღმერ-თი, მათაც, ვინც ღმერთს ზურგი შეაქცია. — ასეთი იყო მისი რწმენა. უძახოდ მის ცხოვრებას აზრი აღარ ექნებოდა. — გინდა, რომ ჩემს ყოფნას აზრი არ ჰქონდეს?

ეს ჩემი საქმე არ იყო და ასეც ვუთხარი. გამომძიებელმა ქრისტე მაგი-
დაზე გადმოატარა, თვალეთან მომიტანა და არაიდამიანური ხმით იყვირა:
— მე ქრისტიანა ვარ და აი, ამას ვთხოვ შეგინდოს ცოდვები, როგორ
შევიძლია არ გწამდეს ის, ვინც შენთვის ჯვარს ეცვა?!

შევნიშნე, რომ შენობით მელაპარაკებოდა, თავი მომაბეზრა. სიცხე სულ
უფრო და უფრო მატულობდა. ყოველთვის, როცა ლაპარაკით თუ სხვა რაიმე
ბუნ და ძლიერ ვუსმენ, ისეთი გამომეტყველება მაქვს, თითქოს ვერაფერ
ჩემდა გასაკვირად, გამომძიებელი ზეიმობდა:

— ხომ გწამს, ხომ მიენდობი უფალს? — ამბობდა იგი. მე, რა თქმა
უნდა, ისევ უარი ვუთხარი. გამომძიებელი სავარძელში ჩაეშვა.

ძალიან დაღლილი სახე ჰქონდა. სიჩუმე ჩამოვარდა. საბეჭდი მანქანა, რომ
შელიც ჩვენს დიალოგს განუწყვეტლივ მიჰყვებოდა, უკანასკნელ ფრაზებს
იწერდა. ბოლოს, გამომძიებელმა ოდნავ ნაღვლიანად და ყურადღებით შე-
მოხედა. წაიჩურჩულა:

— არასოდეს მინახავს ისეთი გაქვავებული სული, როგორაც თქვენ გაქვთ.
დამნაშავეთ, რომელთაც ჩემს ხელში გაუვლიათ, ყოველთვის უტირიათ ამ მწუ-
ხარე გამოსახულების წინაშე.

მინდოდა მეთქვა, რომ სწორედაც შვრებოდნენ, რადგანაც ისინი მართლა
დამნაშავენი იყვნენ, მაგრამ გამახსენდა, რომ არც მე ვყოფილვარ უდანაშაუ-
ლო. ამ აზრს ვერ შევჩვეოდი. გამომძიებელი წამოდგა, ამით თითქოს მანიშ-
ნებდა, დაკითხვა დამთავრდაო. მერე კვლავ ისეთივე დაღლილი გამომეტყველე-
ბით მკითხა, თუ ვნანობდი ჩემს საქციელს. დავფიქრდი და ვუბასუსხე. ჭეშმა-
რტი სინანულის მაგიერ, რაღაც უსიამოვნებას ვგრძნობ-მეთქი. მომეჩვენა,
რომ ვერ გამიგო. ამ დღეს საქმე წინ არ წაიქცა.

ამის შემდეგ გამომძიებელს ხშირად ვნახულობდი, ოღონდ ყოველთვის
ჩემი დამცველი მახლდა. ამჯერად ნაამბობიდან ზოგიერთ ფაქტებს მასუსტები-
ნებდნენ, ხან კი გამომძიებელი ჩემს დამცველს ბრალდებებზე ეკამათებოდა.
სამართლე რომ ვთქვათ, ამ დროს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ მაქცევ-
დნენ. ყოველ შემთხვევაში, დაკითხვის ტონი შეიცვალა. შეჩვენებოდა, რომ
განმძიებელი ჩემით აღარ იყო დაიხტერესებული და რამდენადმე შეწყვიტა
ჩემი საქმის ძიება. ღმერთი აღარ უხსენებია და აღარც მინახავს ისეთი აღგზნე-
ბული, როგორც პარველ დღეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი საუბარი გუ-
ლითადი გახდა. კიდევ რამდენიმე შეკითხვა, მოკლე საუბარი დამცველთან და
დაკითხვაც ამით მთავრდებოდა. ჩემი საქმე წინ იწევდა: ამას გამომძიებლის
სახის გამომეტყველების მიხედვითაც ვგრძნობდი. როდესაც საუბარი ჩვეუ-
ლებრივ ამბებს ეხებოდა, რამდენჯერმე მეც ჩავერიე. მაშინ თავი აუფლად
ამოვისუნთქავდი ხოლმე. ამ საათებში არავინ არ იყო ჩემდამი ბოროტად
განწყობილი. ყველაფერი ისე ბუნებრივი იყო, კარგად ორგანიზებული, ზო-
მიერად ნათამაშები, რომ მე უცნაური გრძნობა მიპყრობდა, თითქოსდა მეც
მათი „ოჯახის წევრი“ ვიყავი.

საკვირველია, ამ თერთმეტი თვის განმავლობაში, სანამ გამომძიება გრძელ-
დებოდა, შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე სასიხარულო ჩემთვის ის იშვიათი წა-
მები იყო, როდესაც გამომძიებელი კარებამდე მიმაცილებდა, მხარზე ხელს
დამარტყამდა და გულითადი ხმით მეტყვოდა: „დღეისთვის კმარა, ბატონო
ანტიქრისტე“. ამის მერე უანდარმებს გადაამცემდნენ ხოლმე.

თავი მეთრე

არის ბევრი რამ, რაზედაც არასოდეს მყვარებია ლაპარაკი. ციხეში მალე მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრების ამ პერიოდის გახსენებაც არ მესურებოდა.

უფრო მოგვიანებით ამას უკვე აღარავითარ მნიშვნელობას არ აძლევდი. პირველ დღეებში თავი ციხეში არ მეგონა. გაურკვეველად მდებარეობდა რაღაც სიახლეს. ყველაფერი სწორედ მარას პირველი და ერთადერთი ვიზიტის შემდეგ დაიწყო. იმ დღეს მარი მწერდა, რომ ჩემი ნახვის უფლებას არ აძლევდნენ, რადგანაც ჩემი ცოლი არ იყო. ამ დღიდან საკანი სახლი გახდა ჩემი და ჩემი ცხოვრებაც აქ თავდებოდა. დაბატმრების დღეს იმ საკანში მომათავსეს, სადაც მრავალი პატიმარი იყო, უმრავლესობა — არაბები. ჩემს დანახვაზე გაეცინათ. შემდეგ მკითხეს, რა ჩაიღინეთ. ვუთხარი, რომ არაბი მოვკალი. მათ ხმა არ ამოუღიათ. მალე მოსალამოვდა. ამიხსნეს, როგორ უნდა მომეწყოს საწოლი: მუთაქას გასაკეთებლად ლეიბის ბოლო დაახვიეთ. მთელი ღამის განმავლობაში ბაღლინჯოება მადლოდებოდნენ სახეზე. რამდენიმე დღის შემდეგ ცალკე საკანში გადამიყვანეს, სადაც ფიცარზე ვიწევი. მქონდა ხის კასრი და რკინის ჯამი. ციხე ქალაქში ყველაზე მალე იდგა და პატარა ფანჯრიდან ზღვის დანახვა შემეძლო. სწორედ იმ დროს, როდესაც ცხაურზე ვიყავი ჩაბდაუჭებული და სახე შუქისკენ მქონდა მიშვერილი, ზედამხედველი შემოვიდა და მითხრა, შენს სანახავად მოვიდნენო. ვიფიქრე, ალბათ, მარი მოვიდა-მეთქი. მართლაც მარი იყო.

მისაღებ ოთახში გასასვლელად გრძელი ღერეფანი გავიარეთ, შემდეგ კიბე და ბოლოს, ისევ ღერეფანი. დიდ დარბაზში შევედი; ხანაოლე ფართო ფანჯრიდან შემოდიოდა და ოთახი განათებული იყო. დარბაზს ორი რკინის ბადე სამ ნაწილად ჰყოფდა და მნახველებს პატიმრებისაგან რვა-ათი მეტრით აშორებდა. ჩემს პირდაპირ მარი შევნიშნე, მზემოკიდებული სახე მქონდა და ზოლებიანი კაბა ეცვა. ჩემთან ერთად ათამდე პატიმარი იქნებოდა, უმრავლესობა — არაბები. მარს მადრებით იყო ვარშემორტყმული. ორ მნახველს შორის იდგა: პატარა, ტუჩებმოკუმულ, შავებში ჩაცმულ მოხუცსა და უზარმაზარ, თავშიშველ ქალს შორის. ქალი ხმამაღლა და ხელების ქნევით ლაპარაკობდა. იმის გამო, რომ ბადეები ერთიმეორისაგან შორს იყო, მნახველები და პატიმრები ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. დარბაზის მაღალი და შიშველი კედლები ხმაურს უფრო აძლიერებდა, ციდან გადმოფრქვეული თვალისმომჭრელი შუქი ფანჯრის მიწებს ეცემოდა და დარბაზში ირეკლებოდა. ყოველივე ამან გამაბრუნა. ჩემი საკანი უფრო ბნელი და უფრო მშვიდი იყო. რამდენამე წამი დამჭარდა, რომ ზუქს შევჩვეოდი. ცოტა ხნის მერე შუქზე მკაფიოდ ვარჩევდი სახეებს. ღერეფნას ბოლოში ზედამხედველი შევნიშნე, რომელიც ორ ბადეს შორის იდგა.

არაბი პატიმრების უმრავლესობა და მათი ოჯახის წევრები ერთიმეორის პირისპირ ჩაცუცქულიყვნენ. ისინი არ ყვიროდნენ. მიუხედავად ალიაჯთისა, დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ და ახერხებდნენ გაეგებინებინათ ერთიმეორისათვის. არაბების დახშული ჩურჩული, რომელიც ქვემოდან მოისმოდა, გაბმულ ბანს აძლევდა მათი თავების ზემოთ გამართულ საუბარს. ყოველივე ეს მაშინ შევნიშნე, როცა მარისკენ მივიწეედი. მარი ბადეს მიჰკვროდა და მთელი ძალით მიღიმოდა. ძალიან ლამაზი მომეჩვენა, მაგრამ ამის თქმა ვერ მოვახერხე.

- როგორაა საქმე? — მითხრა ხმამაღლა.
- როგორც ხედავ.
- კარგად ხარ? ყველაფერი გაქვს რაც გინდა?
- ჰო, ყველაფერი.

მერე ჩაეჩუმდით. მარი ისევ იღიმებოდა. უზარმაზარი ქალი ჩემს გვერდით მდგომ პატარას დრიალით ელაპარაკებოდა, მისი ქმარი იყო ალბანთ-მალაქი, ქერა მამაკაცი გულწრფელად იღიმებოდა. ეს დაწყებული საუბრის გაგრძელება იყო:

- ენას არ სურს მისი წაყვანა, — მთელი ხმით ყვიროდა ქალი.
- გასაგებია, — ამბობდა კაცი.
- ვუთხარი, ციხიდან რომ გამოვა, უკანვე წაიყვანს-მეთქი, მაგრამ მაინც

უარზეა.

მარცხ მითხრა, რაიმონდა მოკითხვას გითვლისო. მადლობა გადავუხადე, მაგრამ ჩემი ხმა დაფარა მეზობელმა, რომელიც ქალს ეკითხებოდა: კარგად თუ გრძნობსო თავს. ცოლმა გაიცინა და თქვა, ასე კარგად არასოდეს ყოფილაო. ჩემს მარცხნივ ჩუმად იდგა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც წერილი ხელები ჰქონდა. შევნიშნე, რომ მის წინ პატარა მოხუცა ქალი იდგა: ერთმანეთს დაძაბულად მისჩერებოდნენ. მათი თვალიერება შევწყვიტე, რადგან ამ დროს მამის დამიყვირა, იმედიანად იყავიო. „კარგი“ — ვუბასუხე. შევხედე და მომიჩინდა მის მხრებს მოვხვეოდი. მსურდა შევხებოდი იმ თხელ ქსოვილს, რომელიც ტანზე შენთჰკვროდა. მართლაცდა, მეტი რისა იმედი უნდა მქონოდა. მარი უთუოდ კარგ რამეს მეუბნებოდა, რადგან სულ იღიმებოდა. მისი კბილების ელვარებისა და თვალვითან პატარა ნაოჭების გარდა, ვერაფერს ვხედავდი. ისევ დამიყვირა:

- როცა გამოხვალ, ხელს მოვაწერთ!
- გჭერა? — ასე იმიტომ ვუბასუხე, რაიმე რომ მეთქვა.

ჩქარა და ხმამაღლა მითხრა, აუცილებლად გაგამართლებენ და მალე ისევ ერთად ვიცურავებთო. ამ დროს მის გვერდზე მდგარი ქალი გაპკიოდა, კალათი სასამართლოს სამდივნოში დავტოვეო. ისიც ჩამოთვალა, შიგ რა ეწყო. ასე იმიტომ იქცეოდა, რომ პროდუქტები ძვირი ღირდა. ჩემს გვერდზე მდგომი მამაკაცი და მისი დედა კვლავ ერთმანეთს მისჩერებოდნენ. არაბთა ჩურჩული კვლავ გაისმოდა ჩვენს ქვემოთ. გარედან შუქი ფანჯრის მინებს სულ უფრო მგტად აწვეებოდა.

თავი ცუდად ვიგრძენი და წასვლა მომიჩინდა. ხმაურმა იმოქმედა, მაგრამ თან მარის ცქერით მიჩნდოდა გაძლომა. არ ვიცო, რა დრო გავიდა. მარი თავის სამსახურზე მიყვებოდა და სულ იღიმებოდა. ჩურჩული, ყვირილი, საუბარი ერთმანეთში გადაიხლართა. ჩემს გვერდით სიჩუმის პატარა კუნძული იყო; ახალგაზრდა კაცი და მოხუცი ქალი ერთმანეთს მისჩერებოდნენ. თანდათან არაბები გაიყვანეს. როგორც კი პირველი გავიდა, ყველა ჩაჩუმდა. მოხუცი ქალი ბადეს მოუახლოვდა და სწორედ იმ დროს ზედამხედველმა მის შვილს ანიშნა გასულიყო.

- ნახვამდის დედა, — თქვა კაცმა და ქალმა ხელი ბადეში გამოჰყო, რომ დამშვიდობებოდა. ცდილობდა ეს წუთები გაეგრძელებინა.

მოხუცი ქალის გასვლა და კაცის შემოსვლა ერთი იყო. მან ქალის ადგილი

დაიკავა. ხელში ქუდი ეჭირა. პატიმარიც შემოიყვანეს; ისინი აღელვებით და ჩუმად ლაპარაკობდნენ, რადგანაც ოთახში ხმაური აღარ იყო. ჩემს მარჯვნივ მდგომსაც მოაკითხეს. ცოლმა ხმამაღლა ვასძახა:

— თავს გაუფრთხილდი, — თითქოს არც შეუმჩნევია, რომ ყვიროლი აღარ იყო საჭირო.

შემდეგ ჩემი რიგაც მოვიდა. დამშვიდობებისას, მარჯვნივ მდგომი გზავნა. სანამ გავიდოდი, შემოვტრიალდი. მარი უძრავად იდგა, სახე რკინის ბადეზე პქონდა მიჭეჭყილი და ძალით იღიმებოდა.

ცოტა მოგვიანებით მარცხ მწერილი მომწერა. სწორედ ამ დროიდან დაიწყო ის, რაზედაც ლაპარაკი არასოდეს მყუარებია. ჩემი აზრით, ადამიანი არ უნდა ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში. ეს გაცილებით ადვილი იყო ჩემთვის, ვიდრე სხვებისათვის. პატიმრობის პირველ დღეებში ჩემთვის ყველაზე ძნელი ასატანი ის იყო, რომ მე ჯერ კიდევ თავისუფალი ადამიანის ფიქრები მქონდა: მენატრებოდა პლიაქზე ყოფნა, ზღვაში ბანაობა. მაგონდებოდა ფეხებთან მოცურებული ტალღების ხმაური, მაგონდებოდა შვება, რომელსაც წყალში შესვლა მგვრიადა და მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი ციხის კედლების სინამდვილეს. ეს ფიქრები მხოლოდ რამდენიმე ოვე მაწუხებდა. ამის შემდეგ ნამდვილ პატიმარს დაეემსგავსე: ყოველდღე ეზოში სეირნობას ან დამცველის მოსვლას ველოდი ხოლმე. დანარჩენ დროს მშვენივრად ვიყუენებდი. მაშინ ხშირად მიფიქრია: ხის ტანში რომ ჩავეკირე ვინმეს, ასე, რომ მხოლოდ ცის ყვავილისთვის მეცქირა, ალბათ, აშასაც თანდათან შევეჩვეოდა; დაველოდებოდი ჩიტების გადაფრენას, ან ღრუბლების შეხვედრას, ისე, როგორც ჩემი დამცველის უცნაურ პალსტუხებს მოველი, ისევე, როცა დაპატიმრებამდე შაბათობით მოუთმენლად ველოდებოდი მარის, რათა გულში ჩამეკრა მისი სხეული. არადა, მართლა ხის ტანში ხომ არ ვიყავი ჩაკირული, ჩემზე უბედურებიც იყვნენ. სხვათა შორის, დედაჩემიც ასე ფიქრობდა და ხშირად უთქვამს, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ყველაფერს ეჩვევაო.

საერთოდ, სინამდვილეს არ გავურბოდი. პირველი თვეები მძიმე იყო. თავს ძალას ვატანდი და ეს უეჭველად მეხმარებოდა დროის მოკვლაში. ძალიან მინდოდა ქალი. ეს ბუნებრივიც იყო, მე ხომ ახალგაზრდა ვიყავი. მაინცდამაინც მარიზე არასოდეს მიფიქრია. ვფიქრობდი ქალზე, ქალებზე, ყველაზე, ვასაც ოდესმე ვიცნობდი, იმ ადგილებზე, სადაც მათ დავუფლებავარ, ჩემი საკანი ამ სახეებით ივსებოდა და ამით სურვილი უფრო ძლიერდებოდა. ქალებზე ფიქრი წონასწორობას მაკარგეინებდა, მაგრამ ამით დროს ვკლავდი. ცოტა ხანში უფროსი ზედამხედველის სიმპათია დავიმსახურე. ის თან დაპყვებოდა ხოლმე მზარეულ ბიჭს, რომელსაც საკმელი მოქქონდა. ქალებზე პირველად მან დამიწყო ლაპარაკი. სხვებსაც ყველაზე მეტად ეს აწუხებთო. ვუთხარი, მეც არაფრით განვსხვავდები დანარჩენებისაგან და ასეთი შეზღუდვა უსამართლობაა-მეთქი. მიპასუხა:

- სწორედ ამიტომ გსვამენ ციხეში.
- როგორ? — შევეკითხე.
- სწორედ ეს არის დასჯა, თავისუფლების წართმევა. ამაზე არასოდეს მიფიქრია.
- თუმცა, მართალი ხართ, სხვანაირად რა დასჯა იქნებოდა.

— დიახ, თქვენ ყველაფერი გესმით. სხვებს არა, მაგრამ გამოსავალს პოულობენ... — ამის შემდეგ ზედამხედველი წავიდა.

რომ არ ვეწეოდი, ესეც მაწუხებდა. როცა ციხეში მივედი, ყველაფერი წამართვეს: ქამარი, ფეხსაცმელის თასმები, პალსტუხი, სიგარეტები და დამიტოვეს. ერთხელ მოვიოხოვე დაებრუნებინათ ჩემი სიგარეტები. უბრალოდ თხრეს, აკრძალულიაო. პირველად ძალიან გამიჭირდა, ალბათ, პანანს ვიჭებოდი, ყველაზე მეტად. საწოლის ფიცარს ხის ნაჭრებს ვატეხდი და ვწუწუნდი. მოთელი დღე გული მერეოდა. არ მესმოდა, რატომ არ ძაძღვედნენ მოწვევის უფლებას. ეს ხომ არავის უშლიდა ხელს. მოგვიანებით მივხვდი, რომ ესეც ერთგვარი დასჯა იყო. ბოლოს პაპიროსის წევას გადავეჩვიე და ეს ჩემთვის სასჯელს აღარ წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, თავს უბედურად არ ვთვლიდი. საქმე ისევ და ისევ დროის მოკვლა იყო. როცა წარსულის მოგონება ვისწავლე, დრო შეუმჩნეველად გადიოდა. ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე თავს ჩემს ოთახში. ოთახის დათვალიერებას ერთ-ერთი კუთხიდან ვიწყებდი და ისევ იმ კუთხით ვათავებდი. ყველა ნივთს ვიგონებდი, რაც გზაში მხუდებოდა. პირველ ხანებში ამას ნაკლებ დროს ვანდომებდა, მერე კი რამდენჯერაც თავიდან დავიწყე, უფროს დიდხანს მოვუნდა. მაგონებოდა ავეჯი, სხვადასხვა ნივთები. ყველა წვრილმანი, ბზარები, დაზიანებული კიდევები. მახსენდებოდა მათი ფერი, ბოლოს, უმნიშვნელო დეტალებიც კი. ვცდილობდი არაფერი გამომრჩენოდა, გამეკეთებინა სრული აღწერა. ამ საქმეში ისე დავხელოვნდი, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ შემეძლო საათობით შეთვალიერებინა ჩემი ოთახი. და რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მესსაერებაში ამოტივტივდებოდა დავიწყებული საგნები, რომლებსაც აღრე ყურადღებასაც არ ვაქცევდი. მაშინ მივხვდი, რომ აღამიანს ერთი დღის მოგონებებით შეუძლია ციხეში ასე წელი გაატაროს. თურმე საკმარისი ყოფილა ერთი დღის მოგონება, რომ არ მოგეწყინოს. ეს მაინც იყო გამოსავალი.

დროის მოკვლაში ძილიც მესმარებოდა. პირველ ხანებში დამე ცუდად მეძინა, დღისით კი საერთოდ ვერ ვასერებდი დაძინებას. მაგრამ უძილობამ გამიარა და დღისითაც ვიძინებდი ხოლმე. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო თვეებში დღე-ღამეში თექვსმეტი-თვრამეტი საათი მეძინა. მრჩებოდა ექვსი საათი, რომელიც უნდა მომეკლა ჭამაში, ბუნებრივ მოთხოვნილებებში, მოგონებებში და იმ ამბის კითხვაში, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში მოხდა: ჩემს ლეიბსა და საწოლის ფიცარს შორის ვიპოვე ძველი გაზეთის გაცრეცილი და გაყვიოლებული ხაგლეჯი; გაზეთი ლეიბზე იყო მიკრული. შიგ ერთი ამბავი ეწერა, რომელსაც დასაწყისი აკლდა. ვფიქრობ, ეს ჩეხოსლოვაკიაში უნდა მომხდარიყო: ერთი კაცი ჩეხური სოფლიდან გასამდიდრებლად წასულიყო. ოცდახუთი წლის შემდეგ, ცოლ-შვილთან ერთად განდიდრებული დაბრუნდა. ამ კაცის დედას და დას სოფელში სასტუმრო კქონდათ. დედა რომ მოულოდნელად გაეხარებინა, ცოლ-წვილი სხვაგან დატოვა, თვითონ კი სასტუმროში მივიდა. დედამ ვეღარ იცნო. შვალმა ხუმრობით ნომერი აიღო, თან ფულიც დაანახა. დედამ და დამ მისი გაქურდვა განიზრახეს და ჩაქუჩით მოკლეს. ცხედარი კი მდინარეში გადაადგეს. დილით ცოლი მოვიდა, მან არაფერი იცოდა მომხდარი ამბის შესახებ და მგზავრის ვინაობა გაამყლაენა. დედამ თავი ჩამოიხრჩო, და ჭაში ჩავარდა. ეს

ამბავი ათასჯერ მაქვს წაკითხული. თითქოს დაუჯერებელიც იყო და თან ბუნებრივიც. ჩემი აზრით, მგზავრმა ეს დაიმსახურა. ადამიანმა არისდროს არ უნდა ითამაშოს.

და ასე, ძილმა, მოგონებებმა, ჩეხოსლოვაკიაში მომხდურებული სურათებით, დღისა და ღამის ცვალებადობამ დრო გაიყვანა. წაკითხულმა მწიგნობარმა ციხეში ადამიანს დროის ცნება ეკარგება. ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავდა. დღეების ხანგრძლივობას მე ვერ ვგრძნობდი, ისინი ჩემთვის არც იწყებოდნენ და არც მთავრდებოდნენ, ასე დაუსრულებლად გადადიოდნენ ერთმანეთში და თან სახელებს კარგავდნენ. აზრი ჩემთვის ორად ორ სიტყვას შერჩა: გუმბინ და ხვალ.

როცა დარაჯმა მითხრა, რომ უკვე ხუთი თვე გასულიყო, რაც ციხეში ვიყავი, ვერ დავიჯერე. ჩემთვის ეს ერთი უსასრულო დღე იყო, რომელიც ჩემი საკნის კედლებს ეხეთქებოდა. ეს იყო გაუთავებელი საქმე, რომელსაც სულ თან დავდევდი. როცა დარაჯი გავიდა, რკინის ჯამში ჩავიხედე. ჩემს თავს გავუღიძვე, სახე არ შემცვლია. ჯამი გავაქნიე. ძველ გავიღიძვე, სახემ იგივე მკაცრი და ნაღვლიანი აერა შეინარსუნა. დღე თავდებოდა და დგებოდა ჯამი, რომელზედაც მე არ მსურს ვალაპარაკო. ეს ის უსახელო საათი იყო, როდესაც ციხის ყველა სართულიდან გამოსული ხმაური ზევით ამოდიოდა და ერთფეროვან მღუმარებას არღვევდა. ბინდში სარკმელს მივუახლოვდი. კადევ ერთხელ დავაკვირდი ჩემს სახეს. ის სერიოზულობა არ შეცვლილიყო. თუმცა არც არის გასაკვირი, ეს ხომ მე ვიყავი. ხუთი თვის განმავლობაში პირველად გავიგონე ჩემი ხმა. ეს ხმა ვიცანი, იგი ჩემს ყურებში კარგა ხანია უღერდა და მივხვდი, რომ ამ ხნის განმავლობაში თურმე მარტო ვლაპარაკობდი. მაშინ განახსენდა ის, რაც მომვლელმა ქალმა დედამ ჩემის დასაფლავებაზე თქვა. არა, გამოსავალი არ იყო და ყურავინ წარმოიდგენს, რა არის ციხეში გატარებული საღამოები.

თავი მესამე

შემიძლია ვთქვა, რომ დრო ელვის სისწრაფით გავიდა და ზაფხულმა სწრაფად შეცვალა წარსული ზაფხული. სიცხეების დადგომასთან ერთად რაღაც ახალს ველოდი. ჩემი საქმე უნდა განეხილა სასამართლოს უკანასკნელ სხდომას, რომელიც ივნისის თვეში თავდებოდა. პროცესი მზის ამოსვლისას უნდა დაწყებულიყო. დაშცვლმა დამარწმუნა, კამათი ორ-სამ დღეზე მეტს არ გასტანსო.

— თუმცა, — დასძინა მან, — სასამართლო თქვენს საქმეს სწრაფად გაარჩევს, რადგან რთული არ არის. თქვენს შემდეგ დაიწყება მამის მკვლელის გასამართლება.

დილით, რვის ნახევარზე მომაკითხეს საპატრიარქოს მანქანით და სასამართლოში წამიყვანეს. ორმა ყანდარშმა შემიყვანა ოთახში, სადაც ჩესტის სუნი იდგა. კარებთან დავსხედით და ვიცდიდით. ოთახში შემოდიოდა ბები, შეძახილები, სკამების რახარუხი, ჩოჩქოლი, რამაც გამახსენა უბნის დღესასწაულები, როცა სკამებს მისწი-მოსწევდნენ, რათა საცეკვოდ გაენთავისუფლებინათ ადგილი. ყანდარმებმა მითხრეს, სასამართლოს დაწყებამდე ლოდინა მოგვიხდე-

ბათ. ერთ-ერთმა მათგანმა სიგარეტი შემომთავაზა. უარა ვუთხარი, შერე მკითხა:

— გეწინია?

— არა, — ვუპასუხე, — პროცესის ნახვა კიდევაც მაინტერესებს, ჩემს სიციცხლეში არასოდეს ვყოფილვარ სასამართლოზე.

— საერთოდ, დამლღელია ხოლმე, — თქვა მეორე ჟანდარმმა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ზარმა დაიწკრიალა. მაშინ ხელზე ბორკილები შემხსნეს. კარი გაიღო და დამნაშავეის სკამზე დამსვეს. დარბაზი ისე იყო გაჭედოილი, რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა. ჰაერი უკვე დახუთულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ფანჯრებზე ფარდები იყო ჩამოფარებული, მზე დარბაზში მაინც ატანდა. ფანჯრები დახურული იყო. მე დავჯექი, ირგვლივ ჟანდარმები განლაგდნენ. ჩემს წინ რამდენიმე სახე დავინახე. ყველანი მე მიმზერდნენ. მივხვდი, ნაფაცი მსაჯულები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ტრამპვაიში მსხდარი მკვანერები ახალშემოსულს გაუაცინებდნენ, უნდოდათ რაიმე სასაცილო ეპოვნათ მასში. კარგად მესმოდა, რომ ჩემი აზრი სულელური იყო, ამჟამად ისინი სასაცილოს კი არა, დანაშაულს დაეძებდნენ. ამ ორ ცნებას შორის დიდი სხვაობა არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავიფიქრე. დახუთულ დარბაზში ამდენი ხალხის მხერამ გამაბრუა. ახლა მოსამართლეებს შევხედე, სახეები ვერ გავარჩიე. ამდენ ხანს არც კი მიმიქცევია ყურადღება იმისთვის, რომ თურმე ყველა ჩემს დანახვას ცდილობდა. საერთოდ, ჩემი პიროვნებით არასოდეს არავინ დაინტერესებულა და ძლივს დავიჯერე, რომ მთელი ამ გამოცოცხლების მაზეზი მე ვიყავი.

— რამდენი ხალხია! — ვუთხარი ჟანდარმს.

მან მითხრა, რომ ეს ალიაქოთი ეჟურნალისტებმა გამოიწვიეს და მიმიითთა მოსამართლეთა ქვემოთ, მაგიდასთან მჯდარ ჯგუფზე:

— აა ისინი.

— ვინ ისინი? — ვკითხე.

— ეჟურნალისტები, — გაიმეორა მან.

ამ დროს ნაცნობი ეჟურნალისტი შენაშნა, რომელიც ჩვენკენ წამოვიდა. იგი ხანში შესულა იყო, სიმპათიური, შეტყვევლი სახე მქონდა. ეჟურნალისტმა ხელი მაგრად ჩამოართვა ჟანდარმს. მხოლოდ მაშინ შეენიშნე, რომ ხალხი ერთმანეთს ხვდებოდა, ესალმებოდა და საუბრობდა. ასე ხდება ხოლმე, როცა ერთი წრის ნაცნობები ერთმანეთს ხვდებიან და თავს ბედნიერად გრძნობენ. ვიგრძენი, რომ ზედმეტი ვიყავი, უცხო. თუმცა ეჟურნალისტმა დიმილით მომმართა და იმედი გამოთქვა, საქმე თქვენს სასარგებლოდ წარიმართებაო. მადლობა გადავუხადე.

— იცი, ჩვენ ცოტა გავბუჭეთ თქვენი საქმე. ზავხული ჩავარდნილი სეზონია გაზეთებისთვის, მხოლოდ თქვენი ამბავი და კიდევ მამის მკვლელობაა, რომელზედაც, ასე თუ ისე, ღარს ლაპარაკი. — შემდეგ ეჟურნალისტების ჯგუფში დამანახა პატარა ტანის მამაკაცი, რომელიც მსუქან სინდიოფალას ჰგავდა: უზარმაზარი, შავრკალიანი სათვალე ეკეთა. ეს კაცი პარიზის ერთ-ერთი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი იყო, მითხრა. — სხვათა შორის, თქვე-

ნი გულისათვის არ ჩამოსულა, მამის შკვლელის პროცესი უნდა აღწეროს, თან ტელეფონით თქვენს საქმესაც გადასცემს.

აქაც კინალამ მადლობა გადაუხადე, მაგრამ გადავიფიქრე, სასაცილო იქნებოდა. მერე ხელი დამიქნია, თითქოს თანაგრძნობა უნდოდა გამოგება და დაგვტოვა. რამდენიმე წუთს ლოდინი მოგვიხდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩემი დამცველი გამოცხადდა წამოსასხამით. იგი კოლეგებით იყო გარშემორტყმული. ჟურნალისტებისკენ გაემართა და ყველას ხელი ჩამოართვა. სანამ ზარი აწკრიალდებოდა, ისინი ხუმრობდნენ, იცინოდნენ, თავს მშვენივრად გრძნობდნენ. ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. დამცველი მომიახლოვდა, ხელი ჩამოართვა, მიჩიბა, შეკითხვებზე მოკლედ მეპასუხნა, ინიციატივა არ ამელო და დანარჩენში მისი იმედი მქონდა.

ჩემს მარცხნივ სკამი გაჭრაჭუნდა, მივიხედე და დავინახე მაღალი, ხმელ-ხმელი მონოკლიანი კაცი, რომელსაც წითელი მოსასხამი ეცვა და დაჯდომისას, ზედმეტი სიფრთხილით კალთებს იკეცავდა. ეს პროკურორი იყო. სასამართლოს აღმასრულებელმა მოსამართლეების შემოსვლა გამოაცხადა. იმავე წუთს ორი უზარმაზარი ვენტელატორი აგუგუნდა. სამი მოსამართლე, რომელთაგან ორი შავებში იყო ჩაცმული, ერთი კი — წითელში, საქმეებით ხელში ტრიბუნისკენ გაემართნენ. ტრიბუნა მოსამართლეებს დარბაზისგან პყოფდა. წითელ-მოსასხამიანი შუა სავარძელში ჩაჯდა, ქული წინ დაიდო, მელოტი თავი ცხვირ-სახოცით მოიმშრალა და სასამართლოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ჟურნალისტებს კალმები უკვე მოემარჯვებინათ. ყველას გულგრილი, ოდნავ დამცინავი სახე ჰქონდა. ერთ-ერთ მათგანს, ყველაზე ახალგაზრდას, რომელსაც ნაცრისფერი ფლიანელის კლსტუმი ეცვა და თეთრი პალსტუხი ეკეთა, კალამი წინ დაედო და მე მომჩერებოდა. ჟურნალისტის დამცინავ სახეზე მხოლოდ ორ ნათელ წერტილს ვხედავდი, რომლებიც თითქოს ყურადღებით და მუშტრის თვალით მიცქერდნენ, მაგრამ გარკვეულს არაფერს გამოხატავდნენ. საზარელი გრძნობა დამეუფლა — თითქოს ჩემს თავს მე თვითონ ვუცქერდი. რადგანაც არ ვიცნობდი სასამართლოს კანონებს, კარგად ვერ გავიგე, რა მოხდა. ყველაფერი ერთიმეორეს წაეწყო: მოსამართლეთა კენჭისყრა, თავმჯდომარის შეკითხვები დამცველისადმი, პროკურორისადმი და მსაჯულებისადმი (ამ დროს ნაფიც მსაჯულთა თავები სასამართლოსკენ ერთდროულად მიტრიალდებოდნენ ხოლმე), ბრალდების ოქმის სწრაფი კითხვა, როცა ჩამესმოდა ნაცნობი ადგილებისა და ადამიანების სახელები და ისევე კითხვები ჩემი დამცველისადმი.

თავმჯდომარემ მოწმეთა დაკითხვა დაიწყო. სასამართლოს აღმასრულებელმა ამოიკითხა გვარები, რომლებმაც ჩემი ყურადღება მიიქცია. აქამდე ჩემთვის უცნობი ხალხიდან ერთიმეორის მიყოლებით წამოდგნენ დირექტორი, თავშესაფრის კარისკაცი, ტომას პერეზა, რაიმონდი, მასონი, სალამანო, მარი და გვერდითი კარადან გაუჩინარდნენ. მარამ აღელვებით რაღაც მანიშნა. მივეირ-და, რომ ისინი აქამდე ვერ შევნიშნე. უკანასკნელი გვარის ამოკითხვისას სელესტი წამოდგა. მის გვერდით პატარა ტანის ქალი შევამჩნიე, რესტორანში რომ ვნახე. იმავე ჟაკეტში, იგივე მტკიცე და ქუში გამომეტყველებით. ქალი დაძაბულად მიცქერდა. თავმჯდომარემ სიტყვა აიღო და ფიქრი შემაწყვეტინა. მან თქვა, ახლა მხარეთა გამათი დაიწყება და ვფიქრობ, ზედმეტი იქნება, წესრიგისკენ მოგიწოდოთო. მისი აზრით, ისე უნდა წარემართა პროცესი, რომ

ადგილი არ ჰქონოდა მიკერძობებს და საქმე თბიერად განეხილათ. განა-
ჩენი უნდა გამოეტანათ სამართლიანობის სულისკვეთებით. ბოლოს ისიც თქვა,
თუ ვინმე ხმაურს ატეხს, დარბაზს დავატოვებინებთო.

დარბაზში სიციხემ იმატა და ხალხმა გაზეთები ააწრიალა. ეს დაქმუნული
ქალაქის გადაბმულ ხმაურს მოგაგონებდათ. თავმჯდომარემ აწიშა და სისა-
მართლოს აღმასრულებელმა დაწნული ჩალის სამი მარათა შემოტანის, ერთ-
ლებიც სამივე მოსამართლემ მაშინვე გამოიყენა.

მალე ჩემი დაკითხვა დაიწყო. თავმჯდომარე აუჩქარებლად მაძლევდა კით-
ხვებს, თითქოს გულთბილიც კი იყო ჩემდამი. კიდევ ერთხელ მათქმევინეს ჩემი
ვინაობა და მიუხედავად იმისა, რომ ეს მაღიზიანებდა, გავიფიქრე, ეს ბუნებ-
რივია, რადგან სერიოზული შეცდომა იქნებოდა გავსამართლებინათ ერთი ადა-
მიანი მეორის მაგივრად. შემდეგ თავმჯდომარე თავიდან მოყვა რაც ჩავივლინე,
თან შეკითხებოდა:

— ასეა, არა?

მე კი ვუპასუხებდი:

— დიახ, ბატონო თავმჯდომარე, — ისე, როგორც ჩემმა დამცველმა მას-
წავლა.

ეს დიდხანს გავრძელდა, რადგან თავმჯდომარე ბევრ წვრილმანს შეეხო.
მთელი ამ ხნის მანძილზე ჟურნალისტები წერდნენ. ვგრძობდი ყველაზე
ახალგაზრდა ჟურნალისტისა და „პატარა ქალი-ავტომატის“ მზერას. „ტრამვაის
მგზავრები“ თავმჯდომარეს მისჩერებოდნენ. თავმჯდომარემ ჩაახველა, საქმე
გადაფურცლა და მარათს ქნევით ჩემკენ შემოტრიალდა.

შემდეგ მითხრა, რომ დამისვამდა კითხვებს, რომლებიც ერთი შეხედვით
ჩემს საქმეს არ ეხებოდა, მაგრამ ახლო კავშირში იყო მასთან. მივხვდი, ისევ
დედაზე ალაპარაკებოდნენ; ვიგრძენი, როგორ მომხვზრდა ყოველივე ეს.
მკითხა, რატომ მივაბარე დედა თავშესაფარში, მივუგე, რომ არ მქონდა საკმაო
ფული დედის შესანახად და მოსავლელად. მკითხა, ძვირი თუ მიჯდებოდა დე-
დის შენახვა. ასე ვუპასუხე:

— მე და დედაჩემი ერთმანეთისაგან არაფერს ველოდით, და არც არავის-
გან. ორივენი მივეჩვიეთ ამ ახალ ცხოვრებას. — ამგვარი პასუხის მერე თავმჯ-
დომარეს აღარ სურდა ამ საკითხზე შეჩერება და ჰკითხა პროკურორს, ჰქონდა
თუ არა შეკითხვები.

ამ უკანასკნელმა ნახევრად ზურგა შემაქცია. არც კი შემოუხედავს, ისე
განაცხადა, რომ თუ თავმჯდომარე ხეზას დართავდა, უნდოდა გაეგო, არაბის
მოკვლის მიზნით ხომ არ დაებრუნდი წყაროსთან.

— არა, — ვუთხარი მე.

— მაშ, რატომ იყო ბრალდებული შეიარაღებული და მაინცდამაინც იქით
რატომ წავიდა?

ვუპასუხე, რომ ეს შემთხვევით მოხდა. პროკურორმა ზიზღით გამოსცრა
კბილებში: „ჯერჯერობით, ეს საკმარისია“. ყველაფერი აირია, რა თქმა უნ-
და, ჩემთვის. ცოტა ხნის საიღუმლო თათბირის შემდეგ თავმჯდომარემ სისა-
მართლოს სხდომა დახურულად გამოაცხადა და მოწმეთა დაკითხვა დღის მეორე
ნახევრისთვის გადადო.

გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, საპატიმროს მანქანაში ჩამსვეს და ციხეში

წამიყვანეს. იქ ვჭამე. ცოტა ხნის შემდეგ, სწორედ მაშინ, როდესაც დაღლილობა ვიგრძენი, ჩემს წასაყვანად მოვიდნენ და ყველაფერი თავიდან დაიწყო. იმავე დარბაზში აღმოვჩნდი, იმავე სახეების წინ. მხოლოდ უფრო ჩამოცხა და ყველა მოსამართლეს, პროკურორს, ჩემს დამცველს და რამდენიმე ჟურნალისტს ჩალის მარაოები ჰქონდათ. ახალგაზრდა ჟურნალისტი და პატარა ტანის ქალი ისევ აქ იყვნენ. ისინი არ ინიავებდნენ და უსიტყვოდ შემომცქეროდნენ. ოფლი მოვიწმინდე და როცა თავშესაფრის დირექტორის ლაპარაკი შემომესმა, მაშინ მოვეგე გონს, მივხვდი, სად ვიყავი და აღვიქვი ჩემი თავი. დირექტორს ჰკითხეს, დედა უკმაყოფილებას თუ გამოთქვამდა შეილზეო. კიო, დაუდასტურა და დასძინა: ყველა პანსიონერს ჩვეულებად აქვს ანლობლებზე წუწუნით. თავმჯდომარემ ისიც ჰკითხა, მკიცხავდა თუ არა დედა იმის გამო, რომ იგი თავშესაფარში მავაბარე.

დიაბ, — უბასუხა დირექტორმა. მაგრამ ამჯერად არაფერი დაუმატებია.

შემდეგ კითხვაზე უბასუხა, რომ დასაფლავების დღეს განცვიფრებული იყო ჩემი სიმშვიდით. ჰკითხეს, რას გულისხმობთ სიმშვიდეშიო. დირექტორმა ფეხსაცმელებზე დაიხედა და თქვა, რომ არ მოვისურვე დედის ნახვა, ერთხელაც არ ვიტყვ, დასაფლავების შემდეგ მაშინვე წავედი, ისე, რომ უკანაც არ მომიხედა. დირექტორი კიდევ ერთი რამით იყო გაკვირვებული: ერთ მესაფლავეს ეთქვა, რომ მე არ ვიცი დედის წლოვანება. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ ჰკითხა დირექტორს, ეს ნამდვილად მე შეხებოდა თუ არა. რადგანაც დირექტორმა ვერ გაუგო კითხვა, თავმჯდომარემ აუხსნა: კანონი დაზუსტებას მოითხოვსო. შემდეგ თავმჯდომარემ ჰკითხა პროკურორს, სურდა თუ არა მოწმის დაკითხვა. პროკურორმა წამოიყვირა:

— ო, არა, ეს საკმარისია, — ისეთი გზნებითა და გამარჯვებულა იერთო თქვა ეს, რომ პირველად ჩემს სიცოცხლეში არანორმალურად მომიხდა ტირილი, რადგანაც ვიგრძენი, როგორ ვეზაზღებოდი ყველას.

ვინაიდან მსაჯულებს და დამცველს ჩემდამი შეკითხვები არ ჰქონდათ, თავმჯდომარემ მოუხსმინა კარისკაცს. როგორც ყველამ, კარისკაცმაც გაიარა სასამართლოს ცერემონიალი. როცა მომიახლოვდა, თვალი ამარიდა. შემდეგ კითხვებზე უბასუხა. თქვა, რომ არ მოვისურვე დედის ნახვა, სიგარეტის მოკწიე, მეძინა და რძიანი ყავა დავლიე. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ რაღაც ადევებდა დარბაზს და პირველად მივხვდი, რომ ბიროტმოქმედი ვიყავი. კარისკაცს კიდევ ერთხელ გაამეორებინეს სიგარეტისა და რძიანი ყავის ამბავი. სასამართლოს ბრალმდებელმა ირთნიულად შემომხედა. ამ დროს ჩემმა დამცველმა ჰკითხა, მოსწია თუ არა კარისკაცმა ჩემთან ერთად სიგარეტი. მაგრამ პროკურორი გამძაფრებით აღუდგა ამ კითხვას:

— ბოლოს და ბოლოს, ვინ არის აქ დამნაშავე? და რა მეთოდია ეს დაცვისა, როცა მოწმეს ბრალს სდებთ, ჩირქსა სცხებთ!.. მაგრამ ამით მაინც ვერ შეუწინსუბუტებთ ბრალდებულს დანაშაულს.

მოუხედავად ასეთი გამოსვლისა, თავმჯდომარემ მაინც სთხოვა კარისკაცს პასუხი გაეცა ამ კითხვაზე. მოხუცმა დარცხვენით თქვა:

— მესმის, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ ბატონს უარი ვერ ვუთხარი შემოთავაზებულ სიგარეტზე.

ბოლოს მე მკითხეს, თუ დაუმატებ რამესო.

— არაფერა, — უპასუხე, — გარდა იმისა, რომ მოწმე სიმართლეს ამბობს, მე მას მართლაც შეეთავაზე სიგარეტი.

მეკარემ გაოცებით და მადლობით შემომხედა. ცოტა ყოყმანის შემდეგ დაუმატა, რომ რძიანი ყავა მას შემონათავაზა. ჩემმა დამცველმა განმარტებული იერით გამოაცხადა: ვიმედოვნებ, მოსამართლეები ამას მხედველობაში მისაღებუნო, მაგრამ ჩვენს თავს ზემოთ პროკურორმა დასჭექა:

— დიახ, ბატონი მოსამართლეები გათავალისწინებენ ამას. უცხოვს შეეძლო ყავის შეთავაზება, მაგრამ შეილს უარი უნდა ეთქვა იმ ადამიანის ცხედრის წინაშე, რომელმაც მას სიცოცხლე აჩუქა.

კარისკაცი თავის ადგილზე დაჯდა

ტომას პერეზის ჯერი მოვიდა. სასამართლოს მდივანმა იგი მოაჯირამდე მიაცილა. პერეზმა თქვა, რომ ის მართლ დედაჩემს იცნობდა და მე მხოლოდ ერთხელ მნახა დასაფლავების დღეს. ჰკითხეს, როგორ იქცეოდა იმ დღესო და მანაც მალე:

— იცით, მე თვითონ ძალიან განვიცდილა, არაფერი შემამჩნევია, მწუხარება მიშლიდა ხელს; ჩემთვის ეს დიდი დანაკარგი იყო, გულიც შემიწუხდა. ამიტომ ბატონისათვის ყურადღება არ მიმიქცევია.

პროკურორმა ჰკითხა, თუ იტირა მაინც დასაფლავებისასო.

— არა, — უპასუხა პერეზმა.

მაშინ პროკურორმა თქვა:

— ბატონებო, სასამართლო ამას მხედველობაში მიიღებს. — ჩემი დამცველი გაბრაზდა. მოძეჩვენა, რომ ხაზგასმულ ჰკითხა პერეზს:

— თქვენ დაინახეთ, რომ ბატონი არ ტიროდა?

— არ დამინახავს, — უპასუხა პერეზმა.

ხალსმა გაიციხა, ჩემმა დამცველმა სახელო აიწია და კატეგორიული ტონით წარმოთქვა:

— აი, ამ პროცესის სახე, ყველაფერი მართალია და არაფერი არ არის მართალი.

პროკურორი მოღუშული სახით იჯდა და კალმით საჭაღალდეზე რაღაცას წაბნინდა.

ხუთწუთიანი შესვენებისას დამცველმა მიუხრა, საქმე კარგად მადასო. ამის შემდეგ სელესტას გვარა გამოაცხადეს; იგი ჩემი მოწმე იყო. სელესტი ჭილის ქუდს ხელში ატრიალებდა და დროდადრო ჩემკენ იხედებოდა. ის ახალ კოსტუმში იყო გამოწყობილი; ამ კოსტუმს მაშინ იცვამდა, როდესაც კვირაობათ დოღზე მივდიოდით ხოლმე. რადგანაც საყულო ვერ გავკეთებინა, პერანგი რკინის ღილით შეეკრა. ჰკითხეს, მისი კლიენტი ვიყავი თუ არა.

— დიახ, ჩემი კლიენტი იყო და მეგობარიც.

— რა აზრისა ხართ მასზე?

კაცური კაციო, თქვა და დასძინა: ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რისი თქმაც მსურსო. კითხვაზე, მე გულხათხრობილი ვიყავი თუ არა, აღიარა, — „არ ლაპარაკობდა, როცა სათქმელი არაფერი ჰქონდა“. პროკურორმა ჰკითხა, სისტემატურად ვიხდიდი თუ არა ფულს. სელესტმა გაიციხა და განაცხადა:

— ეს წვრილმანები ჩვენს შორის იყოს.

ისიც ჰკითხეს, თუ რა აზრისა იყო ჩემს დანაშაულზე. სელესტი ბელები მოაჯირზე დაიწყო, ეტყობოდა, რაღაც მოემზადებინა სათქმელად:

— ჩემი აზრით, ეს უბედური შემთხვევაა. ყველამ იცის, რა არის უბედური შემთხვევა. ეს ჩვენ გვაბნევს, ძალას გვაკარგვინებს. დიან, შენვე უბედურია, ეს უბედური შემთხვევაა. — უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა და შეაწყვეტინა.

სელესტი გაცბუნებული დარჩა, კიდევ მსურსო ლაპარაკი. სთხოვეს მოკლედ ეთქვა. კიდევ გაიმეორა, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო. თავმჯდომარემ უთხრა:

— დიან, გასაგებია, ჩვენ სწორედ იმიტომ ვართ აქ, რომ ამგვარი შემთხვევა გავარჩიოთ. მადლობას მოგახსენებთ.

სელესტი ისე მობრუნდა ჩემკენ, თითქოს მიზანს მიადწია და განახორციელა კეთილშობილური სურვილი. მომეჩვენა, რომ თვალები უბრწყინავდა და ტუჩები უცახცახებდა, თითქოს მეკითხებოდა, კიდევ რისი გაკეთება შემიძლიათ. მე არაფერი მითქვამს, არაფერი გამომიხატავს, მაგრამ პირველად ჩემს სიცოცხლეში მომინდა კაცს გადავხვეოდი. თავმჯდომარემ ადგილზე დაბრუნება უბრძანა. სელესტი დარბაზში დაბრუნდა. სხდომის განმავლობაში სელესტი ნიდაყვებით იყო მუხლებზე დაყრდნობილი, ხელში ჭილის ქუდი ეჭირა და უსმენდა ყოველივეს, რაც იქ ითქმებოდა. მარი შემოვიდა. მას ქუდი ეხურა და უფრო ლამაზი ჩანდა. მაგრამ მე ის უჭყუოდ, გაშლილი თმებით უფრო მოძწონდა. შორიდან ვგრძნობდი მისი მკერდის სიმსუბუქეს და ვუყურებდი ქვედა ტუჩს, რომელიც ყოველთვის ოდნავ გამობერილი ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა. ჰკითხეს, რამდენი ხანია რაც იცნობო. მან ის დრო დაასახელა, როდესაც ერთად ემუშაობდით. თავმჯდომარემ აკითხა, როგორი იყო ჩვენი ურთიერთობა. მარიმ თქვა, მეგობრები ვიყავითო. შემდეგ კითხვაზე უპასუხა, რომ მართლა სურდა ჩემი ცოლობა. პროკურორმა ჰკითხა, როდიდან დაიწყო ჩვენი ინტიმური ურთიერთობა და თან ჩემს საქმეს ფურცლავდა. მარიმ უპასუხა. პროკურორმა გულცივად შენიშნა, თუ არ ვცდები, ეს დედის დასაფლავების მეორე დღეაო. შემდეგ ირონიულად აღნიშნა, რომ მარის უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა და არ აფხირდებოდა ამ დელიკატურ სიტუაციას (აქ მისი ტონი მკაცრი გახდა), მაგრამ მოვალეობა უფლებას არ აძლევდა ზრდილობაზე ეფიქრა. ამის შემდეგ სთხოვა მარის, ჩვენი პირველი დღე აეწერა. მარის არ სურდა ლაპარაკი, მაგრამ პროკურორმა აიძულა მოეთხრო ბანაობაზე, კინოში წასვლაზე და ჩემთან ყოფნაზე. მარის წინასწარი ჩვევების შემდეგ პროკურორს გადაეთვალისწინებინა იმ დღის პროგრამები, ახლა კი მარის თვითონ ათქმევინა, რომელი სურათი ენახეთ. მარიმ ჩაწყვეტილი ხმით თქვა, რომ ეს იყო ფილმი ფერნანდელის მონაწილეობით. როდესაც დაამთავრა, დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. პროკურორი აღელვებული წაშთდგა, ჩემკენ თითი გამოიშვირა და ნელა დაიწყო:

— ბატონო მსაჯულნო, დედის დასაფლავების მეორე დღეს ეს კაცი საბანაოდ მიდის, იწენს საყვარელს და კომიკურ ფილმს ესწრება. მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი.

პროკურორი დაჯდა. დარბაზი დუმდა. უეცრად მარა აქვითინდა. თქვა, რომ

ვერ გაუგეს მას, დააძალეს ეთქვა იმის საწინააღმდეგო, რასაც ფიქრობდა, რომ კარგად მიცნობს და არაფერი არ დამიშავებია. თავმჯდომარის ნიშანზე სასამართლოს აღმასრულებელმა მარი გაიყვანა. ახდომა გრძელდებოდა.

ამის შემდეგ ძლივს მოუსმინეს მასონს. მან განაცხადა, რომ მე პატროსანი კაცი ვიყავი და „მეტსაც იტყოდა“, მამაცი აღამიანიც. სალამანოვს ვეჭვებდით მოუსმინეს. მოხუცმა თქვა, რომ მის ძალს კარგად ვეჭვებდით. კითხვაზე უპასუხა, რომ მე და დედაჩემი საერთოს ვეღარ ვპოულობდით და ამიტომ მივაბარე თავწესაფარში. „უხდა გაუგოთ“ — ამბობდა სალამანო, — „უნდა გაუგოთ“, მაგრამ არავის არ უნდოდა ვაგება. სალამანო გაიყვანეს.

რაიმონდის ჯერიც მოვიდა. ის უკანასკნელი მოწმე იყო. რაიმონდმა რაღაც მანიშნა და თქვა, რომ მე არ ვიყავი დამნაშავე. თავმჯდომარემ აუხსნა, რომ მისი აზრი კი არ აინტერესებთ, არამედ ფაქტები, და იმით გამოიძიებს, რომ კითხვებზე ეპასუხა. დააზუსტეს, როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას მსხვერპლთან. რაიმონდმა შემთხვევით ისარგებლა და განმარტა: არაბმა მას შემდეგ ამითვალისწინა, რაც მისი და გავლანო. თავმჯდომარემ ჰკითხა, არაბს თუ ჰქონდა რაიმე მიზეზი ჩემს შესაბულებლად. რაიმონდმა თქვა, რომ მე შემთხვევით მოვხვდი პლიაქსე.

— მაშ, წერილი, რომელმაც გამოიწვია ეს დრამა, რატომ იყო მერსოს დაწერილი, — იკითხა პროკურორმა.

— ესეც შემთხვევის ამბავია, — უპასუხა რაიმონდმა.

პროკურორმა ამით ისარგებლა და აღნიშნა, ამ საქმეში ძალიან ბევრ რამეს აბრალებთ შემთხვევითობასაო. იქნება ისიც შემთხვევით იყო, რომ არ ჩავერიე, როცა რაიმონდი საყვარელს სცემდა, შემთხვევით დაგუდებო მოწმედ კომისარიატში და შემთხვევით მივეცე ჩვენება, რომელიც მხოლოდ ჩემი ზრდილობით იყო ნაკარნახევი? რაიმონდს ჰკითხეს, რა იყო მისი არსებობის წყარო. საწყობის გამგედ ვმუშაობო, — უპასუხა. პროკურორმა განაცხადა, რომ ოფიციალური ცნობების მიხედვით, რაიმონდის ხელობა სურტენიორობა იყო. მე კი მისი თანამონაწილე და მეგობარი ვიყავი. პროკურორის აზრით, ჩემი საქმე ყველაზე დაბალი სახეობის ბილწი და გარყვნილი დრამა იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ მე მორალური ურჩხული ვიყავი. რაიმონდს თავის გამართლება სურდა და ჩემმა დამცველმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ შეაწყვეტინეს, რათა პროკურორს სიტყვა დაემთავრებინა.

— კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს. — თქვა პროკურორმა. — დამნაშავე თქვენი მეგობარია?

— დიახ, — უპასუხა რაიმონდმა, — მერსო ჩემი მეგობარი იყო.


პროკურორმა მეც იგივე შეკითხვა დამისვა. რაიმონდს შეეხედე. მას თვალი არ მოუშორებია. დიახ-მეთქი, მივუგე. დამცველი მოსამართლეებისკენ შეტრიალდა:

— აი, კაცი, რომელიც დედის სიკვდილის მეორე დღეს ყველაზე სამარცხვინო გარყვნილებას არ თაკილობს, კლავს აღამიანს სულელური, უმნიშვნელო მიზეზების გამო, რათა ხელი შეუწყოს ბინძური ურთიერთობის გაგრძელებას.

პროკურორი დაჯდა. ჩემს დამცველს მოთმინების ფიალა აევსო, წამოდგა, ხელები მაღლა ასწია, გახამებული პერანგის ნაკეცები გამოაჩინა და წამოიყვირა:

— ბოლოს და ბოლოს, რაზე ასამართლებთ ამ კაცს. მკვლელობისთვის, თუ იმის გამო, რომ დედა დაასაფლავა?

ხალხმა გაიციინა. პროკურორი ისევ წაპოღვა. მანტიაში გაეხვია და განაცხადა:

— პატივცემული დამცველი არ უნდა იყოს ისე გულუბრყვილო, რომ არ იგრძნოს თუ რაოდენ ღრმა, სწიშვებლოვანი და მჭიდრო კავშირში მყოფია შორის. დაახ, — წამოიყვირა გზნებით, — მე ვაღანაშაულებ მშ უაქსს!  რაღა დედა დამნაშავეის გაყინული გულით დაასაფლავა.

ამ განცხადებამ ეფექტი მოახდინა ხალხზე. ჩემმა დამცველმა მხრები აიჩეჩა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ნიწწამხდარი იყო და მივხვდი, რომ საქმე ცუდად მიდიოდა.

სხდომა დაიხურა. როდესაც სასამართლოს შენობიდან გამოვედი მანქანაში ჩასაჯდომად, წამით ვიგრძენი ზაფხულის საღამოს სურნელება, მისი ფერი, დავიდალე. საპატიმროს მანქანის სიბნელეში საიდანღაც ამოტივტივდა ქალაქის ყველა ნაცნობი ხმაური, თდესდაც რომ მიყვარდა, იმ გარდასულ დღეთა გნისი, როცა მე კმაყოფილი ვიყავი. შემომესმა გაზეთების დამტარებლების შედახილები დამსიმებულ ჰაერში, სკვერში ჩიტების ტიკტიკი, სენდვიჩის გამყიდველების ყვირილი, ტრამვაის მწუხარე კივილი ქალაქის მოსახვევებში და ცის შორეული გუგუნე პორტს რომ მოიცავს ბიწლის ჩამოწოლისას. ამ ხმათა მიხედვით თვალდახუჭული გავიგნებდი გზას, რომელსაც კარგად ვიცნობდი ციხეში ჩაჯდომამდე. დიდი ხნაა წინათ, სწორედ ამ დროს, მე თავს კმაყოფილად ვგრძნობდი. ჩემი მაშინდელი ძილი მსუბუქი და უსიზმრო იყო. და მაინც შეიცვალა რაღაც; მეორე დღის მოლოდინში მე კვლავ ჩემი საკანა ვპოვე. თითქოს ზაფხულის ცაზე დახაზული ნაცნობი გზებით ზოგი ციხეში მიდის, ზოგი კი უმანკო ძილში.

თავი მეთხუ

ადამიანს ყოველთვის აინტერესებს, რას ამბობენ მასზე, გინდაც ბრაოდებულის სკამზე იჯდეს. პროკურორი და დამცველი, როცა საქმეს არჩევდნენ, ჩემზე ბევრს ლაპარაკობდნენ, შეიძლება ითქვას, რომ უფრო ჩემზე ლაპარაკობდნენ, ვიდრე ჩემს დანაშაულზე. იყო კი მათი გამოსვლები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული? დამცველი ხელებს ზევით ალაპყრობდა და დამნაშავეს იცავდა, შენდობას ითხოვდა. პროკურორი კი ხელს დამნაშავესკენ იშვერდა და დანაშაულს გულქვაობით ააშკარავებდა. რაღაც მაწუხებდა. მიუხედავად ჩემი წინასწარი შეგონებისა, ჩარევას ვცდილობდი. „ჩემად იყავით, ასე უკეთესი იქნება თქვენს საქმისათვის“, — მაჩერებდა ხოლმე დამცველი. საქმე თითქოს ჩემს დაუსწრებლად ირჩეოდა. ყველაფერი ისე მიდიოდა, რომ არ ჩავრეულვარ. არაფერს მეკითხებოდნენ, ისე წყვეტდნენ ჩემს ბედს: ხანდახან სურვალე შებადებოდა, ყველა შემეჩერებინა და მეთქვა: — „ბოლოს და ბოლოს, ვინ არის დამნაშავე, დამნაშავეის სკამზე მე ვზივარ და მეც მათქმევინეთ რაზე“. მაგრამ როცა დავფიქრდებოდი, არაფერი მქონდა სათქმელი. მიხდა აღვნიშნო, რომ ადამიანის ყურადღების მიპყრობა ადვილია, მაგრამ ეს ინტერესი დიდხანს არ გრძელდება. მაგალითად, პროკურორის გამოსვლამ ძალიან ჩქარა დამდალა.

მისი სიტყვიდან მხოლოდ ფრაგმენტებმა, ფესტებმა და ზოგიერთმა ტარადამ
თუ შიშველია ჩემი ყურადღება.

მისი ბრალდების საფუძველი ის იყო, რომ მე განზრახვით ჩაყიდინე დანა-
შაული. ყოველ შემთხვევაში, პროკურორი ეცადა, ასე გამოეყვანა:

— მე ამას დაგიმტკიცებთ, ბატონებო, ორგზის დაგიმტკიცებთ. ჩემი ფაქ-
ტების დასაბრძალებელ შუქზე, მერე კი დანაშაულის სულის ფსაქოლოგის ინელ
სინათლეზე.

მან მოკლედ აღნიშნა ფაქტები, რაც დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მოხ-
და. ისევე ჩემს უგრძნობლობაზე ილაპარაკა, იმაზე, რომ არ ვიცოდი დედაჩემის
წლოვანება, ქალთან ერთად ბანაობაზე, დასაფლავების მეორე დღეს კინოში
წასვლაზე, ფერწაღებზე, და ბოლოს იმაზე, რომ მე და მარი ერთად დავბრუნ-
დით სახლში. „მისი საყვარელი“, ასე ახსენებდა პროკურორი მარის, მე ერთ-
ბაშად ვერც კი მივხვდი ვისზე ლაპარაკობდა, რადგანაც ეს ჩემთვის მხოლოდ
მარი იყო. შემდეგ ის რაიმონდის ამბავს შეეხო. ჩემის აზრით, მას თავისებუ-
რად კარგად ესმოდა ფაქტები, დამაჯერებლადაც ლაპარაკობდა: რაიმონდთან
შეთანხმებით დავწერე წერილი მისი საყვარლის მოსატყუებლად, იმ მიზნით,
რომ იგი „საეჭვო მოზაიკის“ მქონე კაცის ხელში ჩამეგდო. პლიაჟზე რაიმონდის
მოწინააღმდეგენი გამოვიწვიე. რაიმონდი დაიჭრა. მას რევოლვერი გამოვართვი
და უკან მარტო დავბრუნდი მკვლელობის ჩასადენად და როგორც განზრახული
მქონდა, მოვკალი არაბი. შევიცადე იმისათვის, რომ დავრწმუნებულიყავი „სა-
შუშაო როგორ იყო შესრულებული“, დინჯად, გაფიქრებულად და აუცდენლად
კიდევ ოთხი ტყვია დავაბაღე.

— ახ ბატონებო, — განაცხადა პროკურორმა, — თქვენს წინაშე თავი მო-
ვუყარე და მოლიანობაში წარმოვადგინე ფაქტები, რომლებმაც ეს კაცი მკვლე-
ლობამდე მიიყვანა. მან იცოდა, რაზედაც მიდგოდა. მე ამას ხაზა ვუსვამ; აქ არ
არის ლაპარაკი ჩვეულებრივ მკვლელობაზე, გაუფიქრებელ საქციელზე, რო-
მელიც მდგომარეობის მიხედვით შეიძლებოდა შემსუბუქებულიყო. ბატონებო,
ეს ადამიანი ჭკვიანი კაცია, ხომ მოუტყინეთ, მას შეუძლია პასუხის გაცემა, იცის
სიტყვების ფასი და არ შეიძლება ვთქვათ, თითქოს თავის საქციელისათვის
ანგარიშის გაწევა არ შეეძლოს.

ვუსმენდი და ეგრძნობდი, რომ ჭკვიანად მთვლილდნენ, მაგრამ არ მესმოდა,
თუ როგორ უნდა გეტყულიყო ჩვეულებრივი ადამიანის თვისებები დანაშაულის
გამანადგურებელ ბრალდებად. ეს მათეობდა. ყური აღარ დამოგდია პროკუ-
რორისთვის, მაგრამ მაინც მთმხვდა ყურში მისი ნათქვამი:

ერთხელ მაინც თუ გამოთქვა ამ კაცმა სინანული? არასოდეს ბატო-
ნებო. წინასწარი გამოძიების დროს ერთხელაც არ აღელვებულა ასეთი საზაზ-
ღარი, საძაგელი დანაშაულის გამო.

პროკურორი შემობრუნდა, თითი ჩემკენ გამოიშვირა და ასე განაგრძობდა
კიცხვას, თუმცა კარგად ვერ ვხვდებოდი, რატომ. რა თქმა უნდა, მას სიმართ-
ლეს ვერ წავართმეედი. მართლაც არ ვნანობდი. მაგრამ მისი ასეთი გაბო-
როტება მაკვირვებდა, რომ შემსუბუქებდა, სიამოვნებით ავუხსნიდი, რომ, საერ-
თოდ, არასოდეს არაფერი დამნანებია. მე ცხოვრებას მივყავდი. დღევანდელი
და ხვალისდელი დღით ეცხოვრობდი მხოლოდ, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში
მყოფს უფლება არ მქონდა ამ ტონით მელაპარაკა. არ მქონდა უფლება გულ-

კეთილი ვყოფილიყავი, მქონდა კარგი სურვილები და ისევ ყური მივუვდე, რადგან პროკურორი ჩემს სულს შეეხო.

მას ჩაუხედავს ჩემს სულში და ვერაფერი დაუნახავს, ბატონო მოსამართლეებო. ამბობდა, რომ საერთოდ არ გამაჩნდა სული და არც არაფერი ადამიანური ჩემთვის არ იყო მისაწვდომი, არ გამაჩნდა არავითარი მორალური პრინციპი, რომელიც იფარავს ადამიანობას.

— ვიცი, რომ იმაში ვერ დავაღანაშაულებთ. ვერ გავცნობ სიბრალულის, რაც არა აქვს. მაგრამ როცა საქმე სასამართლოს ეხება, სიბრალულის გრძობამ, რომელიც სრულიად საწინააღმდეგოა შემწყნარებლობისა, ადვილი უნდა დაუთმოს სასამართლიანობასა და ჭეშმარიტებას, რომელიც უფრო ძნელი გამოსახატავია და მალლაც დვას. მით უფრო, როცა გულის სიციარიელე, რომელიც ამ კაცში აღმოაჩინეს, იქცევა უფსკრულად, სადაც მთელი საზოგადოება შეიძლება დაიღუპოს. — ეს აზრი მაშინ გამოთქვა, როდესაც დედისადმი ჩემს დამოკიდებულებაზე ილაპარაკა. ახლაც იგივე გაიმეორა, რაც ადრე ითქვა, მაგრამ უფრო ხანგრძლივად, ვიდრე მაშინ, როდესაც ჩემს დანაშაულს არჩევდნენ. იმდენა ილაპარაკა, რომ გამოვეთიწე და სიცხის შეტს ვერაფერს ვგრძობდი. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. პროკურორმა კვლავ დაიწყო ხმადაბლა, გულში ჩამწვდომი ხმით: — იგივე სასამართლო, ბატონებო, ხვალ გაასამართლებს ყველაზე დიდ დამნაშავეს: მამის მკვლელს. — მისი აზრით, წარმოუდგენელი იყო ასეთი შემზარავი საქციელი. იმედი ჰქონდა, რომ მართლმსაჯულება ყოველგვარი შენდობის გარეშე გამოიტანდა განაჩენს. არ ეშინოდა იმ აზრის გამოთქმისაც კი, რომ ეს საზარელი მკვლელობა და ჩემი გულციუობა თითქმის ერთნაირი იყო. — კაცი, რომელიც მორალურად კლავს დედას, ისევე იკვებება საზოგადოებიდან, როგორც კაცი, რომელიც ხელს აღმართავს მამაზე. როგორც არ უნდა მიუდგეთ ამ ორ დანაშაულს, პირველმა ნიადაგი მოუშადა მეორეს, თითქოს მოსალოდნელიც გახადა და გაამართლა. დარწმუნებული ვარ იმაში, ბატონებო, — დასძინა მან, და ხმას აუწია, — თავხედობაში არ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ კაცს, რომელიც ახლა დამნაშავეს სკამზე ზის, დანაშაული მიუძღვის იმ მკვლელობაშიც, რომელიც სასამართლომ ხვალ უნდა გაარჩიოს. ამიტომ ისე უნდა დაისაჯოს, როგორც დაიმსახურა. — პროკურორმა ოფლით აბრიალებული სახე მოიწმინდა. ბოლოს აღნიშნა, რომ მძიმე მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ ვალს მტკიცედ მოიხდიდა. განაცხადა, რომ მე საზოგადოების ძირითად წესებს არ ვიცნობდი, და არც უნდა მეცხოვრა ამ საზოგადოებაში; ვერც ღმობიერებას მოვთხოვდი ვინმეს, რადგან მე თვითონ გულცივი ვიყავი. — მე ამ კაცის სიკვდილით დასჯას მოვითხოვ და ამას ყოველგვარი სინანულის გარეშე ვამბობ. ჩემი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში თუ ოდესმე მქონია შემთხვევა დაეინებით მომეთხოვა სასჯელის უმაღლესი ზომა ისე, როგორც დღეს, არასდროს მიგვრძნია, რომ ჩემი ძნელი მოვალეობა კეთილსინდისიერად შევასრულე, მისგან განვთავისუფლდი და ჩემი სინდისი განაწმინდა აუცილებელი მოვალეობისაგან. ამ კაცში ურჩხულის მეტს ვერაფერს ვხედავ.

როცა პროკურორი დაჯდა, სიჩუმე ჩამოვარდა. მე განცვიფრებული ვიყავი, სიცხით გაბრუებული. თავმჯდომარემ ჩაახველა და ჩუმად მკითხა, რამეს ხომ არ დაამატებთო. ლაპარაკი მსურდა, წამოვდექი და ანგარიში შემიუცემლად ვთქვი, რომ არაბის მოკვლა არ მქონდა განზრახული.

— ეს შტკიცებაა. — თქვა თავმჯდომარემ, — ამდენ ხანს ვერ გავკრკვიე თქვენს თავდაცვის საატემაში და სანამ დამცველს მოვუსმენდე, მსურდა დამეხუსტებინა ის მოტოვები, რომლებმაც შთაგავონათ ეს საქციელი.

აჩქარებით წარმოვთქვი, ეს მზის გამო მოხდა-მეთქი. სიტყვები მერყოდა და ვგრძნობდი, რომ სასაცილო ვიყავი. დარბაზში აქა-იქ გაეცინათ. ჩემმა დამცველმა მხრები აიჩეხა. მაშინვე მისცეს სატყვა. ნოიოხოვა სხდომა-საათის საათის გადაედოთ, რადგან რამდენიმე საათის სალაპარაკო ჰქონდა და ვერ მოასწრებდა. სასამართლო დაეთანხმა.

შუადღისას დიდი გენტილატორები ისევ ანიავებდა დარბაზის დახუთულ პაერს. მთასამართლეთა ხაირფეროვანი მარაოები ისევ ირხეოდა. ასე მეგონა, ჩემი დამცველის სატყვა არასდროს გათავდებოდა. რაღაც მოხაკვეთში ყური დავუგდე, რადგანაც ასე მომესმა: „მართალია, მე მოვკალი“, „შემდეგ იგივე ტონით განაგრძო. როცა ჩემზე ლაპარაკობდა, „მეო“, ამბობდა ხოლმე. ძალიან გამიკვირდა, ჟანდარმისაკენ გადავიწიე და გვითხე, რატომ ამბობდა ასე. მიოხრა, გაჩუმდით, ცოტა ხნის მერე დასძინა:

— ყველა დამცველმა ასე იცის.

ალბათ, ასე იმიტომ აკეთებდა, რომ მთლიანად ჩამოვეცილებანე საქმეს, სურდა, ჩემი მაგივრობა გაეწია, მე კი არარაობად ვექციე. ესეც მალე გადამიკაწყდა და ასევე გამოვეთიშე სასამართლო დარბაზს. ჩემი დამცველი სასაცილო მომეჩვენა. მან თქვა, რომ წამაქეზეს და სწრაფად გადავიდა ჩემს სულზე. მომეჩვენა, რომ პროკურორზე უნიჭო იყო:

— მეც ჩაეხედე ამ სულში, და სახალხო სასამართლოს წარჩინებული წარმომადგენლის საწინააღმდეგოდ, შემიძლია ვთქვა, რომ ის გადაშლილი წიგნივით წავიკითხე და ბუფრი რამ ვბოვე მასში. — ამოუკითხავს, რომ პატიოსანი კაცი ვიყავი, კეთილსინდისიერი მუშაკი, დაუღალავი შშრომელი, ერთგული დაწესებულებისა, სადაც ვმუშაობდი, ყველასათვის საყვარელი და სხვისი გაჭარებების თანამგრძნობი. მისი აზრით, სამაგალითო ვაჯიშვილი ვიყავი, და ვუფლადი დედას, სანამ შემეძლო. ბოლოს, დავრწმუნდი, რომ თავწესაფარი დედაჩემს იმ კომფორტს მისცემდა, რომელიც ჩემთან აკლდა. — მიკვირს, ბატონებო, — განაგრძო მან, — რომ ასეთი ხმაური ატეხეთ ამ თავწესაფრის გარშემო. იმისათვის, რომ ნათელი იყოს ამგვარი დაწესებულებების მნიშვნელობა, საკმაო იქნება ითქვას, რომ მათ საჩელსწიფო უმართავს ზელს.

დამცველს დასაფლავება არ უნსენებია და ვიგრძენი, რომ მის დასაცავ სიტყვას ეს აკლდა. ამ გრძელი ფრაზების, ამ დღეებისა და ამ გაუთავებელი საათების გამო, როცა ჩემს სულზე ლაპარაკობდნენ, მომეჩვენა, რომ ყველაფერი მღერიე წყალმა წალეკა და თაებრუ დამეჩვა.

სანამ ჩემი დამცველი ლაპარაკობდა, ნაყინის გამყიდველის საყვირის ხმამ დარბაზისა და ტრაბუნალის სივრცე გაარღვია და ჩემამდე მოადწია. წამილო იმ ცხოვრების მოგონებამ, რომელიც მე აღარ მეკუთვნოდა, სადაც უფერული და საეოდავი ბედნიერება დამრჩა. გამახსენდა ზაფხულის სურნელება, საყვარელი ჭბანი, დამეული ცა, მარის სიცილი და კაბები. გამახსენდა უქმად გატარებული დრო, და სიბრაზე ყელში მომაწვა. მიხლოდა ჩქარა მოთავებულიყო ყველაფერი, რათა ჩემს საკანს დავბრუნებოდი და დამეძინა. ბოლოს, ყური მოვკარი, როგორ გაკვირდა ჩემი დამცველი, რომ სასამართლო სასიკვდილოდ

არ გაიხსენებ პატრონსან მოსუშავეს, რომელსაც წუთიერმა ცდომამ გზა-კვალი აუბნია და ითხოვდა დანაშაულის შემსუბუქებას. მე უკვე სამუდამოდ მქეჩნიდა სინდისი და ეს ყველაზე უეჭველი სასჯელი იყო. სასამართლო დღისურა. დამცველი მოქანცული დაჯდა, მასთან ხელის ჩამოსართმევად კოლეგები ძავიღნენ:

— თქვენი გამოსვლა ბრწყინვალე იყო, ძვირფასო. ეროვნული
ერთ-ერთმა მათგანმა მეც კი დამიძოწმა: ზიგ-ნიქოშვილი
— არა?

დავეთანხმე, მაგრამ, ჩემი მილოცვა არ იყო გულწრფელი. მე ძალიან დავიღალე.

გარეთ დრო გადიოდა, სიცხეც წელდებოდა. ქუჩის ხმაური მესმოდა და სადამოს სიმშვიდეს ვგრძნობდი. ყველანი რაღაცას ველოდებოდით და ის, რასაც ერთად ველოდებოდით, მხოლოდ მე მეხებოდა. დარბაზს გადავხედე, თითქმის არაფერი შეცვლილიყო; ნაცროსფერ ქურთუკიანი ქურნალისტისა და ქალი-ავტოსმატის მზერას შევხვდი. ამ დროს გამახსენდა, რომ მთელი პროცესის განმავლობაში მარი არც ერთხელ არ მომიძებნია. მართალია, არ დამვიწყებია, მაგრამ ძალიან ვიყავი დაკავებული. მარი სელესტსა და რაიმონდს შორის იჯდა. მან რაღაც მანიშნა, თითქოს, როგორც იქნაო, მეუბნებოდა. საბუხე მწყუხარება აღბეჭდვოდა და მაინც იღიმებოდა. გული დახურული მქონდა, ვერც კი შევძელი მიპასუხა ამ ღიმილზე.

სასამართლო შემოვიდა. ნაფიც მსაჯულებს მრავალი შეკითხვა მისცეს. ყური მოვკარი: „მკვლელო, დამნაშავე“... „წინასწარგანზრახვა“... „შემამსუბუქებელი გარემოებანი“. მოსამართლენი ისევე ჭავიღნენ. მე კი ამ პატარა ოთახში გამიყვანეს, სადაც ერთხელ უკვე ვალბოდინეს. ჩემთან დამცველი შემოვიდა. ის სიტყვაუხვი იყო და ისეთი ნდობით და გულსხშიერებით მეღაპარაკებოდა, როგორც არასოდეს. იმედოვნებდა, ყველაფერი კარგად გათავსდება და რამდენიმე წლის პატიპრობით ან კატორლით გადარჩებოდა. ვკითხე, არასასურველი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში მქონდა თუ არა კასაციის უფლება. არაო, მიპასუხა, არ უნდოდა მსაჯულები გაეგულსებინა. განაჩენის გასაჩივრება ასე უმიზნოდ არ შეიძლებაო. ეს სარწმუნოდ მეჩვენა და მის ნათქვამს დაეუფრე. საქმისათვის რომ საღად შეგეხედათ, ყველაფერი ბუნებრივი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრი ქალაქი დაიხარჯებოდა უმიზნოდ.

— უკიდურეს შემთხვევაში, — მითხრა დამცველმა, — შეგაძლია პატიება ითხოვო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ დაგვჭირდება.

დიდხანს მოვეიხდა ლოდინი. ასე, ორმოცდახუთი წუთი. ბოლოს წარის ხმაც გაისმა. დამცველმა დამტოვა და გამათრახილა:

— ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარე პასუხს წაიკითხავს. თქვენ მხოლოდ მაშინ შემოგიყვანენ, როცა სასამართლო განაჩენს გამოაცხადებს.

კარებმა გაიჯახუნა, მესმოდა. როგორ არბოდა ხალხი კიბეზე. ვერ გავარჩიე, ახლოს იყვნენ თუ შორს. შემდეგ დარბაზიდან დახშული ხმა მომესმა. რაღაცას კითხულობდნენ. კიდევ ერთხელ გაისმა წარის წკრიალი. ისევ დარბაზში შემიყვანეს და ჩემკენ სიჩუმე წამოვიდა, სიჩუმე და რაღაც უცნაური გრძნობა, რომელიც მაშინ დაძეუფლა, როცა ახალგაზრდა ქურნალისტმა თვალი ამარიდა. მარისკენ არ გამიხედავს, ამის დრო არ მქონდა. თავმჯდომარემ საწარელი ხმით გამოაცხადა, რომ ფრანგი ხალხის სახელით საჯარო მოედანზე

თავს მომკვეთდნენ. თითქოს ვიგრძენი აქ მყოფთა სახეებზე გამოხატული გრძნობა. ეს თანაგრძნობა უნდა ყოფილიყო. ჟანდარმები ღმობიერად მტყე-
ცეოდნენ. დამცველმა ხელი ხელზე დამადო. აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი.
თავმჯდომარემ მკითხა, რამეს ხომ არ იტყვიოთ. დავფიქრდი.

— არა, — ვუპასუხე.
ამის შემდეგ გამომიყვანეს.

საქმის შესახებ
საქმის შესახებ

თ ა ვ ი მ ე ხ შ თ ე

მღვდლის მიღებაზე უკვე შესამდგ ვაქცი უარი. სათქმელი არაფერი მაქვს და არც ლაპარაკის სურვილი. მღვდელს ისედაც მალე ვნახავ. ყველაზე მთავარი ჩემთვის ახლა ის არის, რომ გარდუვალობას გავცეცე; გავიგო, თუ შეიძლება გამოსავალის პოვნა. სხვა საკანში გადანიყვანეს. აქ, როცა გულადმა ვწევარ, ცას ვხედავ, მხოლოდ ცას. მთელ ღროს იმაში ვატარებ, რომ ექვშერ ცის ფერისცვალებას, იმას, როგორ იცვლება დღე დამით. ხელები თავქვეშ მაქვს ამოღებული და ასე ვიცი, არ ვიცი, რამდენჯერ შევეკითხე ჩემს თავს, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა სიკვდილმისჯილებს თავი დაეღწიათ უღმობელი მექანიზმისათვის, გაუჩინარებულან განაჩენის სისრულეში მოყვანამდე, გაურღვევიათ აგენტების რკალი. თავს ვკიცხავდი, რომ აქამდე საკმაო ყურადღებას არ ვაქცევდი სიკვდილით დასჯის შემთხვევებს. ადამიანს ყოველთვის უნდა აინტერესებდეს ეს საკითხი. არავინ იცის, ვის რა მოეწიოს. როგორც ყველა, მეც ვეითხულობდი მოკლე ცნობებს გაზეთებში. რა თქმა უნდა, არსებობდა სპეციალური ნაშრომები, რომლებშიც ჩახედვა არასოდეს მომსულია აზრად. აქნებ ამომეკითხა გაქცევის შემთხვევები. გავიგებდი, რომ ერთხელ მაინც გაჩერდა ბორბალი, რომ მოვლენათა მსვლელობაში შემთხვევამ და ბედმა ერთხელ მაინც შეცვალეს რაღაც. ერთხელ! ჩემთვის ესეც საკმარისი იქნებოდა. ამის შემდეგ ჩემი გული ყველაფერს აიტანდა. გაზეთებში ხშირად ლაპარაკობდნენ, რომ საზოგადოების წინაშე ყველას გარკვეული ეალი აქვს. საჭირო იყო ამ ეალის მოხდა. ამაზე სულაც არ ვფიქრობდი. მთავარი იყო, გაქცევის შესაძლებლობა მომცემოდა. ერთი ნაბტომი ამ უღმობელი რატუალოდან, ლტოლვა სიგიჟისაკენ, რომელიც ფრთება შეასხამდა იმედს. და, მაინც რა იყო ეს იმედი? დამადევნებდნენ მღვეარს და გზაზე წამოწყული ტყვია სადღაც ქუჩის კუთხეში ბოლოს მომიღებდა. მაგრამ, რომ დავფიქრდი, ესეც მიუწვდომელი ფუფუნება იყო ჩემთვის. ჩემი მდგომარეობა ამას მიკრძალავდა. მე ისევ მექანიზმის ხელში ვიყავი.

მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერ შევეგუე ამ უღმობელ გარდუვალობას: მის განუბრელ, მშვიდ განწყობარებასა და ამ განაჩენს შორის, რომელმაც იგი დააფუძნა, სასაცილო დისპროპორცია არსებობდა. ის ფაქტი, რომ განაჩენი ოც საათზე წაიკითხეს და არა ჩვიდმეტზე, ის, რომ შეიძლებოდა განაჩენი სულ სხვანაირი ყოფილიყო, და რომ განაჩენი გამოიტანეს იმათ, ვინც საცვალს იცვლის, თანაც ფრანგი (თუნდაც გერმანელი ან ჩინელი) ხალხის სახელით, რაც ბოლოს და ბოლოს, ერთობ აბსტრაქტული მცნებაა, ჩემი აზრით, ცოტა არ იყო, სერათულობას აკარგვინებდა ამგვარ ვადაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, უნდა მელიარებინა, რომ, როგორც კი გამოიტანეს ეს განაჩენი, მისი და-

ლა გახდა ისეთივე რეალური და უეჭველი, როგორც ამ კვლის არსებობა, რომელსაც მთელი სხეულით ვეკვროდი.

ამ დროს ერთი ამბავი გამახსენდა. დედა მამაზე მიყვებოდა ბოლომე. მამა არ მახსოვს. ყველაფერი, რაც ამ კაცზე ვიცოდი, დედანივე მოხაყალი იყო. ერთხელ მამაჩემი მკვლელის დასჯის სანახავად წასულა. მართლაც იქ უნდა წასულიყო, ცუდად ხდილა თურმე. მაინც წავიდა, მაგრამ მისი დილა გული ერეოდა. ეს რომ გავიგე, მამაჩემი ცოტა შემეზიზნა. ახლა მიყვები. ეს ბუნებრივი იყო, აქამდე როგორ ვერ ვხვდებოდი, რომ სიკვდილით დასჯაზე მნიშვნელოვანი არაფერია. ბოლოს და ბოლოს, ადამიანისათვის ეს ნამდვილად საინტერესო იყო. თუ ოდესმე მეღირსებოდა ციხიდან გამოსვლა, ყოველთვის წავიდოდი სიკვდილით დასჯის სანახავად. სისულელე იყო მეფიქრა, რომ ასეთი შესაძლებლობა მომეცემოდა. მოწამლულა სიხარულის ტალღა გულზე მაწვებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ერთ მშვენიერ დილას თავისუფალი ვიქნებოდი, გავხდებოდი დასჯის სანახავად მოსული მაყურებელი, რომელსაც მერე შეიძლება აღეზინოს. სულელური აზრი იყო. უფლება არ მქონდა მეფიქრა ამ პოთენციაზე, ამის გაფიქრება და შემადრწუნებელი სიცივია გრძნობა ერთი იყო და ისევ საბნის ქვეშ ვიკუნტებოდი. კბილს კბილზე მაცემინებდა და თავს ვერ ვიკავებდი.

ბუნებრივია, ადამიანი ყოველთვის გონიერი ვერ იქნება. ზოგჯერ კანონების პროექტს ვადგენდი, სასჯელს ვაუქმებდი. აღმოვაჩინე, რომ მსჯავრდადებულსათვის მთავარი რაღაც შანსის ნიციება იყო. ათასში ერთი შესაძლებლობაც საკმარისი იქნებოდა რაიმეს მოსაზრებლად. მეჩვენებოდა, რომ შეიძლებოდა ქიმიური შემადგენლობის პოვნა, რომლის მიღება ათში ცხრა პაციენტს მოკვლავდა — (პაციენტს-მეთქი, სწორედ ასე ვფიქრობდი). თან ეს უნდა სცოდნოდა დამნაშავეს. როდესაც კარგად ჩავუფიქრდი, აღმოვაჩინე, რომ ვილიოტინის წყლი ის არის, რომ გადარჩენას არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს, აბსოლუტურად არავითარი. ერთხელ და სამუდამოდ პაციენტის სიკვდილი გადაწყვეტილია. ეს გათავებულნი საქმეა, კარგად გაფიქრებული კომბინაცია, დადგენილი ხელშეკრულება, რომელსაც არასოდეს უბრუნდებათ. თუ რაღაც სასწაულად ვილიოტინის დანა აგვცა, ყველაფერი თავიდან იწყება. საწინუღებაა იმის გააზრება, რომ სურვილი ვებადნება მანქანამ ზუსტად იმუშაოს. ჩემი აზრით, ეს ამგვარი დასჯის უარყოფითი მხარეა. ერთის მხრივ, ეს ასეცაა, მეორეს მხრივ კი, უნდა ვაღიარო, რომ კარგი ორგანიზაციის მთელი საიდუმლოებაც ამაშია. მსჯავრდადებულნი მორალურად მონაწილეობს და თავითანაც მოწადინებულნი, რომ ყველაფერი შეუფერხებლად წარიმართოს.

იმულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ ამ საკითხზე აქამდე არასწორად ვფიქრობდი. არ ვიცე რატომ, დიდბანს მჯეროდა, რომ ვილიოტინამდე მისასვლელად ეშაფოტზე საფეხურებით უნდა ავსულიყავი, ალბათ იმიტომ, რომ ასე ხდებოდა 1789 წლის რევოლუციის დროს. ასე მასწავლეს, ასე დამანახვეს. მაგრამ, ერთ დილას, გაზეთებში გამოქვეყნებული ფოტოსურათი გამახსენდა. ფოტოსურათზე სიკვდილით დასჯა იყო აღბეჭდილი, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია. მანქანა პირდაპირ მიწაზე იდგა. ამაზე უბრალო არაფერი მინახავს. ბევრად ვიწრო იყო, ვიდრე წარმოვიდგენდი. ახლა მეცინება, რომ ამით აღრე არ დავინტერესებულვარ. სურათზე გამოხატულმა მანქანამ გამაოცა, იგი ზუსტ

ხელსაწყოს ჰგავდა, სრულყოფილი იყო და ელვარე. ადამიანს, რაც არ უნდა იყოს, იმაზე გახვიადებული წარმოდგენა აქვს, ამის შემდეგ მიყვები, რომ ყველაფერი ძალიან უბრალო იყო: მანქანა კაცის სიმაღლეზე დგას და ადამიანი მისკენ მიე-
მართება ისე, თითქოს ვინმეს ეგებება. არც ეს არის სასიამოვნო. უფროსნი
წარმოსადგენია ეშაფოტზე სიკვდილი, როცა კიბუებით ძალდა, კერძოდ კი
აქ კი მუქანებში ყველაფერს ანადგურებს. გულავენ შეუმჩნეველად, მაგრამ დიდი
სიზუსტით.

კიდევ ორ რამეზე ვფიქრობდი განუწყვეტლივ: გარიჟრაჟზე და შენდობაზე. თავს ვიშვიდებდი, გაეწეებოდა, ცას შევცქეროდი და ვცდილობდი, აღარაფერზე მეფიქრა. ცა მწვანდებოდა. საღამო დგებოდა. თავს ისევ ძალას ვატანდი და ფიქრებს გავუბრუნებდი. ჩემს გულისცემას ვუსმენდი. არ შეშეძლო წარმოდგება, რომ როდესმე შეჩერდებოდა გულისცემა, რომელიც მუდამ თან მიდევდა. არ შემეძლო ჩემი სიკვდილის წარმოსახვა. წარმოუდგენელი იყო ერთი წამიც კი ამ გულისცემის გარეშე. ამოვად ვფიქრობდი. გარიჟრაჟი და შენდობა ისევ თავში მიტრიალებდა. ბოლოს გადავწყვიტე, აღარ მეტანჯა, თავისათვის ძალა აღარ დამეტანებინა.

ვიცოდი, რომ გარიჟრაჟზე იციან მოსვლა. ბოლოს, იქამდე მივედი, რომ ღამეებს გარიჟრაჟის ლოდინში ვათენებდი. არ მინდოდა მოულოდნელად წამსწრებოდნენ. როდესაც რამე უნდა შემემთხვეს, ნირჩევნია, მზად ვიყო. ამიტომაც დღის განმავლობაში ცოტას წავთვლემდი ხოლმე და მთელი ღამე მოთმანებით ველოდებოდი სინათლას დაბადებას. მე ის დროც ვიცოდი, როდესაც დამნაშავეს წასაყვანად მოდიოდნენ. და მაშინ ძალიან მიჭირდა ხოლმე. ნაშუაღამევს ვიცდიდი და ვღარაჯობდი. ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ მომისმენია ამდენნაირი ხმაური, მკვეთრი და ერთმანეთისაგან განსხვავებული. ბედი მწყალობდა. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გამიგია ნაბიჯის ხმა. დედაჩემი ხშირად იტყოდა ხოლმე: ადამიანი მთლად უბედურია არასოდეს არისო. როდესაც ინათებდა და დღე ჩემს საკანში შემოცურდებოდა, მეც ვრწმუნდებოდი ამაში. ნაბიჯებს ხმა რომ გამეგო, გული გამისკდებოდა. უმნიშვნელო გაფაჩუნებაც კარისკენ მიმარბენინებდა. კარებს ავეკვრებოდი, თავდავიწყებით ვუბღებდი ყურს და ველოდი. სანამ საკუთარ სუნთქვას არ გავიგონებდი, ალა ამ ხრინწიანი სუნთქვის მეშინოდა, რომელიც ძალღის ხიხინს მაგონებდა. გული მაინც არ მისკდებოდა. წინ კიდევ ოცდაათი საათის სიცოცხლე მრჩებოდა.

მთელი დღე შენდობაზე ვფიქრობდი, ეს ფიქრი კეთილისმყოფელი იყო. ანალიზს ვუკეთებდი ჩემს მოქმედებას და საუკეთესო დასკვნა გამომქონდა. ყველაზე უარესს ვგარაუდობდი; ეთქვათ, არ მაბატოეს; მაშინ მოგვკვდები, სხვებზე ადრე, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ყველასთვის ნათელია, ცხოვრება არ ღირს იმად, რომ იწვალო. სიკვდილი სიკვდილია, ოცდაათი წლის ასაკშიც და ხანდაზმულობის დროსაც. სიცოცხლე მაინც დარჩება სხვების სახით, და ასე იქნება მუდამ. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო. უკვდავი ხომ არ ვიყავი, ახლა, თუ ოცი წლას შერე, მაინც მოგვკვდებოდა. ყველაზე მეტად ეს საზარელი ნახტომი მაწუხებდა, მაწუხებდა ოცი წლის დაკარგული სიცოცხლე. ისღა დამრჩენოდა, ჩამეხმო ამგვარი ფიქრები, ისღა დამრჩენოდა, მეფიქრა, რომ ოცი წლის შემდეგაც ამ დასკვნამდე მივიდოდი. მაშასადამე, როცა კვდება

აღამიანი, როდისა და როგორ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მინდოდა, არ დამ-
კარგვოდა ეს „მამასადამე“. მამასადამე, პატიებაზე შეიძლება უარიც ეთ-
ქვათ.

ამ დროს, მხოლოდ ამ დროს ვაძლევდა ჩემს თავს უფლებას გადავსული-
ყავი მეორე ვარაუდზე: ვთქვათ მართლაც მამატიეს; აუტორიტეტის დაწეო-
კებინა სისხლისა და სხეულის მისწრაფება თავისუფლების აღმსარებელი სიხა-
რული, რომელიც თვალებს მიწვავდა. საჭირო იყო დამუხმობა ყვირილი და ყო-
ველივე გონების ოვლით განმეჭვრატა. ბუნებრივი ეყოფილიყავი მაშინაც, თუ
მეორე ვარაუდი გამართლდებოდა, რათა უფრო ნათლად წარმოშედგინა,
როგორ დაგნებდი პირველს. და ასე, მე ერთი საათის სიმშვიდე მოვიგე, ესეც
მხედველობაში იყო მისაღები.

ამგვარი ფიქრის დროს ერთხელ კიდევ უარი განვაცხადე მღვდლის მი-
ღებაზე. ვაწეჭი და ვგრძნობდი ცის უცნაურ სითეთრეს, ზაფხულის საღანოს
მოახლოვებას. ის იყო, უარყვავი ჩემი პატიება და ვგრძნობდი სისხლის მო-
ნოტონურ მოძრაობას. არ მჭირდებოდა მღვდლის ხახვა. პირველად ამდენი
ხნის განმავლობაში მარი გამახსენდა. ბევრი გრძელი დღე გავიდა მას შემდეგ,
რაც მარის აღარ მოუწერია. იქნებ, დაიღალა იმით, რომ სიკვდილმისჯილის საყ-
ვარელია. ისიც გავიფიქრე, შეიძლება, ავად არის, ან მოკვდა-მეთქი. ეს ჩვეუ-
ლებრივი მოვლენა იყო. ველარაფერს გავიგებდი. ჩვენი სხეულები ახლა უკვე
ერთმანეთისგან შორს იყო, არაფერი არ გვაკავშირებდა და აღარაფერი არ
გვახსენებდა ერთიმეორეს. ამ მომენტიდან მარის გახსენებას ჩემთვის მნიშვნე-
ლობა არ უნდა ჰქონოდა. მკვდარი აღარ მაინტერესებდა. ამას ბუნებრივად
ვთვლიდი, რადგან სიკვდილის შემდეგ მეც ყველა დამივიწყებს. მათ ჩემთან
უკვე აღარაფერი ექნებათ საერთო. ამაზე ფიქრი ძნელი არ იყო.

სწორედ ამ დროს მღვდელი შემოვიდა. მის დანახვაზე გამაყრკოლა. შემ-
ნიშნა და მითხრა, ნუ გეშინიათ. ვაიცი, ჩვეულებრივ აღსარებისთვის მოდიხართ-
მეთქი. მიპასუხა, ისე მოვედი, როგორც მეგობარი და არც კი ვიცი, რომ პა-
ტიება ითხოვეთ. ხის ტახტზე ჩამოჯდა და მთხოვა გვერდზე მივჯდომოდი.
უარი ვუთხარი. არ გაბრაზებულა.

ერთხანს ასე იჯდა, თავი დაესარა, ხელები მუხლებზე დაეწყო და ზედ დას-
ცქეროდა. თხელი და ძარღვიანი ხელები ჰქონდა, რომლებიც თრ ცქვიტ ცხი-
ველს ძავონებდა. ხელს ხელზე ისეაძდა და იფშენებდა. ისე დიდხანს იჯდა
თავდახრილი, რომ დამავიწყდა კიდევ.

უცებ თავი ასწია და პირდაპირ სახეში შემოაშხედა:

რატომ ამბობთ უარს ჩემს მიღებაზე?

ვუპასუხე, რომ ღმერთი არა მწამდა.

— დარწმუნებული ხართ? მკითხა.

კითხვაც ზედმეტია, ისე ვარ დარწმუნებული-მეთქი, ვუპასუხე. მისი კი-
თხვები უმნიშვნელო მეჩვენებოდა. ის უკან გადაიხარა, მხრებით კედელს
მიეყრდნო და ხელები მუხლებზე დაიწყო. ისე, თითქოს მე არც მელაპარაკე-
ბოდა, თქვა, ზოგჯერ გგონია, დარწმუნებული ხარ რაიმეში, მაგრამ სინამდვი-
ლეში შეიძლება სულაც არ იყოს ასე. ვდუმდი. შეჩხედა და მკითხა:

— რას ფიქრობთ ამაზე?

შეიძლება, იმაში არ ვიყო დარწმუნებული, რაც მაინტერესებს, მაგრამ რაც არ მაინტერესებს, ის კი ნაწილობრივ ვიცი-მეთქი, მივუგე.

თვალი ამარიდა და ისევ იმ პოზაში დარჩა. მკითხა, იქნებ ასე იმიტომ ლაპარაკობთ, რომ სასოწარკვეთილებაში ხართ ჩავარდნილი. ანუ ხსენი, სასოწარკვეთილებას არ მივცემივარ, მაგრამ, მეშინია-მეთქი. ეს ბუნებრივი იყო.

— ღმერთი გიშველით, — შენიშნა მან, — როგორც ვიცი, ყველა მისჯილი ბოლოს მისკენ იბრუნებს ხოლმე პირს.

— ეს მათი საქმეა, — მივუგე მე, — ალბათ, მათ საამისო დრო ჰქონდათ. მე კი, არ მსურდა დახმარება და დროც არ მრჩებოდა დავინტერესებულყავი იმით, რაც არ მაინტერესებდა.

ხელეზი გაასავსავა, მერე წამოიძარტა და ანაფორის ნაკეცი გაისწორა. საბჭოელი დაამთავრა და მომმართა: „ჩემო მეგობარო“. ასე იმიტომ კი არ მელაპარაკებოდა, რომ სიკვდილმისჯილი ვიყავა; მისი აზრით, ჩვენ ყველანი სიკვდილს შეიღებო ვიყავით. შევაჩერე და ვუთხარი, რომ ეს არ არის ერთი და იგივე და არც დასამშვიდებლად გამოდგება.

— დღეს თუ არა, როდესმე ხომ მაინც მოკვდებით, მაშინაც იგივე განმეორდება; როგორ მიუძღვებით ამ საშინელ გამოცდას?

ისევე, როგორც დღეს-მეთქი, ვუპასუხე. წამოდგა და პირდაპირ თვალეზში შემხედა. ამ თამაშს კარგად ვიცნობდი. ასე ხშირად ვერთობოდი ემანუილთან და სელესტთან. ისინი ვერასოდეს ვერ უძლებდნენ ჩემს მზერას. მღვდელმაც კარგად იცოდა ეს თამაში, მაშინვე გაეღუგე. უტეხად მიცქერდა, ხმაც არ უკახკალებდა:

— მაშ, არავითარი იმედი არა გაქვთ? იმ აზრით ცხოვრობთ, რომ მოკვდებით და სამუდამო სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებთ?

— დიახ, — ვუპასუხე მე. მან თავი დახარა და დაჯდა. მღვდელს ვეცოდებოდი. მისი აზრით, ეს აუტანელი იყო. ვიგრძენი, რომ თავი მომაბეზრა, „ხურგა შევაქცეო და სარკმლისკენ გავემართო“. მხრით კედელს მივეყრდენი, აღარ ვუსმეხდი, მაგრამ მაჩვდი, რომ დაკითხვას განაგრძობდა. შეწუხებული და აჩქარებული ხმით ლაპარაკობდა. აღელვებული იყო და ყური დაკუგდე.

მარწმუნებდა, სიცოცხლეს გაჩუქებენ, მაგრამ სჯობია განთავისუფლდეთ ამ ცოდვის სიმძიმისაგან, რომელსაც ახლა ატარებთო. მისი აზრით, კაცთა სამართალს, ღმერთის სამართალთან შედარებით არაფერია იყო. შეენიშნე, რომ მე სწორედ პირველმა სამართალმა დამსაჯა. შიშაუხა, ცოდვებისაგან მაინც არ ხართ განბანული. ვუთხარი:

— მე არ ვიცი რა არის ცოდვა; მითხრეს, რომ ღამნაშავე ვარ და სასჯელსაც ვიხდი. ამაზე მეტს ვეღარაფერს მომთხოვენ.

ხელახლა წამოდგა და გავიფიქრე, რომ ასეთ ვიწრო საკანში განძრევას საშუალება არ მიეცემოდა. უხდა მჭლარაყო ან მღვარაყო.

იატაკს დავაშტერდი. ერთი ნაბიჯი ჩემკენ გადმოდგა და შეჩერდა, თითქოს ვერ ბედავდა მოახლოებას. რკინის ბადია მიღმა ცას შიშტერდა.

— თქვენ ცდებით, შეიღო ჩემო, — მითხრა მან, — თქვენთვის შეიძლება მეტიც მოეთხოვათ. იქნებ მოგთხოვონ კიდევ.

— რა?

— დანახვა.

— დანახვა რისა?

მღვდელმა მიიხედ-მოიხედა, შემდეგ დაღლილი ხმით მიპასუხა:

— მე ვიცი: ყველა ამ ქვას ტკივილისაგან ქანცი აქვს გაწყვეტილი. ჩუღულ-
ვებლად არ შემოძლია მათი მზერა. გულის სიღრმიდან ვგრძნობ, როგორც ჩემს
ლაზე უბადრუკსაც თქვენს შორის, მასზე ღვთაებრივი სახე დაუნახავს. სწორედ
ამ სახის დანახვას მოითხოვენ თქვენგან.

ცოტა გამოცოცხლდი. მრავალი თვეა, რაც ამ კედლებს შევცქერო. არა-
ფერი ვიცი ამ ქვებზე უკეთესად. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც სახეს ვეძებდი.
მაგრამ ამ სახეს მზის ფერი ჰქონდა და სურვილის აღში იწვოდა: ეს მარის სახე
იყო. მე ის ამათღ ვეძებე. აბლა ყველაფერი გათავებულია. ყოველ შემთხვე-
ვაში, ამ ცრენლაახ ქვებზე არაფერი გამოჩენილა ისეთი, რომ დამენახა.

მღვდელმა სევდიანად შემომხედა. ზურვით მივეყრდენი კედელს, სი-
ნათლუ პირდაპირ სახეში მცემდა. რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და აჩქარებით
შთხოვა, უფლება მიმეცა ამბორისა.

— არა, — ვუპასუხე.

იგი შეტრიალდა, კედლის გასწვრივ წავიდა, ხელი ვააყოლა და ჩაიჩურ-
ჩულა:

— მაშ, ასე გიყვართ ეს მიწა?

არაფერი ვუპასუხე.

კარგა ხანს ზურგშექცევით იდგა. მისი აქ ყოფნა მალიზიანებდა და ძაბრა-
ზებდა. ის იყო, უნდა მეთქვა, დამტოვეთ-მეთქი, რომ უეტრად მოტრიალდა
და გაშმაგებით წამოიძახა:

— არა, მე არ შემოძლია დაგიჯეროთ, თქვენ ოღესმე ალბათ, გინატრიათ
სხვანაირი ცხოვრება.

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მას, მაგრამ ჩემთვის ამას უკვე მნიშვნე-
ლობა აღარ ჰქონდა. აღარ ჰქონდა მნიშვნელობა სიმდიდრე მენატრა, მცოდნოდა
სწრაფი ცურვა, მქონოდა ლამაზი ბაგე. ეს უკვე ერთი და იგივე იყო.

შემაჩერა, სურდა ვაეგო, როგორ მესმოდა იმქვეყნიური ცხოვრება. მაშინ
დავუყვირე:

— სადაც ეს ცხოვრება მემახსოვრება.

ვუთხარი, რომ აღარ შემეძლო ლაპარაკი. მას უნდოდა, კიდევ ელაპარაკნა
ღმერთზე. მაგრამ მისკენ წავედი და ეცადე უკანასკნელად გამეგებინებინა, რომ
ღრო აღარ მრჩებოდა. მე არ მინდოდა ღმერთის გულასთვის ეს ღრო დამეკარ-
გა. იგი ეცადა შეეცვალა საუბრის თემა. მკითხა, რატომ ვეძახდი მას „ბა-
ტონოს“ და არა „მამათს“. გაეცხარდი და ვუპასუხე, რომ ის მაშაჩემი არ იყო,
რომ ის სხვებისთვის იყო მამა.

— არა, შეიღო ჩემო, — და მხარზე ხელი დამადო, — მე თქვენთან ვარ.
მაგრამ თქვენ ამას ვერ ხვდებით, რადგან თქვენი სული ბრძაა. მე ვილოცებ
თქვენთვის.

არ ვიცი რატომ, რაღაც ჩამწყდა. მთელი ხმით დავიდრიალე, გავლანძლე
და ვუთხარი. არ ელოცა. სიბრაზისაგან ანათორის საყულოში ვწვდი. გადმოვან-
თხიე ჩემი სათქმელი: გულში დავგროვებული ბრაზმორეული სიხარული. რა

დარწმუნებული იყო თავის თავში, არა? და მოუხედავად ამას, მისი არც ერთი რწმენა ქალის თმის ერთ ღერადაც არ ღირდა. ტყუილად სჯეროდა, რომ ცოცხლობდა. ის ისე ცხოვრობდა, როგორც შვედარი. მე კი თითქოს ხელში არაფერი შეჭირა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი ჩემში, ყველაფერში, და უფრო კარვად, ვიდრე იგი. მქონდა სიკვდილის რწმენა, სიკვდილისა, რომელიც საცა აქ უნდა მოსულიყო. დიახ, მე მეტი არაფერი გამაჩინდა. ^{იმდენად მძვირა} ხელში სიმართლე, რამდენადაც მის ხელში ვიყავი. მართალი ვიყავი და ყოველთვის მართალი დავრჩები. ამგვარად ვიცხოვრე და კიდევ შევძლებ ამგვარ ცხოვრებას. ასე მომწონდა და ასე ვაქეთებდი. ეს თუ გამომჩნია, ის გავაკეთე, და ბოლოს? — ისე მოხდა, თითქოს სულ იმ წუთს ველოდებოდი, იმ გარიყრათს, როდესაც განაჩენს სისრულეში მოიყვანდნენ. არაფერს, არაფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა და ვიცოდი კიდევ რატომ. ეს იმასაც კარვად ესმოდა. ამ აწეწილი ცხოვრებით და იმ წლებს ბნელი სუნთქვით ვსუნთქავდი, რომლებიც უნდა გამეველო, რომლებიც ჯერ არ დამდგარიყვნენ. ჩემი სული ყველაფერს ათანაბრებდა თავის გზაზე, ჩემი ცხოვრების წარსულ წლებს, მის არარეალობას, იმას, რასაც მაშინ მთავაზობდნენ. რა მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ ჩემთვის სხვის სიკვდილს, დედის სიყვარულს, რაში შეკითხებოდა მისი ღმერთი, ხალხის ცხოვრება, რაში შეკითხებოდა ის ბედ-იღბალი, რომელსაც ირჩევდნენ, როცა ერთადერთ ბედს თვითონ უნდა ავერჩიე და ჩემთან ერთად — მილიარდობით პრივილეგირებული ადამიანი, რომლებიც ამ მღვდელივით ძმობას შეფიცებოდნენ. ესმოდა კი, რომ ჩემს გარდა ყველა პრივილეგირებული იყო? ერთ მშვენიერ დღეს სხვებმაც მიუსჯიდნენ სიკვდილს. მაშ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს საქმეში მკვლელობას, თუ სიკვდილს იმიტომ მომიხჯიდნენ, რომ დასაფლავების დღეს დედა არ ვიტირე. სალამანოს ძაღლს იგივე ფასი ჰქონდა, როგორც მის ცოლს. პატარა ავტომატი ქალიც ისევე დამნაშავე იყო, როგორც პარიზელი, რომელიც მასონმა მოიყვანა ცოლად, ან კიდევ მარი, რომელსაც ჩემი ცოლობა სურდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ რაიმონდი ჩემი მეგობარი იყო, როგორც სელესტი, რომელიც მას სჯობდა. რა მნიშვნელობა ექნებოდა ახლა იმას, რომ მარი თავის ზაგეს ახალ მერსოს მიუბყრობდა. თუ ესმოდა ეს ამ განწირულს და ჩემი მომავლია სიღრმეიდან... ვყვიროდი ამას და ყვირილი მახრბობდა, მაგრამ დარაჯები შემუჭრებოდნენ და ხელიდან მგლეჯდნენ მღვდელს. მან დარაჯები დააწყნარა და ჩუმად შემომხედა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. გატრიალდა და გაუჩინარდა.

წაუიდა თუ არა, დავმშვიდდი. არაქათგამოცლილი ვიყავი და ტახტზე დავედე. მგონი, ჩამუძინა, რადგანაც გაღვიძებისას ვარსკვლავები შევამჩნიე. ჩემამდე სოფლის ხმაური აღწევდა. ღამის, მაწისა და მარილის სუნის საფეთქლებს მიგრძობდა. ზაფხულის ღამის მიძინებული სიმშვიდე ზღვის მოქცევასავით შემოაჭრა ჩემში. დღის და ღამის მიჯნაზე საყვირებმა დაიღმუფლეს. ისინი სხვა ქვეყნად წასვლას იტყობინებოდნენ, რომელსაც ჩემთვის ახლა არა უითარი მნიშვნელობა არა აქვს. პირველად ამ ხნის განმავლობაში დედა გამახსენდა. თითქოს ვაგუფე, რატომ გაიჩინა სიცოცხლის დასასრულს „საქმრო“. რატომ გაითამაშა ცხოვრების დაწყება. იქ, იმ თავშესაფრის გარშემო, ხალაც სიცოცხლე ქრებოდა, საღამო მეღანქოლიურ ამოსუნთქვას ჰგავდა. სიკვდილთან მიახლოვებისას დედა თავს ალბათ, თავისუფლად გრძნობდა, შეეძლო

შესდევ კი იმიტომ, რომ ღალატის გამო ერთმანეთს დასცილდნენ. ასე თუ ისე, მანამ სწორედ ღალატი მოიმიზეზა, თუმცა ზუსტად არასოდეს უთქვამს, რა თავისებურ ადიულტერს ეხებოდა საქმე; ცოლი ნამდვილი საერთო წმინდანი იყო და სრულიად უხანგაროდ საკუთარი ბიროვნება ტახტული კაცობრიობისათვის შეეწირა. ქმარი ამას ვერ იტანდა, რადგან თავი ცოლის ყველა ღირსებას ბატონ-პატრონად წარმოედგინა. „მომბეზრდა, ამბობდა ეს ოტელი, — სულ ერთია ვად ღარიბებთან ვიყო მოტყუებული“.

ეს გაუგებრობა იონასთვის სასარგებლო აღმოჩნდა. მშობლებს წაეკითხათ ოუ გაეგოთ რამდენიმე შემთხვევა, როცა გაცილებულ დედ-მამის შვილს სადასტური მკვლევლობა ჩაედინა; და ორივენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბავშვის განუბივრებაში, რომ ასეთი შემზარავი ევოლუციის თესლი იმთავითვე ჩაეკლათ. რაც უფრო გულგრილი ჩანდა შვილა, მით უფრო დელავდნენ მშობლები: ფარული ვნებათა ხომ ყველაზე ღრმა საშიშროებას წარმოადგენენ. როცა იონას თავის თავით, ან გატარებული დღით კმაყოფილი ჩანდა, მშობლების ჩვეულებრივი დელვა სიგიჟედვე აღწევდა. შვილს გაორკეცებული ყურადღებით ეპყრობოდნენ და ბავშვს აღარაფერი რჩებოდა სასურველი.

ამ გამოგონილმა უბედურებამ იონას ერთგული მეგობარი — რატო მოუყვლინა. მისი მშობლები ხშირად პატიუებდნენ შვილის ლიცეუმის ამხანაგს, ებრალებოდით საწყალი ბავშვი. დედ-მამის გულისხმიერმა დამოკიდებულებამ განღონით აღსაესე ეაეს სურვილი აღუძრა მფარველობა გაეწია იონასთვის, რომლის უდარდელ მიღწევებს აღტაცებაში მოჰყავდა. თავჯანისცემა და მოწყალება კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს. ეს მეგობრობა იონამ ისევე უბრალოდ მიიღო, როგორც ყველაფერ სხვას დებულობდა ხოლმე.

როცა იონამ განსაკუთრებული მუყაითობის გარეშე სწავლა დაამთავრა, კიდევ ერთხელ გაუღიმა ბედმა და მამის გამომცენლობაში დაიწყო მუშაობა, რომ საზოგადოებაში გამოსულიყო და რაღაც ვნებით თავის თავში მხატვრის მოწოდება აღმოეჩინა. იონას მამა საფრანგეთის პირველი გამომცემელი გაზღდათ. მისი აზრით, მომავალი წიგნისა იყო და სწორედ კულტურის დაცემის გამო. „ისტორია გვიჩვენებს, — ამბობდა იგი, — რომ რაც ნაკლებს კითხულობენ, მით უფრო მეტ წიგნებს იძებნენ“. თვითონ გამომცემელი ძალიან იშვიათად კითხულობდა წარმოდგენილ ბელნაწერებს და აქვეყნებდა ავტორის ბიროვნებისა და თემის აქტუალობის მიხედვით. ერთადერთი მოუცდენლად აქტუალური აუმა სექსი იყო და გამომცემელიც ამაში დაოსტატდა. საზრუნავი ისღა დარჩენოდა, რომ საინტერესო გაფარსება და უფასო რეკლამები ეპოვნა. იონას ბელნაწერთა მიმოხილვის განყოფილება ჩააბარეს და მას უამრავი თავისუფალი დრო აღმოაჩნდა. ეს დრო როგორღაც უნდა შეეგსო. ასე შეხვდა ის მხატვრობას.

თავის საცოცხლეში პარველად იგრძნო მოულოდნელი, უშრეტო გზნება. მთელი დღეები ხატავდა და ამ საქმეშიც თავი გამოიჩინა. ხატვას გარდა არაფერი აინტერესებდა და, როცა დრო დაუდგა, ძლივს მოახერხა ცოლის შერთვა. მხატვრობამ მთლიანად ჩაითრია. ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ მოვლენებს და აღაშიანებს მხოლოდ კეთილშობილურად უღიმოდა. ეს კი ყოველგვარი საზრუნავიდან ანთავისუფლებდა. სიყვარულმა მხოლოდ მაშინ დააინტერესა, როცა რატოსთან ერთად მოტოციკლეტის კატასტროფაში მოხვდა, დაიმტვრა და თავიდან ფეხებამდე ბინტებში გაეხვია. დაინტერესდა იმიტომ, რომ მარჯვენა ხელი

დიდხანს გაუნძრევლად ეჭირა და მოიწყინა. აქაც, ამ სერიოზულ შემთხვევაშიც, მან ბუდის ვარსკვლავის წყალობა დაინახა. თუ არა ეს, სად ეჭნებოდა დრო ლუიზა პულენისათვის ისე შეეხედა, როგორც ქალი იმსახურებდა.

რატომ აზრით კი ლუიზა შესეღვის ღირსიც არ იყო. თვითონ პატარასა და გმუხს მხოლოდ დიდი ქალები მოსწონდა. „არ მესმის, რა ნახუ...“ — ეუბნებოდა მეგობარს. ლუიზა მართლაც პატარა, მაგნიტის მსგავსი გვრემანი ქალი იყო, მაგრამ მოზღვნილი ტანი ჰქონდა და ლამაზი სახე. დიდა და დონიერი იონა ნაზად ექცეოდა ამ ჭიანჭველას, მით უმეტეს, რომ ქალი გამრჯე აღმოჩნდა. ლუიზას მოსწოდება მოქმედება იყო. ეს მოსოდება კარგად ეთანხმებოდა იონას ინერტულობას. ლუიზა ჯერ ლიტერატურას ჩაუჭდა, რადგან ფიქრობდა, იონას გამომცემლობა აინტერესებსო. განურჩევლად კითხულობდა ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდა და მალე ყველაფერზე შეეძლო საუბარი. იონა აღფრთოვანებული იყო და კითხვაზე მთლად ხელი აიღო, რადგან ლუიზა უამბობდა წაკითხულს და თანამედროვე მნიშვნელოვან აღმოჩენებს აცნობდა. ლუიზა ამტკიცებდა: „ადარ შეიძლება ითქვას, ესა და ეს ადამიანი ბოროტი ან უმნოა, უნდა ითქვას, რომ მას სურს აყოს ბოროტი ან უმნო“¹. ეს ნიუანსი მეტად მნიშვნელოვანია იყო და რატომ კიდევაც აღნიშნა, ამიერიდან ძალზე საშიშია ადამიანთა მოღვმის მსჯავრდადებაო. ლუიზამ მოკლედ მოუჭრა და უთხრა, ეს ჭეშმარიტება ერთდროულად ფილოსოფიურ კურონალებსა და შინაგან მოთხოვნებს ეყრდნობა, ის უნივერსალური და ეჭვმიუტანელიაო. „როგორც თქვენ გენებოთ“, — თქვა იონამ და მაშინვე დაივიწყდა ეს უმკაცრესი აღმოჩენა, რომ ისევ თავის ვარსკვლავზე ეოცნება.

როცა ლუიზა მიხვდა, იონას მხოლოდ მხატვრობა აინტერესებსო, მაშინვე მიატოვა ლიტერატურა. უმაღ პლასტიაურება ხელოვნებამ გაიტაცა. შემოირბინა მუხეუშები და გამოფენები, თან დაათრევდა იონას, რომელსაც ცუდად ესმოდა, რას ხატავდნენ მისი თანამედროვენი და კმაყოფილი იყო, რომ ეს უბრალო კაცი ამდენ რაიმეს იგებდა მხატვრობაში. ისიცაა, მეორე დღესვე ავიწყდებოდა ყველაფერი, იმ მხატვრის გვირიც კი, რომლის სურათები წინა დღეს დაეთვალიერებინა. მაგრამ ლუიზა მართალი იყო, როცა ამტკიცებდა აგონებდა თავის ლიტერატურული პერიოდის შემორჩენილ ერთ-ერთ დებულებას: სინამდვილეში არასოდეს არაფერი არ გვავიწყდებაო. ბელი უდაოდ წყალობდა იონას, რომელსაც ამგვარად, სინილისის ქეჯნის გარეშე შეეძლო შეეთავსებინა მეხსიერების კანონები და დაევიწყებას მოხერხებულობა.

ლუიზას ქმრასადმი ერთგულება ყველაზე კარგად მაინც იონას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვლინდებოდა. ეს კეთილი ანგელოზი მას თავიდან აცილებდა ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და თეთრეულის ყიდვას. ეს საქმიანობა კი ყველა ნორმალურ ადამიანს ისედაც ხანმოკლე ცხოვრების დღეებს უმოკლებს. ლუიზა თავის თავზე იღებდა დროის მოსაკლავი მანქანის უამრავ გამოგონებას, დაწყებული სოციალური სადაზღვევო ბლანკებიდან და დამთავრებული მუდამდღე ხელახლა შესაგვები ათასგვარი სავადასახადო ინკეტებით. „ეს ყველაფერი კარგია, მესმის, — ამბობდა რატომ, — მაგრამ შენს მაგავრად ხომ ვერ წავა კბი-

¹ ავტორის ვადაკრული სიტყვა ეგზისტენციალისტების ერთ-ერთ ძთავარ დებულებას, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანი თავისი არჩევანით თვითონ უხდა ქმნიდეს თავის თავს (მთარგმნელია შენიშვნა).

ლის ექიმთან? — მართალია, ლუიზა კბილის ექიმთან ვერ მიდიოდა მის მაგივრად, სამაგიეროდ, ტელეფონით უკავშირდებოდა ექიმს და მიღებისათვის ყველაზე ხელსაყრელ დროს შეარჩევდა ხოლმე. არდადეგების დროს სასტუმროში ოთახებს უკვეთდა, სახლისათვის ნახშირს მოუღობდა, მის მაგივრად არჩევდა და აგზავნიდა ყვავილებს; თუ იონას ვინმესათვის საჩუქარი უნდა მისცემოდა, სივითონ ყიდულობდა ხოლმე. ზოგჯერ, საღამოს, დროს იხელთებდა თუ ხის, უჭკვლიდა მასთან და თუ იონა შინ არ იყო, ლოგინს გაუშლიდა. საღამოს, ძილის წინ, იონას ლოგინი გაშლილი ხვდებოდა.

ასეთივე სიმარდით და ასევე კარვად მოთავსდა იგი ამ საწოლში, შემდეგ მერთან შეხვედრაზე იზრუნა და იონა მასთან წაიყვანა. ეს მოხდა იონას ტალანტის აღიარებამდე ორი წლით ადრე. ლუიზამ ისე მოაწყობა საქორწილო მოგზაურობა, რომ ყველა მუხეუმი დაათვალიერეს. ბინების დიდი გაჭირვების დროს საშთახიანი ბინას მოვნა მოახერხა, სადაც მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ დასახლდნენ ახლადდაქორწინებულნი. მერე ზედიზედ ორა ბავშვი გააჩინა, ბიჭი და გოგონა და მესამის გაჩენასაც აპირებდა. ეს მოხდა ძალიან ძალე, მას შემდეგ, რაც იონამ გამომცემლობას თავი დაანება, რომ მთლიანად ფერწერაში ჩაფლულიყო.

მშობიარობას შემდეგ ლუიზა ბავშვებზე ზრუნვამ თანდათან ჩაითრია. ცდილობდა ქმარსაც დახმარებოდა, მაგრამ დრო აღარ რჩებოდა. ცხადია ნახობდა, იონას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევო, მაგრამ მტკიცე ხასიათი ნებას არ აძლევდა სინანულს მისცემოდა. „მით უარესი, — ამბობდა იგი, — ყველას თავისი შალაშინი აქვს“. ამ გამოთქმას იონა აღტაცებაში მოჰყავდა, რადგან ისევე, როგორც მის თანამედროვეებს, სურდა ხელოსნადაც ყოფილიყო აღიარებული. ასე რომ, ჩვენს ხელოსანს ყურადღებასაც მოაკლდა და ფეხსაცმელები უკვე თვითონ უნდა ეყიდა. მოუხედავად იმისა, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, იონა ეცადა ამის მაღლიერაც ყოფილიყო. მართალია, მაღაზიებში სიარული უხდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ რამდენიმე საათის სიმარტოვით შეეძლო ესარგებლა, რაც ასეთ დიდ ფასს ანიჭებს წყვილების ბედნიერებას.

სხვა პრობლემებთან შედარებით, ბინის პრობლემა უფრო სერიოზული გამოდგა. დრო და ფართობი ერთი და იგივე სიჩქარით მცირდებოდა მათ ვარშემო. ბავშვების დაბადება, იონას ახალა ხელობა, ყოველთვიური დახმარების სიმცირე საშუალებას არ აძლევდათ უფრო დიდი ბინა ეყიდათ. ლუიზასა და იონას საასპარეზოდ ერთი ბეწო ფართობი რჩებოდათ. მათი ბინა დედაქალაქის აველ უბანში, XVIII საუკუნის ყოფილ სასტუმროს მეორე სართულზე მდებარეობდა. ამ უბანში ბევრი მხატვარი სახლობდა. ისინი ერთგულნი იყვნენ პრინციპისა: ხელოვნებაში ახლას ძიება ძველის ჩარჩოებში უნდა მიმდინარეობდესო. იონაც იზარებდა ამ რწმენას და ამ უბანში ცხოვრება უხაროდა.

რაც შეეხება სიძველეს, მათი ბინა მართლაც ძველი იყო, მაგრამ რამდენიმე დრო და უამს შესაფერმა გადაკეთებამ მას ორიგინალური სახე მისცა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მცირე ფართობზე დიდი მოცულობის სივრცეს სთავაზობდა მაცხოვრებლებს. შესანიშნავი ფანჯრებით შემკული მაღალქვრიანი ოთახები, თუ მათი დიდებული პროპორციების მიხედვით გამსჯელებით, საღარბაზოდ და სამეჯლისოდ იყო განკუთვნილი. მაგრამ ქალაქის შემჭიდროვებამ და უირავი ქონების რენტამ კერძო მესაკუთრეები აიძულა ეს ვრცელი ოთახები

გადაეტოვებოდა და ამით გაემრავლებინათ მკირეფართობიანი ოთახების რაოდენობა, თანაც ძვირად მიეჭირავენათ უამრავი მუშტროსათვის. ისინი, როგორც თვითონ ამბობდნენ, „პაერის მნიშვნელოვან კუბატურასაც“ კი ადებდნენ ფასს. ამ უპირატესობის მხედველობაში მიღება აუცილებელია განხილეთ. მესაკუთრეებს არ შეუძლოთ ოთახების სამილლეში გადატვირთვა. როგორც ამაზე დაახვედნენ უკან და საჭირო მსხვერპლსაც სიამოვნებით გაიღებდნენ, რომ უფრო მეტი თავშესაფარი მიეცათ ახლავაზრდა წყვილებისათვის და განსაკუთრებით მზარდი მომავალი თაობისათვის. „პაერის კუბატურა“ მხოლოდ უპირატესობას არ შეიცავდა. მას ის უხერხულობაც ახლდა, რომ ზამთრობით ოთახების გათბობა ჭირდა. ეს კი საუბედუროდ, მესაკუთრეებს აიძულებდა გათბობის ხარჯები გაედიდებინათ. ზაფხულობით, ფართო და მაღალი ფანჯრების გამო ბინა მთლიანად სინათლით იყო სავსე. ფანჯრებს ღარაბები არ პქონდა. მესაკუთრეებს მათ გაკეთებაზე არ უზრუნიათ; ფანჯრების სამილლემ და კალატონის საფასურმა თუ დაათრთხეს. ბოლოს და ბოლოს, ფარდებს ღარაბების როლი შეეძლო შეესრულებინა და სასლის პატრონსაც რა ენაღვლებოდა: ფარდების ყიდვა მობინაღრეების ხარჯზე იქნებოდა მიგდებული. თავდაპირველად მესაკუთრეები ეხმარებოდნენ მდგმურებს და საკუთარი მაღაზიებიდან ფარდებს იაფად სთავაზობდნენ. ძალიან ემარჯვებოდათ ფილანტროპია ჩაწოლილი საქონლის ხარჯზე. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ეს ახალი პრინციპი ყალამქართა და ხავერდით ვაჭრობდნენ.

იონა აღფრთოვანებული იყო ბინის ზოგიერთი უპირატესობით და უდრტვინველად შეეგუა მის მოუხერხებლობას. „როგორც აქვენ გენებოთ“, — უთხრა მუპატრონეს გათბობის გადასახადის გამო. ფარდებზე კი ლუიზას დაეთანხმა, მხოლოდ საწოლი ოთახის ფანჯრებზე ჩამოეკიდათ. „დასამალი რა გვაქვს“, — ამბობდა ეს ალალი გული. იონას განსაკუთრებით დიდი ოთახს მოსწონდა, რომელსაც ისე მაღალი ჭერი პქონდა, რომ ჭალის დამაგრებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ამ ოთახში პირდაპირ შედიოდი. ვიწრო დერეფანი ბევრად უფრო პატარა ორ სხვა ოთახს აკავშირებდა. ბინის ბოლოში ერთმანეთის შეზობლად სამხარეულო და სათავსოები იყო განლაგებული. იქვე, გვერდზე, პაწაწინა ოთახი სააბაზანოს წარმოადგენდა. ის მართლაც შეიძლებოდა სააბაზანოდ მიგვეჩინა იმ პირობით, თუ ონკანს ვერტიკალურად მოათავსებდით და აბსოლუტურად გაუნძრევლად გამაჯანსაღებელ შხაპს მიიღებდით.

მთლად კარ-ფანჯრებისაგან შემდგარი ბინა, ჭერის არაჩვეულებრივი სიმაღლისა და ოთახების სივიწროვის გამო, მინისაგან აგებულ პარალელეპიპედების უცხაურ შერწყმას ჰგავდა. მასში ავეჯის მისაყულებელი ადგილი არ მოიძებნებოდა. ხოლო კაშკაშა და თვალისმომჭრელ სინათლეში ჩაკარგული ადამიანები აქვარიუმში მოფართხალე ლიდსიტებს ემსგავსებოდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ყველა ფანჯარა ეზოში გადიოდა, ე. ი. მკირე მანძილით დაშორებულ იმევე სტილის სხვა ფანჯრებს უყურებდა, რომელთა უკან მეორე ეზოში გამავალი ახალი ფანჯრების კონტურები ჩანდა. „ეს სარკეებიანი კაბინეტია“, — ამბობდა აღფრთოვანებული იონა, რატოს რჩევით ერთი პატარა ოთახი ცოლ-ქმრის საწოლად იქცა, მეორეს კი ის იყო ჩასახული ბავშვი უნდა შეეფარებინა. დიდი ოთახი იონას დღისით საბელოსნოს მაგივრობას უწევდა, საღამოთი და ვახშმობისას კი საერთო ოთახად იქცეოდა ხოლმე. უკიდურეს შემთხვევაში სამზა-

რეჟლოშიც შეიძლებოდა ჭამა, თუ იონა ან ლუიზა ფეხზე დადგებოდნენ. რატომ, თავის მხრივ, მოსახერხებელი მოწყობილობანი გაამრავლა. მოძრავი კარები, ადვილად ჩამოსახსნელი თაროები და დასაკეცი მაგიდეები ავეჯის სიმცირეს აქარწყლებდნენ, თანაც ამ ორიგინალური ბინის პაერის სიუბეეს/ხაზს უსვამდნენ.

უჩინებელი

როცა ბინა სურათებითა და ბავშვებით გაივსო, საჭირბოლო მოწყობების გადაწინააღმდეგე ეფიქრათ. შესამე ბავშვის დაბადებამდე იონა დიდ ოთახში მუშაობდა, ლუიზა საწოლ ოთახში ქსოვდა, ბავშვები კი უკანა ოთახში თამაშობდნენ და მთელ ბინას ჟივილ-ბივილით ავსებდნენ. გადაწყდა, რომ ახალშობილს სახელოსნოს ერთ კუთხეში მოათავსებდნენ. ეს ადგილი იონამ ტილოებისაგან შექმნილა თეჯარით გამოჰყო; ამას ის უპირატესობა ექნებოდა, რომ ბავშვი წამოიჭარებდა თუ არა, მაშინვე შეხედავდნენ. იონა არასოდეს შეწუხებულა, ლუიზა დაასწრებდა ხოლმე. ის ბავშვის ყვირილს არც კი უცდიდა: ფეხაკრეფით და დიდა სიფრთხილით შედიოდა სახელოსნოში. ასეთი ყურადღებით წასიამოვნებმა იონამ ერთ დღეს დაარწმუნა ლუიზა, არც ისეთი მგრძობიარე ვარ და შენი ნაბიჯების ხმა არ მიშლისო. ლუიზამ უბასუხა, ბავშვის გაღვიძებისაც მეშინიაო. ამგვარი დედობრივი ზრუნვა რომ დაინახა, იონა აღფრთოვანდა და თავის შეცდომაზე გულიანად გაეცინა. მაშინვე ვერ გაბედა ვლიარებინა, რომ ლუიზას ფეხაკრეფით სიარული უფრო აწუხებდა, ვიდრე ხმაურით შემოვარდნა. ვერ ერათი იმიტომ, რომ ჩუმად შემოსვლას უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, თანაც ერთგვარი მიმიკა ახლდა: ლუიზა ფართოდ გაშლილი მკლავებით, ოდნავ გადავარდნილი ტანითა და საკმაოდ მაღლა აწეული ფეხით შეუმჩნეველად ვერ გაივლიდა. ასე ლუიზას ყოველ წუთს შეეძლო ხელი წამოეკრა რაიმე ტილოსათვის, რომლებითაც სახელოსნო გატენილი იყო. ხმაური ბავშვს აღვიძებდა და ისიც უკმაყოფილებას ხმამაღალი ტირილით გამოხატავდა. შვილის ფილტვების სიძლიერით გახარებული იონა მის დასარწევად გარბოდა, ლუიზა უმაღ ენაცვლებოდა ხოლმე. იონა წაქცეულ ტილოებს ალაგებდა, შემდეგ კი ფუნჯებით ხელში მოჯადოებულს უსმენდა თავისი ვაჯკაცის დაჟინებულ და ომახიან ხმას.

თანაც ეს ის დრო იყო, როცა წარმატებამ იონას ბევრი ამხანაგი შესძინა. იანი ხან ტელეფონით შეახსენებდნენ თავს, ხან კი მოულოდნელად ესტუმრებოდნენ. ტელეფონი, რომელიც დიდი ყოყმანის შემდეგ სახელოსნოში დაიდგა, ხშირად რეკდა, თანაც ყოველთვის ბავშვის დაძინებისას. აპარატის მპრძანებლურ წკარუნს ბავშვის ყვირილი ერთვოდა. თუ ლუიზა დახარჩენი ორი ბავშვის მოვლაში იყო გართული, ცდილობდა მათთან ერთად მიერბინა ტელეფონთან, მაგრამ უფრო ხშირად აპარატთან იონა დასვდებოდა ხოლმე ჩილი ბავშვით ცალ ხელში, ხოლო მეორეში ფუნჯებითა და ყურმილით. ყურმილი რომელიდაც საუზმეზე გულთბილ მოწვევას აცნობებდა. იონა აღფრთოვანდებოდა, რომ მასთან ერთად სურლით ესაუბმათ, თუმც წინდაწინვე იცოდა, საუბარი ბანალური იქნებოდა. ოდონდ, შინიდან გასვლა სადამოთბით ერჩია, დღისით მუშაობაში ხელი რომ არ შეშლოდა. საუბედუროდ, ამხანაგი სწორედ დღისით იყო თავისუფალი და ეს საუზმე საგანგებოდ საყვარელი იონასათვის შემოენახა. საყვარელი იონა თანხმდებოდა. „როგორც თქვენ გუნებოთ“, — და ყურმილს დებდა. „რა თავაზიანია ეს კაცი“, — იტყოდა ხოლმე და ბავშვს ლუი-

ზას აძლევდა. შემდეგ ისევ მუშაობას უბრუნდებოდა, რაც მალე საუზმის ან სადილის გამო წყდებოდა. საჭირო იყო ტილოების გაწვევ-გამოწვევა, ასაკეცი მაგიდის გაშლა და პატარებთან ერთად სუფრასთან დაჯდომა. ჭამის დროს იონა ცალი თვალით ნამუშევარ ტილოს უყურებდა და გრვენიბოდა, რომ ბავშვები ძალიან ნელა ღეჭავდნენ და ყლაპავდნენ, ეს კი ვახშობას საოჯახო ნიშნულად და მაგრამ ერთხელ გაზეთში ამოიკითხა, კარგა მონელებს მათთვის ჭამა არისო საჭირო და ამიერიდან ყოველ ვახშობაზე მაზეზებს პოულობდა ამ სიამოვნებას გასაგრძელებლად.

ხანდახან ახალი ძეგობრები მოინახულებდნენ ხოლმე. რატო მხოლოდ ხასადალევს მოდიოდა. დღისით თავის ბიურაში იყო. ამას გარდა, მან იცოდა, რომ მხატვრები დღის სინათლეზე ამჯობიანებენ მუშაობას, იონას ამხანაგები თითქმის ყველანი მხატვართა ან კრიტიკოსთა წრეს ეკუთვნოდნენ. ზოგს წინათ ეხატა, ზოგიც მომავალში აპირებდა ხატვას, ზოგიერთი დაინტერესებული იყო უკვე შექმნილი ტილოებით, ზოგაც იმით, რაც მომავალში უნდა შექმნილიყო. ყოველი მათგანი ცხადია, ძალიან აფასებდა ხელოვნების ნამუშევრებს და უჩიოდა თანამედროვე სამყაროს მოწყობილობას, რომელიც ასე აძნელებდა სურათების შექმნას და მხატვარს ფაქრის საშუალებას არ აძლევდა. ასინი მთელი დღე წუწუნებდნენ, თანაც იონას გხვეწებოდნენ, ყურადღებას ნუ მოგვაქცევ, მუშაობა არ შეწყვიტო და ჩვენთან თავისუფლად იყავიო. ბურჟუები ხომ არ იყვნენ და კარგად იცოდნენ, რად ღირდა მხატვრისათვის დრო. იონას უხაროდა, ამხანაგებს შესაძლებლად მიაჩნათ მათი თანდასწრებით ვიმუშავოთ და თავის ტილოს მიუბრუნდებოდა ხოლმე. მაგრამ შეუჩერებელი პასუხობდა ამხანაგებს, ან მათ ანეკდოტებზე იცინოდა.

ამ უშუალოდ ამხანაგები სულ უფრო და უფრო თავისუფლად გრძობდნენ თავს. კარგი გუნება საუზმესაც კი ავიწყებინებდათ. სამაგიეროდ ბავშვებს კარგი მეხსიერება ჰქონდათ. ისინი ღრიალით შემოვარდებოდნენ ოთახში, შეგროვდნენ საზოგადოებას, ხელიდან ხელში გადადიოდნენ, მუხლებზე აცოცდებოდნენ სტუმრებს; ბოლოს, როცა დღე მიიწურებოდა და ოთხკუთხა ეზოს სინათლე მოაკლდებოდა, იონა ფუნჯებს ხელს უშვებდა. ისლა რჩებოდა, ერთ ჭიქა ყავაზე მიეპატიჟებია ამხანაგები და გვიანობამდე ელაპარაკათ, რასაკვირველია ხელოვნებაზე, მაგრამ უფრო მეტად კი უნიჭო მხატვრებზე, უბადრუკებივონებზე, რომლებიც იმ დროს იქ არ იყვნენ. იონას აღრე აღგომა და დილის სინათლეზე უყვარდა მუშაობა. იცოდა, რომ ეს ძნელი იქნებოდა, საუზმე მზად არ დახვდებოდა, თვითონაც დაღლილობას იგრძნობდა. მაინც უხაროდა, რომ ერთ საღამოს ამდენი ახალი რამ გაიგო. შემდეგ ხომ ყველაფერი ხელოვნებაში გამოადგებოდა, თუმცა კი შეუმჩნევლად და თანდათანობით. ხელოვნებაში, ისევე როგორც ბუნებაში, არაფერი არ იკარგება, ესეც ბედის ოინაო, ამბობდა იგი.

ამხანაგებს ხანდახან მოწაფეებიც უერთდებოდნენ. იონა ახლა სკოლის მამამთავრად ითვლებოდა. ის ჯერ ვაოცებული დარჩა, თვითონ ძიებაში ვარ, გზას ბნელში ვიკვლევ და სხვებს რა უნდა ვასწავლოო. თუმცა მალე გაიგო, რომ მოწაფე აუცილებლად ის კი არ არის, ვინც რაიმე უნდა შეისწავლოს. უფრო ხშირად, პირიქით, მოწაფედ მოაქვთ თავი, მასწავლებელს რომ ასწავლონ და ეს სიამოვნებთ. ამიერიდან თავიდაბლად შეუჩრდიდა თავყვანისმცემელთა

ზრდას. მოწაფეები დაწვრილებით უხსნიდნენ, რა ჰქონდა დახატული და რატომ. ამგვარად იონამ თავის ნამუშევრებში ბევრი საკვირველი ჩანაფიქრი აღმოაჩინა და კიდევ ათასი რაღაც დაინახა, რაც ფიქრადაც არ მოსვლიდა. თბილარობად შიანდა, მოწაფეების წყალობით კი მდიდარი გახდა. ხანდახან ამდენი სიმდიდრის დამნახავ იონას სიამაყის ჭრა შეეპარებოდა. „სწორედ ეს უნდა გყავდეს, — უკანა პლანზე რომ სახეა, მართლაც მხოლოდ ის ჩანს. — კარგად კი არ მესმის, როსი თქმა უნდათ ამ არაპირდაპირი ჰუმანიზაციით, მაგრამ უნდა ითქვას, ამ ეფექტით კაი შორს წავედი“. თუმცა ძალიან მალე თავის ოსტატობას ისევ ზედის ვარსკვლავს მიაწერდა ხოლმე. „ზედის ვარსკვლავი წინ მიდის, მე კი ლუიზასა და ბავშვებთან ვრჩები“. — იტყოდა ხოლმე.

მოწაფეებს კიდევ სხვა დამსახურება ჰქონდათ. ისინი იონას აიძულებდნენ უფრო ძველად მოჰკიდებოდა თავს. ისე მალდა აყენებდნენ იონას და მეტადრე იმას, რაც მის კეთილსინდისიერებასა და შრომისუნარიანობას ეხებოდა, რომ იონას არავითარი სისუსტის გამოჩენის ნება აღარ ჰქონდა. ასე დაკარგა ერთი ძველი ჩვეულება: როცა ტილოს ძნელ ნაწილს დაამთავრებდა, მუშაობის განახლებამდე წაქრის ნატებს ან შოკოლადს მოწუწნიდა ხოლმე. ამ სისუსტეს აღბათ მარტოობაშიც დაანებებდა თავს. ახლა კი, ამ ზნეობრივ პროგრესისკენ მდგარს, ცხადია, მეგობრებისა და მოწაფეების მუდმივად მასთან ყოფნამ შეუწყობ ხელი. მათ წინაშე ცოტა ერიდებოდა შოკოლადის წუწნა, თანაც ამ უმნიშვნელო ჩვევის გამო საინტერესო საუბრის შეწყვეტა არ ღირდა.

მოწაფეები მისგან მოითხოვდნენ საკუთარი ესთეტიკის ერთგული ყოფილიყო. იონა კი ტანჯვით ეძიებდა და ცდილობდა როგორმე დაეჭირა წამიერი გაელვება სინამდვილისა, რომელიც უწყინდეს სინათლიდან ცხადდებოდა და თავის ესთეტიკაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მის მოწაფეებს კი, პირაქით, რამდენიმე საწინააღმდეგო და კატეგორიული აზრი ჰქონდათ შემუშავებული. ისინი არ ხუმრობდნენ. იონა მზად იყო ხანდახან ეჭარვეულა: ეს თვისება ხომ ყოველი მხატვრის თავმდაბალი მეგობარია. როცა მოწაფეები წარბს შეიკრავდნენ ზოგიერთი ტილოს წინაშე, რომელიც მათ იდგება არ ემთხვეოდა, იონა იძულებული იყო მეტი ეფიქრა თავის ხელოვნებაზე. ცხადია ამას მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეეძლო.

დაბოლოს, მოწაფეები იონას სხვა მხრივაც ეხმარებოდნენ. ისინი მოითხოვდნენ აზრი გამოეთქვა მათ ნამუშევრებზე. მართლაცდა, დღე არ გავიდოდა, რომ რომელიმე მათგანს ახლად დაწყებული ტილო არ მოეტანა. ავტორი თავის ტილოს იონასა და მის ნამუშევარს შორის ისე ათავსებდა, რომ კარგ განათებაში მოექცია. საჭირო იყო აზრის გამოთქმა. იონა ყოველთვის სირცხვილისაგან იწვოდა ხოლმე, რადგანაც არავითარი უნარი არ გააჩნდა ხელოვნების ნაწარმოები შეეფასებინა. რამდენიმე სურათი ძალიან უყვარდა და რამდენიმე უშნოდ დათხაბნილი ტილო სძაგდა. ყველა დანარჩენი ერთნაირად საინტერესოდ მიაჩნდა და ინდიფერენტულად უცქერდა. იონა იძულებული აღმოჩნდა აზრთა არსენალი შეექმნა, ერთმანეთისაგან განსხვავებული შეფასებანი დაეგროვებინა, რადგან მის შეგირდებს, ისევე როგორც დედაქალაქის სხვა მხატვრებს, ერთგვარი ნიჭი მომადლებოდათ და მათი იქ ყოფნისას აუცილებელი იყო საკმაოდ განსხვავებული ნიუანსების დადგენა თითოეული მათგანის დასაკმაყოფილებლად. ამ საბედნიერო მოვალეობამ იონა აიძულა ლექსიკონი შეექ-

მნა და თავის ხელოვნებაზე აზრი შეეძუშავებინა. ამ ძალდატანებამ არ გააბო-
როტა მისი ბუნებრივი კეთილმოსურნეობა. მალე მიხვდა, რომ შეგირდები
კრიტიკას არ თხოულობდნენ, რადგან მისი მოთხოვნათა დამაყოფილებელი არ
შეეძლოთ. მათ წახალისება სურდათ და თუ შესაძლებელი იყო, ქებაც. რღონდ
ყოველი მათგანის ქება ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. იონა
აღარ კმაყოფილდებოდა ბუნებრივი თავაზიანობით, ის თავაზიანობას თანავედა.

ააე გადიოდა იონას დრო. იცდა მეგობრებითა და მოწაფეებით გარშე-
მორტყპული და ხატავდა. ისინი კა ძალბერტის გარშემო მჭიდროდ ჩარიგებულ
სკამებზე ისხდნენ. ხშირად მეზობლები გამორჩეულდნენ ფანჯრებში და მაყუ-
რებელთა რიცხვს უერთდებოდნენ. იონა კამათობდა, აზრებს განოთქვამდა, მო-
ტიანილ ტალოებს ათვალერებდა, გაიღიმებდა, როცა ლუიზა გაივლიდა ხოლმე,
ბავშვებს ამშვიდებდა და გულთბილად უპასუხებდა ტელეფონს, ისე რომ ფუნ-
ჯებს ხელიდან არ უცეებდა. დროდადრო დაწყებულ ტილოზე რომელიმე ფერს
უმატებდა. ერთი მხრივ, მისი ცხოვრება საკვს იყო, მთელი დღე დაკავებული
ქონდა და ზედს უმადლოდა, მოწყენას არ მაკარებსო. მეორე მხრივ, რამდენი
მონაში იყო საჭირო ტილოს შესავსებად და ხანდახან გაიფიქრებდა — მოწყე-
ნილობა დიდი არაფერია, რადგან აგზნებული მუშაობით შეიძლება მას თავი
დაადწიოს. რაც უფრო საინტერესონი ზღებოდნენ ამანაგები, იონას ნამუშევ-
რებია რაოდენობა მცირდებოდა. იმ იშვიათ საათებშიც კი, როცა სრულიად
მარტო იყო დადლილობის გამო გაორკეცებული ძალით ვედარ მუშაობდა. მარ-
ტობაში მბოლოდ იმაზე იცხებობდა: ნეტავ ისეთი მდგომარეობაც არსებობ-
დეს, რომელსაც მეგობრების სიახლოვით გამოწყვეული სიამეც ანლავს და გან-
მარტოების სიკეთეცო.

მან გული გადაუხსნა ლუიზას. ქალიც ღელავდა, რადგან ორი უფროსი
ბავშვი სწრაფად იყრიდა ტანს, თათხა კი ისევ ვიწრო რჩებოდა. ლუიზამ აზრი
გამოთქვა, ორი უფროსი დიდ ოთახში თეჯირს უკან დაეწვინათ, ჩვილი კი პატა-
რაში გადაეყვანათ, სადაც მას ტელეფონი არ გააღვიძებდა. ჩვილს ხომ ბევრი
ადგილი არ უნდოდა და პატარა ოთახი იონას სახელოსნოდ შეეძლო ეხმარა.
დიდი ოთახი კი სასტუმროდ გამოდგებოდა. იონა მყუდროდ იმუშავებდა, თუ
მოისურვებდა სასტუმროშიც გამოვიდოდა, მოიკითხებდა ნაცნობ-მეგობრებს,
მერე კვლავ თავის ტალოს მიუბრუნდებოდა, თანაც დარწმუნებული იქნებო-
და, რომ მისი განცალკევება არავის ეწყინებოდა. როცა უფროსი ბავშვების
დაწოლის დრო დადგებოდა, სტუმრებს წასვლა მოუხდებოდათ.

— შესანიშნავი იქნება, თქვა იონამ მცირე ფიქრის შემდეგ.

— და თუ შენი ამანაგები აღრე წავლენ, — დასძინა ლუიზამ, — ჩვენ
უფრო დიდხანს ვიქნებით ერთად.

იონამ ლუიზას შეხედა. ქალს სახეზე ნაღვლიანი გამომეტყველება ქონდა.
გულაზრუბულმა იონამ გულში ჩაიკრა და ნაზად აკოცა. ლუიზა გაინაბა და
ერთი წუთი ისეთივე ბედნიერებას განაცდიდნენ, როგორც დაქორწინების პირ-
ველ დღეებში. ლუიზა ჩქარა მივიდა გონს. ოთახი არ გეპატარავოსო, თქვა დი-
საკეც საზომს დასტაცა ხელი. ოთახი იონასა და უმთავრესად მოწაფეების ტი-
ლოებით იყო გაჭყდილი. ამის გამო მისი სამუშაო ადგილი თითქმის არ აღემა-
ტებოდა იმ ოთახს, რომელშიც უნდა გადასულიყო. იონა დაუყოვნებლივ გა-
დაბარგდა.

საბედნიეროდ, მისი რეპუტაცია მით უფრო იზრდებოდა, რაც ნაკლებს მუშაობდა. ყოველ მის გამოფენას მოუთმენლად ელოდნენ და წინასწარ რეკლამას უკეთებდნენ. საერთო ქებას რამდენიმე კრიტიკული შენიშვნაც გამოეყოფოდა, რომელთა ორი ავტორი სახელოსნოს მუდმივი სტუმარი გახლდათ. ეს კრიტიკა საერთო დადებით შეფასებას მივირეცხავდი ჩრდილს აყვებდა და მშვენიერე უბედურებასაც მოწაფეების აღშფოთება წაშლიდა ხოლმე. მაგისტრის, მასწავლებლის და ღონე ჰქონდათ, ამტკიცებდნენ, პირველი პერიოდის ნამუშევრებს ყველაზე მაღლა ვაყენებთ, მაგრამ უმაღლე დასძენდნენ, ამჟამინდელი ძიებანი ჰუმარიტ რევოლუციას გამოიწვევსო. იონა მზურვალე მაღლობას უხდოდა, თანაც გრძნობდა, რომ, ცოტა არ იყოს, აღიზიანებდა პირველი პერიოდის ქება. მხოლოდ რატო ბუზღუნებდა:

— უცნაური ხალხია, ძეგლად ქცეულს გესაყვანებიან. მათთან ცხოვრება შეუძლებელია.

იონა მოწაფეებს ესარჩლებოდა:

— შენთვის ეს გაუგებარია, — ეუბნებოდა რატოს, — შენ ყველაფერი მოგწონს, რასაც ვაკეთებ.

რატო იცინოდა: ეშმაკსაც წაუღია ყველანი, შენი ტილოები კი არ მომწონს, შენი მხატვრობა მიყვარსო.

ასე თუ ისე, სურათები სულ უფრო და უფრო დიდ მოწონებას იმსახურებდა და ერთ-ერთი გამოფენის შემდეგ, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, სურათებით მოვაჭრემ იონას თვითონ შესთავაზა ფულადი დახმარების გადიდება. იონა მაღლობით დასთანხმდა. „კაცმა რომ გიყუროთ, — უთხრა ვაჭარმა, — იფიქრებს, ფულს რაღაც მნიშვნელობას ანიჭებსო“. ამდენმა უბრალოებამ მხატვრის გული მოიგო. თუმცა ერთხელ, როცა ვაჭარს ნებართვა სთხოვა ერთ ტილოს საქველმოქმედო მიზნით მოწყობილ ბაზრობაზე გავიტანო, ვაჭარი აღელდა და დაინტერესდა, მომგებიანი თუ იყო ქველმოქმედება. იონამ არა იცოდა რა. მაშინ ვაჭარმა ურჩია კეთილსინდისიერად შეესრულებინა ხელშეკრულების მუხლები, რომლის მიხედვით სურათების გაყიდვის უფლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ეძლეოდა.

— ხელშეკრულება ხელშეკრულებაა, მოლაპარაკებაში ქველმოქმედება ხომ არ იყო გათვალისწინებული?

— როგორც თქვენ გსურდეთ, — უპასუხა იონამ.

ოთახების ახალი განლაგება იონას აკმაყოფილებდა. უფრო ხშირად ახერხებდა განმარტოებას, რომ მრავალრიცხოვან წერილებზე გაეცა პასუხი. თავაზიანობა ნებას არ აძლევდა წერილები უპასუხოდ დაეტოვებინა. ერთნი მის ხელოვნებას ეხებოდნენ, სხვები, უფრო მრავალრიცხოვანნი, თავის თავზე წერდნენ. ზოგს ბიძგი სჭირდებოდა, რომ საკუთარ თავში მხატვრის მოწოდება აღმოეჩინა. ზოგი რჩევას, ან ფინანსურ დახმარებას თხოულობდა. რაც უფრო ხშირად იყო ხოლმე იონას გვარი გაზეთებში, მით უფრო ხშირად სთხოვდნენ აღშფოთება გამოეთქვა ჩადენილ უსამართლობათა გამო. იონა უპასუხებდა, წერდა ხელოვნების შესახებ. მაღლობას იხდოდა, რჩევას აძლევდა, პალატუხს იკვებდა, ვინმესათვის დახმარება რომ აღმოეჩინა და ბოლოს, ხელს აწერდა სამართლიან პროტესტებს, რომლებიც მასთან მიჰქონდათ. რაო, ახლა პოლიტიკას მოჰკიდებ ხელი? ეს მწერლებსა და უშნო ქალებს მიახდევო, — ეუბნებოდა რატო. არა,

ის ხელს აწერდა მხოლოდ იმ პროტესტებს, რომლებიც არც ერთი პარტიის ინტერესებს არ იცავდნენ. მთელი კვირა იველი, მივიწყებული და ახლად მიღებული წერილებით ჯიბეგატენილი დადიოდა. სასწრაფო წერილებს უბალვე უპასუხებდა, რადგან, როგორც წესი, მათ უცხოები გზავნიდნენ. იმ წერილებს კი, რომლებშიც სთხოვდნენ, მაშინ გვიპასუხეთ, როცა თავისუფალი დრო გექნებათ, საკმაო ხანს აყოვნებდა. ყოველ შემთხვევაში, ამდენი ვაწილდებულა ხეტილისა და უქმად ყოფნის ნებას არ აძლევდა. თავის თავს მუდამ დაგვიანებულად და დამნაშავედ გრძნობდა, მაშინაც კი, როცა მუშაობდა, მუშაობას კი ხანდახან მაინც ახერხებდა.

ლუიზას ბავშვები სულ უფრო და უფრო მეტ დროს ართმევდნენ და ქალი საშინლად იქანცებოდა. ზოგი რამ, სხვა პირობებში, იონასაც შეეძლო გაეკეთებინა. ამის გამო იონა თავს უბედურად გრძნობდა. ბოლოს და ბოლოს, ის რომ თავისი სიამოვნებისათვის მუშაობდა, ლუიზას კი უარესი ხვედრი ხვდა წილად. ამას მაშინ უფრო ამჩნევდა, როცა ლუიზა სასყიდლებზე მიდიოდა. „ტელეფონია“, — ყვიროდა უფროსი ბავშვი. იონა ადვილზევე ტოვებდა სურათს: მალე, დამშვიდებული გულით და კიდევ ერთი დაპატიუებით გაბედნიერებული, თავის ტილოს უბრუნდებოდა. „გაზზე მოვედი“, — ღრიალებდა ვილაც გაღებულ კარებში. როცა იონა ლაპარაკს მოათავებდა, ან კარს მოსცილდებოდა, ამხანაგი, ან მოწაფე, ხან კი ორივე ერთად. პატარა ოთახამდე მიაცილებდნენ დაწყებული საუბრის დასამთავრებლად. ნელ-ნელა ყველა მიეჩვია დერეფანს. იქ ღვებოდნენ, საუბრობდნენ, შორიდან იმოწმებდნენ იონას, ანდა ცოტა ხნით შევარდებოდნენ ხოლმე პატარა ოთახში.

— აქ, სხვა რომ არა იყოს რა, — იტყოდნენ ხოლმე შემოსულები, — საშუალება გვეძლევა ცოტა ხნით მაინც განახოთ და თანაც თავისუფლად.

იონას გული უჩუყდებოდა:

— მართალია, სულ ვეღარ ვხედავთ ერთმანეთს.

გრძნობდა, როგორ უცრუებდა გულს მათ და დაღონდებოდა ხოლმე. ზოგიერთი ამხანაგის ნახვა გულით უნდოდა, მაგრამ დრო არ ჰყოფნიდა და ყველაფერს ვერ ასწრებდა. წარმატებამ თავბრუ დაახვია, ველარავის ამჩნევს, თავისი თავის გარდა არავინ უყვარსო, — იტყოდნენ ხოლმე. არა, მას უყვარდა თავისი მხატვრობა, ლუიზა, ბავშვები, რატო, კიდევ რამდენიმე ამხანაგი, ხოლო სხვებისადმი სიმპათიით იყო გამსჭვალული. მაგრამ ცხოვრება ხანმოკლეა, დრო ჩქარა გარბის და ყოველ ენერგიასაც საზღვარი აქვს. ძნელი იყო სამყაროსა და ადამიანების ხატვა და ამავე დროს, მათთან ერთად ცხოვრება. მეორე მხრივ, არც ჩივილი შეეძლო და არც სიძნელეების ახსნა: რადგან მაშინვე მხარზე და-არტყამდნენ ხელს და ეუბნებოდნენ: „ბედნიერი კაცი ხარ, ეს შენი სახელის საფასურია“.

წერილები კი უფრო მატულობდა. მოწაფეები მოსვენებას არ აძლევდნენ, მაღალი საზოგადოების ხალხის მისვლა-მოსვლა განშირდა. მხატვრობისადმი მათი ინტერესი იონას პატივისცემას იწვევდა; მათ ხომ შეეძლოთ უფრო დიდი ყურადღება გამოეჩინათ ინგლისის სამეფო ოჯახის, ანდა გასტრონომიული ნაწარმისადმი? სინამდვილეში საქმე მაღალი საზოგადოების იმ ქალებს ეხებოდა, რომლებიც ძალიან უბრალოები აღმოჩნდნენ. ისინი თვითონ არ ყიდულობდნენ სურათებს; მათ მხოლოდ ამხანაგები მოჰყავდათ იმ იმედით, ესენი მაინც შეიძე-

ნენო, მაგრამ ხშირად იმედი ფცრუვდებოდათ. სამაგიეროდ, ლუიზას ეხმარებოდნენ სტუმრებისათვის ჩაის დამზადებაში. ფინჯნები ხელიდან ხელში გადადიოდა, სამზარეულოდან დიდი ოთახისაკენ, მერე დერეფნებში, რომ საბოლოოდ იონას პატარა სახელოსნოში ებოვათ ადგილი. აქ, ამხანაგებსა და სტუმრებს შორის ჩამჭდარი იონა ხატავდა. მაგრამ ხატვას შეწყვეტდა და სტუმრებს დააწყობდა, როცა იძულებული იყო მადლიერების გრძნობით მიეღო ფინჯანი მომხიბვლელი არსების ხელიდან, რომელსაც საამელი საგანგებოდ მისთვის მოემზადებია.

იონა ჩაის სვამდა, უყურებდა მონახატს, რომელიც მის მოწაფეს მოლბერტზე დაედო, იცინოდა ამხანაგებთან ერთად, სიცილა შეწყვეტდა და რომელიმე მათგანს სთხოვდა, ღამე დაწერილი მთელი დასტა წერილები ფოსტის ყუთში ჩამიყარეო... შემდეგ ფეხებთან მოთამაშე ბიჭს წამოაყენებდა, ერთი წამით ფოტოგრაფის წინ გაიჩინებოდა და უცებ გაისმოდა: „იონა, ტელეფონთან“. დგამდა ფინჯანს, ბოდიშებით მიიკვლევდა ვზას დერეფანში მოფუსფუსე ხალხს შორის, ბრუნდებოდა, სურათის ერთ კუნჭულს იწყებდა, მაგრამ მყისვე აწყვეტილებდნენ და ისიც მშვენიერ ბანოვანს უბასუბებდა, თქვენს პორტრეტს ალბათ მომავალში დავხატავო. შემდეგ ისევ მოლბერტს მიუბრუნდებოდა და ისევ მოესმოდა ძახილი:

— იონა, ერთი ხელი მოაწერე.

— რა არის? — კითხულობდა იგი, — ფოსტალიონია?

— არა.

იონა ახალგაზრდა კაცის მისაღებად კარისაკენ გარბოდა, ღელავდა, სურდა გაეგო, პოლიტიკას ხომ არ ეხებოდა საქმე. მხოლოდ მაშინ აწერდა ხელს, როცა დაამშვიდებდნენ და თანაც მოაგონებდნენ ამ მოვალეობას, რომელსაც მას მხატვრის პრივილეგია უქმნიდა. მერე ისევ წამოდგომა უბდებოდა, რადგან მისთვის ვიღაც უნდა წარედგინათ. სახელს არც კი დაგიღვედათ, ბოლო შეჯიბრებაზე გამარჯვებული მოკრივე იყო თუ რომელიმე უცხო ქვეყნის ყველაზე დიდი დრამატურგი. დრამატურგი ხუთი წუთის განმავლობაში მის წინ იდგა და, ადევნებულები, მზერით გამოსხატავდა იმას, რომ ფრანგულის არცოდნა ნებას არ აძლევდა უფრო ნათლად გამოეთქვა თავისი აზრი. იონა ამ დროს გულწრფელი სიმპათიით აქნევდა თავს. საბედნიეროდ, ამ გამოუვალი მდგომარეობიდან უკანასკნელი მქადაგებლის შემოვარდნა გამოიყვანდა. მასაც სურდა დიდი მხატვრისათვის წარედგინათ. აღფრთოვანებული იონა გაეცნობოდა, ჭიბეში ჩადებულ წერილების დასტას ხელით მოსინჯავდა, ფუნჯებს ხელში ბლუჯავდა, ისევ სამუშაოდ ემზადებოდა, მაგრამ ჭერ მადლობა უნდა გადაეხადა ორი სეტერის გამო, რომლებიც, ის-ის იყო, მოუყვანეს. ძაღლები საწოლ ოთახში მიჰყავდა, ბრუნდებოდა, რომ საჩუქრის მომტანის მოპატიჟება მიეღო, ხელმეორედ გარბოდა ოთახში ლუიზას ყვირილზე. ძაღლები არ იყვნენ მიწვეულნი ბინაში ცხოვრებას და სააბაზანო ოთახი უფრო მოუხდებოდათ. მათ გამუდმებით ღმუილს კი ყური ეჩვეოდა. სადღაც შორს, მრავალრიცხოვან თავებს მიღმა, იონა თვალს მოჰკრავდა ხოლმე ლუიზას გამობედვას და სევდიანი ეზვენებოდა. დღის მიწურულს სტუმრები ეთხოვებოდნენ, ზოგიერთი შემორჩებოდა დიდ ოთახში და ნაზად უყურებდა, როგორ აწვენდა ლუიზა ბავშვებს და როგორ ეხმარებოდა რომელიმე ელეგანტურად ჩაცმული ქალი. ქალი წუწუნებდა, რომ შინ უნდა

დაბრუნებულიყო, სადაც ორ სართულზე გაჭიმული ცხოვრება ნაკლებად ინტიმური და მყუდრო იყო, ვიდრე იონას ბინა.

ერთ წაბათ დღეს რატომ სარეცხის ახალი საშრობი მოუტანა ლუიზას, მისი დამაგრება მხოლოდ სამსარეულოს კერზე შეიძლებოდა. ბინა ხალხით გატენილი დახვდა და პატარა ოთახში დაანახა მცოდნეებით გარშემოჭრილი იონა, რომელიც მუშაობდა, თვითონ იონას კი ოფიციალური წრეში მსახურებულის მხატვარი ხატავდა. ეს უკანასკნელი, ლუიზას თქმით, სახელმწიფო შეკვეთას ასრულებდა. „მხატვარი მუშაობისას“, — ასე უნდა რქმეოდა სურათს. რატო ოთახის ერთ კუთხეში მიდვა და ამხანაგს დააცქერდა, რომელიც ნამდვილად თავის საქმეში იყო ჩაფლული. ერთ-ერთი მცოდნეთაგანი, რომელსაც რატო არასოდეს ეხება, მისკენ დაიხარა და უთხრა:

— რას იტყვით, კარგად გამოიყურება, არა? — რატომ არ უბასუხა. — თქვენ ხატავთ? — განაგრძო უცნობმა, — მეც ვხატავ, ჰოდა, მერწმუნეთ, დაბლა დაქანდა.

— უკვე? — იკითხა რატომ.

— დიხ, წარმატებამ ასე იცის. ის ვერ შეერკინა წარმატებას. ეს უკვე დასასრულია.

— დაბლა დაქანდა, თუ უკვე დასასრულია? — ჰკითხა რატომ.

— მხატვარი, რომელიც დაბლა ეშვება, თავდება. შეხედეთ, თვითონ აღარაფერი აქვს დასახატი. უკვე მას ხატავენ და მალე კედელზე ჩამოჰკიდებენ.

უფრო მოგვიანებით, საწოლ ოთახში ლუიზა და რატო ლოგინის კიდეზე ისხდნენ, იონა ფეხზე იდვა. სამივენი დუმდნენ. ბავშვებს ეძინათ, ძაღლები სოფელში გაებარებინათ. ლუიზას ის იყო დაერეცხა უამრავი ჭურჭელი, რომელიც იონამ და რატომ გაამწრაღეს. ყველა კარგა მოდლილი იყო.

— მოსამსახურე აიყვანეთ, — ურჩია რატომ, დახვავებულ თეფშებს რომ დახედა.

— სად მოვათავსო? — ნადვლიანად მიუგო ლუიზამ. ყველა დუმდა.

— კმაყოფილი ხარ? — მიუბრუნდა რატო იონას.

იონამ გაიდიძა, თუმცა დაღლილი გამომეტყველება ჰქონდა.

— კი, ყველა კარგად მგწყევა.

— არა, — შეეპასუხა რატო, — ნუ ენდობი, იცოდე, ყველა კეთილი არ არის.

— მაინც ვინ?

— მაგალითად, შენი მეგობარი მხატვრები.

— ვიცი, — თქვა იონამ, — მაგრამ ბევრი მხატვარია ასეთი. ისინი დარწმუნებულნი არ არიან, რომ არსებობენ, ყველაზე დიდებიც კი მათ შორის. ამიტომ საბუთებს ეძებენ, ასამართლებენ, განაჩენი გამოაქვთ. ეს ძალას მატებთ, ეს არსებობის დასაწყისია. ისინი მარტონი არიან. — რატო თავს აქნევდა. — დამაჯერე, — უთხრა იონამ, — მე მათ ვიცნობ, ისინი უნდა გიყვარდეს.

— შენ კი, — თქვა რატომ, — განა შენ არსებობ? არასოდეს არავისზე ცუდს არ ამბობ!

იონას გაეცინა:

— ოჰ, ხშირად ცუდს ვფიქრობ მათზე, ოღონდ მერე მაკიწყდება ხოლმე. —

ის ჩაფიქრდა. — არა, არც მე ვარ დარწმუნებული, რომ ვარსებობ; მაგრამ ვიარსებებ, ეჭვი არ შეპარება.

რატომ ლუიზას შეეკითხა, რას ფიქრობდა ამის შესახებ. ლუიზა დაღლილობიდან გამთერკვა და თქვა, იონა მართალიაო. სტუმრების აზრს რა მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარი იონას მუშაობა იყო. ლუიზა გრძნობდა, რომ ბავშვთა მუშაობაში აყვრხებდა. ბავშვი იზრდებოდა, საჭირო იქნებოდა დავის ყიდვა, რომელიც აღვიღს დაიჭერდა. რა უნდა ექნათ, საწამ უფრო დიდ ბინას იშოვიდნენ? იონა საწოლს ოთახს უყურებდა. მართალია, იდეალური არ იყო, საწოლს დიდი ადვილი ეჭირა, სამაგიეროდ, მთელი დღე ცარიელი იყო თავისი აზრი ლუიზას გაუზიარა. ცოლი ჩაფიქრდა: ამ ოთახში მაინც არ დაუშლიდნენ იონას, საწოლზე ხომ ვერ გაბედავდნენ დაწოლას? „რას ფიქრობთ ამაზე?“ — ჰკითხა ლუიზამ რატოს. რატო იონას უყურებდა, მას კი მოპირდაპირე სახლის ფანჯრებისათვის მიეპყრო მზერა. შემდეგ წამოდგა, სვალები უვარსკალავო ცას მიაპყრო და ფარდების ჩამოსაშვებად გაემართა. როცა მობრუნდა, რატოს გაუღიმა და უხმოდ ჩამოჯდა ლოჯიანზე მის გვერდით. გადაქანცულმა ლუიზამ გამოაცხადა, მზაპს მივიღებო. როცა ორი მეგობარი მარტო დარჩა, იონამ მზარზე რატოს ხელი იგრძნო, თავი არ მოუბრუნებია, ისე თქვა:

— ხატვა მიყვარს, როგორ მიწდა მთელი სიცოცხლე ვხატო, დღეც და ღამეც. ეს განა ბედის წყალობა არაა?

რატომ აღერსიანად შეხედა:

— კო, — უთხრა, — ეს მართლაც ბედია!

ბავშვები იზრდებოდნენ. ისინი ჯანმრთელნი და მხარულნი იყვნენ და მათი შემყურე იონა ბედნიერად გრძნობდა თავს. ისინი სკოლაში დადიოდნენ და სახლში ოთხ საათზე ბრუნდებოდნენ. იონას შაბათი ნამუადღევი, ხუთშაბათი და იგრძელი არდადეგების დღეები შეეძლო გამოეყენებინა. ბავშვები ისე დიდებები არ იყვნენ, რომ წყნარად ეთამაშათ, ხოლო მათი გულიანი კისკისისა და ღრიალცილისაგან ყურთასმენა იყო წაღებული. ბავშვების მოთოკვა იყო საჭირო, ზოგჯერ კიდევაც უნდა დამუქრებოდა, მიგტყუებავთო. ამასთან სუფთად უნდა ცმოდათ, ღილები მიკერებული ჰქონოდათ. ლუიზა საქმეს ვედარ აუდიოდა. მოსამსახურეს კი ვერ იყვანდნენ, რადგან ამ სივიწროეეში ვერსად მოათავსებდნენ. იონამ ლუიზა შეაგულიანა და ურჩია, დასაბმარებლად შენი და როზა მოიყვანეო. როზა ქერივი იყო და თავის უფროს ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. „კარგი, — თქვა ლუიზამ, — როზას არ მოვერიდებით, როცა მოგვინდება მოვიშორებთ“. იონას გაეხარდა. ეს გამოსავალი შეღავათს მისცემდა ლუიზას და მის საკუთარ სინდისსაც. ცოლის დაღლილობა ძალიან აფიქრებდა. შეღავათი კიდევ უფრო დიდი აღმოჩნდა, რადგან როზას ხშირად ქალიშვილიც მოჰყავდა. ორთავე ძალიან კეთილები იყვნენ. სიკეთე და უანგარობა გამოსჭვივოდა მათი პატროსანი ბუნებიდან. მათ ღრო არ ეჩანებოდათ და შეუძლებელს აკეთებდნენ, რომ ოჯახს დახმარებოდნენ. საკუთარი ცხოვრების განმარტობა და მოწყენილობა, თანაც ის სიამოვნება, რომელსაც ლუიზასთან პოულობდნენ, ძალიან დაეხმარათ ამაში. როგორც მოსალოდნელი იყო, მათი არაკის მორიდებია და ორივე ნათესავმა პირველი დღიდანვე თავი როგორც საკუთარ სახლში, ისე იგრძნო. დიდი ოთახი საერთო ოთახად იქცა, ერთდროულად ის სასაღილოს, საცვლების შესანახ და ბავშვების მოსავლელ ოთახს წარმოადგენდა.

პატარა ოთახში, რომელშიც უმცროსს ეძინა, სურათებისათვის იყო განკუთვნი-
 ლა და როცა როზა მათთან რჩებოდა, ლოგინს იქვე იშლიდა.

იონა საწოლ ოთახში მოიკალათებდა და ის ფართობიდა რჩებოდა რომე-
 ლიც ლოგინს ფანჯრისაგან აცალკევებდა. ცოტა ცდა უხედებოდა, რომ ბავშვე-
 ბის ოთახის შემდეგ ესეც დალაგებულიყო. თანაც, არაფერსაც ვერ უჩვენებდნენ,
 ათასში ერთხელ საცვლების ასაღებად თუ შემოვიდოდნენ, — რადგან როზას
 ერთადერთი კარადა სწორედ ამ ოთახში იდგა. სტუმართა რიცხვმა თანდათან
 იკლო, მაგრამ ვინც დარჩა, ამ ოთახსაც მიეჩვია. ლუიზას იმედი არ გამართლდა.
 ისინი ლოგინზეც წვებოდნენ, რომ იონასთან უკეთ ესაუბრათ. ბავშვებიც შე-
 მოიბრუნდნენ ხოლმე მამის საკაცნელად: — „სურათი გვიჩვენე რაა!“. იონა
 სურათს უჩვენებდა და ნაზად კოცნიდა. როცა მათ გაისტუმრებდა, გრძნობდა,
 რომ ბავშვებს მთლიანად დაეპყროთ მისი გული. ბავშვები რომ მოეცალეებინათ
 მისთვის, სივარდილეს და მარტოობას იგრძნობდა. ისინი ისევე უყვარდა, რო-
 გორც თავისი სამუშაო, რადგან ამწვეყნად მხოლოდ ბავშვები იყვნენ ისევე
 ცოცხლები, როგორც მხატვრობა.

ყველაფერ ამის მიუხედავად, ნაკლებს მუშაობდა, არც კი იცოდა, რატომ.
 გულმოდგინეობა არ მოკლებია, მაგრამ ახლა ეძნელებოდა ხატვა, მაშინაც კი,
 როცა მარტო რჩებოდა. ამ დროს ცას უყურებდა ხოლმე. ის ყოველთვის
 ფიქრებში წასული და დაბნეული იყო, ახლა კი შეოცნებე გახდა. ხატვის მაგივ-
 რად მხატვრობაზე და თავის მოწოდებაზე ფიქრობდა. „ხატვა მიყვარს“ —
 თავისთვის იტყოდა ხოლმე, მაგრამ დაბლა დაშვებული ფუნჯიანი ხელი უმოქ-
 მედო იყო. თვითონ კი რადიოს შორეულ ხმას უგდებდა ყურს.

მისი რეპუტაცია თანდათან ეცემოდა. მასთან მოჰქონდათ ხოლმე თავშე-
 კავებული სტატიები, ზოგი ცუდი და ზოგიც იმდენად ბოროტი, რომ გული
 ეკუმშებოდა. იონა თავის თავს ეუბნებოდა, ეს იერიშები სარგებლობას მომი-
 ტანს და მაიძულებს ვიმუშავო. ისინი, ვინც კვლავინდებურად დადიოდა მას-
 თან, ხაკლები პატივისცემით ეპყრობოდნენ და, როგორც ძველ მეგობარს, აღა-
 რაფერში ერიდებოდნენ. როცა მუშაობის გაგრძელება სურდა, ეუბნებოდნენ:
 „მოიცა ერთი, დრო ბევრა გაქვს“. იონა გრძნობდა, რომ ამხანაგები თავის სა-
 კუთარ ხელმოცარვას მისას უკავშირებდნენ. სხვა მხრივ, ამ ახალ სოლიდარო-
 ბასაც რაღაც სარგებლობა მოჰქონდა. რატომ მხრებს იჩენდა:

— რა სულელი ხარ, მათ არ უყვარხარ.

— ჰო, ისე არა, როგორც წინათ, — უპასუხებდა იონა, — მაგრამ განასულ
 მცირე საყვარულაც ცოტა რამაა? სულერთი არ არის როგორ მოიბოვებ!

იონა განაგრძობდა საუბარს, წერილის წერას, შეძლებისდაგვარად, ხატვა-
 საც. ზოგჯერ მართლა ხატავდა, მეტადრე კვირაობით, ნაშუადღევს, როცა ბავ-
 შვები და ლუიზა როზასთან ერთად სასეირნოდ მიდიოდნენ. საღამოთი კმაყო-
 ფილი იყო, თდნავ წინ თუ წასწევდა ნამუშევარს. ბოლო ხანებში ცის კამარის
 ხატვას მიეძალა.

როცა სურათებით მოვაჭრემ აცნობა, სურათების გაყიდვის საგრძნობი
 შემცირების გამო, სამწუხაროდ, იძულებული ვარ თვიური დახმარება შეგიმცი-
 როო, იონა უდრტივინველად დაეთანხმა, ლუიზას კა აღელვება დაეტყო. სექ-
 ტემბერი ახლოვდებოდა, სასწავლო წელი იწყებოდა და ბავშვები ჩასაცმელები
 იყვნენ. ლუიზა ჩვეული გამბედაობით შეუდგა საქმეს და მალე ყველაფერი

მოაგვარა. მართალია, როზას დიღუბის მიკერება და ტანისამოსის შეკეთება შე-
ეძლო, მაგრამ კერვა არ ეხერხებოდა. სამაგიეროდ, ქმრის ბიძაშვილი მკერავი
იყო. ის დასთანხმდა დახმარებოდა ლუიზას. დროდადრო იონას ოთახში, კუთ-
ხეში ერთ სკამზე ჩამოჯდებოდა და წყნარად მუშაობდა. ისე წყნარად, როგორც
ბოლმე, რომ ლუიზამ იონას შესთავაზა, „ჩუმი ქალი“ დაეხატა. „კარგი ახ-
რია“, — თქვა იონამ, სცადა, ორი ტილო გააფუჭა და ისევ ციხეში წაიყვანა.
მიუბრუნდა. მეორე დღეს დიდხანს სცემდა ბოლთას ოთახში და ნატეის მაგნი-
რად რაღაცაზე ფიქრობდა. ერთი მოწაფე გაცეცხლებული მოვარდა, თან გრძე-
ლი სტატია მოიტანა. ამ გაზეთს იონა თვითონ არ წაიკითხავდა, ახლა კი შეიტყო,
რომ მისი მხატვრობა ზედმეტად შექებული და მოძველებული იყო სურათე-
ბით მოვაჭრემაც დარეკა და კიდევ ერთხელ გამოთქვა აღელვება. თქვენი ნა-
მუშევრები აღარ იყიდებათ. იონა კი სულ ფიქრობდა და ოცნებობდა. მოწაფეს
უთხრა, სტატიაში მართალი წერია, თვითონ კი ფიქრობდა, სამუშაო დრო კიდევ
ბევრი მაქვსო. ვაჭარს უპასუხა, თქვენი აღელვება ვასაგებია, მაგრამ ვერ გავი-
ზიარებო. მე დიდი, ჭეშმარიტად ახალი ტილო უნდა შევქმნა: წარმატებაც ხელ-
მეორედ მობრუნდებათ... რასაც ამბობდა, სჯეროდა. სწორედ ეს იყო ბედის
ვარსკვლავის წყალობა. ოღონდ კარგი გარემო სჭირდებოდა.

მომდევნო დღეებში დერეფანში სცადა მუშაობა, შემდეგ სააბაზანო ოთახ-
ში გავიდა და ელექტრონის შუქზე ხატავდა, სულ ბოლოს კი სამზარეულოს
შიაშურა. თავის სიცოცხლეში პირველად შეაწუხა ხალხმა, რომელსაც ყველგან
აწყდებოდა. შეაწუხეს იმათ, ვისაც ძლივს იცნობდა და იმათაც, ვისაც თავისაა-
ნებელ თვლიდა და უყვარდა. მცირე ხანს გაჩერდა და ჩაფიქრდა. უთუოდ რა-
ღაც მოტივს შეარჩევდა, სეზონი შესაფერი რომ ყოფილიყო. საუბედუროდ,
ზამთარი ღვებოდა და გაზაფხულამდე ძნელი იქნებოდა პეიზაჟის დახატვა. თუმ-
ცა კი სცადა, მაგრამ იქვე გადაიფიქრა. სიცოცხლე გულამდე ატანდა. ასე გაატარა
რამდენიმე დღე თავის ტილოებთან. უფრო ხშირად მოლბერტის გვერდზე იჯდა
ბოლმე, ხან კი ფანჯარაში იცქირებოდა. აღარ ხატავდა. ჩვეულებად ექცა დი-
ლაობით გასვლა... გადაწყვეტდა რაიმე დეტალი ჩაეხატა, ხის ან სახლის კროკი
გაეკეთებინა, შემთხვევით დაქვრივი პროფილი მოეხატა. დღის ბოლოს კი
არაფერი ჰქონდა გაკეთებული. პატარა ცდუნება, გაზეთები, უმნიშვნელო შეხ-
ვედრა, ვიტრინები, კაფეს სითბო მასში საწინააღმდეგო რეაქციის იწვევდა. ხო-
ლო ყოველ საღამოს თავს იმართლებდა და სინდისის ხმას ამით აღუშვებდა.
სინდისი კი მართლაც აწუხებდა. მაგრამ დახატავდა, ეს უეჭველი იყო. ამ მოჩ-
ვენებითი უსაქმობის შემდეგ უკეთ დახატავდა. შინაგანი მუშაობა ხომ მაინც
მიმდინარეობდა. ახლად განბანილი და გაბრწყინებული ვარსკვლავი ამ ბნელი
ნისლიდან კვლავ ამობრწყინდებოდა. ამის მოლოდინში კაფეებს მიეძალა. აღ-
მოაჩინა, რომ ალკოჰოლი იმავე აღტკინებას ანიჭებდა, რასაც კარგი მუშაობა,
იმ დღეების მუშაობა, როცა თავის ტილოს ისევე ნაზად და თბილად უცქერდა.
როგორც თავის ბავშვებს. კონიაკის მეორე ჭიქაზე თავს მწვავე აღელვებას შეა-
ტყობდა, რაც ერთდროულად სამყაროს ბატონად და მსახურად აქცევდა. მოკ-
ლედ, სიამოვნებას სიცარიელეში განიცდიდა და უმაქნის ხელებს ტილოზე ვერ
გადაჰქონდათ იგი. ყველაზე მეტად ეს გრძნობა აახლოებდა იმ სიხარულს,
რისთვისაც ცხოვრობდა. ასე ატარებდა მთელ დროს ხმაურა და გაბოლილ აღ-
ვილებში მჯდომარე და ოცნებებში ჩაფლული იონა.

ის გაურბოდა მხატვრებისათვის ჩვეულ უბნებსა და ადგილებს. როცა რომელიმე ნაცნობს ხვდებოდა, რომელიც მის მხატვრობაზე ჩამოუვდებოდა ლაპარაკს, პანიკა მოიცავდა ხოლმე; ჩანდა, გაქცევა უნდოდა და გარბოდა კედელიცოდა კია, რასაც იტყობდნენ ზურგს უკან: რემბრანდტი ჰკონია თავის და უსიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა. უკვე აღარ იღიანოდა და ყველაფერს უცნაურ, მაგრამ აუცილებელ დასკვნას აკეთებდნენ: რაკი აღარ დაეძინა, შეტყობა, თავის თავის კმაყოფილიყო. რაკი ეს იცოდა, უფრო და უფრო იღუშებოდა და ყველას გაურბოდა. კაფეში შესვლიასაც საკმარისი იყო რომელიმე ნაცნობი დაენახა, რომ ცუდ ვუბნებზე დაძვარიყო. ერთი წუთი გაუნაჩრევლად აიტუზებოდა უცნაურად ხალვლიანი სახით, ჩახურული გამომეტყველებით, რომელიც თან ერთვოდა ხარბი წყურვილი მეგობრობისა. რატოს კეთილ მზერას გაიხსენებდა, მერე კი უცებ მოსწყდებოდა ადგილს და გარბოდა. „შენც სიფათზე ლაპარაკობ რაღა!“ — თქვა ერთხელ ვიღაცამ სწორედ მაშინ, როცა გადიოდა.

იონა მხოლოდ ექსცენტრულ უბნებში დადიოდა, სადაც არავინ იცნობდა. აქ თავისუფლად შეეძლო ლაპარაკი, დიმილი. კეთილგანწყობა უბრუნდებოდა, არავინ არაფერს ეკითხებოდა. რასდენიმე ამხანაგიც გაიჩინა, რომლებაც არაფერს სთხოვდნენ. მეტადრე ერთი მათგანი მოსწონდა. ის ემსახურებოდა ხოლმე საღვთის ბუფეტში, სადაც იონა ხშირად დადიოდა. ერთხელ ამ ოფიციაანტმა ჰკითხა, რა ხელობის კაცი ხარო.

— მხატვარი ვარ, — უპასუხა იონამ.

— მხატვარი თუ მღვდელი?

— მხატვარი.

— ოჰ, — თქვა ოფიციაანტმა, — ძნელი საქმეა.

ამაზე აღარ ულაპარაკიათ. დიან, ძნელი საქმე იყო. მაგრამ იონა ამ სიძნელეს თავა გაართმევდა. ოღონდ მუშაობა აწყობილიყო.

დღეები დღეება ცვლიდა. ქაქა — ჭიქას. ბევრი ახალი ნაცნობი გაუჩნდა იონას, მათ შორის ქალები. ის მათ ელაპარაკებოდა სიამტკბილობის წინ ან შეშდევ. თანაც ცოტა წაიტრახებდა ხოლმე. მისი ესმოდათ, მაშინაც კი, როცა მთლიად არ უყვრებდნენ. ხანდახან ერგებოდა, ძველი ძალა მიბრუნდებოდა. ერთ დღეს ერთმა მეგობარმა ქალმა წაათამამა და მუშაობა გადაწყვიტა. შინ დაბრუნდა. თავის ოთახში სცადა ხატვა; მკერავი გასული იყო. მაგრამ საათსაც არ გაუვლია, ტილო კედელთან მიაყუდა, ლუიზას გაუღიმა ისე, რომ არც დაუნახავს და გარეთ გავიდა. მთელი დღე სვამდა. ღამე კი მეგობარ ქალთან გაატარა, თუმცა მასთან დაწოლის არავითარი სურვილი არ ჰქონია. დილით დამწყურებული და გატანჯული სახით ლუიზა წარუდგა წინ. მას სურდა გეგო, ამ ქალთან გაატარა ღამე თუ არა. იონამ უთხრა, ეს ღამე არა, მაგრამ ადრე სხვა ქალებთან ვყოფილვარო. მხოლოდ მაშინ შეამჩნია გულისტკივილით იონამ ლუიზას სახეზე დიდი მწუხარება და გაოცება. მაშინ გაახსენდა, რომ ლუიზაზე მთელი ეს ხანი არ უფიქრია და შერცხვა. პატიება სთხოვა. დაპირდა, ყველაფერი გათავდა, ხვალისდნ ძველი აღსდგებოდა. ლუიზას ლაპარაკი არ შეეძლო და ცრემლების დასამალავად თავი მიაბრუნა.

მეორე დღეს იონა ადრე გავიდა. წვიმდა. შინ ქათამივით გაწუწული დაბრუნდა; ხელში ფიცრები ეჭირა. დიდ ოთახში ორი ძველი ამხანაგი ყავას მი-

ერთმეუდა. მათ ახალი ამბავი გაეგოთ: იონა მანერას იცვლის, ახლა ხეზე იმუ-
შავენსო, იონა იღიმოდა:

— არა, აგრე არ არის, მაგრამ ერთ რამეს ვაპირებ.

მან პატარა ღერეფანს მიაშურა, რომელიც საბაზანოს, საპირფარეშოს და
სამზარეულოს ერთიანებდა. ჯერ ღერეფნის კუთხეში გაჩერდა და ფიქრად
უყურებდა ქერამდე აღმართულ მაღალ კედლებს. ტაბურეტის მძიმე
კონსიერეთთან ჩავიდა ამოსატანად. როცა დაბრუნდა, ოთახში კიდევ რამდენიმე
ამხანაგი შემოსულიყო. იონა იძულებული იყო, ჯერ მისი ნახვით გახარებული
სტუმრების მოკითხვები მოეგერიებინა, მერე ოჯახის წევრების შეკითხვებზე
გაეცა პასუხი და ღერეფნის ბოლოს ძლივს მიაღწია. ლუიზა სამზარეულოდან
გამოდიოდა. იონამ ტაბურეტი იატაკზე დადო და ლუიზა ჩაიხუტა.

— გემუდარები, — უთხრა ლუიზამ, — აღარ წამოიწყო.

— არა, არა, მე დავხატავ. მე უნდა დავხატო.

ის თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, მისი მხერვა სხვაგან ჰქროდა. მუ-
შაობას შეუდგა. კედლებს შორის ფიქარი გასდო, რომ ვიწრო, თუმცა კი მაღა-
ლი და ღრმა სამაგრი ჰქონოდა. დღის ბოლოს ყველაფერი დაამთავრა. ტაბუ-
რეტზე ავიდა, სამაგრის ძირს დაეკიდა და რამდენჯერმე გაქანდა, რომ მისი
სიმტკიცე გამოეცადა. შემდეგ სტუმრებს შეუერთდა. ყველამ გაიხარა, რადგან
იონა ისევ გულთბილი იყო მათთან. საღამოს, როცა ბინა შედარებით დაცარი-
ელდა, იონამ აიღო ნავთან ლამბა, სკამი, ტაბურეტი, ერთი ჩარჩო და ყველა-
ფერი ზევით აიტანა; სკამი ქალი და ბავშვები გაოცებულნი შესცქეროდნენ.

— ესეც ასე, — თქვა იონამ თავისი სამყოფელიდან, — აქ მუშაობით არა-
ვის დავუშლი.

ლუიზამ ჰკითხა, დარწმუნებული ხაროთუ არაო.

— ჰო, — უპასუხა იონამ, — ცოტა ადგილი მჭირდება; აქ უფრო თავი-
სუფლად ვიქნები. ძველად დიდი მხატვრები ხომ სანთლის შუქზე ხატავდნენ.

— იატაკი მაგარია?

იატაკი საკმაოდ მაგარი იყო.

— ნუ ღელავ, კარგი გამოსავალი ვიპოვე, — დაამშვიდა იონამ ლუიზა და
დაბლა ჩამოვიდა.

მეორე დღეს, გათენებისას, ისევ მაღლა აცოცდა, დაჯდა, ტილო ტაბუ-
რეტზე დადო და კედელს მიაყუდა ისე, რომ ლამბა არ აუნთია. მას მხოლოდ
სამზარეულოსა და საპირფარეშოს ხმაური ესმოდა. სხვა ხმები უფრო შორე-
ული იყო. სტუმრების, ხარის ან ტელეფონის წკარუნი, მომსვლელების და
წამსვლელების ნაბიჯები, საუბრის ხმა ყრუდ ისმოდა, თითქოს ქუჩიდან ან მეო-
რე ეზოდან აღწევსო. მთელი ბინა მზით იყო განათებული, აქ, მაღლა კი სასიამ-
ოვნო სიბნელე სუფევდა. ხანდახან რომელიმე ამხანაგი მიუახლოვდებოდა და
ანტრესოლის ქვეშ დგებოდა.

— იონა, მანდ რას აკეთებ?

— ვმუშაობ.

— სიბნელეში?

— ასე მირჩეენია ახლა.

იონა არ ხატავდა, ის ფიქრობდა. აქაური სიბნელე და სიმყუდროვე,
ადრინდელ ცხოვრებასთან შედარებით, უდაბნოს ან საფლავის მღუმარებად უჩ-

ვენებოდა. თავისი გულისცემა ესმოდა. ხმაური, რომელიც ანტრესოლამდე აღწევდა, თითქოს მას არ ეხებოდა, თუმცა კი მისკენ იყო მიმართული. იონა თითქოს კედებოდა, გათავისწინებული, მარტოკა და ღრმადილში წასული, ხოლო გათენებისას ტელეფონის დაყინებული და შეუზღვევლებელი წყაროები გაისმოდა უკაცრიელ და ცარიელ სახლში, თითქოსდა სამუდამოდ დაკარგულ სხეულის თავთან. მაგრამ იონა ცოცხალი იყო, თავის თავში უსმენდა ამ სიჩუმეს და ჯერ კიდევ ელოდა დანალულ ვარსკვლავს, რომელიც ხელახალი აღმობრწყინებისათვის ემზადებოდა, რომ დაუშრეტლად ეციმციმა ამ ცარიელ, უწესრიგო დღეების მიღმა. „იციმციმე, იციმციმე, — ამბობდა იონა, — შენი სინათლე არ მომაკლო“. ისევ აღმობრწყინდებოდა, იონა დარწმუნებული იყო. მაგრამ ამოსათვის მეტი ფიქრი იყო საჭირო. ბედმა მარტოობა მოჰმადლა, თანაც თავისიანებს არ დააწორა. მას უნდა აღმოეჩინა ის, რაც ჯერ ნათლად ვერ გაეგო, თუმცა კი, თითქოს, წინათაც ესმოდა და ყოველთვის ისე ხატავდა, თითქოს, იცოდა. ბოლოს ხომ უნდა ჩაეველო ხელი იმ საიდუმლოებისათვის, რომელიც მხოლოდ ხელოვნებას არ ეკუთვნოდა; ამას კარგად ხედავდა. სწორედ ამიტომ არ ანთებდა ლამპას.

ამიერიდან იონა ყოველდღე ადიოდა თავის ანტრესოლში. სტუმრები უფრო იშვიათად მოდიოდნენ. საქმეებში გართულ ლუიზას საუბრისათვის არ ეცალა. იონა საქმელად თუ ჩამოვიდოდა და მერე ისევ უკან ადიოდა. მთელი დღე სიბნელეში უძრავად იჯდა. ღამე ლოგინს მიაშურებდა, სადაც ლუიზა იწვა. რამდენიმე დღის შემდეგ ლუიზას სთხოვა, საუბრე ზემოთ მომართო. ლუიზამ ისეთი ზრუნვა გამოიჩინა, რომ იონას გული აუჩუყდა. ხშირად რომ არ შეეწუხებინა, სთხოვა, სანოვავე მომიმარაგე, ჩემთან, ზევით შევიწახაეო; და ბოლოს, მთელი დღე ქვემოთ აღარ ჩამოსულა. არც სანოვაგეს გაჰკარებია. ერთ საღამოს ლუიზას დაუძახა და რამდენიმე საბანი მოატანია: ღამეს აქ გავათევო. თავაწიული ლუიზა უხმოდ უყურებდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მხოლოდ სევდიანად და მღვღვარე სახით აკვირდებოდა. იონამ დაინახა, როგორ დაბერებულყო ლუიზა, ცხოვრებას როგორი დადი დაემჩნია. გაიფიქრა, ნამდვილად არასოდეს დავხმარებივარო, მაგრამ სანამ ხმას ამოიღებდა, ლუიზამ ისე ნაზად გაუღიმა, რომ იონას გული შეეკრა. „როგორც შენ გინდოდეს, ჩემო კარგო“, — წყნარად უთხრა ლუიზამ. ამიერიდან ღამეებსაც ანტრესოლში ატარებდა და ძირს თითქმის აღარ ჩამოდიოდა. სახლი სტუმრებისაგან ერთბაშად დაიცალა. რადგან იონას ნახვა არც დღისით შეიძლებოდა და არც ღამით. ზოგს ეუბნებოდნენ, სოფელში არისო; როცა ტყუილები მობეზრდით, ამბობდნენ, სახელოსნო იშოვიაო. მხოლოდ რატო მოდიოდა ერთგულად. ტაბურეტზე აცოცდებოდა. მისი დიდი კეთილი თავი ანტრესოლის იატაკს აცდებოდა ხოლმე.

— როგორ მიდის საქმე? — ჰკითხავდა.

— ძალიან კარგად.

— მუშაობ?

— ცხადია.

— ტილო რომ არა გაქვს?

— მაინც ვმუშაობ.

დიალოგის გაგრძელება ტაბურეტსა და ანტრესოლს შორის ძნელი იყო.

რატო მხრებს იჩეჩდა, ჩამოდიოდა, ეხმარებოდა ლუიზას საკეტის ან ბოქლომის შეკეთებაში, შემდეგ კი ქვემოდან ემშვიდობებოდა იონას.

— კარგად იყავი, ძმაო, — უპასუხებდა სიბნელიდან იონა.

ერთ საღამოს, გამომშვიდობებისას, იონამ მადლობაც დაუმატა.

— მადლობას რაღაზე მიხდი? — ჰკითხა რატომ.

— იმიტომ, რომ გიყვარვარ.

— ახალი ამბავი! — თქვა რატომ და წავიდა.

მეორე საღამოს იონამ რატოს დაუძახა; რატომ უმაღლ მიიღებინა და პირველად დაინახა ანთებული ლამპა. იონა გადმოხსნილიყო და აგზნებულად იცქირებოდა ზემოდან.

— ერთი ტილო მომაწოდე. — თქვა მან.

— რა დაგეძარტა, გახდი, მოჩვენებას გაეხარ.

— ეს რამდენიმე დღეა თითქმის არ მიჭამია; ეგ არაფერი, უნდა ვიმუშავო.

— ჯერ ჭამე რამე.

— არა, არ მ'შია.

რატომ ტილო მიაწოდა. სანამ ანტრესოლში მიიმალებოდა, იონამ ჰკითხა, ისინი როგორ არიანო.

— ვინ? — შეეკითხა რატო.

— ლუიზა და ბავშვები.

— კარგად არიან, შენ რომ მათთან იყო, უკეთ იქნებოდნენ.

— მე მათთან ვარ, — თქვა და გაქრა.

რატომ თავისი შეშფოთება ლუიზას გაუზიარა. ლუიზაც გამოუტყდა, რომ რამდენიმე დღე თვითონაც იტანჯებოდა.

— როგორ მოვიქცე? ოჰ, ნეტავ მის მაგავერად შემეძლოს მუშაობა! — ამბობდა და საცოდავი სახით უყურებდა რატოს, — უმისოდ ცხოვრება არ შემეძლია. — ამის თქმაზე სახე გაუახალგაზრდავდა, რამაც რატო განაკვიფრა. ისიც შეამჩნია, რომ ლუიზა გაწითლდა.

ლამპა მთელ ღამეს ენთო და არც დალით ჩამქრალა. იონა ყველას, ვინც უახლოვდებოდა, რატო იქნებოდა თუ ლუიზა, მოკლედ პასუხობდა: „დამანებე თავი, ვიმუშაობ“. ნაშუადღევს 12 საათზე ნავთი მოათხოვა. მზუუტავი ლამპა ისევ კარგად აკაშკაშდა. რატო ლუიზასა და ბავშვებთან დარჩა სადილად. ღამის 12 საათზე გამოემშვიდობა იონას. განათებული ანტრესოლის წინ ერთხანს შეჩერდა, შემდეგ უხმოდ გავიდა. მეორე დღეს, როცა ლუიზა ადგა, ლამპა ისევ ენთო.

მშვენიერი დილა თენდებოდა, მაგრამ იონა ვერაფერს ამჩნევდა. ტილო მიაბრუნა. ქანცგამოლეული იჭდა და მუხლებზე ხელდაწყობილი იცდიდა. თავის თავს ეუბნებოდა, რომ ამიერიდან აღარასოდეს არ იმუშავებდა და ბედნიერი იყო. ქვემოდან ბავშვებია ჯაჯლანი, წყლის ხმაური და ჭურჭლის წკარუნი ესმოდა. ლუიზა ლაპარაკობდა. ფანჯრის მინები ზანზარებდნენ ბულვარზე დიდი სატვირთო მანქანის გავლისას. სამყარო ისევ იქ იყო, მშვენიერი და ახალგაზრდა. იონა უსმენდა ადამიანების მშვენიერ ხმაურს. შორიდან ეს ხმაური არ ეწინააღმდეგებოდა მასში მყოფ მზიარულ ძალას. მის ხელოვნებას, ფიქრებს, რომლებიც ვერ გამოეთქვა, ახლა კი სამუდამოდ ჩაჩუმებულიყვნენ. მაგრამ ისინი ყველაფერზე მაღლა აყენებდნენ მას თავისუფალ და ცოცხალ სამყარო-

ში. ბავშვები ოთახში დარბოდნენ, გოგონა იცინოდა, ლუიზა იცინოდა, რამდენი ხანია მისი სიცილი არ სმენია. იონას უყვარდა ისინი, ოპ, ლოგოჯ უყვარდა! ლამაზა ჩააქრო. განა ეს მისი ვარსკვლავი არ იყო, სულ რომ ბრწყინებდა/სიბნელეში? ის იყო სწორედ, იონამ იცნო, მაღლიერებით აღსავსემ მხერა შააპურო და უხმოდ დაეცა.

— არაფერია, — თქვა ექიმმა, რომელსაც მაშინვე დაუძახეს, — ეტყობა, ბევრს მუშაობს. ერთ კვირაში ფეხზე დადგება.

— დარწმუნებული ხართ, რომ შორჩება? — ეკითხებოდა გაფითრებული ლუიზა.

— შორჩება.

მეორე ოთახში კი რატო სრულიად თეთრ ტილოს უყურებდა, რომლის შუაგულში იონას პატარა ასოებით დაეწერა ერთი სიტყვა. ამ სიტყვის გარჩევა შეიძლებოდა, მაგრამ გაურკვეველი იყო, როგორ უნდა წაეკითხათ, „Solitaire“¹ თუ „Solidaire“².

ალგერ კამიუ

1960 წლის ოთხ იანვარს, დღის ორ საათზე, პარიზას გზაზე, დაბა ვილვებლევენტან, მსუბუქი მანქანა საშინელი ხიხინით შეასკდა ხეს და დაიმსხვრა. ოთხი მგზავრიდან ერთი ადგილზე დაიღუპა. დაღუპულს ჰიბეში უპოვეს მატარებლის გამოუყენებელი ბილეთი პარიზამდე, ხოლო პირადობის მოწმობაში ამოიკითხეს: ალბერ კამიუ. მწერალი.

ამ ტრაგიკულ შემთხვევაზე ერთმა ფრანგმა მწერალმა გულისტკივილით წარმოთქვა: „აბსურდის ფილოსოფიის“ წარმომადგენელი აბსურდულად დაიღუპა... მწერ ლს შენთვე- ვით არ წამოხდენია სიტყვა „აბსურდი“, რადგან კრიტიკოსების ერთმა ნაწილმა „აბსურდის ფილოსოფიის“ სახელით მონათლა კამიუსეული კონცეფცია სამყაროსა და ადამიანის არსებობის შესახებ, რომელიც „სიზიფის მითი“ გამოხატული. კამიუს ამ სახელწოდებას უფრო იზიარებდა; თავს ევზისტენციალისტად არ თვლიდა და მიიჩნდა, რომ „სიზიფის მითი“ სწორედ ევზისტენციალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. მართლაც, ევზისტენციალისტ მწერლებს და კამიუს ერთმანეთისაგან ბევრი რამ განასხვავებს როგორც აზროვნებით, ასევე წერის მანერის თავისებურებით. მათ შორის ამოსავალი წერტილი აქვთ საერთო — სამყაროს აბსურდულობა და ადამიანის არსებობის უაზრობა — შემდეგ კი განსხვავებულად აფიქსირებენ ამ დებულებას და გამოსავალსაც სხვადასხვას პოულობენ.

მეორე მსოფლიო ომამდე ხარტრის, მალროს და სხვა მწერლების უიმედობისა და კაეშ-ნის განწყობილებას ახალგაზრდა მწერალი გამოეშაურა შორეული აღფრიდან, ეს გალდათ ალბერ კამიუ, რომელიც მაშინ ოცდახუთი წლისა თუ აქნებოდა. საშუალო სკოლაში კამიუ არაჩვეულებრივი ნიჭით და გონიერებით გამოირჩეოდა. უმაღლესში კი მისმა სადიპლომონაშრომმა, რომელშიც განიხილა ელინისტურ და ქრისტიანულ სამყაროთა ურთიერთმიმართებანი ბიოტინისა და ნეტარ ავგუსტინეს ნაწარმოებების მიხედვით, მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1940 წელს კამიუ თავის საოცნებო პარიზში მიემგზავრება და გაზეთ „პარი სუარში“ იწვევს მუშაობას. ომის დროს „წინააღმდეგობაში“ მონაწილეობს და გაზეთ „კომბაში“ თანამშრომლობს. 1942 წელს გამოდის მოთხრობა „უცხო“, რომლის ავტორი ფართო მკითხველისათვის ჯერ უცნობია. იმავე წელს კამიუ აქვეყნებს თეორიულ-ფილოსოფიურ ესსეს „სიზიფის მითი“, ერთი წლის შემდეგ კი იატაკქვეშა გამომცემლობაში გამოდის „წერილები გერმანელ მეგობარს“. კამიუ უკვე ცნობილი ხდება. 1947 წელს გამოქვეყნდა რომანი „პარი“ და მაშინვე

¹ პარტიკული.
² სოლიდარული.

დაიშასურა „კრიტიკოსების“ ლიტერატურული პრემია. ითარგმნა მრავალ უცხო ენაზე და ავტორს მთელი მსოფლიოში გაუთქვა ხალხი. დიდი კამათი გამოიწვია 1951 წელს გამოხუთმა ესსემ „აჯანყებული ადამიანი“. კამიუს განხეთქილება მოხდის ზოგიერთ მეგობარსა და თანამოკალმესთან (ბრეტონთან, მერლო-პონტიესთან, სარტრთან). მოთხრობა „დაცემა“ რომელიც დასაჯლების კრიტიკაში მწერლის საუკეთესო ნაწარმოებად არის მიჩნეული, 1956 წელს დაიბეჭდა, ერთი წლის შემდეგ კი მას მოჰყვა მოთხრობათა კრებული „განდევნა და სამეფო“. იმავე წელს კამიუს ნობელის პრემია მიენიჭა.

კამიუს დაწერილი აქვს ოთხი პიესა: „კალიგულა“, „გაუგებრობა“, „სიბრძნის სკანდალი“ და „სამატი“. ამასთან, ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები გადააკეთა სცენისათვის: დოქტორევის „ძმები კარამაზოვები“, „ეშმაკნი“, ფოლკნერის „რეჟიემი ძიძას“ და სხვა.

ერთი შეხედვით, კამიუს შემოქმედებაში თითქოს არაფერია ახალი, ორიგინალური და უჩვეულო. ზოგ ნაწარმოებში ის ბრწყინვალე სტილისტად უფრო გვევლინება, ვიდრე მოაზროვნედ. ზოგში უფრო წმინდა მხატვრად, ვიდრე ტიპიურ რომანისტად. კამიუს მანიერული არ აინტერესებს ფორმისა და ენის განახლება. მას სურს ტრადიციული ენის მეშვეობით, ნათელი და ხალხური თანამედროვე ეპოქის შესატყვისი განწყობილება გამოხატოს. მან სრულყოფილ კლასიკურ ფორმაში მოაქცია თანამედროვე ბურჟუაზიული სამყაროს ღირებულებათა აღქმა და შეგრძნება.

კამიუმ პირველი ლიტერატურული ნაბიჯები ჭერ კიდევ ალჟირში გადადგა. სადაც გამოაქვეყნა ორი მოთხრობა-ესსე: „პირი და სარჩული“ (L'envers et l'endroit) და „ქორწილი“.

„ქორწილი“ ოთხი ესსესაგან შედგება. ამ ნაწარმოებში აბსურდიდან გამოსვალს კამიუ აფრთხილებს ადამიანის შეგრძნებასა და ბუნების ძალებთან შერწყმაში ექებს. წითელი ქვიშა და ებრაელისფერი პლაჟები, უდაბნოს ცხელი ქარები და თვალშეუდვამ მთათა სიმწვანე, ინსტიქტური ვნებანი და ელური სახარული, — არ, რას უმდერის კამიუ თავის ერთ-ერთ პირველ ნაწარმოებში. მაგრამ ამ გრძნობად პანთეიზმში უკვე სტოიციზმის ელემენტები მოჩანს. რადგან ღმერთი არ არსებობს, არაფერია ჭეშმარიტი ამა ქვეყნად, გარდა სიკვდილისა; ადამიანის არსებობა უაზროა. ამიტომ ადამიანს მხოლოდ თავისი არსებობის წამიერი, აწმყოს სიხარული ახლავს: „ეს ცხოვრება მთელი გულით მიყვარს... ის სიამაყით მავსებს... ჩემთვის ხშირად უთქვამთ, არაფერიაო სამაყოს: მე კი ვუჭქრობ, რომ არის; ეს მზე, ეს ზღვა, ახალგაზრდული ვნებით აღვსილი გული, ჩემი სხეული, რომელსაც მარილისა და სილიამაზის შეგრძნება შეუძლია. მე თვითონ ვარ ეს მთები, ეს ქარი, ეს უდაბნო; არასოდეს ასე ძლიერად არ შემიგრძნვია ერთდროულად განდგომა ჩემი თავიდან და ჩემი ყოფნა სამყაროში, სამყარო ღამაშია და უმისოდ მსხა არ არის“.

1942 წელს გამოდის მოთხრობა „უცხო“. მისი გმირი, მერსო, ცხოვრებისადმი ინდიფერენტული, ზედშეტი ადამიანია; მისი ცხოვრება უაზროა და უმარნო. მერსო „არ არსებობს“, არამედ მოქმედებს მხოლოდ იმ იმპულსებით, რომლებიც მომენტალურად უჩნდება. მისი ყოველდღიური საქციელი სხვებისათვის დამნაშავეს საქციელია. დედის სიკვდილი მასში ადამიანებისათვის ჩვეულ გრძნობას არ იწვევს. იგი არ ტირის. მას არაფერი აქვს სათქმელი. მეორე დღეს ეწვევა კომიკურ თეატრს საცვარელოთა ერთად ზღვაში ბანაობს. არაბი შემოაქვდება სრულად უაზროდ. „მწველია მზისა და პლაჟის“ გამო. თავის პრაქტებს უცხოხაღიით ეწვევა. სიკვდილის განაჩენს ინდიფერენტულად ხვდება. მის სიკვდილს იხევე არა აქვს აზრი, როგორც მის სიცოცხლეს. მას ამქვეყნად არ უცხოვრია და ასევე გულგრილად მიდის ამ ცხოვრებიდან. ის აბსურდული არსებობის გამომხატველი სიმბოლოა, ან, როგორც კრიტიკოსები ამბობენ, „აბსურდის გმირია“.

„სამაყის მითი“ არის კამიუს ცდა ერთგვარი ეთიკის შექმნის და თავის მსოფლმხედველობის თეორიულად ჩამოყალიბებისა. კამიუ სვამს საკითხს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი აბსურდულ სამყაროში, აქვს თუ არა მას რაიმე გამოსავალი?

ადამიანი თავისი მონოტონური ცხოვრებას რომელადაც მომენტში უზიზღდება და უამრავ შეიშვას უსვამს საკუთარ თავს არსებობისა და ცხოვრების აზრზე. მაგრამ პასუხის ნაცვლად მხოლოდ აბსურდის კედლებს აწყდება. კამიუ არ ამტკიცებს, რომ სამყარო აბსურდულია. არც იმას, რომ აბსურდი გონებაშია. რადგან არაფერი იცის ამის შესახებ. ის საკუთარი გამოცდილებით ამბობს, რომ გამოდვიძებული ადამიანის გონება აბსურდის გარდა ერაფერს შეიგრძნობს, რადგან ეს გრძნობა წარმოიშვის იმ კონფლიქტის შემდეგ, რომელიც არსებობს

ადამიანის სუბიექტურ მიხწვრებასა და არსებულ ობიექტურ რეალობას შორის. ადამიანი გამოსავალს ეძებს და ეპოტინება იმედს, რელიგიას, ანდა თვითმკვლელობას ამოკბინებს. მაგრამ ხამივე „გამოსავალს“ კამიუ უარყოფს და ერთადერთ ხსნას პოულობს ცხოვრების ნათელ გაგებაში (lucidité) — აბსურდის შეცნობასა და აღიარებაში, რომელიც ადამიანს მოუტანს სიბრძნესაც და ბედნიერებასაც; ეს იქნება აწმყოს აღიარება, მოქმედება, კამიტომ უოველი ფილოსოფია და მორალი აბსურდის საფუძვლებზე უნდა აიგოსო, ასევე კამიუ

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ნაწარმოების დაწერისას თვით კამიუ უცხო არ იყო ცხოვრებაში, პირიქით, ის გამოსავალს შემოქმედებასა და ბრძოლაში ეძებდა. ჯერ კიდევ ალჟირში იგი აქტიურად მონაწილეობდა ჩაგრულ მუსულმანთა დაცვაში, „იუნესკოდან“ დემონსტრაციულად გამოვიდა, როცა ფრანკოს ესპანეთი „იუნესკოს“ წევრად მიიღეს, ფრანგული „წინააღმდეგობის“ მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო და გაზეთის ფურცლებიდან ფრანგებს ბრძოლისაკენ და სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდებდა. და ბოლოს, რომანში „ჭირი“ მწერალმა ადამიანსაც უპოვა თავისებური გამოსავალი. მისი ძირითადი პესიმიზტური დებულება სამყაროსა და ადამიანის ყოფის აბსურდულობისა ძალაში რჩება, მაგრამ ავტორი უკვე აბსურდის გადალახვას ქადაგებს, პასიურობასა და ინდიფერენტიზმს უარყოფს და ადამიანს ამოქმედებს.

რომანი „ჭირი“ ადამიანთა ყოფის ალგორითული სურათია, თუმცა საფუძვლად კონკრეტულ-ისტორიული ამბავი უდევს. ორანი, სადაც ჭირი მძვინვარებს, ოკუპირებულ საფრანგეთს განასახიერებს. ჭირი — ფაშიზმი, განუკურნებელი სენია, მაგრამ ექიმი რიე მას არ ემორჩილება და თავგანწირვით უულის უიმედო ავადმყოფებს. ამ ბრძოლაში რიეს მხარში უღგანან სხვადასხვა რწმენისა და ფენის კეთილშობილი ადამიანები, რომელთა ევოლუტია (უკიდურესი ეგოიზმიდან სოლიდარობისაკენ) მშვენივრადაა ასახული რომანში. ადამიანთა სოლიდარობა და ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ იხსნის კაცობრიობას აბსურდული ყოფისაგან.

კამიუს შემდგომ ნაწარმოებებში, როგორცაა: „დაცემა“ და ნოველათა კრებული „განდევნა და სამეფო“, „ჭირის“ საბოლოო დასკვნა ისევ ექვის ქვეშაა დაყენებული.

ამ კრებულის ერთ-ერთი ნოველა „იონა, ან მხატვარი მუშაობისას“ ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს. ის მოგვაცხადებს კამიუს ნათქვამს თავის ნაადრევ დიდ წარმატებასა და სახელის მოხვეჭაზე: „სანამ ყველა ჩემს წიგნს დავწერდი, გავიგე, თუ რას ნიშნავს, მონად გაუხდეს საკუთარ რებუტაციასა და დიდებას. წინათაც ხშირად მიხდებოდა და ახლაც მიხდება შეტაკება საზოგადოებასთან, რათა გამოგტაცო მას დრო ჩემი შემოქმედებისათვის. მე ამას ვაღწევ, მაგრამ ძვირად მიჭდება. ჩემმა შემოქმედებამ კი არ გამოთავისუფლა, არამედ დამიმონა“. ნოველის გმირი ავტორის მსგავსად იტანჯება, რადგან ვერ შეუთავსებია მხატვრობა და ცხოვრება. გარშემო მყოფნი ძალიან უყვარს, უყვარს ოჯახი, მეგობრები, მოწაფეები, საერთოდ ადამიანები და მათთან ყოფნა უხარია. მაგრამ წარმატება და სახელი საშუალებას არ აძლევს ყოველდღიურობის ქაობიდან ამოვიდეს და, როგორც მხატვარი, ის კვდება, იონა ისე იღუპება, რომ ბოლომდე ვერ გაურკვევია, რომელი გზა უნდა აერჩია, მარტოობისა, რომელიც ხელოვნად აქცევდა, თუ ხალხთან ყოფნისა.

კამიუს შემოქმედება, როგორც თვით მისი პიროვნება, სავსეა წინააღმდეგობებით. ქეშმარიტებისა და სიმატლის ძიებაში ის თავის გაორებულ შინაგან ბუნებას ავლენს; მარადიულობა და აწმყო, ვნება და ინდიფერენტიზმი, აბსურდი და ჯანყი, სიბრძნე და ინსტინქტი. ამ უკიდურესობებში იყო იგი ჩაფლული და ვერ მოახერხა თავისი საბოლოო პოზიტიური კრედიო ჩამოეყალიბებინა. მართალია, მისი ძირითადი დებულება და ზოგიერთი დასკვნა ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ მისი შემოქმედება საინტერესოა იმიტ, რომ მასში მაღალმხატვრულად ასახულია თანამედროვე ბურჟუაზიული სამყაროს კრიზისი, ადამიანთა გამოუვალი და ტრაგიკული მდგომარეობა. იგი ურჩევს ადამიანებს არა ფატალურ მორჩილებასა და იარაღის დაყრას, არამედ მოქმედებას.

გენია ბაშრაძე

კონსტანტი ბაქრაძის

თარგმანი შოთა ნიშნიანიძისა

იოჰან სებასტიან ბახის ალბომა

სახლიდან ყველა გაიკრიფა
და მარტო დავრჩი,
ტალანში ჩემი ნაბიჯების ხმაური ისმის,
სურათზე ვარხვი იზმორება, ვით რუხი ნისლი,
და გედებივით მისცურავენ ღრუბლები ცაში.

მიყვარს ღრუბელი, დამარჯნული მზისაგან მუქად,
როგორც კოშკები,
როგორც ჩემი სამმაგი ფუგა.

მიყვარს ქალბატონ მუსიკასთან გაბაასება
და სიჩუმეში ხმებით ავსება.

აგერ, სარკმელზე სანთლების სხივი
ცეცხლწაკიდებულ შემოდგომის ტყესავით დვივის.

დღეს აღდგომაა...
ეძახიან ზარებს ზარებთ
და გული ჩემი, სული ჩემი თრთის ნეტარებით.

ქველი უჯრები ინახავენ ყვითელ ბარათებს,
ხოლო წიგნები — გამხმარ ყვავილებს.
მათი შეხება კვლავ სიცოცხლის ჟინით აგანთებს
და მომავალზე ფიქრს გაადვილებს.

ოქროს წუთების სანუკვარი შრიალი მესმის
და სიხარული იზრდება ჩემში.

ათასჯერ შაინც შემოვივლი ოთახს, დერეფანს,
ეს არის ჩემი გართობა და ბედნიერება.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ჯერ საღამომდე კარგა ხანია,
ჩემთვის ვლიდინებ და მიხარია.
კედლებზე ჩანან სურათები ღამის ლანდებადგნის
მოვშორდები და
სურათები უფრო ღამდება.

ამბობენ, თითქო დიდოსტატი ვარ
და კანტატებში მოვაქციე ცა ღვთავბრივი.
ჩემი გალობა შაშვის მადლია,
მხიარულია და იმსხვრევა შაშვის ხმებივით.

ჩემი სიმღერა მართლა არის ნასაზრდოები
დიდი ღრუბლებით, ჩანჩქერებით, ხეთა რტოებით.
შეხედე სუმბულს,
აივანი დაუფარია,
დიდებულ ავეჯს აჩახახებს მზის ათინათი.
შეხეთ ჩიტებით სავსე გალიას,
სავსეა სახლი სიმყუდროვით და სიღიადით.

შეხედეთ ამ სახლს,
დიდებულ ცას,
ჩიტებიან ბაღს
და ყველაფერი მოგაგონებთ სეზასტიან ბაბს.

ამბობენ, თითქო ჭაღარა ვარ, როგორც მდინარე
და ძველებურად ვეღარ მივსდევ დროის დინებას.
ბევრჯერ ამ ღამაზე ქვეყანაზე უქმად ვიარე,
მაგრამ ათასჯერ მოვასწარი აღორძინება.

უამთა ჭიდილს და შერკინებას როდი შევეშვი,
მე იგი თავად გამოვჰყედე ჩემს სიმღერებში.

აი, საცაა მობრუნდება ჩემი ოჯახი,
სტუმრებიც მოვლენ,
ღაიწყება ცეკვა-თამაში,
დარბაზი ხმებით აივსება,
სუფრა — ხორაგით.

ამოვა მთვარე და მე შევალ ლურჯ ტალავერში.
ბატარა მწყემსი გობელენზე სტვირს ააკვნესებს,
იტყვიან ლექსებს...

ეს წუთი უფრო ძვირფასია, ვიდრე ის მძივი,
რომელიც მსურდა მიმერთმია მეუღლისათვის.
ეს წუთი ბევრად ძვირფასია და ღვთაებრივი,
ვინემ ის ძველი ვითლინო —
დიდი თრობა რომ განვიცადე.

ეს წუთი არის ნეტარების უკვდავი წუთი,
მარადისობას რომელიც უდრის.



მთვარის ფარულით

მინდა ფეხებზე მოგეფრქვიო მთვარის ფერფლივით,
ანდა დალაღებს გიწეწავდე, როგორც ზეთირი.

ნეტავი ვიყო პაპიროსი... ო, ღმერთო ჩემო... —
დავადნებოდი შენს ნებიერ ტუჩებს და თითებს.
ნეტა ხე ვიყო, დაგაფენდი სიცხეში ჩეროს,
ან წიგნი ვიყო, ნიადავ რომ მუხლებზე გიდევს.

რა ვქნა, ძვირფასო, უნდა ვუთხრა ბედს სამღურავი —
რატომ არა ვარ შენთან მარადის.
ნეტა ბუხარი მაინც ვიყო ან საბურავი,
გაგათბობდი და წვიმისაგან დავიფარავდი.

1946

კოროლ შიმანოვსკი*

(1947 წლის 1 აპრილის დამეს კრავო-
ვის ბაზარზე „ზანგების სახლთან“ გაგო-
ნილის პოეტური ვერსია)

დიახ, სწორედ აქ
კონგოელი ზანგების ახლოს,
ამ მოხუხუნე ვარსკვლავის ქვეშ, შუალამეში,
ქარი რაღაცის თქმას აპირებს, ენის ბორძიკით:
მუ-
მუ-
მუ-
მუსიკა.

* კოროლ შიმანოვსკი (1883 — 1937) — მსოფლიო მნიშვნელობის პოლონელი კომპოზიტორი. შიმანოვსკის ზოგიერთ ნაწარმოებში აღმოსავლური ელემენტები გვხვდება. აქედან წარმოსდგება მეტაფორა „ირანული ფარჩა“.

თრთის მუსიკაში ფლავოლეტები,
ფლავოლეტებში ირანული ფარჩა შრიალებს.
გესმით თუ არა? ქრომატული ნოტების ქღერა
მინდა ვუსმინო... (სევდას პოლონურს)
დიდხანს ვუსმინო... (სიკვდილამდე ვუსმინო მენდა)
თითქო სამოთხის გრეიდრუტის
ტკბილ-მწარე გემო
ბაგეზე შემრჩა...



1947.

ივნისის ლაქაუბი

ჰანიმელის ნათესავი

„დროა, ჩააქრე ფარანიო“ — ჩამიჩურჩულა
და გამიყვანა გარეთ უჩუმრად.
ქასმინმა ისე გამაბრუა, ძლივს ვიდექ ფეხზე
და ვბარბაცებდი, როგორც ბოთლი, ღელვის დროს გემზე.

თითქო სიზმრიდან გამოვედი, — უცებ დავლანდე.
სვეტებს კრიკინა ეხვეოდა, როგორც თალარი,
და შიაგავდა უცხო კალათას
რკინის კაუჭზე დაკიდული ღამის ფარანი.

უცებ ზღვის ცხენად მომეჩვენა რკინის კაუჭი,
სულ სხვად მეჩვენა მთვარის შუქით ტყე შეფერილი.
ფარანში სანთელს თუ იგდებდა ქარი აბუჩად —
აქანქარებდა და კრუნჩხავდა დედაბერივით.

ქარი გარბოდა აივანზე და ქირქილებდა,
მინდვრის სურნელი ავსებდა ღარბაზს.
ღამის ფარანი მიიხვეტდა ჩრდილებს კიბედან,
შეირხეოდა და მთვრალივით იწყებდა ბარბაცს.

ფარნის სხივებით დაიხუნძლა
მწვანე კრიკინა
და მალე ბალი გადაიქცა
ერთ დიდ გვირგვინად.

რატომ იცვალა ეზომ ფერი, რა მოუვიდა?
ყველა ჩვენება, ყველა ლანდი ერთად შენივთდა.
უცებ ჰანგები ამოირბა ჩემი სულიდან,
როგორც ტალღები მოხეთქილი კაშხალებიდან.



ცაში ღრუბლები ხარებივით იცოხნებოდნენ,
ილანდებოდა ფარნის შუქზე ტყე და ხეხილი,
ამ სილამაზით რეტდასხმული ძირს გავიშოტე,
როგორც ნაჯახის დარტყმისაგან თავგაჩეხილი.

გრილი ბალახი მესალბუნა სიცხით გათანგულს,
ჩიტის გაღობით სიჩუმე და ტყე აიფუტკნა
და თავბრუ ისე მეხვეოდა უცხო ხმათაგან,
ვით გრამაფონის ფირფიტაზე მთვლემარე ფუტკარს.

ფიქრში ვიხილე, ვით მშვენება გაუსუნარი,
მეფეთა ძველი სანადირო — დიდი მუხნარი
და იღუმალი ხეივნები შეყვარებულთა
ორღანოსავით მოგუგუნარი.

ქასმინის სუნი ქარმა კალთით მიმოაბნია,
ღამეს კი თუთის გემო ჰქონდა ჩვეულებრივი.
ორივე ხელით ჩავეჭიდე ბუჩქებს ნამიანს,
რომ ცაში ზევს არ ავეტაცე ჰანიმედივით.

ერთად ავასხი ყველა ვარსკვლავი
გასაღებების მოჩბრიალე ასხმულასავით.
გამოეშვირათ ჩემკენ ხელები
და საკრავებად გათლას მთხოვდნენ ფიჭვის ხეები.

ჭიჭინობლებმა გააჩაღეს ღამის სერობა
და ათას ხმაზე აზუზუნდნენ მთის მწვერვალები.
უეცრად კატა სოლომონი გადამეღობა
და ჭიშკრის ურდულს მიანათა მწვანე თვალები.

შენეკა

ჩემს მეუღლეს



შენთვის მღერიან ეს საკრავები,
ციო მოფენილო, ჩემო ცისკარო.
როგორც შენს თმებში — გზებში გავები
დღითა და ღამით შენკენ ვიჩქარი.

შენა ხარ ახსნა ჩემი სიზმრების,
საიდუმლო ხარ ყველა შეხვედრის.
ხელს თუ შეახებ, ხე გაიზრდება
და აყვავდება თუკი შეხვლავ.

გარეთ მთელი დღე ხალისით ივლი,
სათნო ღიმილი გინათებს სახეს
და შენი ცელქა პატარა ჩრდილი
აწყდება კედლებს, მოედნებს, სახლებს.

გაზაფხულივით მოჰყვები ქუჩებს,
შენს სათნოებას ვერ აღწერს ენა:
ბრმას ეხილებს თვალები უცებ,
ყრუს უბრუნდება დახშული სმენა.

ავადმყოფებზე დედურად ზრუნავ,
ყველას ამშვიდებს შენი მშვენიერება.
ყველა სენსა და სატკივარს კურნავ,
თუმცა ბევრს შენგან არ ესვენება.

მათ დაბრკოლება არ ეგულებათ
და ყველა აღმართს, ყველა კიბეებს
შენი სიტურფით ფრთაშესხმულები
სულ ფრენა-ფრენით ამოირბენენ.

და ღამით ჩემთან მოხვალ როდესაც,
როდესაც ბეჭდის სხივი იელვებს, —
ცა მოჩახჩახე მთიებს მოისხამს
და ეღვიძებათ ტყეში ფრინველებს.

ქებას გასხამენ ეს სტრიქონები,
ეს საკრავები თუ ფირფიტები,
შენა ხარ მათი ზეშთაგონება
და ერთადერთი ძეგლი დიდების.

ვენერა ჩემო, შენს სადიდებლად
იგულე თვითონ მთელი ბუნება,
იგულე თვითონ ღრთის დინება
და სივრცეების აგუგუნება.

ხარ საჩუქარი თვითონ ღმერთისგან,
ჩემი ოცნება, ჩემი ზმანება.
შენა ხარ ჩემი ერთადერთი გზა
და სიკვდილის წინ აღფრთოვანება.



1948

მთარგმნელი სავან

კონსტანტი ალდეფონს გალჩინსკი (1905 — 1953) თანამედროვე პოლონური ლიტერატურის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. პოეტმა რთული და სიძნელეებით სავსე ცხოვრება განვლო. ექვსი წელი მაგდებურვის სამხედრო ტყვეთა ბანაკში გაატარა, გათავისუფლების შემდეგ პოლონეთში დაბრუნდა და მთელი თავისი სულიერი ენერჯია ხოციალისტური სამშობლოს ფერულიდან აღდგენის საქმეს მოახმარა.

პოეტის ცხოვრება და შემოქმედება ხალხისადმი სამსახურის ჭეშმარიტად მკაფიო მაგალითია.

გალჩინსკის პოეზიაში სინამდვილე წიაღისეული შრეებით წარმოდგება, რომლებზედაც უზვად არის აღბეჭდილი როგორც ფანტასტიკური სამყაროს ფერადოვანი ათინათი, ისე მიწის ფრთის ჩრდილი და ღაქა.

პოეტს იშვიათი უნარი შესწევდა, ყოველდღიურ პროზაულ წერილში რაღაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი აღმოეჩინა.

გალჩინსკის შემოქმედებაში არ მოიძებნება გამოთქველი ზღვარი, რომელიც გამოყოფდეს ცხოვრებას პოეზიისაგან, შრომას თამაშისაგან, რეალურს ფანტასტიკისაგან და სიხარულს სევდისაგან. ზღაპრული და ამაღლებული ელემენტი ნივთიერი კონკრეტულობითაა გამოხატული და თავისუფალია ყოველგვარი მისტიური მირაჟისაგან. მისი პოეზია, ერთი შეხედვით, რთული და ძნელად აღსაქმელია. სინამდვილეში ესაა სიმფონიის სირთულე. ინტელექტუალური ხილვებისა და ასოციაციების სირთულე, რომელთა აქცენტს გააძვირებულია კლასიკური გამჭვირვალე ფორმის წყალობით. ასეთი მხატვრული სირთულე მაღალი აზრობრივი და ემოციური წნევიდან მომდინარეობს და არა შინაარსისაგან დაცლილი ფორმალისტური არტიტულობიდან. გალჩინსკისათვის ფორმის სისადავე სირთულის უმაღლესი გამოხატულებაა.

პოეტი დიდ ინტერესს იჩენდა მუსიკალური კულტურისადმი, რამაც თავისებური ფერადობა და ელფერი შექმნა მისი ლექსის სტრუქტურულ აღნაგობას. გალჩინსკის პოეტურ სამყაროს ბახისებური უშუალოება და მრავალხმიანობა ახასიათებს.

გალჩინსკის მხატვრული აზროვნების თავისებურებას კიდევ ერთი თვისება განაპირობებს: ესაა სამყაროს (ადამიანის, ბუნებისა და ისტორიის) ერთიანობის კლასიკური შეგრძნება. მისი პოეტური ტალანტი შემაერთებელი ძალაა და არა გამოთქველი.

ზემოთ მოყვანილი ლირიკული ლექსი „ვენერა“ თავისი მრუდის, ამჟამად პოლონეთში შეცხოვრები ჩვენი თანამემამულისადმი მიძღვნილი.

გალჩინსკის შეხედულებით, პოეზია არის და იქნება თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის მარადიული იარაღი.

ეს იარაღი სულ უფრო და უფრო მეტ ეფუძრებასა და სიმბავილეს იძენს თანადროული ხოციალისტური პოლონეთის ცხოვრებაში.



მხატვარი ჯ. ლოლუა

პრინსტონის უნივერსიტეტი

პის უხეობის ზარი

რომანი

თარგმანი

მ. გურგულიასი და მ. ფაღვასი

თავი მეთერთმეტი

ისინი ფიჭვის ხეების ხშირ ჩრდილში მიდიოდნენ. მდუღლოდან დაბლა, ტყიანი ველისკენ დაეშენენ, შემდეგ მდინარისპირა ბილიკს აჰყვნენ და გზის მოსაგებად რკალისებური კლდის ციცაბო ფერდს შეუდგნენ. ხეს მოფარებული თოფიანი კაცი გამოვიდა.

— სლექ! — შესძახა მან, — *Hola*, პილარ, ეგ ვინ მოგყავს?

— *Inglés*-ი, — თქვა პილარმა, — მაგრამ ქრისტიანული სახელი ჰქვია — რობერტო. ეს რა უბედური აღმართია!

— *Salud, Camarada!* — მიმართა გუშაგმა რობერტ ჯორდანს და ხელს გაუწოდა: — ხომ კარგად?

— კარგად, — მიუგო რობერტ ჯორდანმა, — შენ როგორღა ხარ?

— მეც, — თქვა გუშაგმა.

ახალგაზრდა იყო, გამხდარი, არწივისებური ცხერი ჰქონდა, მაღალი ყვრიმალეები და ჭროლა თვალები. ქუდი არ ეხურა; შავთმიანი იყო და გაწეწილი. ხელის ჩამორთმევა ძლიერი ჰქონდა და მეგობრული. თვალებიც მეგობრული.

— გამარჯობა, მარია! — მიმართა მან გოგოს. — ხომ არ დაიღალე?

— *Qué va*, ხოაკინ! — მიუგო გოგონამ, — ბევრი არ გვივლია, უფრო მეტად ვისხედით და ვსაუბრობდით.

— ახალი მედინამიტე ხარ? — ჰკითხა ხოაკინმა ჯორდანს. — გავიგე, რომ აქ ყოფილხარ.

— ღამე პაბლოსთან გავათიეთ, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ჰო, ახალი მედინამიტე ვარ.

— მოხარული ვარ შენი გაცნობის, — თქვა ხოაკინმა. — ისევ მატარებლის ამბავია?

— შენც იყავი მატარებელზე? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა და გაეღიმა.

— მაშ, სწორედ იქ ვიპოვეთ ეს გოგო, — თქვა ხოაკინმა და მარტას გაუღიმა. — რა ლამაზი ბავშვია! — უთხრა მან მარტას, — არ უმჯობესობს ხარო?

— გაჩუმდი, ხოაკინ, მაღლობელი ვარ, — თქვა მარტამ. — ერთი შენ იქნებოდი ლამაზი, თუ რომ შეგეკრიჭა.

— გახსოვს, როგორ გატარე? — ჰკითხა ხოაკინმა. — მხრებით მოგათრევდი.

— როგორც დანარჩენები, — თქვა პილარმა დაბალი, რბილი ხმით, — ვიღამ არ ატარა! ბერიკაცი სად არის?

— ბანაკში.

— წუხელ სად იყო?

— სეგოვიაში.

— ახალი არის რამე?

— ჰო, — თქვა ხოაკინმა. — არის.

— კარგი თუ ცუდი?

— მე მგონი, ცუდა.

— თვისმფრინავეები ნახეთ?

— ეჰ, — თქვა ხოაკინმა და თავი გააქნია. — ნუ შეტყვი. ამხანაგო მედინამიტევ, რა თვისმფრინავეები იყო, თუ იცო?

— ჰეინკელ-111 ბომბდამშენები, ჰეინკელისა და ფიატის ტიპის გამანადგურებლები, — უთხრა რობერტ ჯორდანმა.

— იმ დიდებს რა ჰქვიათ, დაბალფრთიანებს?

— ჰეინკელ-111.

— რაც არ უნდა ერქვათ, სულ ერთია, ვერაფერა შელავათია, — თქვა ხოაკინმა. — მაგრამ გაგვიანებთ. წამოდი, მეთაურთან წაგიყვანთ.

— მეთაურთან? — იკითხა პილარმა.

ხოაკინმა სერიოზულად დაუქნია თავი:

— „მეთაური“ უფრო მომწონს, ვიდრე „უფროსი“. „მეთაური“ უფრო სამხედროა.

— მეტისმეტად ასამხედროებ, — უთხრა პილარმა და გაიცინა.

— არა, — თქვა ხოაკინმა. — მიყვარს სამხედრო ტერმინები. ბრძანებაც უფრო ნათელი გამოდის და დისციპლინაც უკეთესია.

— აი, შენი გემოვნების კაცი, Inglés, — თქვა პილარმა, — ძალიან სერიოზული ბიჭია.

— ხელში აგიყვანო? — ჰკითხა ხოაკინმა გოგონას, ხელი მხარზე დაადო და სახეში შესცინა.

— მაშინდელიც მეყოფა, — უთხრა მარტამ. — მაინც მაღლობელი ვარ.

— კარგად გახსოვს? — აღარ მოეშვა ხოაკინი.

— მახსოვს, როგორ მომათრევდნენ, — უპასუხა მარტამ. — შენ არ მახსოვხარ. ბოშა მახსოვს, იმიტომ რომ ბევრჯერ დამავლო ძირს. მაგრამ შენი მაღლობელი ვარ, ხოაკინ, ოდესმე მეც გათრევ ზურგიც.

— მე კი კარგად მახსოვს, — თქვა ხოაკინმა. — მახსოვს, როგორ ნუჭირა შენი ფეხები, მუცელი ჩემს მხარზე გედო, თავი — ზურგზე, ხელჯაბ ჩაკიდული გქონდა.

— კარგი მეხსიერება გქონია, — უთხრა მარიამ და გაუღიმა: — მე არაფერი არ მახსოვს, არც შენი მკლავები, არც შენი მხრები და სხვა.

— გინდა, რაღაცას გეტყვი? — ჰკითხა ხოაკინმა.

— რასა?

— როცა გვესროდნენ, მიხაროდა, რომ ზურგზე მეკიდე.

— რა ღორია, — თქვა მარიამ, — იქნებ ბოშამაც ამიტომ მატარა იმდენ ხანს.

— მაგიტომაც, და კიდევ იმიტომ, რომ შენი ფეხები ეჭარა.

— ჩემი გმირები, — თქვა მარიამ, — ჩემი მხსნელები.

— უფრო მივდი, guapa, — მაშართა პილარმა. — ამ ბიჭმა მართლა ბევრი გათრია, იმ დროს შენი ფეხები ვის რაში ენადვლებოდა. იმ წუთში ტყუა იყო მთავარი. შავას რომ ჩამოეგდე, უფრო მალე დაადწევდა თავს ტყვიებს.

— აჰა ვუთხარი ნადლობა, პილარ, მიუგო მარიამ. — თდესსე მეც ვატარებ. ახლა კი, მოდი, ვიხუმრებ. ხომ არ უნდა ვიტარო, იმიტომ რომ ერთხელ ზურგიც მათრია?

— ხომ შენეძლო დამეტოვებინე?! — გასაბრაზებლად უთხრა ხოაკინმა, მაგრამ შემეშინდა, პილარი დამხვრეტდა.

— მე არავის არ ვხვრეტ, — თქვა პილარმა.

— No hace falta ¹, — თქვა ხოაკინმა. — არ გჭირდება და იმიტომ. ენით მიგყავს სიკვდილის პირამდე.

— ეს რა ლაპარაკია, — თქვა პილარმა. — მერე როგორი წრდილობიანი პატარა ბიჭი იყავი. რას აკეთებდი მოძრაობის დაწყებამდე, პატარა ბიჭო?

— ბევრს არაფერს, — თქვა ხოაკინმა. — თექვსმეტი წლისა ვიყავი.

— მაინც რა საქმე გქონდა?

— ფეხსაცმელებით ვიქცევიდი თავს.

— კერავდი?

— არა, გაბრაზებდი.

— Que va, — თქვა პილარმა, — აქ რაღაც სხვა იმალება. — ხოაკინს შეხედა შერუჯულ სახეში, მის მოქნილ ტანს შეავლო თვალი, ქოჩორსა და სწრაფ საართულს. — რამ შეგიშალა ხელი?

— რაში?

— რაში? თვითონაც იცი, რაში! თმას იზრდი ახლა.

— მე მგონი, შაშმა, — თქვა ბიჭმა.

— ტანი მშვენიერი გაქვს, — უთხრა პილარმა. — ოღონდ სახისა რა მოგახსენო. მაშ შიშმა, არა? მატარებლის აფეთქებისას გულადად იყავი!

— ახლა უკვე აღარ მეშინია. სრულებით. ბევრად უარესი რამეები ენახეთ მას მერე. ბევრად უფრო სახიფათო, ვიდრე ხარები. ცხადია, ტყვიამფრქვევი ყველა ხარზე უფრო საშიშია. და მაინც, ახლა რომ არენაზე ვიყო, არ ვიცი, შევძლებდი თუ არა ფეხების დამორჩილებას.

¹ არ გჭირდება.

— მატადორობა უნდოდა, — აუხსნა პილარმა რობერტ ჯორდანს, — მაგრამ შეეშინდა.

— ამხანაგო მედინამიტევ, გიყვარს ხარები? — ხოაკინმა გაიღიმა და თეთრი კბილები გამოაჩინა.

— ძალიან, — მიუგო ჯორდანმა. — ძალიან მიყვარს.

— გინახავს ისინი, ვალიადოლიდში? — ჰკითხა ხოაკინმა.

— კი, სექტემბერში, ბაზრობაზე.

— ეგ ჩემი ქალაქია, — თქვა ხოაკინმა. — რა მშვენიერი ქალაქია! რა კარგი ხალხია! მაგრამ როგორ დაიტანჯნენ ამ ომში. — შემდეგ სახე მოელრუბლა. — იქ დამინვრიტეს მამა, დედა, სიძე და ახლა დაც.

— რა ბარბაროსობაა, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

რამდენჯერ გაუგია ეს. რამდენჯერ უნახავს, როგორ უჭირდა ხალხს ამაზე ლაპარაკი. რამდენჯერ ავსებდათ თვალები ცრემლით და ყელი გამრობდათ სიმწრისაგან, როდესაც ამბობდნენ: — მამა, ძმა, დედა, და... აღარც კი ახსოვდა, რამდენჯერ გაუგონია, როგორ ახსენებდნენ თავიანთ მკვდრებს. თითქმის ყოველთვის ასე ლაპარაკობდნენ, როგორც ეს ბიჭი; უეცრად და სხვათა შორის, ქალაქის ხსენებისას, და ყოველთვის უნდა გაგემეორებინა ერთი და იგივე: — რა ბარბაროსობაა!

შენ მხოლოდ გესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ თავიანთ უბედურებაზე. ისე ნათლად ვერ ხედავდი, როგორ დაეცა მამამისი, როგორც პილარმა გაგრძნობინა ფაშისტების სიკვდილი წყაროსთან ნაამბობით. შენ იცოდი, რომ მამამისი მოკვდა რომელიღაც ეზოში, რომელიმე კედელთან. სადმე მინდორში ან ბაღში, რომ ეს მოხდა დამით, საბარგო მანქანას შუქზე, სადღაც გზის პირას. თვალს მოჰკრავდი მანქანის სიზაათლეს, მთიდან სროლის ხმას გაიგონებდი, მერე დაბლა ჩახვიდოდდი და გზაზე დახოცილებს იპოვიდი. არ გინახავს, როგორ კლავენ დედას, დას, ძმას. შენ მხოლოდ გაგიგონია ეს, გსმენია სროლის ხმა და გინახავს დახოცილები.

პილარმა განგაცდევინა, რაც იმ ქალაქში მოხდა. ნეტავ წერა შეეძლოს ამ ქალს. თვითონ რობერტი დაწერს ამას, თუ ბედმა გაუღიმა და ყველაფერი დაამახსოვრდა. დაწერს ისე, როგორც უამბო ქალმა. ღმერთო, რა შესანიშნავად უამბო. კევედოს სჯობსო, გაიფიქრა. კევედოს არასოდეს არ დაუწერია რომელიმე დონ ფაუსტინოს სიკვდილის ამბავი ისე კარგად, როგორც პილარმა უამბო. ნეტა მე შევძლებდე ამ ამბის დაწერას, გაიფიქრა მან. რაც ჩვენ გავაკეთეთ. და არა იმისას, რაც სხვებმა გავაკეთეს. ბევრი რამ იცოდა ამაზე, ძალიან ბევრი რამ, რაც მტრის ზურგში ხდებოდა. მაგრამ ამისთვის აღრევე უნდა გცნობოდა ეს ხალხი. უნდა გცოდნოდა, რას წარმოადგენდნენ ისინი სოფელში.

მუდმივ მოძრაობაში ვიყავით, თან სასჯელისაც გვეშინოდა და დიდხანს არ ვრჩებოდით სოფლებში, არასოდეს არ ვიცოდით რა ემართებოდა ამ ხალხს, — გაიფიქრა მან. გლეხის ოჯახში ვრჩებოდით ხოლმე. დამით შევდიოდით და ვვახშობდით მათთან ერთად. მერე დღეს გვმალავდნენ. დამე კი გამოედით, მოვითავებდით საქმეს და ვტოვებდით იქაურობას. როცა მეორედ მოგვიხდებოდა მისვლა, გვეუბნებოდნენ, ისინი დახვრიტესო. ასე უბრალოდ ხდებოდა ხოლმე.

მაგრამ იმ დროს ჩვენ იქ არ ვიყავით. პარტაზანები აკეთებდნენ საქმეს და შიდიოდნენ. გლეხები რჩებოდნენ და ისჯებოდნენ მათ მაგივრად. მე ხომ ყოველთვის ვიცოდი, — გაიფიქრა ჯორდანმა, რასაც ჩვენ იმათ ვუბრალებდით დასაწყისში, ვიცოდი და არ მომწონდა. მომისმენია ამაზე ლაპარაკი, უსარ-ცხეილოც და დარცხვენილიც. გამიგია, როგორ ტრაბახობდნენ, ეკვებოდნენ; ამართლებდნენ ამ ამბავს, განმარტავდნენ და უარყოფდნენ. მაგრამ იმ წვე-ულმა ქალმა ყველაფერი ისე მიაჩნო, თითქოს ჩემი თვალით შექონდეს ნახაზი.

ესეც ერთგვარი გამოცდილებაა, — გაიფიქრა მან. — გამოცდილება მაშინ ნახე, როცა ყველაფერი დამთავრდება. ბევრ რამეს ისწავლი ამ ომში, თუ მოსმენის უნარი გაქვს. უკვე ისწავლე კიდევ ბევრი რამ. კიდევ კარგი, რომ ომამდე ათი წლის განმავლობაში დროდადრო ესპანეთში ცხოვრობდი. გენ-დობოდნენ უფრო იმიტომ, რომ ენა იცოდი. გენდობოდნენ იმიტომ, რომ კარგად იცოდი მათი ენა, იმიტომ, რომ ბევრი იდიომატური გამოთქმა იცო-დი, ქვეყანასაც იცნობდი. დაბოლოს, ყველა ესპანელს მხოლოდ თავისი სო-ფელი უყვარდა. ჯერ ესპანეთი უყვარდა, რასაკვირველია, შემდეგ თავისი ხალხი, შემდეგ თავისი პროვინცია, თავისი სოფელი, თავისი ოჯახი და, ბოლოს, თავისი საქმე. ესპანური თუ იცოდი, ის უკვე კარგად იყო განწყობილი შენდამი, მის პროვინციასაც თუ იცნობდი, კიდევ უკეთესად; მაგრამ თუ იც-ნობდი მის სოფელს და მის საქმეს, შენ იმდენად შინაური იყავი უკვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია უცხოელისათვის. რობერტს თავი უცხოდ არა-სოდეს უგრძნია ესპანეთში. და, უმეტეს შემთხვევაში, არც ექცეოდნენ რო-გორც უცხოელს, მხოლოდ ზოგჯერ აუმხედრდებოდნენ ხოლმე და ეს იყო.

ღიახ, ერთბაშად აუმხედრდებოდნენ. საკმაოდ ხშირადაც, მაგრამ, საკ-ვირველი არც ეს იყო, რადგან ყველაზე ასე ექცეოდნენ. საკუთარ თავსაც კი ეწინააღმდეგებოდნენ.

არ შეიძლება ასე ფიქრი. მაგრამ ვინ არის ჩემი შემმოწმებელი, თუ არა მე თვითონ. ისე მაინც არასოდეს არ ვიფიქრებ, რომ გამარჯვების რწმენა დავკარგო. მთავარია, ომი მოვიგოთ. თუ არ მოვიგეთ, ყველაფერი და-ღუპულია. მაგრამ მაინც ყველაფერს ვამზნევ, ყველაფერი მესმის და ყველა-ფერს კარგად ვიმახსოვრებ. ვიბრძვი ომში. საქმის ერთგული ვარ და ყველა-ფერს ვწირავ ამ საქმეს. მაგრამ ჩემს გონებას არავინ განაგებს, არც ჩემს შეგრ-ძნებებს, ნახულითა და გაგონილით გამოწვეულს. დასკვნების გამოტანას მერეც მოვასწრებ. ამისათვის უამრავი მასალა მაქვს, უამრავი მასალა. თით-ქოს მეტიმეტიც.

ამ ქალს კი, — გაიფიქრა მან, — რადაც არ უნდა დამიჯდეს, თუ დრო იქნა, ბოლომდე უნდა ვაამბობინო ის ამბავი. შეხედე ამ ქალს, როგორ ში-ბიჯებს ორ ბავშვთან ერთად. ძნელად თუ ნახავთ ესპანური სულის უკეთეს გამოხატულებას. ქალი მთავსა ჰგავს, გოგო და ბიჭი კი — ნორჩ ხეებს. ბებერი ხეები უკვე მოჭრილია, ხოლო ნორჩები ავერ ამათსავით იზრდებიან, უნაკ-ლოდ. მიუხედავად იმისა, რაც თავს გადახდათ, ისე უმწიკვლონი არიან, ისე ქორთა და ხელუხლებელნი, თითქოს არც კი იციან, უბედურება რა არის. მაგრამ, პილარის თქმით, მარია სულ ცოტა ხანია, რაც გამოჯანსაღდა. აღ-ბათ, ძალიან ცუდად იყო.

მოაგონდა ბელგიელი ბიჭი, მეთერთმეტე ბრაგადიდან, რომელიც თავის

ხუთ თანასოფლელებთან ერთად მოხალისედ ჩაეწერა. სოფელში დაახლოებით ორასი კომლი იყო. ბიჭი არასოდეს არ გასცდებოდა თავის სოფელს. ეს ბიჭი რომ შეხვდა ჰანსის ბრიგადის შტაბში, დანარჩენი ხუთი უკვე სოფელში დალიან ცუდ დღეში იყო ბიჭი და მოსამახურედ დანიშნეს შტაბის სასადილოში. ქერა თმა, ფლანდრული ტიპის წითური სახე და მრგვალი გულხეობი ხელები ჰქონდა. ღონივრად და მუშა ცხენივით უხერხულად დაატარებდა თეფშებს, თან განუწყვეტლივ ტიროდა. მოელი სადილის განმავლობაში ტიროდა უხმოდ.

აიხვდავდი — იდგა და ტიროდა, ღვინოს მოითხოვდი — ტიროდა. გაუწყვიდი თეფშს წვნიანისთვის — ტიროდა. თავს მიაბრუნებდა და ისე ტიროდა. მერე გაჩერდებოდა, მაგრამ საკმარისი იყო შეგვხვდა და ისევ ტირილი წასვდებოდა. კერძების ჩამორიგების შეუღლებში სამზარეულოში ტიროდა. ყველა აღერსიანად ეჭვოდა, მაგრამ ეგ სულაც არა შეელოდა საქმეს. ნეტავ, რა მოუვიდა მერე?! ნეტავ თუ დამშვიდდა და დაუბრუნდა ჯარს. უნდა გაიგოს ეს.

მარია უკვე კარგად არის, ასე ჩანს, ყოველ შემთხვევაში. მაგრამ ჯორდანი ფსიქიატრი ხომ არ არის. პილარია ფსიქიატრი. ნამდვილად კარგი იყო, წინა დამე რომ ერთად გაატარეს. ოღონდ თუ გაგრძელდა ასე! ნისტვის ნამდვილად ძალიან კარგი იყო. თავს შესანიშნავად გრძნობს დღეს, ჯანმრთელად, მხარულად, უღარდელად და ბედნიერად. საქმეს საკმაოდ ცუდი პირი უჩანს, მაგრამ მას მაინც საოცრად გაუღიმა ბედმა. სხვა საქმეებიც ჰქონია. ამ საქმეებსაც უჩანდათ ცუდი პირი. პირი უჩანდათ! — ეს აზროვნების ესპანური ფორმაა. მშვენიერია მარია.

— შეხედე, — უთხრა მან თავის თავს, — ერთი შეხედე.

თვალი გააყოლა მზეში ბედნიერად მიმავალს. ხაკის ხალათი შეხსნოდა კისერთან. სიარული კვიცს უგავსო, გაიფიქრა. არ შეიძლება შემთხვევით წააწყდე ასეთ რამეს. ასეთი რამ არ ხდება. იქნებ არც მომხდარა არასდროს. — გაიფიქრა მან. — იქნებ დაგესიზმრა, ან თვითონ შექმენი, და არც მომხდარა არასდროს. იქნებ ეს ისეთივე სიზმარია, კინოში რომ ნახავ ვინმეს და მერე დამით საწოლში მოვა შენთან, კეთილი და მშვენიერი. არა ერთთან უძინია მას ასე სიზმრად. დღესდღე ახსოვს გარბო და ჰარლოუ. დიახ, ჰარლოუ-უსთან განსაკუთრებით ხშირად უძინია ასე. იქნებ ესეც ისეთივე სიზმარია?

ახლა ის დამე გაიხსენა, როცა გარბო მოვიდა მასთან სიზმარში, პოზობლანკოსთან შეტევის წინ: აბრეშუმივით რბილი მატყლის ჯემპრი ეცვა. რობერტმა მკლავი მოხვია და როდესაც ის წინ გადმოიხარა და თმებით სახეზე მიეღამუნა, ასე უთხრა: რატომ უწინ არასდროს არ გისაქვამს, რომ ასე გიყვარდი, მე ხომ ყოველთვის ძალიან მიყვარდიო. არც დარცხვენილი იყო იგი, არც ცივი და არც შორეული. ღამაში იყო მის მკლავებში, ღამაში და კეთილი. რობერტს ისეთი გრძნობა ჰქონდა, როგორც ჯეკ გოლბერტთან ოდესღაც. და ისე ცხადი ჩანდა ყველაფერი, თითქმის მართლა მომხდარიყოს. ამიტომაც უყვარდა გარბო ჰარლოუსზე მეტად, თუმცა გარბო მხოლოდ ერთხელ იყო მასთან. ჰარლოუ კა... იქნებ ესეც ისეთივე სიზმარია..

იქნებ არც არის, გაიფიქრა მან. ხომ არ მიეწვდებოდა და შეეხებო მარიას? იქნებ გეშინია? უცებ რომ აღმოჩნდეს: არაფერი არ მომხდარა, ყველაფერი ის

სინამდვილე კი არ იყო, არამედ რაღაც შენ მიერ შექმნილი! ამ სიზმრების მსგავსად, კინოს მსახიობებზე. ან იმ ქალებზე, რომლებთანაც ოდესმე ყოფილხარ, და რომლებიც მრავალჯერ მოსულან შენთან, ღამით, საძილე ტომარაში, შიშველ იატაკებზე, ან სათიფეში ჩალაზე, ან საჯინობოში, კორბლებში ან ტყეში, ან გარაჟში, ან საბარგო მანქანაში და, ბოლოს, ესპანეთის ყველა მთაზე. მოდიოდნენ ხოლმე, როცა ამ საძილე ტომარაში შექმნილ სიზმრებზე უფრო მშვენიერები იყვნენ, ვიდრე ცხადში. იქნებ ახლიც ანუა, იქნებ გემინია შეეხო და, რომ შეეხო, იქნებ ესეც შენი მოგონილი აღმოჩნდეს, ან სიზმარში ნანახა.

ბილიკზე ნაბიჯს აუჩქარა და გოგონას მკლავს შეეხო. გაცვეთილი ხალათის ქვეშ მისმა თითებმა მკლავის საგლუვე იგრძნეს. გოგონამ შეხედა და გაუღიმა.

— გამარჯობა, მარია, — უთხრა მან.

— გაგამარჯოს, Inglés, — მიუგო ქალმა.

რობერტი უყურებდა მის მშუდაკრულ სახეს, მონაცრისფრო თაფლისფერ თვალებს, მომღიმარ სავსე ტუჩებსა და მზით გახუნებულ შეკრეჭილ თმას. ქალმა სახეში შეხედა და თვალებში შესცინა. ყველაფერი ეს სინამდვილე იყო.

უკანასკნელ ფიქვებს იქით ისინი ხედავდნენ ელ სორდოს ბანაკს. აქ ხეობის დასაწყისი გადმოპირქვევებულ ჯამს ჰგავდა. ალბათ ეს კირიანი ხეობა სავსეა გამოქვაბულებითო, გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა. აგერ, წინ ორი გამოქვაბულია. კლდეზე ამოსული ჯუჯა ფიქვები შესანიშნავად ფარავენ მათ. კარგი ადგილია, შეიძლება უკეთესიც, ვიდრე პაბლონი.

— როგორ ამოხოცეს შენი ოჯახი? — ჰკითხა პილარმა ხოაკინს.

სულ უბრალოდ, — თქვა ხოაკინმა. — ისინიც შემარცხენები იყვნენ! ვალიალოლიდში ბევრია შემარცხენე. როდესაც ფაშისტებმა ქალაქი გაწმინდეს, პირველად მამაჩემი მოკლეს, იმიტომ რომ სოციალისტებს მისცა ხმა. შემდეგ დედა დახვრიტეს — ასიც სოციალისტებს მიემხრო. მისთვის ეს პარველი არჩევნები იყო საერთოდ. ამის შემდეგ ერთ-ერთი დის ქმარი მოკლეს. ტრამვაის მძღოლთა სინდიკატის წევრი იყო. სინდიკატის წევრი რომ არ ყოფილიყო, ტრამვაის მძღოლიც ვერ იქნებოდა. პოლიტიკასთან არაფერი საქმე არ ჰქონია. კარვად ვიცნობდი. ცოტა უსარცხვილოც კი იყო. არა მგონია, კარგი ამხანაგი ყოფილიყო. მეორე დის ქმარი, მეორე სიძე, რომელიც აგრეთვე ტრამვაიზე მუშაობდა, ჩემსავით მთაში წასულიყო. ეგონათ, ცოლმა იციან სად არისო და მან კი — არაფერი იცოდა. აიღეს და მოკლეს, იმიტომ რომ არ უთხრა, სად იყო მისი ქმარი.

— რა ბარბაროსობაა! — თქვა პილარმა. — სად არის ელ სორდო, რომ ვერ ვხედავ?

— აქ არის. ალბათ შიგნით თუა, — მიუგო ხოაკინმა, შეჩერდა, თთვის კონდახი მიწას დააბჯინა და თქვა: — ყური მიგლე, პილარ, შენც, მარია, შაბატეა, თუ თავი მოგაბეზრეთ ჩემი ოჯახის ამბებით. ვიცი, რომ ყველას ასეთივე გაჭირვება აქვს. ასეთ დროს სჯობს კაცმა არაფერი თქვას.

— უნდა ილაპარაკო, — უთხრა პილარმა, — აბა რისთვისა ვართ გაჩე-

ნილები, თუ ერთმანეთს არ დავეხმარებით. თუმცა მოსმენა და არაფრის თქმა ვერაფერი დახმარებაა.

— მაგრამ ამან შეიძლება მარია შეაწუხოს. თავისი უბედურებაც ეყოფა.

— *Qué va!* — თქვა მარიამ. — შენი გაჭირვება ჩემთან მონათვლია. ძალიან ვწუხვარ, ხოაკინ. შენი და მაინც თუ არის კარგად?

— ჯერჯერობით არა უშავს, — მაუგო ხოაკინმა. — ცხენში ზის, მაგრამ მაინცაღამაინც ცუდად არ ექცევიან.

— დარჩა კიდევ ვინმე ოჯახში? — იკითხა რობერტ ჯორდანმა.

— არა, — მიუგო ბიჭმა, — მე ვარ. მე და ჩემი სიძე. ისიც მთებშია წასული. მაგრამ, მე მგონი, მკვდარია უკვე.

— იქნებ კარგად არის! — თქვა მარიამ. — იქნებ სხვა მთებშია, რომელიმე ჯგუფთან?

— არა მგონია, — თქვა ხოაკინმა. — მუდამ უმწეო იყო. ერთი საწყალი ტრამვიანს კონდუქტორი. კონდუქტორი მთებში რას გამოდგება? ვეჭვობ, რომ ერთ წელს მაინც გაეძლო. თან ფილტვებიც სუსტი პქონდა.

— მერე რა, შეიძლება კარგად იყოს, — მარიამ ხელი დაადო მხარზე.

— ჰო, შეიძლება, რატომაც არა!

მარია თითის წვერებზე შედგა, მკლავები კისერზე შემოხვია ბიჭს და აკოცა. ხოაკინმა თავი მიაბრუნა, ცრემლების დამალვა სცადა.

— როგორც ჩემს ძმას, — უთხრა მარიამ. — გკოცნი, როგორც ჩემს ძმას.

ბიჭმა თავი გააქნია. უხმოდ განაგრძობდა ტირილს.

— მე შენი და ვარ, — უთხრა მარიამ, — და მიყვარხარ. ოჯახიცა გაქვს. ჩვენა ვართ შენი ოჯახი.

— *Inglés*-იც, — დაიბუბუნა პილარმა. — არა, *Inglés*?

— მაშა, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ჩვენა ვართ შენი ოჯახი, ხოაკინ.

— ეგ შენი ძმაა, — უთხრა პილარმა, — არა, *Inglés*?

რობერტ ჯორდანმა მკლავი შემოხვია ბიჭს მხარზე. ჩვენ ყველანი ძმები ვართო, უთხრა. ბიჭმა თავი გააქნია:

— მრცხვენია, ნეტავ არ მეღაპარაყა, — თქვა მან. — ასეთ რამეებზე ღაპარაყი ყველასათვის სამძიმოა. მრცხვენია, რომ თავი მოგაბეზრეთ.

— ნუ გააჭირე მაგ შენი სირცხვილით! — უთხრა პილარმა თავისი ბუბუნა ხმით. — და თუ მარია კიდევ ერთხელ გაკოცებს, მეც გაკოცებ. რამდენი ხანია მატადორისთვის არ მიკოცნია, თუნდაც შენისთანა ხელმოცარულისათვის. სიამოვნებით ვაკოცებდი ახლა ერთ ხელმოცარულ მატადორს, რომელიც კომუნისტად იქცა. დაიჭირე, *Inglés*, ერთი მაგრად უნდა ვაკოცო.

— *Deja!*, — თქვა ბიჭმა და სწრაფად მიბრუნდა. — თავი დამანებე. არაფერი მიშავს, ოღონდ ეგ არის, რომ მრცხვენია.

იღვა და ცდილობდა თავი შეემაგრებინა. მარიამ ხელი რობერტ ჯორდანს ჩაუდო ხელში. პილარი იღვა, დონჯშემოყრილი, და ახლაც დამცინავად უყურებდა ბიჭს.

— მე რომ ვაკოცებ, — უთხრა მან, — ეს არ იქნება დამძური კოცნა. სასაცილოა დამძურ კოცნაზე ღაპარაყი.

1 თავი დამანებე.

— ნუ მეხუმრები, — თქვა ბიჭმა, — ავი გითხარი, არაფერი მიშავს-მეთქი, ისღა მაწუხებს, რომ ვილაპარაკე.

— მაშ წავიდეთ და ვნახოთ ის ბერიკაცი, — თქვა პილარმა, — დაგულაღე ამდენი განცდებით.

ბიჭმა ახედა. მის თვალებში უეცრად წყენა გაჩნდა.

— შენი განცდებით კი არა, — უთხრა მას პილარმა. — ჩემსაა! შენთანა გულჩვილი ბიჭი მატადორად არ გამოდგება.

— იმიტომაც ვერ გამოვდექი, — თქვა ხოაკინმა. — რას ჩააცივდი ჩემს მატადორობას?

— მაგრამ თმას ხომ მაინც იზრდი.

— დიახ. რატომაც არა? ხართა ბრძოლის ფონდი საუკეთესოდ ამარაგებს მატადორებს. ბევრს აძლევენ სამუშაოს, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იქნება ეს ფონდი. იქნებ ახლა აღარც შემეშინდეს.

— კო, — თქვა პილარმა, — შეიძლება.

— რა მხეცურად ლაპარაკობ, პილარ. — უთხრა მარიამ. — ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ბარბაროსულად იქცევი.

— იქნება ვარ კიდევაც ბარბაროსი, — თქვა პილარმა. — ყური მიგდე, Inglés! იცი, რა უნდა უთხრა ელ სორდოს?

— ვიცი.

— იცოდე, ეს კაცი სიტყვაძუნწია. არც შენ გგავს, არც მე და არც ამ სენტამენტალურ სამხეცეს.

— რატომ ლაპარაკობ ასე? — კვლავ ჰკითხა მარიამ გაბრაზებით.

— არ ვიცი, — თქვა პილარმა და გზა განაგრძო. — შენ როგორ გგონია?

— არ ვიცი.

— ბევრი რამ მიშლის ხოლმე ნერვებს, — ბრაზიანად თქვა პილარმა. — გესმის? და ერთ-ერთი იმ ბევრთაგანი ის არის, რომ ორმოცდარვა წელი მაწევს მხრებზე. გამიგე? ორმოცდარვა წელი! და ჩემი უწინო სახე. მეორე კიდევ ის, რომ შიშსა ვხედავ კომუნისტურად განწყობილი ხელმოცარული მატადორის სახეზე, როცა ხუმრობით ვეუბნები გაკოცებ-მეთქი.

— შენ მართალი არა ხარ, პილარ, — უთხრა ბიჭმა. — შიშს ვერ დაინახავდი.

— Que va, მართალი არა ხარო. გამანებეთ თავი. აგერ ისიც! Hola, სანტიაგო! Que tal?

კაცი, რომელსაც პილარი გაეხმაურა, დაბალი იყო და ჯმუხი. სახეშერუჯული, ფართოყვრიმალებიანი. ჭაღარა თმა ჰქონდა და შორისორ ჩაბმული თაფლისფერი თვალები, ინდიელივით მოკლედ მოჭრილი კეჩიანი ცხვირი, გრძელი ზედა ტუჩი და ფართო, თხელი პირი. სუფთად იყო გაპარსული. გამოქცებულადან განოვიდა და მათკენ გამოემართა. მის მოგრეხილ ფეხებს უხდებოდა მეცხვარის შარვალი და ჩექმები.

თბილა დღე იყო, მაგრამ ცხვრის ტყაბუჭი ეცვა კისრამდე შეკრული. გამოვიდა და თავისი დიდი, შერუჯული ხელი გაუწოდა პილარს.

— Hola, ქალო, — უთხრა მან. — Hola, — რობერტ ჯორდანს მიმართა. ხელი ჩამოართვა და დაკვირვებით შეხედა. რობერტ ჯორდანმა შენიშნა, რომ

კატასავით ყვითელი და ქვეწარმავალივით ბრტყელი თვალები ჰქონდა. —
Guapa, — უთხრა მან მარიას და მხრებზე მოეფერა.

— ნასაუზმევი ხართ? — ჰკითხა პილარს. ქალმა თავი გააქნა.

— ისაუზმეთ, — უთხრა მან რობერტ ჯორდანს. — დალევთ? — ჰკითხა და ცერის მოძრაობით თითქოს ღვინო დაუსხა.

— დიახ, გმადლობთ.

— კარგია, — თქვა ელ სორდომ. — ვისკის?

— გაქვთ ვისკი?

ელ სორდომ თავი დაუქნია.

— ინგლისელი ხართ, — ჰკითხა მან, — თუ რუსი?

— ამერიკელი.

— ცოტანი არიან აქ ამერიკელები, — თქვა მან.

— ახლა მოემატნენ.

— მით უკეთესი. ჩრდილოეთიდან ხართ თუ სამხრეთიდან?

— ჩრდილოეთიდან.

— ეს იგივეა, რაც ინგლისელი. ხიდს როდის აფეთქებ?

— შენც იცი ხიდის ამბავი?

ელ სორდომ თავი დაუქნია.

— ზეგ დილით.

— კარგია, — თქვა ელ სორდომ.

— პაბლო? — ჰკითხა მან პილარს.

ქალმა თავი გააქნია. ელ სორდომ გაიღიმა.

— წადი, — უთხრა მან მარიას და კვლავ გაიღიმა. — ისევ მოხვალ, — ქურ-
ჭის ჯიბიდან ტყავის თასმით საათი ამოატრია და დახედა, — ნახეარ საათში.
მერე ხელით ანიშნა დამსხდარიყვნენ ბრტყელ მორზე, რომელიც სკამის
მაგივრობას სწევდა. ხოაკანს შეხედა და იმ ბილიყზე ანიშნა, რომლითაც
ისანი მოვიდნენ.

— ხოაკინთან ერთად წავალ და დაებრუნდები, — თქვა მარიამ.

ელ სორდომ გამოქვაბულიდან შოტლანდიური ვისკის წვრილი ბოთლი
და სამი ჭიქა გამოიტანა. ბოთლი იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, ჭიქებიც იმავე
ხელში ეჭირა — ყურებში გაეყარა თითები. მეორე ხელით კი თიხის დოქი
მოჰქონდა. ჭიქები და ბოთლი მორზე დაალაგა, დოქი მაწაზე დადგა.

— ყინული არა მაქვს, — უთხრა მან რობერტ ჯორდანს და ბოთლი
შიაწოდა.

— მე ნუ დამისხამ, — თქვა პილარმა და ხელი დაათარა ჭიქას.

— წუხელ სულ დადნა ყინული, — დამილით თქვა ელ სორდომ. — ის
ყინული კი, — მთის შიშველ თხემებზე შემორჩენილი თოვლისკენ მიუთითა, —
ძალიან შორსაა.

რობერტ ჯორდანს უნდოდა ელ სორდოსათვის შეევესო ჭიქა, მაგრამ ამ
ყრუ კაცმა ანიშნა. შენთვის დაისხიო.

რობერტ ჯორდანმა ბლომად ჩამოასხა ჭიქაში ვისკი. ელ სორდომ ინტე-
რესით უყურებდა მას და როცა რობერტმა ბოთლი დადგა, დოქით წყალი
შიაწოდა. რობერტ ჯორდანმა ჭიქა ააესო ცივი წყლით, წყალი რაკრაკით
გადმოდიოდა დოქიდან.

ელ სორდომ ნახევარი ჭიქა ვისკი დაისხა და წყლით შეაზავა.

— ღვინო გინდა? — ჰკითხა მან პილარს.

— არა, წყალი.

— დალიე, ვერაფერი საქმეა, — უთხრა მან რობერტ ჯორდანს და გაუღიმა. — ინგლისელებს ბევრს ვიცნობდი, ვისკი უყვართ.

— სად გინახავს?

— რანჩოზე, — თქვა ელ სორდომ. — ბატონის მეგობრები ისვენებენ.

— ვისკის სად შოულობ?

— რა? — ვერ გაიგონა ელ სორდომ.

— ხმამაღლა უთხარი მეორე ყურში, — თქვა პილარმა.

ელ სორდომ, უკეთ რომ ესმოდა, ის ყური მიუშვირა და გაიღიმა.

— სად შოულობ ვისკის? — ჩაჰყვირა რობერტ ჯორდანმა.

— თვითონ ვაკეთებ, — თქვა ელ სორდომ და თვალი გააყოლა რობერტის ხელს, რომელსაც ჭიქა მიჰქონდა პირისაკენ, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე გაუშეშდა ჰაერში.

— არა, — თქვა ელ სორდომ და მზარზე წაუთათუნა. — გეხუმრე. ლა გრანხიდან. გავიგე, ინგლისელი მედინამიტე ჩამოვიდაო. ძალიან კარგია-ჩეთქი, გამეხარდა. ეს ვისკი შენთვის მოვატანინე, მოგწონს?

— ძალიან, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — შესანიშნავი ვისკია.

— მიხარია, — ღიმილით თქვა სორდომ. — ამ საღამოს ვაპირებდი ამოტანას ახალ ამბებთან ერთად.

— რა ამბავია?

— ჯარები გადაჰყავთ.

— სადა?

— სეგოვიაში. ნახე თვითმფრინავები?

— კი.

— ცუდია, არა?

— ცუდია. ჯარები გადაჰყავთ?

— ძალიან ბევრი. ვილიაკასტინიდან სეგოვიაში. ვალიადოლიდის ვხეივანი. ვილიაკასტინიდან სან რაფაელში. ბევრი. ბევრი.

— რას ფიქრობ ამაზე?

— რამეს ვაპირებთ?

— შეიძლება.

— იშთაც იცოიან. ემზადებიან.

— გვეც შეიძლება.

— რატომ არ ვაფეთქებთ ხიდს ამაღამ?

— მერე ბრძანება?

— ვისი?

— გენერალური შტაბის.

— ჰოო.

— აფეთქების დროს მნიშვნელობა აქვს? — იკითხა პილარმა.

— ვადამწყვეტი.

— ჯარები რომ გადაჰყავთ?

— ანსელმოს გავგზავნი მოხსენებით ჯარის მოძრაობისა და კონცენტრაციის შესახებ. ის შეთვალფურეობს გზას.

— გზაზე ვინმე გიღვას? — ჰკითხა სორდომ.

რობერტ ჯორდანმა არ იცოდა, რა გაიგონა ამ კაცმა და რა—ვერა. / ყრუსთან ყოველთვის ასეა.

— ჰო, — თქვა მან.

— მეც. რა იქნება ახლა ავაფეთქოთ ხიდი?

— მე სხვა მაქვს ნაბრძანები.

— არ მომწონს, — თქვა ელ სორდომ. — ეგ მე არ მომწონს.

— არც მე, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

ელ სორდომ თავი გააქნია და ვისკი მოწრუტა. — რამე გინდა ჩემგან?

— რამდენი კაცი გყავს?

— რვა.

— ტელეფონი გადაჭერით, გზის შემკეთებლის სახლთან საგუშაგოს დი-გესხით თავს, აიღეთ და ხიდთან დაბრუნდით.

— ეგ ადვილია.

— დაგიწერთ ყველაფერს.

— ნუ სწუხარ. მერე პაბლო?

— დაბლა რომ ტელეფონია, იმას გადაჭრის. სახერხ ქარხანასთან საგუ-შაგოს შეუტრევს, აიღებს და ხიდთან მოვა.

— მერე როგორ დავიხიოთ უკან? — იკითხა პილარმა. — ჩვენ შვიდი კაცი გვყავს, ორი ქალი და ხუთი ცხენი. თქვენა? — ჩასძახა მან ელ სორდომს ყურში.

— რვა კაცი და ოთხი ცხენი. *Faltan caballos*, — თქვა მან. — ცხენები გვაკლია.

— ჩვიდმეტი კაცი და ცხრა ცხენი, — თქვა პილარმა, — რომ არაფერი ვთქვათ ბარგზე.

სორდომ არაფერი თქვა.

— არ შეიძლება როგორმე ცხენების შოვნა? — ჩასძახა რობერტ ჯორდანმა ელ სორდომს ჯანსაღ ყურში.

— ეს ომი ერთა წელია მიმდინარეობს და ოთხი ძლივს ჩავიგდებ ბელ-ში, — თქვა ელ სორდომ და ოთხი თითი უჩვენა. — შენ კი გინდა ხვალამდე რვა იშოვო.

— მინდა, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — რადგან მივდივართ, ისეთი სიტუატხილე აღარ გვჭირდება, როგორც უწინ. ამ მიდამოებში სიტუატხილე აღარ არის საჭირო. ვერ მოიპარავ რვა ცხენს?

— შეიძლება კი და შეიძლება არა, — თქვა სორდომ. — იქნებ მეტიც ვიშოვო.

— ტყვიამტრქვევი გაქვს? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა.


ელ სორდომ თავი დაუქნია.

— სადა?

— მაღლა, მთაში.

— როგორი?

— არ ვიცი რა ჰქვია. თაროებიანია.



ქართული
საბჭოთაო

- რამდენი ვაზნა გაქვს?
- ხუთი.
- ხმარება იცის ვინმემ?
- მე. ცოტათი. ბევრი არ მისროლია. ხმაურს ვერიდებოდი, ტყვიებს ვიზოგავდი.
- მერე ვნახავ, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ხელყუმბარებში გაქვით?
- უამრავი.
- რამდენი ვაზნა მოდის თითო თოფზე?
- ბევრი.
- რამდენი?
- ას ორმოცდაათი, იქნება მეტიც.
- სხვა, ხალხზე რას იტყვი?
- რისთვის გჭირდება?
- საგუშაგოების ასადებად და ხიდის დასაცავად. აფეთქების დროს ორჯერ მეტი უნდა გვყავდეს.
- აიღებენ, ნუ გეშინია. როდის ვაფეთქებთ?
- დღისით.
- ნუ გეშინია.
- კიდევ ოცამდე კაცი მჭირდება, — თქვა რობერტ ჯორდანმა.
- საიმედო მეტი არაა არას. საუკვო ხალხი გინდა?
- არა. საიმედო რამდენია?
- იქნება ოთხი.
- რატომ ასე ცოტა?
- არ ვენდობი.
- ცხენის დამჭერადაც?
- მით უფრო.
- კიდევ ათი სანდო კაცი მაინც მინდა, თუ ვიშოვით.
- ოთხი.
- ანსელმომ მითხრა, ასამდე კაციაო ამ მთებში.
- ურგებელი.
- შენ მითხარი ოცდაათიო, — მიუბრუნდა რობერტ ჯორდანი პილარს. — ოცდაათი მეტ-ნაკლებად სანდოო.
- ელიას ხალხი? — ჩაჰყვირა პილარმა სორდოს. მან თავი გააქნია.
- ვერ ვენდობით.
- მაშ ათ კაცს ვერ იშოვი? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა.
- სორდომ მისკენ მიაბრუნა ბრტყელი ყვითელი თვალები და თავი გააქნია.
- ოთხი, — თქვა მან და თითები მოიშველია.
- შენები კარგები არიან? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა და იხანა. რომ ჰკითხა.
- სორდომ თავი დაუქნია.
- Dentro de la gravedad, — თქვა მან ესპანურად. — გააჩნია, საქმე რამდენად სახიფათო იქნება, — გაიღიმა მან. — იქნება სახიფათო, ა?
- შეიძლება.

— ჩემთვის სულ ერთია, — თქვა სორდომ კვენის გარეშე, უბრალოდ. — ოთხი სჯობს ბევრ ცუდს. ამ ომში ყოველთვის ცუდები სჭარბობენ. კარგები ცოტახი არიან. დღითი დღე უფრო ცოტანი. პაბლო რასა იქმს? — მან ახლა პილარს შეხედა.

— როგორც იცი, — თქვა პილარმა. — დღითი დღე უარესდება. —
სორდომ მხრები აიჩეჩა.

— დალიე, — უთხრა მან რობერტ ჯორდანს. — ჩემების გარდა ოთხ კაცს მოვიყვან. სულ თორმეტი იქნება. ამაღამ მოვითათბიროთ ყველაფერი. სამოცა ჯობი დინამიტი მაქვს, ვინდა?

— რამდენ პროცენტია?

— არ ვიცი. ჩვეულებრივი, მოვიტან.

— ჩვენ მაგით პატარა ხიდს ავაფეთქებთ, ზემოთ, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — შესანიშნავია. ჩამოხვალ ამაღამ, არა? თან წამოიღე, კარგი? არა მაქვს ნაბრძანები, მაგრამ ის ხიდი უნდა აფეთქდეს.

— ჩამოვალ. მერე ცხენებზე ვინადირებ.

— გაქვს რაიმე 'შანსი' მოვნი?

— შეიძლება. ახლა ჭამე.

— ნეტა ყველასთან ასე ლაპარაკობს? — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა. — თუ პგონია უცხოელებთან უნდა ილაპარაკოს ასე?

— მერე სად ვაპირებთ წასვლას, როცა ეს მოხდება? — ჩაპყვირა პილარმა სორდოს.

მან მხრები აიჩეჩა.

— ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, — თქვა ქალმა.

— რასაკვირველია, — უთხრა სორდომ. — რატომაც არა?

— საკმაოდ ცუდად არის საქმე. — თქვა პილარმა. — ძალიან კარგად უნდა დაიგეგმოს.

— ჰო, ქალო, — უთხრა სორდომ. — შენ რა გაწუხებს?

— ყველაფერი, — ჩაპყვირა პილარმა.

სორდომ გაუღიმა.

— შენ ხომ ბევრგან ყოფილხარ პაბლოსთან ერთად, — თქვა მან.

— თურმე, მხოლოდ უცხოელებთან ლაპარაკობს დამახინჯებული ესპანურით, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა. — კარგია. მიხარია, რომ გავიგე. როგორ ლაპარაკობს სწორად.

— მაინც როგორ ფიქრობ, სად უნდა წავიდეთ? — იკითხა პილარმა.

— სადა?

— ჰო, სადა.

— ადგილები ბევრია, — თქვა სორდომ. — ძალიან ბევრი. გრედოსი იცი?

— იქ ბევრი ხალხია. ეს ადგილები სულ გაიწმინდება, როგორც კი მოიცლიან.

— ჰო, მაგრამ ეს მხარეც დიდია და უდაბური.

— ძნელი იქნება იქ გადასვლა.

— ყველაფერი ძნელია, — თქვა ელ სორდომ. — გრედოსშიც ისევე გადავალთ, როგორც სხვაგან. ღამით. აქ ყოფნა უკვე ძალიან სახიფათოა. საოცარია, ასე დიდხანს რომ დავტოვეს აქ. გრედოსში საფრთხე ნაკლებია.

— იცი, სად მინდა წასვლა? — ჰკითხა მას პილარმა.
— სადა? პარამერაში? არ ვარგა.
— არა, — თქვა პილარმა. — სიერა დე პარამერაში არა. მინდა რესპუბ-
ლიკაში წავიდე.



— ეგ შეიძლება.
— წენი ხალხი წამოვა?
— კი. თუ ვეტყვი.
— ჩემები არ ვიცი, — თქვა პილარმა, — პაბლოს მაინც არ მოუხდება.
სინამდვილეში მისთვის იქ სჯობდა. რაღა დროს მაგის ჯარისკაცობაა, მოხუცდა!
თუ ბებრებიც არ გაიწვიეს. არც ბოშას მოუხდება. დანარჩენების არ ვიცი.

— აქ იმდენი ხანია არაფერი არ მომხდარა, რომ საფრთხეს ვერ გრძნობენ, — თქვა ელ სორდომ.

— დღევანდელი თვითმფრინავების მერე იგრძნობენ, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — მე მგონია, ძალიან კარგად იმოქმედებთ გრედოსიდან.

— რა? — ჰკითხა ელ სორდომ და ბრტყელი თვალებით შეაჩერდა. მე გობრული ტონი აღარ იგრძნობოდა კითხვაში.

— იქიდან უკეთ მოაწყობდით თავდასხმებს, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— მაშ, — თქვა ელ სორდომ, — შენ იცი გრედოსი?

— კი. იქიდან თავს დაესხმებოდით რკინიგზის მთავარ ხაზს, მოჭრიდით მას. ასე ვაკეთებთ შორს სამხრეთში, ესტრემადურაში. იქ მოქმედება ბევრად სჯობს რესპუბლიკაში წასვლას, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — იქ უფრო სასარგებლონი იქნებით.

ორივენი პირქუშად დუმდნენ, ვიდრე ის ლაპარაკობდა.

სორდომ პილარს შეხედა, პილარმა სორდოს.

— მაშ ნამდვილად იცი გრედოსი? — ჰკითხა სორდომ.

— ნამდვილად, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— საით წახვიდოდი?

— ბარკო დე ავილას იქით. იქ ბევრად უკეთესი ადგილებია, ვიდრე აქ. მთავარ გზას შეეუბნედი და მერე რკინიგზას ბეჭარსა და პლასენსიას შორის.

— ძალიან ძნელია, — თქვა ელ სორდომ.

— ჩვენ სწორედ მაგ რკინიგზაზე ვმოქმედებდით. ბევრად უფრო სახიფათო ადგილას, ესტრემადურაში, — განაგრძო რობერტ ჯორდანმა.

— ვინ თქვენ?

— ესტრემადურას პარტიზანები.

— ბევრნი ხართ?

— ორმოცამდე.

— ისიც თქვენთან იყო, ცუდი ნერვები რომ ჰქონდა და უცნაური სახელი? — ჰკითხა პილარმა.

— კი.

— სად არის ახლა?

— მოკვდა. აქი გითხარი.

— შენც იქიდან ხარ?

— ჰო.

— გესმის, რისი თქმა მინდა? — უთხრა მის პილარმა.

შეცდომა დაეუშვი, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა. — ესპანელებს ვუთხარი, თქვენზე უკეთ ჩვენ შეგვიძლია საქმის გაკეთება-მეთქი, არაფერს არ უნდა ილაპარაკო საკუთარ საქმეებზე და შესაძლებლობებზე. ქათინაური უნდა მეუთქვა მათთვის. მე კი ვუთხარი, ასე მოიქეცით-მეთქი, ჰოდა, გაბრაზდნენ. ახლა ან მოინელლებენ ამას, ან ვერა. ისე კი — გრედოსში გაცილებით უფრო სასარგებლონი იქნებიან. ამას ისიც მოწმობს, რომ მათ არაფერი უკეთებით მატარებლის აფეთქების შემდეგ, რომელიც კაშკინმა მოაწყო. მგეც ვერაფერი საქმე იყო. ფაშისტებს ერთი ორთქლმავალი დაედუბათ და რამდენიმე ჯარისკაცი. ესენი კი ისე ლაპარაკობენ, თითქოს დიდი რამ გააკეთეს. იქნებ მაინც წავიდნენ გრედოსში და მეც მიმაბრძანონ აქედან. კაცმა რომ თქვას, ეგ ვერაფერი საქმე იქნება.

— ყური მიგდევ, Inglés, — თქვა პილარმა. — ნერვები როგორი გაქვს?

— კარგი, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ძალიან კარგი.

— რატომ გეკითხები, იცი? ის მედინამიტე, იმათ რომ გამოგვიგზავნეს. კარგად იყო მომზადებული, მაგრამ ნერვები ღალატობდა.

— გვყავს ნერვიული ხალხიც, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— მე არ ვამბობ, მშიშარა იყო-მეთქი, შესანიშნავად ეჭირა თავი, — განაგრძო პილარმა, — მაგრამ ლაპარაკი იცოდა უცნაური და თავქარიანი. — მან ხმას აუწია. — მართაღს არ ვამბობ, სანტიაგო? ხომ უცნაური კაცი იყო ის უკანასკნელი მედინამიტე, მატარებელზე რომ გვახლდა?

— Algo raro ¹, — ყრუმ თავი დაუქნია და რობერტ ჯორდანს ისე შეაშტერდა, რომ მისი თვალები მტკრის სასრუტის ტარის ღრუს დაემსგავსა. — Si, algo raro, pero bueno ².

— Murio, — ყურში ჩასძახა რობერტ ჯორდანმა. — მოკვდა.

— რანაირად? — იკითხა ყრუმ და მხერა რობერტის თვალებიდან ტუჩებზე გადაიტანა.

— მე მოგვკალი, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — მძიმედ იყო დაჭრილი. სიარულა არ შეეძლო და მოგვკალი.

— ყოველთვის ამაზე ლაპარაკობდა. — თქვა პილარმა. — აკვიატებული ჰქონდა ეს აზრი.

— ჰო, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ყოველთვის ამაზე ლაპარაკობდა. ეგ აზრი აკვიატებული ჰქონდა.

— Coma tué? ³ — იკითხა ყრუმ... — ეგ მატარებელზე მოხდა?

— მატარებლიდან დაბრუნებისას, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — მატარებელი ავაფეთქეთ. უკან დაბრუნებისას ფაშისტთა პატრულს წავაწყდით და გავიქეციით. მაგრამ ესროლეს და ტყვია ბეჭებში მოხვდა. დიდხანს იარა, ბო-

¹ ცოტა უცნაური.

² დიახ, ცოტა უცნაურა, მაგრამ კარგი.

³ როგორ იყო?

ლოს ვედარ შესძლო ასეთი ჭრილობით სიარული. ჩამორჩენა არ უნდოდა და მოვკალი.

— Menos mal, — თქვა ელ სორდომ. — არც ისე ცუდია.

— შენ დარწმუნებული ხარ, რომ კარგი ნერვები გაქვს? — ჰკითხა პილარმა რობერტ ჯორდანს.

— კი, — მიუგო მან. — დარწმუნებული ვარ, რომ კარგი ნერვები მაქვს. და ვფიქრობ, როცა ამ ხიდს მოვრჩებით, კარგი იქნება, თუ გრედოსში წახვალთ.

ამ სიტყვებზე ქალის პირიდან ნიაღვრად მოსკდა უწმაწური გინება. ცხელი წყალივით შემოეხვია და სცემდა რობერტს, როგორც უეცრად ამოხეთქილი გვიწერა.

ყრუმ თავი გააქნია და სიხარულით გაუღიმა რობერტ ჯორდანს. ასე ბედნიერად აქნევდა თავს, ვიდრე პილარი გინებას განაგრძობდა და რობერტ ჯორდანს იცოდა, რომ საქმე უკვე კარგად იყო. ბოლოს ქალმა გინება შეწყვიტა, დოქა მოიყუდა, წყალი დალია და მშვიდად თქვა:

— ჰკუთას ნუ გვასწავლი. ნურც იმას გვეტყვი, რა უნდა ვქნათ. კარგი. Inglés? დაბრუნდი რესპუბლიკაში და შენი საქმე აკეთე. ჩვენ კი — გვატალე, თვითონ გადავწყვიტოთ, რომელ მთაზე გვიჯობს სიკვდილი.

— სიკვდილი კი არა — სიცოცხლე. — უთხრა ელ სორდომ, — დამშვიდდი, პილარ.

— სიცოცხლე და სიკვდილი. — თქვა პილარმა, — შესანიშნავად ვხედავ ბოლოს. მე შენ მომწონხარ, Inglés, მაგრამ ჰკუთას მაინც ნუ გვასწავლი. როცა შენი საქმე მორჩება, ჩვენა თავს თვითონვე მოვუვლით.

— შენი ნებაა, — უთხრა რობერტ ჯორდანს. — მე არ ვერვები.

— უკვე ჩაერიე, — თქვა პილარმა. — წაიყვანე შენი თმაშეკრეჭილი კახპა და რესპუბლიკაში დაბრუნდი. ოღონდ კარს ნუ მოუკეტავ იმათ, რომლებიც უცხოელები არ არიან. მათ რესპუბლიკა უყვარდათ ჯერ კიდევ მაშინ, როცა შენ დედის რძე არ შეგწრობოდა ტუჩებზე.

მათ საუბარში მარია ამოჰყოლოდა ბილიკს, პილარის ბოლო წინადადება მოესმა, ხმამაღლა რომ უყვიროდა რობერტ ჯორდანს. თავი გაუქნია რობერტს და თითოთ დაეშუქრა. პილარმა დაინახა, როგორ შეხედა რობერტ ჯორდანს გოგონას და გაუღიმა. შემდეგ დაბრუნდა და თქვა:

— დიაბ, კახპა-მეთქი. მე მგონი, თქვენ ერთად წახვალთ ვალენსიაში, ჩვენ კი, შეიძლება თხის კურკლიც ვჭამოთ გრედოსში.

— შენ თუ გინდა, ვიყო კახპა, პილარ. — თქვა მარიამ, — ალბათ ვარ კიდევაც, რაკი ამბობ, ოღონდ დამშვიდდი. რა გემართება?

— არაფერი, — უთხრა პილარმა და სკამზე ჩამოჯდა. ახლა მშვიდი ხმა ჰქონდა; ბრაზი გაჰქრობოდა, — არა, კახპა არა ხარ, მაგრამ მართლა ძალიან მინდა რესპუბლიკაში წასვლა!

— ყველანი წავიდეთ, — უთხრა მარიამ.

— რატომაც არა? — თქვა რობერტ ჯორდანს, — თუკი გრედოსი არ მოგწონს.

სორდომ რობერტს გაუღიმა.

— ვნახოთ, — თქვა პილარმა. ბრაზი გაჰქრობოდა უკვე. — დამისხი ერთი ეგ შენი უცნაური სასმელი. ბრაზისგან ყელი გამიშრა. ვნახოთ, რა მოხდება.

— იცი, ამხანაგო, — განმარტა ელ სორდომ, — დილით ძნელი იქნება. — ახლა ის უკვე აღარ ლაპარაკობდა დამახინჯებული ესპანური მსმენელის შეკუთრებდა რობერტ ჯორდანს თვალეებში და უხსნიდა. მის მხურვალე ხანდა არც ყოყმანი, არც ეჭვი, არც უფროსი თანამებრძოლის მედიდურობა, უწინ რომ იგრძნობოდა. — მე მესმის, რაც გჭირდება. სანამ შენ იძუშავებ, საგუშავგოები უნდა მოესპოთ და ხიდი დავიცვათ. ეს მე შესანიშნავად მესმის. ეს ადვილია გათენებამდე და დღისითაც მოხერხდება.

— ჰო, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ცოტა ხანს გაიქეცი, — უთხრა მან ჰარაას ისე, რომ არც შეუხედავს.

გოგონა გასცდა იქაურობას, ჩამოჯდა და ფეხებზე შემოიჭდო ხელები.

— იცი რა, — თქვა სორდომ, — ეგ ძნელი არ არის. მაგრამ მერე აქედან წასვლა, ამ კუთხიდან გადასვლა დღისით ძალიან გაჭირდება.

— ნამდვილად, — თქვა რობერტ ჯორდანმა. ვიფიქრე კიდევ ამაზე. დღისით მეც გამიძნელდება.

— მაგრამ შენ მარტო ხარ, — თქვა სორდომ, — ჩვენ კი ბევრნი ვართ.

— არის კიდევ ერთი შესაძლებლობა, დავბრუნდეთ ბანაკებში და დალაპებულზე გავემგზავროთ, — თქვა პილარმა, ქიქა ტურთან მიიტანა და შემდეგ დაბლა დადგა.

— ეგეც ძალიან სახიფათოა, — თქვა ელ სორდომ. — იქნებ უფრო სახიფათოც.

— წარმომიდგენია, როგორ მოხდება, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— ხიდის აფეთქება დამით გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, — უთხრა ელ სორდომ. — რომ ამბობ, დღისით უნდა ავაფეთქოთ, ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს.

— ვიცი.

— დამით რომ გაგეკეთებინა?

— დამხვრეტენ ამისთვის.

— შესაძლოა, ჩვენ ყველანი დავგვხვრიტონ, თუ დღისით ააფეთქებ.

— არ დავეძებ, მე რა მომივა, ოღონდ ხიდი აფეთქდეს, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — მაგრამ თქვენიც მესმის. იქნებ როგორმე მოახერხოთ დღისით წასვლა?

— ცხადია, — თქვა ელ სორდომ. — უკან დახევას მოვაგვარებთ. ოღონდ მინდა გაგაგებინო, რად არის ხალხი ალეღვებულნი და გაღიზიანებულნი. შენ ისე ლაპარაკობ გრედოსში წასვლაზე, თითქოს ეს სამხედრო მანევრი იყოს. სასწაული უნდა მოხდეს, რომ გრედოსში ჩავალწიოთ.

რობერტ ჯორდანი დუმდა.

— ყური მიგდე, — უთხრა ყრუმ, — ბევრს ლაპარაკობ, მაგრამ ასე იქნებ უკეთ გავუგოთ ერთმანეთს. სასწაულია, ჩვენ რომ აქ დავრჩით ამდენ ხანს. ეს სასწაული ფაშისტების სიზარმაცისა და სისულელის წყალობაა, რასაც, ალბათ, გამოასწორებენ თავის დროზე. რასაკვირველია, ჩვენც ჩვენდა თავად ძალიან ფრთხილად ვართ და სიმყუდროვეს არ ვარღვევთ ამ მთებში.

- ვიცი.
- ახლა კი, ამ ამბის მერე, წასვლა მოგვიხდება. კარგად უნდა მოვიფიქროთ, როგორ წავალთ აქედან.
- ცხადია.
- მაშ, — თქვა ელ სორდომ, — ახლა შევჭამოთ რამე, ^{ქალიძან ბევრი} ^{ბიჭ-ბიჭუნა} დალიან ბევრი ცილაპარაკე.
- არასოდეს არ გამიგია შენგან ამდენი ლაპარაკი, — უთხრა პილარმა. — ამის ბრალია? — ჭიქაზე მიუთითა.
- არა, — თქვა ელ სორდომ. — ვისკი არაფერ შუაშია. უბრალოდ იმიტომ, რომ უწინ არასდროს არ მქონია ამდენი სალაპარაკო.
- მომწონს შენი ერთგულება და დახმარება, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — ისიც მესმის, რა საბიჯათოა ხიდის დღისით აფეთქება.
- ეგ რა სალაპარაკოა, — უთხრა ელ სორდომ. — ჩვენ აქ იმისთვისა ვართ, რომ გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია. მაგრამ ეს საქმე მართლა ძნელია.
- ქალაქზე კი ძალიან მარტივია, — უთხრა რობერტ ჯორდანმა და გაიღიმა. — ქალაქზე ხიდი შეტევის წინ ფეთქდება, რომ ველარაფერი გადმოვიდეს იმ გზაზე. საოცრად მარტივია.
- ნეტა ქალაქდით რაიმე კეთლებოდეს, — თქვა ელ სორდომ.
- ქალაქდს სისხლი არ სდის, — მოიშველია ანდაზა რობერტ ჯორდანმა.
- მაგრამ ძალიან გამოსადეგია, — თქვა პილარმა. — *Es muy util.* შენი ბრძანებების ქალაქებსაც სიამოვნებით გამოვიყენებდი.
- მეც, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — მაგრამ ასე ომს ვერ მოიგებ.
- ვერა, — თქვა ქალმა. — მე მგონია, ვერა. — იცით, მე რა მინდა?
- რესპუბლიკაში წასვლა, — თქვა ელ სორდომ. — ჯანსაღი ყური ქალისაკენ მიაბრუნა. — *Ya irás, mujer* ¹. — ჯერ გავიმარჯვოთ და მერე ყველგან რესპუბლიკა იქნება.
- კარგი, — თქვა პილარმა. — ახლა კი, ღვთის გულისათვის, ვჭამოთ.

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე

ჭამის მერე ელ სორდომგან წამოვიდნენ ბილიკით. ელ სორდომ დაბლა საგუშაგომდე გამოაცილა.

— *Salud*, — თქვა მან, — სალამოდე.

— *Salud, Comarada*, — უთხრა მას რობერტ ჯორდანმა და სამივენი დაბლა ბილიკს ჩაჰყვნენ. ყრუ კი იდგა და გასცქეროდა მათ. მარია მობრუნდა და ხელი დაუქნია. ელ სორდომ პასუხად ხელი აიქნია, გულგრილად და სწრაფად. ჯაცს ეგონებოდა, რაღაც ისროლო. ასეთი მოძრაობით ესპანელები თითქოს უარყოფენ ყოველგვარ მისაღმებას, რომელსაც საქმესთან საერთო არაფერი აქვს. თუმცა ჭამის დროს ქურქის დილი არ შეუხსნია, გულდასმით და თავაზიანად ისმენდა საუბარს და კვლავ დაიწყო დამტკრეული ესპანურით რესპუბლი-

¹ ჰოლა, წახვალ, ქალი.

კის ამბების გამოკითხვა, მაინც ნათლად იგრძნობოდა, რომ ძალიან უნდოდა მათი თავიდან მოცილება.

წამოსვლის წინ პილარმა ჰკითხა:

— მაშ, რა ვქნათ, სანტიაგო?

— არაფერი, ქალო, — უთხრა ყრუმ. — ყველაფერი რაღაზენაზე მზახლოდ ვფიქრობ.



საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით

— მეც, — თქვა პილარმა.

ახლა ისინი დაბლა მიჰყვებოდნენ იოლსავალ ბილიკს ფიჭვებს შორის, რომელიც წელან გაჭირვებით ამოიარეს. პილარი დუმდა. რობერტ ჯორდანი და მარიაც დუმდნენ. სამივენი მოდიოდნენ სწრაფად, ვიდრე ციკაბო აღმართი დაიწყებოდა ტყიანი ველისაკენ და მალალ მინდორზე ავიდოდნენ.

გვიანი მაისის ცხელი ნაშუადღევი იდგა. უკანასკნელი აღმართის ავლისას ქალი გაჩერდა. რობერტ ჯორდანიც შეჩერდა, უკან მოიხედა და შენიშნა, როგორ ასკდებოდა ქალს შუბლზე ოფლი. სახე ფერმკრთალი ეჩვენა, კანი ჩაყვითლებული და თვალეები ჩაცვენილი.

— დავისვენოთ ცოტა, — თქვა რობერტ ჯორდანი. — ძალიან ჩქარა მივდივართ.

— არა, — უთხრა ქალმა, — წავიდეთ.

— დავისვენოთ, პილარ, — თქვა მარიამ. — ცუდი ფერი გადევს.

— გაჩუმდი, — უთხრა ქალმა, — შენი რჩევა შენთვის შეინახე.

პილარი ისევ შეუდგა აღმართს, მაგრამ მძიმედ სუნსაქავდა და სახე მთლიან დასველებოდა ოფლისგან. სულ გაფითრებულიყო.

— დაჯექი, პილარ, — უთხრა მარიამ. — გვხვეწები, გეხვეწები, დაჯექი.

— კარგი, — თქვა პილარმა და სამივენი ფიჭვის ძირში ჩამოსხდნენ. წინ ველი გადაშლილიყო, ამ მთიანი ქვეყნის მწვერვალები მალლა აზიდულიყვნენ თოვლი თეთრად ელავდა შუადღის მზეზე.

— რა სისულელეა ეს თოვლი და მაინც რა ლამაზია. რა მოჩვენებითი რამ არის თოვლი. — ახლა მარიამს მიუბრუნდა. — მაბატე, რომ უხეშად მოგეჭეცი, guapa, არ ვიცი, რა დამემართა დღეს. საძაგელი ხასიათი მაქვს.

— ჩემთვის სულ ერთია, გაბრაზებული რას ამბობ ხოლმე, — უთხრა მარიამ, — მაგრამ ხშირად ბრაზობ.

— არა, ეს რაღაც ბრაზზე უარესია, — თქვა პილარმა და მწვერვალებს გაბედა.

— ალბათ ცუდად ხარ, — უთხრა მარიამ.

— არა, არც მაგის ბრალია, — თქვა ქალმა. — მოდი ჩემთან და კალთაში ჩამიდე თავი.

მარიამ ახლოს მიუჩოჩდა, თავი კალთაში ჩაუღო და ხელები თავქვეშ ამოიღო.

სახე პილარისაკენ ჰქონდა მიბრუნებული და იღიმებოდა. უზარმაზარი ქალი კი კვლავ გასცქეროდა მთისპირა ველს. ძირს არ დაუხედა, ისე მოეფერა თავზე. ტლიანქი თითი გადაუსვა შუბლზე, მერე ყურის ძირზე და კისერზე, სადაც თმა იწყებოდა.

— ცოტა ხნის შემდეგ შეგაძლია შენ გყავდეს, Inglés, — თქვა მან. რობერტ ჯორდანი მის უკან იჯდა.

- ნუ ლაპარაკობ ასე, — თქვა მარიამ.
- დიახ, შეუძლია წაგიყვანოს, — თქვა პილარმა ისე, რომ არც ერთის-
თვის არ შეუხედავს. — არასოდეს არ მდომებიხარ შენ, მაგრამ ვეჭვიანობ.
- პილარ, — თქვა მარიამ, — ნუ ლაპარაკობ ასე.
- შეუძლია წაგიყვანოს, — თქვა პილარმა და ყურის ბიძგის¹ მოწყვერა
თითით, — მაგრამ მაინც ძალიან ვეჭვიანობ.
- კი მაგრამ, პილარ, — უთხრა მარიამ, — სწორედ შენ მეუბნებოდ,
ასეთი რამ ჩვენ შორის არ არისო.
- ყოველთვის არის რაღაც ამის მსგავსი, — თქვა ქალმა. — ყოველთვის
არის რაღაც, რაც არ უნდა იყოს. მაგრამ მე ვგ არა მაქვს, ნამდვილად არა. მე
შენი ბედნიერება მინდა. მეტი არაფერი.
- მარია დუმდა. იწვა და ცდილობდა თავი მსუბუქად სდებოდა.
- ყური მაგდე, *guapa*, — უთხრა პილარმა და ლოყაზე მოუსვა თითი
უაზროდ. — ყური მაგდე, *guapa*, მე შენ მიყვარხარ, მაგრამ იმას შეუძლია
ჰყავდე. მე *tortillera*¹ არა ვარ. ქალი ვარ, კაცისთვის გაჩენილი. მართლა.
ახლა კი ძალიან მსიამოვნებს, ასე რომ გელაპარაკები. დღისით რომ გეუბნები,
მიყვარხარ-მეთქი.
- მეც მიყვარხარ.
- *Qué va*, ნუ ლაპარაკობ სისულელეებს. შენ არც კი იცი, რას გეუბნები.
- ვიცი.
- *Qué va*, იცი კი არა! შენ *Inglés*-ი გიყვარს, ეს იგრძნობა და ასეც უნდა
იყოს. ამაზე თანახმა ვარ. სხვაზე არ ვიქნები. ცუდს არაფერს ვაკეთებ. სიმართ-
ლეს გეუბნები. იშვიათად თუ ვინმე გეტყვის სიმართლეს და მით უმეტეს
ქალი. ვეჭვიანობ და ვამბობ. ეს ასეა.
- ნუ ამბობ, — უთხრა მარიამ. — ნუ ამბობ, პილარ.
- *Porqué*², რატომ არა ვთქვა? — თქვა ქალმა ისე, რომ არც ერთისთვის
არ შეუხედავს. — დიახაც ვიტყვი, სანამ გამეხარდება. — მან ახლა გოგონას
დახედა. — აი, გაჩუმების დროც დადგა. ხომ ხედავ, აღარ ვამბობ.
- პილარ, — თქვა მარიამ. — ნუ ლაპარაკობ ასე.
- შენ ხარ პატარა, საყვარელი ბაჭაა, — უთხრა პილარმა. — ჰოდა, ახლა
ასწიე თავი, რადგან ამ სისულელეებზე ლაპარაკი მოთავდა.
- ეს არ იყო სისულელე, — თქვა მარიამ. — თავი ძალიან კარგად მი-
დევს.
- არა, ასწიე თავი, — უთხრა პილარმა, თავისი დიდრონი ხელებით გო-
გონას თავი აუწია. — *Inglés*, — თქვა მან, ისე, რომ გოგონას თავი ხელიდან
არ გაუშვია და კვლავ მთებს გასცქეროდა. — ენა კატამ შეგიჭამა?
- არა, — თქვა რობერტ ჯორდანმა.
- მაშ რომელმა მხეცმა? — მან გოგონას თავი მიწაზე დაადებინა.
- არც ერთმა, — თქვა რობერტ ჯორდანმა.
- თვითონ გადაყლაპე, არა?
- მე მგონი, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

¹ ლესბოსელი.

² რატომ.

- გემრიელი იყო? — პილარი ახლა მოუბრუნდა მას და გაუღიმა.
- არც ისე.
- შეც ასე მგონია, — თქვა პილარმა. — ნეც ასე მგონია. აჰა, ჩემი ბრებია შენი ბაჭია, არც არასდროს მიცდია შეგცილებოდი. კარგი სახელი შეგიჩქმე-
ვია. ამ დილით გავიგონე, როგორ ეძახდი.
- მარნეხის
კამინიზუმი
- რობერტ ჯორდანმა სიწითლე იგრძნო სახეზე.
- რა უღმობელი ქალი ხარ, — თქვა რობერტ ჯორდანმა.
- არა, — თქვა პილარმა. — მაგრამ მიუხედავად ასეთი სიმარტივისა, ძა-
ლიან რთული ვარ. შენც ასე რთული ხარ, Inglés?
- არა. მაგრამ არც ძალიან მარტივი.
- მომწონხარ, Inglés, — თქვა პილარმა. შემდეგ გაიღიმა, წინ გადაიხარა,
კვლავ გაიღიმა და თავი გააქნია. — ახლა რას იზამდით, რომ შემეძლოს შენ
და ბაჭია დაგაცილოთ ერთმანეთს?
- არ შეგიძლია.
- ვიცი, — თქვა პილარმა და გაიღიმა. — არც სურვილი მაქვს. მაგრამ
ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი, შეიძლება მომეხერხებინა.
- მჯერა.
- გჯერა?
- დარწმუნებული ვარ, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — რა სისულე-
ლეებზე ვლაპარაკობთ.
- სულ არ ჰგავხარ შენს თავს, — თქვა მარიამ.
- ძალიან გამოცვლილი ვარ დღეს, — დაეთანხმა პილარი. — ძალიან გა-
მოცვლილი. შენმა ხიდმა თავი ამატყივა.
- ჩვენ მას თავის ტყვილის ხიდს დავარქმევთ, — თქვა რობერტ ჯორ-
დანმა. — მერე კი — გატეხილ გალიასავით ბევში გადავუძახებთ.
- კარგია, — თქვა პილარმა. — ეგრე ილაპარაკე.
- ძირს დავცემ და ისე გავხუთქავ, როგორც კანმოცლილ ბანანს.
- სიამოვნებით გიახლებოდით ახლა ბანანს. მერე, Inglés? განაგრძე ლა-
პარაკი.
- რა საჭიროა, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — წამო, ჩავიდეთ ბა-
ნაკში.
- რა გააწყალე ვული მაგ შენი საქმეებით, — უთხრა პილარმა. — მალე
მოგივა მაგის დრო. ხომ დაგპირდით, მარტო დაგტოვებთ-მეთქი.
- არა, ბევრი საქმე მაქვს.
- ეგეც ბევრი საქმეა და ცოტა დრო უნდა.
- გაჩუმდი, პილარ. — უთხრა მარიამ. — რა უხეშად ლაპარაკობ.
- უხეში ვარ, — თქვა პილარმა. — მაგრამ ამასთან ძალიან ნაზიც. Soy
muy delicada¹, ახლაც დაგტოვებთ. ეჭვიანობაზე ლაპარაკი სისულელეა. შე
ხოაკინზე ვიყავი გაბრაზებული, იმიტომ რომ მისი გამოხედვიდან ვიგრძენი,
როგორი მახინჯი ვარ. მე მხოლოდ ის მშურს, რომ შენ ცხრამეტი წლის ხარ.
ასეთი შური კი — დიდხანს არ გრძელდება. შენც არ იქნები ყოველთვის ცხრა-
მეტი წლის. წავედი.

¹ ძალიან ნაზი ვარ.

ქალი წამოდგა, თეძოზე ხელი ჩამოიღო და რობერტ ჯორდანს შეხედა. რობერტიც ფეხზე იდგა. მარია ხის ქვეშ იჯდა თავჩაქინდრული.

— წავიდეთ ყველანი ბანაკში, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — *ვარს* სჯობს. ბევრი საქსე გვაქვს.

პილარმა თავით მარიაზე ანიშნა, რომელიც ზურგზე დაკრული იჯდა და დუმდა.

პილარმა გაიღიმა და ოდნავ აიჩეჩა მხრები. — გ'ხა ხომ იცი?

— მე ვიცი, — თქვა მარიამ თავაუწველად.

— *Puca me voy*, — თქვა პილარმა. — მამ წავედი. საჭმელად რაიმე გემრიელს მოგიმზადებთ.

ქალი ბუჩქნარს გაუყვა მდინარისკენ, რომელიც ბანაკთან ჩადიოდა.

— დაიცა, — დაუძახა რობერტ ჯორდანმა. — სჯობს ყველანი ერთად წავიდეთ.

მარია იჯდა და დუმდა.

პილარი არ დაბრუნებულა.

— *Qué va*, ერთად წავიდეთო, — თქვა ქალმა. — ბანაკში დაგხვდებით. რობერტ ჯორდანი გაუხმრევლად იდგა.

— კარგად არის? — ჰკითხა მან მარიას. — ადრე ცუდად იყო.

— გაუძვი, წავიდეს, — უთხრა მარიამ ისევ თავჩაქინდრულმა.

— მგონი სჯობს წავყვე.

— გაუშვი, წავიდეს, — თქვა მარიამ. — გაუშვი.

თ ა ვ ი მ მ ც ა მ მ ტ მ

ისინი მანანებით დაფარულ ტაფობს მიჰყვებოდნენ. რობერტ ჯორდანი გრძნობდა, როგორ ეღებოდნენ მანანები ფეხებზე; გრძნობდა ბუდეში ჩადებული რევოლვერის სიმძიმეს; თავზე მზე აცხუნებდა და თოვლით დაფარული მთის მწვერვალებიდან მონაბერი გრილი ნიავი ზურგზე ელამუნებოდა. ხელში გოგონას ხელს გრძნობდა, მკვრივსა და ღონიერს; მის თითებში ჩახლართულ თითებს. მათი ხელისგულები ერთმანეთს ეხებოდნენ, თითები ერთმანეთში ჩახლართულიყვნენ, მაჯები გადაჭდობილყვნენ და ამ ხელისგულიდან, ამ თითებიდან, ამ მაჯიდან მოდიოდა რაღაც, მსუბუქი, როგორც დილის პირველი სუნთქვა, ზღვის მშვიდ ზედაპირზე ჭავლებს რომ აჩენს; მსუბუქი, როგორც ბუმბულის წეხება ტუჩებზე ან ფოთლის ჩამოვარდნა, როდესაც ნიავი არ ქრის; ისე მსუბუქი, რომ ამის შეგრძნება მხოლოდ მათ თითებს შეეძლოთ. მაგრამ ეს შეგრძნება ისე მწვავე იყო, ისე მოზღვრავებული, ისე მომსკდარი, ისე მტკივნეული და ძლიერი გადაჭდობილი თითებისა, შეტყუებული ხელისგულებისა და მაჯებისაგან, რომ თითქოს რაღაც ნაკადი იღვრებოდა მის მკლავებში და მთელ მის სხეულს ტკივილამდე მისული ძლიერი ნდომით ავსებდა. გოგონას მზე დაჰნათოდა ხორბლისფერ თმაზე, მოღვრებულ კისერზე და მზედაკრულ, გლუვსა და ლამაზ სახეზე. რობერტმა თავი გადაუწია, გულზე მიიკრა და აეოცა. კოცნის დროს იგრძნო, როგორ თრთოდა ქალის სხეული; მთელი ტანით აეკრა მას და ხაკის ორ ხალათს იქით პატარა და მკვრივი მკერ-

და იგრძნო. დაიხარა, საკინძე შეუხსნა და აკოცა. გოგონას თავი გადავარდნოდა და ცახცახებდა. მერე ნიკაპით მის თავს დაეყრდნო და რობერტმა იგრძნო, როგორ შემოხვია გოგონამ თავზე ხელი და მიიზიდა. რობერტის დაიბნეული მკლავები ისე შემოეჭდნენ გოგონას ტანზე, რომ იგი მიწას მოსწყდა. რობერტმა კვლავ იგრძნო მჭიდროდ აკრული ტანის ცახცახი და ტუჩების შეხება. მერე გოგონა დაბლა დაუშვა და თქვა:

— მარია! ო, ჩემო მარია! სად წავიდეთ?

მარიამ პასუხად ხელი მის უბეში ჩააცურა და რობერტს პერანგის ლილები შეუხსნა.

- მეც მინდა, მეც უნდა გაკოცო.
- არა, ჩემო ბაჭიავ.
- კო, კო. მეც ყველაფერი ისევე, როგორც შენ.
- არა, ეგ შეუძლებელია.
- კარგი. პო. კარგი. კარგი.

მერე იყო გათვლილი მანანების სურნელი, თავქვეშ — ხმელი ღეროები, დახუჭულ თვალებში ჩამდგარი მზე და ქალის აღერილი ყელი, მანანების ფესვებში ჩაფლული თავი, უნებურად მოძრავი ტუჩები და წამწამების თრთოლვა მზისა და ალერსის გამო დახუჭულ თვალებზე. ყველაფერი ეს რობერტს მთელი სიცოცხლე ეშახსოვრება. მცხუნვარე მზისგან გოგონა ყველაფერს წითლად, თქროსფრად, ნარინჯიანფრად ხედავდა. თითქოს ყველაფერი მართლაც ამ ფერის იყო; სისავსეც, ვანებაც, ალერსიც. ყველაფერი ამ ფერის იყო — დამაბრმავებლად ამ ფერის, რობერტისთვის ეს იყო ბნელი გზა, რომელსაც არსად არ მიყავხარ, არსად, და ისევ არსად, კიდევ ერთხელ არსად, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე არსად; იდაყვებით მიწაზე მიძიმედ დაყრდნობილი, მიექანებოდა არსად, წყვილიდისკენ, უსასრულობისკენ, არსად, ყველა დროისათვის. ყოველთვის შეუცნობადი გზით, არსად, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, არსად, რომ მეტი აღარ განეგლო ეს გზა. მიიწვევდა მაღლა, მაღლა, საშინლად მაღლა და ისევ არსად. უეცრად დაიბდურდა, აივსო, გზა გაქრა. დრო გაირინდა, იწვნენ ერთად, დრო შეჩერდა და მან იგრძნო, როგორ იძრა და გამოეცალა მიწა.

ახლა ის გვერდზე იწვია, თავი მანანებში ჩაერგო. მანანების ფესვებს ყნოსავდა და ამ სურნელში გრძნობდა მიწას და მზეს. მანანის ძირები შიშველ მხრებს და გვერდებს უსუსხავდა. პირისპირ იწვნენ. მარიას თვალები ჯერ კიდევ დახუჭულა ჰქონდა. მერე გაახილა და შესცინა ვაჟს. რობერტმა დაღლილად, თითქოს შორიდან, მაგრამ თბილად უთხრა:

— გამარჯობა, ბაჭია. — მარიამ გაუღიმა და ახლოდან უბასუხა: — გაგიმარჯოს, ჩემო Inglés.

— Inglés-ი არა ვარ, — ზანტად თქვა მან.

— არა კი არა. ხარ! — მიუვო გოგონამ. — ჩემი Inglés-ი ხარ. — მერე ყურებში მისწოდა ორივე ხელით და შუბლზე აკოცა.

— აჰა, ახლა ხომ უკეთ გკოცნი? — თქვა მან.

მერე მდინარის პირს მოჰყვებოდნენ ერთად და რობერტმა თქვა:

— მიყვარხარ, მარია. შენ ისე კარგი ხარ, ისე ლამაზი, ისე საოცარი და ისეთი რაღაც მემართება, რომ სიკვდილი მინდა ხოლმე, როცა შენთანა ვარ.

— იცი, — თქვა მარიამ, — მე მართლა ვკვდები ყოველთვის, შენა?
 — არა. თითქმის. მაგრამ შენ იგრძენი, მიწა რომ იძრა?
 — კი, სწორედ როცა ვკვდებოდი. მომხვიე ძკლავი, გეხვეწები.
 — არა. შენი ხელი მაქვს ხელში, ეგეც კმარა.
 რობერტმა ჯერ მას შეხედა, მერე შინდორს, სადაც ჭორი წარმოიშობა. მე-
 რე შეუდღის ღრუბლებს, მთებიდან რომ მოიზღაზნებოდნენ.
 — სხვებთან ასე არ გემართება ხოლმე? — ჰკითხა მარიამ.
 კვლავ ხელჩაკიდულნი შადიოდნენ.
 — არა, ნამდვილად არა.
 — შენ ხომ ბევრი ვყვარები.
 — საკმაოდ. მაგრამ შენსავით არავის.
 — და მართლა არავისთან არ მოგსულია ასე?
 — სიამოვნება მიგრძენია, მაგრამ ასეთი არა.
 — ახლა ხომ მიწა იძრა? უწინ არასდროს გიგრძენია მიწისძვრა?
 — არა, ნამდვილად არასდროს.
 — ეპ, — თქვა მან, — ამისთვის მხოლოდ ერთი დღე გვაქვს.
 რობერტმა არაფერი უბასუხა.
 — მაგრამ ხომ მაინც გვქონდა, — თქვა მარიამ. — მართლა მოგწონვარ?
 მართლა გეამეები? თანდათან უფრო გავლამაზდები.
 — ახლაც ძალიან ლამაზი ხარ.
 — არა, — თქვა მან, — მაგრამ მაინც გადამისვი თავზე ხელი. — რობერტმა
 გადაუსვა და როცა იგრძნო მისი რბილი და ხშირი თმა, თითებში რომ
 იქოჩრებოდა, ორივე ხელი თავზე შემოჰხვია, სახე გადაუწია და აკოცა.
 — ძალიან მიყვარს კოცნა, — თქვა მარიამ, — მაგრამ არ ვიცი, როგორ უნ-
 და კარგად.
 — არც არის საჭირო.
 — არა, უნდა ვიცოდე. მე თუ შენი ქალი ვიქნები, უნდა ვიცოდე, როგორ
 გაამთ ყოველნაირად.
 — აკი ისედაც მეამები. ამაზე მეტად მაინც ვერ მაამებ. ამის მეტს ვერც
 ვერაფერს ვიზამ, უფრო მეტიც რომ მაამო.
 — აი, ნახავ, — ბედნიერად თქვა მარიამ. — ჩემი თმა ახლა იმიტომ გარ-
 თობს, რომ უცნაურია. მაგრამ დღითიდღე იზრდება. როცა გრძელი გაიზრდება,
 ასეთი უშინო აღარ ვიქნები და მაშინ ალბათ ძალიან გეყვარები.
 — ძალიან ლამაზი ტანი გაქვს, იცი? — თქვა რობერტმა — მთელ ქვეყ-
 ნაზე ულამაზესი.
 — მხოლოდ იმიტომ, რომ ნორჩია და გამხდარი.
 — არა. ლამაზ ტანში რაღაც არის ჯადოსნური. არ ვიცი, ზოგს რატომ აქვს
 ეს და ზოგს რატომ არა. მაგრამ ვიცი, რომ შენ გაქვს.
 — შენთვის, — თქვა მარიამ.
 — არა.
 — კი, შენთვის, მხოლოდ შენთვის; მუდამ შენთვის. მაგრამ შენ უფრო
 მეტას ღირსი ხარ. უნდა ვისწავლო, როგორ მოვიარო. ოდონდ შითხარი, მარ-
 ტლა არასოდეს გიგრძენია მიწისძვრა უწინ?
 — არასოდეს, — უთხრა მან გულწრფელად.

— ბედნიერი ვარ, — თქვა მარიამ. — ახლა ნამდვილად ბედნიერი ვარ. და მერე ჰკითხა: — სხვა რამეზე ფიქრობ ახლა?

— პო, ჩემს საქმეზე.

— ნეტავ ცხენები გვყავდეს, — თქვა მარიამ. — ამ ბედნიერებისას მინდა კარგ ცხენზე ვიჯდე. შენც ჩემს გვერდით მოაგელეებდე ცხენს, გავიჭრებოდით და მაინც ვერასდროს გავცდებოდი ჩემს ბედნიერებას.

— თვითმფრინავითაც შეგვეძლო გვეტარებინა შენი ბედნიერება. უკუ-ლისყუროდ თქვა რობერტმა.

— და წავიდოდით მაღლა, სულ მაღლა, ცაში! როგორც მზეში მოციმ-ციმე გამანადგურებლები. *Qué buano!*¹ — სიტყვით თქვა, — ჩემი ბედნიერება ვერც კი შეამჩნევდა იმ სიმაღლეს.

— შენს ბედნიერებას კარგი მადა აქვს, — თქვა რობერტმა ისე, რომ ნახევარიც არ გაუგია მარიამს ნათქვამიდან.

შორს იყო ამ დროს. გვერდით მიჰყვებოდა გოგონას, ნაგრამ მთელი გონებით ხიდთან იყო. ყველაფერი ნათლად და მკვეთრად ჩანდა, თითქოს ფოტოაპარატის ლინზა ფოკუსზე დააყენესო. ხედავდა ორ გუშაგს, ანსელმოს და ბოშას სადარაჯოზე; ხედავდა ცარიელ გზას და მოძრაობას გზაზე; ხედავდა, სად უნდა მოეთავსებინა ტყვიამფრქვევები, რომ უფრო დაბლა ყოფილიყო ცეცხლი; ვინ უნდა მდგარიყო მათთან; ბოლოში კი მე ვიდგები, მაგრამ თავში ვინ იქნებაო? — ფიქრობდა. დინამიტი თავის ადგილას მოათავსა, სოლებით და მავთულებით გაამაგრა, პატრუქები დაგრიხა და ჩაუშვა, მავთული გაატარა, წვერები აუბრიხა და იმ ადგილას დაბრუნდა. სადაც ყუთში ამფეთქებელი ეგულებოდა. მერე ათას რამეზე დაიწყო ფიქრი. რა შეიძლებოდა მომხდარიყო, რა შეიძლებოდა გაფუჭებულიყო. გეყოფა, უთხრა თავის თავს. ალერსით გული იჯერე, გონება დაგეწმინდა და ახლა საქმეზე ლელვას იწყებ. ფიქრი ერთია და ლელვა — მეორე. ნუ ლელავ. არ უნდა იღვწო. იცი, რაც უნდა გააკეთო და ისიც იცი, რა შეიძლება მოხდეს. ალბათ მოხდება კიდევ.

თავიდანვე იცოდი, რისთვის იბრძოდი. იბრძოდი ყოველთვის იმის წინააღმდეგ, რასაც აკეთებდი, ან რის გაკეთებასაც გაიძულებდნენ. პოდა, ახლა ისე უნდა გამოიყენო ეს შენთვის ძვირფასი ხალხი, როგორც იყენებენ ხოლმე ჯარს, რომლის მიმართ არავითარი გრძნობა არ გააჩნიათ. როგორც ჩანს, პაბლო ყველაზე ეშმაკია. მაშინვე იგრძნო ხიფათი. პაბლოს ქალი ამის მომხრე იყო თავიდანვეც და დღესაც; მან ნელ-ნელა გაიანჯრა ყველაფერი. უკვე მაგრად გაუჯდა და ძალიან დაეტყო კიდევ. სორდოც ხელად მიხვდა ყველაფერს; თანხმობა განაცხადა, მაგრამ არ კი მოსწონდა ეს საქმე, ისევე როგორც რობერტ ჯორდანს.

მაშასადამე, შენ ამბობ, რომ შენი თავი კი არ გაწუხებს, არამედ ის, რაც მოუვა ამ ქალს, ამ გოგონას და დანარჩენებს. კარგი. კი მაგრამ, რა დაემართებოდა მათ, შენ რომ არ მოსულიყავი? რა გადახდათ მათ და რა განიცადეს, ვიდრე შენ მოხვიდოდი აქ? არ უნდა იფიქრო ამაზე. შენ მხოლოდ საქმეში აგებ მათზე პასუხს. შენგან ხომ არ მოდის ბრძანებები, გოლციგან მოდის. გოლცი კი ვინ არის? კარგი გენერალია. ყველაზე კარგი, ვის-

¹ რა კარგია!

თანაც ოდესმე გიმსახურია. მაგრამ განა კაცი უნდა ცდილობდეს შეასრულოს შეუძლებელი ბრძანებები, როცა იცის, ამას რა მოჰყვება, თუნდაც ეს ბრძანებები მოდიოდეს გოლცისგან, რომელიც პარტიასა და არმიას ნიშნავს? დიახ. უნდა ცდილობდეს, რადგან მათი შესრულების შეუძლებლობა მხოლოდ მოქმედების დროს გამოვლინდება. საიდან იცი, რომ შეუძლებელია, თუ არ გიცდია? ყველა რომ ასე ფიქრობდეს, ბრძანებების შესრულება შესუბრალებლიათ, სად იქნებოდი ახლა? ან როცა შენ თვითონ გიბრძანებდნენ, რომ გეთქვა, შეუძლებელიათ, სად ვიქნებოდით ყველანი?

ბევრი მეთაური ენახა, რომლებისთვისაც ყველა ბრძანების შესრულება შეუძლებელი იყო. თუნდაც ის ღორი გომესი, ესტრემადურაში. შეტყევებიც ბევრი უნახავს, როცა ჯარის ნაწილები წინ ვერ იწევდნენ იმიტომ, რომ ეს შეუძლებელი იყო. არა, უთუოდ შეასრულებს ბრძანებას. სამწუხაროა მხოლოდ ერთი რამ, რატომ შეუყვარდა ეს ხალხი, ვისთანაც ამ საქმის კეთება მოუხდება.

მთელ ამ სამუშაოში, პარტიზანულ სამუშაოში, მხოლოდ ხიფათი და უბედურება მოჰქონდათ იმ ხალხისთვის, ვინც მათ შეიფარებდა, ან მათთან ერთად მუშაობდა. რისთვის? ალბათ იმისთვის, რომ აღარ იყოს ხიფათი და ეს ქვეყანა ბედნიერი ადგილი გახდეს ადამიანებისათვის. გაცვეთილად ედერს, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებაა.

თუ რესპუბლიკა დაილუპება, ესპანეთში ცხოვრება შეუძლებელი იქნება იმათთვის, ვისაც რესპუბლიკის სჯერა. მაგრამ მართლა ასე იქნება? კი. მან იცოდა, რომ ასე იქნებოდა, რადგან უნახავს, რა გადახდა იმ ადგილებს, რომლებიც ფაშისტებმა უკვე აიღეს.

პაბლო ღორია, დანარჩენები კი კარგები არიან. და განა ლალატი არ არის მათი ამ საქმეში ჩათრევა? ალბათ. მაგრამ თუ ასე არ მოიქცევოდა, კავალერიის ორი ესკადრონი მოვა და ერთ კვირაში განდევნის მათ აქედან.

არა. მათი ჩაურევლობით არაფერი არ იცვლება, გარდა იმისა, რომ ხალხი მარტო დარჩება და შენ განაპირდები. ასე სჯერა მას, სჯერა კია? დიახაც, სჯერა. გეგმიანი საზოგადოებისა და დანარჩენისაც? ეგ სხვების საქმეა. მას სხვა საქმე აქვს ომის მერე. ამ ომში თუ იბრძვის, მხოლოდ იმიტომ, რომ უყვარს ეს ქვეყანა, სჯეროდა რესპუბლიკას და კიდევ იმიტომ, რომ თუ რესპუბლიკა დაილუპება, აუტანელი იქნება სიცოცხლე იმათთვის, ვისაც მისი სჯერა. მთელი ომის განმავლობაში კომუნისტურ დისციპლინას ემორჩილებოდა. ესპანეთში კომუნისტებს ჰქონდათ ყველაზე ჯანსაღი, ყველაზე გონიერი დისციპლინა ომის მოსაგებად. მათი დისციპლინა იმიტომ მიიღო, რომ ამ ომში ეს იყო ერთადერთი პარტია, რომლის პროგრამასა და დისციპლინას ის პატივს სცემდა.

მაშ რომელი პოლიტიკისა გჯერათ? არცერთის, — უთბრა მან თავის თავს. მაგრამ ეს არაფერ არ უნდა იცოდეს. მერე რას აპირებ? სახლში დაებრუნდები და ესპანურის სწავლებით ვიშოვი ლუკმაპურს, როგორც უწინ. და კიდევ ნამდვილ ამბავს დავწერ. დაგენიძლავები, — თქვა მან, — დაგენიძლავებო, რომ ძნელი არ იქნება. პაბლოს უნდა ველაპარაკო პოლიტიკაზე. ნამდვილად საინტერესოა, როგორი იყო მისი პოლიტიკური განვითარება. ალბათ კლასიკური გადახრა მემარცხენეობიდან მემარჯვენეობისაკენ, ბებერი

ლერუს მსგავსად. პაბლო მართლა ბევრი რამით ჰგავს ლერუს, პრიეტოს ასევე უნსგავსია, პაბლოს და პრიეტოს თითქმის ერთნაირი რწმენა ჰქვთ საბოლოო გამარჯვებისა. მათ ორივეს ცხენის ქურდის პოლიტიკა ექვთ. ნებს გჯერა რესპუბლიკის, როგორც მმართველობის ერთ-ერთი საბუთი მაგრამ რესპუბლიკამ ბოლო უნდა მოუღოს ცხენის ქურდებს, ამგვარად ხელისუფლებამ უნდა ქვეყანა იმ მდგომარეობამდე, რამაც აჯანყება გამოიწვია, განა ოდესმე მართლა ყოფილა მთავრობა, ხალხისთვის ესოდენ მტრული, როგორც ესაა?

ხალხას მტრები — ამ ფრაზის გამოტოვება შეიძლება. ეს ისეთი სახიფათო ფრაზაა, რომ შეიძლება გადაახტე. აი რა მოუტანა მას მარიასთან წოლამ. ფანატიკოსი გახდა. და პოლიტიკაში ისევე გონებაშეზღუდული, როგორც ბაპტიისტი. ასეთი ფრაზები საკმაოდ იოლად მოსდიოდა თავში, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე. გაცვეთილი ფრაზები რევოლუციისა და პატრიოტიზმის შესახებ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მოადიოდა თავში. რასაკვირველია, ეს ფრაზები ჭეშმარიტი იყო, მაგრამ საკმაოდ ადვილი იყო მათი საჭიროებისამებრ გამოყენება. წინა დამიდან და ამ შუადლიდან მისი გონება უფრო ნათლად და ფხიზლად ხედავდა ყველაფერს, საოცარი რამეა ეს ფანატიზმი. ფანატიკოსი რომ იყო, აბაოლუტურად უნდა გჯეროდეს, რომ მართალი ხარ, ამ რწმენას და სიმართლეს კი ყველაფერზე მეტად თავშეკავება უწყობს ხელს. თავშეკავება მწვალებლობის მტერია.

გეყოფა მაგაზე ფიქრი. მარიაზე იფიქრე.

მარია ხელს უშლის მის ფანატიზმს. ჯერჯერობით ვერ შეაცვლევინა გადაწყვეტილება, მაგრამ ეს კია, რომ საკვდილი აღარ უნდა. სიამოვნებით იტყოდა უარს გმირისა და წამებულზე ხედავდა. მას არც თერმოპილეს გამეორება უნდა, არც პორაციუსობა რომელიმე ხიდთან დაკავშირებით, არც ის პატარა პოლანდიელი ბიჭი უნდა იყოს, რომელმაც თითით შეაჩერა წყალი კაშხალში. არა, მას უნდა რამდენიმე ხანი გაატაროს მარიასთან. ეს არის მისი სურვილის უმარტივესი ფორმა. უნდა დიდხანს, დიდხანს იყოს მარიასთან.

უკვე აღარ სჯერა ისეთი რამის, რასაც დიდხანს ყოფნა ჰქვია. მაგრამ თუკი ასეთი რამ არსებობა, მას უნდა დიდხანს, დიდხანს იყოს მარიასთან. მევიდოდით სასტუმროში და, მე მგონი, ჩაგვწერდნენ როგორც დოქტორ და მისის ლევინგსტონებს, — ფიქრობდა ის.

რატომაც არ უნდა შევირთო, — ფიქრობდა. შევირთავ და ჩვენც ვიქნებით მისტერ და მისის რობერტ ჯორდანი, სან-ველიდან, აიდაპო, ან კორპუს ქრისტიდან, ტენასი, ან ბიუტიდან, მონტანა.

ესპანელი გოგონები დიდებული ცოლები არიან. ცოლი არ მყოლია, მაგრამ გამიგია, როდესაც ჩემს სამსახურს დავიბრუნებ, უნივერსიტეტში, მარია მასწავლებლის მეუღლე გახდება, და როდესაც ესპანური ენის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები მოსაწევად შემოივლიან საღამოთი, მე მათ შინაურულად გავუბამ მნიშვნელოვან საუბარს კევედოზე, ლოპე-დე-ვეგაზე, გალდოსზე და ყველა იმათზე, ვინც გარდაცვლილია და მარად თავყიანსაცემი. მარია კი მოუყვება მათ იმ ზოგიერთ ლურჯხალათიან ჯვაროსანზე, რომლებიც ჭეშმარიტი რწმენას დასამტკიცებლად დაახდნენ მას თავზე, გადაუგრიბეს მკლავები, წამოხადეს და პირში ჩაუტენეს კაბა.

ნეტავი, როგორ მოეწონებათ მარია მისულაში, მონტანაში. თუ მისულა-

ში აღვილი დავიბრუნე. ალბათ, წითლებში ვწერივარ იქ და საერთო შავ სიაში შემიტანენ. თუმცა, ვინ იცის. ვერაფერს ვერ იტყვი წინასწარ. ვერ დავიმტკიცებენ, რას აკეთებდი და კაცმა რომ თქვას, არც დაგიჯერებენ, რომ მოუყვე. ჩემს პასპორტს ძალა პქონდა, ვიდრე ესპანელები საზღვრებს ჩაკეტავდნენ.

უკან დაბრუნება შეუძლებელი იქნა 37 წლის შემოდგომის შემდეგ. წითლების ზაფხულში წამოვედი იქიდან. და თუმცა მხოლოდ ერთი წლის ვადა მაქვს, აუცილებელი არ არის ჩემი იქ ყოფნა შემოდგომის სექსტრის დაწყებამდე. რა დიდი დროა აქედან შემოდგომამდე. ის კი არა — რა დიდი დროა დღეიდან ზეგამდე, ასე თუ იფიქრე. არა. მე მგონი, არ ღირს უნივერსიტეტზე თავის შეწუხება. ოღონდ სცადე და დაბრუნდი.

მაგრამ, უკვე კარგა ხანია ცხოვრება უცნაურად მიდის. ღმერთმანი, ესპანეთი იყო შენი სამსახური და შენი საქმე. ასე რომ, ჰკვიანურია და ბუნებრივი შენი აჭ ყოფნა. არაერთი ზაფხული გაგიტარებია სააღმშენებლო პროექტების დამუშავებაში და გზების და საარტილერიო პარკების მშენებლობაში, თოფისწამლის მოხმარებაც გისწავლია, ასე რომ, განადგურებაც ნორმალურად და ჰკვიანური საქმეა. ოღნავ ნაჩქარევი, მაგრამ ჰკვიანური.

რაკი განადგურება ერთბაშად აღიარე პრობლემად, იგი პრობლემად დარჩება ბოლომდე. ბევრი რამ მოჰყვა ამას ცუდი, თუმცა, იცის ღმერთმა, საკმაოდ ადვილად აიტანე. განუწყვეტლივ ცდილობდი პირობებით გაგემართლებინა ის მკვლევრობები, რომლებიც განადგურებას თან სდევდა. მაგრამ განა ბრტყელი სიტყვებით შესძელი მათი გამართლება? განა ამ სიტყვებმა უფრო ასატანი გახადა მკვლევრობა? საკმაოდ ადვილად შეუდექი შენ ამ საქმეს, თუ მკითხავ, — უთხრა მან თავის თავს. მაგრამ როგორი იქნები, ან რისთვის იქნები გამოსადეგი, როცა რესპუბლიკის სამსახურს მორჩები? ეს მეც არ ვიცი, — გაიფიქრა მან.

მაგრამ, მე მგონია, რომ შენ ამისგან განთავისუფლდები, როდესაც ამის შესახებ დასწერ, როგორც კი დასწერ ამის შესახებ, ყველაფერი გაივლის. კარგი წიგნი იქნება, თუ შესძელი მისი დაწერა. ბევრად უკეთესი პირველზე. ამჟამად კი მთელი შენი სიცოცხლე ეს არის — დღეს, ამაღამ, ხვალ. დღეს. ამაღამ, ხვალ. ისევ და ისევ (იმედია), — გაიფიქრა მან. ამიტომ სჯობს დარჩენილი დრო გამოიყენო და მადლობელიც იყო. ხიდიან საქმე თუ გაფუჭდა? ამ საქმეს კარგი პირი არ უჩანს.

მაგრამ მარია კარგია. ხომ? განა არა? იქნებ ეს არის, რაც ცხოვრებისგან უნდა მივიღო. იქნებ ეს არის ჩემი ცხოვრება. და სამოცდაათი წლის ნაცვლად, მხოლოდ ორმოცდარვა საათი დამრჩა. ან სამოცდაათი, უფრო სწორად, სამოცდათორმეტი. დღე-ღამეში ოცდაათი საათია, სამ დღე-ღამეში სამოცდათორმეტი იქნება.

მე მგონი, შეიძლება სამოცდაათ საათში ისევე სავსედ იცხოვრო, როგორც სამოცდაათ წელიწადში. ვთქვათ, შენი სიცოცხლე სავსე იყო ამ სამოცდაათი საათის დაწყებამდე და მიაღწიე გარკვეულ ასაკს.

რა სისულელეა, — გაიფიქრა მან. — რა სისულელეზე ფიქრობ. ნამდვილად სისულელეა. მაგრამ იქნებ არც არის სისულელე. ეპ, ვნახოთ. უკანასკნელად მადრიდში მეძინა ქალთან. არა, მადრიდში კი არა — ესკორიალში. იმ და-

მეს გამელვიდა და მეგონა, რომ ვიღაც სხვა შეწვა გვერდით, ავლელი და მერე მივხვდი ვინც იყო. ეს იყო მხოლოდ ნაცარი. თუმცა ნაცარი, მაგრამ მაინც საკმაოდ სასიამოვნო. იმის წინ ასევე იყო მადრიდში, იმ განსხვავებით, რომ თავს ვიტყუებდი ამ ორი ამბის მსგავსებაში, ვთვალაშაქცობდი ჩემი თავის წინაშე. ასევე იყო იქაც, თუ უფრო ნაკლები არა, ასე, რომ, ესპანელი ქალის რომანტიკოსი თაყვანისმცემელი არა ვარ. არც შემთხვევითად უმბების-თვის მიმიცია დიდი მნიშვნელობა. მაგრამ როდესაც მაროხსთან ვარ, ისეთ სიყვარულს ვგრძნობ, რომ მგონია, ვკვდები. ადრე არასდროს მჯეროდა ასეთი რამის, და ვერც წარმოვიდგინა, თუ ოდესმე მოხდებოდა.

ასე რომ, თუ ცხოვრებამ სამოცდაათი წელიწადი სამოცდაათ საათად მომყიდა, მიღირს ამად და ბედნიერი ვარ, რომ ვიცი ეს. და როდესაც არ არსებობს ისეთი რამ, რასაც ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქვია, ან დანარჩენი შენი სიცოცხლისა, ან ზეალინდელი დღე, არამედ არსებობს მხოლოდ დღევანდელი დღე, მამ მხოლოდ დღევანდელი დღე არის, რასაც თაყვანი უნდა სცე; და რითაც ბედნიერი ვარ. ახლა, *ahora, maintenant, heute*. ახლა, სასაცილოდ ყდერს. ნუთუ ეს ერთი სიტყვა უნდა ნიშნავდეს მთელს სამყაროს, სიცოცხლეს. *Esta noche, ამალამ — ce soir, heute abend*. სიცოცხლე და ცოლი, *Vie და mari*, არა, არ გამოვიდა. ფრანგებმა ცოლი ქმრად აქციეს. არსებობდა სიტყვა „ახლა“ და „Frau“. მაგრამ არც ამას ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა. ავიღოთ სიტყვა „მკვდარი“ — *mort, muerto და todt*. ამათში ყველაზე კარგად მკვდარს *todt* გამოხატავს. ომი — *guerre, guerra და krieg*. ყველაზე მეტად ომს *krieg* გაგრძნობინებს. ან იქნებ არა? ან იქნებ იმიტომ, რომ ყველაზე ცუდად გერმანული იცის? მიჯნური — *chérie, prenda, schatz*. ყველა ამ სიტყვას მარიათი შეცვლის. ასე ჰქვია სიყვარულს.

საქმეს ყველანი ერთად გააკეთებენ და ბევრი ლოდინიც არ დასჭირდებათ. მაგრამ საქმეს ცუდი პირი უჩანს თანდათან. ეს ისეთი რამ არის, რასაც დილით ვერ გააკეთებ. გამოუვალ მდგომარეობაში დამეს უნდა დაელოდო თავის დასაღწევად. უნდა ეცადო გასძლო იმ დღეს, სახამ დაღამდება. შესაძლებელია ყველაფერმა კარგად ჩაიაროს, თუ დღეს გადაურჩი და დაბნელდა, რა იქნება, დღისით რომ წახვიდეთ. რას იტყვი ამაზე? საწყალი სორდო, დამტვრეულ ესპანურსაც კი ანება თავი, რომ ყველაფერი დამაჯერებლად აეხსნა მისთვის. თითქოს რობერტს არასდროს არ ეფიქროს ამაზე იმ დღიდან, რაც გოლცმა ხიდი ახსენა, განსაკუთრებით, როცა ცუდი ფაქტები შემოაწვებოდა-ბოლმე. თითქოს ეს აზრი მას მოუხნელებელ ცომის გუნდასავით არ უჯდა შიგნულში გუშინწინდელი დამის შემდეგ.

აი საქმე. მთელი შენი სიცოცხლე გგონია, რომ რალაცეებს მნიშვნელობა აქვს და ბოლოს აღმოჩნდება, რომ არაფერს მნიშვნელობა არ ჰქონია. მაგრამ ამის მსგავსი არაფერი არ ყოფილა უწინ. შენ გგონია, რომ ეს ისეთი რამ არის, რაც არასდროს აღარ შეგემთხვევა. და ასეთ ბინძურ დროს, როდესაც ორი ქეციანი პარტიზანული ჯგუფი უნდა შეაერთო და აუტანელ პარობებში ხიდი ააფეთქო, რომ კონტრშეტევა, რომელიც მაშინ აღბათ დაწყებული იქნება — ჩაშალო, უეცრად ხედები ასეთ გოგონას, როგორც არის მარია, რასაკვირველია, შენ უნდა მოგვლოდა ასეთი რამ. გვიან შეხვდი მარიას. აი, რა მოხდა.

მაშასადამე, ისეთმა ქალმა, როგორც პილარია, პირდაპირ საძილე ტომა-
რაში შემოგივდო ეს გოგო. დიახ. რა ხდება? რა ხდება? აბა მითხარი, რა
ხდება? დიახ, სწორედ ეს ხდება. დიახაც ეს ხდება.

ნუ ატყუებ შენს თავს, ეს გოგო პილარმა გამოგიგზავნაო. სცადე არაფ-
რად ხათვალო და ცუდად არაფერი იფიქრო. შენ მაშინ წახვედი ხელიდან,
ის გოგო პირველად რომ დაინახე, როცა პირველად ამოიღო ქაღალდი და გემ-
ლაპარაკა, თვითონაც იცი. ახლა კი, როცა გაქვა ისეთი რამ, რასაც არასდროს
არ ელოდი, ლაფში რატომ სერი. თვითონაც იცი, რას ნიშნავს ეს. ისიც იცი,
რომ ეს მაშინ მოხდა, როდესაც ის გამოქვაბულიდან გამოვიდა, რკინის ლან-
გრით ხელში. მაშინ იგრძენი სიყვარული. თვითონაც იცი. მაშ, რატომ იტყუებ
თავს? რატაც უცნაური გემართებოდა, რამდენჯერაც შეხედავდი და რამდენ-
ჯერაც შემოგხედავდა. მაშ, რატომ არ უტყუები თავს? კარგი, ასე იყოს. რაც
შეეხება იმას, რომ პილარმა შემოგივდო, ის მოაქცა ისე, როგორც ჭკვიანი
ქალი მოაქცევს. მას ამ გოგოზე ამაგი ჰქონდა, და მაშინვე იგრძნო, რა
დაეშართა გოგონას, როდესაც ლანგრით ხელში გამოქვაბულში შებ-
რუნდა.

პილარმა მხოლოდ ხელი შეუწყო საქმეს და გააადვილა. გააადვილა საქმე,
მოგცა წუხანდელი ღამე და დღევანდელი დღე. ის ათასწილად შენზე გა-
მოცდილია და იცის დროის ფასი. მართლაც, — უთხრა მან თავის თავს, —
ვგონებ უნდა ითქვას, რომ ამ ქალმა დროის ფასი იცის. მან დიდი ბრძოლა
გადაიტანა, რომ სხვებს არ დაეკარგათ ის, რაც მან დაკარგა. მერე, როდესაც
თავის თავს გამოუტყდა, დანაკარგი რა დიდი იყო. გაუძნელდა მონელეობა.
ასეთივე დიდი ბრძოლა გადაიტანა იქ, მთაში, და, მე მგონი, ვერაფრით ვერ
გავუადვილეთ. აი, ეს არის სულ, რაც ხდება და რაც მოხდა. უნდა აღიარო.
ველარასოდეს გაატარებ ირ მთლიან ღამეს მასთან. ველარც მთელ სიცოცხ-
ლეს, ველარც იცხოვრებთ ერთად. არასოდეს გექნებათ ის, რაც უნდა გქონ-
დეთ. არა, ერთი წარსული ღამე, ერთადერთი შუადღე. შესაძლოა, კიდევ
იყოს ერთი ღამე. ეს არის სულ. აღარც დრო, აღარც ბედნიერება, აღარც
სიხარული, აღარც ბავშვები, აღარც სახლი, აღარც აბაზანა, აღარც სუფთა
თეთრეული, აღარც დალის ვაზეთი, აღარც გაღვიძება ერთად, აღარც შეგრ-
ძნება იმისა, როცა გაიღვიძებ, რომ ეს იქვეა, შენა გვერდით, და რომ მარტო
არა ხარ. არა, არაფერი ამის მსგავსი. მაგრამ რატომ, თუ მთელი შენი სურ-
ვილებიდან ეს ერთი გერგო, რატომ არ შეიძლება ერთი ღამე მაინც გაატარო
სუფთა ზეწრებაან საწოლში?

შეუძლებელს ითხოვ, წარმოუდგენლად შეუძლებელს ითხოვ. პოდა, თუ
ეს გოგო მართლაც ისე ძალიან გიყვარს, როგორც ამბობ, უმჯობესია, ისე
ძლიერ შეიგრძნო ეს სიყვარული, რომ ამით აანაზღაურო ის, რაც გაკლია, —
დრო და ხანგრძლივობა.

გესმის? ძველ დროში ხალხი მთელ სიცოცხლეს სწირავდა ამას და რად-
გან შენ უკვე იბოვე, თუ კიდევ გექნა ორი ღამე, გიკვირდეს, საიდან მოვიდა
შენთან ამოდენა ბედნიერება. ორი ღამე, ორი ღამე სიყვარულისა, ალერსისა
და თაყვანისცემისა; სიხარულსა და მწუხარებაში; ავადმყოფობასა და სიკვ-
დილში; არა, ასე კი არა — ავად ყოფნასა და კარგად ყოფნაში. ვიდრე სიკვ-
დილი გაგვთიშავს, ორი ღამის შემდეგ. ალბათ, ასეც იქნება და შეწყვიტე

ახლა ამაზე ფიქრი. გეყოფა. არ ვარგა ამაზე ფიქრი. ნურათფერს გააკეთებ, რაც არ ვარგა შენთვის. ღიახ.

სწორედ ამას ამბობდა გოლცი. რაც უფრო მეტს აკვირდება, მით უფრო ჰკვიანია ჩანს გოლცი. სწორედ ეს იყო, რაზეც ის ეკვირდებოდა ღამეს. მძიმე საქმას საზღაური. ნეტავი, გოლცსაც ჰქონდა ასეთი რაღაცეები, ნეტა, ეს დროის უქონლობისა და გარემოს ბრალი იყო? ნეტა, ყველას მოუვიდოდა ეს ასეთ მდგომარეობაში? განა მხოლოდ იმატომ ფიქრობდა, ეს საყვარული განსაკუთრებულიაო, რადგან მას დაემართა? ნეტა, გოლცსაც უტარებია ნაჩქარევი ღამეები გოგოებთან, როდესაც კავალერიას მეთაურობდა წითელ არმიის, ნეტა, ასეთ გარემოებაში მასაც ისეთივე ეჩვენებოდა გოგოები, როგორც მარიაა?

როგორც ჩანს, გოლცმა აქაც ყველაფერი იცოდა და უნდოდა გაეგებინებინა შენთვის, რომ მთელი სიცოცხლე უნდა გაიარო იმ ორ ღამეში, რომელიც გერგო; რომ ისეთ ცხოვრებაში, როგორსაც ჩვენ ვეწვევით ახლა, უნდა შეგეძლოს მცირე ხანში მოუყარო თავი ყველაფერს და მთლიანად შეიგრძნოს ის, რაც ცხოვრებისაგან უნდა მიიღო.

კარგია ასეთი რწმენა. მაგრამ, თუკი არ სჯერა, რომ მარია გარემოებამ შექმნა? თუ, რასაკვირველია, მისი საყვარული არ გამოიწვია მისმა მდგომარეობამ და მარიას მდგომარეობამ ერთად. ერთი რამ მარიას მდგომარეობიდან არც ისე კარგია, — გაიფიქრა მან. ნამდვილად არ არის კარგი. მაგრამ ასეა, და რა გაეწყობა. ვერავითარი ძალა ვერ ათქმევინებს, მომწონსო. ვერც წარმომედგინა, რომ ოდესმე ვიგრძნობდი იმას, რაც ვიგრძენი. ან ოდესმე ასეთი რამ დამემართებოდა. ნეტა, ასე იყოს მთელი ჩემი სიცოცხლე. გექნება, ეუბნებოდა მეორე ხმა. გექნება, ახლა ხომ გაქვს, და ეს არის მთელი შენი სიცოცხლე. ახლა, სხვა არაფერი არ არსებობს, გარდა ამ ცნებისა — „ახლა“. არც გუშინდელი დღეა და, რასაკვირველია, არც ხვალანდელი. რამდენი წლის უნდა იყო, რომ შეიგნო ეს? არსებობს მხოლოდ — „ახლა“. და თუ ეს „ახლა“ ორი დღისგან შედგება, მაშ, მთელი შენი სიცოცხლე ეს არის და ყველაფერი თანაბრად განაწილდება მასში. აი, როგორ უნდა იცხოვრო მთელი სიცოცხლე ორ დღეში. და თუ შეწყვეტ წუწუნსა და შეუძლებელის მოთხოვნას, შენი სიცოცხლე სავსე იქნება. ბიბლიური გოჯებით არ იზომება სავსე სიცოცხლე.

ასე რომ, ნუ ჯავრობ. მიიღე რაც გაქვს, გააკეთე შენი საქმე და კარგა გრძელი სიცოცხლე გექნება, ამასთან, ძალიან მხაარულიც. ხომ კარგი იყო ეს დღეები, რაღას წუწუნებ? ასე იცის ამგვარმა სამუშაომ, — უთხრა მან თავის თავს და ძალიან მოეწონა თავისი აზრი. — მთავარი ის კი არ არის, რასაც იასწავლი და გაიგებ, მთავარია ხალხი, რომელსაც შეხვდები. — საკუთარმა ხუმრობამ კარგ გუნებაზე დააყენა და გოგონას დაუბრუნდა.

— მიყვარხარ, ჩემო ბაჭია, — უთხრა მან გოგონას. — რას ამბობდი?

— რას და, იმას გეუბნებოდი, საქმეზე ნუ იჯავრებ-მეთქი. თავს არ მოგაბეზრებ. არც შენ საქმეში ჩავერევი. თუ რაღის გაკეთება შემეძლება, შენ თვითონ მეტყვი, პო?

— არა, — თქვა რობერტმა. — ყველაფერი ეს ძალიან მარტივია.

— ან ბილარი მეტყვის, კაცს როგორ უნდა მოვუარო კარგად. და მეც

ისე მოვიქცევი, — თქვა მარიამ. — მერე, როგორც გამიგია, მე თვითონ მივხვდები ზოგ რამეს, დანარჩენს კი შენ შეტყვი.

— არაფერია გასაკეთებელი.

— *Qué va*, კაცო, არაფერია, აი, შენი საძილე ტომარა ამ დილით უნდა გამებერტყა, გამეწმინდა და მზეზე გამეფინა. ახლა კი, საღამოს, ნაძის დაღვბამდე, შიგნით უნდა შევიტანო.

— მერე, ბაჭია?

— შენი წინდები უნდა გავრეცხო და გავაწრო ხოლმე. უნდა მოვახერხო, რომ ორი წყვილი გქონდეს.

— კიდევ რა?

— კიდევ, თუ შენ მასწავლი, ღამბაჩას გაგიწმენდ და გაგიზეთავ.

— მაკოცე, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— არა, განა გეხუმრები. ხომ მიჩვენებ, როგორ უნდა გავწმინდო ღამბაჩა. პილარს ჩერებიც აქვს და ზეთიც. იარაღის საწმენდიც არის გამოქვაბულში. მე მგონი, მოადგება.

— რასაკვირველია, გიჩვენებ.

— მერე, — განაგრძო მარიამ, — სროლას ხომ მასწავლი, ენიცობაა ერთ-ერთი ჩვენთაგანი დაიჭრეს. მტერს რომ არ ჩავუვარდეთ ხელში, ორივემ უნდა ვიცოდეთ სროლა, რომ დაჭრილიც მოვკლათ და თავიც მოვიკლათ.

— რა საინტერესოა, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ხშირად მოგდის ასეთი ჭკვიანური აზრები თავში?

— არა, — უთხრა მარიამ. — მაგრამ ეს კარგა აზრია. პილარმა აი ეს მომცა და მასწავლა, როგორ ვიხმარო. — მან უბის ჯიბე გაიხსნა და ამოიღო ტყავის ბუდე, როგორცთაც სავარცხლებს ატარებენ ხოლმე ჯიბით, მოხსნა რეზინის თასმა, რომელიც ორივე ბოლოს კეტავდა და ცალპირიანი სამართებელი ამოიღო. — ამას მუდამ ჯიბით ვატარებ, — განმარტა მან. — პილარი ამბობს, რომ აი აქ, ყურის ძირში უნდა დაიღო და აქეთკენ გამოისვა. — მან ყელზე მოისვა თითი. — აქ დიდი არტერია არისო, ამბობს, და სამართებელი არ ასეღებაო. პო, კიდევ ამბობს, სულ არ არისო მტკივნეული, ოღონდ ყურის ძირში მაგრა უნდა დააჭირო და დაბლა დასწიოო. სულ ადვილიაო, ამბობს. და ვერავინ გააჩერებს სისხლს, თუ ასე გააკეთებო.

— სწორია, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — მანდ კისრის არტერიაა.

ასე რომ, ყოველთვის თან დააქვს ეს სამართებელი, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა, — მიაჩნია, რომ ასეთი შემთხვევა სავსებით დასაშვებია და მზად არის.

— მაგრამ მირჩევნია შენ მესროლო. სიტყვა მომეცი, რომ მომკლავთუ საჭირო იქნება.

— უთუოდ, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — სიტყვას გაქლევ.

— მადლობელი ვარ, — უთხრა მას მარიამ. — ვიცი, რომ ეგ არ არის ადვილი საქმე.

— არა უშავს რა, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — კაცს ავიწყდება ეს, — გაიფიქრა მან. — კაცს ავიწყდება მთელი „სილამაზე“ სამოქალაქო ომისა, როდესაც თავისი საქმით არის გართული. შენ დაგავიწყდა ყველაფერი და ასეც უნდა იყოს. კაშკინმა ეს ვერ დაივიწყა და ამით გააფუჭა საქმე. ან იქნებ შექანებული იყო? საოცარია, რომ მას არაფერი არ უგრძენია, როდესაც კაშ-

კინს ესროლა. ეგონა, შერე მაინც შეაწუხებდა სინდისი, მაგრამ ჯერჯერობით არაფერს გრძნობდა.

— კიდევ რაღაცის გაკეთება შემიძლია შენთვის, — უთხრა მარიამ. გვერდით მიპყვებოდა ღინჯად და ქალურად.

— გარდა ჩემი მოკვლისა?

— ჰო. შემიძლია სიგარეტები გაგიკეთო, როდესაც ის გრძელტარიანი გაგიტავდება. პილარმა მასწავლა მათი გახვევა კარგად, მჭიდროდ, კობტად და ისე, რომ თუთუნის არ გამოცვივდეს.

— ჩინებულისა, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — შენ თვითონ უნდა აუსვა ენა?

— ჰო, — უთხრა გოგონამ. — და როცა დაიჭრები, მოგივლი, ჭრილობებს შეგიხვევ, დაგბან და გაჭმევ.

— იქნებ არ დავიჭრე, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— მაშინ, როცა ავად გახდები, მოგივლი, სუპს მოგიხარშავ, დაგბან და ყველაფერს გაგიკეთებ. კიდევ წიგნებს წაგიკითხავ.

— იქნებ არც ავად გავხდე?

— მაშინ ყავას მოგიტან ბოლმე ლოგინში, როცა გაგელვიძება, დილით.

— იქნებ არ მიყვარს ყავა?

— არა, ვიცი, რომ გიყვარს, — ბედნიერად შესძახა გოგონამ, — ამ დილით ხომ ორი ჭიქა დალიე.

— ვთქვით, ყავა მომბეზრდა, აღარც ჩემი მოკვლაა საჭირო, არც დიჭრილი ვარ, არც ავად ვარ, აღარ ვეწევი, მაქვს ერთი წყვილი წინდა და თვითონ გავკიდე ჩემი საძილე ტომარა, მაშინ, ბაჭიავ? — ზურგზე მოეფერა გოგონას, — მაშინ რაღას აზამ?

— მაშინ, — თქვა მარიამ, — პილარს მაკრატელს გამოვართმევ და თმებს შეგჭრი.

— არ მიყვარს მოკლედ შეჭრილი თმა.

— არც მე, — თქვა მარიამ, — შენი თმა ისე მომწონს, როგორც არის. ჰოდა, თუ საქმე არაფერი მექნება, გვერდზე დაგიჯდები და გიყურებ. ღამე კი — მოგესიყვარულები.

— კარგი, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ბოლო პროექტი ძალზე გონივრულია.

— მეც ასე მგონია, — გაიღიმა მარიამ. — ო, Inglés! — თქვა მან.

— მე რობერტო მქვია.

— არა, მე პილარივით ვეძახი Inglés -ს.

— რობერტო მქვია-მეთქი.

— არა, — თქვა გოგონამ. — დღეს ასე გერქმევა, — Inglés. ჰოდა, Inglés, შეიძლება საქმეში დაგეხმარო?

— არა, რასაც მე ახლა ვაკეთებ, თვითონ უნდა გადავწყვიტო ხალი გონებით.

— კარგი, — თქვა გოგონამ. — როდის გაათავებ?

— ამაღამ, თუ ღამერთი მოგვხედავს.

— კარგი, — თქვა გოგონამ.

ქვემოთ უკანასკნელი ხეები მოჩანდა ბანაკამდე.

— ეს ვინ არის? — იკითხა რობერტმა და მიახედა.

— პილარია, — თქვა გოგონამ, როდესაც გაიხედა. — ნამდვილად პილარია.

ველის ბოლოს, სადაც ტყე იწყებოდა, მკლავებზე თავდაყრდნობილი იჯდა პილარია. უხარმაზარ შავ გორგალს ჰგავდა წორიდან. შეფერულ-ფერულად ფიჭვების ყავისფერ ფონზე.

— წამო, — თქვა რობერტ ჯორდანმა, და ქალისკენ გაეშურა. მუხლამდე სწვდებოდა მანანები. გაუძნელდა სირბილა, ფეხი შეანელა და ისე წავიდა. თავს არ აცდილებდა ქალს, რომელსაც თავი მუხლებზე ედო. როგორი დიდი და შავი ჩანდა ფიჭვის ხის ფონზე! მიუახლოვდა და შესძახა: — პილარ!

ქალმა თავი ასწია და ამოხედა:

— ო, — თქვა მან, — უკვე შორხით?

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა რობერტმა და დაიხარა მისკენ.

— *Qué va,* — თქვა ქალმა. — მეძინა.

— პილარ, — მარია მოვიდა და ჩაიჩოქა მის წინ. — როგორა ხარ? ხომ კარგად ხარ?

— დიდებულად, — თქვა პილარმა, — მაგრამ არ წამოდგა, იჯდა და უყურებდა ორივეს. — აბა, *Inglés*, მითხარი, შენ ისევ კაცურ ოინებს აკეთებდი?

— ხომ არაფერი გტკივა? — რობერტ ჯორდანმა სიტყვა ბანზე აუგდო.

— რა უნდა მტკიოდეს, მეძინა, შენა?

— არა.

— იცა, — უთხრა პილარმა გოგონას, — გიხდება.

მარია გაწითლდა და არაფერი უთხრა.

— თავი დაანებე, — უთხრა რობერტ ჯორდანმა.

— შენ არაფერს გელაპარაკება, — უთხრა მას პილარმა, — მარია, — მიმართა გოგონას ცივად. გოგონა იდგა თავდახრილი. — მარია, — გაიმეორა ქალმა, — გიხდება-მეთქი.

— კარგი, თავი დაანებე, — გაიმეორა რობერტ ჯორდანმა.

— შენ მოკეტე, — არც შეუხედია, ისე უთხრა პილარმა. — ყური მიგდუ, მარია, ხმა ამოიღე.

— არა, — თქვა გოგონამ და თავი გააქნია.

— მარია, — თქვა პილარმა. ახლა ხმა ისევე ცივი ჰქონდა, როგორც სახე. სიტბოს ნიშანწყალი არ ემჩნეოდა სახეზე. — გირჩევნია, შენი ნებით მითხარი. გოგონამ თავი გააქნია.

რობერტ ჯორდანი ფაქრობდა: — რომ არ მიხდებოდეს ამ ქალთან მუშაობა, მის ლოთ ქმართან, მის ქეციან ხალხთან, ისე ვლენადი ახლა სახეში, რომ...

— თქვი, — უთხრა პილარმა გოგონას.

— არა, — თქვა მარიამ, — არა.

— დაანებე-მეთქი თავი, — თქვა რობერტ ჯორდანმა, და თავისი ხმა ვედარ იცნო. — ახლა ვლენადი. ჯანდაბას, რაც მოხდება, — გაიფიქრა მან.

პილარმა მას ხმა არ გასცა. გველს არ ჰგავდა, ჩიტს რომ აჯადოებს; არც კატას ჰგავდა, ჩიტზე მონადირეს. არაფერი მტაცებლური არ იყო მასში, არც მაცდური. იყო რაღაც კობრას ზმორების მსგავსი და რობერტი გრძნობდა

ამას. გრძნობდა მუქარას ამ ზმორებაში. ზმორება იყო დამშორწილებელი- არა ბორბტი, არამედ ცნობისმოყვარე. — ნეტავ არ მენახა, — ფიქრობდა რობერტ ჯორდანი. — მაგრამ ამის გულისთვის ხომ ვერ ვცემ.

— მარია, — თქვა პილარმა. — ხელს არ გახლებ. შენით მითხარა. —

*De tu propia voluntad*¹, — ასე ეღერდა ესპანურად.

გოგონამ თავი გააქნია.

— მარია, — თქვა პილარმა, — შენა ნებით-მეთქი, ვესმის? ყველაფერი.

— არა, — თქვა გოგონამ ნაზად. — არა, არა.

— ახლავე მეტყვი, — ამბობდა პილარი, — ყველაფერს. აი, ნახავ, თუ შენ თვითონ არ მეტყვი.

— მიწა იძრა, — თქვა მარიამ ისე, რომ არ შეუხედავს მისთვის. — ისეთი რამ იყო, რომ არ შემეძლია თქმა.

— ასე, — თქვა პილარმა. ხმაც დაუბილდა და გამომეტყველებაც. ძალ- დატანება აღარ იგრძნობოდა. მაგრამ რობერტ ჯორდანიშა შუბლზე და ტუჩებზე ოფლის წვეთები შეამჩნია. — მაშ, ასე იყო, არა? მაშ, ასე მოხდა!

— ჰო, მართალს გეტყვები. — თქვა მარიამ და ტუჩი მოიკვნია.

— ვიცო, რომ მართალია, — თქვა პილარმა გულისხმიერად. — მაგრამ ამას შენს ხალხს ნუ ეტყვი, თორემ არ დაგიჯერებენ. ბოშას სისხლი ხომ არა ვაქვს, *Inglés*?

პილარს რობერტი მიეშველა წამოდგომაში.

— არა, — მიუგო მან, — რამდენადაც ვიცო.

— არც მარიას, რამდენადაც იცის, — თქვა პილარმა. — რა უცნაურია.

*Pues es muy raro*².

— მართლა იძრა, პილარ, — თქვა მარიამ.

— *Como que, no, hija?* — თქვა პილარმა. — რატომაც არა, შვილო? მე რომ ახალგაზრდა ვიყავი, ისე იძროდა მიწა, ნათლად ვგრძნობდი, როგორ ირწეოდა სივრცეში, და მეშინოდა, ფეხქვეშ არ გამომცლოდა. ასე ხდებოდა ყოველ ღამე.

— სტყუი, — უთხრა მარიამ.

— სწორია, — თქვა პილარმა, — ვტყუი. მიწისძვრა მხოლოდ სამჯერ ხდება სიცოცხლეში. მართლა იძრა?

— მართლა, — თქვა გოგონამ.

— შენც იგრობენი? — პილარმა რობერტს შეხედა. — ტყუილი არ თქვა.

— მეც, — თქვა მან. — ნამდვილად.

— კარგია, — თქვა პილარმა. — ეს მართლა კარგი რამეა.

— რატომ თქვი სამჯერო? — ჰკითხა მარიამ. — რა გინდოდა გეთქვა ამით?

— სამიდან თქვენ უკვე გქონიათ ერთხელ, — თქვა პილარმა.

— რა, მხოლოდ სამჯერ ხდება?

— უმრავლესობისთვის არასდროს, — უთხრა მას პილარმა. — დარწმუნებული ხარ, რომ მართლა იძრა?

¹ საკუთარი ნებით.

² რადგან ეს ძალიან უცნაურია.

— გადმოვევარდები-მეთქი, ვიფიქრე. — თქვა მარიამ.
 — მაშ მართლა იძრა. ახლა, წამო, ბანაკში წავიდეთ.
 — რა სისულელეა, სამჯერო? — უთხრა რობერტ ჯორდანმა ამ უხარ-
 მაზარ ქალს, როცა ფიჭვებში მიდიოდნენ ერთად.
 — სისულელე? — იქედნურად ახედა ქალმა. — ვერე ნუ კაპობ, სისულ-
 ლეაო, პატარა ინგლისელო. ნიკოლოზი

— ხელზე მკითხაობასავით თვალთმაქცობაა ეგ.
 — არა. ეს დამტკიცებულია და საყოველთაოდ ცნობილი ბოშებში.
 — მერე ჩვენ ხომ ბოშები არა ვართ.
 — არა, მაგრამ ბედმა გაგიღიმათ. არა — ბოშასაც გაუღიამებს ხოლმე ბე-
 დი ხანდახან.
 — მაშ, მართლა ამბობ სამჯერ ხდებოა?
 ქალმა უცნაურად შეხედა მას.
 — თავი დამანებე. Inglés. გული ნუ გამიწყალე. ნუ შელაპარაკები. ჯერ
 ძალიან პატარა ხარ.
 — კი მაგრამ, პილარ, — თქვა მარიამ.
 — მოკეტე. — მიუგო პილარმა. — ერთხელ გქონდათ. კიდევ ორჯერ
 გექნებათ.
 — შენა? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა.
 — ორჯერ, — თქვა პილარმა და ორი თითი აჩვენა. — ორჯერ და მესა-
 მედ აღარასოდეს აღარ შექნება.
 — რატომ არა? — ჰკითხა მარიამ.
 — ეჰ, მოკეტე, — უთხრა პილარმა. — გაჩუბდი-მეთქი. გული გამიწყალა
 შენმა შიამიტიობამ.
 — რატომ არ მოხდება მესამედ? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა.
 — ოჰ, კარგი ერთი, აღარ გაათავებთ? — თქვა პილარმა. — გაჩუბდი თუ
 კაცო ხარ.
 ასე იყოს, — თქვა რობერტ ჯორდანმა თავისთვის. მე კი ვიცი, რომ მეტი
 აღარ შექნება. ბოშებს ბევრს ვაცნობ. უცნაურები არიან. მაგრამ ჩვენც არა
 ვართ ნაკლები. სხვაობა ისაა, რომ ჩვენ იძულებული ვართ უფრო პატიოს-
 ნად ვიცხოვროთ. ასეც ვიქცევით. არავინ იცის რომელი ტომის ჩამომავალი
 ვართ. ან რა მოგვდევს მათგან. ან რა იღუშალება იმალებოდა იმ ტყეებში,
 სადაც ეს ტომები ცხოვრობდნენ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ არაფერი
 არ ვიცით. არ ვიცით, რა გვემართება დამე, მაგრამ როცა იგივე დღისით გვე-
 მართება, ეს მართლა კარგია. რაც მოხდა, მოხდა. ამ ქალმა აიძულა გოგონა
 ეთქვა, რაც არ უნდოდა, მერე თავის საკუთრებად გაიზადა. მთელი ეს ამბავი
 ბოშებს შიამიერა. მე მეგონა, დამარცხდა ზემოთ, მთაში, მაგრამ პირაქით, თურ-
 მე გამარჯვებული აღმოჩნდა. ეს რომ ცუდი განზრახვათ ექნა, ახლა მკვდარი
 იქნებოდა. მაგრამ ცუდი განზრახვა არ ჰქონია. ეს იყო მხოლოდ ცდა, რომ
 სიცოცხლეს მოსჭიდებოდა; მოსჭიდებოდა მარიას შეშველობით.
 როცა ამ ომს მოვრჩებით, იქნებ ქალის ბუნების შესწავლას შევუდ-
 ვე, გაიფიქრა მან. დავიწყებ პილარით. კაცმა რომ თქვას, კარვად ჩახლარ-
 თული დღე მომიწყო. აღრე არასდროს არ ულაპარაკია ბოშურ ჩადოქრობა-
 ზე, ხელზე მკითხაობის გარდა. და არა მგონია, რომ ამაში ტყუოდა. რასა-

კვირველია, არ მითხრა, რა ნახა, მაგრამ თვითონ სჯერა იმისი, რაც ნახა. თუმცა ეს არაფერს არ ნიშნავს.

— ყური მიგდე, პილარ, — უთხრა მან ქალს.

პილარმა ახედა და გაუღიმა.

— რა იყო? — ჰკითხა მან.

— ნუ ხარ ასე იდუმალეზით მოცული, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — მღლის ეს იდუმალეზა.

— მერე? — თქვა პილარმა.

— არც მკითხაობის მჯერა, არც წინასწარმეტყველების, არც ბოშების ამ ტუტუტური ჯადოქრობისა.

— ოჰო, — თქვა პილარმა.

— მართლა, და თავი დაანებე ამ გოგოს.

— დავანებებ.

— თავი დაანებე იდუმალეზას, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — ისედაც საკმაო სამუშაო გვაქვს და საკმაოდ ბევრი საქმე, რომელსაც გართულება არ სჭირდება. ნაკლები იდუმალეზა და მეტი მუშაობა გემართებს.

— აჰა, — თქვა პილარმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. — მითხარი, Inglés, — თქვა მან და გაუღიმა. — იძრა მიწა?

— ჰო, ჯანდაბა შენს თავს, იძრა.

პილარი იდგა და ხარხარებდა. იდგა, ხარხარებდა და უყურებდა რობერტ ჯორდანს.

— ოჰ, Inglés, Inglés! — თქვა მან სიცილით, — რა სასაცილო ხარ. ბევრი რამ უნდა გააკეთო, რომ დაკარგული ღირსება აღიდგინო.

— ჯანდაბას შენი თავი, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. მათ ლაპარაკში ცას ღრუბელი გადაეფარა და როცა რობერტმა მთებისკენ გაიხედა, ცა მძიმე იყო და ნაცრისფერი.

— ცხადია, — თქვა პილარმა, როცა ცას შეხედა, — მოთოვს.

— ახლა, როცა ივნისია კარს მომდგარი?

— რატომაც არა, ამ მთებმა თვეების სახელები არ იციან. მაისის მთვარეა ახლა.

— შეუძლებელია მოთოვოს, — თქვა რობერტმა. — შეუძლებელია.

— და მაინც, Inglés, — თქვა პილარმა, — მოვა თოვლი.


რობერტ ჯორდანმა მალლა აიხედა. ჩამავალი მზისგან ნაცრისფერ ცას ოდნავ ყვითელი გადაჰკრავდა, შემდეგ ეს ყვითელიც გაქრა და ცა მთლად ნაცრისფერი გახდა, რბილი და ჩამოწოლილი, ცის ნაცრისფერი მთის მწვერვალებს ფარავდა.

— ჰო, — თქვა რობერტმა, — ვგონებ სწორი ხარ.

თავი მეთოთხმეტი

ვიდრე ბანაკამდე ჩავიდოდნენ, თოვლი წამოვიდა. ფიფქები ირიბად ფართატებდნენ ფიქვებში. ცერად იბნეოდნენ ხეებში, ბრუნავდნენ დაცემის წინ. და მერე, როცა მთიდან ცივი ქარი მოუბერავდა, დაიხვეოდნენ, გახშირ-

დებოდნენ. რობერტ ჯორდანი იდგა გამოქვაბულის პირად და გაცოფებული შეპყურებდა ფიფქებს.

— ბლომად მოგვითოვს, — ჩახლეჩილი ხმით თქვა პაბლომ.  თვალები წითელი და დანისლული პქონდა.

— ბოშა მოვიდა? — ჰკითხა მას რობერტ ჯორდანი.

— არა, — თქვა პაბლომ. — არც ის და არც ბერიკაცი.

— ხომ არ წამომყვები მაღლა, გზისპირა საგუშაგოსკენ?

— არა, — თქვა პაბლომ. — არ მივიღებ ამ ამბავში მონაწილეობას.

— თვითონ ვიპოვი.

— ასეთ ქარიშხალში შეიძლება გზას ასცდე, უთხრა პაბლომ. — მე არ წავედოდი ახლა.

— აქვე მთის ძირას უნდა ჩავეიდე და გზას მაღლა ავყვე.

— იქნებ მიაგნო კიდევ. მაგრამ შენი გუშაგები ალბათ უკვე მოდიან და შეიძლება გზაზე ასცდე.

— მოხუცი მე მელოდება.

— არა. თოვლში არ გაჩერდება და მოვა.

პაბლომ გახედა თოვლს, რომელიც სწრაფად ცვიოდა გამოქვაბულის პირთან და თქვა: — არ მოგწონს თოვლი, Inglés?

რობერტ ჯორდანი შეიგინა. პაბლომ დაბინდული თვალებით ახედა და გაიცინა.

— ამით მოთავდა შენი შეტევა, — თქვა მან. — შევიდეთ გამოქვაბულში. შენი ხალხი ახლავე მოვა.

გამოქვაბულში მარია ცეცხლს დასტრიალებდა, პილარი კი — სამზარეულო მაგიდას. ცეცხლი ხრჩოლავდა, მაგრამ როდესაც გოგონამ ჯობი შეუჩიჩინა და დაკეცილი ქალღმერთი დაუნიავა, ბოლი ავარდა, შემდეგ ალმა იფეთქა და შემას მოედო. ქერის ნახვრეტიდან ჰაერი ალს მაღლა იზიდავდა.

— რა დროს ახლა თოვლი იყო? — თქვა რობერტ ჯორდანი. — როგორ გგონია, ბევრს მოთოვს?

— ბევრს, — კმაყოფილებით უთხრა პაბლომ. პილარს გასძახა: — არც შენ მოგწონს, ქალო? ახლა, როცა შენ მბრძანებლობ, არც შენ მოგწონს თოვლი?

— A mi qué? — თქვა პილარმა და ცერად გადმოხედა. — თუ თოვს, ითოვოს.

— ღვინო დალიე, Inglés, — თქვა პაბლომ. — მე მთელი დღეა ვსვამ და თოვლს ველოდები.

— დამისხი ერთი ჭიქა, — უთხრა რობერტ ჯორდანი.

— თოვლს გაუმარჯოს, — თქვა პაბლომ და ჭიქა მიუჭახუნა. რობერტ ჯორდანი თვალებში ჩახედა და მიუჭახუნა ჭიქა. — შე თვალებმღვრიე გათახსირებულს, კაცისმკვლელს, — ფიქრობდა რობერტი, — ნეტავ, მაგ კბილებზე მიმაჭახუნებინა ეს ჭიქა. ნუ მიაქცევ ყურადღებას, — უთხრა მან თავის თავს, — ნუ მიაქცევ ყურადღებას.

1. მე რატომ არა?

— ძალიან ლამაზია თოვლი. — თქვა პაბლომ. — თოვლში ხომ არ მო-
ვინდებათ გარეთ ძილი?

— აი, თურმე კიდევ რა გაწუხებს, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა,
რამდენი რამე გაწუხებს, არა, პაბლო? არა? — ჩაეკითხა თავაზიანად.

— არა ცივა, — თქვა პაბლომ. — სინესტია.

მაშ შენ არ იცი ეგ საძილე ტომარა რატომ ღირს ^{მარცხენა} ~~სამოცდახუთი~~ დო-
ლარი, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა. — ნეტავი იმდენი დოლარი მომცა.
რამდენჯერაც თოვლში მძინებია მაგითი.

— მაშ მეც აქ დავიძინო? — ჰკითხა მან თავაზიანად.

— დიან.

— გმადლობ, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — გარეთ დავიძინებ.

— თოვლში?

— დიან. (ჭირმა წაიღოს ეგ წითელი ღორჭული თვალები, ღორის ჯაგარა
და ღორის დინგი). თოვლში. (ამ წყეულ, დამღუბველ, მოულოდნელად აჭყა-
პებულ, დამარცხების მომასწავებელ თოვლში).

რობერტი გაეშურა ცეცხლისკენ. მარიამ ცეცხლს ფიჭვის შეშა შეუ-
კეთა.

— მართლაც ლამაზია თოვლი. — უთხრა მან გოგონას.

— მაგრამ საქმისთვის არ ვარგა, არა? — ჰკითხა მას მარიამ. — ღელავ?

— Qué va, — თქვა მან. — ღელვა რას მარგებს. ვახშამი როდის იქნება?

— ეგრეც ვიფიქრე, რომ მოგშივდებოდა, — თქვა პილარმა. — ყველის
ნაჭერი არ გინდა?

— გმადლობ, — უთხრა მან რობერტმა.

პილარმა კავზე ჩამოკიდებული ზადე ჩამოხსნა ჭერიდან, ყველი ამოიღო.
დანა დაუსვა და ნაჭერი მიაწოდა. რობერტი იდგა და შეექცეოდა. თხის გემო
დაპკრავდა ზომიანზე მეტად და უსიამო იყო.

— მარია, — გასძახა პაბლომ მაგიდის გაღმიდან.

— რა იყო? — ჰკითხა გოგონამ.

— მაგიდა გადაწმინდე, მარია! — უთხრა პაბლომ და რობერტს გაულ-
რიქა.

— შენი მოთხუბნული შენვე გაწმინდე, — უთხრა მას პილარმა. — ჯერ
ნიკაბი გაიწმინდე, მერე პერანგი და მერე მაგიდა.

— მარია, — დაუძახა პაბლომ.

— ნუ მიაქცევ ყურადღებას, — მთვრალია, — თქვა პილარმა.

— მარია, — ისევ გასძახა პაბლომ, — ჯერ კიდევ თოვს და ლამაზია
თოვლი.

— მაგან არ იცის საძილე ტომრის ფასი, — გაიფიქრა რობერტ ჯორ-
დანმა. — ამ საწყალმა ღორისთვალებამ არ იცის, რატომ მივეცი სამოცდახუთი
დოლარი ამ საძილე ტომარაში. ნეტა ბოშა მაინც მოვილოდეს. როგორც კი
ბოშა მოვა, მოხუცის მოსაყვანად წავალ. ახლაც წავიდოდი, მაგრამ მართლაც
შესაძლებელია, რომ გზაზე ავცდე. არ ეიცი, სად დგას.

— გინდა გუნდები გავაკეთოთ? — ჰკითხა მან პაბლოს. — არ გინდა ვი-
გუნდაოთ?

— რატ? — ჰკითხა მას პაბლომ. — რა მითხარი?

— არაფერი, — უთხრა რობერტ ჯორდანიმა. — კარგად გაქვს-მეთქი დაფარული უნაგირები?

— კი.

მერე ინგლისურად თქვა რობერტ ჯორდანიმა:

— უნდა აქამო, თუ აუშვებ და თავისით მოსძებნიან საქმელს, ეგ შენი ცხენები?

რა?

— არაფერი. შენ საქმეზე ვამბობ, ძმაო, მე აქედან ფეხით მივდივარ.

— რატომ ლაპარაკობ ინგლისურად? — ჰკითხა პაბლომ.

— არ ვიცი, — თქვა რობერტ ჯორდანიმა. — ასე ვიცი ხოლმე, როცა ძალიან ვარ დაღლილი ან გული მაქვს გაწყალებული, ან ხელი მეცარება. როცა რაღაცა ხელს მიშლია, სწორედ მაშინ ელაპარაკობ ინგლისურად და ვუსმენ ხოლმე ჩემს თავს. დამამშვიდებლად მოქმედებს. აი, სცადე ერთხელ და ნახავ.

— რას ლაპარაკობ, Inglés? — ჰკითხა პილარმა. — რაღაც საინტერესო უნდა იყოს, მაგრამ ვერ ვაფიგე.

— არაფერს, — უთხრა რობერტ ჯორდანიმა. — ინგლისურად ვთქვი „არაფერი“.

— ჰოდა ესპანურად ილაპარაკე, — თქვა პილარმა. — ესპანური მარტივია და სხარტი.

— მართალია, — დაეთანხმა რობერტ ჯორდანი. — მაგრამ, ეპ, ბიჭო, — გაიფიქრა მან, — ეპ, პაბლო; ეპ, პილარ; ეპ, მარია; ეპ, თქვენ, ძმებო, კუთხეში რომ სხედხართ და თქვენი სახელები აღარ მახსოვს და უნდა კი მახსოვდეს — მზეზრდება ხოლმე ესპანური დროდადრო; ისიც, თქვენც, ჩემი თავიც, ეს ომიც. რატომ, რატომ უნდა ეთოვო ახლა? ეს უკვე მეტიმეტია. არა, არაფერია მეტიმეტი. უნდა შეეგუო მხოლოდ, და შეებრძოლო. ახლა კი — გეყოფა წუწუნი და შეეგუე, რომ თოვს. როგორც ერთი წუთის წინ. ახლა ბომა უნდა შეამოწმო და მოხუცი მოიყვანოს. მაგრამ ეს თოვლი! და იაიც ამ თვეში. — გეყოფა, — უთხრა მან თავის თავს. — გაჩერდი და შეეგუე. ეს სულ იმ ერთი ჭიქის ბრალია, ხომ იცი? როგორ ეწერა იმ ჭიქაზე? ან მეხსიერება უნდა გაიუმჯობესო, ან არასდროს არ უნდა იფიქრო ციტატებზე. რადგან, ერთხელ თუ დაგავიწყდა, იმ საბელივით აგეკვიატება, რომელსაც ვერ იხსენებ და ვერც თავიდან იცილებ, რა ეწერა იმ ჭიქაზე?

— დამისხი ერთი ჭიქა, თუ შეიძლება, — თქვა მან ესპანურად, მერე: — მაშ, ბევრს მოთოვს, არა? — უთხრა მან პაბლოს. — Mucha nieve?

მოვრალმა ამოხედა და გაუღიმა. მერე თავი დაუქნია და ისევ გაუღიმა.

— აღარც შეტევა, აღარც თვითმფრინავები, აღარც ხიდი. თოვს მხოლოდ. — თქვა პაბლომ.

— როგორ გგონია, დიდხანს გაგრძელდება? — ჰკითხა რობერტ ჯორდანიმა და გვერდზე მოუყდა. — როგორ გგონია, მთელი ზაფხული უნდა გვათოვდეს, პა, ბიჭო, პაბლო?

— მთელი ზაფხული არა, — უთხრა პაბლომ. — ამაღამ და ხვალ.

— რატომ გგონია?

— ქარბუჭი ორნაირია, — თქვა პაბლომ დინჯად და ბრძნულად. — ერთი პირინეებიდან მოდის. დიდი სიცივე მოჰყვება თან. ამისთვის უკვე გვიანაა.

— კარგია, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ეგ მაინც კარგია.

— ეს ქარბუჭი ვანტაბრაიკოდან მოდის, — განაგრძო პაბლომ. — ზღვის პირიდან. ამ მიმართულების ქარებმა დიდი ქარბუჭი და ბევრი თოვლი იცის.

— საიდან იცი ამდენი რამე, მეგობარო? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა.

ახლა ბრაზი განხლებოდა და ქარბუჭის ამბავმა მღელვარება აგრძნობინა, როგორც ყოველთვის. თოვლიანი ქარბუჭი, გრიგალი, ქარიშხალი ზღვაზე, ტროპიკული ქარი და მთაში ზაფხულის შხაპუნა წვიმა ისეთ მღელვარე გრძნობებს იწვევდა ხოლმე რობერტში, როგორც სხვა არაფერი. ეს გრძნობა ბრძოლაში გახტდილს ჰგავდა, იმ განსხვავებით, რომ უფრო სუფთა იყო. ომის დროსაც იცის ქარი, მაგრამ ცხელი, მშრალი და მათრვალე, როგორც აღამიანის პირი. მქაფრი, ცხელი და ქუჭყიანი. ბრძოლის ბედი სწყვეტს მის ამოვარდნას და ჩადგამას. ამ ქარს რობერტ ჯორდანი ძალიან კარგად იცნობდა.

თოვლიანი ქარბუჭი კი სულ სხვაა. თოვლიან ქარბუჭში შეიძლება გარეულ ცხოველებს წააწყდე და არც დააფრთხო. გზაკვალარეულნი დადიან აღმა-დაღმა. და აგერ არემს დაინახავ ქოხის ძირში. თოვლიან ქარბუჭში შეიძლება ცხენ-ირემს შენა ცხენი სხვა ირემი ეგონოს და შემოგეგებოს. თოვლიან ქარბუჭში ასე გგონია, მტრობა არ არსებობს. თოვლიან ქარბუჭში ქარი შესაძლოა ქარიშხლად იქცეს, მაგრამ თან თეთრი სიწმინდე ახლავს. არეშარე სავსეა სითეთრით, ყველაფერი სახეს იცვლის. და როცა ქარი ჩადგება, სიმშვიდე გამეფდება ირგვლივ. ახლაც დიდი ქარბუჭი იყო და რობერტ ჯორდანი ნეტარებას გრძნობდა. თუმცა დამღუბველი იყო ქარბუჭი, ის მაინც ნეტარებას გრძნობდა.

— რამდენიმე წლის განმავლობაში arroyero¹ ვიყავი. დიდი ურმეშით გადმოგვექონდა ტვირთი მთებზე, ვიდრე საბარგოები შემთვიდოდა ხმარებაში. ამ დროს შევესწავლეთ ამინდი.

— მოძრაობაში როგორ მოხვდი?

— შემარცხენე ვიყავი ყოველთვის, — უთხრა პაბლომ. — მჭიდრო კავშირი გვექონდა ასტურიის ბალხთან, სადაც ბევრია პოლიტიკურად განვითარებული. თავიდანვე რესპუბლიკის მომხრე ვიყავი.

— მოძრაობამდე რას აკეთებდი?

— სარაგოსაში ვმუშაობდი ცხენების მენარდესთან. ცხენებს ამზადებდა ხართა ბრძოლისათვის, სამარქაფო ცხენებიც ჰყავდა ჯარისათვის. სწორედ იქ შეიბვდი პილარს. როგორც თვითონ გითხრათ, მატადორ ფინიტო დე პალენსიასთან ცხოვრობდა მაშინ.

მან საკმაოდ ამაყად განაცხადა ეს.

— ვერაფერი შვილი მატადორი იყო, — თქვა მაგიდასთან მჯდარმა ერთ-ერთმა ძმამ და პილარის ზურგს შეხედა. პილარი ამ დროს ქურასთან იდგა.

— მართლა? — თქვა პილარმა. მობრუნდა და შეხედა მას. — მაშ ვერაფერი შვილი მატადორი იყო, არა?

ახლა ის ცეცხლთან იდგა და ნათლად ხედავდა ფინიტოს, დაბალს, მზით

¹ მწყემსი.

შერუჯულს. მის მშვიდ სახეს, სევდიან თვალებს, ჩაცვნილ ლოყებს, შავსა და ხუჭუჭს თმას, ოდნავ სველს შუბლთან, სადაც მატადორის ვიწრო ქუდს წითელი ზოლი დაეჩნია. ამ ზოლს პილარის გარდა სხვა ვერავინ ამჩნევდა. ახლა ის ხუთწლიანი ხარის წინ იდგა და შეპყურებდა მის რქებს, რომელთაც არა ერთი და ორი ცხენი წამოუცვამო, უყურებდა ღონიერ კიანოს, რომელიც სულ მაღლა და მაღლა ეზიდებოდა ცხენს; ამ დროს მხარის წვეტიან ჯოხს ურჭობდა კისერში, ხარი კი სულ მაღლა და მაღლა ეზიდებოდა ცხენს. სანამ მხედარი ხის ღობეს არ მიაწყდებოდა და ხარი მას წინ არ გაიგდებდა ფეხებით; ძლიერი კისერი დაბლა იწევდა, რქები კი ეძებდნენ ცხენს მოსაკლავად. ასე ხედავდა პილარი მას, ფინიტოს, არცთუ ისე კარგ მატადორს; ხედავდა, როგორ იდგა ხარის წინ, გვერდს უქცევდა და მიიწევდა მისკენ. ნათლად ხედავდა, როგორ აფრიალებდა ჯოხზე დახვეულ წითელ ნაჭერს. ხედავდა, როგორ ჩაიჭროლებდა ხოლმე სისხლისფერი ნაჭერი რქებს შორის, ხარის თავსა და ბეჭებზე; ხედავდა, როგორ ბზინავდა სველი კეფა და ზურგა; როცა ხარი წამოიძარბებოდა და ბანდერილები ატყაცუნდებოდნენ; ხედავდა, როგორ იდგა ფინიტო ხარისგან ბუთ ნაბიჯზე, პროფილით მისკენ. ხარიც იდგა დინჯად, გატრუნული. ფინიტო ხმაღს აღმართავდა და გაღესილი პირით უმიზნებდა იმ წერტილს, რომელსაც ჯერ ვერც ხედავდა, რადგან ხარის თავი მის თვალებზე მაღლა იყო. მარცხენა ხელით ნაჭერს დაბლა დაიქნევდა და ხარიც თავს დაბლა დასწევდა, ახლა უკან გადახტებოდა ქუსლებზე და ხმაღს ხარის გაბობილ რქას უმიზნებდა; ხარი ქშინავდა, მკერდი ებერებოდა, თვალები კი ნაჭერს მიაშტერდებოდნენ ხოლმე.

პილარი ახლა ცხადად ხედავდა ფინიტოს, ძალიან ახლოს. ესმოდა მისი წვრილი და კრიალა ხმა, როდესაც პირველ რიგში, წითელი მთაჯირის ზემოთ მსხდომ ხალხს მიუბრუნდებოდა და იტყობდა: — აბა ვნახოთ, თუ მოვკლავ ასე.

პილარს გარკვევით ჩაესმა მისი ხმა. შეამჩნია, როგორ მოხარა ფინიტომ მუხლი და როგორ გაემართა ხარისაკენ, რომელმაც წითელი ნაჭრის დანახვაზე რქები დაბლა დახარა, მზით შერუჯული მაჯის მოძრაობას გააყოლა და სწორედ ამ დროს ხმალი მოხვდა კეფაში.

პილარი ხედავდა, როგორ თანდათან დაიფარა ხმლის ბზინვარება, თითქოს ხარმა თვითონ გამოსტიცა კაცს ხელიდან მახვილი. ნელ-ნელა ინთქმებოდა ხარის კეფაში ხმალი და აი, მზით შერუჯული ხელი გადაჭიმულ კანს მიეჭინა. მსუქოკიდებული დაბალა კაცი, თვალს რომ არ აცილებდა ჭრილობას, ბარბაცით მოსცილდა ხარს, იდგა მუცელშევიარდნილი, მარცხენა ხელით წითელნაჭრიან ჯოხს დაყრდნობოდა, მარჯვენა პაერში შეემართა და ასე შესცქეროდა სულთმობრძავ პირუტყვს.

პილარი ხედავდა, თუ როგორ მისჩერებოდა აგი ხარს. ხარი ჯერ ცდილობდა არ დაცემულიყო, მერე შექანდა, როგორც მოჭრალი ხე, მერე ისევ გაიბრძოლა, რომ მიწაზე დამდგარიყო. პილარი ხედავდა ტანმორჩილი კაცის საზეიმოდ შემართულ ხელს. ხედავდა, როგორ დაეცაროდა ოფლით სახე, როგორი შვება იგრძნო, რადგან ყველაფერი მოთავდა. შვება იგრძნო, რადგან ხარი კვდებოდა. შვება იგრძნო, რომ საფროხე აღარ იყო. შვება იგრძნო, რადგან ხარს აღარ შეეძლო რქენა, თუმც სულ ახლოს იდგა მასთან. იდგა და თვალს არ აცილებდა, როგორ შეტორტმანდა ხარი, ზღართანით დაეცა

მიწაზე, ზურგზე გადავორდა, ოთხივე ფეხი პაერში შემართა და სული აღმოხდა. პილარი ხედავდა, როგორ გაემართა ლობისკენ ეს ტანმოკრძალი, მზემოკიდებული კაცი. დაღლილი და გაუღიშარი.

პილარმა იცოდა, რომ ფინიტო ვერ გაიქცეოდა არენაზე, თუნდაც მისი სიცოცხლე ამაზე ყოფილიყო დამოკიდებული. მიდიოდა ლობისკენ, ხელო, პირსახოცით იმშრალედა პირს. მერე პილარს შეხედა, თავი კვანძოვით შეიმშრალა სახე პირსახოცით და საზეიმო შემოვლას შეუდგა.

პილარი ხედავდა, როგორ დინჯად მიდიოდა იგი, მიათრევდა ფეხებს, იღიმებოდა, თავა უკრავდა ხალხს, ისევ იღიმებოდა. თანაშემწეები მოპყვებოდნენ უკან, იხრებოდნენ, სიგარებს კრეფდნენ მიწიდან და ქუდებს ხალხში ისროდნენ. ის კი — მიდიოდა წინ, თვალსევდიანი და მომღიშარი, რომ შემოვლა პილარის წინ დაემთაფრებინა. ახლა, როცა პილარმა მოიხედა, ის ხის ლობეზე იჯდა და სახე პირსახოცში ჩაერგო.

ასე ხედავდა მას ახლა პილარი, ცეცხლის პირას მდგარი. მაშ კარგი მატადორი არ იყო? ეს რა ხალხში ვარ? — თქვა ბოლოს.

— კარგი მატადორი იყო, — თქვა პაბლომ, — ოღონდ დაბალი ტანი უშლიდა ხელს.

— თანაც ჭლექიანი იყო, — თქვა პრიმიტივომ.

— ჭლექიანიო? — თქვა პილარმა. — ვინ არ იქნებოდა ჭლექიანი ისეთი სასჯელის შემდეგ. რაც მან მიიღო? ამ ქვეყანაში, სადაც არც ერთ ღარიბ კაცს ფულის შოვნის იმედი არა აქვს, თუ ხუან მარჩივით ბოროტმოქმედი არ არის, ან ტორეადორი, ან ტენორი ოპერაში; როგორ არ უნდა ყოფილიყო ჭლექიანი? ამ ქვეყანაში, სადაც ბურჟუები იმდენს ჭამენ, რომ დაშალსულაანებს სოლიახი წყლის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ. ხოლო ღარიბები დაბადებიდან სიკვდილამდე მშივრები არიან, როგორ არ უნდა ყოფილიყო ჭლექიანი? ვისაც არ უნდა ემგზავრა მესამე კლასის ვაგონის სკამებს ქვეშ, რომ გზის ფული არ გადაეხადა და ისე ეწოწიალა ერთი ბაზრობიდან მეორეზე, და ბავშვობიდან ასე ესწავლა ბრძოლა, მტვერსა და ნაგავში, ნაფურთხებში, განა ჭლექიანი არ იქნებოდა, მით უმეტეს, თუ მის მკერდს ხარის რქაც არ დააკლდებოდა.

— ცხადია, — თქვა პრიმიტივომ. — მხოლოდ ისე ვთქვი, ჭლექიანი იყო მეთქი.

— რასაკვირველია, ჭლექიანი იყო, — თქვა პილარმა. იდგა და დიდი ხის ჩამჩა ეჭირა ხელში. — ტანმოკრძალიც იყო. წვრილი ხმა ჰქონდა და ხარების შიში. არავინ მინახავს ასე შეშინებული ხარებთან ბრძოლის წინ და არც არავინ მინახავს ესოდენ გულადი ბრძოლის დროს. შენ, — მიმართა მან პაბლოს, — სიკვდილის გეშინია ახლა. დიდ რამედ მიგაჩნია. ფინიტოს ყოველთვის ეშინოდა სიკვდილს, მაგრამ ასპარეზობაზე ყოველთვის ლომივით იყო.

— გულადი კაცის სახელი ჰქონდა, — თქვა მეორე ძმამ.

— მე კი არავინ შემხვედრია ასეთი მშიშარა, — თქვა პილარმა. — სახლში ხარის თავს არც აჩერებდა. ერთხელ ვაღიადოლიდში ბაზრობაზე შესანიშნავად მოკლა პაბლო რომეროს ხარი...

— მეც მახსოვს, — თქვა პირველმა ძმამ. — იმ ასპარეზობაზე ვიყავი. საპნისფერი ხარი იყო, მუბლდალარული და გრძელრქებიანი. ოცდაათ არო-

პაზე მეტს იწონიდა. ეს იყო უკანასკნელი ხარი, რომელიც მან ვალიადო-
ლოდში მოკლა.

— მართალია, — თქვა პილარმა. — და ამის მერე ენთუზიასტების კლუბს
ფინიტოს სახელი ეწოდა. ამ კლუბის წევრები კაფე „კოლონში“ იკრიბებოდ-
ნენ. მათ პატარა ბანკეტი გაუმართეს ფინიტოს და ხარის თავი მიკრულა სა-
ჩუქრად. ვიდრე ქეიფობდნენ, ხარის თავი კედელზე ეკიდა, უკუღრმად და
ბული. მეც იმ ვიყავი. სხვაც ბევრი იყო. პასტორაც იყო, რომელიც ჩემზე
შახინჯია. კიდევ ნინია დე ლა პიენესი, კიდევ ბოშები და მაღალი კატეგო-
რიის როსკიპები. პატარა ვახშამი იყო, მაგრამ ძალიან დაძაბული და ხმაური-
ანი, რადგან პასტორა და ერთი სახელმოხვეჭილი კახბა განუწყვეტლივ კამა-
თობდნენ ქცევის წესებზე. მე კი ბედნიერად ვგრძნობდი თავს, ვიჭექი ფინი-
ტოს გვერდით და მაშინ შევნიშნე, რომ თვალს ვერ უსწორებდა ხარის თავს,
რომელსაც წითელი ზეწარი ეფარა, როგორც წმინდანებს ეკლესიაში — ჩვენი
ყოფილი დმერტის ვნების კვირას.

ფინიტო ბევრს არ ჭამდა palotazo-ს შემდეგ, რომელიც მან სარაგოსაში
უკანასკნელი ასპარეზობის დროს მიიღო. palotazo ხარის რქის ბრტყლად
დარტყმას ნიშნავს. გულწასული დაეცა მაშინ და მას შემდეგ საჭმელი არ
უჩერებოდა კუჭში. ცხვირსახოცს იფარებდა პირზე და მთელი ვახშამის გან-
მავლობაში სისხლს ადებინებდა დროდადრო. რას ვამბობდი?

— ხარის თავით, — შესძახა პრიმიტივომ, — ხარის თავის ფიტულზე ამ-
ბობდი რაღაცას.

— პო, — თქვა პილარმა. — პო, მაგრამ უნდა დაწვრილებით ვიამბოთ,
რომ ყველაფერი თვალნათლივ დაინახოთ. ფინიტო არასდროს არ იყო განსა-
კუთრებით მხიარული. ბუნებით გულჩახრობილი იყო და როცა მარტო
ვრჩებოდით, გაცინებული არ მინახავს. ძალიან სასაცილო რამეზეც კი არ
იცინოდა, მეტისმეტად სერიოზულად უდგებოდა ყველაფერს. თითქმის ისე-
თივე სერიოზული იყო, როგორც ფერნანდო. მაგრამ იმ საღამოს მოყვარუ-
ლთა კლუბის წევრებს ფინიტოს კლუბში მოეყარათ თავი და არ შეიძლებოდა
ფინიტო მხიარულად და მეგობრულად არ შებვედროდა მათ. მთელი ვახშამის
განმავლობაში მეგობრულად ესაუბრებოდა და იღიმებოდა. მხოლოდ მე,
ერთადერთმა, შევნიშნე, თავის ცხვირსახოცს რას უშვრებოდა. სამი ცხვირ-
სახოცი ჰქონდა თან და სამივე დასვარა. მერე მომიბრუნდა და ჩურჩულით
მითხრა:

— მეტს ვეღარ ვაკუძლებ. მგონი, უნდა წავიდე.

— წავიდეთ, — ვუთხარი, რადგან ვატყობდი, რომ ძალიან იტანჯებოდა.
ამ დროს ბანკეტზე დიდი აურზაური და მხიარულება იყო.

— არა, ვერ წავალ, — მითხრა ფინიტომ. — ბოლოს და ბოლოს, ამ კლუბს
ჩემი სახელი ეწოდა და ვალდებული ვარ, აქ ვიყო.

— თუ ავად ხარ, წავიდეთ, — ვუთხარი მე.

— არა, — თქვა მან, — დაერჩები. მომაწოდე ერთი ეგ მანსანილია.

— ჩემის აზრით, სასულელე ქნა, რომ მშიერ კუჭზე დალია. მით უმე-
ტეს, ისეთ დღეში იყო! მაგრამ როგორც ეტყობოდა, ვეღარ იტანდა ამდენ
ხმაურს, აურზაურსა და მხიარულებას უღვანოდ. თითქმის ერთი ბოთლი

მანსანილია დასცალა. ახლა, როდესაც ცხვირსახოცები გამოელა, ხელსახოცებს ხმარობდა.

— ამ დროისათვის ბანკეტმა მხარულეების მწვერვალს ძიარწა, ზოგიერთი, შედარებით მსუბუქი როსკიპი, კლუბის წევრებს მხრებსე შემოესვათ და მაგიდების გარშემო ატარებდნენ. პასტორა განუწყვეტლად მდებარეობდა. ელნინიო რიკარდო გიტარაზე უკრავდა. ეს იყო გულისამაზებელი სიმღერა. მხარულეები და სიმთვრალით გამოწვეული მეგობრული გრძნობების უმაღლესი გამოვლინება. იშვიათად მინახავს ბანკეტზე ასეთი ბოშური გახელება. თუმცა ხარის თავიდან პირბადე ჯერ კიდევ არ მოეხადათ. ეს კი ბანკეტის მოწყობის მთავარი მიზეზი იყო.

— მე ისე აღფრთოვანებული ვიყავი, ისეთი გულმოდგინებით ვუკრავდი ტაშს რიკარდოს და ნინია დე ლოს პიენესს სირღერის დროს, ისეთი გატაცებით ვხელმძღვანელობდი ტაშისკერას, რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ დასვარა ფინიტომ თავისი ხელსახოცი და ჩემსას მიუბრუნდა. ის ახლა განუწყვეტლივ სვამდა მანსანილიას, თვალები უბრწყინავდა და ბედნიერი სახით უკრავდა თავს ყველას. ბევრი ლაპარაკი არ შეეძლო, რადგან ლაპარაკის დროს შეიძლება ხელსახოცი დასკირებოდა. მაგრამ საოცრად მხარული და კმაყოფილი გამომეტყველება პქონდა. ბოლოს და ბოლოს, ეს იყო მთავარი.

— ასე გრძელდებოდა ბანკეტი. ჩემს გვერდით რაფაელ ელ გალოს ყოფილი მენეჯერი იჯდა და რაღაც ამბავს მიაშობდა, რომელაც ასე მთავრდებოდა:

— პოდა, რაფაელი მოვიდა ჩემთან და მითხრა — შენ ხარ ჩემი საუკეთესო და უერთგულესი მეგობარი. ძმასაკით მიყვარხარ და მინდა, რაიმე ვისახსოვრო, მითხრა და ბრილიანტის ლამაზი ქინძისთავი მაჩუქა. მერე ორივე ლოყაზე მაკოცა და ორივეს გული აგვიჩუყდა. რაფაელ ელ გალომ ეს ბრილიანტის ქინძისთავი მაჩუქა და კაფედან გავიდა. მე მაგიდასთან პქლომ რეტანას ვუთხარი: — იმ ბინძურმა ბოშამ სხვასთან დადო ხელშეკრულება.

— მაგით რა გინდა თქვა? — მკითხა რეტანამ.

— ათი წელიწადია მაგასთან ვმუშაობ და მისგან საჩუქარი არ მახსოვს, — თქვა ელ გალოს მენეჯერმა. — ნამდვილად ასეა. — მართლაც ასე იყო. ასე წავიდა ელ გალო მისგან.

სწორედ ამ დროს პასტორა ჩაერია საუბარში, რასაკვირველია, არა რაფაელის დასაცავად, რადგან ყველაზე მეტად ის აგინებდა რაფაელს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მენეჯერმა ბოშები უდაურად მოიხსენია და ბინძური უწოდა მათ. ისეთი ძალით შემოიჭრა საუბარში და ისეთი სიტყვებით, რომ ამა ჩაუკმინდა მენეჯერს. ვცადე, დამემშვიდებინა პასტორა, ვილაც სხვა ბოშა ქალი მე მამშვიდებდა და ისეთი გუგუნი იღვა, რომ არც ერთი სიტყვა არ ისმოდა გარკვევით, გარდა ერთისა — „კახპა“, რომელიც ყველა სხვა სიტყვას ფარავდა. შემდეგ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. სამივე მოჩუბარი თავდახრილები ვისხედით მაგიდასთან და ჭიქებს ჩავყურებდით. უცებ შევნიშნე, რომ ფინიტო შიშისზარდაცემული მიშტერებოდა წითელი ტილოთი შესუდრულ ხარის თავს.

სწორედ ამ დროს კლუბის პრეზიდენტმა სიტყვა წამოიწყო, რაც ტილოს მოხსნას უძღვას ხოლმე წინ. მთელი ამ სიტყვის განმავლობაში, რომელსაც ვანუწვევტლივ თან სდევდა ტაშისცემა, Ole-ს ძახილი და მაგიდაზე ბრა-ხუნი, თვალს არ ვაცილებდი ფინიტოს, ახლა მას ჩემი ხელსახოცი ჰქონდა პირზე აფარებული, სავარძელში ღრმად ჩამძვრალიყო და, შიშისაგან მოწყურ-ხული, მოპირდაპირე კედელზე წითლად შესუდრულ ხარის მკაფის მშვენიერე-ბოდა.

სიტყვის დასასრულს თავის ქნევა დაიწყო და უფრო ღრმად ჩააგრა სავარძელში.

— როგორა ხარ, ჩემო პატარავ? — ჩავეკითხე, მაგრამ როდესაც შემომ-ხედა, ვერ მიცნო, თავი გააქნია და წაიღულლულა — არა, არა, არა.

პრეზიდენტმა სიტყვა მოათავა, საყოველთაო ვაშას ძახილში სკამზე შედ-გა, მისწვდა თოკს, რომლითაც ხარის თავზე ტილო იყო დამაგრებული, ფრთხილად ჩამოსწია დაბლა წითელი ნაჭერი და, ის იყო, მოლიანად უნდა მოეხსნა, რომ ნაჭერი ხარის რქას გამოედო; პრეზიდენტმა მალლა აიქნია ნაჭერი და ხარის დაბლაბა რქებიდან ჩამოხსნა. ეს იყო უზარმაზარი ყვითელი ხარის თავი, დაგრებილი, წინ წაზიდული შავი რქებით; რქის წვერები თეთრი იყო და წვეტიანი, მაჩვ-ზღარბას ეკალიყთ. ცოცხალივით ეკიდა თავი, შუბლი ისეთივე დაღარული ჰქონდა, როგორც სიცოცხლეში, ნესტოება დაბერილი და თვალები მბზინვარე. ხარი პირდაპირ ფინიტოს უყურებდა.

ყველანი ყვიროდნენ და ტაშს უკრავდნენ, ფინიტო კი თანდათან უფრო ღრმად მიძვრებოდა სავარძელში. მერე ყველანი გაჩუმდნენ და მისკენ მობ-რუნდნენ. მან კი, შეხედა თუ არა ხარის თავს, უკან დაიბია და შეჰკივლა—არა, არა, არა! სისხლი მოადგა პირზე. ხელსახოცის აფარების თავიც არ ჰქონდა, სისხლი ნიკაპზე ჩამოსდიოდა. თვალს არ აცილებდა ხარის თავს და ამბობდა:— მთელი სეზონი ვიტან, ფულისთვის, საჭმელისთვის! მაგრამ ჭამა აღარ შემად-ლია, გესმით? კუჭი მტკივა. ახლა კი, როცა სეზონი დაშთავრდა — არა, არა, არა!—მან მაგიდას გადახედა, მერე ისევ ხარის თავს, კიდევ ერთხელ თქვა— არა!—დახარა თავი, ხელსახოცი აიფარა და ისე იჯდა უსატყვოდ, გაუნძრევ-ლად, ხოლო ბანკეტი, რომელიც ასე კარგად დაიწყო და მზიარულებითა და მე-გობრული განწყობილებით უბადლო უნდა ყოფილიყო, ასე ჩაიშალა.

— რა დენი ხნის მერე მოკვდა? — იკითხა პრიმიტივომ.

— იმავე ზამთარს, — თქვა პილარმა, — სარაგოსაში მიღებული დარტყმის შემდეგ ვეღარ გამოკეთდა. ეს რქაზე წამოგებაზე უარესია, რადგან შინაგან დაზიანებას იწვევს და არ რჩება. ის თითქმის ყველა ბრძოლაში იღებდა თითო ასეთ დარტყმას და ამიტომ არ ჰქონდა მეტი წარმატება. ძნელი იყო მისთვის რქისგან თავის დაღწევა, რადგან ტანმორჩილი იყო. თითქმის ყოველთვის ხვდე-ბოდა რქა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მსუბუქად.

— თუ ასე ტანმორჩილი იყო, არც უნდა ეცადა მატადორობა, — თქვა პრიმიტივომ.

პილარმა რობერტ ჯორდანს შეხედა, თავი გააქნია და ასე თავის ქნევით რკინის ქვაბს მიუბრუნდა.

— ეს რა ხალხია, — ფიქრობდა პილარი. — რა ხალხია ეს ესპანელები. თუ ასე ტანმორჩილი იყო, მატადორობა არ უნდა ეცადაო. მე კიდევ ასეთი რამე

მესმის და არაფერს ვამბობ, არ ვბრაზდები. ახსნა-განმარტებას ვაძლევ და ვჩუმდები. რა ადვილია ლაპარაკი, როცა კაცმა არაფერი არ იცის. *«Qué sencillo!»*. არაფერი არ იცის და ამბობს, ვერაფერი შვილი მატადორო იყო. მეორემ არაფერი იცის და ამბობს, ჭლექიანი იყო. მეამე კი, როდესაც მას საქმის მცოდნე ყველაფერს აუხსნის, აჲ ამბობს, თუ ტანმორჩილი იყო, მატადორობა არ უნდა ეცადაო.

ახლა ცეცხლის პირს დახრილი პილარი ნათლად ხედავდა მზით შერუჯულ შიშველ ტანს ლოვინში, დაღვლარქნილა ნატრილობევეებით ორივე თუძოზე, ღრმად პირდაღებულ ღრუს ნეკნებს ქვემოთ, მარჯვენა მკერდზე და გვერდის გასწვრივ თეთრსა და გრძელ ნატრილობევს, რომელიც ილლიის ქვეშ მთავრდებოდა. ხედავდა თვალუბრაბუქულ, სევდიან, შერუჯულ საბეა, შუბლიდან გადაყრილ ხუჭუჭ თმას. ახლა მის საწოლზე იჯდა პილარი, ფეხებს უზღელდა, წვივის დაჭიმულ კუნთებს უსრესდა მუშტებიათ, შვებას აძლევდა დაძაბულ კუნთებს.

— ახლა როგორა ხარ, — ეკითხებოდა. — როგორა გაქვს ფეხები, ჩემო პატარავ?

— კარგად, პილარ, — ამბობდა ფინიტო და თვალს არ ახელდა.

— გიხდა მკერდი დაგიზილო?

— არა, პილარ, შენი ჭირიმე. ხელს ნუ მახლებ.

— ბარდაყები?

— არა, ძალიან მტკივა.

— მაგრამ როცა დაგიხელ და მალამოს დაგადებ, გაგიოთბება და უკეთ იქნები.

— არა, პილარ; გმადლობ. მირჩევნია, ხელი არ მახლო.

— მაშინ სპირტით დაგბან.

— ჰო, ოღონდ ძალიან ფრთხილად.

— შეუდარებელი იყავი ამ უკანასკნელ ბრძოლაში, — ეუბნებოდა პილარი და ისიც მიუგებდა:

— ჰო, ძალიან ლამაზად მოგვალი.

მერე დაბანდა, ზეწარს დაახურავდა და გვერდით მიუწევებოდა.

ფინიტო შერუჯულ ხელს საბნიდან ამოიღებდა, შეეხებოდა და ეტყოდა: — შესანიშნავი ქალი ხარ, პილარ! — ეს თითქმის ხუმრობით იყო ნათქვამი. შემდეგ ნაბრძოლს ჩაეძინებოდა, პილარი კი მის გვერდით იწვა, ორივე ხელით ეჭირა მისი ხელი და ყურს უგდებდა მის სუნთქვას.

ძილში ხშირად შფოთავდა ფინიტო, ხელს წაუჭერდა პილარს და ოფლით დაეცვარებოდა შუბლი. თუ გაეღვიძებოდა, პილარი ეტყოდა: — ნუ გეშინია, არაფერია. — და ისევ განაგრძობდა ძილს. ასე იყო პილარი მასთან ხუთი წლის განმავლობაში და არასდროს არ უღალატია მისთვის. თითქმის არასდროს დასაფლავების შემდეგ პაბლოს შეხვდა. პაბლოს საპიკადორო ცხენები მოჰყავდა არუნაზე და საოცრად ჰგავდა ყველა იმ ხარს, რომლებსაც ფინიტო კლადა. მაგრამ არც ხარის ძალამ გაძლოდა არც ხარის სიმამაცემ გასტანა

1 რა ადვილია!

დიდხანს. ეს კარგად იცოდა პილარმა ახლა. მაშ რაღამ გაძლო? — მე გავძე-
ლით, — გაიფიქრა მან. დიან, გავძელი, მაგრამ რისთვის?

— მარია, — თქვა მან, — საქმეს მიხედუ. ცეცხლი საკმლის მოსაწაღებ-
ლად გვინდა, ქალაქის დასაწვავად კი არა.

სწორედ ამ დროს ბოშა შემოვიდა კარში. თოვლით იყო დაფარული.
თოფი ეჭირა და თოვლს იბერტყავდა ფეხებიდან.

რობერტ ჯორდანი წამოდგა და კარისკენ გაეშურა. — *ბრძანდები* —
ჰკითხა მან ბოშას.

— ექვს-ექვს საათს გუშაგობენ და ერთ ჯერზე ორი კაცი ღვას დიდ ხილ-
თან, — უთხრა ბოშამ. — სულ რვა კაცია და ერთი კაპრალი გზის შემკეთებ-
ლის ქობში. აჰა, გამომართვი შენი ქრონომეტრი.

— იმ საგუშაგოზე რას იტყვი, სახერხ ქარხანასთან რომ არის?

— იქ მოხუცია. საგუშაგოსაც ღარაჯობს და გზასაც.

— გზაზე რა ხდება? — ჰკითხა რობერტ ჯორდანი.

— ჩვეულებრივი მოძრაობაა, — მიუგო ბოშამ, — არაფერი განსაკუთრე-
ბული. რამდენიმე მანქანამ ჩაიარა.

ბოშა გათოშილი ჩანდა, სახე გაცრეცილი ჰქონდა და ხელები გაწითლე-
ბული. ჯერ კიდევ შემოსასვლელში იდგა. ქურთუკი გაიძრო და დაბერტყა.

— მანამ ვიცდიდი, სანამ გუშაგი არ გამოცვალებს, — თქვა მან. — გამო-
ცვალებს ერთხელ თორმეტზე და მეორედ ექვსზე. დიდხანს უწევთ გუშაგობა.
კიდევ კარგი, იმათ არშიაში არა ვარ.

წამოდი, მოხუცი ვნახოთ, — უთხრა რობერტ ჯორდანი და ტყავის
ბალტო ჩაიკვა.

— მე არა, — თქვა ბოშამ. — მე ახლა ცეცხლა მინდა და ცხელი სუბი.
ერთ-ერთ ამათგანს აეუხსნი, სადაც არის და წამოგყვება. პეი, თქვეს, უქნარე-
ბო, — მიმართა მან მაგიდასთან მჯდომ მამაკაცებს, — რომელი წაყვებით
Inglés-ს საგუშაგოზე მოხუცთან?

— მე წავალ, — ფერხანდო წამოდგა. — თლონდ მითხარი, სად არის.

— ყური დამიგდე, — უთხრა ბოშამ. — იცი, სად არის... — და მან უთხრა
ფერხანდოს, სად იდგა მოხუცი ანსელმოს საგუშაგოზე.

თ ა ვ ი მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე

ანსელმოს დიდ ხეს ამოფარებოდა და თოვლიანა ქარბუქი ორივე მხრიდან
უბერავდა. ხეს მიკრობოდა და ხელები ქურთუკის სახელოებში დაეშალა.
ჯვარედინად შეეყარა ხელები სახელოებში და კისური საყელოში ჩაეჭვრინა,
რაც შეიძლებოდა ღრმად. — თუ დიდხანს მომახდა აქ დარჩენა, გავიყინები, —
გაიფიქრა მან. — რატომ უნდა გავიყინო? Inglés-მა მითხრა, სანამ არ შეგ-
ცვლიან, იქ იყავით, მაგრამ მაშინ არ იცოდა, რომ ქარბუქი ამოფარდებოდა.
არც უჩვეულო მოძრაობაა გზაზე. ვიცი განლაგებაცა და წესებიც ამ საგუშა-
გოსი, გზის იქით, სახერხ ქარხანასთან რომ არის. წავალ ახლა ბანაკში. ვისაც
ჰკუთნა აქვს, ყველა უნდა ფიქრობდეს, რომ ბანაკში დავბრუნდები. კიდევ ცოტა
ხანს ვიქნები, — გაიფიქრა მან, — და მერე წავალ. ეს ყველაფერი ზედმეტად

მკაცრი ბრძანებების ბრალია. გარემოებათა ცვლილებებს სულ არ იღებენ მხედველობაში. მან ტერფები ერთმანეთს გაუხაბუნა, მერე სახელოებიდან ხელები გამოიღო, დაიხარა და ფეხები დაიწილა. შემდეგ შეტყუებული ტერფები დაისრისა, რომ სისბლი აემოძრავებინა. ხეს შეტყუებული ქარი არ სცემდა და ნაკლებ სციაოდა, მაგრამ მალე უნდა გასდგომოდა.

ფეხებს რომ იზელდა ჩაცმული, მანქანის ხმა მოესმა უცებ. საბურავებს ჩაჭეები ჰქონდა გაკეთებული. ჩაჭვს ერთი თავი გამოხსნოდა და ელარუნით ეცემოდა მიწაზე. თოვლით დაფარულ გზაზე მანქანა ჩანდა, მწვანედ და ყავისფრად შეღებილი. ლურჯად შეღებილი ფანჯრებიდან არაფერი მოჩანდა. შეღებილ ფანჯარაში ადგილი იყო დატოვებული, რომ შიგ მსხდომთ გამოხედვის საშუალება ჰქონოდათ. ეს იყო ორი წლის წინათ გამოშვებული როლს როიაი, ქალაქში სასიარულო მანქანა, გენერალური შტაბის სამგზავროდ შენიღბული. მაგრამ ანსელმომ ეს არ იცოდა. ის ვერ ხედავდა ლაბალებში გახვეულ სამოფიცერს. ორნი უკანა ადგილებზე ისხდნენ, მესამე კი გასახსნელ სკამზე. ეს მოფიცერი ფანჯრის სილურჯიდან საჭვრეტში იყურებოდა, როდესაც მანქანამ ჩაიარა. მაგრამ ანსელმოს არ დაუნახავს. არც მოფიცერს დაუნახავს იგი.

მანქანამ სწორედ მის ქვევით ჩაიარა თოვლში. ანსელმომ მძლოლი შეამჩნია, სახედაუდაჟა და ფოლადის მუზარადიანი. ეს სახე და მუზარადი გარკვევით ჩანდა ლაბადის ფონზე. კიდევ ანსელმომ დაინახა წინწაწვერილი შაშხანის ლულა, რომელიც მძლოლის გვერდით მჯდომ შიკრიკს ეჭირა. როდესაც მანქანამ ჩაიარა გზაზე, ანსელმომ ჩალათის ჯიბიდან რობერტ ჯორდანის უბის წიგნაკიდან ამობეული ორი ფურცელი ამოიღო და მანქანა პირობითად ჩააწინა. ეს მეათე მანქანა მიდიოდა ზევით დღეს. ექვსმა ჩამოიარა, ოთხი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულყო. ეს არ იყო უჩვეულო მოძრაობა ამ გზაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ანსელმომ ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა ფორდებს, ფიატებს, ოპელებს, რენოლტებს და იმ დივიზიის შტაბის სიტროენებს, რომელსაც ყველა გასახლეული და ცეცხლის ხაზი ეკავა მთაში. ვერ არჩევდა როლს როისებს, ლანჩებს, მერსედესებს, გენერალური შტაბის იზოტებს. სწორედ ეს სხვაობა უნდა გაერჩია რობერტ ჯორდანს. ის რომ თვითონ მდგარიყო აქ მოხუცის ნაცვლად, სათანადოდ შეაფასებდა მალლა წასული მანქანების მნიშვნელობას, მაგრამ ჯორდანი იქ არ იყო, მოხუცი კი უბრალოდ იწინავედა თვითთულ მალლა წასულ მანქანას ფურცელზე.

ანსელმოს ახლა ისე შესცევდა, რომ გადაწყვიტა, უმჯობესია დაღამებამდე დაებრუნდეთ ბანაკში. გზის დაკარგვის კი არ ეშინოდა, აზრი არა აქვს დარჩენასო — ფიქრობდა. ქარი ძლიერდებოდა თანდათან და ისევ ისე ბარდნიდა. მაგრამ როდესაც წამოდგა, ფეხები დააბაკუნა და გზაზე ჩამოცვენილ თოვლის ფიფქებს შეხედა; აღარ აუყუა მათის ფერდობს და ფიქვის ხეს ამოეფარა.

მიოხრა, დარჩიო, — გაიფიქრა მან. — შესაძლოა, ახლა აქეთ მოდის და მე რომ წავიდე, ვაითუ გზა აერიოს ჩემს ძებნაში. მთელი ამ ომის განმავლობაში უდისციპლინობამ და ბრძანებების დაუმორჩილებლობამ ბევრი რამ მოგვიტანა ცუდა. დავუცდი Inglés-ს. მაგრამ თუ მალე არ მოვა, ბრძანების მიუხედავად, მაინც წავალ. ხომ უნდა მოვახსენო, როგორია მდგომარეობა. გარდა ამისა, ამ დღეებში ბევრი საქმე მაქვს და ასეთ დროს აქ გაყინვა ზედმეტია და უაზრო.

გზის გადაღმა, სახერხი ქარხნის საკვამურიდან ბოლი ამოდინდა და თოვლიან ქარს მისი სუნი ანსელმოსთან მოჰქოხდა. თბილად არიან ფაშისტები, — გაიფიქრა მან. მყუდროდ არიან, მაგრამ ხვალ საღამოს ამოვინჯავთ. უცნაურია, ფიქრიც არ მინდა ამაზე. მთელი ღღე ვუთვალავალეზდი. ჩვენნი არიან ადამიანები არიან. ისიც კი მჭერა, ახლა რომ ქარხანაში მივიდეთ, მათთან დავაკაკუნო, კარგადაც მიმიღებდნენ, ხაბრძანები რომ არ ჰქონდნენ, ყველა გამვლელი შეამთწმონ და საბუთები მოსთხოვონ. მხოლოდ ბრძანებები დგას ჩვენს შორის. ისინი ფაშისტები არ არიან. არ არიან, თუმცა ასე ვეძახი მათ. ჩვენსავეით საწყალი ხალხია. არ უნდა გვებრძოდნენ. არ მინდა მათ მოკვლანზე ფიქრი.

ამ საგუშაგოზე გალისიელები დგანან. ღღეს წუთადღისას მივხვდი მათი ლაპარაკის კილოთი. სამსახურს თავს ვერ ანებებენ იმიტომ, რომ ოჯახებს ამოუწყვეტენ. გალისიელები ან ძალიან ჭკვიანები არიან, ან ძალიან ბირუტყვეები. ორივე ტიპის მინახავს. ლისტერიც გალისიელია, იმავე ქალაქიდან, საიდანაც ფრანკო. ნეტა, რას ფიქრობენ გალისიელები, თოვლს რომ ხედავენ წელიწადის ამ დროს. მათ ხომ ასეთი ძალაღობები არა აქვთ. იმათ ქვეყანაში მუდამ წვიმს და სიმწვანება.

სახერხი ქარხნის ფანჯარაში სინათლე გამოჩნდა. ანსელმოს გააფრთხილა და გაიფიქრა, ჯანდაბას იმ Inglés-ის თავი და ტანი! აგერ, გალისიელები თბილად მოყუჩებულან ჩვენს ქვეყანაში, მე კი ხესთან ვიყინები. და საერთოდ მხეცეებით ბუნაგში ვცხოვრობთ, მაგრამ ხვალ ბუნაგიდან გამოვარდებიან მხეცეები, — გაიფიქრა მან, — ესენი კი საბნებში თბილად გახვეულები მოკვდებიან. ასევე არ იყო ოტეროში, თავს რომ დაეფსხით იმ ღამეს. — მაგრამ ოტეროზე ფიქრი არ ესია მოვინა.

იმ ღამეს მან პირველად მოკლა ადამიანი და ინატრა, ნეტავ არ დამჭირდესო კაცის მოკვლა ამ საგუშაგოების განადგურების დროს. სწორედ ოტეროში მოხდა, პაბლომ დანა რომ გაუყარა გუშაგს, როდესაც ანსელმომ საბანი გადააფარა თავზე. იმ გუშაგმა ანსელმოს ფეხში წაავლო ხელი და თან საბანში გამოხვეული კიოლა. ანსელმომ ხელით მოძებნა ის საბანში და მანამდე ჩებავდა დანით, სანამ გუშაგმა ხელი არ შეუშვა მის ფეხს და არ ჩაჩუმდა. გასაჩუმებლად მუხლს აჭერდა ყელზე და დანას ურტყამდა საბანში გახვეულს. ამ დროს პაბლომ ყუმბარა შეაგდო ფანჯრიდან ოთახში, სადაც გუშაგებს ესინათ. როდესაც ალი ავარდა, გეგონებოდა, მთელი სამყარო იწვისო — წითლად და ყვითლად, შენს თვალწინ. მერე ორმა ყუმბარამ იფეთქა კიდეც. პაბლო სწრაფად ისროდა ყუმბარებს ფანჯარაში და, პირველი ყუმბარისაგან გადარჩენილები, მაინც დაიხოცნენ. როდესაც მეორე ყუმბარა გასკდა, ეს იყო პაბლოს გმირობის ეამს, როცა ეს კაცი ტარტაროზივით მუსრავდა ქვეყანას. და ფაშისტთა არც ერთ საგუშაგოს მოსვენება არ ჰქონდა ღამით.

ახლა კი ისეა მოთავებული და წამბდარი, როგორც დაკოდილა ტახიო, — გაიფიქრა ანსელმომ. როდესაც დაკოდილა და ჭყვილი მოთავდებდა და ამოცლილ კვერცხებს გადაისვრიან, ტახი, რომელიც უკვე ტახი აღარ არის, მიწის თხრითა და ღრუტუნით მივარდება მათ და შესანსლივს. არა, პაბლო ასე ცუდიც არ არის. თურმე პაბლოზეც შეიძლება ზედმეტად ცუდი იფიქროს კაცმა. ისე კი, საკმაოდ საზიზღარია და საკმაოდ შეცვლილი.

ძალიან ცივა, — გააფიქრა მან. — ნეტავ Inglés-ი მოვიდოდეს და ნეტავ მეტად აღარ მომიხდეს კაცის მოკვლა. დაე, იმათ მოკლან ეს ოთხი ჯარისკაცი და ერთი კაპრალი, ვისაც კაცის კვლა უნდა. Inglés-მაც ასე თქვა, მგ კი გავაკეთებ, თუ დამავალებენ, მაგრამ Inglés-მა თქვა, ჩემთან ერთად იქნები ხიდზე და ამ საქმეს სხვები ვაკეთებენო. ხიდზე ბრძოლა იქნება და თუ ამ ბრძოლას გადავურჩი, ყველაფერი გაკეთებული შეგნება, რისი გაკეთებაც მსურს შეუძლია ამ ომში. ახლა კი მოვიდეს Inglés-ი, თორემ ძალიან მცივა. და როცა თბილად მოყუჩებული გალისიელების სინათლეს ვხედავ, უფრო მეტად ვგრძნობ სიცივეს. ხეტა ჩემს სახლში ვიყო ახლა და ომი მოთავებული იყოს. მაგრამ სახლი რომ არა გაქვს? — უთხრა მან თავის თავს. — უნდა მოვიგოთ ეს ომი, რათა სახლში დაებრუნდე, — გააფიქრა.

სახერხ ქარხანაში ერთი ჯარისკაცი საწოლზე იჯდა და ჩეტვებს ბოხავდა. მეორეს ეძინა. მესამე საჭმელს აკეთებდა, კაპრალი კი გაზუთა კითხულობდა. მათი მუხარადები კედელზე მიჭედებულ ლურსმნებზე ეკიდა, თოფები ფიცრულ კედელზე იყო მიყუდებული.

— ეს რა ქვეყანაა, სადაც ივნისშიც თოვა, — თქვა საწოლზე მჯდარმა ჯარისკაცმა.

— იშვიათი მოვლენაა, — თქვა კაპრალმა.

— ჯერ მაისის მთვარეში ვართ, — თქვა, საჭმელს რომ აკეთებდა, იმ ჯარისკაცმა. — ჯერ არ გამოცვლილა მაისის მთვარე.

— ეს რა ქვეყანაა, სადაც თუნდაც მაისში თოვს, — არ ისვენებდა საწოლზე წამომჯდარი ჯარისკაცი.

— მაისში თოვლი იშვიათი არ არის ამ მთებში, — თქვა კაპრალმა. — მაღრიდში ისეთი სიცივე მიგრძენია მაისში, როგორც არც ერთ სხვა თვეს.

— და ასეთივე სიცივეც, — თქვა, საჭმელს რომ ამზადებდა, იმ ჯარისკაცმა.

— დიდი კონტრასტების თვეა მაისი, — თქვა კაპრალმა. — აქ, კასტილიაში, მაისში ძალიან ცხელა, მაგრამ შესაძლებელია, ძალიანაც ციოდეს.

— ან წვიმდეს, — თქვა ლოგინზე მჯდარმა ჯარისკაცმა. — ამ მაისს თითქმის ყოველდღე წვიმდა.

— არა, — თქვა, საჭმელს რომ ამზადებდა, იმ ჯარისკაცმა. — თანაც ეს გახვლილი მაისი აპრილის მთვარისა იყო.

— კაცი შეიძლება გაგიჟდეს ამ შენი მთვარეების მოსმენით, — თქვა კაპრალმა. — თავი დაანებე მაგ მთვარეებს.

— ვინც მიწაზე და ზღვაზე ცხოვრობს, ყველამ იცის, რომ მთვარეა მთავარი და არა თვე, — თქვა, საჭმელს რომ ამზადებდა, იმ ჯარისკაცმა. — აი ახლა, ახლახან დაიწყო მაისის მთვარე, თუმცა უკვე ივნისი მოდის.

— მაშ, რატომ არ ვუცვლით დროებს სახელებს, — თქვა კაპრალმა, — ამ ამბავმა თავი ამატკივა.

— შენ ქალაქელი ხარ, — უთხრა მას, საჭმელს რომ ამზადებდა, იმ ჯარისკაცმა. — შენ ლუგოდან ხარ. შენ რა იცი ზღვასა და მიწის.

— კაცი ქალაქში ვაცილებით მეტს სწავლობს, ვიდრე თქვენ, წერა-კითხვის უცოდინარნი თქვენს ზღვასა და ხმელეთზე.

— ამ მთვარეში მოდის სარდინების პირველი წყება, — თქვა, საჭმელს რომ

ამზადებდა, იმ ჯარისკაცმა, — ამ მოვარეში სარდინებისათვის მოამზადებენ ნავეებს და დორადიც უკვე ჩრდილოეთისკენ იქნება წასული.

— რატომ ფლოტში არ მსახურობ, თუკი ნოიელი ხარ? — ჰკითხა კაპრალმა.

— იმიტომ რომ ნოიადან კი არ გამიწვიეს, არამედ ნეგრეირადან, სადაც დავიბადე. ხოლო ნეგრეირადან, რომელაც მდინარე ტამბრზე დასახლდნენ, ჯარში იწვევენ.

— ცუდია, — თქვა კაპრალმა.

— ნუ გგონია, რომ ფლოტში არ არის დაღუპვის საშიშროება, — თქვა ლოგინზე წამომჯდარმა ჯარისკაცმა. — გინდაც მტერს პირისპირ არ შეეება, მაინც სახიფათოა ეს ნაპირი ზამთარში.

— ჯარზე უარესი არაფერია, — თქვა კაპრალმა.

— არა გრცხვენია, კაპრალო, ასე რომ ლაპარაკობ, — თქვა, საჭმელს რომ ამზადებდა, იმ ჯარისკაცმა.

— არა, — თქვა კაპრალმა, — საფრთხეზე ვლაპარაკობ, საშიერო თავდასხმების ხანგრძლიობაზე, შეტევის აუცილებლობაზე, ბრუსტვერის ცხოვრებაზე.

— აქ ჯერ არ გვაწუხებენ მაინცდამაინც, — თქვა ლოგინზე მჯდარმა ჯარისკაცმა.

— ღმერთია მოწყალე, — თქვა კაპრალმა. — მაგრამ ვინ იცის, უბედურება როდის დაგვატყდება თავზე. ყოველთვის ზომ არ ვიქნებით ასე თავისუფლად.

— როგორ ფიქრობ, კიდევ რამდენ ხანს გვექნება ეს დავალება?

— არ ვიცი, — თქვა კაპრალმა, — მაგრამ ნეტა მთელი ომის განმავლობაში გაგრძელდებოდეს.

— ეჭვისი საათი ძალიან დიდი დროა საგუშაგოდ, — თქვა, საჭმელს რომ ამზადებდა, იმ ჯარისკაცმა.

— სანამ ეს ქარბუქი გრძელდება, სამსაათიანი საგუშაგო გვექნება, — თქვა კაპრალმა. — ეს ნორმალურია.

— ნეტა რას ნიშნავს ეს შტაბის მანქანები? — თქვა, საწოლზე რომ იჯდა, იმ ჯარისკაცმა. — არ მომწონს ეს შტაბის მანქანები.

— არც მე, — თქვა კაპრალმა. — ავის მომასწავებელია ასეთი რამეები.

— ახლა ეს თვითმფრინავები? — თქვა, საჭმელს რომ ამზადებდა, იმ ჯარისკაცმა. — ეს თვითმფრინავებიც ცუდის ნიშანია.

— ისე კი ჩვენ ძლიერი ავიაცია გვყავს, — თქვა კაპრალმა. — წითლებს სადა ჰყავთ ეგეთი ავიაცია. ამ დილით რომ თვითმფრინავებმა გადაიარეს, არ შეიძლებოდა კაცს სიხარული არ ეგრძნო მათ დანახვაზე.

— წითლების თვითმფრინავებიც მინახავს, — თქვა, საწოლზე რომ იჯდა, იმ ჯარისკაცმა, — ორმოტორიანი ყუმბარმშენები, შიშის ზარს რომ გვცემდნენ.

— კი მაგრამ, ისინი მაინც არ არიან ჩვენსავით ძლიერნი, — თქვა კაპრალმა. — შეუდარებელი ავიაცია გვყავს.

— ასე საუბრობდნენ ისინი სახერხ ქარხანაში, როდესაც ანსელმო ოთვლში იდგა, მათი ფანჯრებიდან მომავალ სინათლეს უყურებდა და იყინებოდა.

— ნეტავ არ დამჭირდეს კაცის მოკვლა, — ფიქრობდა ანსელმო. — მე მგონი, ომის შემდეგ დიდი მონანიება დაგვჭირდება კაცის კვლისათვის, რადგან რელიგია უკვე აღარა გვაქვს, მე მგონი, რაღაც სამოქალაქო ორგანიზაცია

უნდა ჩამოყალიბდეს, სადაც ყველას შეეძლება მკვლელობის ცოდვებისაგან განწმენდა. უამისოდ არასოდეს არ გვექნება ცხოვრების ჭეშმარიტი და აღამიანური საფუძველი.

მოკვლა აუცილებელია, ვიცი, მაგრამ ამასთანავე ძალიან ცუდია კაცის-თვის, და ვფიქრობ, როცა ყველაფერი ეს მოთავდება და უმს, მოვიგებო, რაიმე სახის მონახიება უნდა დაინიშნოს, რომ ცოდვებისგან განვიწმინდეთ.

ანსელმომ კარგი კაცი იყო და როდესაც დიდი ხნით რჩებოდა მარტო, მკვლელობის ამბავი ძალიან აწუხებდა, მარტოობა კი ხშირად უწევდა ხოლმე.

ეს Inglés-ი მაოცებს. — ფიქრობდა ის. — მკვლელობაზე თქვა, არ მაწუხებსო, თუმცა ძალიან მგრძნობიარე ჩანს და კეთილი. შესაძლებელია, ახალგაზრდებისათვის ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია, ან, აქნებ, უცხოელები სხვაგვარად უყურებენ ამას. მათ ხომ ჩვენი რჯული არა აქვთ. მე კი მგონია, ვინც არ უნდა ჩადიოდეს მკვლელობას, უთუოდ აღამიანურ თვისებებსაც დაკარგავს თანდათან. და რაც არ უნდა აუცილებელი იყოს, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს დიდი ცოდვაა, და აუცილებლად დიდი რამ უნდა გავაკეთოთ მის მოსანანიებლად.

ბნელოდა. მხოლოდ გზის გადაღმინდან ჩანდა სინათლე. ანსელმომ მკერდზე გაიხახუნა ხელები გასათბობად. — ახლა კი ნამდვილად წავალთ ბანაკში, — გაიფიქრა. მაგრამ მაინც რაღაც აკაეებდა იქ, ხის ქვეშ. თოვლში იმატა და ანსელმომ გაიფიქრა, ნეტავ ამაღამ შეგვეძლოს ხიდის აფეთქებაო. ასეთ ღამეში სულ ადვილი იქნება საგუშაგოების აღება და ხიდის აფეთქება. თან მოთავდებოდა ეს საქმე. რას არ გავაკეთებ ასეთ ღამეში.

იდგა ხის ძირას. ფეხებს აბაკუნებდა რბილად. ხიდზე უკვე აღარ ფიქრობდა. სიბნელეში ყოველთვით სიმარტოვეს გრძნობდა. და იმ ღამეს სიმარტოვისაგან ისეთი სიცარიელე იგრძნო, როგორც შიმშილისაგან. უწინ ამ სიმარტოვეს ლოცვებით ავსებდა. და ხშირად, ნადირობიდან დაბრუნებისას, უამრავ ლოცვას ამბობდა და უკეთ გრძნობდა თავს. მოძრაობის დაწყებიდან აღარც ერთი ლოცვა არ უთქვამს. ენატრებოდა ლოცვა. მაგრამ, შეუფერებელი და თვალთმაქცურიო, — ფიქრობდა. და, გარდა ამისა, არ უნდოდა ისეთი ნუგეში, რაც სხვებს არ ჰქონდათ.

— არა, — ფიქრობდა იგი. — მარტო ვარ, მაგრამ ზემსავით მარტოა ყველა ჯარისკაცი, ყველა ჯარისკაცის ცოლი და ყველა ის, ვინც ოჯახი და მშობლები დაკარგა. ცოლი არა მყავს. კიდევ კარგი, რომ მოძრაობის დაწყებამდე მოკვდა. მაინც ვერაფერს გაუგებდა ამ ამბავს. შეილები არა მყავს და არც არასოდეს მეყოლება. თუ არ ემუშაობ, დღისითაც მარტო ვარ ხოლმე, მაგრამ ღამე მაინც უფრო ძნელია მარტოობა. ერთი რამ მაინც მაქვს, რასაც ვერაფერ წამართმევს, ვერც კაცი და ვერც ღმერთი: რესპუბლიკისათვის ბევრი გავაკეთე. თავი არ დამიზოგავს კარგი საქმისთვის, რომლის შედეგსაც თანაბრად გავინაწილებთ მერე. მოძრაობის დასაწყისიდან სულ ასე ერთგულად ვმუშაობ და სასირცხვილო არაფერი ჩამიღვნია.

ერთადერთი, რაც მაწუხებს, ეს მკვლელობაა. მაგრამ, აღბათ, უსათუოდ იქნება მონანიების საშუალება. ისე ბევრს აწევს ეს ცოდვა. მინდა Inglés-ს ველაბარავო ამის შესახებ. მაგრამ ძალიან ახალგაზრდაა და, შესაძლებელია, ვერ გამოგოს. ერთბედა თვითონ წამოიწყო მკვლელობაზე ლაპარაკი, თუ შე

თვითონ დავიწყე, აღარ მაგონდება. ალბათ ბევრჯერ შემოხვევია კაცის მოკვლა, მაგრამ, არა მგონია, მოსწონდეს ეს საქმე. ვისაც ეს საქმე უყვარს, მათში ყოველთვის იგრძნობა გახრწნილება.

— მარათლაც დიდი ცოდვა უნდა იყოსო, — გაიფიქრა მან. — ეს არის ერთადერთი რამ, რისი უფლებაც ჩვენ არა გვაქვს. თუნდაც კუცხულებელი იყოს, როგორც ახლა შე მჯერა. ესპანეთში კაცის კვლა მეტად უფლებად ითვლება და ზოგჯერ ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე. ბევრია უსამართლობაც, რომლის გამოსწორება არასდროს არ შეიძლება. ნეტავ არ ვფიქრობდეთ ამაზე ამდენსო, — გაიფიქრა მან. — ნეტავ მარათლაც იყოს მონანიების საშუალება. რადგან ეს ერთადერთი დანაშაულია ჩემს ცხოვრებაში, რომლის გახსენებაც ზევ ცუდად ვბეძობი. განსაკუთრებით, როცა მარტო ვარ. ყველა სხვა დანაშაულის პატიება შესაძლებელია, კაცს შეუძლია გამოსიყიდოს იგი ქველმოქმედებით ან რაიმე სხვა პატიოსანი გზით. მაგრამ, ჩემის აზრით, მკვლელობა ძალიან დიდი ცოდვაა და მინდა კარგად გავერკვე ამაში. მომავალში ალბათ დადგება დღე, როდესაც შესაძლებელი იქნება სახელმწიფოსათვის მუშაობა ან სხვა რამის გაკეთება, რითაც აღამიანი ცოდვების მონანიებას შეძლებს. ესეც ალბათ რაიმე სახის გადასახადი იქნება, როგორც ეკლესიის დროს, — გაიფიქრა მან და გაიღიმა. ეკლესიას კარგი ორგანიზაცია ჰქონდა ცოდვების მოსანანიებლად. ამ ფიქრზე სიამოვნებისაგან გაეღიმა და ასე იღიმებოდა სიბნელეში, როდესაც რობერტ ჯორდანი თავს წამოადგა. მოხუცს არც შეუნიშნავს, ისე ჩუმად მოეპარა ჯორდანი.

— *Hola, viejo*¹, — ჩურჩულით თქვა რობერტ ჯორდანი და მხარზე ხელი დაჰკრა, — როგორა მყავს ბერიკაცი?

— გავივიწიე, — უთხრა ანსელმომ. ფერწანდო მათგან ოდნავ მოშორებით იდგა. თოვლი ზურგში სცემდა.

— წამოდი, — წაიჩურჩულა რობერტ ჯორდანი. — წამო ბანაკში და გათბი. დიდი ცოდვა იყო შენი აქ ამდენ ხანა დატოვება.

— აი, იმათი სინათლე, — უჩვენა ანსელმომ.

— გუშაგი სად არის?

— აქედან არ ჩანს. მოსახვევში დგას.

— ჯანდაბას მაგათი თავი, — თქვა რობერტ ჯორდანი. — ბანაკში ვილაპარაკეთ. წამო, წავიდეთ.

— მოიცა, გიჩვენო, — უთხრა ანსელმომ.

— მაგას ხვალ დილით ვნახავ, ახლა აი ეს აილე და მოსვი, — თქვა რობერტ ჯორდანი და მათარა მიაწოდა მოხუცს. ანსელმომ მოიყუდა და მოსვა.

— აუპ, — თქვა მან და ტუჩები მოიწმინდა. — ნამდვილი ცეცხლია.

— წამო, — სიბნელეში უთხრა მას რობერტ ჯორდანი, — წავიდეთ.

ახლა ისე ბნელოდა, რომ არაფერი არ ჩანდა, ფიჭვის ხეებისა და თოვლის ფანტელების მეტი. ფერწანდო მოშორებით იდგა ბორცვზე. — ერთი ამ სიგარების გამყიდველ იხდიელს დაძინებდე, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანი, — მე მგონი, მაგასაც უნდა მივაწოდო მათარა.

¹ ბერიკაცი.

— პეი, ფერნანდო! — თქვა მან და მისკენ წავიდა. — ერთი ყლუბი არ გინდა?

— არა, — მიუგო ფერნანდო. — გმადლობ.

მე თვითონ გმადლობ, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა. — რა მიხარია, რომ სიგარების გამყიდველი ინდიელები არ სვამენ. ცოტაღაა მათარაში დარჩენილი. ბიჭო, რა მიხარია ამ მოხუცის დანახვა, — ფიქრობდა რობერტ ჯორდანი. ერთხანს უყურობდა ანსელმოს და მერე, როდესაც გზას უახლოვდებოდა, დაჰკრა მხარზე ხელმეორედ.

— მიხარია, რომ გხედავ, viejo, — უთხრა მან ანსელმოს. — რაც უნდა ცუდ გუხედავ ვიყო, შენ რომ გხედავ, კარგად ვხდები. წამო, ავიდეთ იქ.

ისინი ბორცვზე მიჰქრებოდნენ თოვლში.

— დავუბრუნდეთ ბაბლოს სასახლეს, — უთხრა რობერტ ჯორდანმა ანსელმოს და ეს შესანიშნავად ედერდა ესპანურად.

— El Palacio del miedo, — თქვა ანსელმომ, — შიშის სასახლეს.

— La cueva de los huevos perdidos, — მხიარულად და მოსწრებულად შეაკვება რობერტ ჯორდანმა, — დაკარგული კვერცხების ბუნავს.

— როგორი კვერცხების? — იკითხა ფერნანდომ.

— ვხუმრობ, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ვხუმრობ. იმ კვერცხების კი არა, შენ რომ გვინა, სხვა კვერცხების.

— რატომ დაკარგული? — იკითხა ფერნანდომ.

— რა ვიცი, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — წიგნი წაიკითხე და გაიგებ, ან ბილარს ჰკითხე. — მერე ანსელმოს მხრებზე მოხვია ხელი, გულზე მიიკრა და შეანჯღრია. — გესმის? — უთხრა მან. — როგორ მიხარია, რომ გხედავ, გესმის? შენ არც კი იცი, რას ნიშნავს, ამ ქვეყანაში კაცი დასტოვო და იმავე ადგილას დაგხვდეს.

მათ შორის იმდენი ნდობა იყო და სიაბლოვე, რომ ცუდის თქმაც შეეძლო მის სამშობლოზე.

— მეც მიხარია, რომ გხედავ, — უთხრა ანსელმომ. — ცოტაც და წამოსვლას ვაპირებდი.

— რას წამოხვიდოდი, — თქვა რობერტ ჯორდანმა, — უშალ გაიყინებოდი.

— ზემოთ რა ამბავია? — იკითხა ანსელმომ.

— მშვიდობა, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ყველაფერი კარგად მიდის.

ამ წუთს იმ იშვიათ ბედნიერებას გრძნობდა, რომელიც ყველას უგრძვნია რევოლუციური არმიის მეთაურობის დროს. ბედნიერება იმისგან, რომ ერთი ფრთა მაინც მაგრად ღვას. ორივე ფრთა რომ მაგრად იყოს, ალბათ კაცი ვერც გაუძლებდა ამოდენა ბედნიერებას. არ ვიცი, თუ ვინმე გაუძლებდა ასეთ ბედნიერებას. მთელ ფლანგშიც რომ ეძიო, ბოლოს მაინც ერთი კაცი აღმოჩნდება სანდო, დიახ, მხოლოდ ერთი კაცი. არა, ამის თქმა არ უნდოდა. ანსელმომ სწორედ ის კარგი კაცია. ერთადერთი კარგი კაცი. ბრძოლას დროს ის ჩემი მარცხენა ფრთა იქნება, — გაიფიქრა მან. ჯერ არაფერს ვეცევი ამის შესახებ. ალბათ ხანმოკლე ბრძოლა გვექნება, მაგრამ უთუოდ ცხარე. ძალიან მინდოდა ერთხელ თვითონ გავძლოლოდი ასეთ ბრძოლას. აზენკურის ბრძოლიდან

დღემდე, მუდამ ვიცოდი რა იყო სწორი და რა არა, სხვის ომებში. ამჯერად მე უნდა გავხადო ეს ბრძოლა კარგი. ხანმოკლე უნდა იყოს, მაგრამ უბედლო: თუ, როგორც ვფიქრობ, ისე წავიდა საქმე, უთუოდ ჩინებული იქნება.

— გესმის? — უთხრა მან ანსელმოს, — მიხარია, რომ გხედავ.

— მე კი შენი ნახვა მიხარია, — უთხრა მოხუცმა. ისინი სიბუნჯეებში ბლრც-ვზე აღიოდნენ. ქარი ზურგში სცემდათ და ქარბუქი წინ უსწრებდათ. ანსელმომ აღარ გრძნობდა სიმართლევს. იმ წუთიდან, რაც Inglés-ი მოვიდა და მხარზე ხელი დაჰკრა, სიმართლევს აღარ გრძნობდა. კმაყოფილი იყო Inglés-ი, მხიარული, ერთად ხუმრობდნენ. კარგად მიდისო საქმე, ამბობდა Inglés-ი და ანსელმომ აღარ სწუხდა. სასმელისაგან სითბოს გრძნობდა მუცელში და სიარულისაგან ფეხებზეც აღარ სციოდა ისე ძალიან.

— ბევრს არ ჩაუვლია გზაზე, — უთხრა მან Inglés-ს.

— კარგი, — უთხრა Inglés-მა, — ბანაკში მიჩვენებ.

ანსელმომ ბედნიერი იყო ახლა. მეტად კმაყოფილი იმით, რომ საგუშაგოზე მოიციადა.

რომ დაბრუნებულიყო, არაფერი დაშავდებოდა. სწორი და ჭკვიანური საქციელიც იქნებოდა ასეთ ვითარებაში, — ფიქრობდა რობერტ ჯორდანი, მაგრამ უთხრეს და დარჩა. ასეთი რამ იშვიათია ესპანეთში. ასეთ ქარიშხალში საგუშაგოზე დარჩენა ბევრ რამეს ნიშნავს. განა ტყუილად აქვთ გერმანელებს შეტევისა და ქარიშხლისათვის ერთი და იგივე სიტყვა. ორიოდ ამის მსგავსი კაცი მჭირდება კადევ. ორი. ნეტავ ეს ფერნანდო თუ დარჩებოდა? შესაძლებელია. ბოლოს და ბოლოს, თავისი ნებით წამოვიდა. ნეტავ, დარჩებოდა? განა ეს კარგი არ იქნებოდა? საკმაოდ ჯიუტია, უნდა გამოველაპარაკო. მაინტერესებს, რაზე ფიქრობს ახლა.

— რაზე ფიქრობ, ფერნანდო? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა.

— რატომ მეკითხები?

— მაინტერესებს, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — დიდი ცნობისმოყვარე კაცი ვარ.

— ვახშამზე ვფიქრობდი, — თქვა ფერნანდომ.

— გიყვარს ჭამა?

— ჰო. ძალიან.

— როგორ მოგწონს პილარის საჭმელები?

— ისე რა, — თქვა ფერნანდომ.

— ნამდვილი კულიჯია, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა, — მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა მაქვს, რომ დარჩებოდა.

თოვლით დაფარულ ბორცვზე მიაბიჯებდნენ სამნი.

თ ა ვ ი მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე

— ელ სორდო იყო აქ, — უთხრა პილარმა რობერტ ჯორდანს. ქარბუქიდან კვამლიანი გამოქვამულის სითბოს შეეფარნენ. ქალმა თავის დაქნევით მოიხმო რობერტ ჯორდანი. — ახლა ცხენების საძებნელად წავიდა.

— კარგია. რამე ხომ არ დამიბარა?

— ცხენების საძებნელად წავედიო, მეტი არაფერი.

— მერე ჩვენ?

— No sé¹, — თქვა ქალმა. — შეხედე იმას!

რობერტ ჯორდანმა პაბლოს მოკრა თვალი, როდესაც შემოვიდნენ. პაბლომ გაუღრიჭა. ახლა ხის მაგიდასთან იჯდა. ჯორდანმა გაუღიმა და შეხედა დაუქნია

— Inglés, — დაუძახა პაბლომ. — ხომ ხედავ, ისევე ^{აქვე} Inglés.

რობერტ ჯორდანმა თავი დაუქნია.

— მომეცი, ფეხსაცმელებს გაგიშრობ, — უთხრა მარიამ, — აგერ იქ დაეკიდებ, ცეცხლთან.

— ფრთხილად, არ დაგეწვას, — უთხრა მას რობერტ ჯორდანმა. — ფეხშიშველი არ დამტოვო. რაშია საქმე? — მოუბრუნდა იგი პილარს. — კრებაა? გუშაგები რატომ არ გიდგას?

— ამ ქარბუქში?

მაგიდასთან ექვსნი ისხდნენ, კედელზე მიყრდნობილნი. ანსელმო და ფერნანდო ჯერ კიდევ თოვლს იწმენდდნენ ტანისამოსიდან, შარვლებს იბურტყავდნენ და ფეხებს ურტყამდნენ კედელს შემოსასვლელთან.

— მომეცი შენი ქურთუკი, — უთხრა მარიამ. — თოვლი არ უნდა შეაღწეს.

რობერტ ჯორდანმა ქურთუკი გაიხადა, შარვიდან თოვლი ჩამოიბურტყა და ფეხსაცმლის თასმები შეიწმინდა.

— ნუ მოწუწუ აქაურობა, — უთხრა მას პილარმა.

— შენ არ შემომიყვანე?

— მერე ასე ძნელია კარებამდე მიხვიდე და იქ დაიბურტყო?

— მამატიე, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ის ახლა ფეხშიშველი იდგა ქუჩიან იატაკზე. — მარია, წინდები მომიტეხე.

— ამ ბატონს დაიხვედე, — თქვა პილარმა და ცეცხლს შეშა შეუყვითა.

— Hay que aprovechar el tiempo, — უთხრა მას რობერტმა. — უნდა ისარგებლო დარჩენილი დროით.

— ჩაკეტილია, — თქვა მარიამ.

— აპა, გასაღები, — უთხრა მას რობერტმა და გასაღები გადაუგდო.

— ეს არ აღუბს ამ ჩანთას.

— მეორე ჩანთაშია. შედა განყოფილებაში, გვერდით. — გოგონამ წინდება იბოვა, ჩანთა დახურა, ჩაკეტა და გასაღები და წინდები რობერტ ჯორდანს მიუტანა.

— ახლა დაჯექი, წინდები ჩაიცვი და ფეხები კარგად დაიხილე, — თქვა მან, რობერტ ჯორდანმა გაუღიმა.

— იქნებ თმებით გამიშრო? — ჰკითხა მან პილარის გასაგონად.

— რა ლორია, — თქვა პილარმა. — ჯერ იყო და ბატონივით იქცეოდა, ახლა კი ჩვენი ყოფილი ღმერთივით. ჩასცხე ერთი მუგუზალი, მარია!

— არა, — უთხრა მას რობერტ ჯორდანმა. — კარგ გუნებაზე ვარ და ვხუმრობ.

¹ არ ვიცი.

² დრო უნდა გამოიყენო.

— კარგ გუნებაზე ხარ?

— კი, — თქვა მან. — მგონი ყველაფერი კარგად მიდის.

— რობერტო, — თქვა მარიამ, — წადი დაჯექი, ფეხები გაიმშრალე და რამეს მოგიტან დასალევს, რომ გათბე.

— გეგონება მაგ კაცს ფეხი არ დასველებია არისდროს, მარტო მანქანის ფიფქი დასცემია, — წაილაპარაკა პილარმა.

მარიამ ცხვრის ტყავი მოუტანა რობერტს და გამოქვაბულის ჰუმუსიანი იატაკზე ფეხქვეშ დაუგო.

— აჰა, — უთხრა მან. — ამაზე გედოს ფეხი, სანამ ფეხსაცმელები გაგიშრება.

ცხვრის ტყავი ახლად გამხმარი იყო და დაუმუშავებელი. რობერტ ჯორდანმა იგრძნო, როგორ პერგამენტივით აშრიალდა, როცა წინდებიანი ფეხი დადგა ზედ.

ცუცბალი ზრჩოლაგდა და პილარმა მარიამს გასძახა: — მოდი აქ, შე საძაგელო, და ცეცხლს შეუბერე. ეს საშაშხე კი არ არის.

— თვითონ შეუბერე, — უთხრა მარიამ. — შე იმ ბოთლს ვეძებ, ელ სორდომ რომ დატოვა.

— მაგის ჩანთების უკან არის, — უთხრა პილარმა. — რას ელოლიავეები ძუძუთა ბალდივით.

— ძუძუთა ბალდივით კი არა, — თქვა მარიამ, — გაწუწული და გაყინული კაცივით, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა თჯახში. აი, ბოთლი. — მან ბოთლი რობერტ ჯორდანს მიუტანა. — შეუადლისას რომ დალიე, ის არის. ამ ბოთლით შეჰანიშნავი ნათურა გაკეთდებოდა. უჰ, რა ნათურას გაიკეთებთ ამ ბოთლიდან, როცა ისევე გვექნება ელემენტო-განათება. — იგი აღფრთოვანებით უყურებდა ბოთლს. — როგორ დაღეე, რობერტო?

— შე შეგონა Inglés-ი შერქვა, — უთხრა მას რობერტ ჯორდანმა.

— რობერტოს სხვებთან გეძახა, — ჩუმად თქვა მარიამ და გაწითლდა. — როგორ დაღეე, რობერტო?

— რობერტო, — გააბრტყელა პაბლომ და თავი დაუქნია რობერტ ჯორდანს, — როგორ მიირთმევთ, დონ რობერტო?

— შენც ხომ არ გინდა? — ჰკითხა მას რობერტ ჯორდანმა. პაბლომ თავი გააქნია.

— შე მარტო ღვინით ვთვრები, — ამაყად განაცხადა მან.

— დარჩი ბახუსთან, — თქვა რობერტ ჯორდანმა ესპანურად.

— ვინ არის ბახუსი? — ჰკითხა პაბლომ.

— შენი მეგობარი, — უთხრა რობერტ ჯორდანმა.

— არავენ შემხვედრია ეგეთი, — დანჯად თქვა პაბლომ. — არავენ ამ მთებში.

— ანსელმოს მიაწოდე ჰიქა, — უთხრა რობერტმა მარიამს, — აი, ვინ გაიყინა. — ახლა მშრალ წინდებს იცვამდა ფეხზე და წყლიანი ვისკის თხიერ სიაბოს გრძნობდა პირში. მაგრამ აბსენტივით მთელ ტანში არ დაგივლისო, გაიფიქრა, აბსენტს არაფერი სჯობსო.

ვინ იფიქრებდა, რომ აქ ვისკი ექნებოდათ, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა, — თუმცა თუ დაუფიქრდები, სწორედ ლა გრანხაში შეიძლება წააწყდე

ვისკის. წარმოგიდგენია, ელ სორდომ მოისაზრა სტუმრად მოსული მედინამიტესთვის ეს ბოთლი ეშოვა და მერე არ დაავიწყდა მისი მოტანა და დატოვება. ეს არ იყო უბრალო ზრდილობის გამოვლენა; ზრდილობისათვის შეიძლება და გამოეტანათ ბოთლი და იქვე დაელიათ. ასე მოიქცეოდნენ, მაგალითად, ფრანგები და დარჩენილ სასმელს სხვა დროისათვის შემოინახავდნენ. ასეთ დროს კი, როცა კაცს ამდენი საზრუნავი აქვს, ასეთი დიდი საჭმელი უფლება აქვს თავისი თავის მეტი არაფერს ახსოვდეს, იგი სტუმრის პატივისცემაზე ფიქრობს, ეს ის თვისებაა, რაც ესპანელებს ახასიათებს. ზოგიერთ ესპანელს — გაიფიქრა მან. სწორედ ამიტომ არ შეიძლება არ გიყვარდეს ეს ხალხი. ნუ გადავარდი რომანტიკაში, — გაიფიქრა მან. — ესპანელებშიც იმდენივეა ცუდი და კარგი, რამდენიც ამერიკელებში. და მაინც კარგია, რომ ელ სორდოს ვისკის მოტანა არ დაავიწყდა.

— მოგწონს? — ჰკითხა მან ანსელმოს.

მოხუცი ცეცხლის პირს იჭდა, იღიმებოდა და დიდრონ ხელებში ჭიქა ჩაებღუჯა. მან თავი გააქნია.

— არ მოგწონს? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა.

— იმ ბავშვმა წყალი ჩაასხა შიგ, — თქვა ანსელმომ.

— რობერტო ეგრე სვამს ხოლმე, — უთხრა მარიამ. — შენ რა წითელი კოჭი ხარ?

— არა, მაგრამ, მე მიყვარს, როდესაც ცეცხლივით ჩადის და მწვავს, — უთხრა მას ანსელმომ.

— ეგ მე მომაწოდე, — უთხრა რობერტ ჯორდანმა გოგონას, და ანსელმოს დაუსხი ის, რომელიც სწვავს.

მან სასმელი თავის ჭიქაში გადაასხა და ცარიელი ჭიქა გოგონას მიაწოდა. გოგონამ ფროთხილად აავსო ის ბოთლიდან.

— იფ, — თქვა ანსელმომ, ჭიქა გამოართვა, თავი გადასწია და ყელში ჩაისხა სასმელი. მერე იქვე მდგარ მარიას შეხედა, თვალი ჩაუკრა და კურცხალი წამოსცვივდა თვალებიდან. — სწორედ ეს, — თქვა მან, — აი ეს. — ტუჩები მოილოკა. — აი ეს არის, გულის ჭიას რომ ახარებს.

— რობერტო, — თქვა მარიამ და ბოთლით ხელში მისკენ წავიდა. — ივან-შუმებ?

— საჭმელი მზად არის?

— მზად არის, თუ გინდა.

— დანარჩენებმა ჭამეს?

— ანსელმოს, ფერნანდოსა და შენს გარდა — ყველამ.

— მაშ ვჭამოთ, — უთხრა მარიას. — შენა?

— მერე, პილართან ერთად.

— ჩვენთან ჭამე.

— არა, არ არის ლამაზი.

— მოდი და ჭამე. ჩემს ქვეყანაში კაცი არ იწყებს ჭამას ცოლზე ადრე.

— ეგ შენს ქვეყანაში, აქ კი უმჯობესია მერე ვჭამო.

— ჭამე მასთან, — უთხრა პაბლომ და ამოხედა, — ჭამე მასთან, სვი მასთან, იძინე მასთან, მოკვდი მასთან და მისი ქვეყნის ჩვეულებებს მისდიე.

— მთავრალი ხარ? — წინ დაუდგა რობერტ ჯორდანი და ისე ჰკითხა.

ჭუჭყიანმა, წვერგაუპარსავემა კაცმა ბედნიერად ამოხედა მას.

— ღიახ, — თქვა პაბლომ. — შენი ქვეყანა სად არის, Inglés, სადაც კაცი და ქალი ერთად ჭამს?

— შეერთებულ შტატებში, მონტანას შტატში.

— ეს ის ქვეყანაა, მამაკაცები კაბებით რომ დადიან?

— არა, ეგ შოტლანდიაშია.

— ყური მიგდე, — თქვა პაბლომ, — როცა შენ ასეთი კაბა გაცვია, Inglés...

— მე არ მაცვია-მეთქი, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— როცა ის კაბა გაცვია, — განაგრძო პაბლომ, — რა გაცვია მის ქვეშ?

— არ ვიცი, შოტლანდიელებს რა აცვიათ, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — მე თვითონაც მაინტერესებდა ეგ.

— შოტლანდიელები კი არა, — თქვა პაბლომ, — ვინ დაეძებს შოტლანდიელებს? ვინ დაეძებს რამეს, რასაც ეგეთი უცხო სახელი ჰქვია? ყოველ შემთხვევაში, მე არა. მე არ დავეძებ. შენ-მეთქი, შენ რა გაცვია კაბის ქვეშ შენს ქვეყანაში?

— უკვე ორჯერ ვიკითხე, რომ ჩემს ქვეყანაში კაბები არ აცვიათ, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — არც ხუმრობით და არც სიმთვრალეში.

— შენ რა გაცვია კაბის ქვეშ? — დაიჩემა პაბლომ. — რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ თქვენთან კაბებს ატარებენ ჯარისკაცებიც კი. მეც მინახავს სურათებზე, და კიდევ ცირკში. პოდა, შენ რას ატარებ კაბის ქვეშ, Inglés?

— რაც საჭიროა, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

ანსელმოს გაეცინა, დანარჩენებმაც ატეხეს ხარხარი. ყველამ, ფერნანდოს გარდა. ასეთი უწყალო სიტყვის ხსენებზე ქალების წინ შეურაცხყოფად მიიღო მან.

— ასეც უნდა იყოს, — თქვა პაბლომ, — მაგრამ ეგ რომ რიგიანი გქონდეს, კაბას არ ჩაიცვამდი.

— ნულარ აყბედებ, Inglés, — უთხრა ბრტყელსახიანმა და ცხვირგატეხილმა კაცმა, რომელსაც პრიმიტივოს ეძახდნენ. — მთვრალია. ერთი მითხარი, რა შეურწმობას მისდევენ შენს ქვეყანაში?

— მესაქონლეობას და მეცხვარეობას, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — პურიც ბევრი მოჰყავთ და ლობიოც. და კიდევ მაქრის ჭარხალი.

ახლა მაგიდას უსხდნენ სამნი. დანარჩენები იქვე, შორიახლოს მიმსხდარიყვნენ. პაბლო ცალკე იჯდა მაგიდასთან და წინ ღვინით საესე თასი ედგა. ისეთივე წვნიანი საჭმელი მოუტანეს, როგორც წინა ღამით, და რობერტ ჯორდანი მაღიანად შეექცა.

— მთიანია შენი ქვეყანა? ასეთი სახელი რომ ჰქვია, ალბათ მთიანია, — ზრდილობიანად განაგრძო ბაასი პრიმიტივომ, რადგან მეტად უხერხულად გრძნობდა თავს პაბლოს სიმთვრალის გამო.

— ბევრი მთებია და ძალიან მაღალი.

— კარგი საძოვრები გაქვთ?

— შესანიშნავი. მაღალმთიან საძოვრებს ტყეში მთავრობა მეთვალყურეობს ზაფხულობით. მერე შემოდგომაზე უფრო დაბლა ჩამოჰყავთ საჭონელი.

— თქვენთან მიწა გლეხებს ეკუთვნის?

— უმთავრესად მიწა იმისია, ვინც მას ამუშავებს. თავდაპირველად მიწა გყუთვნოდა შტატს და იმ ხალხს, რომელიც მასზე ცხოვრობდა, თუ ეს ხალხი მის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. ერთ კაცს 150 ჰექტარის ალბა შეუძლო.

— შიამბე ერთი, ეგ როგორ ხდება, — თქვა აგუსტინმა. — ეს რეფორმა სოფლისმეურნეობაში და ბევრ რამეს ნიშნავს.

რობერტ ჯორდანმა შინამეურნეობის პროცესი აუწერა და აღწერა, როგორ არ აღუქვამს ეა, როგორც რეფორმა სოფლისმეურნეობის საქმეში.

— ჩინებული რამეა, — თქვა პრიმიტივომ. — მაშ კომუნისში გჭონიათ თქვენს ქვეყანაში?

— არა. ამას რესპუბლიკა აკეთებს.

— ჩემის აზრით, — თქვა აგუსტინმა, — ყველაფრის გაკეთება შეიძლება რესპუბლიკაში, და არა მგონია, საჭირო იყოს მმართველობის სხვა ფორმა.

— დიდი მესაკუთრეები არა გყავთ? — იკითხა ანდრესმა.

— უამრავი.

— მაშ უსამართლობაც უნდა იყოს.

— რასაკვირველია. ბევრია უსამართლობა.

— ალბათ ბოლოს მოუღებთ ძათ.

— ძალიან ვცდილობთ, მაგრამ მაინც არის უსამართლობა.

— ალბათ ისეთი დიდი მამულები არა გაქვთ, დახაწეწეება რომ სჭირდებოდეს.

— ჰო, მაგრამ ზოგიერთებს მაინც სჯერათ, რომ დანაწევრება აუცილებლად მოხდება გადასახადების გამო.

— როგორ?

რობერტ ჯორდანი თან თეფშს ასუფთავებდა ბურით და თან უხანიადა, რას ნიშნავდა საშემოსავლო და სამემკვიდრო გადასახადები.

— მაგრამ დიდი მამულები მაინც შემორჩა. შემორჩა აგრეთვე მიწის გადასახადიც, — თქვა მან.

— ალბათ დიდი შემამულები და მდიდრები აჯანყდებიან ასეთი გადასახადების წინააღმდეგ. ჩემის აზრით, ასეთი გადასახადები რევოლუციის მომასწავებელია. იგონობენ რა ემუქრებათ და აჯანყდებიან, მთავრობის წინააღმდეგ, როგორც ფაშისტებმა გააკეთეს აქ. — თქვა პრიმიტივომ.

— შეიძლება.

— მაშინ თქვენს ქვეყანაშიც დაიწყება ისეთი ბრძოლა, როგორიც აქა გვაქვს.

— დაიწყება და ვიბრაოლებთ.

— შენს ქვეყანაში არ არიან ფაშისტები?

— როგორ არა, მაგრამ არ იციან, რომ ფაშისტები არიან. დრო მოვა და მიხვდებიან.

— ალბათ მათი დარბევა აჯანყებამდე შეუძლებელი იქნება, არა?

— დარბევა შეუძლებელია, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ხალხი გავეანათლოთ ისე, რომ ეწინააღმდეგეთ ფაშისტების, სცნობდნენ მას გამოჩენისთანავე და შეებრძოლონ.

— იცი, სად არ არიან ფაშისტები? — იკითხა ანდრესმა.

— სადა?

— პაბლოს ქალაქში, — ღიმილით თქვა ანდრესმა.

— იცი, რა მოხდა იმ სოფელში? — ჰკითხა პრიმიტივომ რობერტ ჯორდანს.

— ჰო, გამიგონია ეგ ამბავი.

— პილარისაგან?

— ჰო.

— ყველაფერს ვერ გეტყვოდა ეგ ქალი, — დინჯად თქვა პაბლომ, — რადგან მას დასასრული არ უნახავს, იმიტომ რომ, როდესაც ვარეთ უანჯარასთან იდგა, სკამიდან გადმოვარდა.

— მაშ, შენ უამბე დანარჩენი, — უთხრა პილარმა. — რადგან მე არ ვიცი ეს ამბავი, თვითონ უამბე.

— არა, — თქვა პაბლომ. — არასდროს არ მომიყოლია ეგ ამბავი.

— რასაკვირველია, — უთხრა პილარმა, — არც არასდროს მოყვები და ძალიანაც გინდა, საერთოდ არ მომხდარიყო ეგ ამბავი.

— არა, — თქვა პაბლომ. — არა ხარ მართალი. ყველას რომ იმდენი ფაშისტი მოეკლა, რამდენიც მე, ეს ოში აღარ გვექნებოდა. ოღონდ არ მინდოდა, რომ ყველაფერი მომხდარიყო ისე, როგორც მოხდა.

— რატომ ამბობ მაგას? — ჰკითხა პრიმიტივომ. — პოლიტიკა შეიცვალე?

— არა, მაგრამ ეს ბარბაროსობა იყო, — თქვა პაბლომ. — მაშინ ნაშდელი ბარბაროსი ვიყავი.

— ახლა კი — მთვრალი ხარ, — უთხრა პილარმა.

— დიახ, — თქვა პაბლომ, — თქვენის ნებართვით.

— მე მაშინ უფრო მომწონდი, როცა ბარბაროსი იყავი, — უთხრა ქალმა. — ლოთზე უარესი არაფერია. ქურდი? როდესაც არ ქურდობს, ადამიანიამბარცველი სახლში მიიწევს არ ეწევა თავის საქმიანობას. კაცისმკვლელებიც კი, სახლში რომ მოდიან, ხელეებს იბანს. ღოსთი კი ყარს, საკუთარ საწოლში არწყევს და სხეულს ალკოჰოლით იქლინთავს.

— შენ ქალი ხარ და არ გესმის, — უთხრა პაბლომ მშვიდად. — მე ღვინით ვარ მთვრალი და ბედნიერიც ვიქნებოდი, ამდენი ხალხი რომ არ მომეკლა. ისინი მწუხარებით მაცხებენ, — პაბლომ თავი სევდიანად გააქნია.

— დაუსხით ერთი მაგას, სორდომ რაც მოიტანა, — თქვა პილარმა. მიეცით რამე, რომ გააბრუოს, თორემ აუტანლად სევდიანი ხდება.

— მათი გაცოცხლება რომ შემეძლოს, გავაცოცხლებდი.

— წადი აქედან, დაიკარგე, — უთხრა აგუსტინმა. — ეს სადა ვარ?

— ყველას გავაცოცხლებდი, — თქვა პაბლომ სევდიანად. — თვითვეულ პათვანს.

— უპ, შენი, — დაუდრიალა აგუსტინმა, — მორჩი ასეთ ლაპარაკს ან გაეთრიე აქედან. შენ ხომ ფაშისტები მოჰკალი.

— ხომ გაიგონე, რაც ვთქვი, — უთხრა პაბლომ, — ყველას გავაცოცხლებდი.

— და მერე მაცხოვარივით წყალზე გაივლიდი, — თქვა პილარმა. — ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი კაცი. ჯერ კიდევ გუშინდლამდე შემორჩენილი გქონდა რაღაც კაცური. დღეს კი ჭირიანი კნუტისოდენაც არა ხარ. და მაინც ღვინით გამოლეშილი, ბედნიერი ხარ.



ქართული
საბავშვო ბიბლიოთეკა

— ან ყველა უნდა მოგვეკლა, ან არც ერთი, — თავის ქნევით თქვა პაბლომ. — ან ყველა, ან არც ერთი.

— მითხარი, Inglés, — თქვა აგუსტინმა, — შენ როგორ მოხვდი ესპანეთში? პაბლოს ყურს ნუ უგდებ, მთვრალია.

— პირველად თორმეტი წლის წინ მოვედი აქ, ქვეყნისა და ენის შესასწავლად, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — მე ხომ ესპანურს ვასწავლი უნივერსიტეტში.

— ჰგავხარ პროფესორს, — უთხრა პრიმიტივომ.

— წვერი რომ არა აქვს? — თქვა პაბლომ. — შეხედე, არა აქვს წვერი. — მართლა პროფესორი ხარ?

— მასწავლებელი.

— ასწავლი არა?

— ჰო.

— კი მაგრამ, ესპანურს რატომ ასწავლი? — იკითხა ანდრესმა. — შენ ხომ ინგლისელი ხარ? ინგლისურის სწავლება უფრო ადვილი არ იქნებოდა?

— ესპანურს ისევე ლაპარაკობს, როგორც ჩვენ, — თქვა ანსელმომ. — რატომაც არ უნდა ასწავლოს?

— ჰო, მაგრამ, ერთის მხრივ, თავბედობაა, უცხოელი რომ ესპანურს ასწავლის, — თქვა ფერნანდომ. — პირადად შენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, დონ რობერტო.

— ყალბი პროფესორია, — თქვა პაბლომ, ძალიან ნასიამოვნებმა თავისი ხუმრობით. — წვერები არა აქვს.

— მართლაც, ინგლისური უკეთესად იცი, — თქვა ფერნანდომ, — უფრო ადვილი არ იქნებოდა ინგლისური გასწავლებინა?

— ესპანელებს ხომ არ ასწავლის, — ჩაერია პილარი.

— იმედი მაქვს, რომ არა, — თქვა ფერნანდომ.

— დამაცადე, ვირო, — უთხრა პილარმა. — ამერიკელებს ასწავლის ესპანურს. ჩრდილო ამერიკელებს.

— როგორ, მაგათ არ იციან ესპანური? — იკითხა ფერნანდომ. — სამხრეთ ამერიკაში იციან.

— ჯორო, — თქვა პილარმა, — ესპანურს ასწავლის ჩრდილო ამერიკელებს, რომლებიც ინგლისურად ლაპარაკობენ.

— და მაინც, მე მგონია, რომ ინგლისურის სწავლება მისთვის უფრო ადვილი უნდა იყოს, რადგან ეს მისი ენაა, — თქვა ფერნანდომ.

— კი მაგრამ, არ გესმის, რომ ესპანურადაც ლაპარაკობს? — პილარმა რობერტ ჯორდანს შეხვდა და უიშვოდ გააქნია თავი.

— კი, მაგრამ აქცენტით.

— სადაურით? — იკითხა რობერტ ჯორდანმა.

— ესტრემადურული აქცენტით, — ქედმაღლურად თქვა ფერნანდომ.

— ო, ღმერთო ჩემო, — თქვა პილარმა, — ეს რა ხალხია.

— შესაძლებელია, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — იქიდან მოვედი აქ.

— თვითონაც იცის, — თქვა პილარმა. — შენ, შინაბერავ, — მიუბრუნდა ფერნანდოს, — გეყო საჭმელი?

— კიდევ შევჭამდი ცოტას, თუ საკმარისია ყველასთვის, — უთხრა მას.

ფერნანდომ, — შენ კი ნუ ფიქრებ, რომ შენი საწინააღმდეგო მაქვს რამე, დონ რობერტო.

— შტერო, ნამდვილო შტერო! — პირდაპირ უთხრა აგუსტინმა, — იმისთვის ვახდენთ რევოლუციას, რომ დონ რობერტო უძახო ამხანაგს?

— ჩემთვის რევოლუცია იმას ნიშნავს, რომ ყველანი პატივისცემით მიემართავენ ერთმანეთს, — თქვა ფერნანდომ, — სწორედ ასე უნდა იყოს რესპუბლიკის დროს.

— ტუტუცო, — თქვა აგუსტინმა, — უგნურო!

— მე მაინც ვფიქრობ, რომ დონ რობერტოსთვის უფრო ადვილი იქნება ინგლისურის სწავლება.

— დონ რობერტოს წვერები არა აქვს, — თქვა პაბლომ, — ცრუ პროფესორია.

— რა გინდა თქვა? მაშ, ეს წვერები არ არის? — იკითხა რობერტ ჯორდანმა. — აბა ამას რა ჰქვია? — ხელი ჩამოიხსვა ლოყებსა და ნიკაპზე ამოზრდილ ქერა წვერზე, რომელიც სამი დღის მოუპარსავი ჰქონდა.

— წვერის მეტი ყველაფერი, — თქვა პაბლომ და თავი გააქნია, — მაგას წვერი არ ჰქვია. — თითქმის კარგ გუნებაზე იყო ახლა. — ცრუ პროფესორია.

— ოჰ თქვენია... — თქვა აგუსტინმა. — ნამდვილი საგიყეთია.

— შენც დალიე, — უთხრა პაბლომ, — მე ახლა ყველაფერი ნორმალურად შეჩვენება, გარდა იმისა, რომ დონ რობერტოს წვერი არა აქვს.

მარიამ ლოყაზე ხელი ჩამოუხსვა რობერტ ჯორდანს.

— როგორ არა აქვს წვერი, — უთხრა მან პაბლოს.

— შენ უკეთ იცი, — თქვა პაბლომ და რობერტ ჯორდანმა ცერად გახედა მას.

არა მგონია, ეგრე მთვრალი იყოს, — ფიქრობდა რობერტ ჯორდანი. —

არა, არც თუ ისეთი მთვრალია. სჯობს, ფრთხილად ვიყო.

— როგორ ფიქრობ, — უთხრა მან პაბლოს, — თოვა გაგრძელდება?

— შენ თვითონ როგორ ფიქრობ?

— მე შენ გეკითხები.

— სხვებს ჰკითხე, — თქვა პაბლომ. — მე შენი საინფორმაციო ბიურო არა ვარ. ქაღალდი გაქვს საინფორმაციო ბიუროდან. დედაკაცს ჰკითხე, ის არის მეთაური.

— მე შენ გეკითხები.

— დამეკარგეთ აქედან, — თქვა პაბლომ, — შენც, ეგ დედაკაციც და ის გოგოც.

— მოვრალია, — თქვა პრიმიტივომ, — ნუ აქცევ ყურადღებას, Inglés.

— არც თუ ისე მთვრალია, მე მგონი, — თქვა რობერტ ჯორდანმა. მარია უკან ედგა და რობერტ ჯორდანი ხედავდა, რომ პაბლო თვალს არ აცილებდა მას. ტაბისებრი წვრილი თვალები მისჩერებოდნენ გოგონას. რობერტ ჯორდანმა გაიფიქრა: — ამ ომში ბევრი მკვლელი მინახავს. ომამდეც მინახავს რამდენიმე. სულ სხვადასხვაგვარნი იყვნენ. საერთო არაფერი ჰქონდათ. არ არსებობს მათი დამახასიათებელი რაიმე საერთო ნიშანი. არ არსებობს ბოროტმოქმედის ტიპი, როგორც ასეთი. მაგრამ პაბლო ნამდვილად ვერაფერი ღამაზია.

— არა მჯერა, რომ სმა შეგიძლია, — უთხრა მან პაბლოს, — არც ის მჯერა, რომ ეგეთი მთვრალი ხარ.

— მთვრალი ვარ, — თავმომწონედ თქვა პაბლომ, — სმა არაფერია, მთავარია დათვრე. *Estoy muy borracho*¹.

— არა მგონია, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — მხედარობა, ^{მხედარობა} მხედარობა, — უეცრად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა გამოქვაბულში, რომ ცეცხლის ტკაცატკაცი მოთხმა შეაყვებლიდან, სადაც ბილარი საჭმელს ამზადებდა. რობერტ ჯორდანმა იგრძნო, როგორ ატკაცუნდა ცხვრის ტყავი, როდესაც ფეხებზე გადაიტანა ტანის სიმძიმე, ასე ეგონა, თოვლის ვარდნის ხმაც შესძისო. ეგ არა და, სიჩუმე კი ნამდვილად ესმოდა.

„რომ მოველა და მოვათავო?“ — ფიქრობდა რობერტ ჯორდანმა. — „არ ვიცი, რას აპირებს, მაგრამ კარგს არაფერს. ზეგ ხიდის ამზავი წყდება, ეს კაცი სახიფათოა და შეიძლება მთელი საქმე ჩაშალოს. მიდი, მოუღე ბოლო“.

პაბლომ შესცინა მას და თითო გამოისვა ყელში. მერე თავი ოღნავ გადააქან-გადმოაქანა მორგვევით სქელ კისერზე.

— არა, *Inglés*. — თქვა მან, — ხუ მიწვევ. — მერე პილარს შეხვდა და უთხრა, — ასე ვერ მომიცილებთ.

— *Sinvergüenza*² ხარ! — უთხრა მას საბრძოლველად გამზადებულმა რობერტ ჯორდანმა.

— შესაძლებელია, — თქვა პაბლომ. — მაგრამ არ უნდა წამოვეგო შენს ჩანგალს. დალიე რამე, *Inglés*, და დედაკაცს უთხარი, რომ წააგე.

— მოკეტე, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — ქალი რა შეაშია, მე თვითონ გიწვევ.

— არა ღირს, — უთხრა პაბლომ, — არაფერი არ გამოგივა.

— შენა ხარ *bichuraro*³, — თქვა რობერტ ჯორდანმა, რადგან ამ შემთხვევის ხელიდან ვაშვება არ უხდოდა; არ უნდოდა, რომ საქმე ხელმეორედ ჩაშლილიყო. აბსოლუტა, რომ უკვე ერთხელ მოხდა ასე. ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს სადღაც წაეკითხა ან სიზმრად ენახა, რასაც ანლა აკეთებდა, თითქოს ყველაფერი წრიულად მოქმედებდა.

— დიას, ძალიან იშვიათი ვარ. — თქვა პაბლომ, — ძალიან იშვიათი და ძალიან მთვრალი. შენ გაგიმარჯოს, *Inglés*! — ჭიქა ჯამში ჩაუშვა, დვინით აავსო, შემართა და თქვა, — შენს ვაჟკაცობას გაუმარჯოს!

მართლა იშვიათია, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა, — ეშმაკი. და ვერაფერს ვერ გაუკებ. — ცეცხლის ტკაცუნა უკვე აღარ ესმოდა საკუთარი ვახშირებული სუნთქვის გამო.

— შენც გაგიმარჯოს, — თქვა რობერტ ჯორდანმა და ჭიქა ჯამში ჩაუშვა. — ლალატს არავითარი ფესი არ ექნებოდა ამ სადღეგრძელოების გარეშე, — გაიფიქრა მან. — აღდეგრძელე.

— გაგიმარჯოს, — თქვა მან, — გაგიმარჯოს და კიდევ ერთხელ გაგი-

¹ ძალიან მთვრალი ვარ.
² გაძევება.
³ იშვიათი ქვეწარმავალი.

მარჯოს. შენ გაგიმარჯოს, — ფიქრობდა ის, — გაგიმარჯოს და შენ გაგიმარჯოს.

— დონ რობერტო, — მძიმედ თქვა პაბლომ.

— დონ პაბლო, — თქვა რობერტო ჯორდანმა.

— არა ხარ შენ პროფესორი, — თქვა პაბლომ, — წვერიანი მკერდით, მე რომ თავიდან მომიცილო, უნდა ჩამისაფრდეს და ისე უნდა მარტო, ამის მხოლოდ არა გაქვს.

ახლა ის რობერტო ჯორდანს შესცქეროდა პირმოკუმული. თევზივით დავიწროვებოდა პირი. — ახლა ამ კაცის თავი იმ თევზსა ჰგავს, ჰიერს რომ ყლაპავს წყლიდან ამოყვანილი და სივდებო, — გაიფიქრა რობერტო ჯორდანმა.

— გაგიმარჯოს პაბლო, — თქვა რობერტო ჯორდანმა, — ჭიქა ასწია და დასცალა. — ბევრ რამეს ვსწავლობ შენგან.

— ბედავთ, პროფესორს ვანათლებ, — თავის ქნევით თქვა პაბლომ. — ასე, დონ რობერტო, ჩვენ დავმეგობრდებით.

— უკვე მეგობრები ვართ, — თქვა რობერტო ჯორდანმა.

— ჰო, მაგრამ დღეიდან კარგი მეგობრები ვიქნებით.

— უკვე ვართ კარგი მეგობრები.

— უნდა წავიღო აქედან, — თქვა აგუსტინმა. — მართალია, ნათქვამია, ერთი ფუთი მარჩილი უნდა შეჭამოთ ერთად, კაცი რომ გაიცნოს, მაგრამ რაც მიჭამია, ისიც ყელში ამომდის ამ წუთს.

— რა დაგემართა, negro? ¹ — ჰკითხა მას პაბლომ. — არ მოგწონს ჩემი და დონ რობერტოს მეგობრობა?

— აბა ერთი კიდევ დამიძახე negro... — აგუსტინი პაბლოსკენ წავიდა და წინ დაუდგა ხელბდაშვებული.

— ხომ ასე გქვია!

— შენთვის არა!

— მაშ კარგი, blanco ².

— არ გაბედო.

— მაშ რა ხარ, წითელი?

— ჰო, წითელი. Rojo ³ არმიის წითელი ვარსკვლავი მაქვს და რესპუბლიკისათვის ვიბრძვი, სახელად კი აგუსტინი მქვია.

— იუ, რა პატრიოტია, — თქვა პაბლომ. — შეხედე, Inglés, რა სანიშნულო პატრიოტია!

აგუსტინმა მარცხენა ხელი ასწია და ხელუკუღმართა შემოჰკრა სახეში. პაბლო უძრავად იჯდა. ტურის კუთხეები ღეინით ჰქონდა შეღებული. სახე არ შეცვლია, ოღონდ რობერტო ჯორდანმა შენიშნა, როგორ დაუვიწროვდა თვალები, როგორც კატას მოსდის ხოლმე დღის სინათლეზე.

— არ გიშველის, — თქვა პაბლომ, — არც ეგ გიშველის, დედაკაცო! — მან პილარისკენ მოაბრუნა თავი, — არ წამოვეგები.

აგუსტინმა ისევ მოარტყა. ამჯერად მუშტი პაბლოს სახეში მოხვდა. რო-

¹ შავი?

² თეთრი.

³ წითელი.

ბერტ ჯორდანს დამბაჩა მზად ჰქონდა მაგიდის ქვეშ, ჩახმახშემართული. მარის მარცხენა ხელით უბიძგა წადიო, მაგრამ მარია მხოლოდ გაიწია და რობერტ ჯორდანმა ხელი გაჰკრა ფერდში, რომ გარეთ გასულიყო. მარია მოსცილდა. რობერტ ჯორდანმა დაინახა, რომ ის ცეცხლისკენ წავიდა. ახლა ისევ პაბლოს სახეს უთვალთვალებდა რობერტი.

ეს მრგვალთავა კაცი იჯდა და აგუსტინს მიშტერებდა: *თავისუფალი წერილი* თვალებით. გუგები კიდევ უფრო დაეწროვებოდა. მერე ტუჩები მოილოკა, ხელი ახწია და ხელუკუღმა მოიწმინდა პირი. ხელს დახედა და სისხლი შენიშნა. ენით მოისინჯა ტუჩები და გადმოაფურთხა.

— არც ეგ გიშველით, — თქვა მან. — სულელი არა ვარ. არ წამოვეგები.

— Cabrón! — თქვა აგუსტინმა.

— უნდა იცოდე, — უთხრა პაბლომ. — შენ ხომ იცნობ ამ ქალს.

აგუსტინმა კიდევ ერთხელ სთბლიშა მას სახეში. პაბლომ კი შესცინა: ყვითელი, ჩამტვრეული, ქიანი კბილები გამოუჩნდა ჩასისხლიანებული ტუჩებიდან. — მორჩი, — თქვა პაბლომ და ჭიქას დასწვდა, რომ ღვინო ამოეღო ჯამიდან. — ჩემი მოკვლის შნო აქ არავისა აქვს და ეს ხელების ქნევა სისულელია.

— Cobarde! — თქვა აგუსტინმა.

— ვერც სიტყვები გიშველის, — უთხრა პაბლომ, ხმაურით გამოივლო ღვინო პირში და იატაკზე გადმოაფურთხა. — სიტყვები არფერს ნიშნავს ჩემთვის.

აგუსტინი შეპყურებდა მას და აგინებდა: დონჯად, გარკვევით, მწარედ და ზიზღით გამოთქვამდა ყოველ საგინებელ სიტყვას, თითქოს ფორნიდან ფოტოჩით ზიდავდა ნაკელს და მინდორში აბვავებდა.

— არც ეგ, — თქვა პაბლომ. — მორჩი, აგუსტინ, და ხელები გააჩერე, თორემ გეტკინება.

აგუსტინმა ზურგი შეაქცია და კარებისკენ წავიდა.

— ნუ მიდიხარ, — უთხრა პაბლომ, — გარეთ თოვს. სჯობს აქვე მოკალათდე.

— უპ, შენი, შენი... — კარებიდან მოუბრუნდა აგუსტინი და მთელი ზიზღი ამ ერთ სიტყვაში ჩააქსოვა.

— რა გინდა ჩემგან? — ჰკითხა პაბლომ. — მე კიდევ დიდხანს ვიცოცხლებ, როცა შენ მოკვდები.

მან ჭიქა ღვინით აავსო და რობერტ ჯორდანის სადღეგრძელო დალია.

— გაგიმარჯოს, პროფესორო, — თქვა მან, — გაგიმარჯოს ქალბატონო მეთაურო, — მიუბრუნდა პილარს და შემდეგ ყველა დალოცა: — გაგიმარჯოთ, მეოცნებეებო!

აგუსტინი მივარდა, სწრაფად მოუქნია ხელი და ჭიქა გააგდებინა ხელიდან.

— აფსუსია, — თქვა პაბლომ. — ეს ხომ სისულელია.

აგუსტინმა რაღაც უწმამური უთხრა.

— არა, — თქვა პაბლომ, და მეორე ჭიქით ამოიღო ღვინო. — ხომ ხედავ, მთვრალი ვარ. როცა მთვრალი ვარ, ლაპარაკი არ მიყვარს. აბა, როდის გსმენია ჩემგან ბევრი ლაპარაკი? მაგრამ ჭკვიანმა კაცმა ზოგჯერ უნდა დალიოს, რომ სულელებთან ყოფნა აიტანოს.

— წადი, შენს თავს მიხედე, შე ლაჩარო, — უთხრა მას აგუსტინმა. — მე მაინც კარგად გიცნობ. შენცა და შენს სილაჩრესაც.

— რას ლაპარაკობს ეს ქალი? — თქვა პაბლომ. — მოდი, წავალ და ცხენებს მივხედავ.

— წადი, წადი! — უთხრა აგუსტინმა. — სწორედ ეგ არის შენი საქმე.

— ეგ არ არის ჩემი საქმე, — თქვა პაბლომ და თავი გააქნია. ლაბადა ჩამოიღო კედლიდან და აგუსტინს წებუნდა. — შენ და შენი ჩხუბი... — თქვა მან.

— რა უნდა უყო ცხენებს? — ჰკითხა აგუსტინმა.

— უნდა დავხედო, — მიუგო პაბლომ.

— წადი, წადი, — უთხრა აგუსტინმა, — ცხენების მოტრფიალევ!

— ძალიან მიყვარს ცხენები, — თქვა პაბლომ. — უკნიდანაც კი უფრო ლამაზები და ჭკვიანები არიან, ვიდრე ეს ხალხი. არ მოიწყინოთ, — ღიმილით თქვა მან. — ელაპარაკე ამათ, Inglés! აუხსენი ხიდზე რა უნდა აკეთონ. მიეცი უკანდახევის გეგმა. ხიდის აფეთქების მერე სად წაიყვან ამათ, Inglés? სად წაიყვან ამ შენს პატრიოტებს? ამანვე ვფიქრობდი მთელი დღე, როცა ესვამდი.

— მერე რა მოიფიქრე? — ჰკითხა აგუსტინმა.

— რა მოვიფიქრე? — თქვა პაბლომ და ენით ტუჩზე ჭრილობა მოისინჯა. — რა მნიშვნელობა აქვს, რა მოვიფიქრე?

— თქვი, — უთხრა მას აგუსტინმა.

— ბევრი რამ, — თქვა პაბლომ. მან ლაბადა თავზე მოიგდო. მისი ბომბორა თავი კიდევ უფრო გამოიკვეთა ჭუჭყიან ყვითელ ლაბადაში.

— ბევრა რამ მოვიფიქრე.

— მაინც რა? — ჰკითხა აგუსტინმა. — რა?

— რა და ის, რომ თქვენ მეოცნებეები ხართ; წინამძღოლად გყავთ ქალი, თმაგრძელი და ჭკუამოკლე, და უცხოელი, რომელიც თქვენს დასაღუპად მოსულა.

— გაეთრიე აქედან, — დაუყვირა პილარმა. — გაეთრიე და თოვლში ჩაიხრჩე. მოშორდი აქაურობას, შე ცხენებთან ნათრევო, maricón!¹

— გენაცვალე, პილარ! — თქვა აგუსტინმა აღფრთოვანებით, მაგრამ დაბნეულად. აფორიაქებული იყო.

— მივდივარ, — თქვა პაბლომ, — და მალე დავბრუნდები. — გამოქვაბულის ფარდა ასწია და კარებიდან გამოსძახა რობერტ ჯორდანს: — ისევ თოვს, Inglés!

¹ ქალაჩუნავ.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ი დ მ ე ტ ე

ახლა მხოლოდ ცეცხლის შიშინი ისმობდა ბუხრიდან. საკვამურნიდან თოვ-
ლი ცვიოდა ნაკვერჩხლებზე.

— პილარ! — თქვა ფერნანდომ. — წყნიანი დარჩა?

— თავი დაშანებე! — უთხრა ქალმა. მარიამ აიღო ფერნანდოს ხელი და ცეცხლისპირას მდგარ დიდი ქვაბიდან წყნიანი გადმოიღო. მერე მაგიდისკენ წავიდა, ჯამი წინ დაუდგა ფერნანდოს და საჭმელად მომზადებულს მხარზე ხელი გადაუსვა. ერთხანს ასე იდგა, მაგრამ ფერნანდოს არც ამოუხედია, ისე იყო გარათული ჭამით.

აგუსტინი ცეცხლთან იდგა. დანარჩენები ისხდნენ. პილარი რობერტ ჯორდანის პირდაპირ იჯდა მაგიდასთან.

— ნახე, Inglés, — თქვა მან. — ხომ ნახე როგორია?

— ნეტა რას იზამს? — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— რაც მოესასიათება, — ქალი მაგიდას დააშტერდა. — რასაც ვახლა იზამს. მისგან ყველაფერაა მოსალოდნელი.

— ტყვიამფრქვევი სად არის? — იკითხა რობერტ ჯორდანმა.

— აგერ, კუთხეში, საბახშია გახვეული, — მიუგო პრიმიტივომ, — გინდა?

— მერე, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — შენდოდა გამეგო, სად იყო.

— აგერ არის, — თქვა პრიმიტივომ. — შემოვიტახე და ჩემს საბახში გაგ-
ხვიე, რომ მშრალად იყოს. ვაზნებში იმ ტომარაშია.

— მაგას არ იზამს, — თქვა პილარმა. — ტყვიამფრქვევს ხელს არ ახ-
ლებს.

— მე მეგონა, შენ თქვი, ყველაფერს იკადრებსო.

— შეიძლება, — თქვა პილარმა. — მაგრამ ტყვიამფრქვევის მზარება არ იცის. უმაღლ ყუმბარას შემთავდებს, ეს უფრო მოსალოდნელია მისგან.

— რა სისულელეა და რა სისუსტე, რომ არ მოვკალით ეგ კაცი, — თქვა ბოშიამ. მას მთელი საღამო ხმა არ ამოუღია. — წუხელ უნდა მოეკლა რო-
ბერტოს.

— მოჰკალით, — თქვა პილარმა. მისი ფართე სახე ჩამუქებული იყო და დაღლილი. — თანახმა ვარ.

მე წინააღმდეგი ვიყავი, — თქვა აგუსტინმა.

ი ა ცეცხლის პირას იდგა. გრძელი მკლავები ძირს დაეშვა. წვერმოშვე-
ბული ლოყები ჩავარდნილი უჩანდა ცეცხლის შუქზე. — ახლა მეც ამის მომხრე ვარ, — განაცხადო მან. — გესლით არის სავსე და სიამოვნებით ამოგვ-
ხოცავდა.

— ყველამ თქვით თქვენი აზრი. — თქვა პილარმა დაღლილი ხმით. — შენ, ანდრეს?

Matarlo¹, — თქვა ერთ-ერთმა ძმამ, შავი ამა რომ ჩამოზრდოდა შუბ-
ლზე და თავი დააქნია.

— შენა, ელაღით?

¹ მოჰკალით.

— მეც მაგის მომხრე ვარ, — თქვა მეორე ძმამ. — ჩემის აზრით, საშინო კაცია და თანაც არაფრის მაქნისი.

— შენ, პრიმიტივო?

— მეც.

— ფერნანდო, შენა?

— არ შეიძლება ტყვედ გყავდეს? — იკითხა ფერნანდომ.

— მერე ვინ უღარაჯებს ტყვეს? — ჰკითხა პრიმიტივომ. — თრი კაცი მაინც დასჭირდება. ან ბოლოს რა უხდა ვუყოთ?

— ფაშისტებს მივყიდოთ, — თქვა ბოშამ.

— ეგ როგორ იქნება, — თქვა აგუსტინმა. — რა სისაძაგლეა!

— ისე ვთქვი, — უთხრა ბოშა რაფაელმა. — ეიფიქრე, ფაშისტებს ძალიან გაუხარდებოდათ მისი ხელში ჩაგდება-მეთქი.

— გაჩუმდი ერთი, — თქვა აგუსტინმა. — სისაძაგლეა.

— პაბლოზე საძაგელი რაღა უნდა იყოს, თავი გაიძარათლა ბოშამ.

— ერთი სისაძაგლე მეორეს არ ამართლებს, — უთხრა აგუსტინმა.

— მაშ, ყველამ გამოთქვა აზრი, მოხუცისა და Ingles-ის გარდა.

— ეს მათ არ ეხებათ, — თქვა პილარმა. — მათი შეთაური არ ყოფილა.

— ერთი წუთით, — თქვა ფერნანდომ, — არ დამიშთავრებია.

— მაშ, ილაპარაკე, — თქვა პილარმა. — ილაპარაკე, სანამ არ დაბრუნდება, სანამ ხელყუმბარას არ შემოგვივლებს და დინამიტთანად არ ააფეთქებს აქაურობას.

— პილარ, მე მგონი, აზვიადებ, — უთხრა ფერნანდომ. — არა მგონია, ასეთი გადაწყვეტილება ჰქონდეს.

— არც მე მგონია, — თქვა აგუსტინმა. — იმიტომ რომ, ლეინოც ხომ ააფეთქდება. ლეინის გულისათვის მალე მობრუნდება.

— ელ სორდოსთან რომ აგვეყვანა და ელ სორდოს მივყიდა ფაშისტებისათვის? — აზრი გამოთქვა რაფაელმა. — შეგვიძლია თვალები დავთხაროთ. მაშინ საქმე გაადვილდება.

— მოკეტე, — უთხრა პილარმა. — ასე როცა ამბობ, თვითონაც თვალების დათხრის დირსი ხარ.

— ფაშისტები მაინც არაფერს არ მოგვეცემენ, — თქვა პრიმიტივომ. სხვებმაც უცდიათ, მაგრამ ვერაფერი მიუღიათ ამათგან. შეიძლება შენც მიგახერიტონ ზედ.

— დარწმუნებული ვარ, რომ დავაბრმავოთ, კარგად გაიყოლება, — თქვა რაფაელმა.

— მოკეტე-მეთქი, — უთხრა პილარმა. — კიდევ გისხენებია დაბრმავება და შენც იმას მიგაყოლებ.

— კი მაგრამ, პაბლომ თვითონ არ დააბრმავა ერთი დაჭრილი სამოქალაქო გვარდიელი, — გაჩიუტდა ბოშა. — აღარ გახსოვს?

— მოკეტე-მეთქი, კაცო! — თქვა პილარმა. დაბრმავებაზე ლაპარაკისა რცხვენოდა რობერტ ჯორდანის წინაშე.

— მე მაინც არ დამამთავრებინეს, — ჩაერია ფერნანდო.

— დაამთავრე, — უთხრა პილარმა. — თქვი და დაამთავრე.

— რადგან პაბლოს ტყვედ ყოლა არ მოხერხდება, — დაიწყო ფერნანდომ, — და რადგან არანაირად...

— დაამთავრე, — თქვა პილარმა, — ღეთის გულისათვის, დაამთავრე!

— არ შეიძლება მისი გაცემა, — მშვიდად განაგრძო ფერნანდომ, — იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ შესაძლებელია, უმჯობესი გზის მოძებნა იგი, რათა დავეგმილო ოპერაციები მაქსიმალური წარმატებით დავეირგვინდეს.

პილარმა შეხედა ამ ტანმოკრილ კაცს, თავი გააქნია, ტუჩი მოიკვნითა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— ასეთია ჩემი აზრი, — თქვა ფერნანდომ. — ვფიქრობ, სწორია ჩვენი რწმენა, რომ იგი საფრთხეს უქმნის რესპუბლიკას.

— ო, დედაო ღეთისა, — თქვა პილარმა, — აქაც კი შეიძლება ერთმა კაცმა ბიუროკრატობა გამოავლინოს ენით.

— ასე გამოდის მისი სიტყვებიდან და მისი დღევანდელი მოქმედებიდან, — განაგრძო ფერნანდომ. — და, მიუხედავად იმისა, რომ მასი საქმიანობა მადლობას იმსახურებს მოძრაობის აღრულო პერიოდთან ვიდრე დღემდე...

პილარი წამოდგა და ცეცხლისკენ გაემართა. მერე ისევ მაგიდისკენ წამოვიდა: — ფერნანდო, — თქვა მან და მშვიდად შეაჩეჩა ხელში ჯამი. — გეხვეწები, ჭამე ეს, პირი წვნიანით გაივსე და ხმა არ ამოიღო. გვაკმარე შენი აზრები.

— მაშ რთვორ? — იკითხა პრიმიტივომ ისე, რომ წინადადება არც კი დაუმთავრებია.

— *Estoy listo*¹, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — მზადა ვარ შევასრულო. რადგან თქვენ ყველამ გადაწყვიტეთ, მზად ვარ გემსახუროთ.

— რა მომდის? — გაიფიქრა მან, — ფერნანდოს მერე, მეც მასავით ვიწყებ ლაპარაკს. გადამდები ენაა. ფრანგული — დიპლომატების ენაა, ესპანური — ბიუროკრატებისა.

— არა, — თქვა მარიამ. — არა.

— შენი საქმე არ არის, — უთხრა პილარმა გოგონას. — გაჩუმდი.

— ამაღამ შევასრულებ, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

უცებ დაინახა, რომ პილარმა შეხედა მას და ტუჩებზე თითი მიიღო. მერე კარებს გახედა.

გამოქვაბულის შესასვლელთან ფარდა აიწია და პაბლომ თავი შემოყო. ყველას გაუღრიჭა, შემოვიდა და ფარდა ისევ მიამაგრა. მერე შემობრუნდა, თავიდან ლაბადა გადაიძრო და დაბერტყა.

— ჩემზე ლაპარაკობდით? — მიმართა მან ყველას. — ხელი შეგიშალეთ?

არავინ უპასუხა. ლაბადა გაიძრო, კედელზე დაჰკიდა და მაგიდისკენ წამოვიდა.

— *Qué tal?* — იკითხა მან, ცარიელ ჭიქას წამოავლო ხელი და ღვინიან ჯამში

¹ მზად ვარ.

ჩაუშვა. — ღვინო გათავებულა. — უთხრა მან მარიას, წადი, ჩამოასხი ტი-
კიდან.

მარიამ ჯამი აიღო და დამტვერილ, მძიმე, გაბერილ და კუპრში ამოელე-
ბულ ტიკთან მივიდა, რომელიც თავდაყირა ეკიდა კედელზე; ერთ-ერთი ფე-
ხიდან საცობი მოხსნა და ღვინომ იჩქეფა ჯამში. პაბლო თვალს ჩაქმტვნიდა,
როგორ ჩაიჩოქა გოგონამ, ჯამი შეუშვირა და როგორ შედრეკნის ისტრე-
ბოდა მოწითალო ღვინო ჯამში.

— ფრთხილად, — უთხრა მან გოგონას. — ღვინომ უკვე მკერდამდე და-
იწია.

ყველანი ჩუმად იყვნენ.

— ჭიბიდან მკერდამდე დავლიე დღეს. ერთ დღეში. რა დაგემართათ ყვე-
ლას? ენა გადაყლაბეთ?

ყველანი დუმდნენ.

— პირი დაუცე, მარია, — უთხრა მას პაბლომ. — არ დაიღვაროს.

— ბევრი ღვინო გექნება, — თქვა აგუსტინმა, — გეყოფა დასათრობად.

— ერთს უკვე აეხსნა ენა, — თქვა პაბლომ და თავი დაუკრა აგუსტინს. —
მომილოცავს. მეგონა, დამუნჯდი.

— რისგან? — ჰკითხა აგუსტინმა.

— ჩემი შემოსვლისაგან.

— შენ გგონია, შენი შემოსვლა რამეს ნიშნავს?

ევონებ აგუსტინი ეშხადება, გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა. — იქ-
ნებ თვითონ აპირებს რამის გაკეთებას. საკმარისადაც სძულს ამისთვის. მე
კი არ მძულს, — გაიფიქრა მან. — არა, ნამდვილად არ მძულს. საზიზღარია,
მაგრამ მაინც არ მძულს. თუმცა, ეს ლაპარაკი დაბრმავებაზე პაბლოს გან-
საკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს. ისე კი, ეგ ხომ მაგათი ომია. მაგრამ
ამ ორ დღეს მართლაც არაფერი საჭიროა მისი აქ ყოფნა. და მაინც არ გავე-
რევი ამ საქმეში. ერთხელ მივქარე ამ საღამოს და დიდი სურვილიც მაქვს.
მოვსპო ეს კაცი. მაგრამ აღარ უნდა მივქარო წინასწარ. არავითარი სროლა
და მაიმუნობა აქ, მით უმეტეს, როცა დინამიტია აქვე, რასაკვირველია, პაბ-
ლომ ეს გაითვალისწინა. შენა? შენ თუ გაითვალისწინე? — ჰკითხა მან
თავის თავს. არა, არც შენ და არც აგუსტინმა. და ახია შენზე, თუ რამე მოხ-
დება.

— აგუსტინ, — თქვა მან.

— რა გინდა? — ჰკითხა აგუსტინმა პირქუშად და მისკენ მოიხედა.

— საქმე მაქვს შენთან, — უთხრა რობერტ ჯორდანმა.

— მერე.

— არა, ახლა. — თქვა რობერტ ჯორდანმა. — Por favor¹. რობერტ ჯორ-
დანი გამოქვაბულის კარებისაკენ წავიდა და პაბლომ თვალი გააყოლა. აგუს-
ტინი, მაღალი და ლოყებჩაცეენილი, წამოიმართა და გაჰყვა მას. უგულოდ
და ამრეზილად მიათრევდა ფეხებს.

— დაგავიწყდა, ტომრებში რა დევს? — უთხრა მას რობერტ ჯორდანმა.
ისე ჩუმად, რომ არავის გაეგონა.

¹ გთხოვ.

— ფუჰ, — თქვა აგუსტინმა, — როცა მიეჩვევი, გავიწყდება ზოგი რამ.
— მეც დამავიწყდა.

ფუჰ, — თქვა აგუსტინმა. — წარმოგიდგენია, რა სულელეზე ვართ? —
მებრუნდა და, სახსრებში მოშლილი, მავადისკენ გაემართა. — ბიჭო, პაბლო,
დალიე, — თქვა მან. — ცხენები როგორ დაგისვდნენ?

— კარგად, — მიუგო პაბლომ, — თოვლმაც იკლო.

— როგორ ფიქრობ, შეწყდება?

— კი, — თქვა პაბლომ. — უკვე შეთხელდა წვრილი და მაგარი ფიფქები
მოდის. ქარი იქნება, მაგრამ თოვლი შეწყდება. ქარი შეიცვალა.

— როგორ ფიქრობ, გამოიღარებს ხვალ? — ჰკითხა რობერტ ჯორ-
დანმა.

— კი, — თქვა პაბლომ. — გამოიღარებს და აცივდება. ქარი შეიცვალა.

შეხედე ერთი, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა, — როგორი მეგობ-
რული ტონი აქვს ახლა. თვითონაც ქარივით შეცვლილა. სახე და ტანი ღორს
მიუგავს და ვიცი, რომ არაერთხელ მოუკლავს კაცი, მაგრამ კარგი ბარომეტ-
რის მგრძობელობა აქვს. ასეა, — გაიფიქრა მან. — ღორი, საერთოდ, ძალიან
ჭკვიახი ცხოველია. პაბლოს ვაძულვართ ჩვენ. შესაძლოა, მხოლოდ ჩვენი გეგ-
მების გამო. ისე ილანძლება, რომ მზადა ხარ, მიახრჩო. და როცა თვითონ
იგრძნობს, რომ მიაღწია ამ წერტილს, უცებ მოღებება და თავიდან იწყებს
ყველაფერს.

— ჩვენ კარგი ამინდი დაგვიდგება საქმისათვის, Inglés. — უთხრა პაბლომ
რობერტ ჯორდანს.

— ჩვენ, — თქვა პილარმა. — ჩვენ?

— დიახ, ჩვენ, — ღიმილით უთხრა პაბლომ და დვინო დალია. — რატო-
მაც არა? ახლა გარეთ რომ ვიყავი, ყველაფერი მოვიფიქრე. რატომაც არ უნ-
და გვექონდეს თანხმობა?

— თანხმობა რაში? — ჰკითხა მას ქალმა. — რაღაში შეაძლება გვექონდეს
თანხმობა?

— ყველაფერში, — უთხრა პაბლომ. — თუნდაც ხადის საქმეში. ახლა მე
თქვენი მომხრე ვარ.

— ჩვენი მომხრე? — ჰკითხა მას აგუსტინმა. — იმის შემდეგ, რაც თქვი?

— ჰო, — მიუგო პაბლომ. — ამინდი შეიცვალა და მე თქვენთან ვარ.

აგუსტინმა თავი გააქნია.

— ამინდი, — თქვა მან და ისევ გააქნია თავი. — მე რომ სახეში გაგარტყი?

— ჰო, — ღიმილით უთხრა მას პაბლომ და თავი მოისვა ტუჩებზე. —
მიუხედავად ამისა.

რობერტ ჯორდანი პილარს უთვალთვალებდა. ქალი ისე ათვალთვლებდა
პაბლოს, თითქოს რაღაც უცხო ცხოველი იყო. ჯერ კიდევ შერჩენოდა სახეზე
ამ გამომეტყველების ნიშანი, რომელიც დაბრმავებამუ ლაპარაკმა გამოიწვია
მასში. მან თავი ჯერ გააქნია, თითქოს თავიდან იცილებსო ამ ფიქრს, და მერე
უკან გადასწია:

— მისმინე, — უთხრა მან პაბლოს.

— ჰო, ქალო!

— რა გეპართება?

— არაფერი, — თქვა პაბლომ. — აზრი შემეცვალა, მეტი არაფერი. კარებთან უსმენდი ჩვენს ლაპარაკს? — თქვა ქალმა.

— კი, — თქვა პაბლომ, — მაგრამ ვერაფერი ვერ გავიგე.

— იქნება გეშინია, რომ მოგკლავთ?

— არა, — უთხრა მან ქალს და ქიჩის იქიდან გამოხედა, რომ მე ამის არ მეშინია.

— მაშ, რა გემართება? — ჰკითხა აგუსტინმა. — ერთ წუთს მთვრალი ხარ და ყველას გვეცხლავ, საერთო საქმეს თავს არიდებ, ბინძურად ლაპარაკობ ჩვენს სიკვდილზე, ქალებს შეურაცხყოფ და ჩვენს წინააღმდეგ ძიდიხარ...

— მთვრალი ვიყავი, — თქვა პაბლომ.

— ახლა?

— გამოვფხიზლდი და აზრი გამომეცვალა.

— ეგ სხვებს უთხარი, მე არ მჯერა შენი, — უთხრა აგუსტინმა.

გჯერა თუ არ გჯერა, — თქვა პაბლომ, — ჩემსავით ვერავინ ვერ წაგიყვანს გრედოსში.

— გრედოსში?

— ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ხიდის აფეთქების შემდეგ შეიძლება წასვლა.

რობერტ ჯორდანიმა პილარს შეხედა, ხელი ისწია პაბლოს უჩუმრად და მარჯვენა ყურზე დაიკრა შეკითხვის ნიშნად.

ქალმა თავი დაუქნია და მარიას უთხრა რაღაცა. მარია რობერტ ჯორდანთან მივიდა.

— ამბობს, რასაკვირველია, გაიგონაო, — უთხრა მარიამ რობერტ ჯორდანს ყურში.

— მაშ, პაბლო, — დინჯად თქვა ფერნანდომ, — შენ ჩვენთანა ხარ და ხიდის საქმეში დაგვეხმარები?

— ჰო, კაცო, — მიუგო პაბლომ, თვალი თვალში გაუყარა და თავი დაუქნია.

— მართლა? — ჰკითხა მას პრიმიტივომ.

— De veras ¹, — უთხრა მას პაბლომ.

— და ფიქრობ, რომ მშვიდობით დამთავრდება? — ჰკითხა მას ფერნანდომ. — გჯერა ამისი?

— რატომაც არა? — თქვა პაბლომ, — განა შენ არ გჯერა?

— კი, — მიუგო ფერნანდომ. — მაგრამ მე ყოველთვის მჯეროდა.

— უნდა წავიდე აქედან, — თქვა აგუსტინმა.

— გარეთ ცივა, — შეგობრტულად ურჩია პაბლომ.

— შესაძლებელია, — თქვა აგუსტინმა, — მაგრამ აღარ შემიძლია ამ manicomio ²-ს ატანა.

— ამ გამოქვაბულს საგიჟეთს ნუ ეძახი, — უთხრა ფერნანდომ.

— ნამდვილი ბოროტმოქმედთა საგიჟეთია, — თქვა აგუსტინმა. — და სანამ მეც არ გავვიყებულვარ, უნდა წავიდე აქედან.

¹ მართლა.

² საგიჟეთი.

თ ა ვ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე

კარუსელსა ჰგავს, გაიფიქრა რობერტ ჯორდანი. თან იმ კარუსელს კი არა, სწრაფად რომ ბრუნავს არდნის ხმაზე და ოქროსრქიან ძროხებზე წამოსკუპულ ბავშვებს რომ ატრიალებს. იქ ჯობით დასაჭერი ჯიშოვნი ცხენების დიუმენის ავენიუზე ჩამოწოლილ ბინდს გაზის ცისფერი სინათლე სხანსავს. იქვე, გვერდით, შემწვარ თევზს ყიდიან და ბედის ბორბალი ბრუნავს. ტყავის სატკაცუნოებით ეხლება დანომრილ განყოფილებებს. მის გვერდით ხატები შაქრის პირამიდებია ჩილდოდ. არა, ეს ისეთი კარუსელი არ არის. თუმცა ხალხი იცდის. კაცებს ქუდები ახურავთ, ქალებს ნაქსოვი ჯემპრები აცვიათ. თავშიშველებს თმა უბზინავთ გაზის სინათლეზე. ღვანან ბედის ბორბლის წინ ბორბალი ტრიალებს. ხალხი იგივეა. კარუსელი კი სხვაა. აქ ბორბალი თითქოს ჯერ ზევით მიდის და მერე ბრუნავს.

ორჯერ შემოუარა უკვე. უზარმაზარი ბორბალია, სწორი კუთხით ღვას დედამიწასთან. ბრუნავს და ისევ საწყის მდგომარეობას უბრუნდება. ცალი მხარე უფრო მაღალი აქვს, ვიდრე მეორე. ერთი მოქნევით მაღლა აგისვრის და ისევ ძირს ჩამოგსვამს, საიდანაც დაიწყე. აქ არც ჩილდოა, გაიფიქრა მან. არჩევით არც არავინ აირჩევდა ასეთ კარუსელს. ღვახარ მასზე, ბრუნავ და არცა გაქვს ამის სურვილი. მხოლოდ ერთი რკალია, ერთი უზარმაზარი ელიპსურად აღმაავალი და ვარდნილი რკალი და ისევ უბრუნდება ძველ ადგილს. აი, ახლა ჩვენ ისევ ძველ ადგილას ვართ, ფიქრობდა ის, საქმე კი ჯერ ისევ მოუგვარებელია.

გამოქვაბულში თბილობდა. ქარი ჩამდგარიყო გარეთ. რობერტი იჯდა მაგდასთან, წინ რვეული ედო და ხიდის აფეთქების ტექნიკურ მხარეებს ანგარიშობდა. სამი ჩანახაზი გააკეთა, ფორმულები გამოიანგარიშა. აფეთქების მსვლელობა ისე ნათლად ჩახაზა, თითქოს ბავშვისთვის აკეთებდნო. ამგვარად, აფეთქების დროს თვითონ რაიმე რომ მოსვლოდა, ანსელმო ამ საქმეს თავს თავისუფლად გაართმევდა. ხაზვა დაასრულა და ნახაზებს ჩაუკვირდა.

მარია გვერდით ეჯდა და მის რვეულს ჩასცქეროდა. რობერტ ჯორდანი გრძნობდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, მაგდის მოპირდაპირე მხარეს მჯდარი პაბლო თვალს არ აცილებდა. დანარჩენები საუბრობდნენ და კარტს თამაშობდნენ. რობერტი მათ აქ ყოფნასაც გრძნობდა. გრძნობდა, როგორ შეიცვალა გამოქვაბულში საკმლის სუნი ცეცხლისა და ადამიანების სუნით, თამბაქოს, წითელი ღვინისა და ადამიანის სხეულის მყრალი სუნით. მარიამ დაინახა, რომ მან ხაზვა დაამთავრა და რვეულზე ხელი დაუდო; რობერტმა მარცხენა ხელით აიღო მისი ხელი, ცხვირთან მიიტანა, დაუნოსა. თეფშების რეცხვის მერე უბრალო საპნით ახლად დაბანილი ხელების სუნი შეისუნთქა. ხელი ისევ მაგიდაზე დააბრუნა; არც შეუხედავს მარიასთვის; არც უგრძობნია, როგორ ვაწითლდა იგი და ისევ მუშაობა განაგრძო. მარიას ხელი არ აუღია მაგიდიდან, მაგრამ რობერტ ჯორდანი მეტად აღარ მოჰფერებია მის ხელს.

აფეთქების გეგმა დაამთავრა, უბის წიგნაკიდან ახალი ფურცელი ამოხია და საოპერაციო ბრძანებების წერას შეუდგა. ნათელი გონებით აზროვნებდა და ნაწერით კმაყოფილი დარჩა. უბის წიგნაკის ორი გვერდი გაავსო და გულმოდგინედ გადაიკითხა.

— მე მგონი, სულ ეს არის, — გაიფიქრა მან. — ყველაფერი ნათელია და არა მგონია, რაიმე ხარვეზები იყოს. იმ ორ საგუშაგოს გავანადგურებ და ხიდსაც ავაფეთქებთ გოლცის ბრძანებისამებრ. მეც მხოლოდ ეს შევალება. რაც შეეხება პაბლოს, ეს საქმე მე არ უნდა ამეკილა ზურგზე, რადგან რომელი გამოსავალია, ან იქნება პაბლო, ან პაბლო აღარ იქნება. ჩემსთვის სულ ერთია მაგრამ იმ ორომტრიალში აღარ ჩავებმები. ორჯერ ავყუვი მას, ორჯერ შემომამბრუნა და ისევ იქ მიმიყვანა, საიდანაც დავიწყე. მეტი აღარ მინდა.

უბის წიგნაკი დახურა და მარიას შეხედა. — *Hola, guapa!* — უთხრა მას. — გაიგე რაიმე აქედან?

— ვერა, რობერტო, — უთხრა გოგონამ და ფანქრიან ხელზე ხელი დაადო. — დაამთავრე?

— კი. ყველაფერი დავწერე და თადარიგიც დაჭერილია.

— რას აკეთებდი, *Inglés?* — ჰკითხა პაბლომ რობერტს მაგიდის გადაღმიდან. თვალებზე ისევ ბინდი ეკრა.

რობერტ ჯორდანმა დაკვირვებით შეხედა. ნულარ აპყვება ბორბალს, — უთხრა მან თავის თავს. ფეხი არ შედგა. ვგონებ ისევ იწყებს ბრუნვას.

— ხიდის საკითხზე ვმუშაობდი, — მიუგო თავაზიანად.

— როგორ მიდის საქმე? — ჰკითხა პაბლომ.

— კარგად, — უთხრა რობერტ ჯორდანმა. — ძალიან კარგად.

— მე კი უკანდახვევის საკითხზე ვმუშაობდი, — თქვა პაბლომ. რობერტ ჯორდანმა სიმთვრალით დაბინდულ ღორის თვალებსა და ღვინიან ჯამზე გადაიტანა მზერა. ჯამი თითქმის ცარიელი იყო.

არ აპყვე ბორბალს, — უთხრა მან თავის თავს. — ისევ სვამს. გასაგებია. არ უნდა აპყვე ბორბალს. გრანტზეც ხომ ამბობდნენ, სულ მთვრალი იყო სამოქალაქო ომის დროს? ამბობდნენ. ნაძლევს დავდებ, გრანტს აღაშფოთებდა ასეთი შედარება, პაბლო რომ ენახა. გრანტი სიგარასაც ეწეოდა. უნდა ეიზრუნო, რომ პაბლოს სიგარა ვუშოვო. სიგარა აკლია მის სახეს სისავსისათვის. ნახევრად დაღეჭილი სიგარა. სად ვუშოვო სიგარა პაბლოს?

— როგორ მიდის საქმე? — ზრდილობიანად ჰკითხა რობერტ ჯორდანმა.

— ძალიან კარგად, — მიუგო პაბლომ და თავი დააქნია დინჯად და ბრძნულად. — *Muy bien.*

— მოიფიქრე რაიმე? — ჰკითხა კარტის თამაშით გართულმა აგუსტინმა.

— დიახ, — თქვა პაბლომ, — ბევრი რამ.

— სად ამოხაპე, მაგ ჯამში? — ჰკითხა აგუსტინმა.

— შეიძლება, — თქვა პაბლომ. — ვინ იცის, მარია, თუ ქალი ხარ, ჯამი ამივსე, კარგი?

— ალბათ ტიკში რამდენია საინტერესო აზრია, — თქვა აგუსტინმა და კარტის თამაშს მიუბრუნდა. — რატომ არ ჩაძვრები და არ ამოხაპავ?

— არა, — დინჯად თქვა პაბლომ. — ჯამში ძეზნა მირჩევნია.

ხედავ, ისიც არ მიპყვება ბორბალს, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა. — ალბათ ის თავისით ბრუნავს. მე მგონი, კაცი დიდხანს ვერ აპყვება ამ ბორბალს. ჩემის აზრით, სასიკვდილო ბორბალია. კიდევ კარგი, თავი დავადწიეთ. ერთი-ორჯერ თავბრუს დამახვია. მხოლოდ ღოთები, სულმდაბალი და ბოროტი აღამიანები თუ მგზავრობენ ამ ბორბლით სიცოცხლის ბოლომდე. ბორბალი

ბრუნავს, მაღლა იზიდება, ქანი მუდამ სხვადასხვაგვარია, შემოუვლის და ეშ-
 ვება დაბლა. რას დავეძებ, იბრუნოს, — ფიქრობდა რობერტი, — მე კი გერავინ
 ამიყოლიებს. დიახ, ბატონო გენერალო გრანტ, მე გადმოვედი მაგ ბორბლიდან.

კარტის მოთამაშეთაგან ორნი ბილარისკენ ზურგიით ისხდნენ. ბილარი
 ცეცხლთან იჯდა. თამაშს თვალყურს აღევნებდა.

აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა, იქ კი ნორმალური საჭმელი
 ცხოვრება. რა უცნაურია, — გაიფიქრა რობერტი ჯორდანიძე. — ის წყვეული
 ბორბალი დაბლა დაშვებისას ჩაგითრევს ხოლმე. მაგრამ მე უკვე ჩანოვედი
 მაგ ბორბლიდან და ვერა კაცი ვერ ამიყვანს ზედ ისეც. ორი დღის წინ არც
 ვიცოდი, რომ ქვეყნად არსებობდნენ ბილარი, პაბლო და დანარჩენები. არც
 ის ვიცოდი, რომ ქვეყანაზე არის მარია. ცხოვრება უფრო მარტივი იყო მაშინ.
 გოლციისგან მქონდა ბრძანება, რომელიც სავსებით ნათელი იყო და რომლის
 შესრულება სრულიად შესაძლებლად მეჩვენებოდა, მიუხედავად გარკვეული
 სიძნელეებისა და მოსალოდნელი შედეგისა. ვფიქრობდი, ხიფს რომ აეაფეთ-
 ქებო, ან დაებრუნდები, ან არ დაებრუნდები-მეთქი, თუ დაებრუნდებოდი,
 მინდოდა შეთხოვა, რამდენიმე ხნით მადრიდში გავეშვი. მართალია, ამ ომიდან
 არავის არ ათავისუფლებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თრი-სამი დღით
 მაინც გამიშვებდნენ მადრიდში.

მადრიდში ვაპირებდი რამდენიმე წიგნი მეყიდა, გავჩერებულყავი სას-
 ტუმრო ფლორიდაში, ამედო ერთი ოთახი და ცხელი აბაზანა მიმეღო. ვფიქ-
 რობდი, მეკარეს გაეგზავნი-მეთქი აბსენტის საშოვნელად მანტუკერის ლეო-
 ნესასში ან გრან ვიას იქით რომელიმე მაღაზიაში; ვფიქრობდი, აბაზანის მერე
 დაეწვიები და წავიკითხავ-მეთქი, ერთი-ორი აბსენტის დალევის შემდეგ ვა-
 პირებდი გეილორდთან დარეკვას, რომ გამეგო, შემეძლო თუ არა მივსული-
 ყავი და შესადილა.

გრან ვიაში სადილობა არ უნდოდა, რადგან იქ საჭმელს ცუდად ამზა-
 დებდნენ. ამასთან, დროზე თუ არ მიხვედი, არაფერი არ დაგბვდება. გარდა
 ამისა, იქ გაზეთების კორესპონდენტები იკრიბებოდნენ და მას არ უნდოდა
 პირმოკუმული ჯდომა. უნდოდა დაეღია აბსენტი და თავისუფლად ელაპარაკა.
 მისულოყო გეილორდთან და კარკოეთან ერთად ესადილა. იქ გენერალი საჭ-
 მელი ჰქონდათ. ნამდვილი ლუდიც და ომის ამბების გაგებაც შეიძლებოდა.

არ უყვარდა გეილორდის სასტუმროში მისვლა. რუსებმა დაიკავეს ეს
 სასტუმრო მადრიდში და პირველად რომ მივიდა, მეტისმეტად ძვირი ეჩვენა-

ალყაშემორტყმული ქალაქის კვალობაზე, აქ ძალიან კარგი საჭმელი მზად-
 დებოდა, და საუბარი კი ისეთი ცინიკურია იყო, რომ ომიანობის დროს არ
 შეეფერებოდა. რა ადვილად გავფუჭდიო, — გაიფიქრა, — რატომაც არ უნდა შეე-
 ჭამა კარგი საჭმელი ომიდან დაბრუნებულს. ის ცინიკური ლაპარაკიც ძალიან
 სწორი აღმოჩნდა. აი, ამაზე შეიძლება ლაპარაკი გეილორდთან, — გაიფიქრა
 მან, — როცა ყველაფერი მოთავდება. დიახ, როცა ყველაფერი მოთავდება.

შეიძლება მარია წაეიყვანო გეილორდთან? — არა, არ შეიძლება. სას-
 ტუმროში დავტოვებ, ცხელ აბაზანას მიიღებს და გეილორდისაგან დაბრუ-
 ნებულს შინ დამხვდება. დიახ, ასეც მოვიქცევი. ჯერ კარკოეს ეუამბობ მის
 შესახებ და მერე მოგვიანებით ვუბნებ კიდევ, რადგან დაინტერესდებიან და
 მოუხდებათ მისი ნახვა.

ეგებ სულაც არ წავიდე გეილორდთან. გრან ვიაში ვისაუბრო და ფლორიდაში დავბრუნდე. არა, მაინც წავალ. მომინდება ისევ ვნახო ყველაფერი. ისევ ვიგეგმო მათი საქმელი და ვნახო მათი ფუფუნება ასეთი ცხოვრების შემდეგ. მერე დავბრუნდები ფლორიდაში და იქ მარია დამხედება. უთუოდ დამხედება, როდესაც ყველაფერი მორჩება. როდესაც ყველაფერი მოთავდება. დიახ, როდესაც მოთავდება. თუ ყველაფერს კარგად გავაგებებ, გეილორდთან სადილს დავიმსახურებ.

გეილორდის რესტორანი ისეთი ადგილია, სადაც შეხვდები ესპანელ გლეხთა და მუსათა ცნობილ სამხედრო მეთაურებს, ისინი ხალხის წიალიდან გამოვიდნენ ომი რომ ატყდა, ყოველგვარი წინასწარი სამხედრო წვრთნის გარეშე. ნახავ, რომ ყველამ იცის რუსული. ეს იყო, რაც პირველად მას ძალიან არ მოეწონა და რის მიმართაც ცინიკურად განეწყო, მაგრამ როდესაც ჩაუკვირდა როგორ მოხდა ყველაფერი, ეს გრძობაც გაუქრა. ისინი გლეხები და მუსები იყვნენ. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ 1934 წლის რევოლუციაში და იძულებული გახდნენ თავისი ქვეყნიდან გაქცეულიყვნენ, როდესაც რევოლუცია დამარცხდა. რუსეთში კი ისინი გაგზავნეს სამხედრო აკადემიაში, რომ ახალი ბრძოლებისთვის ყოფილიყვნენ მზად და მეთაურობისთვის საკმაოდ სამხედრო განათლება ჰქონოდათ.

რევოლუციის დროს იმ უცხოელებს, რომლებიც გეხმარებოდნენ, ყველაფერს ვერ გაანდობდი, ვერც აჩვენებდი, რომ ვინმემ იცოდა იმაზე მეტი, რაც უნდა სცოდნოდა. მან კარგად იცოდა ეს. თუ საქმე თავისთავად სწორი იყო, ტყუილს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სწორედ გეილორდთან ვაიგებდი, რომ ვალენტინ გონსალესი, რომელსაც ელ კამპესინოს, ანუ გლეხს ეძახდნენ, სინამდვილეში გლეხი კი არა, ესპანეთის უცხოური ლეგიონის ყოფილი სერჟანტი იყო (ან რატომ არ უნდა ყოფილიყო?). თურმე ლეგიონიდან გამოიქცა და აბდ-ელ-ქერიმს შეუერთდა. ამასაც ჰქონდა თავისი გამართლება. ასეთ ომში გლეხი ხელმძღვანელები სჭირდებოდათ. ნამდვილი გლეხი წინამძღოლი დაახლოებით ისეთი იქნებოდა, როგორიც პაბლოა. ან სად იყო იმის დრო, რომ ნამდვილ გლეხ წინამძღოლს დალოდებოდი. რომც გამოჩენილიყო, შესაძლებელია ზედმეტად გლეხური თვისებები ჰქონოდა. ამგვარად, ისლა დაგვრჩენოდა, რომ თვითონ შეგვექმნა ასეთი მეთაური. ბევრა რამ შენიშნა ჯორდანმა კამპესინოს, ამ შავწვერა, ზანგივით სქელტუჩება და მღვრიე თვალედაჭყეტილ კაცს და დარწმუნდა, რომ მასაც შეეძლო იგივე უბედურება მოეტანა, რაც ნამდვილ გლეხ მეთაურს.

როდესაც უკანასკნელად შეხვდა კამპესინოს, ამ კაცს თავისი პოპულარობა თავში ავარდნოდა და თვითონაც დაეჭვებინა, რომ ნამდვილად გლეხი იყო.

ეს იყო მამაცი და უტეხი კაცი, ყველაზე მამაცი, მაგრამ, ღმერთო! რამდენი ლაპარაკი უყვარდა, და როცა აღელდებოდა, რაც ენაზე მოადგებოდა, ყველაფერს იტყოდა. არ დაეძებდა, რა მოჰყვებოდა მის ლაყბობას. ამ ლაყბობას შედეგიც ბევრი მოჰყვა. ბრიგადას შესანიშნავად მეთაურობდა, თუმცა ყოველთვის ისეთ გარემოში უხდებოდა ბრძოლა, სადაც თითქოს ყველაფერი წაგებულ იყო. მან არასოდეს არ იცოდა, როდის იყო ყველაფერი წაგებულ და თუნდაც ყოფილიყო, მაინც ახერხებდა გამარჯვებას.

გეილორდთან უბრალო ქვასმთლელსაც შეხვდებოდი — გალისიელ ენ-

რივე ლისტერს, რომელიც ახლა დიფიზიას მეთაურობდა. მანაც იცოდა რუსული. აქვე შეხვდებოდი დურგალსაც — ანდალუზიელ ხუან მოდესტოს, რომელიც ახლახან სამხედრო კორპუსის მეთაურად დანიშნეს. მას რუსული პუერტო დე სანტა მარიაში არ უსწავლია, თუმცა შეეძლო კია. ბერძენულს კი კოლაში რომ ველო, სადაც დურგლები სწავლობდნენ.

ახალგაზრდა ჯარისკაცებიდან ყველაზე მეტად მას ენდობოდნენ რუსები, რადგან ნამდვილი პარტიული იყო; ასპროცენტიათი, ამბობდნენ და ეამაყებოდნენ, რომ ამერიკანოზს ხმარობდნენ. მოდესტო ბევრად უფრო ჭკვიანი იყო, ვიდრე ლისტერო და ელ-კამპესინო.

გვილორდის რესტორანში ნამდვილად შეიძლებოდა ცოდნის შევსება. აქ გაიგებდი, რა კეთდებოდა სინამდვილეში, ნაცვლად იმისა, რაც უნდა მომხდარიყო. მე მხოლოდ დაწყება მოვასწარიო, — გაიფიქრა მან. ნეტავ, თუ გავაგრძელებ. ეს ადგილი კარგი და ჯანსაღია, სწორედ ისეთი, როგორიც მე მჭირდება. დასაწყისში, როცა მას ჯერ კიდევ ყველა სისულელის სჯეროდა, ამ გარემომ შეაძრწუნა. ახლა კი საკმარისი გამოცდილება ჰქონდა და იცოდა, რომ სიცრუე გარდუვალია. მან ბევრი რამ ნახა გვილორდთან, რამაც ძველი რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცა. მოსწონდა, რომ იცოდა, სინამდვილეში რა ხდებოდა, და არა ის, რაც უნდა მომხდარიყო. თმში ყოველთვის არის ტყუილი, მაგრამ ლისტერის, მოდესტოსი და ელ-კამპესინოს სინამდვილე ყველა ტყუილსა და ლეგენდას სჯობდა. ოდესმე ამ სიმართლეს ისინი ყველას ეტყვიან, მანამდე კი უხაროდა, რომ არსებობდა გვილორდის რესტორანი, სადაც თვითონ შეეძლო ყოველივეს გაგება.

ღიახ, სწორედ იქ წავალო, — გაიფიქრა მან, — როდესაც წიგნებს ვიყიდი, ცხელ აბაზანას მივიღებ, ერთ-ორს გადავკრაფ და ცოტას წავიკითხავ. მაგრამ ეს გეგმა მანამდე ჰქონდა, სანამ მარია გამოჩნდებოდა. კარგი. მათ ორი თოხი ექნებათ და მარია მაც უნდა, ის აკეთოს, ვიდრე ის გვილორდისგან დაბრუნდება. მარია ხომ ამდენ ხანს მთებში ელოდა მას, სასტუმრო ფლორიდაშიც მოიცდის ცოტას. სამი დღე დარჩებიან მადრიდში. სამი დღე დიდი დროა. ოპერაშიც წაიყვანს მარიას და ძმებ მარქსებს მოასმენინებს. ძმები მარქსები უკვე მთელი სამი თვეა გამოდიან და ალბათ ეს პროგრამა კიდევ სამ თვეს იქნება. მოეწონება მარიას ძმები მარქსებიო, — გაიფიქრა მან, — უთუოდ მოეწონება, ძალიან.

დიდა გზა არის გვილორდიდან ამ გამოქვაბულამდე. თუმცა, არა, არ არის დიდი გზა. დიდი გზა უნდა ყოფილიყო ამ გამოქვაბულიდან გვილორდამდე. პირველად კაშკინმა წაიყვანა რობერტი იქ და მას არ მოეწონა იქაურობა. კაშკინმა უთხრა, კარკოვს უნდა შეხვდეთ, ძალიან აინტერესებს ამერიკელების გაცნობაო. ამასთან, დიდი თაყვანისმცემელია ლოპე დე ვეგასი და „ცხვრის წყაროს“ მსოფლიოში უდიდეს პიესად თვლისო. იქნება ეს ასეც არის, მაგრამ რობერტ ჯორდანს ასე არ მიაჩნდა.

კარკოვი მოეწონა, ადგილი კი არა. კარკოვი ყველაზე ჭკვიანი კაცი იყო იმათ შორის, ვინც კი ოდესმე შეხვედრია. შავ ჩექმებს ატარებდა, ნაცრისფერ გალიფებსა და კიტელს. ბელ-ფები პატარა ჰქონდა. სახე შეშუპებული და გამხდარი. ლაპარაკის დროს დორბლებს ყრიდა. რობერტ ჯორდანს სასაცილოდ ეჩვენა, პირველად რომ ნახა, მაგრამ ჭკუა დიდი ჰქონდა, შინაგანი ღარსებაც,

გარეგნული თავხედობაც და იუმორის გრძნობაც გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე კაცს, რომელიც მას ოდესმე სცნობია.

კაშკინმა თავხეხელაღებული ჭაბუკის დახასიათება მისცა მას და კარკოვი თავდაპირველად შეურაცხყოფელი თავაზიანობით ექცეოდა. ხოლო შემდეგ, როდესაც რობერტ ჯორდანმა გმირივით კი არ დაიჭირა, არამედ სასაცილო და უწმაწური ამბავი უამბო, რომელშიც თავის თავს ამასტრუბლად, კარკოვმა ზრდილობიანი ტონი თავისუფალი უხეშობით შეცვალა, მერე შინაურულ ტონზე გადავიდა და ისინი დაძვებრდნენ.

დაბლა, გელორდის რესტორნის შემოსასვლელში, ხიშტიანი ვუშაგები იდგნენ. ეს აღგილი ახლა ყველაზე მყუდრო და სასიამოვნო იყო მთელ ალყა-შემორტყმულ მაღრიდში. რობერტ ჯორდანს იქ ყოფნა ერბოა ახლა, ამ გამოქვამულში ჯდომას, თუმცა ყველაფერი კარგად მიდიოდა უკვე. ბორბალი გაჩერდა. თოვლიც გადადებდას აპირებდა.

მას უნდოდა კარკოვისთვის ეჩვენებინა თავისი მარია. მაგრამ ჯერ გამოარკვევდა, როგორ მიიღებდნენ თვითონ მას ამ მოგზაურობის მერე და მხოლოდ ნებართვის აღების შემდეგ მიიყვანდა იქ მარიას. გოლციც იქ იქნებოდა ამ შეტყვის შემდეგ და თუ რობერტი კარგად გააკეთებდა თავის საქმეს, ყველა გაიგებდა ამას გოლცისგან. გარდა ამისა, გოლცი სასაცილოდ აიგდებდა მას მარიას გამო. მით უმეტეს, იმის შემდეგ, რაც რობერტმა უთხრა მას გოგონების შესახებ.

ის პაბლოს ჯამისკენ დაიხარა და ჭიქა ღვინით აავსო — შენის ნებართვით, — თქვა მან.

პაბლომ თავი დაუჭნია. პაბლო ალბათ საომარი გეგმით არის გართული. ბრძოლით მოპოვებულ წუთიერ სახელს კი არა, პრობლემების გადაწყვეტას ეძებს იმ ჯამის ფსკერზე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ეს მამამძალი შესანიშნავად გაუძღვებოდა ამ რაზმს კიდევ იმდენსავე ხანს, რამდენ ხანსაც უძღვებოდა. უყურებდა პაბლოს და თან ფიქრობდა, ნეტავ მე როგორ მეთაურობას გავუწევდიო პარტიზანებს ამერიკის სამოქალაქო ომში. — რამდენი მეთაური ყოფილა, — გაიფიქრა მან. — ჩვენ კი თითქმის არაფერი ვიცით მათ შესახებ. რასაკვირველია, ეს არ ეხება კუონტრილს, არც მოსბის და არც პაპამისს, არამედ მხოლოდ წვრილ მეთაურებს. რაც შეეხება სმას, ნეტა გრანტი მართლა ლოთობდა? პაპამისი ამბობდა, კიო, თურმე ყოველთვის ცოტა ნასვამი იყო შუადღის ოთხი საათისათვის. უიკბურგის ბრძოლამდე, ალყის დროს, რამდენიმე დღე ზედიზედ თვრებოდა. მაგრამ პაპამისი იმასაც ამბობდა, ჩინებულად მიჰყავდა თავისი საქმე, რაც უნდა მთვრალი ყოფილიყო. ხანდახან ძნელი გასაღვიძებელი იყო, მაგრამ თუ გააღვიძებდი, სრულიად ნორმალური ხდებოდაო.

ჯერ არც გრანტი ჩანდა, არც შერმანი, არც სტოუნჰოლი და არც ჯეკსონი ამ ომში. არა, არც ჯემ სტიუარტი და არც შერიდანი. მაკ-კლელანი კი ზევრი იყო. ფაშისტებს უამრავი მაკ-კლელანი ჰყავთ, ჩვენ კი — სულ ცოტა, სამი მაინც.

ამ ომში მას მართლაც არ შეხვედრია სამხედრო გენიოსები. ერთიც კი არა. არაფერი ამის მსგავსი. კლემბერმა, ლუკასმა და ჰანსმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი საქმე მაღრიდის დაცვის დროს ინტერნაციონალური ბრიგა-

დებით. მაგრამ შემდეგში იმ ბებერმა, თავმოტვლებილმა, სათვალთანმა, თვით-
კმაყოფილმა, ბუსავით მტერმა, საუბარში უგუნურმა, ხარივით უტყვემა და
უტყვესა, პროპაგანდით შექმნილმა მადრიდის დამცველმა მიახამ ისეთა შური
გამოიჩინა სახელმოხვეჭილი კლებერის მიმართ, რომ კლებერი რუსებს გაა-
თავისუფლებინა სარდლობიდან და ვალენსიაში გადაყვანიდა, კლემენტინე კარგი
ჯარისკაცი იყო, მაგრამ ძალიან გონებაშეზღუდული. ამასთანავე მისი თანამებრ-
ძის რომ არ შეეფერებოდა, ისე ბევრი ლაპარაკი უყვარდა. გოლციც კარგი
გენერალი იყო და ჩინებული ჯარისკაცი, მაგრამ ყოველთვის ხელქვეით ჰყავ-
დათ და თავისუფლებას არ აძლევდნენ. ამ შეტევაში უნდა გჩვენებინა თავისი
თავი მაქსიმალურად, რობერტ ჯორდანს კი მაინცდამაინც არ მოსწონდა, რაც
შეტევის შესახებ იცოდა. არსებობდა კიდევ ვინმე გოლი, უნგრელი, რომე-
ლიც უთუოდ უნდა დაეხვრიტათ, თუ ყველაფერი ის მართალი იყო, რასაც
გეილორდთან მასზე ამბობდნენ. ათი პროცენტიც თუ სარწმუნოა, რასაც მასზე
ამბობდნენ გეილორდთან, მაინც დასახვრეტიაო, — გაიფიქრა რობერტ ჯორ-
დანმა.

ნეტავი ენახა პლატოზე ბრძოლა, გვაღალახარასთან, როდესაც მათ იტა-
ლიელები დაამარცხეს, მაგრამ მაშინ ის ესტრემადურაში იბრძოდა. ჰანსმა
უამბო ეს ამბავი გეილორდთან ორი კვირის წინ და ნათლად დაანახა მთელი ეს
ბრძოლა. იტალიელებმა ცეცხლის ხაზი გაარღვიეს ტრიხუეკთან და მოსა-
ლოდნელა იყო, რომ თუ ტორინა-ბრიპუეგას გზას მოსჭრიდნენ, მეთორმეტე
ბრიგადას გამოსავალი აღარ ექნებოდა. ამ წუთს ბრძოლა წაგებული ჩანდა. —
მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ესენი იტალიელები იყვნენ, — თქვა ჰანსმა, —
და ისეთი მანევრირება ჩავატარეთ, რასაც სხვა ჯარებთან აზრი არ ექნებოდა.
სწორედ ამით მოვიგეთ.

ჰანსმა ყველაფერი უჩვენა მას საბრძოლო რუკაზე. თან დაჰქონდა ხოლმე
ჩანთით ეს რუკები და ჯერ კიდევ საოცრებად მიაჩნდა მათი ასეთი გამარჯ-
ვება. ჰანსი ჩინებული ჯარისკაცი იყო და კარგი ამხანაგიც. მან უთხრა, ამ
ბრძოლაში ლისტერის, მოლესტოსი და კამპესინოს ესპანური ჯარები კარგი
იბრძოდნენო. ეს იყო მათი სარდლობისა და მათ მიერ დანერგილი დისციპ-
ლინის წყალობა. მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ ლისტერი, კამპესინო და
მოლესტო ბრძოლის დროს რუსი სარდლების რჩევას მისდევდნენო. ისინი
ჰგავდნენ შევირდებს ორსაჭიან თვითმფრინავზე, სადაც მფრინავი შევირდის
შეცდომას ასწორებდა მეორე საჭესთან. დიან, ამ წელს გამოჩნდება, თუ რა
ისწავლეს და როგორ. ცოტა ხნის შემდეგ იღარც ორმაგი საჭე იქნება და
ნათლად გამოჩნდება, როგორ გაუძღვებიან დაუხმარებლად დივიზიებსა და
ჯარის ნაწილებს.

ესენი კომუნისტები იყვნენ. რკინისებური დისციპლინა ჰქონდათ. დის-
ციპლინა კი კარგ ჯარებს შექმნის. ლისტერი მკვლელობამდე მიდიოდა დის-
ციპლინის გამო. მან იცოდა, როგორ უნდა გამოებრძმედა დავიზია საბრ-
ძოლველად. ერთია, იდგე პოზიციაზე და მეორეა შეუტით და ხელი იგდო იგი.
მაგრამ სულ სხვა რამ არის მანევრირება ბრძოლის ველზე. — რობერტ ჯორ-
დანი მაგიდასთან იჯდა და ფიქრობდა. — საინტერესოა, როგორი იქნება ლის-
ტერი, როდესაც ორმაგი კონტროლი მოიხსნება. მაგრამ, შესაძლოა, არც
მოიხსნას, — გაიფიქრა მან. — ნეტავ მოიხსნება, თუ პირიქით, გაძლიერდება?

ნეტავ რუსები რა აზრისანი არიან ამის შესახებ? მართლაც ჩინებული ადგილია გვილორდის რესტორანი. ბევრი რამ არის, რას ცოდნაც შე შეტრდება და რისი გაგებაც მხოლოდ გვილორდთან შეიძლება.

ერთ დროს ეგონა, რომ გვილორდის რესტორანი ცუდ გავლენას ახდენდა მასზე. ეს იყო რაღაც საპირისპირო ამ პუბლიცისტური რელიგიუზიზმისა, რაც ახასიათებდა მაღრიდის სასახლეს, ველასკესის რვ-ში. ესაა ველასკესის ინტერნაციონალური ბრიგადის შტაბად იქცა. ველასკესის რვ-ში ისეთი გრძნობა გქონდა, თითქოს რომელიმე რელიგიური თრდენის წევრი იყავი. გვილორდისათვის კი ძალიან უცხო იყო გრძნობა, რომელიც ადამიანს ექმნებოდა მესხეთე პოლკის შტაბში, სანამ მას ახალი არმიის ბრიგადებად დაპყოფდნენ.

თრივე ადგილას ისეთი გრძნობა გებადებოდა, თითქოს ჯვაროსნულ ომში იღებდი მონაწილეობას. ეს იყო ერთადერთი შესაფერი სიტყვა მათთვის, თუქცა ისე გაცვდა და წაიბილწა ეს სიტყვა, რომ თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა დაკარგა. მიუხედავად ყოველგვარი ბიუროკრატიზმისა და უუნარობისა და პარტიული უთანხმოებებისა, აქ მაინც იგრძნობდით იმას, რასაც მოელოდით პირველი ზიარების დროს და რაც ვერ იგრძენით. აქ ისეთი გრძნობა გებადებოდა, თითქოს მოვალეობას ეზიარები ქვეყნად ყველა ჩაგრულის წინაშე, ამაზე ლაპარაკი ისევე ძნელია და უხერხული, როგორც რელიგიურ განცდაზე, და მაინც ეს იყო ისევე აშკარა გრძნობა, როგორც ადამიანს ექმნება ბახის მოსმენის დროს ან როცა შარტრის ან ლეონის ტაძარში დგას და უზარმაზარი ფანჯრებიდან შემოსულ სინათლეს ხედავს. ან როდესაც უყურებს მანტენიას, გრეკოსა და ბრიუგელის ტილოებს პრადოში. ეს გაგრძნობინებდა, რომ შენ ხარ ნაწილი იმისა, რისიც გჯერა მთლიანად და სრულად და სადაც ყველა ამ რწმენის ადამიანი ღვიძლი ძაბა შენი. ეს ისეთი რაღაც არის, რაც ადამიანმა ადრე არ იცის და როცა შეიგრძნობს, ისე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას და მის წარმომშობ მიზეზებს, რომ სიკვდილიც კი უმნიშვნელო ხდება. თლთან უნდა ვრიდო მას, რადგან ხელს შევიშლის მოვალეობის შესრულებაში. ყველაფერზე კარგი კი ის არის, რომ ამ გრძნობისათვის და აუცილებლობისათვის რაღაცის გაკეთება შეგიძლია. ბრძოლა შეგიძლია.

ასე ვიბრძოდითო, გაიფიქრა მან, და ამ ბრძოლაში აღარ იყო გრძნობების სიწმინდე იმათ მიმართ, ვინც ბრძოლას გადაურჩა და კარგადაც იბრძოდა, არ იყო პირველ ექვს თვეს მაინც.

პოზიციის ან ქალაქის დაცვა ომის ის ნაწილია, რომლის დროსაც ადამიანში ეს პირველი გრძნობა იღვიძებს. სწორედ ასეთი გრძნობით იბრძოდნენ სიერაში. რევოლუციისათვის დამახასიათებელი ჭეშმარიტად ამხანაგური გრძნობით. რობერტ ჯორდანმა ეს იგრძნო იქ, მაღლა, როდესაც დისციპლინის დანერგვის პირველი საჭიროება გაჩნდა, იგრძნო და მოეწონა. დაბომბვის დროს ადამიანებმა სიმსდალე გამოიჩინეს და გაიქცნენ. ბევრი უნახავს გზის პირას, როგორ უპატრონოდ ეყარნენ მოკლულნი. არავის არ ჰქონდა მათი ჯაერი. მხოლოდ ვაზნებს თუ ააცლიდნენ და გაძარცვავდნენ. სწორი იყო, რომ მათი ვაზნები, ჩექმები და ტყავის პალტოები მიჰქონდათ ძარცვასაც სავსებით რეალისტური საფუძველი ჰქონდა. მათ რომ არ წაეღოთ, ამ ნივთებს ანარქისტები ჩაიგდებდნენ ხელში.

სწორი, სამართლიანი და აზროვნებელი ჩანდა ისიც, რომ გამოქცეულებს კლავდნენ. ამისი არაფერი არ იყო ცუდი. ასეთ დროს გაქცევა ეგონებოდა ნიშნავს. ფაშისტებმა შემოგვიტიეს და ჯუჯა ფიჭვებითა და შავბრავით დაფარული გვადარამას რუხი მთის ფერდობებზე შევაჩერეთ ისინი გზისპირი გვეკავა თვითმფრინავებიდან დაბომბვისა და არტილერიის შეტვის დროს; ცოცხლად დარჩენილები დღის ბოლოს კონტრშეტევასზე და უკუვაგდეთ მტერი. მოგვიანებით, როდესაც მათ მარცხნიდან შემოვიდა წყაღეს, სანატორიუმში გავმაგრდით და სროლა ავუტეხეთ ფანჯრებიდან და სახურავებიდან, თუმცა მათ უკვე ორივე მხრიდან შემოუარეს შენობას და ჩვენ თითქმის ალყაშემორტყმულები ვიყავით, ვიდრე კონტრშეტევამ ისინი ისევ გზის გადაღმა არ გადადგნა.

მაელს ამ ორომტრიალში, როდესაც შიშისაგან ბირი და ყელი გიშრება, მტერის კორიანტელში, არტილერიის გრუხუნსა და გრიალში, ტყვიამფრქვევის კაჭანში, მეტყვიამფრქვევეთა გვამებს ათრევ, ხრეშში პირქვე წევხარ, საფარს მოფარებული გატეხილ მასრას იღებ ტყვიამფრქვევიდან და ფალასკას ასწორებ, შერე ისევ წევხარ საფარს უკან, გზისპირს უშიზნებ და იცი, რომ მართალი ხარ, რაც საჭიროა, სწორედ იმას აკეთებ! ასე შეიგრძნო მან შიშის აღმძვრელი, სულის შემხუთავი აღმაფრენა ბრძოლისა და მთელი ზაფხული და შემოდგომა მთელი ქვეყნის ჩაგრულებს იცაედა ყველა ტირანისაგან, იბრძოდა ყველაფრისათვის, რისიც სწამდა, იბრძოდა ახალი სამყაროსათვის, რომელიც მან სწავლით შეიცნო. ყველაფერი ეს ამ შემოდგომაზე გავიგეო, — გაიფიქრა, — გავიგე, როგორ ამეტანა და არაფრად ჩამეგლო ტანჯვა გაუთავებელ სიციფეში. სისველეში, რომელიც ტალახში სანგრების თხრასა და პოზიციების გამაგრებისას განვიცადე. იმ ზაფხულსა და შემოდგომაზე განცდილი გრძნობები დაღლილობაში, თვლელმაში, ნერვიულობასა და მიუსაფრობაში იყო ღრმად ჩაფლული. მაგრამ ეს აღმაფრენა ჯერ კიდევ შემორჩენოდა და ყველაფერი, რაც გამოიარა, ხელს უწყობდა მის განმტკიცებას. სწორედ ამ დღეებში იყო სავსე ღრმა, ჯანსაღი სიამაყით. ამის გამო გეილორდის სასტუმროში შესაძლებელია სულელად მავეჩნიეთო, — უეცრად გაიფიქრა მან.

არა, ადრე ასე კარგად ნამდვილად ვერ იგრძნობდა თავს გეილორდისას, მეტისმეტად გულუბრყვილო იყო მაშინ, საოცარ აღმაფრენას განიცდიდა. მაგრამ, შესაძლოა, გეილორდის ხალხიც არ იყო მაშინ ასეთი, როგორიც ახლაა. — არა, ნამდვილად არ იყვნენ ასეთები, — უთბრა მან თავის თავს. — სულაც არ იყვნენ ასეთები და საერთოდ არ არსებობდა გეილორდის ხალხი მაშინ.

კარკოვმა უამბო იმ დღეების შესახებ. იმ დროს, რაც კი იქ რუსები იყვნენ, ყველანი პალას ოტელში ცხოვრობდნენ. რობერტ ჯორდანი არც ერთ მათგანს არ იცნობდა მაშინ. ეს იყო პირველი პარტიზანული ჯგუფების ჩამოყალიბებამდე. ჯერ კიდევ მანამ, სანამ კაშკინს შეხვდებოდა. ან რომელიმე მათგანს. ამ დროს კაშკინი ჩრდილოეთში იყო, ირუნში, სან-სებასტიანში და ამით იბრძოდა ვიტორიაში გასასვლელად. იანვრამდე მადრიდში არ ჩამოსულა. ამასობაში რობერტ ჯორდანი კარაბანჩელთან და უსერასთან იბრძოდა სამი დღის განმავლობაში. მათ ფაშისტების მარცხენა ფრთის თავდასხმისაგან დაიცვეს მადრიდი, სახლიდან სახლამდე ერეკებოდნენ მავრებსა და

Tercio-ს¹, რათა გაეთავისუფლებინათ დანგრეული გარეუბანი, მზით შერუ-
ჭული რუხი პლატოს ბოლოს, და დაცვის ხაზი შეექმნათ ბორცვებზე, რო-
მელიც ქალაქის ამ კუთხეს დაიცავდა. კარკოვი ამ დროს მადრიდში იყო.

კარკოვიც არ იყო ცინიკურად განწყობილი იმ დღეებისადმი. ეს ის დღე-
ები იყო, ერთად რომ გადაიტანეს. როცა ყველაფერი თითქოს დეორგული
ჩანდა. ახლა ყოველმა მათგანმა მშვენიერად იცოდა, როგორ ქვიშაქვეყნა, რო-
ცა ყველაფერი დაკარგულად მოეჩვენებოდა. მთავრობა ქალაქიდან წავიდა და
თან სამხედრო სამინისტროს ყველა ავტომანქანა წაიყვანა. მოხუცი მიახა იძუ-
ლებული იყო ველოსიპედით წასულიყო და დამცველი რაზმები დაეთვალიე-
რებინა. აი, ამისი კი რობერტ ჯორდანს არ სჯეროდა. ყველაზე პატრიოტულ
ოცნებაშიც კი მიახა ველოსიპედზე ვერ წარმოედგინა. მაგრამ კარკოვი ირწ-
მუნებოდა, რომ მართლა მოხდა ეს.

მაგრამ იყო კიდევ ერთი ამბავი, რომლის შესახებ კარკოვს არაფერი
დაუწერია: სამი დაჭრილი რუსი ებარა მას პალას ოტელში. ორი მათგანი
ტანკისტი იყო, მესამე კი მფრინავი. მათი ადგილიდან დაიწერა სახიფათო იყო,
და კარკოვს ევალეობდა, ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში, დაჭრილები ფა-
შისტებს არ ჩავარდნოდნენ ხელში.

თუ ქალაქის დატოვება მოუხდებოდათ, კარკოვს უნდა მოეწამლა ისინი,
ვიდრე პალას ოტელიდან წავიდოდა, და მოესპო ყველაფერი, რაც მათ ვინაო-
ბას გაამჟღავნებდა. ვერავინ მიხედებოდა სამი დაჭრილის სხეულის მიხედვით,
რომ ისინი რუსები იყვნენ. ერთს სამი ტყვია მოხვედროდა მუცელში, მეორეს
ყბა ჰქონდა მოგლეჯილი და გარედან სახმო სიმები უჩანდა, მესამეს კი თეძო
ჩამსხვრეოდა და სახე და ხელები ისე საშინლად დაწვოდა, რომ უწამწამო,
უწარბო და უთმო ბებერსა ჰგავდა. ვერავინ იტყოდა ამ სამი დაჭრილი და
პალასში დატოვებული სხეულის მიხედვით, რომ ისინი რუსები იყვნენ. ვერა-
ვინ დაამტკიცებს შეშველი გვამის მიხედვით, რომ ის რუსია. როცა მოკვდები,
ალარც შენი ეროვნება ჩანს და ალარც შენი პოლიტიკა.

რობერტ ჯორდანმა ჰკითხა კარკოვს, რას გრძნობდა, როცა ამ აქტის შეს-
რულებაზე ფიქრობდა. კარკოვმა უბასუხა, რომ მაინცადამაინც დიდი სურვი-
ლი არ ჰქონია. — როგორ აპირებდი ამის გაკეთებას? — ჰკითხა რობერტ ჯორ-
დანმა და მერე დასძინა, — ხომ იცი, რომ ადვილი არ უნდა იყოს ადამიანის
მოწამვლა? — და კარკოვმა მიუგო, — როგორ არა, ადვილია, როცა საკუთარი
თავისთვისაც ყოველთვის თან დაგაქვს საწამლაგი. — მან სათუთუნე გახსნა და
რობერტ ჯორდანს უჩვენა, რა ჰქონდა ამ სათუთუნის ერთ-ერთ კუთხეში.

— მაგრამ ხომ ჩამოგართმევდნენ სათუთუნეს დაქერისთანავე? — შეესი-
ტყვა რობერტ ჯორდანი, — ხომ აგაწვევინებდნენ ხელებს?

— აქაც მაქვს, — ღრევით უთხრა კარკოვმა და ქურთუკის საყულო უჩ-
ვენა. — აი, ამ წვეტს ჩაიდებ პირში, ჩაკბიჩავ და გადაყლაპავ.

— ეგ სჯობია, — თქვა რობერტ ჯორდანმა, — მართლა მძალე ნუშის გემო
აქვს, როგორც დეტექტიურ მოთხრობებში წერენ?

— არ ვიცი, — მხიარულად თქვა კარკოვმა. — არასოდეს არ მიყნოსია.
ვინდა, გავტეხოთ ერთი და ვუსუნოთ?

¹ ლეგიონერები.

— შეინახე, უმჯობესია.

— მართალი ხარ, — თქვა კარკოვმა და შეინახა სათუთუნე. — შენ ხომ იცო, რომ მე დამარცხებაზე არ ვფიქრობ. მაგრამ, შესაძლებელია, ასეთი სერიალური მომენტი კიდევ დადგეს, ამას კი ვერსად ვერ იშვია. ნახე კორდოვას ფრონტის კომუნიკე? შესანიშნავია. ყველა კომუნიკეზე შეტად მომწონს.

— რაო, რას ამბობს? — რობერტ ჯორდანი მადრიდში სწორედ კორდოვას ფრონტიდან ჩამოვიდა. და უეცრად ისე ეფეთა ეს ამბავი, როგორც სხვისი პირიდან გაგონილი ხუმრობა ისეთ რამეზე, რაზეც მხოლოდ შენ შეგიძლია იბუმრო და სხვას ამის უფლება არა აქვს. — მიიხარო.

— *Nuestra gloriosa tropa siga avanzando sin perder ni una sola palma de terreno*¹. — თავისი უცნაური ესპანურით თქვა კარკოვმა.

— არა მგონია ასე ყოფილიყო, — დაექვედა რობერტ ჯორდანი.

— ჩვენი დიდებული ჯარი წინ მიიწევს და მიწის არც ერთ გოჯს არ თმობს, — გაიმეორა კარკოვმა ინგლისურად. — ზუსტად ასე წერია კომუნიკეში. უნდა მოგიძებნო.

გაიხსენებდი ადამიანებს, რომლებსაც იცნობდი, და რომლებიც პოსობლანკოს ბრძოლაში დაიღუპნენ. სიცილადაც არ ყოფნიდათ ასეთი რამ გეილორდას სასტუმროში.

ასე იყო გეილორდთან ახლა. იყო დრო, როდესაც გეილორდის ხალხი არ არსებობდა და რაკი გარემომ შექმნა ისეთი რამ, როგორც გეილორდის წრე იყო, როგორც წარსული დღეების ნაშთი, მას უხაროდა, რომ იცნობდა ამ ხალხს და იცოდა ყველაფერი მათ შესახებ. სულ სხვაგვარი გრძობა მქონდაო, გაიფიქრა მან, სიერაში, კარაბანკელსა და უსერაში. რა აღვილად იბრწინებო, — გაიფიქრა. — მაგრამ ამას ნეტა გახრწნა პქვია, თუ იმ გულუბრყვილობის დაკარგვა, რომლითაც საქმეს შეუდექი? განა ყველაფერში ასე არ ხდება? ვინღა იწარჩუნებს გონების იმ სიწმინდეს, რომლითაც მოღვაწეობას იწყებს ახალგაზრდა ექიმი, ახალგაზრდა მღვდელი, თუ ახალგაზრდა ჯარისკაცი? მღვდლები ნამდვილად იწარჩუნებდნენ, ან თავს ანებებდნენ მღვდლობას. მაგრამ შეხედე კარკოვს...

რობერტ ჯორდანს არ ბეზრდებოდა კარკოვზე ფიქრი. როდესაც ის უკანასკნელად იყო გეილორდთან, კარკოვი აღფრთოვანებას გამოთქვამდა ვინმე ინგლისელი ეკონომისტის გამო, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ესპანეთში. რობერტ ჯორდანი წლების განმავლობაში კითხულობდა ამ კაცის ნაწერებს და ყოველთვის დიდ პატივს სცემდა ისე, რომ არაფერი არ იცოდა მის შესახებ. მას დიდად არ ადარდებდა, თუ რას წერდა ეს კაცი ესპანეთზე. ნაწერები ძალზე მარტივი იყო და ნათელი, ძალზე ფულგანსნილი და თავშეკავებული. და სტატისტიკური ცნობების უმრავლესობა მიკერძოებით იყო შედგენილი მისივე აზრების დასამტკიცებლად. მე მაინცადამაინც არ მაინტერესებს წერილება იმ გვეყნის შესახებ, რომელსაც თვითონ ვიცნობ, — გაიფიქრა მან, — მაგრამ ამ კაცს პატივს ვცემდი მისი კეთილი ზრახვების გამო.

¹ ჩვენი დიდებული ჯარი წინ მიიწევს და მიწის არც ერთ გოჯს არ თმობს.

და ბოლოს, ერთ ნაშუადღევს, როდესაც კარაბანკელთან უტყველდნენ, მან ნახა ეს კაცი. ხართა საბრძოლო არენის საფარში ისხდნენ. დაბლა ორი ქუჩიდან სროლის ხმა ისმოდა და ყველანი დაძაბულნი ელოდნენ შეტევას. დანაპირები ტანკი არ ჩანდა. მონტეროს თავი ხელეებში ჩაერგო და ამბობდა: — ტანკი არ მოვიდა! ტანკი არ მოვიდა!

ეროვნული

სუსხიანი დღე იყო. მტვრის ყვითელი კორიანტელი იტყვიან ქუჩის მონტეროს მარცხენა ხელში ესროლეს და ხელი გაუშვეს. — უნდა მივიდეთ ტანკი. უნდა დაველოდეთ ტანკის მოსვლას, მაგრამ ლოდინის დროც აღარ არის. — ამბობდა ჭრილობისგან გაღიზიანებული.

რობერტ ჯორდანი ტანკის სანახავად წავიდა, რომელიც, მონტეროს აზრით, შეიძლება საცხოვრებელი სახლის უკან, ტრამვაის ხაზთან გაჩერებულიყო. იქ დაავდა რაღაც, მაგრამ ტანკი არ იყო. ესპანელები იმ დღეებში ყველაფერს ტანკს ეძებდნენ. ეს იყო დანჯღრეული ჯავშნიანი მანქანა. მძღოლს არ უნდოდა სახლის კუთხეს მოშორებოდა და ხართა საბრძოლო არენისაკენ წამოსულიყო. ის მანქანის უკან იდგა, ხელებით დაყრდნობოდა მანქანას და ტყავისჩაფხუტიანი თავი მკლავებში ჩაერგო. როდესაც რობერტ ჯორდანი გამოვლამარაკა, უარის ნიშნად თავი იგაქნია, ისე, რომ არც აუწყებია. შემდეგ თავი მოაბრუნა, მაგრამ რობერტ ჯორდანისათვის არ შეუხედავს.

— ჩემთვის არ უბრძანებიათ იქ წასვლა, — თქვა მან უჭმურად. — რობერტ ჯორდანმა რევოლვერი დააპრო ბუდიდან, ჩახმახი შეაყენა და ჯავშნოსანი მანქანის მძღოლს ტყავის პალტოზე მიადო.

— აი, შენი ბრძანება, — უთხრა მან. კაცმა ისევ გააქნია დაბამბული ტყავისჩაფხუტიანი თავი, ფეხბურთელისას რომ მიუგავდა. — ტყვიები არა მაქვს ტყვიამფრქვევისათვის.

— ჩვენა გვაქვს, არენასთან. — უთხრა მას რობერტ ჯორდანმა. — წამოდი, იქ გავავსოთ ფაღისკები. წავიდეთ.

— შეტყვიამფრქვევე არ არის, — თქვა მძღოლმა.

— სად არის? სად არის შენი ამხანაგი?

— მოკლეს, — თქვა მძღოლმა. — იქ არის, შიგნით.

— გამოიტანე, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — გამოიტანე იქიდან.

— არ მინდა ხელი ვახლო, — თქვა მძღოლმა. — თანაც ტყვიამფრქვევსა და საჭეს შორის არის გაჩხირული და ვერ ვძვრები იქით.

— წამო, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — ერთად გამოვიტანოთ.

როდესაც მანქანაზე აღიოდა, თავი მიართყა, წარბი გაუსკდა და სისხლი ჩამოედვარა სახეზე. მიცვალებული საჭესა და დასაჯდომ ადგილს შორის პირქვე ჩამხობილიყო. ისე მძიმე იყო და გაწეწებული, რომ მუშტი უნდა გერთყა თავში და ისე გამოგეტრია. ბოლოს მუხლი ამოჰკრა მიცვალებულს თავქვეშ, წელში დაეჭიდა და, რაკი ახლა მიცვალებულის თავი თავისუფლად მოძრაობდა, კარისკენ გამოათრია.

— ხელი მომაშველე, — უთხრა მძღოლს.

— ხელს ვერ მოგვიღებ, — თქვა მძღოლმა. და რობერტ ჯორდანმა შენიშნა, რომ ის ტიროდა. ცრემლები სდიოდა მტვრით დაფარულ სახეზე, ლოყებზე, და ცხვირიდანაც სდიოდა სისველე.

კარებთან მდგარმა მიცვალებულმა გაღმიათრია და ტროტუარზე დაავდო,

ტრამვაის ხაზის ახლოს. ასე ეგდო მიცვალებული ცემენტის ტროტუარზე, ორად მოკეცილი, სახეზე სათელღვით გაფითრებული, ხელებმოხრელი, როგორც მანქანაში.

— დასწყევლოს ღმერთმა, წამოდი, თქვა რობერტ ჯორდანმა და მძღოლს რევოლვერით ახიშნა წამოსულიყო. — ჩაჯექი ახლად

სწორედ ამ დროს მან დაინახა კაცი, რომელიც საცხოვრებელი სახლის საფარიდან გამოვიდა. გრძელი პალტო ეცვა, თავშიშველი იყო და ჭაღარა. ფართო ყვრიმალეები ჰქონდა და ახლოს მიჯრილი, ღრმად ჩამჯდარი თვალები. ხელში ჩესტერფილდის კოლოფი ეჭირა, ერთი ცალი ამოიღო და მიაწოდა რობერტ ჯორდანს, რომელიც რევოლვერით მძღოლს მანქანაში უბიძგებდა.

— ერთი წუთით, ამხანაგო, — უთხრა მან რობერტ ჯორდანს ესპანურად. — ხომ ვერ ამიხსნით, რა ხდება ამ ბრძოლაში?

რობერტ ჯორდანმა სიგარეტი გამოართვა და მექანიკოსის ლურჯი ხალათის ზედა ჯიბეში ჩაიღო. სურათების მიხედვით იცნო ეს კაცი. ეს იყო სწორედ ის ბრიტანელი ეკონომისტი.

— წადი, შენს თავს მოუარე, — უთხრა მან ინგლისურად და მერე ჯავშნოსანი მანქანის მძღოლს ესპანურად მიმართა: — იქით, ხედავ იმ მოედანს? — მან ჭახანით მობურა მძიმე კარი და დაღმართზე დაეშვნენ მანქანით.

— ტყვიები ეხლებოდნენ მანქანას, თითქოს რკინის ქვაბს კენჭები დაუშინესო. მერე, როცა ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ, ჩაქუჩის რახუნს ჰგავდა მათი ხმა. მანქანა საფარს უკან მიაყენეს, სადაც ჯერ კიდევ გაკრული იყო ოქტომბრის აფიშები სალაროსთან. იქვე ტყვია-წამლის და ყუთები ეყარა და თოფებით შეიარაღებული, ხელყუმბარებით ქაშარ-ჯიბეგამოვსებული ჯარისკაცები იცდიდნენ. მონტერომ თქვა:

— აგერ ტანკი. შეგვიძლია დავიწყოთ შეტევა.

გვიან ღამით, როდესაც უკანასკნელი სახლები დაიკავეს მთაზე, რობერტი მშვიდად იწვა აგურის კედლის უკან. კედელში აგური გამოემტვრიათ სათოფურად. იწვა და გაპყურებდა ცეცხლის გაწლილ ველს, რომელიც გაწოლილიყო მათგან მთებამდე. სადაც ფაშისტებმა უკან დაიხიეს და მშვიდად, თითქმის ნეტარებით ფიქრობდა, როგორ კარგად იცავდა მარცხენა ფრთას ბორცვი, რომელზედაც დანგრეული ვილა მოჩანდა. იწვა ჩალაზე, ტანისამოსი ოფლით ჰქონდა დამბალი და ლაბადაში გაბვეულიყო გასაწრობად. სწორედ ამ დროს გაახსენდა ეკონომისტი და გაეცინა. შემდეგ გულისტკივილი იგრძნო, რომ უხეშად მოექცა. მაგრამ იმ წუთას, როდესაც იმ კაცმა სიგარეტი შესთავაზა, როგორც გასამრჯელო ინფორმაციისათვის, მან ვერ დაიოკა მებრძოლის სიძულვილი არამებრძოლის მიმართ.

ახლა გაახსენდა, რა თქვა კარკოვმა ამ კაცზე, — ასე, რომ შენ იქ შეხვდი მას, უთხრა კარკოვმა. — იმ დღეს მე პუენტე დე ტოლედოს ვერ გავცდი. ძალიან ახლო მისულიყო ფრონტთან. მე მგონი, ეს იყო მისი სიმაძაცის უკანასკნელი დღე. მეორე დღეს კიდევაც გაემგზავრა მადრიდიდან. ჩემის აზრით, სწორედ ტოლედოში გამოიჩინა ყველაზე დიდი ვაეკაცობა, შეუდარებლად იბრძოდა ტოლედოში. იგი ალკასარის აღების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო. უნდა გენახათ, რა ქნა ტოლედოში. ჩემის აზრით, სწორედ მისი რჩევის წყალობით დაგვირგვინდა ჩვენი ალყა ასე კარგად. აი აქ გამოვლინდა

ყველაზე მეტი სისულელე ამ ომში. მაშინ ომმა სისულელის უმაღლეს მწვერ-
ვალს მიაღწია. ერთი მითხარი, რას ფიქრობენ ამ კაცზე ამერიკაში?

— ამერიკაში — თქვა რობერტ ჯორდანმა, — თვლიან რომ ეს მკვიდრო
კავშირშია მოსკოვთან.

— არაფერიც, — თქვა კარკოვმა. — მაგრამ ლამაზი სახე აქვს და ამ სი-
ლამაზითა და ქცევით ყურადღებას იპყრობს. აბა მე ჩემი სახით ბევრს ვერა-
ფერს გავხდები. იმ მცირედს, რაც მე გავაკეთე, ჩემ სახესთან არავითარი
კავშირი არ პქონდა, რადგან ის არც შთაგონებას იძლევა, არც არავითარ
გრძნობას არ იწვევს, არც სიყვარულს და არც რწმენას. ამ კაცს კი, მიტჩელს,
ისეთი სახე აქვს, რომ ამით კარიერას იკეთებს. ნამდვილი კონსპირატორის სა-
ხე აქვს. ვისაც კი რამე წაუკითხავს კონსპირატორების შესახებ, წუთში განიმ-
სჭვალება რწმენით მისდამი. საქციელიც კონსპირატორის აქვს. ვინც არ უნდა
ნახოს ოთახში შემოსული, მაშინვე იგრძნობს, რომ პირველი კლასის კონსპი-
რატორთან აქვს საქმე. შენი ნებისმიერი მდიდარი თანამემამულე, რომელსაც
სენტიმენტალური სურვილი აქვს საბჭოთა კავშირს დაეხმაროს, ან რომელსაც
სურს პარტიის შესაძლო წარმატებებიდან თავი დაიზღვიოს, შეხედავს თუ
არა ამ კაცის გამომეტყველებას და ქცევას, მაშინვე იგრძნობს, რომ ეს კაცი
სხვა არა არის რა, თუ არ კომინტერნის ნდობით აღჭურვილი აგენტი.

— მაშ მოსკოვთან არავითარი კავშირი არა აქვს?

— არავითარი. ყური მიგდე, ამხანაგო ჯორდან. ალბათ გეცოდინება, რომ
სულელის ორი სახეობა არსებობს.

— უწყინარნი და გაქნილნი?

— არა. ორი ტიპი სულელისა, რუსეთში რომ გვყავს, — გაიღიმა კარ-
კოვმა და დაიწყო: — პირველი მათგანი ზამთრის სულელია. ზამთრის სულელი
მოვა შენს კართან და ხმამაღლა დაგიბრაბუნებს. გააღებ კარს და ნახავ, რომ
დგას კაცი, რომელიც არასდროს არ ვინახავს. წარმოსადეგი კაცია, უზარმაზა-
რი, მაღალყელიანი ჩექმები აცვია, ბეწვის ქურჭი ასხაა, ბეწვის ქუდი ხურავს
და თავით ფეხებამდე თოვლით არის დაფარული. ფეხებს აბაკუნებს და ჩექ-
მებიდან თოვლი სცვივა, ბეწვის ქურჭს იხდას და იქიდან კიდევ უფრო მეტი
თოვლი სცვივა. შემდეგ ბეწვის ქუდს იხდის და კარებზე ბერტყავს. და კიდევ
უფრო მეტი თოვლი ცვივა მისი ქუდიდან. კიდევ ერთხელ აბაკუნებს ფეხებს
და ოთახში შემოდის. შეხედავ მას და მიხვდები, რომ სულელია. ასეთია ზამ-
თრის სულელი.

ზაფხულში კიდევ ნახავ, სულელი მიდის ქუჩაში, ხელებს იჭნევს და თავს
აქეთ-იქით აქანებს. ორასი იარდის მანძილზე ყველა მიხვდება, რომ სულელია.
ასეთია ზაფხულის სულელი. ეს ეკონომასტი ზამთრის სულელია.

— კი მაგრამ, რატომ ენდობა მას ხალხი? — იკითხა რობერტ ჯორდანმა.

ისეთი სახე აქვს, — თქვა კარკოვმა. — *Gueule de conspirateur*¹. ამას-
თან თავი ისე უჭირავს, თითქოს საიდანღაც უცხო მხრიდან ჩამოვიდა, სადაც
მას ენდობიან და აფაებენ. ცხადია, — გაიღიმა მან, — ბევრი მოგზაურობა დას-
ქირდება, რომ ეს ოინბაზობა არ გამოაშკარავდეს. ესპანელები უცნაური ხალ-
ხია, ხომ იცი, — განაგრძო კარკოვმა. — ამ მთავრობას ბევრი ფული აქვს, ბევ-

¹ კონსპირატორის საფათი (ფრანგ.).

რი ოქრო. მეგობრებს კი არაფერს არ აძლევს. მეგობარი ხარ ხომ? ძალიან კარგი. გააკეთე ყველაფერი მეგობრისათვის. არაერთარი გასამრჯელო არ გერგება. მაგრამ იმ ხალხს, ვინც მეგობრულად კი არ არის განწყობილი, არამედ რომელიმე მნიშვნელოვანი ქვეყნის ან ფირმის წარმომადგენელი, მთავრობა უამრავ ფულს უხდის, რადგან მათი გულის მოგებას წყვეტენ. ძალიან საინტერესო ამბავია, თუ ჩაუკვირდები.

— არ მომწონს. გარდა ამისა, ეგ ფული ესპანელ მწიფებს ეკუთვნის.

— მოვლენები კი არ უნდა მოგწონდეს, უნდა გესმოდეს, — უთხრა მას კარკოვმა. — ყოველ შეხვედრაზე ცოტა რაძეს გასწავლი და აიღოს, ალბათ, მიიღებ განათლებას. მასწავლებლისათვის საინტერესო იქნება განათლების მიღება.

— ძალიან მეგობრება, რომ მასწავლებლობა შევძლო, როცა დავბრუნდები. ალბათ წითლებში ჩამთვლიან და გამომავლებენ.

— მაშინ შეგიძლია საბჭოთა კავშირში ჩამოხვიდე და იქ განაგრძო სწავლა. ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი შენთვის.

— პო, მაგრამ, მე ხომ ესპანურს ვასწავლი.

— ესპანეთის გარდა კიდევ არის ქვეყნები, სადაც ესპანურად ლაპარაკობენ, — თქვა კარკოვმა, — რომლებთანაც არ იქნებოდა ისე ძნელი საერთო ენის გამოხატვა, როგორც ესპანელებთან. გარდა ამისა, უნდა გახსოვდეს, რომ უკვე ცხრა თვეა, მასწავლებელი არა ხარ. ცხრა თვეში შეგეძლო ახალი ხელობა გესწავლა. რა წაგიკითხავს დიალექტიკის შესახებ?

— მარქსიზმის ცნობარი წაეკითხე, ემილ ბერნსის გამოცემული. მეტი არაფერი.

— თუ ბოლომდე წაიკითხე, ეგ ცოტა არ არის. იქ სულ ათას ხუთასი გვერდია და შეგეძლო თვითნებულ გვერდზე კარგა ხანი გემუშავა. მაგრამ კიდევ არის რამდენიმე რამ, რაც აუცილებლად უნდა წაიკითხო.

— კითხვის დრო არა მაქვს ახლა.

— ვიცი, — უთხრა კარკოვმა. — მე ვამბობ, მერე-მეთქი. კიდევ ბევრი რამ არის წასაკითხი, რომ მიხვდე, თუ რა ხდება ახლა. მაგრამ ყველაფერი ამის შემდეგ შეიქმნება აუცილებელი წიგნი, წიგნი, რომელიც ახსნის ბევრ რამეს, რომლის ცოდნა აუცილებელია. შეიძლება მე დავწერო ასეთი წიგნი. იმედი მაქვს, რომ სწორედ მე ვიქნები ასეთი წიგნის ავტორი.

— არც შეგულება კაცი, რომელიც შენზე უკეთ გააკეთებს ამას.

— ნუ აჭარბებ, — თქვა კარკოვმა. — ჟურნალისტი ვარ და როგორც ყველა ჟურნალისტს, მეც, ცხადია, წერა მინდა. ამჟამად ძალიან გატაცებული ვარ კალვო სოტელოს შესწავლით. ჩინებული ფაშისტი იყო. ნამდვილი ესპანელი ფაშისტი. ფრანკო და დანარჩენები ასეთები არ არიან. კარგა ხანია ვსწავლობ მის ნაწერებსა და მოხსენებებს. მეტად ჭკვიანი კაცი იყო და ჭკვიანურად მოიქცნენ, რომ მოჰკლეს.

— მე მეგონა, შენ პოლიტიკური ტერორი არ გწამდა.

— ჩვენ არ გვჯერა ინდივიდუალური ტერორის, — გაიღიმა კარკოვმა, — არც კრიმინალური და არც, მით უმეტეს, კონტრრევოლუციური ორგანიზაციების ტერორისა. გვძულს და გეზარავს ბუხარინელი მავნებლებისა და ისეთი ნაძირალების გაიძვერობა და ორპირობა, როგორც იყვნენ ზინოვიევი, კამე-

წვევი, რიკოვი და მათი დამქაშები. გვძულს და გვეზიზლება ეს ჭეშმარიტად მავნე სულები, — კვლავ გაიღიმა კარკოვმა. — და მაინც შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ტერორი საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული.

— ამით რა გინდა თქვა? — ჰკითხა რობერტ ჯორდანმა.

— არაფერი, გარდა იმისა, რომ ჩვენ ვსჯით და ვანადგურებთ კრისტოპირ-წავარდნილ ბოროტმოქმედებს, კაცობრიობის ნაძირალებს, მუღალაღიერებლებს და გულისამრევ ადმირალებს, რომლებიც ხდობას არ ამართლებენ. ასეთებს ვანადგურებთ. ასეთებს ტერორით კი არ ვკლავთ, ვანადგურებთ. ხედავ სხვაობას?

— ვხედავ, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— და რადგან მე დროდადრო ვხუმრობ — მერე იცი, რა სახიფათოა ამაზე ხუმრობა ხუმრობითაც კი? ჩემი ხუმრობა ნუ გაფიქრებინებს, რომ ესპანელი ხალხი არ ინანებს ზოგიერთი გენერლის მოუკვლევლობას, რომლებიც ახლაც კი სათავეში დგანან. მე არ მიყვარს ხალხის დახვრეტა, შენ ხომ იცი.

— მე არა ვარ დახვრეტის წინააღმდეგი, — უთხრა რობერტ ჯორდანმა, არ მიყვარს, მაგრამ უკვე არც წინააღმდეგი ვარ.

— ვიცი, — თქვა კარკოვმა, — მითხრეს.

— განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? — იკითხა რობერტ ჯორდანმა — მე მხოლოდ ვცდილობდი გულახდილი ვყოფილიყავი.

— სამწუხაროა, — თქვა კარკოვმა, — მაგრამ ეს არის ერთ-ერთი საშუალება ხალხს ვენდოთ. თუმცა ჩვეულებრივ პირობებში მათ გაცილებით უფრო ბევრი დრო დასჭირდებოდათ ნდობის მოსახვეჭად.

— აუცილებელია, სანდო ვიყო?

— შენ ისეთ საქმეს აკეთებ, რომ აუცილებელია სანდო იყო. ხანდისხან უნდა გელაპარაკო ხოლმე, რომ გავიგო გონებაში რა გაქვს. სამწუხაროა, რომ ჩვენ არასოდეს არ ვლაპარაკობთ სერიოზულად.

— ჩენი გონება გაყინულია ომის მოგებაში, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— მაშ, შეიძლება კარგა ხანს არც დაგჭირდეს იგი. მაგრამ დროდადრო მაინც უნდა ავარჯიშო.

— Mundo Obrero-ს ვკითხულობ, — თქვა რობერტ ჯორდანმა და კარკოვმა ამაზე მიუგო:

— ჩინებულია. კარგი. მეც შემიძლია მიგიხედო ხუმრობას. მაგრამ Mundo Obrero-ში ბევრი რამ არის ჭკვიანური. მხოლოდ იქ იწერება ჭკვიანური აზრები ამ ომზე.

— სწორია, — თქვა რობერტ ჯორდანმა. — გეტანხმებით. — მაგრამ სრული წარმოდგენა რომ გქონდეს იმაზე, რაც ხდება, არ კმარა მხოლოდ პარტიის ორგანოს კითხვა.

— ცხადია, — უთხრა კარკოვმა. — მაგრამ ოცი გვერდის წაკითხვით ასეთ წარმოდგენას ვერ მიიღებ და რომც მიიღო, ვინ იცის, რას იზამდი. მე თითქოს ყოველთვის მაქვს ეს წარმოდგენა და პირიქით, მუდამ ვცდილობ, რომ არ ეიფიქრო ამაზე.

— განა ასე ცუდია?

— ცოტა უკეთესია ახლა, ვიდრე იყო. ბევრი რამ ცუდი მოვიცილეთ თავიდან. და კვლავაც ვცდილობთ. მაინც საზიზღარია. უზარმაზარ არმიას

ექმნით და აქედან მხოლოდ რამდენიმე ელემენტია სანდო: მოდესტო, ელ-კაპპესინო, ლისტერი და დურანი. ესენი სანდოზე მეტნი არიან, ბრწყინვალე-ნი. აი, ნახავ. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს ბრიგადები, თუმცა მათი როლი იცვ-ლება. მაგრამ არმია, რომელიც კარგი და ცუდი ელემენტებისგან შედგება, თმს ვერ მოიგებს. ყველა ერთ პოლიტიკურ დონეზე უნდა მყოფი იყოს. ყველამ უნდა იცოდეს, რისთვის იბრძვის და რა მნიშვნელობა აქვს მისი ბრძო-ლას. ყველას უნდა ჰქონდეს ბრძოლის რწმენა და დისციპლინა. ჩვენ ექმნით უზარმაზარ, რევულარულ არმიას, მაგრამ დრო არ არის იმისთვის, რომ მათში ისეთი დისციპლინა დავწერგოთ, როგორც უნდა ჰქონდეს რევულარულ არ-მიას, რომ ღირსეულად იბრძოდეს ბრძოლის ველზე. ჩვენ მას სახალხო არმიას ვუწოდებთ. მაგრამ მას არ ეყოლება ისეთი აქტივი, როგორც ჭეშმარიტ სა-ხალხო არმიას უნდა ჰყავდეს; და არ ექნება ისეთი რკინისებურა დისციპლინა, როგორც რევულარულ არმიას სჭირდება. აი, ნახავ, მეტად სახიფათო საქმეა.

— ვერა ხართ გუნებაზე დღეს.

— ვერა, — თქვა კარკოემა. — ეს-ეს არის, ვალენსიიდან ჩამოვედი და ბევრი ხალხი ვნახე. არაეინ ჩამოდის კარგ გუნებაზე ვალენსიიდან. მადრიდში კარგი გრძნობა გაქვს, ნათელი. და ვერც წარმოგიდგენია სხვა რამ, გამარჯვების გარდა. ვალენსია სულ სხვაა. იქ სათავეში ჯერ კიდევ დგანან მადრიდიდან გაქცეული ლაჩრები. ისინი ბედნიერად გრძნობენ თავს, მმართველობის სი-ზარმაცესა და ბიუროკრატიზმში ჩაფლულნი. ზიზღით უყურებენ მადრიდე-ლებს. მათ მიზანში აქვთ ამოღებული ამ ომში კომისარიატის დასუსტება. ბარსელონა? უნდა ნახო, რა ამბავშია ბარსელონა.

— რა იყო, რა ხდება?

— ნამდვილი კომიკური ოპერაა. ჯერ ლოთებისა და რომანტიკოს რევო-ლუციონერთა სამოთხე იყო. ახლა ცრუ-ჯარისკაცების სამოთხეა, ჯარისკა-ცებისა, რომლებსაც ფორმის ტარება უყვართ, გაფხორილნი დაიარებიან, იკეთებენ შავზოლებიან წითელ ყელსახვევს და ყველაფერი უყვართ ომში, გარდა ბრძოლისა. ვალენსია გულისამრევია, ბარსელონა კი — სასაცილო.

— პოუმის¹ პუტჩზე რას იტყვი?

— ეგ არასოდეს არ ყოფილა სერიოზული ორგანიზაცია. ეს იყო ლო-თებისა და ჩხუბისთავეების როშვა. ნამდვილი ბავშვობა. იყო მათ შორის გზას-ამცდარი პატიოსანი ხალხიც. ერთი საკმაოდ ჭკვიანი კაცი ჰყავდათ და ფულიც ჰქონდათ ფაშისტებისაგან ცოტა. საწყალი პოუმი. სულელები იყვნენ.

— ბევრი ამოწყდა ამ შეთქმულების დროს?

— არც ისე ბევრი. მერე დახოცეს და კიდევ ბევრს ამოხოცავენ. რიდაც სახელსა ჰგავს პოუმი. არასერიოზულ სახელს. სჯობდა, ყბაყურა დაერქმიათ, ან სულაც წითელი. მაგრამ არა. ეს სახელი ბევრად უფრო სახიფათოა თანაბ-რად მოჭმელებს თვალზეც და ყურზეც. ერთხელ მოაწყვეს შეთქმულება, ჩე-ში, ვალტერის, მოდესტოს და პრაეტოს მოკვლა უნდოდათ, ხედავ, როგორ ცდებოდნენ ისინი. ჩვენ ხომ სულ სხვადასხვანი ვართ. საწყალი პოუმი. ვე-რაინაც ვერ მოჰკლეს. ვერც ფრონტზე და ვერც სხვაგან. პო, ბარსელონაში მოჰკლეს რამდენიმე კაცი.

¹ მარქსისტული ერთიანობის მუშათა პარტია.

— თქვენ იქ იყავით?

— დეპეშით ავწერე ტროცკისტი მკვლელების უმსგავსი საქციელი, მათი ფაშისტური მაქინაციები, რომლებიც ყურადღების ღირსიც არ იყო. მაგრამ, ჩვენში დარჩეს, და პოლში არ არის სერიოზული ორგანიზაცია. მართო ჩინი ჰყავდათ ჰკვიანი. დავიჭირეთ, მაგრამ ხელიდან გაგვისხლტა.

— სად არის ახლა?

— პარიზში. ვამბობთ, რომ პარიზშია. ძალიან სასიამოვნო ყმაწვილი იყო, მაგრამ პოლიტიკაში მცდარ გზას ადგა.

— კი მაგრამ, მაგათ ხომ ფაშისტებთან ჰქონდათ კავშირი?

— ვილას არა აქვს?

— ჩვენ.

— ვინ იცის! იმედი მაქვს, რომ ასეა. შენ ხშირად ხარ მაგათ ზურგში, — გაიღრიალა კარკოვი. — მაგრამ პარიზის რესპუბლიკური საელჩოს ერთ-ერთი მდივნის ძმა სენ ჟან დე ლუსში იყო წარსულ კვირას, რომ ხალხს შეხვედროდა ბურგოზიდან.

— ფრონტზე უკეთესია ყოფნა, — თქვა რობერტ ჯორდანმა.

— რაც უფრო ახლოს ხარ ფრონტთან, მით უფრო კარგი ხალხი გხვდება.

— ფაშისტების ზურგში როგორა გრძნობ თავს?

— ძალიან კარგად. ჩინებულები ხალხი გეყავს იქ.

— ალბათ იმათაც ჰყავთ ჩინებულები ხალხი ჩვენს ზურგში: ჩვენ ვიჭერთ და ვხვრეტთ მათ. ისინი იჭერენ ჩვენებს და ხვრეტენ. როცა იმათთან ხარ, ყოველთვის უნდა ფიქრობდე, რამდენი ჰყავთ გამოგზავნილი ჩვენთან.

— მიფიქრია კიდევ.

— კარგი, — თქვა კარკოვი. — შენ ალბათ საემარისი საფიქრებელი ვაქვს დღეს. ასე რომ, დალიე, რაც სურაში ლუდია და გაიქეცი, რადგან მე ძალდა უნდა ავიდე და ხალხი ვნახო, ზედა სართულის ხალხი. გამოიარე მოკლე ხანში.

— დიახ, — გაიფიქრა რობერტ ჯორდანმა. — ბევრი რამე ვისწავლე გეილორდთან. კარკოვი წაიკითხა ჩემი ერთადერთი წიგნი, რომელსაც დიდი წარმატება არ ჰქონია. სულ ორასი გვერდი იყო და ალბათ ორასათას კაცსაც არ წაუკითხავს. აქ გადმოცემული იყო, რაც მან ესპანეთში ათი წლის ბეტილის განმავლობაში ნახა. ფეხით სიარულისას თუ მესამე კლასის ვაგონით, ავტობუსით, ცხენით, ჯორითა თუ საბარგო მანქანით მგზავრობის დროს. კარგად იცნობდა ბასკების ქვეყანას, ნავარას, არაგონს, გალიციას, ორივე კასტილიას და ესტრემადურას. ბორთუს, ფორდსა და სხვებს შესანიშნავი წიგნები ჰქონდათ დაწერილი ესპანეთზე, ასე რომ, ცოტა რამის დამატება თუ შეეძლო მას, მაგრამ კარკოვი უქო წიგნი.

— ამიტომაც მიყვარს შენთან ყოფნა, — უთხრა მან. — ჩემის აზრით, სწორად ასახავ ფაქტებს, რაც ძალიან იშვიათია. ამიტომაც მინდა, რომ იცოდეს ზოგიერთი რამ.

— დიახ. ის დაწერს წიგნს, როდესაც ამ საქმეს მორჩება. წიგნს იმაზე, რაც გაიგო და რაც იცის. მხოლოდ სიმართლეს დაწერს, მაგრამ ბევრად უკეთესი მწერალი უნდა ვიყო, რომ ეს მოვახერხო, — გაიფიქრა მან. არც თუ ისე ადვილი იყო იმის აღწერა, რაც ამ ომში ნახა.



ტოპას სტარხს ელიოტი

კაცის ფიტულეაი

Mistah Kurtz — იგი მკვდარია

I

კაცის ფიტულეაი ვართ ჩვენ
თივით დატენილნი
ერთგან თავმოყრილებს
თავები სავსე გვაქვს თივით აჰ!
და ოდეს ვჩურჩულეზით
ხმაჩახლუჩილნი
უაზროდ და ყრუდ
გაისმის ჩვენი ხმა
ვით გამჩმარ ბარდებში
ქარი მოზუზუნე
ან ვირთხის ფაჩუნი
ნესტიან სარდაფში.

ხატება — უფორმო, ჩრდილი — უფერო,
ძალა — გატეხილი, ეესტი — უმოძრაო,

და ვინც მიაღწია
მზერაგამართულმა სიკვდილის საუფლოს
ჩვენ როდი გვიგონებს
როდი ვესატებით
ვით სულით მძლავრნი
და აწ დაკარგულნი
არამედ როგორც
მარტოდენ ფიტულნი
თივით დატენილნი.

II

თვალეში, რომელთაც ვერ ვუძღვებ სიზმარში
სიკვდილის სიზმარულ საუფლოს წილში
არ სჩანან:

არიან თვალეში
მზის შუქი წაქცეულ სვეტებზე
ხეა მოწრიალე და ღამის წყვდიადი
გაისმის ხმები
და ქარის სიმღერა
უფრო შორეული და უფრო დიადი
ვიდრე გადამქრალი ვარსკვლავი.



მოდის ნულარ მივებალები
სიკვდილის საუფლოს
მოდის გადავიცვა
საფრთხილო ნიღაბი:
ვირთხის ქათიბი,
ყორნის ტყავი
ან საფრთხობელა
ველზე დადგმული
ქარს რომ აპყოლია
ო მეტად ნულარ —

ის საბოლოო პაემანი
მწუხრის საუფლოში.

III

მკვდარი მიწაა ეს მიწა
კაქტუსის მიწა
ქვის ქანდაკებები
აღმართულან აქ ცის თალამდი
რათა შეისმინონ
მიცვალებულთა ხელების ღალადი
მიმქრალი ვარსკვლავის შუქზე.
ასევეა
სიკვდილის მხარეში
ძილფხიზლობა
წამი, როდესაც
ვცახცახებთ სინაზით
და ჩვენნი ბაგენი
კოცხას დაჩვეულნი
დამსხვრეულ ქვისადმი აღმოსთქვამენ ლოცვას.

IV

აქ აღარ სჩანან ის თვალნი
 აქ აღარ არიან თვალნი
 მომაკვდავ ვარსკვლავთა ველზე
 ამ უღაბურ ველზე
 ჩვენს დაკარგულ საუფლოთა გაბზარულ კართან.



ამ უკანასკნელი შეხვედრის ადგილას
 ვფათურობთ ბნელში
 ვერიდებით საუბარს
 მღვრიე მდინარის პირად თავშეყრილნი.

უსინათლოებს გვეძლევა
 ხელახლა ხედვა
 მარადიული ვარსკვლავი
 ეარღი შტომრავალი
 მწუხრის საუფლოსი
 ერთადერთი იმედი
 ცარიელ კაცთა.

V

აქ გარს შემოვუვლით დედინაცვლის-ენას,
 დედინაცვლის-ენას, დედინაცვლის-ენას,
 აქ გარს შემოვუვლით დედინაცვლის-ენას
 დილის ხუთ საათზე

იდეალურს და
 რეალურს შორის
 მოძრაობას და
 ქმედებას შორის
 ეცემა აჩრდილი

რამეთუ შენი არს სუფევა

აღქმასა და
 ასახვას შორის
 ემოციასა და
 ზრახვას შორის
 ეცემა აჩრდილი

ცხოვრება არს დაუსრულებელ

სურვილსა და
 კრუნჩხვას შორის

შეგნებასა და
არსობას შორის
შიდა არსსა და
დაღმა სვლას შორის
ეცემა აჩრდილი



რამეთუ შენი არს სუფევა

რამეთუ შენი არს
ცხოვრება
რამეთუ შენი არს

ასე მთავრდება ეს წუთისოფელი
ასე მთავრდება ეს წუთისოფელი
ასე მთავრდება ეს წუთისოფელი
არა გრიალით, არამედ სლუკუნით.

ქარლ სენკევიჩი

რიკაბო

მსოფლიო ყასაბი,
დაზგათმშენებელი, პურის დამბეღლავი,
რკინიგზის ხლართების სათავე, ქვეყნის სატვირთო ბაჟების შემკრები,
ახვავებული, ხმახრინწიანი, მუამბოხე.
მხარბეჭგანიერი ქალაქი.

მეუბნებიან რომ გარყვნილი ხარ, მე მჯერა მათი, რადგან მინახავს
ფერუმარლით შეღებილი შენი ქალები, გაზის სინათლეში რომ
იტყუებდნენ ფერმერების მოჯამაგირეებს.

მეუბნებიან: ბოროტმოქმედი ხარ, მე მათ მივუგებ: კო, მართალია, მე
მინახავს განგსტერები როგორ ჰკლავენ კაცს და განაგრძობენ გზას
თავისუფლად, სხვათა მოსაკლავად.

მეუბნებიან: გულმბეცი ხარ, და მეც ვპასუხობ: მე მინახავს ქალებისა და
ბავშვების სახეზე უწყალო შიმშილის ტვიფარი.

და ამგვარი პასუხის შემდეგ მივუბრუნდები იმ ადამიანებს, რომელნიც ასე
ჰქირდვენ ჩემს ქალაქს და ვუბრუნებ ქირდვას:

პოდიო და მიჩვენეთ სხვა ქალაქი ასე ამაყად, თავაწყულად რომ მღეროდეს
ჰიმნს სიცოცხლისას: უხეში, მძლავრი, ყველაფრისმცნობი.

მაგნიტურ წყევლათა დაფრქვევით ახვავებს იგი საქმეს საქმეზე, ტანმაღალი,
გულოვანი კვერისდამკერელი, ესდენ მკაფიოდ გამოტრჩეული სხვა პატარა,
უღდეური ქალაქებისგან.

ენაწავდებული ავი ნაგაზივით მიიწევს იგი საქმისაკენ, ქმედებისაკენ,
 უღაბნოსთან შექიდებული ველურივით მოსაზრებული, თავშეშველი,
 მიწასთან მებრძოლი,
 დამანგრეველი,
 დამგეგმავი,
 აშენებს, ლეწავს, ისევ აშენებს,
 კვამლში გახვეული, მტვრით ამოვსებული პირით იცინის, თეთრ კბილებს
 აჩენს,
 ბედისწერის საზარელ ტვირთქვეშ იცინის იგი ახალგაზრდულად,
 იცინის როგორც გულმოცემული მებრძოლი, რომელსაც არ უყვია რაა
 დამარცხება,
 იცინის თავმომწონედ, რადგან იცის, რომ მის ძარღვებში სჩქედს მძლავრი
 სისხლი, ხოლო ნეკნებქვეშ უცემს გული მთელი ხალხისა,
 იცინის!
 იცინის აზვავებული, მემამბოხე, ახალგაზრდული სიცილით; ნახევრადშიშველი,
 ოფლში გაღვარული, ამაყად დგას მსოფლიო ყასაბი, დაზგათმშენებელი.
 პურის დამბედლავი, რკინიგზის ხლართების სათავე, ქვეყნის სატვირთო
 ბაჟების შემკრები ქალაქი.



საქართველოს ენციკლოპედია

ედიონ კაღინგბონს როგინსონი

მინევერ ჩივი

მინევერ ჩივი, ჟამთა მოზარე,
 ერკინებოდა საწუთროს მუხთაღს,
 ქვეყნად გაჩენას მოსთქვამდა მწარედ,
 ნიადაგ სწუხდა.

მინევერს სწეავდა წარსულის ეშხი,
 ხმალთა კვესება, მხედართ ყიჟინი,
 (ლომგულ რაინდთა ზმანებით შეშლა,
 და ცეკვის ყინი).

მინევერს სწამდა ის, რაც არ იყო,
 ეზმანებოდა წარსულის ძვრები;
 კამელოტის და თებეს გარიყვა,
 პრიამეს მტრები.

იყო მოზარე სხვათა დიდების,
 მრავალ სიბრძნეთა მცნობი, უფალი,
 ხან რომანტიკის გაბედითების,
 ხან ხელოვნების ჭირისუფალი.

უყვარდა ძლიერ მედიჩის გვარი,
თუმც არ ენახა თვალთ აროდეს,
ეზმანებოდა ცოდვილთა ჯარი,
აწ და მარადის.



ქართული
ლიბრარიონი

მინევერ ჰგმობდა აზრებს ბანალურს,
სძულდა კოსტუმი ხაკის, ამოსი,
მას შემართებას მედიევეალურს
ჰგვრიდა ფოლადის, ჯაჭვის სამოსი.

მინევერს სძულდა ოქრო წყეული.
(თუმც, უმისობაც არ ახარებდა),
და ხშირად, ოქროგამოლეული,
ღამეებს ფიქრში გაატარებდა.

მინევერ ჩივი, გვიან შობილი,
ხშირად ფიქრობდა, ხშირად ფიქრობდა.
ცეცხლი თუ სწვავდა ჩაუქრობელი.
ღვინით იქრობდა.



შხატავარი დ. გრახთაძე

აზიზ ნესინი

მოცეკვავე ბასრი

თარგმანი

ბურამ ბათიაშვილისა

აზიზ ნესინი თანამედროვე თურქეთის ერთ-ერთი პოპულარული მწერალია. იგი დაიბადა 1915 წელს, სტამბოლში. უმაღლესი განათლებაც იქვე მიიღო. აზიზ ნესინის მწერლად აღიარება მოხდა მისი სამშობლოს ვარეთ — 1953 წელს რომში გაიმართა ღებორისტი მწერალთა ნაწარმოებების საერთაშორისო კონკურსი. ამ უცნობა თურქმა მწერალმა კონკურსზე გაგზავნა მოთხრობა „ბანკეტი ქეაბის დადგმისას“. მოთხრობამ პირველი პრემია — „ოქროს პალმა“ დაიმსახურა, ხოლო როცა იგივე კონკურსი გაიმართა მონღვენო წელს და აზიზ ნესინის მოთხრობას „როგორ დაიჭირეს პაშდი“ კვლავ „ოქროს პალმა“ მიანიჭეს, აზიზ ნესინი საქვეყნოდ აღიარებული მწერალი გახდა. მისი მოთხრობები ითარგმნა ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში.

ამჟერად, აზიზ ნესინი 40-ზე მეტი კრებულის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სამი პიესა. ეს პიესები წარმატებით დაიდგა ევროპის თეატრების სცენებზე.

1965 წელს აზიზ ნესინი საქართველოს ესტუმრა, შეხვდა და ესაუბრა ქართველ მწერლებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აზიზ ნესინმა ეურნალ „აკბაბაში“ გამოაქვეყნა საქართველოში მოგზაურობის „შთაბეჭდილებები, თურქ მკითხველს მოუყარო ამ „სტუმართმოყვარე, ლამაზი და მშრომელი ხალხის“ ცხოვრების ამბები.

რუსულ ენაზე გამოცემულია აზიზ ნესინის მოთხრობების ათზე მეტი კრებული. მისი მოთხრობები თარგმნილია აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ხალხთა ენებზე.

უბნის ბაყალმა დილის ძილი დაუფრთხო ბასრი ბეის. კვირა დღესაც არ ასვენებენ ადამიანს!

— გავიქცევი, ღმერთმანი, გადავიხვეწები... — წუწუნებდა იგი.

— გაიქცევი და გაიქეცი, შენ რა, გამასწრებ თუ? მაგრამ ეს მოთხარი, რა პასუხს აძლევ ბაყალს, — აქაქანდა ცოლი.

ორი თვეა 72 ლირა და 34 ყურუში ვერ გაისტუმრა.



- ის კაცი სწორია, თავიას ითხოვს.
- რა თქმა უნდა, მაგრამ სახლში არ არის-თქო, უთხარი.
- სირცხვილია, მაგას ვერ ვიზამ.
- მაშინ დედაშენს უთხარი, ის ეტყვის.
- ამ ხნის ქალმა სიცრუე იკადროს?
- ბასრი ბეი ბუზღუნით გაეპართა კარისაკენ.
- დიდი ბოდიში, თანაშ ეფენდი, აღარაფერი შეთქმის, მაგრამ რა ვქნა-ვერ მოვაბიას თავი.
- აბა, ასე როგორ იქნება, ბასრი, თვის დასაწყისშიც, თქვით და რამდენი თვე გავიდა მას შემდეგ...
- სწორია...
- ამ 72 ლირიდან მე 2 ლირაც არ მერგება, იცი?
- სწორი ხარ, თანაშ ეფენდი...
- მომბეზრდა, ყოველ კვირა დღეს ერთსა და იგივეს გიმეორებთ.
- პატიოსან სიტყვას გაძღვეთ ამ კვირაში აუცილებლად გაგისტუმრებთ...
- ეს მერამდენე დაპირებაა?
- უკანასკნელი, მუსიო თანაშ...
- თანაშ ეფენდი გაბრაზებული გაბრუნდა უკან.
- ღმერთმა დალაზვროს ასეთი ცხოვრება, — ბუზღუნებდა ბასრი.
- დილიდანვე ნუ დაიწყებ წყევლა-კრულვას, — შეეპასუხა სიდედრი.
- ცხვარივით კაცია ბასრი. აგერ უკვე ოცდაორი წელია, რაც დაქორწინდა, მაგრამ ალაპმა შვილი არ აჩუქა.
- ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.
- სახლის პატრონია, — თქვა ქალმა.
- თი, ალაპ! — აწუწუნდა ბასრი ბეი. სანამ სახლის პატრონს გაისტუმრებდა, ათჯერ მაინც დაასხა ოფლმა.
- გავიქცევი, ღმერთმანი, გადავიხვეწები დაკარგულ ქვეყანაში, იქ, სადაც არავის არ ვიციან, წავალ და ხელს გავიშვერ, მათხოვრობას დავიწყებ, სხვა რაღა დამრჩენია? აბა, რა ხარ შენ, ბასრი ბეი?.. თი, ალაპ! პანუმ, ერთი ყავა დამალევინე.
- არ კითხულობ ყავა თუ არის? არც ყავა გვაქვს და არც შაქარი...
- თი, ალაპ, ასეთი ცხოვრება...
- სს! ალაპს ნუ სცოდავ, — გამოსძახა სიდედრმა.
- შევეცოდავ და შევეცოდო... რაც მოსახდენია, მოხდეს...
- წყლის დამტარებელი გამოივლის, რა ვუთხრათ?
- რაც გინდათ, ის უთხარიო... გამაგიჟებთ და ეგაა. ეს ბაყალიო, ეს წყლის დამტარებელიო, ეს სახლის პატრონო, პირი შეჭკარით?
- კარზე დააკაკუნეს.
- წყლის დამტარებელი მოვიდა?
- არა. მენახშირემ ბიჭი გამოგზავნა.
- უთხარი სახლში არ არის-თქო, უთხარი მოკვდა-თქო, ბასრი ბეი მოკვდა-თქო... თქვენ ცოცხლები ხართ... მე ასეთი ცხოვრების...
- ბოლოს, როცა ინკასატორი მოვიდა და მას ყასაბი მოჰყვა, ბასრიმ ვედარ აიტანა, ტანსაცმელს ხელი დაავლო და ჩაცმა დაიწყო.

— დედაკაცო, ჯიბეში ორნახევარი ლირა მქონდა.
 — მე ამოვიღე.
 — კი მაგრამ, რატომ ამოიღე ჩემს დაუკითხავად, პა?
 — ოო, ღმერთო, დამიფარე... ღმერთო... რას გვიბრძანებ? ვიმშობილოთ?
 რა ვქნათ, პა, შითხარი!

— ოი, ალაპ, მე ასეთი ცხოვრების... ამისთანა ცხოვრებას... რა ვუთხარი
 მე... ღმერთო, შემინდე, ღმერთო, მაპატიე.

ქუჩაში გავიდა. ჯიბეში გახვრეტილი გროშიც კი არა მქონდა.

— რა ვქნა, რა ვიმოქმედო, — ეკითხებოდა თავის თავს. უცებ პამდი გა-
 ახსენდა. კარგა ხანია არ უნახავს, ისე კი გაგებულნი მქონდა გამდიდრდით. ერთ
 დროს კარგი მეგობრები იყვნენ, პოლა, მივა და ეტყვის თავის გასაჭირს, ერთ
 50 ლირს მაინც არ ასესხებს?

— მე კი ვთხოვ და... თუმცა სირცხვილი კია. მაგრამ ეგ არაფერი. ნათქ-
 ვამია, მოხლონილმა ერთი ცოდვა მქნა და დამკავებელმა ორიო.

არც ტრამვაის ფული მქონდა და არც ავტობუსის. ფეხით გაუყვა გზას,
 სადაც იყო, დაღამდებოდა.

— ერთიც ვნახოთ და, სახლში არ დამიხვდა, ფუჰ... მე ასეთი ცხოვრების...
 ღმერთო, მაპატიე... ღმერთო, შემინდე...

საღამოედებოდა.

— ერთიც ვნახოთ და ახლა სხვა ბინაში გადავიდა, ოი, ალაპ, მე ასეთი
 ცხოვრება... მე ასეთ ცხოვრებას...

შეზინდებისას მიაღწა პამდის სახლს.

ოო, ბასრი... სად ხარ, გეთაყვა, სად დაიკარგე... რატომ არ მოდიხარ?
 კარგად შეხვდა. რაც არ უნდა იყო, მაინც ძველი მეგობრები არიან. სახ-
 ლის აივანზე გააშლევინა სუფრა. მშვიდად ისხდნენ და სვამდნენ. დაღლილობი-
 სავან ბასრი ბეის ფეხები სტკიოდა, ხოლო შიმშილისაგან მუცელი ეწვოდა.

— კარგია რომ მოხვედი, ისეთი სასმელია, მარტო არც დაილევა, გავი-
 მარჯოს...

მაგიდაზე არ იყო არავითარი საჭმელი, არავითარი მისაყოლებელი. გარდა
 ცერცვისა. ბასრი ბეის კუჭს უწვავდა ცარიელი არაყი.

ბასრი ბეიმ უხერხულად იკითხა:

— პამდი, რა იქნა შენი ცოლი, ალაპს გაფიცებ, ნუ დამიძალავ, წედან აქ
 სხვა ქალი დავინახე.

პამდომ ხელები გაიქნია და თქვა:

— დიდი ხანია გავისტუმრე. მას შემდეგ ოთხი ქალი გამოვიცვალე, ალაპ,
 შენ გგონია, მთელს ჩემს ცხოვრებას ერთ ქალთან გავატარებ? განა ასეთი
 სულელი ვარ? ვირი ხომ არ გგონივარ. ერთი აქეთ მომხედე, ნუთუ ისეთი
 იდიოტი ვარ, რომ მთელი ცხოვრება ერთ ქალს ვუტრიალო... ეჰ, შევსვათ...

ბასრი ბეის თავბრუ დაეხვა და კუჭმა დაუწყო წვა. არაყის სმა ხელს არ
 აძლევდა და არც სვამდა. ერთხელ თავის ქორწილში შესვა, ხოლო მერე ერთი-
 ორჯერ გადაჰკრა სტუმრობისას... მაგრამ ახლა სვამდა, სვამდა იმიტომ რომ გა-
 ეჭრო შიმშილის გრძნობა. როცა პამდი ჭიქას გაუწოდებდა, ბოლომდე სცლი-
 და და თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა.

საათის თერთმეტამდე სვამდნენ. ერთ ამბავში იყო ბასრის კუჭი. თავს.

ძლივს იქერდა. ახლა როგორღა ესესხოს ფული, რა უთხრას? რათღენ ძნელია ამის თქმა! გაჰქრა ყოველგვარი გამბედაობა, ცოტა რომ სთხოვოს, იტყვის, ვალარიბებულაო, ბევრი? ბევრს მისცემს?

— უუპ... ასეთი ცხოვრების... ასეთ... ცხოვრებას...

— რა თქვი?

— არაფერი, — გონს მოეგო ბასრი.

50 ლირის სესხება გადაიფიქრა და ორნახევარ ლირაზე ჩამოვიდა. აბა ამ შუალამისას ფეხით როგორ წავიღოდა სახლამდე?

— გავიქცევი, ღმერთმანი, ავდგები და გავიქცევი... ღმერთო, შემიხდე... ამისთანა ცხოვრებას...

— რაო, რას ამბობ?... დავლიოთ!..

აღარც ერთი გროში აღარ უნდოდა, ოღონდ ეჭმიათ რამე.

— აბა ახლა კი წავიდეთ, — თქვა ჰამდიმ, — ჩემს მანქანაში ჩავსხდეთ და წავიდეთ. ერთი მოცეკვავე ქალი ჩამოსულა თურმე, ცეკვისას იხდის და დედიშობილა ცეკვავს. — ორი ლიტრა გამოსცალეს და მერე ბანკალ-ბანკალით ჩასხდნენ მანქანაში.

— ქალი ცეკვა-ცეკვით ტანზე იხდის... დედიშობილა ცეკვავს, წარმოგიდგენია? აი, მოცეკვავე!

იქნებ სჯობდეს, რომ უთხრას, ა? როგორ დაიწყოს? კი მაგრამ, რას იფიქრებს ჰამდიმ? არ იტყვის, ამდენი ხანი არ გინახივარ და ახლა ფულის სასესხებლად მოხვედით?

— ჰოი, ალაპ, ასეთი ცხოვრება...

პავილიონი სავსე იყო. ძლივს იპოვეს ერთი თავისუფალი მაგიდა.

— გარსონ, გავიხსენი ერთი ბოთლი. დასაყოლებელი არაფერი არ გვინდა, ვარდა თხილისა, მარილიანი ცერცვიც მოგვიტანე.

— აბა, შევსვით, ბასრი... გაგიმარჯოს...

50 ლირა რომ მისცეს, იმ წუთში წამოდგება და წავა.

— შენ გაგიმარჯოს, ბასრი ჩემო... აბა, აუწიე... აუწიე...

ორგესტრი უკრავდა... შუქი ჩააქრეს, პროექტორები აელვარდნენ, ქალი სცენის შუაგულში გამოვიდა და ცეკვა დაიწყო, მერე კაბა გაიხადა. ვაი დედასა! ბასრი ბეის დაავიწყდა შიმშილი, დაავიწყდა დაღლილობა, ვალის აღებაც დაავიწყდა.

ქალი ცეკვავდა. მან ფეხსაცმელებიც გაიძრო. მოიხსნა საყურეები და სამაჯურები...

— დავლიოთ! — ამის თქმაც ვერ მოასწრო ჰამდიმ, რომ ბასრიმ არაფერი გადაჰქრა.

ქალი კვლავ ცეკვავდა. მოიხსნა წინდების მოსაჭერი, გაიძრო წინდები. ბიუსტპალტერი და...

— შენი სადღეგრძელო იყოს!

— გაგიმარჯოს ჩემო ჰამდიმ, შენი სადღეგრძელო იყოს.

ქალი ცეკვავდა და რასაც გაიხდიდა, ყველაფერს მაგიდაზე ჰყრიდა. ბიუსტპალტერი... დიახ, მან მოიხსნა ბიუსტპალტერი და ისროლა. შუქი ფერის ბიუსტპალტერმა პაერში წრე მოხაზა და ბასრი ბეის ხელებში ჩაუვარდა.

ცეკვავდა და. ოი, საოცრებავ, ისიც გაიძრო...

ბასრი ბეი ბიუსტპალტერს უჭერდა ხელს. ქალმა ყველაფერი გაიძრო, რაც ეცვა. ხალხი აღიგზნო, ექსტაზში შევიდა... ატყდა ყვირილი, სტვენა, ხმაური, ჭიქების მტვრევა... ქალი კა ცეკვავდა, ცეკვავდა და ბასრი ბეისაც კეკეებდა.

მაგრამ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. იგი, ეს ლამაზმანი ქალი ბასრი ბეისთან მოვიდა, დიან, ბასრი ბეისთან მოვიდა და ალაპლაპებდა მათ შორის ლოტ თაევზე აკოცა. ქალი ცეკვავდა მთელი სხეულით. როცა შექმნა მას შემდეგ ტისტი უკვე აღარსად იყო.

ერთმანეთს დაყრდნობილი გამოვიდნენ ბარიდან. ბასრი ბეის აღარ ანსოვს, როგორ და სად გადმოვიდა მანქანიდან. სიდედრი ლოგინში ხვრინავდა.

— ადექით, ადექით, — აყვირდა ბასრი ბეი, — ადექით-მეთქი, არ გესმით?!

— რა მოუვიდა ამ ანგელოზივით სათნო და საბრალო კაცს? — ლოგინიდან წამოხტა ცოლი.

გაიხადეთ, გაიხადეთ ჩქარა. შენც გაიხადე, მოხუცო, გაიხადე, თორემ... შიშისაგან აცახცახებული ქალები ტანსაცმელს იხდიდნენ, ბასრი ბეიც იხდიდა. ყველაფერი გაიხადა, გრძელსახელოებიანი ვარდისფერი შალის პერანგიც გაიხადა, მერე ისიც გაიძრო...

— თქვენც გაიხადეთ, გაიხადეთ ჩქარა!..

სიდედრს შიმპქნარი გულმკერდი ჩამოჰკიდებოდა...

— აბა, ქუჩაში, წინ, ქუჩაში გადიეთ, გადიეთ-მეთქი, არ გესმით? ჩქარა, თორემ... დაგახრჩობთ!

სამი გატიტვლებული, დედიშობილა აღაშინი გამოეარდა ქუჩაში.

— იცეკვეთ!

ბასრი ბეი ტაშს უკრავდა და მუცლით ცეკვას ასრულებდა.

იმ დღიდან მოყოლებული ყოველდღე ასრულებს ბასრი ბეი ამ ცეკვას. ახლა ის საგიჟეთშია და იქ სტიპტიზ ბასრის ეძახიან.

ლექსები

თარგმანი თამარ მრინთაველისა

ჩიტის ღახატვა თუ გინლა

ჯერ უნდა დახატო ტილოზე
გაღია გაღებულ კარებით
და მერე, რაიმე ლამაზი,
რაიმე სრულიად უბრალო,
რაიმე ისეთი,
ძალიან

საჭირო რომ იყოს
ჩიტისთვის.

და მერე წაიღო ნახატი
ან ბალში,
ან სადმე კალაქში,
ან ტყეში
და ხეზე დაჰკიდო,
შენ თვათონ ხეს ამოეფარო,
გაუჩიდე
და სული განაბო.

იქნება მაშინვე მოფრინდეს,
ან იქნებ ბევრი დროც გამოხდეს,
ვიდრემდე მოფრენას იფიქრებს.
შენ გულს ნუ გაიტეხ,
ელოდე!

ელოდე, მოლოდინს წლებიც რომ დასჭირდეს —
ვერც აღრე მოფრენა,
ვერც დაგვიანება
სურათის ღირსებას
ვერ შესცვლის, იცოდე,
და როცა მოფრინდეს,
თუ მართლა მოფრინდა...
იცოდე, იყუჩე და შეინარჩუნე

უღრმესი სიჩუმე,
 იდექ და ელოდე,
 ვიდრე გალიაში
 თვით შეფრინდებოდეს,
 და როცა შევიდეს,
 გალიის კარები
 ჯერ ფუნჯათ დახურე
 და მერე გალია ერთბაშად წაშალე.
 ოღონდაც უფრთხილდი —
 ჩიტს, შენთან მოფრენილს,
 ფრთის ერთი ბუმბულიც არ დაუზიანდეს.
 მერე ზე დახატე
 და ტოტი ერთ-ერთი,
 ყველაზე ლამაზი,
 ჩიტს გამოურჩიე.
 ზედ კიდევ დახატე ფოთლების სიმწვანე,
 ნიავის სიგრილე,
 მზას სხივთა ფანტელი,
 ზაფხულის ცხელ მზეში
 მწერების ფარფალი
 და კორიანტელი.
 და ისევ ელოდე, მორჩილად ელოდე,
 ვიდრე ამღერებდეს

ჩიტი თუ არ მღერის, *
 იმის ნიშანია,
 რომ შენი სურათი
 ცუდია ძალიან.
 ჩიტი თუ ამღერდა, კარგი ნიშანია,
 იმის ნიშანია,
 რომ ერთი ბუმბული
 მოსწყვიტო ჩიტის ფრთას
 და შენი სახელი
 სურათს მიაწერო
 კუთხეში
 ჩიტის ფრთით.

პატარა ჩიტი

პატარა ჩიტი ნარნარი ფრთებით,
 სისხლივით თბილი და სისხლის ფერი,
 ეს ნაზი ჩიტი, ეს ცელქი ჩიტი,
 ზოგჯერ თამამი, ზოგჯერ დამფრთხალი,



ხან რომ დაფრენს და ხან რომ ფართხალებს,
 ეს მარტოსული და შმაგი ჩიტი,
 სულ რომ ბორგავს და საფრენად ილტვის,
 ჩიტი, რომელსაც სიცოცხლე სწადის,
 ჩიტი, რომელსაც სიმღერა სწადის,
 ჩიტი, რომელსაც ყვირილი სწადის,
 ჩიტი, რომელიც ნარნარად დაფრენს —
 ბატარა ჩიტი, სისხლივით თბილი,
 სისხლივით ცბელი და სისხლის ფერი —
 შენი გულია, ლამაზო ბავშვო,
 შენი გულია — მწუხარე ფრთებით
 შენივე მკერდის ზღუდეს რომ ებრძვის,
 ასეთი თეთრი და მკვრივი მკერდის.



დროებითი თავისუფლება

საღდათის ქუდი ვაღიაში შევაგლე გუშინ,
 თავზე მის ნაცვლად ჩიტი დავისვი
 და გამოვედი.
 — საღმის მიცემა გადავარდა, თუ ეს რა არის?!
 თქვა მაიორმა.
 — დიახ, ბატონო, გადავარდა საღმის მიცემა!
 მიუგო ჩიტმა.
 — ო, მაპატიეთ, მე შეგონა საღმის მიცემა
 ჯერ კიდევ სჭრიდა. —
 თქვა მაიორმა.
 — რაღა თქმა უნდა, გაპატიებთ,
 შეცდომა ქვეყნად ვის არ მოსდის, —
 მიუგო ჩიტმა.

ო ე ი

კაფავთ და ჩეხავთ, ყეყეჩებო,
 ბველი ნაჯახით,
 რაც ახალგაზრდა ნერგი სადმე
 შეგხვდებით ტყეში;
 არ ტოვებთ არსად, ყეყეჩებო,
 ხეს ახალგაზრდას,
 ჩეხავთ და კაფავთ ერთიანად,
 კაფავთ და ჩეხავთ.

და ბებერ ხეებს, ფესვებდამბილს, კბილებჩაცვივულს
 არ ახლებთ ხელსაც;
 მათ ტოვებთ ტყეში
 და დიდის ამბით
 ზედ აკრავთ აბრებს,
 აბრებზე აწერთ:
 — ხე გამარჯვების, თავისუფლების,
 ხე კეთილის და ბოროტისა; —
 და ტყეში დგება შმორის სუნი
 დამპალი ჩისგან.
 ტყიდან ჩიტებიც გაიკრიფნენ
 და თქვენლა დარჩით,
 თქვენლა იმღერებთ, ყუყუებთ,
 და ივლით მარშით.



მთარგმნელის აზარი

ესე პრევერის თანამედროვე ფრანგული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ლექსები 30-იანი წლებიდან იბეჭდება ფრანგულ პერიოდულ პრესაში, ხოლო 1946 წელს გამოდის მისი პირველი ლექსთა კრებული — „სიტყვები“ („Paroles“), რომელსაც მალე მოჰყვა ახალი კრებულები: — „ამბები“ („Histoires“), „ზღაპრები“ („Contes“), „სახიობა“ („Spectacle“) და სხვ.

პრევერის ადრინდელ ლექსებს ეტყობა სურრეალიზმის გავლენა: — პოეზიიდან ლოგიკისა და აზრის განდევნის ცდა, რეალური მასშტაბებისა და პროპორციების განგებ დარღვევა, სრულიად სხვადასხვა პლანის მოვლენების ერთმანეთთან დაახლოება. მაგრამ მის შემოქმედებაში რეალისტურმა საწყისმა გაიმარჯვა. ამჟამად იგი გვევლინება ფრანგული პოეზიის ჰუმანისტური ტრადიციის გამგრძელებლად და თანამედროვე რეალისტური პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატად.

პოეტი თავს ესხმის ბურჟუაზიული საზოგადოების პრაქტიციზმს, ილაშქრებს იმის არა-ადამიანური გამოვლინებების წინააღმდეგ. ციფილიზებული სამყაროს მახინჯ მხარეებს უპირისპირებს ადამიანის ბუნებრივ უშუალოებას, მის ხალას გრძნობას და სიკეთეს.

პრევერის პოეზია თემატიკითაც და ლექსთაწყობითაც მრავალფეროვანია. მისთვის უცხო არ არის ტრადიციული ბოლორიითიანი ლექსები, რომელთა უმეტესობა ფრანგი ხალხის საყვარელ სიმღერებად იქცა. მაგრამ მის შემოქმედებაში მაინც სჭარბობს სასაუბრო ტონით დაწერილი, მარცვალთა რაოდენობის მკაცრ რეგლამენტაციას მოკლებული და რიტმის მონაცვლეობაზე აგებული თავისუფალი ლექსი, რომელსაც პოეტი მარჯვედ იყენებს როგორც თავისი მოქალაქეობრივი მრწამსის, ასევე უადრესად ინტიმურ გრძნობათა და განცდათა გადმოსაცემად.

პრევერი პარიზის შთაგონებული მომღერალია. — მისი ჭეჭყიანი ქუჩების სიმღებლისა და მისი თვალშეუდგამი სიმალისა. პოეტს უყვარს ცხოვრება მთელი თავისი კონტრასტებით და შესწევს უნარი ხან მისი მკაცრი მსჯავრმდებელი იყოს და ხან ბავშვივით გულუბრყვილო თავყანისმცემელი.

პრევერის ლექსების სიმბოლიკაში დიდი ადგილი უჭირავს ჩიტებს. ისინი განასახიერებენ ადამიანის შინაგან თავისუფლებას და ყოველდღიური ერთფეროვნებისაგან თავის დაღწევას, ცხოვრების რომანტიკისა და სილამაზისადმი მისწრაფებას.



შეკრულ პენსიონი

მოსხრობები

თარგმანი
ვალერი კვალასი

ქალღმის ბურთულა

თეორწვერა მოხუცი კაცი იყო, დიდცხვირა, უშველებელი ხელები ჰქონდა. ჩვეს გაცნობამდე კარგა ხნით აღრე ექიმად მუშაობდა და უაინსბურგის ქუჩებში თეორ ჯაგლაგზე ამხედრებული სახლიდან სახლში დაიარებოდა. მერე ფულიანი გოგო შეირთო, რომელსაც მამის სიკვდილის შემდეგ დიდი ფერმა დარჩენოდა. წყნარი, მაღალი, შავგვრემანი გოგანა იყო, ქალაქში ლამაზ ქალიშვილად ითვლებოდა. უაინსბურგში ყველას უკვირდა, ექიმს როგორ გაპყვით. იგი ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ მოკვდა.

ექიმს უზარმაზარი ხელები ჰქონდა. მომუშტული ხელის სახსრები ხისაგან გამოჩორკნილ და რკინის მავთულზე აცმულ კაკლისხელა ბურთულებს მიუგავდა, თხილის ჩიბუხს ეწეოდა. ცოლის სიკვდილის შემდეგ მთელი დღე ცარიელი კაბინეტის აბლაბუდიან ფანჯარასთან ჯდომა შეუყვარდა. ფანჯარას არ აღებდა ხოლმე. ერთხელ, აგვისტოს დახუთულ დღეს, მოხდომილად იჯდა, მაგრამ დაგმანული აღმოჩნდა და თავი აღარ შეუწუხებია.

უაინსბურგის მცხოვრებლებმა მოხუცი დაივიწყეს, თუმცა, ექიმი რიფი უჩვეულო ადამიანი გახლდათ. ჰეფნერის სახლში, პარიზული ფართლეულის მაღაზიის თავზე, ერთი მშორიანი კაბინეტი ჰქონდა, შეუსვენებლად შრომობდა შიგ გამოკეტილი: რაღაცას ქმნიდა და შექმნილს ისევ ანადგურებდა. ჰემმარიტებისაგან პატარა პირამიდებს აგებდა, მერე აშენებულს ანგრევდა და იმავე ჰემმარიტებას კვლავ ახალი პირამიდების ასაგებად იყენებდა.

მაღალი კაცი იყო ექიმი. მთელი ათი წელი ერთსა და იმავე ტანსაცმელს ატარებდა. გაცრეცილი კოსტუმი იდაყვებსა და მუხლისთავეებზე გამოხვრეტოდა. შინ უზარმაზარჯიბიან ტილოს ხალათს იცვამდა და შიგ მუდამ ქაღალდის ნაკუწებს იტენიდა. რამდენიმე კვირაში ქაღალდის ნაგლეჯები მკვრივ, მრგვალ ბურთებად იქცეოდა. ამოვსებულ ჯიბეებს ამოაბრუნებდა ხოლმე და ქაღალდის ბურთულებს იატაკზე დაახვავებდა. ამ ათი წლის მანძილზე ერთადერთი მეგობარი გაიჩინა, ხეხილის სანერგის პატრონი — მოხუცი ჯონ სპენიარდი. ხანდახან, თუ ექიმი კარგ გუნებაზე იყო, ჯიბიდან ერთი მუქა ქაღალდის ბურთულებს ამოიღებდა და სანერგის მფლობელს შეაყრიდა ხოლმე. ეშმაკმა წაიღოს შენი ცუნცრუჟა თავი, შე გულჩვილო ბერიკაცო, გაიძახოდა და თან სიცილით იგუდებოდა.

საკმაოდ უცნაური ამბავია ექიმ რიფის ნიშნობა მაღალ, შავგვრემან გოგოსთან, მოგვიანებით მისი ცოლი რომ გახდა და თავისი ფული უანდერძა. ეს ამბავი უაინსბურგის პატარა სამცვრევი ვაშლივით გემრიელია. შემოდგომით თუ ხილის ბაღში გაივლით, ფეხქვეშ ყინვისაგან დაძვრალ მიწას იგრძნობთ და შიშველ ხეებს დაინახავთ. დაკრეფილი ვაშლი კასრებში ჩაუწყვიათ და ღიღი ქალაქებისაკენ გაუგზავნიან. წიგნებით, ჟურნალებით, ავეჯითა და ხალხით საესე ბინებში შეეჭყვევიან ამ ბილს. მკრეფავის დაწუნებული თითო-ოროლა ხაყოფი შერჩენილა ხეებზე. ასეთი ვაშლი გარეგნულად ექიმის ხელის სახსარს წააგავს. თუ მოკბერ, საოცრად გემრიელი აღმოჩნდება. მთელი სიტკბო ნაყოფის გამობურცულ გვერდში დაგროვილა. მოყინულ ქაწახე ხიდან ხისაკენ ვარბიხარ, პატარა, კოყრიან ვაშლებს ჰკრეფ და ჯიბეებს ივსებ. ბევრმა არ იცის გვერდგამობურცული ვაშლის გემო.

ექიმი რიფი გოგონას ზაფხულის ერთ საღამოს შეხვდა. მაშინ ორმოცდახუთი წლისა იყო, უკვე დაჩვეოდა ქაღალდის ფურცლების ჯიბეში ჩატენასა და შემდეგ მაგარ ბურთულებად გადაქცეული ნაკუწების გადაყრას. ექიმს ეს ჩვევა სოფლის გზებზე წაგლაგშებმული ეტლით სიარულისას დასჩემდა. ქაღალდის ნახევზე საკუთარ აზრებს იწერდა, ზოგჯერ აზრას მარტო ბოლოს ან დასაწყისს ჩაინიშნავდა ხოლმე.

ექიმს გონებაში ზედიზედ ებადებოდა აზრები. უამრავი აზრი ისეთ უზარმაზარ ჰემმარიტებად იქცეოდა, რომ თავში არც ეტეოდა. ჰემმარიტება ჩრდილავდა სამყაროს. შემდეგ საშიშ სიდიდეს მიღწეული უფე-

რულდებოდა, ქრებოდა და მის ადგილას ახალი პატარა აზრები ჩნდებოდა.

მაღალი, შავგვრემანი გოგო სამკურნალოდ მივიდა ექიმ რიფსთან, რადგან შეატყო, რომ ფეხშიმედ იყო და შეეშინდა. უცნაურად დახლართულ ძიწეზებს ჩაეგდო ამ დღეში.

დედ-მამის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით მიღებული შემოსავლიანი მიწის ნაკვეთმა მის კართან ხელის მთხოვნელთა რიგი დააყენა, ორი წლის განმავლობაში მთხოვნელები ყოველ საღამოს აკითხავდნენ. ყველა ერთნაირი იყო, ორის გარდა. თაყვანისმცემლები თავისი ვნების შესახებ ესაუბრებოდნენ, თან ხმასა და თვალეებში დაძაბული, ხარბი გამომეტყველება უკრთოდათ. ის ორი, სხვებისაგან რომ განსხვავდებოდა, ერთმანეთს არ ჰგავდა. ერთი მათგანი, მოხდენილი, თეთრხელებიანი ახალგაზრდა, უაინსბურგელი ოქრომჭედლის ვაჟი, ერთთავად უმანკოებაზე ელაპარაკებოდა. სხვა რამეზე ერთხელაც არ დალაპარაკებია. მეორე, შავთმიანი და დიდყურა ბიჭი, მუდამ დუმდა, სამაგიეროდ, გოგონას სიბნელეში შეტყუება და კოცნა ეხერხებოდა.

თავდაპირველად მაღალი, შავგვრემანი გოგო ოქრომჭედლის ვაჟთან აპირებდა ქორწინებას. საათობით იჯდა ჩუმად და უსმენდა მის საუბარს, ვიდრე ერთხელ რაღაცის არ შეეშინდა. მოეჩვენა, რომ უბიწოებაზე ასეთ საუბარში ყველაზე დიდი გარყვნილება იმალებოდა. ხანდახან ეგონა, ლაპარაკისას ჩემს შიშველ სხეულს ხელით ეხებო. წარმოიდგინა, რომ ბიჭი მის ტანს ნელა ატრიალებდა თავისი თეთრი ხელებით და დაშტერებით შესცქეროდა. ღამით დაესიზმრა, ვითომ ოქრომჭედლის ვაჟი მის სხეულს კბილებით ჩაფრენოდა და ღრძილებიდან სისხლი სდიოდა. ეს სიზმარი სამჯერ ნახა და, მეორე, სულ რომ დუმდა, იმ ბიჭისაგან დაორსულდა. ვნებისაგან თავდავიწყებულმა ბიჭმა მართლა ისე უკბინა, რომ ოთხი დღე ხაკბილარი აჩნდა მხარზე.

მაღალმა, შავგვრემანმა გოგომ ექიმი რიფის გაცნობისთანავე გადაწყვიტა, ამ კაცთან განშორება არ შემიძლიათ. ერთხელ, დილით, საექიმო რჩევისათვის მისული გოგო რომ დაინახა, რიფი თითქოს უთქმელად მიხვდა ყველაფერს.

ამ დროს ექიმის კაბინეტში ერთი უაინსბურგელი ქალი იჯდა, ეს ქალი წიგნის მაღაზიის პატრონის ცოლი იყო. როგორც ძველი დროის სოფლის ყველა ექიმი, რიფი კბილსაც ამრობდა ავადმყოფებს. ქალს ლოყაზე ცხვირსახოცი აფარებინა და თავის ჯერს კვნესით ელოდა. ქმარიც თან ახლდა და როცა ქალს კბილი ამოუღეს, ორთავემ ერთად დაიყვირა. ქალს თეთრი კაბა სისხლით დაესვარა. მაღალ, შავგვრემან გოგოს ამ ამბისათვის ყურადღება არ მიუქცევია, არც შემკრთალა. ცოლ-ქმარი რომ წავიდა, ექიმმა გაიღიმა. „სოფელში რომ წავალ, თან წავიყვანთ სასეირნოდ“, — თქვა მან.

მაღალი, შავგვრემანი გოგო და ექიმი რამდენიმე კვირის მანძილზე თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ავადმყოფობის გამო გოგოს მუცელი ნოემალა, მაგრამ ექიმთან ნაცნობობა არ შეუწყვეტია. მან დაგვალული ვაშლის სიტკბოება აღმოაჩინა და აღარ მოსწონდა მრგვალი, დაბრაწული ნაყოფი, დიდი ქალაქის ბინებში რომ შეექცევინ ხოლმე. გოგონა იმავე შემოდგომით დაქორწინდა ექიმ რიფიზე, შემდგომ გაზაფხულზე კი მოკვდა. ზამთრის განმავლობაში ექიმი რიფი მას ქალაქის ნაგლეჯებზე დაბლაჯილ ნაწყვეტ-ნაწყვეტ აზრებს უკითხავდა. წაკითხულ ფურცლებს სიცილით იტენიდა ხოლმე ჯიბეში, სადაც ქალაქის ნაკუწები მრგვალ, მკვრივ ბურთულებად იქცეოდა.

პრეპონ პრ იცის



გაზეთ „უაინსბურგის არწივის“ რედაქციაში ჯორჯ უილარდი საწერი მავი-
დიდან წამოდგა, ქურდულად მიმოიხედა და სწრაფად მიიშურა ექვანან უკანსე-
ლელს. თბილი, მოღრუბლული საღამო იყო. ჯერ მხოლოდ რედაქციის კარებში
რედაქციის უკანა შესახვევი კი უკვე კუნაპეტ სიბნელეს მოეცვა. სადღაც ფარ-
ნის ბოძს გამობმული ცხენები გაქვავებულ მიწას ტორებს სცემდნენ. ჯორჯ უი-
ლარდს ფეხქვეშ კატა გამოუხტა და, დამფრთხალი, კვლავ წყვდიადში მიიმალა.
ყმაწვილ კაცს აღელვება ეტყობოდა. მთელი დღე გაბრუებული დადიოდა, სა-
მუშაოს თავი ვერ მოაბა. ქუჩაში რომ გამოვიდა, ციებიანივით აკანკალდა.

სულგანაბული ჯორჯ უილარდი ფრთხილად დაუყვა ბნელ შესახვევს. მა-
ლაზიებს ჩაუარა, გამოღებულ უკანა კარებში ნაცნობები შეამჩნია: ლამპას
მისხდომოდნენ და საუბრობდნენ. მაიერბომის საგალანტერიო მაღაზიაში
მისის უილი—სალონის მებატრონის ცოლი—დახლთან იდგა მკლავზე კალათგა-
დაკიდებული. მას ნოქარი სიდ გრინი ემსახურებოდა. დახლზე გადმოხრილიყო
და რაღაცას ლაპარაკობდა.

ჯორჯ უილარდი კარებთან დაიკუზა და წელში მოხრილმა გაიბინა განათვ-
ბული სივრცე. სირბილით განაგრძო გზა სიბნელეში. ედ გრიფითის სალონთან
ქალაქის ცნობილი ლოთი ჯერი ბერდი იწვა მიწაზე და ეძინა. ყმაწვილი კაცი
ლოთის გამხვართულ ფეხებს გამოედო და წაიბორჩიკა. შეშფოთებით ჩაიციხა.

ჯორჯ უილარდი თავგადასავლის შესახვედრად მიიჩქაროდა. მთელი დღე
ჭოჭმანობდა, ამ ამბისათვის ემზადებოდა, ახლა მოქმედების დროც დადგა.
„უაინსბურგის არწივის“ რედაქციაში იჯდნენ ექვსი საათიდან და ცდილობდა რაი-
მე მოეფიქრებინა.

ვერაფერი გადაწყვიტა. ბოლოს ფეხზე წამოხტა, ჩაუარა უილ პენდერ-
სონს, რომელიც ახლად აწყობილ სვეტებს ათვალერებდა ასოთამწყობის ოთახ-
ში, და სირბილით გაუყვა შესახვევს.

შეუჩერებლად გაიარა რამდენიმე ქუჩა. ერთი მხრიდან მეორეზე გადადიო-
და, გამვლელებს თავს არიდებდა. ქუჩის ფარანს რომ ჩაუარა, სახეზე ქუდი ჩა-
მოიფხატა. ფიქრს ვერ ბედავდა. გონებას შიში დაუფლავებოდა, ოღონდ ეს რა-
ღაც ახალი, განუცდელი შიში იყო. ეშინოდა, ვაითუ გამბედაობამ მიმტყუნოს,
უკან გაგბრუნდე და ყველაფერი გაეაფუჭო.

ლუიზ ტრანიონი ჯორჯ უილარდს სამზარეულოში ელოდა, მამის სახლში.
იგი ნავთის ლამპის შუქზე ჰურჭელს რეცხავდა. კარსუკან იდგა სახლს მიშენე-
ბულ ფარდულში, სამზარეულოდ რომ ხმარობდნენ. ჯორჯ უილარდი მესერთან
შეჩერდა და აცახცახებული სხეულის დაოკება სცადა. კარტოფილის ვიწრო კვა-
ლი აწორებდა ქალისაგან. მთელი ხუთი წუთი გავიდა, ვიდრე ძალას მოიკრებ-
და და დაუძახებდა: „ლუიზ! ჰეი, ლუიზ!“ ხმა ყელში გაეყინა. ძახილის ნაცვლად
ჩახლენილი ჩურჩული გამოუვიდა.

ლუიზ ტრანიონმა კარტოფილის კვალი გადმოიარა და ჯორჯ უილარდს მიუ-
ახლოვდა. ხელში ჰურჭლის საწმენდი ტილო ეჭირა.

— ვინ მოგახსენათ, თქვენთან წამოსვლას ვაპირებო? — პირქუშად მიმართა
უილარდს. — რა გულდაჯერებული ბრძანდებით!

ჯორჯ უილარდმა არ უპასუხა. ერთმანეთისაგან ღობით გამიჯნული წყვილი ჩუმად იდგა სიბნელეში.

— გზა განაგრძეთ, — თქვა ქალმა. — მამა შინაა. მე მალე დაგეწევით. უილიამსის ფარდულთან დამელოდეთ.

ღილით ახალგაზრდა რეპორტიორმა ლუიზ ტრანიონსს მიიღო „უაინსბურგის არწივის“ რედაქციაში. წერილი მოკლე და სიტყვობინებოდა: „თუ ისურვებთ, თქვენი ვარ“. ყმაწვილს აღიზიანებდა, სიბნელესა და ღობეს ამოფარებული ქალი თავს რომ იკატუნებდა, ჩვენს შორის საერთო არაფერიაო. „თავხედობაც ამასა ჰქვია! ღმერთმანი, გაუგონარი თავხედობაა“. ამ სიტყვების ბურღულუნით განაგრძო გზა ჯორჯ უილარდმა, ქუჩა ჩაიარა და სიმინდის ყანას გასცდა. ტროტუარის კიდემდე მიჯრილი სიმინდი მკერდამდე სწვდებოდა.

ლუიზ ტრანიონი სახლის პარმალზე გამოვიდა. ისევ იმ უჯრულა ჩათის კაბაში იყო გამოწყობილი, ქურჭლის რეცხვისას რომ ეცვა. არც ქუდი ეხურა. ყმაწვილი ხედავდა ხლურბლზე შეჩერებულ ქალს, კარის სახელურისათვის ხელი რომ წაეწლო და ვიღაცას ელაპარაკებოდა, უთუოდ მამამისს — ჯეიკ ტრანიონს. მოხუცა ჯეიკი ნახევრად ყრუ გახლდათ და ქალი ცდილობდა მისთვის ყვირილით გაეგებინებინა რაღაც. ბოლოს კარი მიიხურა, პატარა შესახვევი ჩაბნელდა და მიყუჩდა. ჯორჯ უილარდი უწინდელზე უარესად აცახცახდა.

ჯორჯი და ლუიზი უილიამსის ფარდულის ჩრდილში იდგნენ, ვერც ერთი ვერ ბედავდა ხმის ამოდებას. ვერ იტყოდით, ლუიზი სანდომიანი ქალიაო, თანაც ახლა ცხვირზე მური მოსცხებოდა. ჯორჯმა გაიფიქრა, ალბათ, ქვაბი გარეცხა და ნერე შემთხვევით ცხვირზე ხელი მოისვია.

ყმაწვილ კაცს ნერვიული სიცილი აუტყდა.

— თბილა, — თქვა მან. ძალიან მოუწონდა ქალს ხელით შეხებოდა. „გაბედულება ძაკლია“, გაიფიქრა. ასე ეგონა, ამ დალაქავებულ კაბის ნაოქს რომ შევეხო, სიამოვნების მწვერვალზე აღმოვჩნდებო.

ქალმა ტიტინი დაიწყო:

— თქვენ რომ გკითხოთ, ჩემზე ათი თავით მაღლა დგახართ. თავს ნუ იმართლებთ, ვიცე, რასაც ფიქრობთ, — თქვა და მისკენ მიიწია.

ჯორჯ უილარდს სიტყვები ნიღვრად მოადგა პირზე. გაახსენდა, უცნაურ მხერას რომ ესროდა ხოლმე ქალი შეხვედრისას, ღილით რედაქციაში მიღებული წერილიც მოაგონდა და ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა. გოგოს შესახებ ქალაქში დარხეულმა ხმამ სითამამე შეჰმატა. გაბედულ, ძლიერ მამაკაცად იგრძნო თავი. არავითარი გრძნობა არ აკავშირებდა ამ ქალთან.

— წამო, წავიდეთ, ყველაფერი რიგზე იქნება. ვერავინ ვერაფერს შეიტყობს. ვინ რას გაიგებს? — არწმუნებდა ქალს.

ისინი დაუყვნენ აგურით დაგებულ ვიწრო ქუჩას, რომლის ბზარებშიც მაღალი სარგველა ბალახი იზრდებოდა. ოღროხოლო ქვაფენილზე აქა-იქ აგური ამოცვენილიყო. ჯორჯმა ქალს აქერცლილ ხელზე მოჰკიდა ხელი და გაიფიქრა, რა მომხიბლავად პაწია ხელი ჰქონიაო.

— შორს ვერ წამოვალ, — თქვა ქალმა წყნარი და აუღელვებელი ხმით.

ვიწრო მდინარეზე გადებულ ხიდს გადავიდნენ და კიდევ ერთ სიმინდის ყანას ჩაუარეს. ქუჩა აქ თივლებოდა. საკალაფეხო ბილიკზე, შარავჯას რომ გასდევდა, ცალ-ცალკე მოუხდათ სიარული. შარავჯის გასწვრივ უილ თვერტონის ბაღია გამოჩნდა; პატრონს მიწაზე ფიცრები დაეხვავებინა.

— უილი აქ ფარდულის აშენებას აპირებს კენკრით სავსე კალათების შე-
სანახად, — თქვა ჯორჯმა და ორივენი ფიცრებზე ჩამოსხდნენ.

ათ საათს გადაცილებულიყო და უინჯლავდა, როცა ჯორჯ უილარდი მე-
ინ-სტრიტზე დაბრუნდა. სამჯერ აიარ-ჩაიარა მთავარი ქუჩა. სილვესტერ უეს-
ტის აფთიაქი ღია დახვდა, შევიდა და სიგარა იყიდა. ჯორჯს ესოფროვნე-გამყიდ-
ველმა შორტი ქრენდალმა ქუჩაში რომ გამოაცილა. კაი ხუთობა წუთი იდგნენ
ორივენი ტილოს ტენტის ქვეშ, ამოქნარებდნენ და საუბრობდნენ. ჯორჯ უი-
ლარდს ვინმე მამაკაცთან გამოლაპარაკება მონატრებოდა და ეს მასლაათი კმა-
ყოფილებას ანიჭებდა. მერე კუთხეში შეუხვია, გეზი სასტუმრო „ნიუ უილარდ
ჰაუსისაკენ“ აიღო; მიაბიჯებდა და თან ჩუმად უსტვენდა.

ტროტუარზე შეჩერდა უინის ფართლეულის მაღაზიის წინ, სადაც ფიცრის
მაღალ ღობეზე ცირკის აფიშები გაეკრათ. სტვენა შეწყვიტა და თითქოს უჩი-
ნარმა ხმამ სახელი დაუძახაო, ყურდაცქვეტილი გაინაბა სიბნელეში. შემდეგ
კვლავ ნერვიულად ჩაიცინა.

— ვერაფერს დამწამებს. არავინ არაფერი არ იცის. არავინ არ იცის, —
ჯიუტად ჩაიღუღუნა და გზა განაგრძო.

მთარგმნელი სავან

1958 წელს ვირჯინიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან საუბრისას უილიამ ფოლკნერმა გა-
ნაცხადა: „შერვულ ანდერსონი უკეთეს ადგილს მსახურებს ამერიკული ლიტერატურის ისტო-
რიაში. ჩემი აზრით, იგი მთელი ჩემი თაობის მწერალთა — მემინგუის, ერსკინ კოლდუელის,
თომას ვულფის, ღოს პასოსის — სულიერი მამაა“. ეს სიტყვები კარგად გამოხატავენ ანდერსონის
შესახებ შექმნილ აზრს თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ამ საუკუნის
20-იან წლებში ლიტერატურული დიდების წინიტზე მყოფმა ანდერსონმა სიცოცხლის უკანას-
კნელ ხანს სულიერი და შემოქმედებითი კრიზისი განიცადა — თითქმის სრულიად ჩამოშორდა
ლიტერატურულ სამყაროს და უგელასაგან მივიწყებული გარდაიცვალა 1941 წელს. მწერლის
დავიწყებას სხვა მანერაიც ჰქონდა: 20-იან წლებში ანდერსონი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ
ცხოვრებაში და მსარი დაუჭირა მუშათა მოძრაობას, რაც ბურჟუაზიულ კრიტიკას არაფრად
გბიტნავა.

შერვულ ანდერსონის საინტერესო ლიტერატურულმა შემკვიდრებამ თავისი გაიტანა —
იგი ხელახალი შესწავლის საგნად იქცა. დროის გამოცდას ვერ გაუძლევს შედარებით სუსტმა რო-
მანებმა, სამაგიეროდ, მისმა ნოველებმა ამერიკის ლიტერატურა გაამდიდრა.

ანდერსონის გზა ლიტერატურაში, ისევე როგორც პირად ცხოვრებაში, წინააღმდეგობრივია
და გაორებული. იგი მოდერნიზმის მიმდევარია, ამავე დროს კრიტიკული რეალიზმის წარმომად-
გენლად ითვლება. ანდერსონის შემოქმედება, რომელსაც ღრმა ფსიქოლოგიზმი ახასიათებს, გა-
ნაპირობა ავტორის ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ. მან მრავალი პროფესია გამოიცვალა, ვიდ-
რე პროფესიული მწერალი გახდებოდა: ყიდდა გაზეთებს, მუშაობდა მტვირთავად, ჯარისკაცად,
ქარხნის მუშად, გადამწერად. მერე ბიზნესმენის კარიერას გაჰყვა და წარმატებასაც მიაღწია. მა-
ტერიალურ კეთილდღეობას წერის სურვილმა სძლია — 27 წლის ანდერსონმა მიატოვა საკუთა-
რი ფაბრიკა და 1912 წელს ჩიკაგოში გაემგზავრა, რათა ლიტერატურაში ეცადა ბედი. ამ პირადი
ცხოვრების ანარეკლს ვხვდებით რომანებში: „უინდი მაკფერსონის ვაჟი“ — 1916 წ., „ფებ-
დაფეს“ — 1917 წ. და „ბნელი სიცილი“ — 1925 წ.

ანდერსონს აღიარება მოუტანა 1919 წელს გამოქვეყნებულმა ნოველების კრებულმა „უაინს-
ბურგი, ოპიო“. განწყობილება, მოქმედების ადგილი და ხერხით გამირი ნოველებს ერთ-

მანეთთან აკავშირებს და ნაწარმოებს რომანის ფორმას ანიჭებს. „უაინსბურგში“ ავტორი პროვინციული ქალაქის მაგალითზე გვიხატავს ამერიკის ახალგაზრდა ცივილიზაციის ნადრევ, გროტესკულ სიბერესა და დაღლილობას. მწერალი აკვირდება „ცხოვრებაში დამარცხებულ ადამიანებს, შთაგონებულ ადამიანებს, რომლებმაც დაბადებისთანავე იგემეს და იწამეს დამარცხება“ (შ. ანდერსონი). მახინჯი ცივილიზაცია დაღს ასვამს საზოგადოებას, ადამიანებს. ამიტომაც ანდერსონის საუკეთესო წიგნებში: „ვერცხის წიმი“ — 1921 წ., „ცხენებზე დასველები“ — 1922 წ., „სიკვდილი ტყეში“ — 1933 წ. გროტესკული გმირები მოქმედებენ.

კაპიტალისტურ პირობებში მიწას მოწყდა და მანქანად იქცა ადამიანი. იზოლირებული პიროვნება ვერ ახერხებს თვითგამოხატვას, რის გამოც ფსიქიურ ტრავმას განიცდის და გროტესკად იქცევა — ეს აზრი გასდევს ანდერსონის მთელ შემოქმედებას. მისი გმირები ცდილობენ თანამოქმედებთან კავშირში იპოვონ შვება და მარტოობას თავი დააღწიონ. ამ ცდას მოხდევს მოულოდნელი შედეგი: სასაცილო, სევდის აღმძვრელი, ზოგჯერ მშვენიერიც კი, მაგრამ იშვიათად სასურველი, განმკურნებელი. გროტესკული პირი მაინც გროტესკად რჩება, რადგან იგი მომაკვდავი კულტურის სიმბოლოს წარმოადგენს.

ანდერსონის წერის მანერა ექსპრესიონისტულ ფერწერას ჩამოჰგავს. მისი გროტესკები ვან გოგის ხელოვნურად დამახინჯებულ ფიგურებს შეესაბამება. დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე დეტალები საერთო კომპოზიციაში ერთიანდება. ანდერსონი თხრობაში ურთავს დიალოგების ნაწყვეტებს და აღწერაობითი ფრაგმენტების ნაკუწებს. მწერალი გარეგან, ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას კი არ მისდევს, არამედ „ფსიქოლოგიურ თხრობაზე“ ამახვილებს ყურადღებას. ამიტომაც უფლის გვერდს კულმინაციურ მომენტს, თხრობა კვლავ და კვლავ გადააქვს წარსულში.

მას სურდა ამ ხერხის დახმარებით მიახლოებოდა ძიების მიზანს: აესახა ადამიანის სულის გამოვლინება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ალბათ ამიტომაც უწოდა მას ფოლკნერიმა სულიერი მამა ისეთი მწერლებისა, როგორებიც არიან თვით ფოლკნერი და თომას ვულფი.

ანდერსონი შეეცადა ადამიანის ფსიქიკაში ჩაეხედა — გამოეთქვა გამოუთქმელი. იგი გრძნობდა ამ ამოცანის სიმძიმეს და ლექსში „მთხრობელი“ გულსტკივილით ამბობდა:

„ჩემი გონების ზღვრბლთან მოთხრობები დაფუსფუსებენ.
ხან რაღაცას ბუტბუტებენ, ხან გაჰყვირიან,
სიცივისა და შიმშილისაგან ღონე ეცლებათ.
თერძი რომ ვიყო,
ფიქრის ძაფისგან თბილ ტანხაცმელს მოვქსოვდი
და მოთხრობებს ჩავაცმევდი.
სიბნელეში დავბორძიკობ, კარისათვის ვერ მიმიგნია.
ფანჯრიდან ვუცქერ.
მოთხრობები სულს დაფავენ ქუჩაში,
ჩემი გონების სადარბაზო შემოსასვლელთან“.

იმანუელ რომაელი

ქება სიყვარულისა

თარგმანი ჯემალ აქიაშვილისა

მე ესრე ვარქვი:

— რა მშვენიერ ხარ, ამაყო ობრო,
ვითარ გამშვენებს ყვავილთა ელვა
და სამკაულთა ნაზი იერი,
ბაგეთა შენთა ღვთაებრივ კრთომას ვერ შეათასებს

ძეხორციელი.

მაფრქვევ შეუქი ძუძუთა შენთა.

მოვსულვარ შორით, ვითარცა მწირი...

მო, მომეახლე, კეთილო ტრედო, ისმინე ნუკვა

უღირსი მონის

და მოწყალეობა მოიღე ჩემდა, ულამაზესო ასულთა შორის!

...მე ვუამბობდი, მედიდურად ისმენდა ქალი,

ფეთქდა მტევნებად მკერდი სთვეული,

ის იჯდა, როგორც ამაყო ნიმფა, მე როგორც ბერი — ხანმოთეული...

ბოლოს მობრუნდა ამო და ღირსი

და ესრე მამცნო სურვილი თვისი:

— დაშითქვამს საზღვრად უმანკო წელი, —

სხეულსა ჩემსა განვიყოფ ორად,

ორთავან ერთსა აირჩევდეს

გონება შენი.

შენ რომელ გინდის, მეტრფეო ჩემო?

გახსოვდეს ზღვარი, ირჩევდე ერთსა, დასამე სიხარბე

უგუნურ თვალთა,

იმანუელ რომაელი — შუა საუკუნეების იტალიაში მოღვაწე ებრაელი პოეტი (1268 – 1330).
ლექსი თარგმნილია ძველებრაულიდან.

ან მდაბალს ჩასწვდი, ამადლდი ანდა!..
 მე მოვუსმინე, შეეწუხდი ფრიად,
 ვუმზერ ქალწულს და არა ვუწყვი რა,
 რა ვამჯობინო, მოვიქცე ვითარ....

ბოლოს კანკალით გაფხსენი ბაგე
 და საწყინარი ვაუწყე ესრე:

— სირცხვილ არს შეხდა, რამეთუ სცოდე,
 გარნა უწყოდე, უდრეკ ვარ ვითარ
 და ესრე გარქმევ:

მო, მოვედ, მნებავს ზემორე ტანი,

ხოლო ქვემორეს არარად ვაქნევ.

...რა დავასრულე, უცაბედად ამღერდა ობრო,

განაპო ბაგე, განიხარა, წამოდგა ზეზე

და განმიცხადა სათქმელი ესე:

— ვითარ გამოსთქვა ბაგემან წენმან უხესთაესი სურვილი შენი,
 ო, მშვენიერ ხარ, მეტრფეო ჩემო!

აჰა, ამღერდა გულისთქმა ჩემი, ბაგე — საზეო სიჭველის მჩენი,

ო, მშვენიერ ხარ, მეტრფეო ჩემო!

მუქაფად გიზღო უშრეტი ტრფობა, ხოლო ტარიგად — სხეული ჩემი,

ჰა, განვიძარცვე, მეტრფეო ჩემო!

მას ზღვარს და სარტყელს მოვიხსნი წელზე

და აღაღობე გულისთქმა შენი

ორთავ ნაწილზე — ზეზე და ქვეზე,

აჰა, მიიღე სასურველი, მეტრფეო ჩემო!..

...და ობრო, ობრო — ამაყი სძალი,

მე კი — მონა და უბირი მწყემსი,

გავერთეთ მუნ და მეტრფემან მისმან ბაგეთა მისთა ბადაგი


შეესვი.

უხვად მოიღო ნექტარი თვისი,

დავშვრი თაფლით და ძუძუთა ალვით

და სურნელოვან ყვავილთა კონა ქალწულ სახეზე მოვწყვიტე
 კრძალვით.





XIII ბოლზუორთი

თარგმანი
ალექსანდრე გამყრელიძისა

„ვაშლის ყვავილი, სიმღერა, ოქრო“.
 მარეი, ევრიპიდეს „პიპოლიტოსა“.

ვერცხლის ქორწილის დღეს ეშერსტი და მისი ცოლი ავტომანქანით მიუყვებოდნენ მანახიანი ეწრის ნაპირ-ნაპირ მსამავალ გზას. უნდოდათ, ზეიმი ღამის გატარებით დაეგვირგვინებინათ ტორკიში, სადაც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ეს სტელა ეშერსტმა მოიგონა, რომელსაც, ცოტა არ იყოს, სენტიმენტალობა სჩვეოდა. მან კარგა ხანია დაკარგა ცისფერი თვალების ეშხი, ქორთვა ყვავილასებური ჩიბლი, სახისა და ტანის ნატიფი მოყვანილობა და ვაშლის ყვავილის ფეროვნება, რითაც ასე ანახდად და უცნაურად მოინადირა ეშერსტის გული ამ ოცდაექვსი წლის წინათ. მაგრამ ორნოცდასამი წლის ასაკშიაც სანდომიანი, ერთგული მეუღლე გახლდათ, რომელსაც ღაწვები თინავ დატალიდა, ხოლო გრემა-ცისფერი თვალები თითქოს უფრო ჩამუქებოდა.

სწორედ მან შეაყენა ავტომობილი იქ, სადაც ველი მკვეთრად მალღებოდა მარცხენა მხარეს, ხოლო ლარიქსისა და წიფლების ეიწრო ზოლი, აქა-იქ გამორეული ფიჭვებითურთ, ხეობისაკენ ჩამოწეულიყო გზასა და ეწრის პირველ გაგრძელებულ მაღალ ბორცვს შორის. სტელა თვალთ ეძებდა საუზმის

გასაშლელ ადგილს, რადგან თვით ეშერსტს არასოდეს არაფერი ენადვლებოდა. ეს ადგილი, თქროსფერ კურდღლისცოცხასა და მწვანე ლარიქსებს შორის, აბრილის დაისის მზეში ლიმონის სურნელა რომ უდიოდათ, ზღობასა და ზემოთ გაგრძელებულ სერებს გააყურებდა. ამიტომ ეჩვენა იგი შესაფერისად მტკიცე ბუნების სტელას, რომელსაც თან აკვარელების ხატვა და წინაშე მდებარე კუნძულებიც უყვარდა. მან სტაცა ხელი სახატავი მოწყობილობის და მანქანიდან გადმოვიდა.

— ხომ კარგია, ფრენკ?

ეშერსტმაც, ორმოცდარვა წლის სიტყვაძუნწმა ვაჟკაცმა, ხელი მოჰკიდა სანოვაგიან კალათის და გადმოვიდა. იგი ცოტათი წვერიან შილერს წააგავდა. საფეთქლებზევერცხლილს, მაღალს, გრძელფეხებს — დიდრონი, შორიშორს ჩამასდარი გრვმა თვალები ხანდახან აზრით უსხივოსნდებოდა და თითქმის ლამაზიც უზღებოდა. ცხვირი ცოტა მობრეცილი ჰქონდა, ხოლო შებანჯგვლული ბაგეები ოდნავ გაპობოდა.

— ო, შეხედე, ფრენკ! სამარე!

გზის ნაპირას, სადაც ზემოდან ჩამომავალი ბილიკი პირდაპირ ჰკვეთდა შარას და, ლობეში ჩადგმულ კარში გასული, ტყიანში შედიოდა, ექვსიოდე ფუტი სიგრძისა და ერთი ფუტი სიგანის დაბალი, ბალახოვანი ბორცვი მოჩანდა. დასავლეთის მხარეს დახავსებული ქვა ეგდო და ზედ ვილაცას კვრინჩხის ყლორტი და მაჩიტას ყვავილები მოებნია. ეშერსტმა დახედა და მასში პოეტმა გაიღვიძა. გზაჯვარედინზე თვითმკვლელის საფლავი! სიკვდილის საბრალო შვილთა ცრურწმენანი! ვინც არ უნდა იწვეს აქ, განა ეს არ ურჩევნია ცივ სამარეში კოფნას სხვა საძაგელ საფლავეს შორის, რომლებზედაც ათასი აბდაუბდაა ანოკვეთილი? აქ კი მხოლოდ უბრალო ლოდია, მაღალი ზეცა და გამვლელთა შეხდობა! და უთქმელად, რადგან თავისი ოჯახის წიაღში ჩვეულებად არა ჰქონდა ფილოსოფოსობა, ფერდობს აუყვა, სანოვაგიანი კალათი ყორესთან მიდგა. ძირს საფენი გაშალა ცოლის დასაჯდომად. როცა მოწივდებოდა, თავს დაანებებდა ხატვას და უკან დაბრუნდებოდა — და ჯიბიდან „ჰიპოლიტოსის“ მარეისეული თარგმანი ამოიღო. მალე ჩაიკითხა „კიპროსელისა“ და მისი შურისძიების ამბავი და მერმე ზეცას მიაბყრო თვალი. და ასეთ ლაყვარდოვან ცაში თეთრად მოქათქათე ღრუბლის ფთილებს რომ უყურებდა, ეშერსტს, თავისი ვერცხლის ქორწინების დღეს, თვითონაც არ იცოდა რატომ, სევდა მოაწვა გულს, რა ცუდად არის შეწყობილი ცხოვრებასთან ადამიანის ორგანიზმი! როგორი მაღალი და პატიოსანი ცხოვრებითაც არ უნდა ცხოვრობდეს კაცი, ყოველთვის ახლავს მაინც რაღაც ქვეცნობიერი სიხარბე, წადილი, ლტოლვა და წარმავლობის გრძნობა. ვითომ დიაცვებსაც ასე აქვთ? ვინ იცის? და მაინც ისინი, ვინც ეხარბებოდნენ სიბლეს, გამმაგებულნი ელტვოდნენ ახალ-ახალ თავგადასავლებს, ახალ საალაღბედო საქმეებს, ახალ სიამეებს, ისინი, შარალდებოდნენ, უეჭველია, დაუკმაყოფილებლობის საპირისპირო უსომო გადარბებულობისაგან.

ამას ვერავინ დაადწევს თავს — ცხოვრებასთან რა ცუდად შეწყობილი ცხოველია ცივლიზებული ადამიანი! სად არის ის სანეტარო ბაღი „ვაშლის ყვავილის, სიმღერისა და თქროსი“, ბერძნული ქოროს მშვენიერი სიტყვებით რომ ვთქვათ; სანატრელი სივანე ცხოვრებაში, ანდა ნარადიული ბუნდური

ნავსაყუდელი სიმშვენიერის გრძნობის მქონე ადამიანისთვის. ვერაფერი შე-
ედრება ხელოვნების ძეგლში სამარადისოდ აღბეჭდილ სიმშვენიერეს, რომ-
ლის შეხედვა ან წაკითხვა ყოველთვის აღტაცების შესანიშნავ გრძნობას იწ-
ვეს და გულს მალამოსავით ესაღებუნება. უეჭველია, ცხოვრებაში სასწრაფო
იქნება ხოლმე ასეთი ჯურის სიმშვენიერე — დაუბატოებელი, ანაზღაურელი
სტუმარი, მაგრამ ისინი ისევე მსწრაფლ ქრებიან, ვითარცა ღრუბლის დათლიე-
ბი, მზეს რომ გადაუქროლებენ ხოლმე. შეუძლებელია მათი შეყვანა იმე-
გორც ეს ხელოვნებამ შესძლო — აესახა სიმშვენიერე და კიდევ შენარჩუნე-
ბინა მტკიცედ იგი. ისინი წარილტვიან, ქრებიან, როგორც ბუნების სულში
ჩამწვდომი ადამიანის ოქროს ზმანებათა გაელვება, ბუნების უშიშაგანესი წია-
ღისათვის თავისი შევლება და ჩაწვდომა. აქ მზე რომ აცხუნებდა სახეში, გუ-
გული რომ იძახდა კუნელიდან, ჰაერში რომ კურდღლისცოცხას თაფლისებუ-
რი სურნელი იდგა — აქ, გვიმრის ნორჩ ყლორტებსა და ვარსკვლავოსან კვრინ-
ჩხნარში, როცა ქათქათა ღრუბლები დაძვარფატიებდნენ მალალ სერებსა და
მთვლემარე ხეობებს — ეჩვენებოდა, რომ ერთი წაძის სწორედ აქ და ახლა
სწვდებოდა ბუნების საიდუმლოს. მაგრამ ერთ თვალის დახამხამებაში ქრებო-
და იგი, ვითარცა სახე პანისა, რომელიც კლდის კუთხიდან გამოიჭყოტავს და
თვალის შევლებისთანავე უჩიხარდება. და ეშერსტი უცბად წამოვდა. პეშმარი-
ტად ნაცნობი ჩანდა ეს სანახები, ეწრის ფერდობის ეს ჩაწილი, გზის ის ზოლი,
იმას იქით კი ძველი კედელი. სანამ ავტომობილით მოუყვებოდნენ გზას, არა-
ფერი შეუმჩნეოდა, არც ყურადღება მიუქცევია — სულ სავა რაღაცეებზე, თუ
სულაც არაფერზე ფიქრობდა, ახლა კი შეამჩნია! — ოცდაექვსი წლის წინათ,
სწორედ წლის ამ დროს, სწორედ ამ ადგილს ნახევარ მილზე დასორებული
ფერმიდან გაუდგა იგი გზას ტორკისკენ, საიდანაც, უნდა ითქვას, აღარც არა-
სოდეს დაბრუნებულა. და ანაზღად რაღაცამ აცხინა გულში — იგი წააწყდა თა-
ვისი ცხოვრების სწორედ ისეთ გარდასულ შემთხვევას, რომლის სიმშვენიერი-
სა და ხიბლის შენარჩუნება მან ვერ მოახერხა და რომელიც დავიწყების
წყვდიადმა შთანთქა. იგი წააწყდა დასამარებულ მოგონებას, უზომოდ ტკბილ
ხანას, ანაზღად შეწყვეტილსა და ბოლომოდებულს. იგი გაღმობრუნდა თავდად-
მა, ნიკაბი ხელებს დააყრდნო და თვალები დაამტერა დაბალ ბალახს, რომელ-
შიაც პაწია ცისფერი რძიანა ყვავილი ხარობდა...

და აი, ეს ამბავი მოაგონდა.

1

პირველ მაისს, უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსზე ერთად ყოფნის შეპ-
დგომ, ფრენკ ეშერსტი და მისი მეგობარი რობერტ გარტონი სამოგზაუროდ
წამოსულიყვნენ. იმ დღეს ბრენტიდან გამოვიდნენ და უნდოდათ, ჩეგლორდის-
თვის მიეღწიათ, მაგრამ ეშერსტს ფეხბურთის თამაშის დროს ნატკენმა მუხლ-
მა უღალატა, რუკის მიხედვით კი შვიდიოდე მილი მაინც აკლდათ იქამდე.
ისინი ისხდნენ გზის პირას ბეჭობზე, სადაც ბილიკი კვეთდა ტყეს; მუხლს ას-
ვენებდნენ და, როგორც ყმაწვილ კაცებსა სჩვევიათ, მსოფლიო პრობლემებზე
მსჯელობდნენ. ორივენი ექვს ფუტზე მალლები იყვნენ და სარებივით წვრილე-



ბი; ეშერსტი — ფერმკრთალი, მეოცნებე და დაბნეული, გარტონი — უცნაური, თავდაჯერებული, ჯმუხი, თმახუჭუჭა, თითქოს პირველყოფილი მხეციაო. ორივეს უყვარდა ლიტერატურა; ორივენი უჭედოდ დადიოდნენ. ეშერსტს ნატეფიქერა, ხვეული თმა ჰქონდა, მუდამ შუბლზე ჩამოშლილი, რომელსაც წამდაუწუმ უკან იყრიდა ხოლმე; გარტონს კი შავად ჰქონდა გაბანჯგვლული თხვი. რამდენიმე მილზე კაცი სულიერი არ შეხვედრიათ.

— ჩემო ძვირფასო, — ამბობდა გარტონი, — სიბრაღული თვითშემეცნების შედეგია. ეგ ამ უკანასკნელი ხუთი ათასი წლის სენი გახლავს. სამყარო უმაგისოდ უფრო ბედნიერი იყო.

ეშერსტმა, რომელიც ავალს აყოლებდა ღრუბლებს, მიუგო:

— ეგ მაინც მარგალიტია ამა სოფლისა.

— ჩემო ძვირფასო მეგობარო, მთელი ჩვენი თანამედროვე უბედურების სათავე სწორედ სიბრაღული გახლავს. შეხედე ცხოველებისა და წითელკანიან ინდიელებს, მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი პირადი ბედუკუდმართობებით რომ იზღუდებიან; მერმე ჩვენკენ მოიხედე — სხვათა კბილის ტკივილიც რომ მოსვენებას არ გვაძლევს. მოდიოთ, ძველებურად ნურავის ყურადღებას ნუ მივაქცევთ და ვატაროთ ბედნიერად დრო!

— მაგას შენ თვითონაც ვერ აღასრულებ.

ფიქრებში წასულმა გარტონმა აბურღული თმა მოიჩეჩა.

— ვისაც დავაჟკაცება უნდა, აზიზობას თავი უნდა ანებოს. საკუთარ გრძნობათა ჩახშობა შეცდომაა. ყოველი გრძნობა სასიკეთოა — ცხოვრებას ამდიდრებს.

— კი მაგრამ, როცა რაინდულ პატიოსნებას ეწინააღმდეგება?

— ოჰ, ეგ ნამდვილი ინგლისური ამბავია! თუ გრძნობა ახსენე, ინგლისელს ყოველთვის ჰგონია, რაღაც ფიზიკურს გულისხმობ და თავზარი ეცემა. გრძნობისა, ვნებისა ეწინააღმდეგება, მაგრამ ავხორციობისა არა, სრულიადაც არა! — ოღონდ მიჩქმალული კი ჰქონდეთ!

ეშერსტს არ უპასუხნია; მოეწყვიტა ცისფერი პაწია ყვავილი, ხელში ატრიალებდა და ზეცის ლაყვარდ ფერს უდარებდა. კუნელის ბუჩქიდან გუგულის ძახილი მოისმა. ლაყვარდი, ყვავილები, ფრინველთა გალობა! რობერტი მიეთმოეთობს! და მან თქვა:

— მოდი, წავიდეთ და სადმე ღამის გასათევი მოვნახოთ.

ეს სიტყვები არც გაეთაყვებინა, რომ ფერდობზე ჩამომავალი გოგონა შენიშნა. იგი მკაფიოდ გამოჩაყვებულიყო ცის ფონზე. ხელში კალათი ეჭირა და ზეცის ლაყვარდი მისი მოხრილი მკლავის ქვეშაც გამოკიაფობდა. და ეშერსტმა, რომელიც უანგაროდ აფასებდა ყოველ სილამაზეს, გაიფიქრა, რა მშვენიერი იყო. ქარი ფეხებზე ატმასნიდა მუჭი ფერის სქელი ქსოვილის კაბას და ურხევდა გაცრეცილ ცისფერ ბერეტს. მონაცრისფრო ხალათიც გაცვეთოდა და დაძველებოდა, ფეხსაცმელები დახეთქოდა, პაწია ხელები გაწითლებოდა. ყელ-კისერი მზით ჰქონდა გარუჯული. მუჭი თმა უთავბოლოდ ჩამოშლოდა ფართო შუბლზე. სახე პატარა ჰქონდა, ზემო ბაგე — მოკლე და ქათქათა კბილები მოუჩანდა; წარბები — სწორი და მუჭი; წამწამები — გრძელი და შავი; ცხვირი — სწორი და ჩამოქნილი; მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი მისი გრემა თვალები გახლდათ — ეუუუნა, შუქიანი, თითქოს დღის დღეს პირვე-

ლად გახელილანო. გოგონამ შემოხედა ეშერსტს — ალბათ ეუცნაურა კოჭლობით მავალი უქუდო კაცი, რომელსაც თმა უკან პქონდა გადაყრილი და დიდრონი თვალები მისთვის მიეპყრო. თავზე რომ არაფერი პქონდა, ~~არა~~ რას მოუხდიდა, მაგრამ საღმის ნიშნად ხელი ასწია ყმაწვილმა და უთხრა:

— არ შეგიძლიათ, გვითხრათ, აქ ახლომახლო საღმის ნიშნად რომ არ არის, დაჟე გაეათიოთ? ფეხი ამტკივდა.

— აქ ახლოს მხოლოდ ჩვენი ფერმა გახლავთ, ბატონო. — თამამად უბასუხა გოგონამ საამო, ნაზი, მკაფიო ხმით.

— ნერმე სად არია?

— აქეთ, ქვემოთ გახლავთ, ბატონო.

— შეგვიფარებთ?

— ოპ, მე მგონი, კა!

— გზას გვასწავლით?

— კი, ბატონო.

ეშერსტი კოჭლობით მიპყვა მღუმარედ, გარტონმა კი კითხვები გააგრძელა.

— დევონშირელი ხართ?

— არა, ბატონო.

— მაშ სადაური ხართ?

— უელსელი.

— ოპ, მე თავიდანვე ვიფიქრე, კელტი იქნება-მეთქი. მაშ თქვენი ფერმა არ ყოფილა!

— დეიდაჩემის გახლავთ, ბატონო.

— და ბიძათქვენისა, არა?

— ბიძა გარდაიცვალა.

— მაშ ვინ ეწევა მეურნეობას?

— დეიდაჩემი და ჩემი სამი დეიდაშვილი.

— მაგრამ ბიძათქვენი ხომ დევონშირელი იყო?

— დიახ, ბატონო.

— აქ დიდი ხანია ცხოვრობთ?

— შვიდი წელიწადია.

— მერმე როგორ მოგწონთ უელსთან შედარებით?

— რა მოგახსენოთ, ბატონო.

— მგონი, აღარც გეხსომებათ უელსი!

— არა, მახსოვს, მაგრამ ის სულ სხვანაირია.

— გეთანხმებით!

ანაზღად ეშერსტი ჩაერია საუბარში:

— რამდენი წლისა ხართ?

— ჩვიდმეტისა, ბატონო.

— და რა გქვიათ?

— მეგენ დევიდი.

— ეს რობერტ გარტონია, მე — ფრენკ ეშერსტი. ჩვენ ჩეგუორდს მივდივართ.

— რა მწყინს, ფეხი რომ გიტკენიათ!

ეშერსტს გაეღიმა და როცა იღიმებოდა, თითქმის მშვენიერი უხდებოდა სახე.

ტყის ვიწრო ზოლს რომ გასცდნენ, უცხად მიაღწენ ფერმას ეზოში მდგარ დაბალ, ნოგრძო ქვიტკირის შენობას, რომელსაც დარაბუბიანი ფიწრები ჰქონდა. ეზოში ღორები, ქათმები და ბებური ფაშა დაყოლობდნენ. უკან ნცარეოდენი ფიჭვებით დაგვირგვინებული, ბალახოვანი დაბალი ბოტანიკური მოჩანდა; ხოლო წინ ეს-ეს არის ყვავილობაში შესული ვაშლების შეული ბაღი ეშვებოდა მდინარისა და გრძელი, შიშველი მინდვრისაკენ. მოელმო შეუთვალა პატარა ბიჭი ღორს მოერეკებოდა; კარის ზღურბლზე კი დედაკაცი გამოძგარიყო, რომელიც მათ მოეგება.

— ეს ქალბატონი ხარაკუმი გახლავთ — დეიდაჩემი, — თქვა გოგონამ.

„ქალბატონ ხარაკუმს, დეიდაჩემს“ გარეული დედა-იხვივით დაცეცებული შავი თვალები ჰქონდა და ვველური კისერიც როგორღაც ძალიან მიუგავდა იმავე ფრინველისას.

— გზაში შეგვხვდა თქვენი დისწული, — მოახსენა ეშერსტმა, — და გვითხრა, რომ ვგებ დამე გაგვათევინოთ.

ქალბატონმა ხარაკუმმა თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა ისინი და მიუგო:

— ჰოდა, გაგათევინებთ კიდევ, თუ მარტო ერთი ოთახი გეყოფათ. მეგენ, სტუმრის ოთახი მოამზადე და ბაღიაში ნაღები ჩაასხი. ალბათ ჩაი გენდომებათ!

გოგონამ ორი ურთხელისა და მოცხარის რამდენიმე აყვავებული ბუჩქისაგან შექმნილი ერთგვარი პარმადი გაიარა და სახლში მიიმაღა; თან გზაში მისი ცისფერი შოტლანდიური ბერეტი ვარდისფერ ყვავილებსა და ურთხლებას მუქ მწვანე ფოთლებში გამოკრთოდა.

— შინ შემობრძანდით და მუხლი დაასვენეთ. ალბათ სტუდენტები იქნებით?

— ვიყავით, მაგრამ ახლა უკვე დამთავრებული გვაქვს.

ქალბატონმა ხარაკუმმა ბრძნულად დააკანტურა თავი.

აგურის იატაკიანი სასტუმრო, რომელშიაც შიშველი შავიდა, გაპრიალებული სკამები და ცხენის ძუით გატენილი ტახტი იდგა, ისე უზომოდ კრიალებდა, გეგონებოდათ შიგ ფეხი არასოდეს არავის შეუდგამსო. ეშერსტი მაშინვე ტახტზე დაჯდა და მტკივან მუხლს ხელები შემოაქდო. ქალბატონი ხარაკუმი ოვალს არ აშორებდა. ეშერსტი განსვენებული ქიმიის მასწავლებლის ერთადერთი ძე გახლდათ, მაგრამ ზოგს წარჩინებული ვინმე ეგონა, ვინაიდან ხშირად ერთგვარი განურჩეველი გულგრილობა ახასიათებდა.

— აქ მდინარე არსად არის, რომ ვიბანაოთ?

— ბაღის ბოლოს ჩამოდის, მაგრამ ძირსაც რომ დაჯდეთ, ვერ დაგფარავთ.

— რამსიღრმეა?

— ფუტნახევიარი იუ იქნება.

— ოპ, დიდებულია, საით არის?

— გზას ჩაპყევით, მარჯვენა მხარეს მეორე კარში გახვალთ და იქ მარტოდ მდგარი დიდი ვაშლის ქვეშ არის გუბე. შიგ კალმახიც იცის, თუ ხელობა შეგიძლიათ.

— თვითონ იმათ არ გვიხელთონ ჩვენი

ქალბატონ ნარაკუმს გაეღიმა.

— უკან რომ დაბრუნდებით, ჩაი მზად დაგხვდებით.

გუბეს, რომელიც კლდეს შეეკავებინა, სილიანი ფსკერი ჰქონდა. დიდი ვაშლის ხე ისე ახლოს იდგა ნაპირთან, რომ მისი ტოტები თითქმის გადმოკიდებულიყვნენ წყალზე. უკვე შეფოთლილიყო და სულ მალე აყვავდებოდა კიდევ — დახეთქაზე ჰქონდა ალისფერი კუკურები. ამ ვიწრო აზნახანში ერთის მეტი ვერ ეტეოდა, ამიტომ ეშერსტი თავის ჯერს ელოდა, მუხლს ისრესდა და ლოდებით, კუნელის ბუჩქებით და ველური ყვავილებით მოფენილ ყამირ მინდორსა და იქით თავბრტყელ ბორცვზე აქონრილ წიფლნარის კარომს გაჰყურებდა. ყოველი რტო ირწყოდა ნიავის მობერვაზე, ჩიტები ჟივჯივებდნენ, მზის ირიბი სხივები ეფანებოდა ბაღახს. ეშერსტს აგონდებოდა თეოკრიტოსი, მდინარე ჩარუელი, მთვარე და თვალყუყუნა ქალწული. იმდენ რამეზე ფიქრობდა. თითქოს სულაც არაფერზე არ ფიქრობსო და ბრყვეულ ბედნიერებას განიცდიდა.

2.

ჩაიზე უხვად მთართვეს კვერცხები, ნაღები, მურაბა და ოდნავ ზაფრანის სურნელდაკრული ახლადგამომცხვარი ნამცხვრები. გარტონი კელტებზე განაგრძობდა ყბედობას. კელტთა გამოღვიძების ხანა გახლდათ და, რაკი ამ ოჯახს კელტური სისხლი აღმოაჩნდა, დიდად აღეგნო ეს ყმაწვილი — იგი დარწმუნებული ბრძანდებოდა, მე თვითონაც კელტი ვარო. ცხენის ძუიან რბილ სავარძელში გადაშხლართულს აპრუწული ტუჩების კუთხეში ხელით ნახვევი პაპიროსი გაეჩარა; ცივი, წერილი თვალები ეშერსტისთვის თვალეში გაეყარა და ხოტბას ასხამდა უფლსურ სინატიფესა და დახვეწილობას. უელსიდან ინგლისს გადმობარგება ხომ ჩინური ფაიფურის უბრალო თიხის ჭურჭელზე გაცვლას ემსგავსებოდა! ფრენკმა, ვითარცა ოხერმა ინგლისელმა, რასაკვირველია, ვერც შენიშნა იმ უელსელი ქალწულის უცხო სინატიფე, მომხიბვლელობა და სათუთი გრანობიერება! იგი თან ფროთხილად იჩეჩავდა ჯერ კიდევ სველ შავ ხუჭუჭ თმას და უხსნიდა ამხანაგს, რა ზუსტ სურათს წარმოადგენდა ეს ქალიშვილი მეთორმეტე საუკუნის უელსელი ბარდის მორგან-მავან და მავანის ოხზულებათათვის.

ცხენის ძუიან ტახტზე მთელი სიგრძით გაშოტილ ეშერსტს ფეხება ძირს გადმოეკიდებინა, ჩამუქებულ ჩიბუხს სწევდა, ყურს არ უგდებდა ამხანაგის ყბედობას და წინ ედგა ვოგონას სახე, როცა იგი კიდევ შემოვიდა ნამცხვრების შემოსამატებლად. მისი ცქერა სწორედ ყვავილის ანდა ბუნების სხვა რამ ტურფა სანახაეის შეხედვას ედრებოდა და ეშერსტმაც თვალი ვერ მოსწყვიტა, ვიდრე ქალწული როგორღაც სასაცილოდ არ შეკრთა და, თვალედახრილი, წრუწუნასავით წყნარად არ გაილალა ოთახიდან.

— მოდი სამზარეულოში გავიდეთ და ერთი კიდევ შევაგლოთ თვალი იმ გოგოს, — თქვა გარტონმა.

სამზარეულოთ გახლდათ თეთრად გაქათქათებული დარბაზი. კოჭებზე ლორები ეკიდა, კედელზე — თოფები, უცნაური ფინჯანთასები, ფაიფურისა და კა-

ლის ქურჭელი, აგრეთვე დედოფალ ვიქტორიას სურათები, ფანჯრის რაფებზე ყვავილებიანი ქოთნები ეწყო. უბრალო ხის გრძელ, ეწრო მაგიდაზე, მაღლა დაკიდებული ხახვის გალების ქვეშ, ჯამები და კოვზები ეწყო. ორი ნაგზი და სამი კატა აქა-იქ გაწოლილიყო იატაკზე. შერმავეებული ბუხრის ერთი მხარეს წყნარად და უქმად იჯდა ორი პატარა მალხაზი ბიჭი; მეორე მხარეს ზოგად, ლურჯთვალა, სახეწიოელი ჭაბუკი, თმა და წაშწამები რომ ექვემოქვემოდებოდა, რომლითაც თოფის ლულას წმენდდა. მათ შორის ქალბატონი ხარაკუმი დიდროს ქოთანში ზანტად ურევდა რაღაც საამო სურნელების მქონე საქმელს. კიდევ ორი სხვა ჭაბუკი — ელამი, შავთმიანი, ცოტა ეშმაკური გამომეტყველებისა და ორი პატარა ბიჭის მგვანენი — კედელს მიყრდნობილნი, ერთმანეთში მუსაიფობდნენ. ფანჯარასთან დაბალი, ხანშიშესული, სუფთად პირგაპარსული, ხავერდისმარვლიანი კაცი მიმჯდარიყო და დაფლეთილ უურნალს ჩაჰკირკიტებდა. თითქოს მარტო მეგენი ფუსფუსებდა — კასრიდან კათხებში ასხამდა ვაშლის ბურახს და მაგიდასთან მოჰქონდა. გარტონმა რომ ნახა, სუფრაზე დაჯდომას აპირებენო, თქვა:

— ოჰ, თუ ნებას დაგვრთავთ, ვახშამს რომ მოითავეთ, მერმე მოვალთ.

პასუხსაც აღარ დაუცადეს და კვლავ სასტუმრო ოთახში გაბრუნდნენ. მაგრამ გაქათქათებულმა სამზარეულომ, სიტბომ, სურნელებამ და იმ ადამიანების სახის ხილვამ ნირი წაუხდინა მათ გაკრიალებულ სასტუმრო ოთახს და ყმაწვილები მოწყენით ჩამოსდნენ თავიანთ სკამებზე.

— ეს ბიჭები ნამდვილი ბოშები არიან. საქსონელი მხოლოდ ერთია — ის, თოფს რომ წმენდდა. ეგ გოგო კი ძალიან ღრმა ფსიქოლოგიურ დაკვირვებას მოითხოვს.

ეშერსტმა ტუჩები აპრუწა. გარტონმა პირდაპირ ვირად ეწვენებოდა, ღრმა დაკვირვებათ ეგ ხომ ველის ყვავილი იყო — საამო სანახავი, გულის გამზარებული. დაკვირვებათ!

გარტონი განაგრძობდა:

— საოცარი გრძნობიერი ვინმე უნდა იყოს. მხოლოდ გამოფხიზლება ესაჭიროება!

— მერმე შენ აპირებ მის გამოფხიზლებას?

გარტონმა შემოხედა და ჩაიჭირჭილა. „ნამდვილი ტლანქი ინგლისელი ხარ!“ — თითქოს ეუბნებოდა იგი ამ ღიმილით.

ეშერსტმა ჩიბუხი გააბოლა. მისი გამოფხიზლება! ამ ბრიყვს რა დიდი წარმოდგება აქვს თავის თავზე! ჭაბუკმა ფანჯარა გამოაღო და გადაეყუდა. უფრო და უფრო ჩამობნელდა. კარ-მიდამოს შენობები მოლურჯო ბინდბუნდში იძირებოდნენ, ვაშლის ხეები უღრან ტევრად მოჩანდა. პაერში სამზარეულოს კვამლის სუნი იდგა. ერთი ჩიტი, რომელსაც სხვებზე უფრო წეგვიანებოდა ძილი, უნიათოდ ეივუივებდა, თითქოს სიბნელეს დაუფრობიათ. ბოსლიდან ისმოდა ბაგაზე დაბმული ცხენის ფრუტუნის და ტორის ცემა. შორს ბუნდოვნად მოჩანდა ეწერი, კიდევ უფრო შორს კი მორცხვი ვარსკვლავები, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღწიათ სთული შუქიანობისთვის და თეორად გამოეხვრიტათ ზეცის ღრმა, ჩაშავებული თაღი. ყურს მოსწვდა ბუს შემკრთალი კივილი.

ეშერსტმა ღრმად მოითქვა სული. რა სასტიკო ღამეა! გაისმა დაუჭვდელი ფლოქვების თქარათქური შუკაში და სამმა შავმა, ბუნდმა ჩრდილმა გაიქ-

როლა — ბონებმა ჩაიჭირითეს ღამეში. მათი ბანჯგვლიანი, შავი თავები ჭიმკრის ზემოთ გამოკრია. ეშერსტმა ჩიბუხი დაბურტყა და წვრილ ნაპერწკლების გაელვებაზე ბონები დაფრახნენ, იბრუნეს პირი და მოკურცხლეს. ღამურამ ჩაიფარდატა ოდნავ გასაგონი წრიბინით. ყმაწვილმა ხელი გაიხეია — გაშლილ ხელის გულზე ნამი იგრძნო. ანაზდად ზემოდან მოესტყუებოდა ბიჭების ბუტბუტი, ძირს დაცემული წაღების ბრაგლი და კიდევ სხვა-სხვა, ნაზი ხმა — უცქველია, გოგონა აძინებდა პატარებს, ამას მოჰყვა შვიდი მკაფიო სიტყვა: „არა, რიკ, კატის ჩაწვენა არ შეიძლება ლოგინში“. მერმე ატყდა ერთი ხორბოცი, ბლლარძენი, ხიახითი და კუჭკუჭი; სილის მსუბუჭი ტყაცუნი და ხმადაბალი, ისე მარლიანი ჩაკისკისებაც გაისმა, რომ ეშერსტს ცოტა გააჟრჟოლა კიდევ. ყურს მოსწვდა შებერვის ხმა და ზემოთა სარკმლიდან გამოძივალის სანთლის შუქი, სიბნელეს რომ აპობდა, გაქრა. სიჩუმე გამეფდა. ეშერსტი მოშორდა ფანჯარას, დაჯდა. მუხლი სტეხდა, გულზეც ნალველი შემოაწვა.

— შენ წადი სამხარეულოში, მე კი მეძინება, — უთხრა მან გარტონს.

3.

ეშერსტს ჩვეულებრივ სწრაფად და უჩუმრად ეკიდებოდა ხოლმე ძილი, მაგრამ ამჯერად, როცა მისი ამხანაგი დაბრუნდა, თუმცა ჩაძინებულს ჰგავდა, ნამდვილად სრულიად ფხიხელი გახლდათ. მერმეც, იმ დაბალჭერიანი ოთახის მეორე საწოლში მოკრუნჩხული გარტონი რომ წყვდიადს შეპლალადებდა აბზეკილი ცხვირით, ეშერსტს დიდ ხანს ესმოდა ბუების გადაძახილ-გადმოძახილი. მუხლის ტკივილს თუ არ ჩავოყლით, არც თუ უსიამოდ გრძნობდა თავს — ცხოვრების ზრუნვანი ამ ყმაწვილს სრულიადაც არ უფრთხობდა ღამის მოსვენებას. ჭეშმარიტად არცა ჰქონდა რაიმე საზრუნავა — ეს-ეს არის, ექვილობა დაუმტკიცეს, სამწერლო მიდრეკილებასაც გრძნობდა, ქვეყანა მის წინ გარლდათ გადაშლილი, დედ-მამა არ გააჩნდა, თანაც წელიწადში ოთხასი გირვანკა სტერლინგი საკუთარი შემოსავალიც მოეპოვებოდა. არავის არ ეკითხებოდა, სად წავიდოდა, იმ როდის რას გააკეთებდა. საწოლიც მაგარი იყო და ამან იბატვივა შეხურვებისაგან. ეშერსტი იწვა და იყნოსავდა ღამის სურნელებას, ღია სარკმლიდან რომ შემოდისოდა დაბალ ოთახში. ვარდა ცოტაოდენი გალიზიანებისა მეგობრის მიმართ, რაიც სრულიად ბუნებრივია, მთელ სამ დღეს რომ ვინმესთან ერთად დაეხეტები, ეშერსტის იმ უძილო ღამის მოგონებანი და ხალვანი ფრად კეთილია, ნალვლიანი და თანაც ამაღელვებელი გახლდათ. თავისდა უნებურად თვალწინ წარმოუდგა, და თან რატომღაც განსაკუთრებით მკაფიოდ, თოფის მწმენდელი ჭაბუკის სახე. მისი დაკვირვებული, გულგრილი და თან გაკვირვებული გამოხედვა სამხარეულოს კარისაკენ, მერმე მსწრაფლ ბურახიანი კათხით მონაეალ ქალიშვილზე რომ გადაიტანა. ეს მწითური, ლურჯოვალა, მოთეთროწამწამებიანი და ჩალისფერთმიანი სახე ისევე მტკიცედ ჩარჩა ხსოვნაში, როგორც თვით ქალწულის სახე — ასე ნორჩი, ქორფა და სანდომიანი, ბოლოს უფარდო სარკმლის ბნელ ოთხკუთხედს დღის სინათლე შეეპარა და ხრინწიანი, ნამძინარევი ძაშლის ყივილიც გაისმა. შემდეგ კვლავ სამარისებური დუმილი დამყარდა, ვიდრე ჯერ კიდევ კარგად ვერ გამოფხიზლე-

ბულმა შაშვმა არ გაბედა სიჩუმის დარღვევა; და მოძალებული სინათლის ცქერაში კიდევ ჩაეძინა ეშერსტს.

მეორე დღისთვის ეშერსტს მუხლი ძალიან შეუსივდა. ეტყობოდა, შოგზა-ურობას ბოლო მოეღო. გარტონი ლონდონს უნდა დაბრუნებულიყო და შუადღისას კიდევ გაუდგა გზას დამცინავი ღიმილით, რომლითაც უფრო გამაღვიზიანებლად გაუკენწლა გული; თუმცა ეს გულისტკივილი უმადუჭ-მგატუნებდა ეშერსტს, როგორც კი მისი უგერგილო ფიგურა აღმამიმავალი ორლობის კუთხეს მიეფარა. ეშერსტი მთელ დღეს ბალახში მდგარ მწვანედ შეღებულ ხის სკამზე იჯდა ურთხელის ქვეშ, სადღაც მზის სხივები უფრო ამძაფრებდა ლევკოიონებისა და ყაბოების სურნელებას და აყვავებული მოცხარის ბუჩქების ოდნავ საგრძნობ სუნს. ჭაბუკი ნეტარებით სწევდა ჩიბუხს, ოცნებობდა და უკვირდებოდა ყველაფერს.

გაზაფხულზე სოფლად ყველაფერი იფურჩქნება და ყვავის — კვირტებიდან და კვერცხებიდან ახალი, ნორჩი თათბა იშვის და აღამიანებიც გაფაციცებით უკვირდებიან, უვლიან და ელოლიავეებიან ახლადშობილთ. ჭაბუკი ისე წყნარად იჯდა, რომ დედა ბატმა თავისი ექვსი ყელყვითელა, ზურგნაცარა ბეტი ბაჯბაჯით ზედ მის ფეხებთან მიასხა საბალახოდ. ჟამდაჟამ ჭალბატონი ნარაკუმი ანდა მეგენი მოაკითხავდნენ, ხომ არაფერი გნებავთო, და ისიც ღიმილით უპასუხებდა: გამაღობთ, არაფერი მინდა — აქ დიდებულად ვარო. ჩაის დროს ორივენი ერთად ეახლნენ, თან რაღაც მუქსითხიან ჯამში ჩასველებული გრძელი, ცხელი საფენი მოიძღვანეს, დიდხანს გულმოდგინედ უსინჯეს გასივებული მუხლი და მერმე შეუხვიეს. როცა ისინი წავიდნენ, ყმაწვილს მოაგონდა, ქალიშვილმა მისი მტკივანი ფეხის დანახვაზე როგორ შესძახა — „ოჰ!“ თან სიბრაღულით რომ აღევსო თვალები და წარბებიც ოდნავ შეეკმუხნა. და ეშერსტს კვლავ ანგარიშმიუცემლად მოუვიდა გული წასულ მეგობარზე. ისეთ სისულელეს რომ როტავდა ამ ქალწულზე. მერმე მეგენმა ჩაი მოართვა.

— როგორ მოგეწონათ ჩემი მეგობარი, მეგენ? — ჰკითხა ფრენკმა.

გოგონამ ზემო ბაგეს დაატანა ძალა, თითქოს ეშინოდა, არ გამეცინოსო. რადგან ეს უზრდელობად თუ ეჩვენებოდა.

— უცნაური ვაჟბატონი იყო. ბევრი გვაცინა. აღბათ ძალიან ჰკვიანია.

— ისეთი რა თქვა, რომ გაცინათ?

— თქვა, თითქოს მე ბარდთა ასული ვიყო. ვინ არიან ბარდები?

— უელსელი პოეტები, ასობით წლის წინათ რომ ცხოვრობდნენ.

— მერედა, რად უნდა ვიყო მე მათი ასული, ბატონო?

— მაგით იმას უნდოდა ეთქვა, რომ თქვენ იმ ქალწულების მსგავსი ხართ, რომელთაც ისინი უმღეროდნენ.

მეგენმა წარბები შეიკრა.

— მე მგონი, იმას ხუმრობა უყვარს. განა მართლა ვგავარ მათ?

— მე რომ მეთქვა, დამიჯერებდით?

— ოჰ, დიახ!

— ჰოდა, მე მგონი, მართალი თქვა.

ქალს გაეღიმა.

და ეშერსტმა გაიფიქრა, „შენ მართლაც მომზიბლავი ხარო“!

- კიდევ თქვა, ჯო საქსონური ტიპით. ეგ რაღას უნდა ნიშნავდეს?
- რომელია ჯო? ლურჯთვალა და სახეწითელი?
- დიას. ბიძაჩემის ძმისწული.
- მაშ ეგ თქვენი დეიდაწული არ არის?
- არა.
- პოდა, ის გულისხმობდა, რომ ჯო ჰგავს იმ ხალხს, ვინც თანხმობდა საუკუნის წინათ გაღმთვიდა ინგლისში და დაიბურო იგი.
- თპ, მეც ვიცი ეგ ამბავი. მაგრამ განა ჰგავს?
- გარტონი შეწლილია მაგისტანა რამეებზე, მაგრამ მეც უნდა ვაღიარო, რომ ჯო მართლაც ცოტა წააგავს ძველ საქსს.
- პოო!

ამ „პოო“ ძალიან აამა ეშერსტს, მეგენმა რომ ისე მკვირცხლად, მოხდენილად, დაბეჭითებით თქვა და ისე თავაზიანად დაუკრა კვერი იმაზე, რისაც, ეტყობოდა, სრულიად არა გაეგებოდა რა.

— ისიც თქვა, სხვა ბიჭები, ყველანი, ნამდვილ ბოშებს ჰგვანანო. ეგ არ უნდა ეთქვა. დეიდაჩემმა გაიცინა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ ესიაშოვნა და ჩემს დეიდაწვილებსაც გული მოუვიდათ. ბიძაჩემი გლახი კაცი გახლდათ და გლახები სულაც არ არიან ბოშები. არ ვარგა ხალხის შეურაცხყოფა!

ეშერსტს მოუწონდა, ხელი ჩამოერთმია მოსთვის, მაგრამ მხოლოდ ეს მიუვო:
 — სრულიად მართალი ბრძანდებით, მეგენ. სხვათა შორის, მე ყური მოკვარი, წუხელ პატარებს როგორ აძინებდით.

ქალს ცოტა შეუღაცლდა სახე.
 — მიირთვიან, ბატონო! ჩაი სულ გაგიცივდათ. ცხელი ხომ არ მოგიტანოთ?

- ოდესმე გრჩებათ დრო, თქვენთვისაც რაიმე გაიკეთოთ?
- თპ, რასაკვირველია.
- თვალს გადევნებდით, მაგრამ სამაგისტო ჯერ ვერაფერი შევნიშნე. მეგენმა დაბნევით შეიჭმულხნა წარბები და უფრო გაწითლდა.

ქალი რომ წავიდა, ეშერსტმა გაიფიქრა: „ნუთუ ჰკონია, ვატრიზავებდი? მაგას არამც და არამც არ ვიზამ, რაც არ უნდა იყოს!“ იგი იმ ასაკში გახლდათ, როცა ზოგისთვის „სილაძაზე ყვავილია“. როგორც პოეტი იტყვის, და რაინდულ გრანობებს უღვივებს მათ. ძალიან არასოდეს არ უკვირდებოდა, მის ირგვლივ რა ხდებოდა, და მხოლოდ კარგა ხნის მერმე შენიშნა, რომ სწორედ გარტონისაგან ნახსენები ის „საქსონური ტიპი“ იდგა ბოსლის კართან. ჩინებული დასახავეიც იყო წვირიან ყაფისფერ ხავერდის შარვალსა, ტალახიან ყელიან წაღებსა და ლურჯ ხალათში გამოწყობილი. წითელხელებიანი, წითელსახიანი, რომლის ბალანი მზეს ნაძენძის მაგიერ სულად ექცია; გარინდებული, მოღუშული და ყვეჩი ჩოუტად იდგა. რომ შეამჩნია, ეშერსტი მიუყურებსო, ეზო გადაკვეთა იმნაირი ნაბიჯებით, რომლითაც სოფლელი ტლუ ბიჭები დადიან ხოლმე — რცხვენიათ, ფეხის აჩქარება არ დაშვებოდა, მძიმედ მიბოტებენ ყოველი ნაბიჯის ტყვენიო — და სამზარეულოს შესასვლელის მხარეს, სახლის კუთხეს მიუყარა. ეშერსტს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. რეგენები! როგორც არ უნდა მოინდომო, რა ძნელია ამათთან შეგუება! და მაინც დახეთ ამ გოგონას!

ფეხსაცმელები დახეთქილი აქვს, ხელები გაუხეშებია, მაგრამ რა იმალება მასში? ნუთუ მართლა კელტური სისხლისგანაა ასეთი, როგორც გარტონი ამბობს? იგი ბანოვნად იყო დაბადებული, თბოლი მარგალიტი გახლდათ, თუმცა ალბათ წერა-კითხვის მეტი არც არა იცოდა რა!

წინა დამეს სამზარეულოში ნახული ხანშიშესული, სუფთად პირველადი კაცი ნაგაზის თანხლებით შემოვიდა ეზოში — მოსაწველად მოვიწვივლა ძროხებს. ეშერსტმა შენიშნა, რომ კოჭლი ყოფილიყო.

— კარგი ძროხები გყოლიათ!

კოჭლს სახე გაუბრწყინდა. იგი ცოტა შუბლქვეშიდან გამოიყურებოდა, რასაც ხანგრძლივი ტანჯვა იწვევს ხშირად.

— დიას, მართლაც რომ ღაზათიანები არიან; კარგადაც იწველიან.

— ოღონდაც!

— ალბათ უკეთ გეჭნებათ ახლა ფეხი, ბატონო!

— ვმადლობთ, უკეთესობა ეტყობა.

კოჭლმა საკუთარ ფეხზე დაიდო ხელი.

— შე თვითონაც მიწვნევია ეგ — მუხლი ძალიან მტკივნეული რამ არი. მე ამ ათი წლის წინათ დავიშავე.

ეშერსტმა თანაგრძობის მანიშნებელი ბგერა აღმოუტევა, რაც ასე ადვილად ემეტება ხოლმე დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე ხალხს. კოჭლს კვლავ გაეღიმა.

— საწუწუნო არა მაქვს რა — კინაღამ სულ მოსაქრელი გამიხდა ფეხი!

— ოჰო!

— დიას, და იმასთან შედარებით, რაც იყო, ახლა თითქმის სულ საღსა პგავს.

— რაღაც ჩინებული წამლის საფენი დამადეს ახლა მე ფეხზე.

— გოგონა აგროვებს მაგ წამლებს. კარგად იცის ყვავილების ამბავი. ზოგი ადამიანი არჩევს, რა რის წამალია. დედაჩემი ძალიან დაოსტატებული იყო ამ საქმეში. მალე გამოკეთებას გისურვებთ, ბატონო. აბა, გაუტიეთ!

ეშერსტს გაეღიმა. „ყვავილების ამბავით!“ თვითონაც ხომ ყვავილია!

იმ საღამოს, ეშერსტმა ცივად მოხარშული იხვით, ნაღებშერეული ჯავზიანი ხაჭოთი და ბურახით რომ ივასშმა, გოგონა შეწოვიდა.

— ბოდიში, დეიდამ შემოგიოვალათ, ჩვენს ხაშაისო ღვეზელს ხომ არ ინებებდითო?

— თუ ნებას მომცემდით სამზარეულოში გამოვსულიყავი თქვენთან!

— კი ბატონო! მაგრამ მეგობარს რომ მოისაყლისებთ?

— სულაც არა. ოღონდ დარწმუნებული ხართ, არავის ეწყინება?

— აბა ვის უნდა ეწყინოს? ძალიან გაგვეხარება.

ეშერსტს დაავიწყდა მტკივანი მუხლი, უცბად წამოიჭრა ზეზე, წაიბორძიკა და ჩაიკეცა. ქალიშვილმა ოდნავ შეპკივლა და ხელები გაიწოდა მისკენ. ეშერსტს მოეჭიდა მის პაწია, გაუხეშებულ, მზით გარუჯულ ხელებს; ძლიერს შეიკავა თავი, რომ ბაგეებით არ დაპკონებოდა ზედ და მისი შემწეობით წამოიმართა. ქალი ახლოს მიუდგა, მხარი შესთავაზა და მასზე დაყრდნობით გაიარა ოთახი. ამ მხარზე უფრო საამო შესახები არაფერი ეგონა ეშერსტს. მაგრამ იმდენი ჭკუა მაინც იხმარა, რომ გავლისას ხელი მოავლო კუთხეში მიყუდე-

ბულ ყავარჯებს და ვიდრე სამზარეულოში შევიდოდნენ, ქალწულის ბეჭსაც მთარიდა მეორე ხელი.

იმ ღამეს გულიანად იძინა და რომ გაიღვიძა, მუხლი თითქმის სულ დას-
ცხრომოდა. დილა კვლავ თავის სავარძელში გაატარა მოღზე, თან ღეჭებსა
ქდაბნიდა. ნაშუადღევს პატარა ნიკთან და რიკთან ერთად გაეყვირნენ, შაბათი
გახლდათ და ბაღლები ადრე დაბრუნდნენ სკოლიდან. შვედისა და რიკის წლის
შვირცხლი, მორცხვი, შავტუხა პაწია ცუდლუტები მალე აჭიკტიკდნენ, რადგან
ფშერსტი იცოდა ბავშვების ენა. თთხი საათისთვის უკვე უჩვენეს მას დროს-
ტარების მთელი თავიანთი ნიჭ-უნარი, გარდა კალმანის ჭერისა. მერმე შარვლე-
ბი ამოიკაპიწეს, წაწვნენ მდინარის პირას მუცლებზე და, ვითომდა ეს საქმეც
ვიციოთ, შეუღვნენ ხელაობას. რასაკვირველია, ვერაფერიც ვერ იხელთეს, ვი-
ნაიდან კისკისით, ხითხითით და შეძახილებით სულ დააფრთხეს ფორეჯი.
ფშერსტი წიფლის კორომის კიდესთან კლდეზე იჯდა, თვალს ადევნებდა მათ და
ყურს უგდებდა გუგულის ხმას, ვიდრე უფროსი ბიჭი, ნიკი, რომელსაც გული
აუცრუვდა თევზაობაზე, არ ამოვიდა ხევით და გვერდით არ დაუდგა.

— მაგ ლოდზე ბოშას ლანდი ზის ხოლმე, — თქვა მან.

— რა ბოშას ლანდი?

— არ ვიცი, არასოდეს მინახავს. მეგენი ამბობს, მანდ ზისო, და ბებერ
ჯიმსაც უნახავს ერთხელ. იმის წინა ღამესაც მანდ მკდარა, როცა ჩვენმა პონიმ
თავი გაუხეთქა მამას. ჭიანურს უკრავს ხოლმე.

— მერედა რა ჰანგს უკრავს?

— არ ვიცი.

— რანაირი შესახედავია?

— შავია. ბებერი ჯიმი ამბობს, თავიდან ფეხებამდე სულ გაბანჯგულუ-
ლიათ. ნამდვილი ავი სულია. ის მარტო ღამით არ დადის. — პატარა ბიჭმა შავი,
ვლამი თვალები ირგვლივ მოაგლო. — როგორ გგონიათ, ხომ არ მომიტაცებს?
მეგენს ეშინია მისი.

— განა უნახავს?

— არა, თქვენი კი არ ეშინია.

— მეც ეგრე მგონია. რატომ უნდა ეშინოდეს?

— ის თქვენთვის ლოცულობს ხოლმე.

— ეგ საიდან იცი, შე ცუდლუტო?

— მე რომ ვიძინებდი, თქვა: „უფალო, შეგვიწყალე ჩვენ ყველანი და
ბატონი ეშესიო“. გავიგონე, როგორ ჩურჩულებდა.

— დიდი უზრდელობაა, გათქვა ის, რისთვისაც ყური მოგიკრავს შემ-
თხვევით!

პატარა ბიჭი გაჩუმდა. მერმე კი გამომწვევად შესძახა:

— მე ბაჭიების გატყავება შემიძლია. მეგენი კი ვერ იტანს, რომ ატყა-
ვებენ. მე მიყვარს სისხლი!

— თპო, მართლა? აი, შე, პაწია ურჩხულო!

— ეგ რაღაა?

— ისეთი არსებაა, სხვათა ტყენინება რომ უყვარს.

პატარა ბიჭი მოიღუშა.

— ჩვენ მარტო დასოცილ ბაჭიებს ვჭამთ.

— სრული ჭეშმარიტებაა, ნიკ, ბოდიშს ვიხდი.

— მე ბაყაყების გატყავებაც ვიცი!

მაგრამ ეშერსტი უკვე აღარ უგდებდა მას ყურს. „უფალო, მეგონაა, ჩვენ ყველანი და ბატონი ეშესი!“ და რაკი ველარ მიიპყრო მისი ყურადღება, ნიკმა ისევ ჩაირბინა მდინარის პირას, სადაც კვლავ ატყდა კისკისი და მუცხი-ბილები.

როცა მეგენმა ჩაი მოართვა, ეშერსტმა ჰკითხა:

— ეგ რა ბოშას ლანდია, მეგენ?

ქალი შეკრთა.

— მაგას ავი მოაჭვს.

— ნუთუ აჩრდილებისა გჯერათ?

— ნეტავი სულაც თვალთ არ ვნახავდე!

— რასაკვირველია, არც ნახავთ! მაგისთანა რამეები არ არსებობს. მოხუც-მა ჭიმმა პონის თუ მოპკრა თვალი.

— არა! კლდეებში აჩრდილები ბუდობენ. ეგ იმ ადამიანების ლანდები არიან, დიდი ხნის წინათ რომ ცხოვრობდნენ.

— მაგრამ ეგენი ბოშები მაინც არ არიან. ის ბევლი ხალხი ძალიან დიდი ხნის დახოცილი იყო, როცა ბოშები გამოჩნდნენ აქ.

ქალმა უბრალოდ თქვა:

— ისინი ყველანი ცუდები არიან.

— რატომ? თუკი ისინი მართლაც სადმე მოიპოვებინ, მხოლოდ და მხოლოდ ველურები იქნებიან ბაჭყების მსგავსად. განა ველური ყვავილი ცუდია? გარეული ვარდი არავის დაურგავს, მაგრამ ხომ არ გეჯავრებათ? მე ჩავალ იქ ღამით, ვნახავ იმ თქვენს აჩრდილს და ვემუქსაიფები კიდეც.

— თპ, არა, არ ჩახვიდეთ!

— დიხაც რომ ჩავალ! წავალ და სწორედ იმ კლდეზე ჩამოვჯდები.

გოგონამ ხელი-ხელს ჩასჭიდა ვედრებით:

— თპ, ნუ იზამთ, გეთაყვა!

— რატომ? რა მოხდება, თუნდაც რომ რამე დამემართოს?

ქალმა ამაზე პასუხი არ გასცა და ეშერსტმა თითქოს გაბუტული კილოთი დასძინა:

— მე კი, მგონია, ველარცა ვნახავ იმას — მალე წავალ აქედან!

— მალე?

— დეიდათქვენს აღარ ენდომება ჩემი აქ ყოფნა.

— თპ, არა! ზაფხულობით ჩვენ ყოველთვის გვყავს ხოლმე მოაგარაკენი. ვაჟმა დაკვირვებით შეხედა სახეში და უთხრა:

— თქვენ კი გინდათ, რომ დავრჩე?

— დიან.

— ამაღამ მე უნდა ვილოცო თქვენთვის!

ქალწული ყაყაჩოსავით გაწითლდა და მოლუსულები გავიდა ოთახიდან. ეშერსტმა ყვედრება დაუწყო თავს. ამასობაში ჩაიც გაუცივდა. თითქოს თავისი სქელლანჩიანი წილებით ცისფერი მაჩიტას ყლორტები გაეთქეროს. რატომ წამოროშა ასეთი სისულელე? ნუთუ ისიც ისეთივე ქალაქელი ვირია, როგორც რობერტ გარტონი და იმასავით არა ესმის რა ამ გოგონასი?

4.

ეშერსტმა მომღვენო კვირა, ნატკენი ფეხის გასაგარჯიშებლად, ახლო-მახლო სანახების მოსილვაში გაატარა. წლებადელი გაზაფხული პირდაპირ გამოცხადება, აღმოჩენა გახლდათ მისთვის. მოხიბლული და აღტყვევებული უკვრეტდა ზეცის ლაქვარდში ატყორცნილი, მზის სხივებში განფხვლნილი განსხვავებული რომელიმე წიფლის თეთარ-შეგარდისურებულ კვირტებს, ეშკაშა შუქში ყვითლად გამომწიროდ ფიჭვის ღეროებსა და რტოებს ან ეწერში მღვარ, ქარიშხლისაგან გადახრილ ლარიქსებს, ნიავი რომ არბევდა მათ ქორფა ფოთლებს ჩამავებულ-ჩაქანგებული ძირების ზემოთ. ანდა იწვა მდინარის პირას, უცქეროდა ჯგუფ-ჯგუფად ამოღალანებულ იებს ან გამხმარ ეწრის გვიმრას; თითებით სინჯავდა მაყვლის ვარდისფერ, გამჭვირვალე კვირტებს; თან ყურს უგდებდა გუგულების ძახილს, მწვანე კოდალების ხმაურს, ანდა ზეცაში შორს, ძალდა აჭრილი ტოროლას წკრიალს. ჭეწმარიტად სრულიად განსხვავებული გაზაფხული გახლდათ წელს მისთვის, ვინაიდან გაზაფხული არა მარტო გარეთ, არამედ მის გულშიაც ჩაბუდებულიყო. დღისით თითქმის ვერც ხედავდა ოჯახის წევრებს; ხოლო როცა მეგენს მისთვის იჯრა შემოჰქონდა, გოგონა ყოველთვის იმდენად გართული ჩანდა სახლისა და აგრეთვე გარეთ, ეზოში მოზარდეულის მოვლის საქმეებით, რომ სამუსაიფოდ არ ეცალა. მაგრამ საღამოობით ეშერსტი ფანჯარასთან დაბრძანდებოდა სამზარეულოში, ეწეოდა თამბაქოს და ემასლაათებოდა კოქლ ჯიმს ან ქალბატონ ნარაკუმს, ქალიშვილი კი კერავდა, ანდა ნავახშმევს ფუსფუსით ალაგებდა და ასუფთავებდა ჭურჭელს. და ხანდახან იმ გრძნობით, რომელსაც მოკრუტუნე ფისო განიცდის, ჭაბუკი ამჩნევდა, რომ მეგენს თავისი ჟუჟუნა, წყლიანი თვალეები რაღაც ნაზი ალერსით მიეპყრო მისთვის და ეს უცნაურად ესალბუნებოდა მის გულს.

ერთხელ, კვირა საღამოს ბაღში რომ იწვა, შაშვის ჭახჭახს უსმენდა და სატრფიალო ოდას თხზავდა, ყური მოჰკრა ბაღის კარის ჭრიალს და ხეებში სირბილით მომავალი მეგენი დაინახა, რომელსაც უკან ლოყალაეღაეა, უგერგილო ლოხი ჯო მისდევდა გამწარებით. მისგან ოციოდე ნაბიჯზე შეჩერდნენ. ერთმანეთის პირისპირ მღვარნი ბალახში მწოლარე უცხო მაყურებელს ვერ ამჩნევდნენ. ბიჭი ეტანებოდა, გოგო კი იგერიებდა და თავს არიდებდა. ეშერსტი ხედავდა ქალწულის გაჯავრებულ, შეწუხებულ სახეს და აგრეთვე ჭაბუკისასაც — თუმცა ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ სახეგაყინილილებულ გაგრიას ასეთი გახელეება შეეძლო! და ამ სანახაობით მწვავედ გულნატკენი ეშერსტი წამოიჭრა. ორივემ თვალი მოჰკრა მას. მეგენმა ხელები დაუშვა და ხეს ამოეფარა. ბიჭმა რაღაც წაიდუდუნა გაჯავრებით, მიაშურა ლობეს, გადაბობლდა ზედ და მიიძალა. ეშერსტი ნელა მიუახლოვდა ქალს. იგი სრულიად წყნარად იდგა და ბაგეს იკვნიტდა. ძალიან ლამაზი ჩანდა — ფაფუკი, შავი თმა სახეზე ჩამოსლოდა, თვალეები ძირს დაეხარა.

— ბოდიშს ვიხდი, — უთხრა ეშერსტმა.

ქალმა ფართოდ გახელილი თვალეებით ერთი ამოხედა, სულშეგუბებულმა პირი იბრუნა და წავიდა. ეშერსტი დაედევნა.

— მეგენ!

ქალი მაინც არ შეჩერებულა. ეშერსტი მკლავში მისწვდა და ნაზად შემოაბრუნა თავისკენ.

- მოიცადეთ, სალაპარაკო მაქვს
- რატომ ბოდიშობთ ჩემთან? ჩემთან რა სიბოდიშო გაქვთ?
- აბა, მაშ ჯოს უნდა მოვუხადო ბოდიში.
- როგორ ბედავს ის ჩემს დევნას?
- აღბათ უყვარხართ.

გოგონამ გაჯავრებით დააბაკუნა ფეხი. ეშერსტმა ჩაიციხა.

- თუ გინდათ, კისერს მოვუგრეხ!
- ქალმა უცბად აღელვებით შესძახა:

- თქვენ მე დამცინით... ყველას დაგვცინით!

ვაჟმა ხელი მოჰკიდა ხელებში, მაგრამ ქალწული უკან მიაწვდა ისე, რომ მისი პაწია, აღგზნებული სახე და აბურღული შავი თმა ვაშლის ვარდისფრად დაბერილ კუკურებს შორის მოექცა. ეშერსტმა ბაგესთან მიიტანა დატყვევებული ხელი და ზედ ეამბორა. მან ნამდვილ რაინდად იგრძნო თავი, იმ რეგვენ ჯოზე ბევრად აღმატებულად — მხოლოდ ოდნავ შეახო ბაგე ამ პაწია, გაუხეშებულ ხელს! ქალი უკვე აღარ გაურბოდა, თითქოს მასკენაც კი მიილტვოდა ახლა ათრთოლებული. ეშერსტს ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა თხემით ფეხამდე. მაშ ამ ნატიფ, ნაზ ქალწულს, ასე წრფელს, სადას, ტურფასა და ლამაზს, ეამა მისი ბაგეების შეხება! და დაემორჩილა რა ანაზღეულ ვნებათა დელვას, მოხვია მკლავები ქალს, ჩაიკრა გულში და შუბლზე აკოცა. მერმე კი დაფრთხა ჭაბუკი — მეგენი გაფითრდა, თვალები დახუჭა, შავი, გრძელი წამწამები გაცრეცილ დაწვებზე მუქად დაეფინა: მკლავებიც უსიცოცხლოდ ჩამოუცვივდა ძირს. ქალწულის მკერდის შეხებაზე გააჟრჟოლა.

- მეგენ! — ჩასჩურჩულა ვაჟმა და ხელი უშვა.

სამარისებურ სიჩუმეში შაშვმა გაიჭახჭახა. მერმე გოგონა მისწვდა მის ხელს, მიიკრა ლოყახე, გულში, ტუჩებზე; ენებით აკოცა ზედ, მოკურცხლა ხავსიან ვაშლის ხეებს შორის და თვალს მიეფარა.

ეშერსტი ჩამოჯდა დაღრეცილ ბებერ ხეზე. რომელიც თითქმის მიწაზე გაერთხმულიყო, და ათრთოლებული და გაოგნებული მიაშტერდა ახლახან ქალწულის თავზე გვირგვინად წამოდგმულ, დასახეთქად გამზადებულ კვირტებს; იმ ვარდისფერ კუკურებს, რომლებშიაც ერთი ვაშლილი ყვავილი უკვე თეთრად კიაფობდა კიდევ ვარსკვლავივით. ეს რა ჩაიღინა? ასე როგორ დააიწყებინა თავი სილამაზემ თუ სულაც გაზაფხულმა? იგი მაინც უცნაურად ბედნიერად გრძნობდა თავს, — ბედნიერად და გამარჯვებულადაც! სხეულში ჟრჟოლა უვლიდა და ბუნდად უკვნესოდა გული. ეს რის დასაწყისი უნდა ყოფილიყო? კოდოები ჰკბენდნენ, მოღარფატე ქინძლები პირში უძვრებოდნენ და მთელი გაზაფხულის გარემო ირგვლივ უფრო ლამაზად და გახალისებულად ეჩვენებოდა. გუგულები გუ-გუს გაიძახოდნენ, შაშვები ჭახჭახებდნენ, მწვანე კოდალები ხმაურობდნენ, შხის სხივები ირიბად ეშვებოდნენ ძირს; იფურჩქნებოდა ვაშლის ყვავილი, გვირგვინად რომ ედგა თავს ტურფა ქალწულს!... ეშერსტი წამოდგა და გავიდა ბაღიდან — სივრცე უნდოდა, ღია ზეცა, რათა ამ ახალ შეგრძნებებსა და განცდებს შეჰგუებოდა. იგი ეწრისკენ გაუყვა. ღობეში ჩაყოლებული იფნიდან კაჰკაჰი წამოუფრინდა და გზირივით წაუსწრო წინ.



ხუთი წლის ასაკიდან მოყოლებული ვერც ერთ მამაკაცზე ვერავინ იტყვის, არავინ ჰყვარებიათ. ეშერსტისაც უყვარდა თავისი მეწვეილენი ცეკვრის კლასში, უყვარდა აღმზრდელი ქალი, არდადეგების დროს გაცნობილი გოგონები, თითქმის არც არასოდეს ყოფილა უსიყვარულოდ — მუდამ ვილაცას ეტრფოდა მეტნაკლები გატაცებით. მაგრამ ეს სხვა იყო, უფრო ხელშესახებ, უფრო ახალი გრძნობა; საწინააღმდეგარსად რომელიც დასრულებულმა მღვთისმეტყველებს ანიჭებდა მას. ხელში ასეთი ველის ყვავილის ჰერა, მისი ამბორი და გულში ჩაკრული ქალწულის ნაზი თრთოლვის განცდა! რა თავბრუდამხვევია და თან რა შემამოთხრებელი! რა უნდა ექნა? როგორ უნდა შეხვედროდა მერმე? ვაჟის პირველი აღერსი თავშეკავებული თანაგრძნობის გამომხატველი თუ იყო; მაგრამ შემდგომი კი ვეღარ იქნებოდა ასეთი, რადგან მწველ კოცნასა და მისი ხელის გულში ჩაკვრანზე უკვე მიხვდა, ქალს ეუყვარვართ. ზოგის ბუნებას ატლანტებს მათდამი გაბოხნილი სიყვარული; სხვებს, ეშერსტის მსგავსათ, იმორჩილებს, იტაცებს, გულს უთბობს და უჩვილებს, თითქმის აღამაღლებს და მათ ეს გრძნობა ერთგვარ სასწაულად ეჩვენებათ.

და იქ, კლდოვან სერზე, მას სტანჯავდა ერთის მხრივ ვნებიანი წადილი, დამტკბარიყო გაზაფხულის ამ ახალი განცდით, რომელიც აღავსებდა მის გულს, და მეორეს მხრივ კი ბუნდოვან და თანაც ძალიან ხელშესახებ მოუსვენრობას და გულისწუხილს განიცდიდა. ჯერ იგი თავდავიწყებით გაიტაცა სიამაყის გრძნობამ, ასე ტურფა, ალალი, თვალეუყუნა არსების გული რომ დაიბყრო; მეორე წუთს კი ხელოვნური სიღარბისლით ფიქრობდა თავისთვის: „კი, ყმაწვილო, მაგრამ აბა დახედე, რას სჩადი? ხომ იცი, რა მოჰყვება მაგას?“

შეუმჩნევლად შემთალამდა — ბინდი დაეშვა ძველი ასურეთის სასახლეთა ნანგრევების მსგავსად აჩოჩრილ კლდეებზე, და ბუნების ხმამ ჩასძახა: „ეს ახალი სამყაროა შენთვის!“ ისევე, როგორც აღამიანი რომ აღგება ოთხ საათზე, გამოვა ზაფხულის დილას გარეთ, ხადირები, ფრინველები და ხეები რომ შემოაშტერდებიან და გრძნობს, თითქოს ყველაფერი აბლად არას შექმნილი.

ეშერსტმა რამდენიმე საათი გაატარა იქ, ვიდრე არ აცივდა. მერმე ლოდებსა და მანანის ძირებზე ხელის ცეცებით დაუყვა თავდაღმა გზას, ჩამოიარა ორლობე, მიწლორი და კვლავ ბაღს მოადგა. გაპკრა ასანთს და საათს დახედა. თითქმის თორმეტი ხდებოდა! აქაობაში ახლა სამარისებური ღუმილი და წყვდიადი სუფევდა — აღარაფრით ჰგავდა ჩიტების ელურტულით აღვსილ, მზის შუქით გაბრწყინებულ გარემოს, ექვსი საათის წინათ რომ დასტოვა! და უცბათ ამ თავის სანეტარო ყოფას უცხო, გარეშე თვალით შეხედა — გონების თვალთ წარმოიდგინა, როგორ იღერებს თავის გველისებურ ყელს ქალბატონი ნარაკუმში, შავი თვალებით როგორ განჭვრეტს ყველაფერს და მზაკვრული სახე როგორ ეღუშება; ხედავდა ტლანქად დამცინავ, უნდო ბოშა-ბიძაშვილებს, გაშმაგებულ ლოხ ჯოს, მხოლოდ და მხოლოდ ტანჯულის თვალებიანი კოჭლი ჯიძი ეჩვენებოდა ასატანად მის გონებას. ახლა სოფლის ხალხი? — ჭორიკანა დედაკაცები, რომელთაც იგი გვერდით ჩაუვლიდა ხოლმე სასეირნოდ მიმავალი; მერმე კიდევ საკუთარი მეგობრები! მოაგონდა რობერტ გარტონის ირონიული, ნიშანდობლივი ღიმილიც, ამ ათი დღის წინათ ასეთი ღიმილით დილას რომ გაუღვია გზას. საზიზღრობაა! ერთ ხანს პირდაპირ შესძავდა ეს მიწიერი, ცინიკური სამყარო, რომელსაც იგი ძალაუწებურად ეკუთვნოდა. იმ ადგილს,

სადაც ეშერსტი ეზოს კარს მიჰყუდებოდა, ნაცრისფერმა დაჰკრა, რადაც შუქმა გაიკიაფა მის თვალწინ და მოლურჯო სიბნელეს შეერია. მთვარე ამოვიდა! იგი მკაფიოდ მოჩანდა ღობის თავზე — წითელი, თითქმის სულ მრგვალი, ჟღერადი! იბრუნა პირი და შეუყვანა ღამის, ღორთქო ფოთლების სურნელებითა და ნეხვის სუნით გაქლენთილ ორღობეს. ბაკში თვალი შეაღწო საქონლის ჩაშავებულ სილუეტებს, მორკალული რქები რომ ცერზე დამდგარი, მკრთალები მადფიული მთვარეებით მოუჩანდათ. ეზოს კარი ქურდულად გახსნა და მთვარეები შეხვდა. ერთ ურთხელთან აიტუზა და მეგენის სარკმელს მიაჩერდა. იგი ღია დაეჭოვებინათ. ეძინა თუ ფხიზლობდა, მისი ასე დაგვიანებით შემოთავებულ-შეღონებული? ბუმ დაიკვილა ეშერსტის იქ დგომაში და ბადის ბოლოდან მოდენილი მდინარის დაუბოლოვებელი რაკრაკ-ბუტბუტის გარდა ისეთი სრული სიწყინარე სუფევდა, რომ თითქოს მთელი ღამე აავსო ამ ფრინველის ხმამ. დღისათვის გუგულების გუ-გუ, ახლა კი ბუების კვილი რა საოცრად ეხმიანებოდა მისი აფოფინებული გულის ბორკვას! და უცბად ყმაწვილმა თვალი მოჰკრა სარკმელში გადმომდგარ ქალწულს. ეშერსტი ოდნავ ჩამოშორდა ურთხელის დეროს, ცოტა წინ წამოდგა და წაიხურჩულა: „მეგენ!“ ქალმა უკან დაიხია, გაქრა, მერმე კვლავ გამოჩნდა და ძალიან გადმოიხარა. ქაბუქმა ფეხაკრებით გაიარა მოლზე. გზაში მწვანედ შეღებულ სკამს დაეჯახა წვივით და ატეხილი ხმაურის შიშით სულის მოთქმა ველარ გაბედა. ქალის მკრთალად მოკიაფე ჩამოწვდილი მკლავი და სახე არ განძრეულა. ეშერსტმა სკამი მიიდგა და ჩუმად ავიდა ზედ. თუ ხელს ასწევდა, მისწვდებოდა. ქალს სახლის კარის ვეება გასაღები ეპყრა და ეშერსტმა მისი გახურებული ხელი ცივი გასაღებიანად ჩაბლუჯა. იგი ძლივს არჩევდა მის სახეს, ბაგეთა შორის მოქათათე კბილებს, ჩამოშლილ თმას. მეგენს ისევ ეცვა—საბრალლო გოგონა! უთუოდ მას ელოდა: „კარგო მეგენ!“ ქალის ცხელი, გაუხეშებული თითები მისას მოეჭიდა. სახეზე უცხაური, დაბნეული გამომეტყველება აჩნდა. ნეტავი შესძლებოდა, მისწვდობოდა — თუნდ ხელით მაინც! ბუმ კიდევ იკვილა. ასკილის სუნს მოედინა. მერმე ერთმა ნაგაზმაც წამოიყეფა. მეგენმა თითები უშვა და შიგნით შეიწია.

- ღამე მშვიდობისა, მეგენ!
- ღამე მშვიდობისა, ბატონო!

და გაქრა. ეშერსტმა ამოიხარა. ჩამოვიდა ძირს. ჩამოჯდა იმავე სკამზე და ფესსაცმელები გაიძრო. შინ უჩუმრად შეცოცებისა და ლოგინში ჩაწოლის მეტი აღარა დარჩენოდა რა. მაინც კარგა ხანს იჯდა გარინდებული, უცვივდებოდა ფეხები ნამში და სტკბებოდა ქალწულის დაბნეული, ნახევრად მოლიმარი სახისა და გახურებული თითების მოქერის მოგონებით, ცივი გასაღები რომ მოაჩეჩა ხელში.

5.

ისეთი გრძნობით გამოიღვიძა, თითქოს წინა ღამეს ძალიან დანაყრებულიყო, თუმცა სულაც არაფერი უჭამია. და რა შორეულ, არარეალურ ამაღლ ეჩვენებოდა გუშინდელი სამიჯნურო თავგადასავალი! მაინც ოქროს დილა გახლდათ. ბოლოს მთლიანად იჩინა თავი გაზაფხულმა — ერთ ღამეში თითქოს სულ

ბაიებმა დაისაკუთრეს მინდორ-ველი და სარკმლიდან ხედავდა თეთრ-ვარდისფერი საბანივით როგორ გადაეფარა ვაშლის ყვავილები ბაღს. ეშერსტი თითქმის ძრწოდა მეგენის შეხვედრის მოლოდინში და მაინც მის მაგივრად ქალბატონმა ნარაკუმმა რომ მოართვა საუზმე, შეწუხდა და ეწყინა. დედუკაციის დაეცა და ციციებულ თვალებსა და გველურ კისერს ამ დილით თითქოს კიდევ უფრო შემატებოდა სიძვერცხლე. ხომ არაფერი შეუნიშნავს?

— მაშ მოვარემ და თქვენ ერთად ისეირნეთ წუხელ, ბატონო ეშერსტ, ვაი ივანშხეთ საღმე მაინც?

ეშერსტმა თავი გააქნია.

— გახმაში შეგიხახეთ, მაგრამ, მგონი, თავი ისე გქონდათ გაბრუებული, ვგეთი რამეები აღარ მოგაგონდებოდათ!

ნუთუ დასცინის ამ ხმით, რომელსაც კვლავ შერჩენოდა უელსური მკათაობა და დასავლურ ჩლიფინს ვერ დაეძლია! რომ იცოდეს? და მყის გაიფიქრა: „არა, არა, უნდა ავიბარგო! სულაც არ შეპრობანება ასე ტუტუცურ მდგომარეობაში ყოფნა!“

მაგრამ ნასაუზმევს მეგენას ნახვის წყურვილმა მოუღარა; ამ წყურვილმა უფრო და უფრო უმატა და თან შიშაც დაერთო; ხომ არაფერი უთხრეს ისეთი, რომ სულ გაეფუჭებინათ საქმეო. ავად ენიშნა, რომ ქალი არ გამოჩენილა, თვალითაც აღარ სჩვენებია! სატრფიალო ლექსი, რომელსაც დიდის გულმოდგინებითა და გატაცებით თხზავდა გუშინ ნაშუადღევს ვაშლის ხეების ჩრდილში, ისე უბადრუკად ეჩვენა ახლა, რომ დახია და ჩიბუხის ასანთები მილაკები გააკეთა. აბა რა იცოდა სიყვარულისა, ვიდრე ქალწულმა ხელი არ სტაცა ხელში და ზედ არ ემთხვია! ახლა კი რაღა არ იცის? მაგრამ ამაზე წერა უკვე ეჩოთარებოდა და ულამაზოდ ეჩვენებოდა. ფრენკა წიგნის წამოსაღებად შევიდა თავის ოთახში და გულმა ბაგაბუგი დაუწყო — მეგენი იქ იყო და ლოგინს ააწორებდა. ეშერსტი კარის ზღურბლზე შედგა და თვალთვალი დაუწყო. უცბად სიზარულით აღარ იცოდა, რა ექნა—დაინახა, როგორ დაიხირა მეგენი და აკოცა მის ბალიშს; სწორედ იმ ჩაღრმავებულ ადგილას, სადაც მას თავი სდებოდა წინა დამეს. ეშერსტი ხომ ვერ გაუმხელდა, რომ მან თვალი მოპკრა თავდავიწყებული სიყვარულის დამადასტურებელ ამ უნაზეს სურათს! ვერც უჩუმრად გაიპარებოდა — ყური რომ მოეკრა, კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. ქალწულმა ახლა ბალიში და დაიჭირა, თითქოს ფრენკას დაწეის ანაბეჭდის წაშლა ენანებათ, მერმე ხელიდან გააგდო და მსწრაფლ შემობრუნდა.

— მეგენ!

ქალმა ლოყებზე იტკიცა ხელები, მაგრამ თვალები კი თითქოს პირდაპირ თვალებში გაუყარა ვაგს. ფრენკს წინათ ასე არასოდეს ჩაუხედავს ამ უძირო, ემანკო, გულისამაჩუყებლად წრფელ, ეუფუნა თვალებში და ძლივს წაიბლუკუნა:

რა კარგი ქენით, რომ იმდენ ხანს მიცადეთ წუხელის.

გოგონას მაინც არ დაუძრავს კრინტი და ეშერსტმა კვლავ განაგრძო ბორძიკით:

— ეწერში დავხეტიალობდი... რა მომხიბლავი დამე იყო! მე... მე მხოლოდ წიგნისთვის შემოვიარე!...

მერმე ბალიშზე კოცნა მოაგონდა, ამან უცბად გაათამამა და ქალწულს მი-

გჭრა, ბაგეები მის თვალებს დააკონა და, თან უცნაურად აღგზნებულს, თავში გაუელვა: „აღსრულდა!... გუშინ ყველაფერი მაინც ანაზღაურად მოხდა. ახლა კი, ახლა საქმე გადაწყვეტილია!“ გოგონას არ აურიდებია სახე მისი ბაგეებისათვის, რომელნიც უკვე ქვევით და ქვევით მოიწევდნენ, ვიდრე მის ტუჩებს არ შეეწებნენ. სატრფოს ამ პირველმა ხამდვილმა კოცნამ — უცნაურმა, კსუტულაში, ტკბილმა და ჯერ კიდევ თითქმის სულ უმანკომ — ნეტავ ვის უფრო მეტად აფორიაქა გული?

— დიდ ვაშლთან ჩამოდი ამაღამ, ყველანი რომ დაწვებიან, მეგენ, პირობა მომეცი!

— პირობას გაძლევ! — წენარად უჩურჩულა ქალმაც.

მერმე, ქალწულის გაფითრებული სახის დახახვაზე დაძვრთხალმა და საერთოდაც შეშინებულმა ეშერსტმა ხელი უშვა გოგონას და კვლავ ძარს ჩამოვიდა. დიახ, ახლა კი აღსრულდა, გადაწყდა! ქალის სიყვარულიც სცნო, მიიღო და თვითონაც გამოუტყდა სიყვარულში! მან მწვანე სკამს მიაშურა — წიგნი აღარც მოჰგონებია. იჯდა, თვალები უმიზნოდ ვამტერებოდა, თან გამარჯვება ეამაყებოდა, თან სინდისის ქენჯნასაც განიცდიდა; მის ცხვირწინ და ზურგს უკან ფერმაში კი ჩვეულებისამებრ არ წყდებოდა ფუსფუსი, რამდენ ხანს იჯდა ასე უცნაურად გამოშტერებული, ვერამც და ვერამც ვერ გეტყოდათ, როცა ცოტა უკან მარჯვენა მხარეს მდგარ ჯოს მოჰკრა თვალი. ჭაბუკი, ეტყობოდა, ყანის მძიმე სამუშაოდან დაბრუნებულიყო; ცმუკავდა, ფეხიდან ფეხზე გადადიოდა, მიძიმედ ქშინავდა, პირსახე ჩამავალ მხესავით ულაქლაყებდა; მკლავებზე, დაკაპიწებული ლურჯი ხალათის სახელოებს ქვემოთ. ხათიანი მწითლე ატმის ელვარება და ფერი დაჰკრავდა. წითელტუჩებანი პირი დაეღო და სელისფერ წამწამებიანი ლურჯი თვალები მოხვეწოვით მიეშტერებინა ეშერსტისათვის, რომელიც იროხიულად შეეკითხა:

— ოჰო, ჯო, ხომ არაფერი გნებავთ ჩემგან?

— ხო!

— რაო?

— მოწყდით აქედან; ჩვენ არაფრად გვებიტნავებით!

ეშერსტის ისედაც ამპარტავნულმა სახემ კიდევ უფრო ბატონკაცური იერი მიიღო.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ, ხომ იცით, მე მირჩევნია თვითონ მიტხრან სხეებში თავიანთი სათქმელი.

ჭაბუკი ერთი-ორი ნაბიჯით წინ წამოდგა და ეშერსტს ცხვირში ეცა პატიოსანი შრომით გახურებული მისი სხეულის სუნი.

— აქ რისთვისა გდიხარ?

— მე ასე შესიამოვნება.

— მერე აღარ გესიამოვნება, მაგ გოგონას რომ გაგიხეთქავ!

— პოო? მერმე და როდის ინებებთ მაგ საქმის ჩადენას?

ჯომ მხოლოდ კიდევ უფრო ხმაშალალი ქმენით გასცა პასუხი, ოღონდ გავუშვებული მოხერის თვალებით კი ბურღავდა. შემდეგ თითქოს ვრუნჩხვისებურაბა რაღაცამ დაუმაჩა სახე.

— მეგენს სულიც არ უნდიხარ!

შური, ეჭვიანობა, ზიზღი და რისხვა ერთად მოაწვა ხელში ეშერსტს ამ

ზორზობი, მქშინავი ტუტიისადმი და მოთმინების ფიალა აევსო — წამოხტა ზეზე და ფეხით უკან მიაგდო სკამი.

მომწყდი თავიდან!

და ამ სიტყვების თქმის უმაღლეს სახლის კარის ზღურბლზე თვალი მოჰკრა მეგენს, რომელსაც ხელში სპანიელის პაწია, წაბლისფერ ლეკვი ეჭირა. იგი მსწრაფლ მოეჭრა:

— რა ლურჯი თვალები აქვს! — უთხრა მან.

ჯომ პირი იბრუნა — კისერი პირდაპირ გაჭარბლებული ჰქონდა სიბრაზისაგან.

ეშერსტმა თითი მიუტანა პირთან პაწია წაბლა ლეკვს. რა მყუდროდა გრძნობდა თავს იგი ქალწულის გულში ჩახუტებული!

— უკვე უყვარხარ. ეპ, მეგენ, ყველას უყვარხარ შენ!

— რას გეუბნებოდათ ჯო?

— გეუბნებოდა, აქედან დაიკარგე, მეგენს არ უნდიახარო.

ქალმა ფეხი გაჯავრებით დასცა ძირს, მერმე ეშერსტს მიაპყრო თვალები. თაყვანისცემის გამომხატველ ამ შეხედვაზე ყველა ნერვი აუთრთოლდა ჭაბუკს, თითქოს ღრთებშეტრუსულ ფარვანასათვის მოეკრას თვალი.

— ამალამ არ დაგავეწყდეს! — წაულაპარაკა მან.

— არა!

თან მიახუტა ლოყა ლეკვის პაწია, ბუთხუზა, წაბლისფერ სხეულს და კვლავ შინ შეეკრაალდა.

ეშერსტი დაუჟვა შუკას. მინდორში გასასვლელ კართან კოჭლს და მის ძროხებს წამოეწია.

— ჩინებული დღეა, ჯიმ!

— ოპ, კარგი ამინდია ბალახისთვის. იფნები უფრო გვიან გაიფურჩქნება წელს, ვიდრე მუხები. „როცა მუხა დაასწრებს იფანს...“

ეშერსტმა დაუღვევრად ჩაურთო:

— სად იღექათ, ბოშას ახრდილი რომ დაინახეთ, ჯიმ?

— ენაგ დიდი ვაშლის ქვეშ იქნებოდა, თითქოს.

— და მართლა გჯერათ, რომ ეგ მანდ იყო?

კოჭლმა ცოტა ყოყმანით მაუგო:

— ვერ გეტყვით, რომ დანამდვილებით იყო იქ. შეიძლება მომეჩვენა კოდვც.

— რატომ უნდა გამოჩენილიყო?

კოჭლმა ხმას დაუწია:

— ამბობენ, ძველი პატრონი, ნარაკუმი, ბოშების ჩამომავალიაო. მაგრამ უორია. უცნაური ხალხი კია, ხომ იცით, თავისიანს ძალიან ეჭიდებიან. შეიძლება, იცოდნენ, საიქიოს წასვლას აპირებდა და ამხანაგი გამოუგზავნეს თანამგზავრად. მე ასე მგონია.

— რანაირი იყო?

— სულ გაბანჯგვლული ჰქონდა სახე და ისე მოდიოდა, თითქოს ვილინო უჭირავსო. ამბობენ, მოჩვენებები არ არსებობენო, მაგრამ ამას კი თვალი მოუკარი, რომ ჩემს ძაღლს ბალანი აებურძგნა წყვდაოდ ღამეში, ოღონდ თვითონ მე ვერას ვარჩევდი.

— მოვარე იყო?

დიახ, თითქმის სავსე, მაგრამ ის-ის იყო ამოანათა ოქროსფერად იმ ხეებს უკან.

— შერშე თქვენ განა გჯერათ, რომ მოჩვენება ავის მომასწავებელია?

კოჭლმა ქუდი გადაიწია. მკვირცხლი თვალები უფრო დაკვირვებულად დაამტერა ეშერსტს.

— ეგ ჩემი სალაპარაკო არ გახლავთ... მაგრამ უსიამოვნონი კი უნდა იყვნენ. ბეჭითად უნდა ვთქვათ, რომ ზოგი რამ ჩვენ არ გვესმის. ზოგი ხედავს რამეს, ზოგი კი ვერასოდეს ვერაფერს ამჩნევს. მაგალითად, ჯოს ცხვირწინ რომ დაუდო რამე, ვერც დაინახავს; ის სხვა ბიჭებიც ყვეუჩები არიან. მაგრამ ჩვენნი შეგენი რომ დააყენო მათ ადგილას, ეგ კი იმასაც შეამჩნევს და, თუ არ ვცდები, მეტსაც!

— შეგენი უფრო შერძნობიარეა და იმიტომ.

— ეგ რაღას უნდა ნიშნავდეს?

— ესე იგი, ის ყველაფერს კარგად გრძნობს.

— ოჰ! მაგას ძალიან მოსიყვარულე გული აქვს.

ეშერსტმა იგრძნო, როგორ წამოუწითლდა დაწვები და სათუთუნე ქისა გაუწოდა მოსაუბრეს.

— ჩიბუნს ხომ არ გაიტენით. ჯიმ?

— გმადლობთ, ბატონო. მაგისთანა, მე მგონი, ასში ერთი თუ მოიძებნება.

— მეც აგრე მგონია, — მოკლედ მოუჭრა ეშერსტმა, თავი მოუკრა ქისას და გზა განაგრძო.

„მოსიყვარულე გულიანიასო!“ დიახ! და თვითონ რას სჩადიოდა? რა ზრახვები ჰქონდა გულში, როგორც იტყვიან, ამ მოსიყვარულე გულის მქონე გოგონას შიშართ? ეს ფიქრი აწეალებდა და უტრიალებდა თავში, როცა იგი ბაიებით გადაჭრელებულ მინდორში დახეტიალობდა, სადაც ბატარა წითელი ბონოლები სძოვდნენ და მალლა მერცხლები დანავარდობდნენ. დიახ, მუხები იფუნებზე უფრო ადრე იფურჩქნებოდნენ — წაბლისფერ-ოქროსფერი დასდებოდათ უკვე; ყოველ ხეს სხვადასხვა იერი და ელფერი დაჰკრავდა. გუგულები და უამრავი სხვა ფრინველი ეიფვივებდა და გალობდა; პაწია ნაკადულები კამკამებდნენ. ძველებს ხომ სჯეროდათ ოქროს ხანისა და ჰესპერიდების ბაღის ამბავის. სახელოზე დედა კრაზანა დააჯდა. ყოველი მოკლული დედა-კრაზანა კრაზანების რიცხვის ორი ათასით შემცირებას მოასწავებდა და ველარ განადგურებდნენ ამ ბაღის კუკურებიდან დაზრდილ ვაშლებს. მაგრამ ამისთანა დღეს სიყვარულით გულსავსე რომელი ადამიანი გაიმეტებდა სასიკვდილოდ სულიერს? მინდორში წითელი მოზვერი სძოვდა. ეშერსტს ეჩვენა, რომ იგი ჯოს წაგავდა. მაგრამ მოზვერმა ყურიც არ გააბარტყუნა სტუმრის შიახლოვებაზე — თვითონაც ეგებ ცოტა შესარხოშებული იყო ფრინველთა ჭიკჭიკითა და მის მოკლე ფეხებს ქვეშ გაშლილი ოქროსფერად ნობიბინე საძოვრის ხიბლით. ეშერსტმა მშვიდად გადაჰკვეთა მინდორი და მდინარის გაღმა სერის ფერდობს შეჰყვა. შეფერდებას კლდოვანი მწვერვალი აგვირგვინებდა. იქ მიწა მაჩიტას ყვავილებს დაეფარათ და ოციოდე მაყალო ვაშლი მთლიანად გაყვავებულიყო. ქაბუკი ბაღახში ჩაწვა. ბაიებით გადაღანებული მინდვრისა და შეოქროსფრებული მუხების ხიბლის შეცვლამ ნაცრისფერი კლდის ქვეშ

გადაშლილი ამ პაეროვანი სიმშვენიერით ეშერსტი განაცვიფრა. გარდა წყლის ჩხრიალისა და გუგულების გუ-გუსი, სხვა არაფრით ემსგავსებოდნენ ერთმანეთს. იგი დიდხანს იწვა, უკვირდებოდა მზის გადასვლას, ვიდრე მათელო ვაშლების ჩრდილი არ დაადგა მაჩიტებს. გარშემო აქა-იქ მხოლოდ გარეული ფურცარი ირეოდა. ჭაბუკი ცოტა აღელვებულად გახლდათ, დილანდელ კოცნასა და ვაშლის ქვეშ ამალამინდელ პაემანზე რომ ფიქრობდა, ამისთანა ვაშლის უეჭველად ფავნუსები და დრიადები ბუდობენ; იმ ხეებში მათელო ვაშლის ყვავილებივით ქათქათა ნიმიფები იყვნენ შეფარებულნი; მათ გამხმარი ეწრის გვიმრასავით მიხაკისფერი, ყურებწაწვეტიებული ფავნუსები ჩასაფრებოდნენ. როცა გამოედვიდა, ჯერ კიდევ ისმოდა გუგულების ხმა და წყლის ჩხრიალი, მზე კი უკვე კლდის მწვერვალს ამოფარებოდა; ფერდობზე აგრილებულიყო, და კურდღლები გამოშლილიყვნენ. „ამალამ!“ — გაუელვა მას თავში. როგორც ყველაფერი ზევით მიიწევდა და ნიადაგიდან ამოხეთქილი იფურჩქნებოდა უხილავი ხელის ნაზი, მსრუნველი შეხებით, ასევე იშლებოდა და იფურჩქნებოდა მისი გული და გრძნობანი. წამოდგა და მათელოს რტო მოსტეხა. კუკურები მგენს ჰგავდნენ — ნიყარისებურნი, ყარდისფერნი, ველურნი, ქორფანი; და გაფურჩქენილი ყვავილებიც ასევე — უმწიკვლონი, ქათქათები, უცხონი, ნაზები და გულის ამანუყებელნი იყვნენ. რტო დილკილოში გაიკეთა და გაზაფხულის მთელი ვნებათა ლელვა ერთ ღრმა ამოხვრანში გამოხატა. მაგრამ კურდღლები დაფრთხნენ და მოკურცხლეს.

6.

თითქმის თერთმეტი საათი იქნებოდა იმ ღამეს, რომ ეშერსტმა ძირს დადო „ოდისეა“, რომელიც ტყუილად ეჭირა ხელში ნახევარ საათს, და ეზოს გივლით ბაღში ჩავიდა. მთვარე, სულ ოქროსფერი, ის-ის იყო გადნომდგარიყო სერზე და კაშკაშა, მძლავრი მოდარაჯე სულივით იჭყიტებოდა ნახევრად შიშველი იფხების ტოტებში. ვაშლებქვეშ კვლავ ბნელოდა და ეშერსტი გეზის ასარჩევად ფეხით სინჯავდა წამოქორჩილ ბალახს. იქვე, მის ზურგს უკან, რაღაც შავი მასა შეიძრა მძიმე ღრუტუნით და სავი ვეება ღორი კვლავ მიწვა კედელთან, ერთმანეთის გვერდიგვერდ. ეშერსტმა ყური მიუგდო. სით არ იძროდა, ოღონდ მდინარის მოსალბუნე ჩუხჩუხს დილანდელთან შედარებით ორჯერ უფრო მომატებოდა ხმა. რომელიღაც ფრინველი სულ ერთფეროვნად გაიძახოდა — „პიპ-პიპ“, „პიპ-პიპ!“ ძალიან შორიდან მოისმოდა თხაწოვას ხმა და ბუს კივილი. ეშერსტმა ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და კვლავ შეჩერდა — ირგვლივ უცბად ბუნდი, ქათქათა შუქი დაღანდა. ჩაშაფებული. გარინდებული ხეების მთელი ნაზი, ბუნდად გამოსახული ყვავილები და კვირტები ჯადოსნურად გააცოცხლა ჩუმად ჩამობარულმა მთვარის შუქმა. უცნაური გრძნობა დაეუფლა მათ დანახვაზე — თითქოს მილითობით თეთრი ფარვანა თუ სული ფარვატებდა პაერში და ეშვებოდა ჩაბნელებულ ზეცასა და კიდევ უფრო ღრმა წყვდიადში გახვეულ დედამიწის შორის და შლიდნენ და კეცავდნენ თავიანთ ფრთებს სწორედ მისი თვალების სისწორეზე. ამ წუთის მომაჯადოებელ, თავბრუდამხვევ, გარინდებულ, უსუნო სიმშვენიერეში მას თითქმის გადაავიწყდა კიდევ, რატომ ჩამო-

ვიდა ამ ბაღში. მოფარფატე ხიბლი, რომელიც სუფევდა მიწაზე მთელ დღეს, არც დამეწი წარხოცილიყო, ოღონდ მარტო ეს სხვა, ახალი ფორმა მიეღო.

ჭაბუკი მიიწევედა წინ მოლივლივე თეთრ შუქმოფრქვეული ხეებისა და ტოტების ტყეში, ვიდრე დიდ ვაშლის ხეს არ მიაღწია. იგი წყვდიადშიც არ გამოეპარებოდა ვინმეს — ყველა სხვა ხეზე ორჯერ უფრო მაღალი და მსხვილი, გაშლილი მინდვრისა და ძლიანარისავენ გადახრილიყო. მის ხშირქვეტილებზე გაირინდა და კვლავ სმენად იქცა. სწორედ იგივე ხმები და ჩატრებულთა დარღვივის ოდნავი ღრუტუნის თუ ისმოდა. ხელები მიადო ხის მშრალ, თითქმის თბილ ტანს, რომლის ხეშეშმა, ხავსიანმა ზედაპირმა შეხებაზე თითქოს ნესტის სუნი გაშოსცა. მოვა? მოვა განა? და ამ მორთოღვარე გრძნებთა მოსილ, მოვარით მოჯადოებულ ხეებში ათასნაირმა ეჭვმა შეიბჟრო! ყველაფერი არაიმქვეყნიური ჩანდა აქ, არამიწიერ შეყვარებულთა საფერი, საფერი მხოლოდ ღმერთისა და ღმერთქალისა, ფავნუსისა და ნიმფასი და არა მისი და მისი სოფლელი გოგონასი. განა თითქმის ხსნა არ იქნება, რომ იგი სულაც არ მოვიდეს? მაგრამ მაინც სმენად იყო ქცეული. უცნობი ფრინველი კვლავ განაგრძობდა თავის „პიპ-პიპს“, კალმახიანი ნაკადულის რაკრაკიც ძველებურად ისმოდა, ხეებში დატუსაღებული მთვარეც ისევ იჭყიტებოდა ტოტებში. მის თვალწინ გადაშლილ ყვავილებს თითქოს ყოველ წუთს უფრო და უფრო ემატებოდა სიციცხლე და თითქოს თავიანთი უცნაური სილამაზით უფრო და უფრო ხდებოდნენ მისი მოუსვენარი მოლოდინის მონაწილენი. მოწყვიტა პატარა ყლორტი და ახლოს მიიტანა სახესთან — სამი ყვავილი ესხა. რა მკრეხელობაა ხეხილის ყვავილის მოწყვეტა — მოწყვეტა ნაზი, წმინდა, ქორთა ყვავილისა — და გადაგდება! უცბად ყური მოჰკრა ბაღის კარის ნოხურვის ხმას; ღორებიც შეჩერქოლდნენ და აღრუტუნდნენ. ჭაბუკი აუტრა ხის ღეროს, შემოაჭდო ხელები ხავსიან გვერდებს თავის ზურგს უკან და გაირინდა. ქალწული ისე უჩუმრად, უხმაურად მოგოგმახებდა ხეებში, აჩრდილი გეგონებოდათ! მერმე სულ ახლოს მოჰკრა მას თვალი — ქალის მუქი ფიგურა თითქოს მოზარდი ხის ღეროს შეერწყა, ხოლო მისი ქათქათა სახე ხის ყვავილებს! წყნარად იდგა და დაკვირვებით იცქირებოდა მისკენ.

ყმაწვილმა წაიხურჩულა: „მეგენ!“ და გარწოდა ხელები. ქალმა პირდაპირ მის მკერდს მიაშურა. როცა ეშერსტმა მისი გულის ფეთქვა იგრძნო გულთან, უკვე სრულად განიცადა რაინდული გრძნობა და ვნებათა ღელვის მთელი საძლიერე. ვინაიდან იგი მის წრეს არ ეკუთვნოდა, რაკი იგი ასე ალალი, გულუბრყვილო, ქორთა, წინდაუხედავი, თავდავიწყებით შეყვარებული და უმწგო იყო, როგორ შეიძლებოდა მისი მღარველობა არ ეკისრა ამ საბუნელეში? მაგრამ იგი მთლიანად თვით ბუნების უბრალოებასა და სილამაზეს განასახიერებდა, ისევე გახლდათ ნაწილი ამ გაზაფხულის ღამისა, როგორც ეს გაცოცხლებული ყვავილები და როგორ შეეძლო მას, ეშერსტს, არ მიეღო მისგან ყოველივე ის, რასაც იგი სთავაზობდა; როგორ არ უნდა შეეესო და განესრულებინა გაზაფხული მის და თავის საკუთარ გულშიაც? და ამ ორი გრძნობის ქიდილში მაგრად ჩაიკრა მკერდში ქალი და თმაზე ეამბოროა.

რა ხანს იდგნენ ასე გარინდებულნი, ეშერსტმა არ უწყოდა. მდინარე განაგრძობდა რაკრაკს, ბუები — კვილს, მთვარე კვლავ იჭყიტებოდა ხეებში და უფრო და უფრო ემატებოდა სიქათქათაე. მათ ირგვლივ და თავზე ყველა

გან ყვავილები ფეაქავდნენ სიოცარი იდუმალი სილამაზით: გასხივოსნებულნი, ქალ-ვაჟის ბაგეებმა თვითობვე მონახეს ერთმანეთი — კრინტი არ დაუძრავთ. რაწამს დაილაპარაკებდნენ, მთელი ხიბლიც გაქრებოდა! გაზიფხულს მეტყველი ენა არ გააჩნია, მხოლოდ შარიაშური და ჩურჩული იცის. გაზაფხულის ენა გაფურჩქნელი ყვავილები და ქორფა ფოთლებია, ნაკადულეა ჩურჩული და ტკბილი, მოუსვენარი ლტოლვა-ძიება! ხანდახან გაზაფხულიც დაუძრავი ცხადდება და ვითარცა იდუმალი მოწმე, დვას, მიჯნურებზე ხელეშემოხვეული; დაუდევს მათთვის თავისი ჯადოსნური თითები ისე, რომ ბაგე-ბაგეს შეწებებულთ ყოცნის გარდა ყველაფერი და ყოველივე ავიწყდებათ. ვიდრე ქალწულის გული მის გულთან ფეაქავდა და ბაგეები მის ბაგეებზე თრთოდნენ, ეშერსტი უბრალო თავდავიწყების გარდა სხვას არასა გრძნობდა — ზედისწერამ განუწყესა მის მკლავებში აღგილი ამ ქალწულს და სიყვარულის აბუჩად აგდება არა ჯერ არს! მაგრამ ბაგენი რომ გაშორიშორდნენ სულის მოსათქმელად, კვლავ მყის თავი იჩინა გრძნობათა გაორებამ. ოღონდ ვნებათა ღელვამ კი ახლა უფრო იმძლავრა და მან ამოიოხრა:

— ოჰ, მეგენ, რატომ მოხვედი?

ქალმა წყენითა და განცვიტრებით მიაბყრო თვალეები:

— ბატონო, თქვენ ხომ მითხარიო, მოდიო?

— ნუ შეძახი „ბატონს“, ჩემო ლამაზო!

— მაშ რა უნდა გიწოდოთ?

— ფრენკი.

— არ შემიძლია, ოჰ, არა, არ შემიძლია...

— მაგრამ ხომ გიყვარვარ... განა არ გიყვარვარ?

— მე არ შემიძლია, არ მიყვარდეთ, მე მინდა სულ თქვენთან ვიყო... ეგ

არის და ეგ!..

— ეგ არის და ეგ?

მერმე ჩუმად, ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა ქალმა:

— მე მოვკვდები, თუ თქვენთან არ ვიქნები.

ეშერსტმა ღრმად მოითქვა სული.

— მაშ მოდი და სულ იყავი ჩემთან!

— ოჰ!

ამ „ოჰში“ გამოხატული ძრწოლისა და გაოგნებისაგან გაბრუებულმა ყმაწვილმა კვლავ განაგრძო ჩურჩულით:

— ჩვენ ღონდონს წავალთ, ქვეყანას გაჩვენებ, და პირობას გაძლევ, მოგივლი, მეგენ. არასოდეს არ გაწყენინებ!

— ოღონდ თქვენთან მამყოფა... ეგ არის და ეგ!

ქაბუკმა თმაზე გადაუსვა ხელი და ჩაუჩურჩულა:

— ხვალ ტორკის წაველ, ცოტა ფულს ვიშოვნი, რაიმე კაბას გიყიდი, რომ ძალიან გამოსარჩევი არ იყოს, და მერმე გავიპაროთ. როცა ღონდონს ჩავალთ, მალევე, თუ მართლაც ძალიან გიყვარვარ, ვიქორწინებთ კიდევ.

ეშერსტმა იგრძნო, როგორ შეიბრა მისი თმა თავის გაქნევასთან ერთად.

— ოჰ, არა! ეგ არ შემიძლია. მე მარტო თქვენთან ყოფნა მინდა!

საკუთარი რაინდობით დამთვრალი ეშერსტი ბუტბუტს განაგრძობდა:

— შენ კი არა, მე არა ვარ შენი ღირსი. ოჰ, მეგენ, როდის შეგიყვარდი?

— როცა გზაში დაგინახეთ და თქვენ შემომხედეთ. პირველივე ღამეს შემოყვარდით, მაგრამ ვერასოდეს ვერ ეციფირებდით, რომ თქვენც დაგჭირდებოდით. იგი უცბად დაეშვა მუხლებზე და სცადა ფეხებზე შეხვეოდა ყმაწვილს.

თავხარდა კუმულ ეშერსტს მთელ ტანში გააქრყოლა. მან წამოაყენა ქალი და მაგრად ჩაიკრა გულში— ისე საბრტად დარჩა, რომ კრინტის დაძვრა ვერ მოახერხა.

ქალი და
ეშერსტს
განსულიერებული იერი
დაპყრავდა.

ქალმა წაიჩურჩულა:

— რატომ არ დამანებეთ?

— მე ავითონ მშართებს შენი ფეხების ამბორი.

მისმა ღიმილმა ცრემლი მოჰგვარა თვალებში ქაბუკს. ქალის ახლო მოტანა, მთვარის შუქით გაქათქათებულ სახესა და გაბობილ ბაგეთა ნაზ ვარდისფერს ვაშლის ყვავილის არაამქვეყნიური სინატიფის განსულიერებული იერი დაპყრავდა.

ანაზდად ქალს თვალები გაუფართოვდა. 'ხარდაცემული შორს მიაშტერდა. დაუსხლტა მკლავებიდან ვაჟს და წაიჩურჩულა:

— შეხედეთ!

ეშერსტმა გარდა მოკამკამე მდინარისა, თქროვარაყიანი კურდღლისცოცხას ბუჩქებისა, ალაპლაპებული წიფლებისა და მათ უკან ბუბდ მთვარის შუქში გახვეული სერებისა, სხვა ვერაფერი დაინახა. ზურგიდან ქალის გულშემხარავი ჩურჩული მოესმა:

— ბოშას აჩრდილი!

— სად?

— აი, იქ... ლოდთან... ხეების ძირში!

გაცხარებული ეშერსტი გადაევიდა ნაკადულს და პირდაპირ წიფლების კორმს მიაშურა. მხოლოდ მთვარის შუქის ზონი იყო და მეტი არაფერი! აქეთ-იქით ეცა ლოდებსა და კუნელის ბუჩქებში; ბურტყუნით, წყევლით და თამცოტა შაშნეულად დაძრწოდა და დაბორძიკობდა. სისულელე! სიტუტუცე! — არაფერი არ ჩანდა. მერმე უკან მობრუნდა ვაშლთან, მაგრამ შეგენი იქ აღარ დახვდა. მხოლოდ შარიშურის, ღორების ღრუტუნისა და ბაღის კარის დაკეტვის ხმასდა მოჰკრა ყური. მის ნაცვლად მარტო ეს ბებური ვაშლის ხე იდგა! ქაბუკმა მკლავები შემოაჭდო მის ღეროს. სატრფოს ნაზი სხეულის ნაცვლად შაშველი ხე! ქალის ნაზი დაწვის ბაღლად უხეში ხავსის ღამუნა ლოყაზე! მხოლოდ ტყის სურნელი თუ მიემსგავსებოდა ცოტათი მისას! და თავზე და ირგვლივ კიდევ უფრო ქორფა, აფოფინებული, მთვარის შუქით კიდევ უფრო გაქათქათებული ყვავილები თითქოს გამკაშებდნენ და სუნთქავდნენ.

7.

მატარებელიდან რომ გადმოვიდა ტორკის სადგურზე, ეშერსტი დაბნეულად გაჰყვა ქუჩას, რადგან ინგლისის კურორტთა ამ დედოფალს არ იცნობდა. სულაც არ ახსოვდა ტანთ რა ფცვა, სრულიად ვერ გრძნობდა, როგორ ვამთირჩეოდა იქაურ მოაგარაკეთა შორის და ქამრიან ტლანქ ქურთუკსა. მტვრიან წაღებსა და მოთელილ ქუდში გამოწყობილი ვერ ამჩნევდა, რომ ხალხი, ცოტა არ იყოს, ამრეზით უყურებდა გზაში. თავისი ლონდონის ბანკის განყოფილებას ეძებდა; ოღონდ რომ იბოვნა, პირველ დაბრკოლებასაც აქ წაიწყდა და გუნება წაუხდა. ხომ არავას იცნობს იგი ტორკისში? არა? მაშინ, თუ დებეშას გაუგზავ-

ნის ბანკს ლონდონში, იქიდან პასუხის მიღებისთანავე სიამოვნებით მიართმევნ ფულს. რეალური, საქმიანი სამყაროს ამ იჭვნეულმა სუნთქვამ ცოტა შეაკვეცა ფრთები მის ოცნებებს. დეპეშა მაინც გაგზავნა.

თითქმის ფოსტის პირდაპირ მანდილოსანთა ტანსაცმლით თავსე მალაზია შენიშნა და უცნაური გრძობით დაუწყო თვალთვლება ვიტრინის-ფიფის სოფლელი სატრფოსავის სამოსის შეძენის საქმე არამცირედ გაღიზიანდა. ახალგაზრდა ქალი შემოეგება, ლურჯთვალა და ცოტა შუბლშეჭმუხენილი. ეშერსტი ხმაამთუღებლად მიამტერდა.

— რას მბრძანებთ, ბატონო?

— კაბა მინდა ახალგაზრდა ქალისთვის.

ქალს გაეღიმა. ეშერსტი მოიღუშა — თავისი თხოვნის თავისებურება უცბად ძალიან ეუცნაურა და თავში დასცეცხლა.

ახალგაზრდა ქალმა სასწრაფოდ დასძინა.

— როგორი გნებავთ — რაიმე მოღურა?

— არა, უბრალო რამ.

— რა მოყვანილობისაა ახალგაზრდა მანდილოსანი?

— რა მოგახსენოთ. მგონი თქვენზე დაახლოებით ორი გოჯით დაბალი იქნება.

— ხომ არ შეგიძლიათ მისი წელის ზომა მითხრათ?

შეგენის წელის!

— ოპ, ალბათ საშუალო!

— კეთილი!

სანამ გამყიდველი ქალი კაბებს არჩევდა, ეშერსტი ნირწამხდარი ათვალთვრებდა ვიტრინაში გამოკიდებულ ნიშუშებს და უცბად დაუჯერებლად ეჩვენა, რომ შეგენი, მისი მეგენი, უბნში ჭრელი შალის კაბის, ტლანქი ხალათისა და ცისფერი ბერეტის გარდა, რომელთაც მან თვალი შეაჩვია, ოღესმე ჩაიცვამდა ან დაიხურავდა სხვა რამეს. ყმაწვილი ქალი მობრუნდა, მკლავზე გადაკიდებული რამდენიმე კაბა მოიძღვანა და ეშერსტი უცქეროდა, როგორ იზომებდა იგი მათ თავის მოღურ ფიგურაზე. ერთი კაბა მოეწონა ფერით, მომტრედასტრო-მონაცრისფრო, ოღონდ ვერა და ვერ წარმოიდგინა იმაში გამოწყობილი მეგენი. ახალგაზრდა ქალი კვლავ გაბრუნდა და კიდევ მოიტანა სხვები. მაგრამ ეშერსტი ახლა როგორღაც თითქოს გამომტერდა და დამბლა დაეცა. როგორ აარჩიოს? მეგენს ხომ ქუდიც უნდა, ფეხსაცმელებიც, ხელთათმანებიც; და, ეთქვას, კიდევ რომ შეეძინა ყველაფერი, ისინი ხომ გააუბრალოებდნენ და გააერთფეროვნებდნენ მის სატრფოს, როგორც საკვირაო სამოსი აერთფეროვნებს სოფლელებს! რატომ არ შეიძლებოდა, როგორც იყო ჩაცმულ-დახურული, ისე ემგზავრა მეგენს? ოპ! მაგრამ უფრო თვალშისაცემი იქნება და ეს ხომ მართლაც ქალის ნამდვილი ფარული მოტაცება იყო! მერმე მიაჩერდა ახალგაზრდა ქალს და გაიფიქრა: „ნეტავი თუ ხვდება და არამზადა თუ ვგონივარ?“

— ხომ ვერ გადამიდებდით იმ ნაცრისფერს? — წართქვა ბოლოს სასოწარკვეთილმა. — ახლა ვერ გადამიწყვეტია. ნაშუადღევს შემოვივლი კიდევ. ახალგაზრდა ქალმა ამოიოხრა.

— ოპ, ბატონი ბრძანდებით! ძალიან მოხდენილი კოსტუმია. არა მგონია, ამაზე უკეთესი იშოვოთ რაიმე.

— არც მე მგონია, — წაიბუტბუტა ეშერსტმა და გარეთ გამოვიდა.

აქვეყნიური, რეალური სამყაროს იჭენეულობას რომ ისევ დააღწია თავი, ღრმად მოითქვა სული და კვლავ თავის სანუკვარ ოცნებებს დაუბრუნდა. თვალწინ წარმოუდგა წრფელი, ტურფა არსება, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე უნდა დაეკავშირებინა მისთვის; წარმოიდგინა, როგორ გამოიპარებოდნენ ღამით და მთვარიანში გადალახავდნენ ეწერს. მას ცალი ხელში სწავლისთვის ექნებოდა წულზე მოხვეული, ცალში მისი ახალი ტანსაცმელი; ცხელი და ვიდრე შორს, სადმე ტყეში, რიყრაყზე, შეგენი არ გაიძრობდა თავის ძველძვეულებს, არ გამოეწყობოდა ამ ახლებში და შორეული სადგურიდან ადრიანის მატარებელი არ წაიყვანდა მათ თავიანთი თაფლისთვის მოგზაურობაში; ვიდრე ლახდონი არ ჩაყლაპავდა მათ და სიყვარულის ოცნებანი მართლაც არ ახლებოდა.

— ფრენკ ეშერსტი! რეგბის შემდეგ თვალი აღარ მომიკრავს შენთვის, ამობილო!

ეშერსტს შუბლი გაეხსნა — მას შემოსცქეროდა ცისფერთვალეებიანი, მზით გარუჯული სახე; ერთი ისეთ სახეთაგანი, რომელსაც შინაგანი და გარეგანი შიშე თანაბრად, შეწყობით ასხივოსნებს, და თვითონაც მიადანა:

— ოჰ, ფილ პოლიდეი ხარ?

— რას აკეთებ აქ?

— ეჰ, არაფერს! ვათვალთვრებ აქაობას და ფულს ვუცდი. ისე ეწერში ვბინადრობ გლეხთან.

— სად საუზმობ? წამო და ჩვენთან ისაუზმე. მე ჩემი პატარა დებიოთა ვარ აქ. მათ წითელა მოიხადეს.

შეგობარმა აღერსიანად მოხვია ხელი და ეშერსტიც გაჰყვა.

აიარეს სერი, ჩაიარეს ფერდობა, გასცდნენ ქალაქს, ხოლო პოლიდეის ხმა, გაედენთილი ისეთივე ხალისით, როგორც მისი სახე მზით, უხსნიდა, რომ „ამ დამყაყებულ ადგილას მხოლოდ ბანაობა და ნიჩბოსნობა თუ ღირს რა-მედ“. ასე განაგრძობდნენ გზას, ვიდრე არ მიადწიეს ზღვასგან ცოტა მოშორებით, შემადლებულ ადგილას რკალივით განლაგებულ სახლებს და მათ შუაგულში კი — სასტუმროს.

— შემოდი ჩემს ოთახში და დაიბანე. საუზმე თვალის დახამხამებაში იქნება.

ეშერსტმა სახე შეითვალთვრა სარკეში. ფერმის საწოლი, ოთახის ერთი სავარცხლისა და უკანასკნელ ორ კვირას ორიოდვე პერანგით იოლად წასვლის შემდგომ, ტანსაცმლითა და ნაირ-ნაირი ჯაგრისებით ამოხორცილი ეს ოთახი ღიდ ფუფუნებად ეჩვენა და თავში გაუელვია: „უცნაურია... კაცი ვერ წარმოიდგენს...“ მაგრამ რას ვერ წარმოიდგენდა კაცი, თვითონაც არ იცოდა კარგად.

სასტუმროს ოთახში რომ გაჰყვა პოლიდეის სასაუზმოდ, სამი ქერა, თეთრ-გვრემანი, ცისფერთვალეა სახე შემოეფეთა უცბად, როცა მისმა ამბანაგმა შესძახა:

— ეს ვახლავთ ფრენკ ეშერსტი, ესენი კი ჩემი პატარა დაიკოები არიან! ორნი მართლაც პატარები იყვნენ, დაახლოებით თერთმეტისა და ათისა. მესამე კი ჩვიდმეტოდე წლისა იქნებოდა — მაღალი, ტანადი, ისიც ქერათმიანი; მის ვარდისფერ დაწვებს ოდნავ შეჰპარვოდა მზე. წარბები, თმაზე უფრო

შეშუქებული, ცოტა აპრეხოდა. ხმა სამთავეს, პოლიდიის მსგავსად, წკრიალა, მაღალი და ხალისიანი ჰქონდა. ყველანი წამოდგნენ, მკვარცხლად წამოართვეს ხელი ეშერსტს, კრიტიკულად შეაფლეს თვალი ყმაწვილს, მერმე კვლავ მსწრაფლ დასხდნენ და განაგრძეს ლაპარაკი, ნაშუადღევს რა ექნათო. ნამდვილი დიანა გაბლდათ თანხლები ნიშნებითურთ! ფერმაში კრუხის შემდგომ ეს მკაფიო, კილოიანი, გაცხარებული ლაპარაკი, ეს თავდაპირველი, ფაქიზი, ძალდაუტანებელი სინატიფე პირველად ეხამოშა, მერმე კი ისე ბუნებრივად ეჩვენა, რომ ეს გარემო, საიდანაც ახლახან ჩამოვიდა, უცბად ძალიან შორეულ მოგონებად დარჩა. უმცროსებს საბინა და ფრიდა ერქვათ. უფროსს — სტელა.

ანაზღად სწორედ საბინა მოუტრიალდა ეშერსტს და უთხრა:

— იციო რას ვეტყვი! მოდით თქვენც ჩვენთან წამოდით კრევეტების საქერად!.. ძალიან სასეირო რაშეა!

ამ მოულოდნელი მეგობრული გამოსაუბრებით სახტად დარჩენილმა ეშერსტმა დაბნევით წაიბურტყუნა:

— ვშიშობ, უკან დაბრუნება მომიწევს ნაშუადღევს.

— თქ!

— განა გადადება არ შეგიძლიათ?

ეშერსტმა პირი იბრუნა ახალი მოსაუბრის, სტელასკენ, თავი გააქნია და გაიღიმა. იგი ძალიან ლამაზი იყო! საბინამ დახანებათ ჩაილაპარაკა:

— როგორმე რომ შეგძლებოდათ!

მერმე მუსაიფი მსწრაფლ გადავიდა ქვაბულებსა და ცურვაზე.

— შორს შეგიძლიათ ცურვა?

— დაახლოებით ორ მილზე.

— თქო!

— რას ამბობთ!

— რა კარგია!

მასზე დაკვირვებით მიჩერებულმა სამმა წყვილმა ცისფერმა თვალმა საკუთარი ღირსების გრძნობა შემატა; საამოდ მოუდიტინა გულში. პოლიდიემ უთხრა:

— რას ვეტყვი! შენ, მოკლედ, უნდა დარჩე და იბანო. გირჩევნია, ღამე აქ გაათიო.

— დიან, კარგი იქნება!

მაგრამ ეშერსტმა კვლავ გაიღიმა და გააქნია თავი. მერმე უცბად დაუწყეს სპორტული წარმატების ამბების გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის ნიხბოსანთა გუნდის წევრი იყო, თამაშობდა უნივერსიტეტის ფეხბურთელთა ნაკრებში, გაიმარჯვა ერთ ძალზე სირბილში და სუფრიდან უკვე ერთგვარი გმირის სახით წამოდგა. პატარა გოგონებმა დაუფინეს, „ჩვენნი“ განთქვამული უნდა განახვოთო, და გაუდგნენ კიდევ გზას — პატარებმა ზუაში მოიქციეს ეშერსტი და აქედან და იქიდან კაჭკაჭებით არ უსვენებდნენ ტივტიკით; სტელა და მასი ძმა კი ცოტა უკან მოსდევდნენ. გამოქვამულს, ყველა სხვა გამოქვამულივით ნესტიანსა და ჩაბნელებულს, ერთი დიდი უპირატესობა მოეპოვებოდა — შიგ გუბე იდგა და იქ ისეთი სულიერების დაქერა შეიძლებოდა, რომელთაც ბოთლებში ჩასვამდნენ.

საბინამ და ფრიდამ, რომელთაც წინდები არ ემოსათ მზით გარუჯულ კობტა კანკებზე, ღიჭინი დაუწყეს ეშერსტს, შემოდით ჩვენთან ერთად შუაგულში და გვიშველეთ წყლის მოჩხრეკაო. იმანაც გაიძრო წაღები და წინდები, ვისაც სილამაზის გრძნობა მოეპოვება, მისთვის მსწრაფლ გადის დრო, როცა გუბეში ლამაზი ბავშვები დგანან, ნაპირზე კი ახალგაზრდა ტანის, რომელიც აღტაცებითა და გოცვებით იღებს ყველაფერს, რასაც შენ დაიჭერ და შიარტმევ. ეშერსტს არც არასოდეს გააჩნდა დროის გრძნობა! ჰოდა, თავზარი დაეცა, როცა საათი ამოიღო და ნახა, რომ სამს კარგა ბლომად გადასცდენოდა. დღეს უკვე ვეღარ გაანადღებდა ჩეკს — მის მისვლამდე ბანკის განყოფილება დაიკეტებოდა. პაწიები ყურადღებით უკვირდებოდნენ მისი სახის გამომეტყველებას და ერთხმად შესაახეს:

— ვაშა!.. ახლა კი უნდა დარჩეთ!

ეშერსტს კრინტი არ დაუძრავს. კვლავ წარმოუდგა თვალწინ მეგენის სახე, როცა საუზმეზე წაუჭურჩულა: „ახლა ტორკის მიედივარ, ძვირფასო, რომ ყველაფერი გიყიდო. ამ საღამოს დაგბრუნდები. თუ კარგი ამინდი იქნა, ამაღამვე შეგვიძლია წასვლა. მზად იყავი“. კვლავ წარმოუდგა თვალწინ, რა თრთოლვით ისმენდა იგი მის სიტყვებს. ახლა რას იფიქრებს ის? თავი შეიკავა და გამოერკვა, რადგან ანაზღად იგრძნო გუბის პირას მდგარი ამ სხვა ქალწულის, ასე ძალადი, ტანადი, ქერა, დიანასებური ქალწულის მშვიდი, დაკვირვებული მხერა; ოდნავ აპრებოლ, გადაკალმულ წარბებს ქვეშიდან მეოცნებე ცისფერ თვალებს რომ არ ამორებდა მას. რომ იცოდნენ, რა უტრიალებდა ახლა თავში; რომ იცოდნენ სწორედ ამ საღამოს რა განზრახვა ჰქონდა!.. ჰოდა, ალბათ ერთი ზიზლით შესაახებდნენ და მარტოღმარტო დაავდებდნენ მას ამ გამოქვაბულში. და წყენის, ბოდმის, სევდის, სობცხილის რალაც უცნაური შერეული გრძნობით ჩაიდო ჯიბეში საათი და მოსჭრა:

— ჰო, მოვტყუვდი დღეს!

— ვაშა!.. ახლა კი შეგვიძლიათ ჩვენთან ბანაობა.

შეუძლებელი იყო, ცოტა მაინც არ დაეთმო კაცს ამ მშვენიერი ბავშვების გამოყოფილი სახეებისათვის, სტელას ბაგეზე აღბეჭდილი ღიმილისათვის, პოლიდების შეძახილისათვის — „ჩინებულია, ჩემო ძმასო შე გათხოვებ საღამისო რამეებს!“ მაგრამ ეშერსტს კვლავ მოაწვა ყელში ბოდმა, სინდისის ქენჯნამ შეაწუხა და პირქუშად წართქვა:

— დებეშა უნდა გავგზავნო!

გუბეში ჭყუმპალაობით გულგაჯერებულნი სასტუმროსაკენ გაუდგნენ გზას. ეშერსტმა დებეშა ქალბატონ ნარაკუმის სახელზე გაგზავნა: „სამწუხაროდ, დამე დარჩენა მიზდება, დაგბრუნდები ხვალ“. უეჭველია, მეგენი მიხვდება, რომ ბევრი საქმე გამოუჩხდა მას აქ და ცოტა გულს მოეშვა. ჩინებული ამინდი იდგა. თბილოდა. ზღვა წყსარად, ლურჯად ლივლივებდა და ეშერსტს ბოძ ცურვა გატაცებით უყვარდა! ეამებოდა, ლამაზი ბავშვები რომ შესციცინებდნენ; სიამოვნებით უცქეროდა მათ, სტელას, პოლიდების შუქიან სახეს. ყველაფერი ეს ოდნავ არარეალურად და თან უკიდურესად ბუნებრივად ეჩვენებოდა, თითქოს ნორმალურ ყოფაში უკანასკნელად იხედებოდა ცალი თვალით, რათა შერმე მეგენთან ერთად სულ სხვა ცხოვრებაში ჩაყურყუმალავებულიყო.

ეშერსტმა ნათხოვარი საბანაო სამოსი წამოიღო და ყველანი ზღვისკენ გაე-

პართენ. პოლიდეიმ და მან ერთი კლდის უკან გაიხადეს, სამმა გოგონამ — მეორეს უკან. ეშერსტი პირველი შევარდა ზღვაში და მსწრაფლ გაეურა დიდის რიხით, რომ კარგი მცურავის სახელი გაემართლებინა. როცა მობრუნდა, თვალი მოჰკრა, რომ პოლიდეი ნაპირის გასწვრივ მიცურავდა, ხოლო გოგონები დაბალ ტალღებში ჭყუმპალაობდნენ, ყვინთაედნენ და ყელყუყუებდნენ იმნაირად, რასაც ჩვეულებრივ იგი ამრეზით უყურებდა ხოლმე. წაყვირებდა ახლა კი ლამაზად და მომხიბლავად ეჩვენა, ვინაიდან მათ შორის ღრმა წყლის დიდი თევზივით გამოიჩინებოდა. ახლოს რომ მიცურდა, იფიქრა, ეგებ არც ესო ამოვნოთ თავიანთ მოჭყუმპალავე გუნდში უცხოს გარეგან; ერთდებოდა იმ ნაზ ნიშნასთან მიახლოვება, მერმე საბინამ სთხოვა, ცურვა მასწავლო და პატარა გოგონებმა იმდენი საქმე გაუჩინეს, რომ დროც აღარ დარჩენია შეენიშნა, სტელა შეეგუა თუ არა მის იქ ყოფნას ანაზღად სწორედ მისი შეშინებული ხმა მოესმა. იგი წელამდე შესულიყო წყალში; ცოტა გადაბრილს ნატიფი, თეთრი ხელები წინ გაეშვირა. სველი სახე მზისა და შიშისაგან დამანქოდა.

— შეხედეთ ფილს! რა დაემართა? ხომ არ უჭირს? თქვ. შეხედეთ!

ეშერსტმა მყის დაინახა, რომ ფილის საქმე ვერ იყო კარგად. იგი ნაპირიდან ასიოდე იარღზე ფარბახლებდა და იბრძოდა ღრმა წყლიდან გამოსასვლელად. უცბად შეჰკვივლა, მაღლა აისროლა მკლავები და ჩაიძირა. ეშერსტმა შენიშნა, ქალიშვილმა როგორ გაიწია ძმის მისაწველებლად და მიადახა:

— სტელა, დაბრუნდიო! დაბრუნდიო!

თვითონ კი წინ გადაეშვა. ასე სწრაფად ჯერ არასოდეს ეცურა და პოლიდეის მაშინ მისწვდა, როცა იგი მეორედ ამოაგდო ტალღამ. კრუნჩხვა მოსვლიდა, მაგრამ მისი სამშვიდობოს გამტყვანა არ გასძნელებია, რადგან ყმაწვილი არ გასძალიანებია. შეძახილით ერთ ადგილას გაშეშებული სტელა მაშინვე მიუშველა, როგორც კი იქამდე მთადწიეს და რაკი ნაპირს გაიყვანეს, ორივე მხრიდან ამოუდგხენ და დაუწყეს ფილს ტანის ზელა, ხოლო დამფროთხალი პატარები თავს აღვჩენ. პოლიდეიმ მალე გაიღიმა. სწორედ საძაგელი, საძაგელი საქმე ჩავიდინეთ, თქვა მან. თუ ფრენკი ხელს შეაშველებდა, შეეძლო ახლა ჩინებულად მიედწია თავის ტანსაცმელამდე. ეშერსტმაც შეაშველა მკლავი და ამ დროს ჰკიდა თვალი სტელას სახეს — სველს, აღეწილს და ცრემლიანს, სრულიად რომ დაჰკარგოდა ძველი მშვიდი, თავშეკავებული იერი და გაიფიქრა: „მე სტელა დაუდებე! ნეტავი ბომ არ ეწყინათ?“

რომ იცვამდხენ, პოლიდეიმ წყნარად ჩაულაპარაკა:

— სიკვდილს გადამარჩინე, ძმაო!

— სისულელეა!

ჩაემულნი, მაგრამ ჯერ კიდევ აფორიაქებულნი, ყველანი გაემართნენ სასტუმროსკენ და ჩაის სუფრას მოუსხდნენ პოლიდეის გარდა, რომელიც თავის ოთახში წამოწვა. მურაბიანი ბურის რამდენიმე ლუქმას შემდგომ საბინამ ბრძანა:

— იცით, რა გითბრათ, თქვენ ნამდვილი ვაჟკაცი ხართ!

ფრიდამაც კვერი დაუკრა.

— სწორედ!

ეშერსტმა შენიშნა — სტელას თვალები დაეხარა. დარცხვენილი ჭაბუკი აღგა და ფანჯარას მიადგა. იქ ჩაესმა გურში საბინას ჩურჩული.

— რას გეტყვით! მოდით სისხლით გავეფიცოთ! სად არის შენი დანა, ფრიდა?

და ცალი თვალით შეამჩნია, სამთავემ როგორ დაიხსვლიტა სახეში ~~თი-~~ თები, გამოიწურეს სისხლი და დააწვეთეს ქალაღზე. ეშერსტმა პარი ~~ბრუნა~~ და გარეთ გასვლა დააპირა.

ერქუნუნუნუნ

ზიზუნუნუნუნუნ

— ნუ ჯიუტობთ! არ წახვიდეთ!

მკლავები დაუჭირეს და პატარა გოგონებმა მაგიდისთან დააბრუნეს დატყვევებული. ზედ ქალაღის ნაჭერი იდო, რომელზედაც სისხლით გამოებატაა რაღაც გამოსახულება და აგრეთვე სისხლით დაწერილი სამი სახელი და გვარი — სტელა პოლიდეი, საბინა პოლიდეი და ფრიდა პოლიდეი — ვარსკვლავის ქიმისებურად უკაეშირდებოდნენ იმ გამოსახულებას.

საბინამ მოახსენა:

— ეს თქვენ ხართ. ხომ იცით, ახლა უნდა გაქოცოთ!

ფრიდამაც ბანი მისცა:

— ოჰ, აბა, რასაკვირველია!

და საბინამ ეშერსტი თავის დაძვრენას მოასწრებდა, სველი თმა მოელამუნა სახეზე და რაღაც კბენის მსგავსი იგრძნო ცხვირზე; მარცხენა მკლავში უჩქმიტეს და ლოყაზეც კბილები აძგერეს მსუბუქად. მერმე ხელი უშვეს და ფრიდამ გამოაცხადა:

— აბა, ახლა სტელას ჯერია!

გაწითლებულმა და დაბნეულმა ეშერსტმა მაგიდის მეორე მხარეს მჯდარ ასევე გაწითლებულ და დაბნეულ სტელას გახედა. საბინამ ჩაიკისკისა, ფრიდამ კი შესძახა:

— აბა, ჩქარა!... თორემ სულ წახდება საქმე!

უცნაურად დაირცხვინა უცბად ეშერსტმა, მაგრამ წყნარად კი თქვა:

— ჩუმად, თქვე კინკებო!

საბინამ კიდევ ჩაიკისკისა.

— მაშინ სტელას შეუძლია თავის ხელს აკოცოს და მერმე თქვენ ამ ხელს ცხვირზე მიიდებთ. ცოტა მობრეცილი ცხვირი კი გქონიათ!

ეშერსტის განსაცვიფრებლად, ქალიშვილმა მართლაც აკოცა თავის ხელს და გამოიწოდა მისკენ. იმანაც დარბაისლურად მიიღო ლოყაზე ეს გრილი, ნატიფი ხელი. პატარებმა ტაშის ცემა ატესეს და ფრიდამ დასძინა:

— ახლა, მაშ, ჩვენ უნდა გადაგარჩიხოთ სიკვდილს ოდესმე — ეგ გადაწყვეტილი საქმეა! სტელა, ერთი ფინჯანი კიდევ დამისხი, ოღონდ არა ევრე მხეცურიად ბადი!

ჩაის სმა განაგრძეს, ეშერსტმა დაკეცა ქალაღი და ჯიბეში ჩაიღო. საუბარი ჩამოვარდა წითელის ჭირვებისა, მანდარინის და კოვზით თაფლის ჭამის, გაკვეთილებისაგან თავისუფლად ყოფნისა და სხვათა უპირატესობასა და სარგებლობაზე. ეშერსტი ჩუმად უგდებდა ყურს მუსაიდს; თან მეგობრულად გადახედადნენ ხოლმე ერთმანეთს ის და სტელა, რომლის სახემაც კვლავ მიიღო თავისი ჩვეული, ოდნავ მზედაკრული თეთრ-ვარდისფერი იერა. ეამებოდა, ასე გულიანად რომ შეითვისა იგი ამ ჩინებულმა, ხალისიანმა ოჯახმა; მოჩიბლული უშირვტდა მათ მხიარულ სახეებს. ნაჩაიევს პატარა გოგონები რომ წყალმცენარეებს აწყობდნენ გასახმობად პერბარიუმისათვის, ეშერსტმა სარკმელთან

მიმჯდარ სტელასთან გააბა ბაასი და თან მის აკვარელებს ათვალეურებდა. ყველაფერი სააშურ სიზმრად ეჩვენებოდა, მაგრამ ღრო-ყამი და ვითარება მთავონდა; მდგომარეობის სირთულემ შეაჩქევედა. ხვალ დაუბრუნდება მეგებს და მთელი ამ ამბებიდან ბავშვების უმანკო სისხლით დაჯღაბნილი, ჯიბეში ჩადებული ქალაქის ნაგლეჯის გარდა სხვა აღარაფერი შემორჩება ბავშვების? სტელა უკვე აღარ ვახლდათ: ბავშვი — მეგენის ტოლი იქნება და სიყვარულს რაჟი — აჩქარებული, ცოტა მკაცრი, ბირდაპირი და მორცხვი, თან მეგობრული და ალერსიანი — თითქოს უფრო ენაწყლიანი ხდებოდა ყმაწვილის დუმილში და მის ირვვლივ რაღაც უბიწო კდეშანოსილებისა და თავშეკავების განწყობილება სუფევდა. ნამდვილი მზეთუნახავი ვახლდათ! სადილზე, რომელზედაც ათლიღვი კვლავ არ გამოსულა, რადგან ბევრი წყალი ჰქონდა ნაყლაპი, საბინამ განაცხადა:

— ნე უნდა ფრენკი დაგეძახოთ!

ფრიდამ ხანი ნისცა:

— ფრენკ, ფრენკ, ფრენკ!

ეშერსტს გაეღიმა და თავი დაუკრა.

— რამდენჯერაც კი სტელა თქვენ ბატონ ეშერსტს გაწოდებთ, იმდენჯერ ჯარიმა უნდა გადაიხადოს. სასაცილოა „ბატონოს“ ძახილი!

ეშერსტმა სტელას გადახედა, რომელსაც ნელ-ნელა აელეწა სახე. საბინამ გადაიკისკისა, ფრიდამ შესძახა:

— სტელას ცეცხლი ეკიდება, ცეცხლი! ჰა-ჰა-ჰა!

ეშერსტი გადაწვდა მარჯვნივ და მარცხნივ და ორივეს ქერა თმები ჩაბლუჯა მუჭებში.

— ყური მიგდეთ ორივემ! — ტყვა მან. — სტელას თავი დაანებეთ, თორემ ორივეს ერთმანეთზე გადაგაბამთ!

ფრიდამ წაიბურტყუნა:

— უჰ, რა მხეცი ხართ!

საბინამ უფრო მორიდებით წაიბურტბუტა:

— თქვენ თვითონ ხომ სტელას ეძახით!

— ვითომ რატომ არ უნდა დაუძახო? ჩინებული სახელია!

— კეთილი, ჩვენ ნებას გაძლევთ!

ეშერსტმა ხელი უწვა მათ თმას. სტელა! ნეტავი რას დაუძახებს სტელა ამის შემდეგ? მაგრამ ქალს არაფერი უწოდებია, ვიდრე დაძინების წინ განგებ არ უთხრა თვითონ.

— დამე მშვიდობისა, სტელა!

— დამე მშვიდობისა, ბატონო... დამე მშვიდობისა, ფრენკ! ხომ იცით, ძალიან ვაგვიცურად მოიქეცათ დღეს!

— ოჰ, რა სათქმელია!

ქალმა სწრაფად ჩამოართვა ხელი, უცბად ოდნავ მოუჭირა და ასევე უცბად მოადუნა ხელის მოჭერა.

ეშერსტი გაუჩქარებლად იდგა ცარიელ სასტუმრო ოთახში. ჯერ კიდევ წუხელის, ქორთა, ახლადგათურჩქვნილი ყვავილების ქვეშ გულში ჰყავდა ჩაკონებული მეგენი და უკაცნიდა თვალებსა და ბაგეებს! და ყმაწვილმა გულამოსკვნით ამოიოხრა ამ ანაზღვეულ მოგონებაზე. ამაღამ უნდა დაწყებულყო ახა-

ლი ცხოვრება მასთან ერთად, ვისი ერთადერთი ნატვრა და ოცნებაც მხოლოდ მასთან ყოფნა იყო! ახლა კი ოცდაოთხმა საათმა და მეტმა უნდა განეღოს კიდევ, ვინაიდან ღრით საათზე დახედვა დააეწყდა! რატომ დაუბეგობრდა ამ უმანკოთა ოჯახს სწორედ მაშინ, როცა უმანკოებასა და ყოველივე ამისთანა ამბებთან გამოსაღმებას ეპირებოდა? „მაგრამ ხომ უნდა შეგზავნიან?“ — გაიფიქრა მან, — განა ასე არ ვუთხარი?“

ეშერსტმა აიღო სანთელი, აანთო და გაემართა თავისი საწოლი ოთახისაკენ, რომელიც პოლიდეის ოთახს იქით მდებარეობდა. მეგობრის კარს რომ ჩაუარა, პოლიდეიმ გამოსძახა:

— შენა ხარ, ფრენკ? შენოდი, თუ ძმა ხარ!
საწოლში წამომჯდარიყო, ჩიბუხს წვედა და კითხულობდა.
— ერთ წუთს ჩაიოჯექი.

ეშერსტი ღია ფანჯარასთან დაჯდა.

— ხომ იცი, ამ დღევანდელ ამბავზე ვფიქრობდი, — თქვა ანაზღად პოლიდეიმ. — ამბობენ, მაშინ მთელი შენი წარსული თვალწინ გაგიელვებსო. მე კი არაფერიც არ მჩვენებია. მგონი, ჯერ კიდევ მთლიანად არ ვიხრჩობოდი და იმიტომ.

— მაინც რაზე ფიქრობდი?

პოლიდეიმ ცოტა ხანს იყუჩა და მერმე წყნარად თქვა:

— პო, ერთი ამბავი მომაგონდა... ცოტა უცნაური... ერთი კემბრიჯელი ვოგოსი; მე შემეძლო იმასთან, ხომ იცი... და გამეხარდა, რომ მისი ცოდვა არ დავიდე. მაინცდამაინც, ძმაო, შენ უნდა გიმადლოდე, აქ რომ ვწევარ. ახლა ალბათ ზღვის ფსკერის წყედიადში ვიქნებოდი. არც ლოგინი მექნებოდა, არც თუთუნი, აღარც არაფერი. გამიგონე, როგორ ზგონია, რა გვემართება ჩვენ სიკვდილის შემდგომ?

ეშერსტმა წაიბუტბუტა:

— სანთელივით ვქრებით, მე მგონი.

— ფუჰ!

— ჩვენ ვფართატებთ და ეგებ ვცოდვილობთ ერთხანს მაინც.

— ჰმ!.. მე მგონი, გვარიანი ბნელი საქმეა ეგ. რა გითხრა! ჩემი პატარა დები ხომ კარგად მოგექცნენ?

— ძალიან კარგად!

პოლიდეიმ დადო ჩიბუხი, კისერზე შემოიჭდო ერთმანეთს გადასკვნილი ხელები და სახე ფანჯრისკენ იბრუნა.

— ურიგო ბაღლები არ არიან! — თქვა მან.

მწოდარე მეგობარს რომ უყურებდა, მის ღიმილს და სანთლის შუქის ციმციმს სახეზე, ეშერსტს გააყრგოლა. სრული ჭეშმარიტებაა! მართლაც შეიძლება წოლილიყო იგი იქ ღიმილგამჭრალი და სამარადისოდ წაშლიდა ეგ შუქიანი იერი! შეიძლება სულაც არ წოლილიყო იქ, არამედ ქვიშას დაეფარა იგი ზღვის ფსკერზე, როგორც იტყვიან, მეცხრე დღეს აღდგომისათვის ლოდინში! და პოლიდეის ეგ ღიმილი ანაზღად რაღაც სასწაულებრივად ეჩვენა, თითქოს მასში ყოფილიყო გამოხატული მთელი სხვაობა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის — მცირე აღის გაელვება და ეს არის ყველაფერი! ეშერსტი წაშოდგა და ალერსიანად გადაულაპარაკა:

— აბა, მე მგონი, ძილი გჭირდება ახლა შენ. ჩავაქრო?

პოლიდემ ხელი ხელში ჩასჭიდა.

— ხომ იცი, ვერ გამოძითქვამს და დიდი საძაგელი რამ უნდა იყოს სიკვდილი. ღამე ნებისა, ძმაო!

აღელვებულმა და გულაჩუყებულმა ეშერსტმა ხელი მოკრა — და ქვემოთ დაეშვა. მთავარი კარი ჯერ კიდევ ღია იყო და სახლებში წაწმინდად გავიდა. ძალიან ჩაბნელებულ ცის თაღში ვარსკვლავები კაშკაშებდნენ და მათ შუქზე იასამანს ყვავილების ის უცნაური ფერი ედო ღამეში, რის აწერაც არავის ძილუძს. ეშერსტმა სახე მიაყრდნო ყლორტს და დახუჭული თვალების წინაშე მეგენი წარმოადგა, გულში ჩახუტებული პაწია წაბლისფერი ლეკვითურთ. „სომაგონდა ერთი გოგო, შემეძლო მე ის... ხომ იცი! და გამეხარდა, რომ მისი ცოდვა არ დავიდე!“

ეშერსტმა თავის აქნევით პირი მოარიდა იასამანს და ბოლოთი ცემას მოკვდა ბალახზე — იგი ნაცრისფერი აჩრდილივით დადიოდა და მხოლოდ თავსა და ბოლოში მდგარი ფარნების შუქზე თუ ისხამდა ხორცს. მეგენი კვლავ მასთან იყო, ქორფა, ახლად გაფურჩქნილი, თეთრად მოქათქათე ყვავილების ქვეშ. იქვე მირაკრაკებდა ხაკადული, მთვარე ფოლადისფრად კიაფობდა საბანაო გუბეში. კვლავ განიცდიდა უმანკო, კდემამოსილი ენებით ალგზნებულ, ზეაწეულ მის სახეზე დაფრქვეულ კოცნათა ხიბლს, განიცდიდა იმ ღვთაებრივი ღამის მოუსვენარ ვნებათა დღევასა და სიღამაზეს.

ეშერსტი ერთხელ კიდევ შედგა იასამნის ბუჩქის ჩრდილში. აქაური ღამე ნაკადულის ენით კი არა რაკრაკებდა, არამედ ზღვის ენით — მისი მძიმე ხენე-შითა და შხუილით. არც წვრილი ჩიტების ხმა ისმოდა, არც ბუსი, არც თხაწოვიასი. მხოლოდ როილი ეღარუნებდა, თეთრი სახლები აჭრილიყვნენ ცაში ვეება რკალად და იასამნის სურნელი ავსებდა ჰაერს. სასტუმროს მაღლა სართულის ერთ განათებულ სარკმელში ეშერსტმა თვალი მოჰკრა ფარდის უკან. მოკრავ ჩრდილს. ფრიად უცნაური გრძნობები უფორიაქებდა გულს, თავისებური დომბალი, ორომტრიალი იდგა მის გულში, რაიც თავისთავად ერთ განცდად შეირწყა; თათქოს გაზაფხული და სიყვარული, გოგნებულნი და თავზარდაცემულნი, გამოსავალის ძებნაში სულ გაბათილდნენ და გატრიაზავდნენ. ეს ქალიშვილი, რომელმაც მას ფრენკი უწოდა და რომლის ხელმაც უცბად ოდნავ მოუქიარა მის ხელს ჩამორთმევის დროს, ეს გოგონა, ასე კდემამოსილი და უმანკო, რას იფიქრებს ასე დამთხვეული, უკანონო სიყვარულის ამბავზე?

ეშერსტი ჩაეშვა ბალახში; სახლისაკენ ზურგშექცეული, ფეხმორთხმით დაჯდა, გარინდებული, ვითარცა ბუდას ქანდაკება. ნუთუ მართლა აპირებდა უმანკოების შებლაღვისა და მოპარვას? უყნოსო ველის ყვავილს და შემდგომ ალბათ მოისროლო შორს? „მომაგონდა კუმბრიჯელი გოგო, მე რომ შემეძლო... ხომ იცი!“ ქაბუკმა ორივე ხელის გული აქეთ და იქით დააქიარა ბალახს. იგი ჯერ კიდევ ობალი იყო, ოდნავ ნესტიანი, ნაზი, ქორფა და ალერსიანი. „რა უნდა ვქნა?“ გაიფიქრა მაშ. ეგებ ახლა მეგენი იჯდა კიდევ სარკმელთან, გაპყურებდა ყვავილებით გადაპენტილ ბაღს და ოცნებობდა მასზე! საბრალო პატარა მეგენი! „მერედა რატომ? — გაიფიქრა მან. — მე მიყვარს იგი! მაგრამ განა მართლა ნამდვილად მიყვარს? თუ მხოლოდ მიზიდავს, რადგან ასე ტურფაა და მე ვუყვარვარ? რა უნდა ვქნა?“ როილი კვლავ ეღარუნებდა, ვარსკვლა-

ვები კიაფობდნენ და ეშერსტი თითქოს მოჯადოებული გაპყურებდა მის წინ გადაშლილ ჩაშავებულ ზღვას. ბოლოს წამოდგა ზესე — ფეხები დაბუჭებოდა, ცოტა შესცივნოდა კიდევ. სარკმლებში უკვე აღარსად ჩახდა შუქი. თვითონაც დასაწოლად შევიდა შინ.

ე. რ. მ. მ. მ. მ. მ.
გ. მ. მ. მ. მ. მ. მ.

8.

ღრმა, უსიზმრო ძილიდან ეშერსტი კარზე დაკაკუნებამ გამოაფხიზლა. თან წყრიალა ხმამ შემოსძახა:

— ჰეი, საუზმე მზად არის!

წამოხტა. სად იყო?.. პო!..

ისინი უკვე მურაბას შეექცეოდნენ და ცარიელ სკამზე დაჯდა სტელასა და საბინას შორის, რომელმაც ერთხანს უყურა და მერმე გადაულაპირაკა:

— რას გეტყვით! ცოტა აჩქარდით! ათის ხახვევარზე უხდა გავიდეთ!

— ბერი-ჰედს მივემგზავრებით, იმობილო, და შენც უნდა წამოხვიდე!

ეშერსტს თავში გაუელვა: „წამოვიდე? შეუძლებელია! მე ხომ უნდა ნიფთები ვიყიდო და უკან დავბრუნდე!“ სტელას შეხედა. იმანაც დასძინა:

— წამოდიო, რა!

საბინამაც კვერი დაუკრა:

— აბა უთქვენოდ რა სეირი იქნება!

ფრიდა წამოდგა და ზურგს უკან დაუღღა:

— წამოდიო, თორემ თმებს მოგწიწკნიო!

ეშერსტმა გაიფიქრა: „პოდა, კიდევ ერთი დღე მაინც იქნება მოსაფიქრებლად!.. კიდევ ერთი დღე!“ და თქვა:

— კარგი! ნუღა მომწიწკნი ფათარს!

— ვაშა!..

სადგურში მეორე დეპეშა დაწერა გასაგზავნად და მერმე ისევ დახია, თვითონაც არ იცოდა, რატომ. ბრიქსემიდან ძალიან ვიწრო კარეტი იმგზავრეს. საბინასა და ფრიდას შორის ჩაკვებებული ეშერსტის მუხლები სტელას მუხლებს ეხებოდა და თამაშითა და ლაღობით განაგრძობდნენ გზას. ეშერსტსაც გაუარა საფრიანობამ. მომხიარულდა. ამ კიდევ ერთ დამატებით მოსაფიქრებელ დღეს სულაც არათრის ფიქრი აღარ ნებავდა! ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიბილში, ჭიდაობდნენ, სეირნობდნენ ნავით, რადგან ბანაობის გული დღეს არავის ჰქონდა; მღეროდნენ ინგლისურ სიმღერებს, თამაშობდნენ და რაც წამოიღეს, ყველაფერი შესანსლეს. აქეთობას პატარა გოგონებს მის მხრებზე აქეთ-იქიდან მიყრდნობილებს ჩაეძინათ, ხოლო მუხლებით კვლავ ეხებოდა სტელას მუხლებს. დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ თცდაათიოდე საათის წინათ თვალის არა ჰქონდა დაკრული რომელიმე ამ ქერათმიანი გოგონასთვის. მატარებელში სტელას ებაასებოდა პოეზიაზე. გამოკითხა მისი საყვარელი პოეტების სახელები და ერთგვარი სასიამოვნო უპირატესობის გრძნობით გამსჭვალულმა თავისებიც მოახსენა. მაგრამ უცბად ქალმა ცოტა ხმადაბლა უთხრა:

— ფილი ამბობს, ფრენკს საიქით არა სწამსო. მე მგონი, ეს საზარელია!

დაბნეულმა ეშერსტმა დარცხვენით წაიბუტბუტა:

— არც მწამს და არც არა მწამს — უბრალოდ არ ვიცი მისი იმბავი! ქალმა აჩქარებით დასძინა:

— მე მაგას ვერ ავიტანდი. მაშინ რაღა აზრი ექნებოდა სიცოცხლეს? ეშერსტი შეპყურებდა მისი კოხტა, აბრეხილი წარბების კმუნუნას და

მიუგო:

— არა მწამს რამეების წამება მხოლოდ იმიტომ, რომ აქაოდა ასე მირჩევნიაო.

— მაგრამ აბა რატომ აქვთ კვლავ ცხოვრების წადილი, თუ ის ცხოვრება მართლა არ არსებობს? — და ჭიქურ შეხედა სახეში ჭაბუკს.

ეშერსტს არ უნდოდა გული ეტკინა მისთვის, მაგრამ თავისი უპირატესობის გამოჩენის სურვილმა მაინც შეუხიციანა და ბრძანა:

— სანამ კაცო ცოცხალია, მას ბუნებრივად სწადია, მუდამ იცოცხლოს. ეს გახლავთ სიცოცხლის დამაბასიათებელი ნიშანი. მაგრამ ეგ არის და ეგ. სხვა, ალბათ, მეტი აღარაფერია.

— მაშ საღვთო წერილი სულ არ გწამთ?

ეშერსტს თავში გაუფელვა „ახლა კი მართლა ვატყენ ალბათ გულსო!“

— მე მწამს მთაზე ნათქვამი ქადაგება, ვინაიდან იგი ყოველ დრო-ჟამს მშვენიერი და დიდებულია.

— მაგრამ ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება თუ გწამთ?

ეშერსტმა თავი გააქნია.

სტელამ მსწრაფლ იბრუნა პირი სარკმლისაკენ და ყმაწვილს უცბად გაუფელვა გონებაში მეგენის ლოცვამ, ზატარა ნიკმა რომ გაიმეორა: „უფალო, შეგვიწვალე ჩვენ ყველანი და ბატონი ეშესი!“ განა ვინ ილოცებს მისთვის ისე გულმხურვალედ, როგორც ის, ვინც ამ წუთს ალბათ ზის და ელის — ელის როდის გამოჩნდება იგი შუკაში! და მყის გაიფიქრა, რა არამზადა ვარო.

მთელ იმ საღამოს ეს აზრი უტრიალებდა თავში, ოღონდ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, უფრო და უფრო ნაკლები სიმწეავით, ვიდრე თითქმის სრულიად ბუნებრივად არ ეჩვენა ეს თავისი არამზადობა. და უცნაურია! — ვეღარ გაარჩია, რატომ იყო იგი არამზადა: იმიტომ, რომ მეგენთან უნდოდა დაბრუნება, თუ იმიტომ, რომ აღარ უნდოდა დაბრუნებოდა მას.

ვიდრე ბავშვები დაწვებოდნენ, ბანქო ითამაშეს, მერმე სტელა როიალთან მივიდა. სარკმელთან თითქმის სულ ბნელში მიმჯდარი ეშერსტი თვალს ადევნებდა ორ სახთელს შორის მოთავსებულ ქალის ფიგურას, მისი თეთრკისრიანი ჭერა თავი როგორ იხრებოდა ხელების მოქრობის შესაბამისად. სტელა მარჯველ უკრავდა, ოღონდ ცოტა შთავონება აკლდა; მაგრამ რა სურათი იყო — მჭრქალი ოქროსფერი შარავანდელი ადგა თავს ანგელოზივით! ვის მოუვლიდა დამთხვეული ფიქრები და ავხორცული ვნებანი ამ თეთრიო მისილი, ნახად მოტორტმანე, სერაფიმის მსგავსი უმანკო ქალწულის წინაშე? იგი უკრავდა შუმანის პიესას — „Warum?“¹ მერმე პოლიდეიმ გამოიტანა თავისი ფლეიტა და ხიბლიც დაირღვა. ამის შემდეგ ეშერსტი ამღერეს, ხოლო სტელა აკომპანიმენტს უკრავდა შუმანის სიმღერათა ალბომიდან. ოღონდ როცა იგი მღეროდა

¹ „რატომ?“ (გერმ.).

„Ich grolle nicht“¹, ცისფერ საღამურ პერანგში გამოწყობილი ორი პაწია ფიგურაც შემოიპარა და სცადეს როიალის ქვეშ შემალვა. საღამო დიდი ორომტრიალით და, როგორც საბინამ თქვა, „დიდებული სერიით“ დასრულდა.

იმ ღამეს ეშერსტს თითქმის სულ არ ეძინა. იგი საგონებელში იყო ჩავარდნილი, ბორგავდა, შფოთავდა და შამფურიყით ტრიალებდა ლუგენში. ამ ორი დღის ძალიან აბლო, შინაურულმა ფრთიერთობამ, ამ პოლიდეგების შემდეგმა გარემომ თითქოს სულ ჩაიპარა იგი და ფერმა და მეგენი, თვით მეგენიც კი, არარეალურად მოაჩვენა. განა მართლა ეტრფოდა მეგენს? განა მართლა დაპირდა, წაგოყვან და ჩემთან გაცხოვრებო? ალბათ გაზაფხულმა, ღვთაებრივმა ღამემ, ვაშლის გაპენტელმა ყვავილებმა თუ მოაჯადოვა იგი! ეს მაისის დამთავებულობა და სიგიჟმაყე ხომ დაღუბავდა ორთავეს! იმის ფიქრი, რომ თვითონ აპირებდა ეს წრფელი, ალალი, სათუთი ბავშვი, ჯერ კიდევ თვრამეტი წლის ასაკსაც კი მიუღწეველი, ხასად დაესვა, ახლა ერთგვარი ძრწოლით უვსებდა გულს, თუმცა სისხლი მაინც კვლავ ვნებით უღებდა და უჩქროლავდა მის მოგონებაზე. „საზარელი საქმე ჩავიდინე, საზარელი!“ — ბუტბუტებდა თავისთვის. თან შუშანის მუსიკის ბგერები თრთოდნენ, ლულუნებდნენ და ერეოდნენ მის გახურებულ ფიქრებს. კვლავ თვალწინ უღებოდა სტელას კდემამოსილი, ქერათმიანი, თეთრი ფიგურა, მისი დახრილი თავი, უცნაური ანგელოზური შარაგახდელი მის ირგვლივ: „ალბათ გავგიყდის.. ალბათ გიჟი ვარ! — გაიფიქრა მან. — რა ღამემართა? საბრალო პატარა მეგენი!“ „უფალო, შეგვიწყალე ჩვენ ყველა და ბატონი ეშესი!“ „მე მინდა, თქვენთან ვიყო... ეგ არის და ეგ. მარტო თქვენთან ვიყო!“ და, ბალიშში თავჩარგულმა, ძლივს შეიკავა ქეითინი. წაუსვლელობა საშინელება იქნებოდა! წასვლა — კიდევ უფრო უარესი!

როცა ახალგაზრდა ხარ და ვნებათა ღელვას გზას მისცემ, იგი კარგავს თავის მტანჯველობით ძალას. და ეშერსტსაც ამ ფიქრში გართულს ჩაეძინა: „რა მოხდა! — ორიოდუ ვაკოცე... ერთ თვეში ყველაფერი გადაავიწყდებაო!“

მეორე დღით ჩეკი გაანადდა, ოღონდ მომტრედისფრო-მონაცრისფრო კაბიან მალაზიას ჭირიანვით აუარა გვერდი და მის ნაცვლად თავისთვის ცოტაოდენი აუცილებელი რამ შეიძინა. მთელი დღე რაღაც უცნაურ გუნებაზე იყო, როგორღაც თითქოს საკუთარ თავზე ჯავრობდა. ორი უკანასკნელი დღის ვნებიანი წადილის ნაცვლად ერთგვარ სიტარიელეს გრძნობდა — მთელი ვნებათა ღელვა დაუცხრა, თითქოს იმ ცრემლთაღვრამ მოუშოო. ნაჩაივს სტელამ ერთი წიგნი დაუღო გვერდით და მორიდებით ჰკითხა:

— ეს წიგნი წაგიკითხავთ, ფრენკ?

ეს გახლდათ ფარარის „ქრისტეს ცხოვრება“. ეშერსტს გაეღიმა. სტელას ღელვა მისი რწმენის თაობაზე სასაცილოდ, მაგრამ გულისამაჩუყებლად ეჩვენებოდა. თან გადამღებიც იყო თითქოს, რადგან თვითონაც გულში უღიტინებდა, საკუთარი თავი მაინც გაემართლებინა, თუ თავის რჯულზე მის მოქცევას ვერ შეძლებდა. და საღამოს, როცა ბავშვები და პოლიდეი კრევეტის საჭერ ბადეებს უკირკიტებდნენ, თქვა:

— ორთოდოქსულ სარწმუნოებას ყოველთვის საფუძვლად უდევს, იმდენად, რამდენადაც მე მესმის, დაჯილდოების იდეა — თუ კარგად მოიქცევი, ესა

¹ „მე არ ვჯავრობ“ (გერმ.).

და ეს გერგებაო. ერთგვარი მოწყალების თხოვნასა ჰგავს. მე მგონი, ყველაფერი შინისაგან მოდის.

სტელა რბილ ტახტზე იჯდა და კანაფის ნაგლეჯზე ზღვაოსნურ ნასკვებს აკეთებდა. მსწრაფლ წამოიხედა და სიტყვა ჩამოართვა:

— მე კი მგონია, მაგაზე უფრო ღრმა საფუძველი უნდა მოეპოვებოდეს. ეშერსტმა კვლავ იგრძნო თავისი უპირატესობის გამოჩენის სურვილი.

— თქვენ ასე ფიქრობთ, — მიუგო მან, — მაგრამ ყველას *quid pro quo*¹ გვინდა და ყველაზე უფრო ღრმად ეს არის გამჭდარი ჩვენი! ისე კი ძალიან ძნელია ამის ჰეშმარატი საფუძვლის ჩაწვდომა!

დაბნეულმა ქალმა შუბლი შეაქმუხნა:

— რაღაც ვერ გავიგე თქვენი ნათქვამი.

ეშერსტმა ჯიუტად განაგრძო:

— პოდა, ჩაუკვირდით და დაინახავთ, მორწმუნეთა უმეტესობა თუ ისეთი ხალხი არ იყოს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ეს ცხოვრება არ ანიჭებთ ყველაფერს, რასაც ისინი ესწრაფიან. მე მწამს კეთილის ქმნა, ვინაიდან კეთილის ქმნა თავისთავად კარგია.

— მაშ მაინც ვწამთ კეთილის ქმნა?

რა ლამაზი ჩანდა იგი ახლა — მასთან კეთილის ქმნა სწორედ რომ ადვილი საქმე გახლდათ! და მან თავის ქნევით უთხრა:

— რას გეტყვით! მასწავლეთ მაგნაირი ნასკვის გამოსკვნა!

კანაფის გასკვნა-გამოსკვნის დროს სტელას თითები რომ ეხებოდა მისას, რაღაც გულს ესაღბუნებოდა და ბედნიერად გრძნობდა თავს. როცა დაწვა, ყმაწვილი განგებ განაგრძობდა ფიქრს მასზე და თითქოს თავდასაცავი რამ სამოსილო, ეხვეოდა მის ტურფა, კდეშემოსილი, დაძმური შარავანდედის სხივებში.

მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილი იყო, მატარებლით წასულიყვნენ ტოტნესს და პიკნიკი ბერი-პომროის ციხე-დარბაზში გაემართათ. წარსულის კვლავ ბეჯითად დავიწყების ზრახვით, მან, ცხენებისკენ ზურგშებრუნებულმა, თავისი ადგილი დაიჭირა ლანდოში პოლიდის გვერდით. ოღონდ მერმე, სანაპიროზე, თითქმის რკინიგზის სადგურის შესაბვევთან, კინაღამ გული ამოუფარდა საგულედან. მეგენი, თვითონ მეგენი მიდიოდა ტროტუარზე თავის ძველ კაბა-ხალათსა და ცისფერ ბერეტში გამოწყობილი და გამვლელებს სახეში აკვირდებოდა! ეშერსტმა უნებურად ხელი წაიღო მოსაფარებლად და შერძე ცრუ მოძრაობით თავი ისე აჩვენა, თითქოს თვალებიდან მტვერს იწმენდსო. მაგრამ თითებს შორის მაინც ზედავდა მას იგი ჩვეული ლალი ნაბიჯით კი არა, ლასლასით მიდიოდა; სახეზე დაბნეული, შესაბრალისი გამომეტყველება აღბეჭდოდა, როგორც საცოდავ ფინიას, რომელსაც პატრონი დაუკარგავს და აღარ იცის — წინ გაიქცეს, უკან გაბრუნდეს თუ საით წავიდეს. როგორ მოხვდა აქ?.. როგორ მოახერხა სახლიდან გამოპარვა?.. რისი იმედი ჰქონდა?.. მაგრამ ბორბლების ყოველი გადატრიალება რომ აშორებდა მეგენს, გული უბორგავდა, უკვნესოდა და უკარნახებდა, შეეჩერებინა ეტლი, ჩამომხტარიყო და დასწეოდა მას! როცა ლანდომ სადგურისაკენ შეუხვია, ეშერსტმა უკვე მეტი ვედარ გაუძლო, გააღო ეტლის კარი და წაიბურტყუნა:

¹ ლათ. ერთის ნაცვლად მეორე, ერთის მაგიერ მეორე, რაღაცის ნაცვლად რაღაც.

რალაც დაშავიწყდა... თქვენ განაგრძეთ გზა... ნუ დამიცდით! მეორე მატარებლით ჩამოვალ და შემოგიერთდებით ციხე-დარბაზში..

ამ სიტყვებით გადმოხტა ეტლიდან, წაიბორძიკა, კინალამ წაიქცა. წინასწორობის შენარჩუნება მაინც მოახერხა და გამოჩრუნდა უკან; ეტლმა კი განაგრძო გზა სახტად დარჩენილი პოლიდეებითურთ.

კუთხეში რომ მოუხვია, მხოლოდ შორსლა მოჰკრა თვალისმეგნისკენ მერსტმა რამდენიმე ნაბიჯი გაიბრინა, მერმე თავი შეიკავა და ჩვეულებრივ სიარულზე გადავიდა. რაც უფრო უახლოვდებოდა მეგენს და შორდებოდა პოლიდეებს, მით უფრო და უფრო უნებლად ნაბიჯს. რას შესცვლიდა მისი ნახვა? როგორ უნდა მოეხერხებინა, რომ რაც შეიძლებოდა ნაკლებ საძაგლად გამოსულიყო. მასთან შეხვედრა და ახსნა-განმარტება? ვინაიდან ახლა რალა დასამალი გახლდათ — პოლიდეებთან შეხვედრის შემდგომ უკვე თანდათან დარწმუნდა, რომ მეგენს ვეღარ შეირთავდა. ეს იქნებოდა მხოლოდ სატრფიალო დროსტარება. მტანჯველი, სინდისის მქენჯნავი, მიძიმე ხანა და მერმე, მერმე კი მობეზრდებოდა, სწორედ იმიტომაც, რომ მეგენი მას ყველაფერს სწირავდა, ასე ალალი, ასე წრფელი, ასე ერთგული, ასე ქორფა. და სიქორფავეც ხომ წარმავალია!

მეგენის გაცრეცილი, ცისფერი ბერეტი წინ, შორს კიაფობდა პატარა ლაქასავით. იგი ყველას სახეში შეჰყურებდა და ყველა სახლის სარკმელში იხედებოდა. ნუთუ ვინმეს კიდევ განუცდია ასე მიძიმე წუთები? ეშერსტი, როგორც არ უნდა მოქცეულიყო, მაინც პირუტყვულად გამოუვიდოდა და ისე გულამოსკენით ამოიკვნესა, რომ ვიღაცა პირისფარეშმა ქალმა მოხედა და თვალი დააშტერა. ყმაწვილმა დაიხახა, მეგენი რომ შედგა, სანაპიროს მოაჯირს დაეყრდნო და ზღვას დაუწყო ცქერა. თვითონაც შეჩერდა. ფრიად შესაძლოა, გოგონას არც ვხილა ზღვა მანამდე და თვით ზღვით შემაჭირვებულ ყოფაშიც ვერ მოსწყვიტა მას თვალი. „პო, მას ხომ არაფერი უნახავს, — გაიფიქრა მან, — ყველაფერი ჯერ კიდევ წინა აქვს. და ორითღე ვნებიანი კვირასათვის ნაფლეთებად უნდა ეუქციო მთელი ცხოვრება. ამის ჩადენას თავის ჩამოხრჩობა მიჩვენია!“ თან უცბად, თითქოს სტელას მშვიდმა თვალებმა ჩახედეს თვალებში, და ხივისაგან შუბლზე ჩამოშლილი მისი ფაფუკი ქერა თმა წარმოუდგა. თქ, ეს ხომ სიგიჟე იქნება, ეს ხომ ყოველივე იმაზე ხელის აღებას ნიშნავს, რასაც იგი აქამდე პატივს სცემდა და საკუთარი თავის პატივისცენასაც ხომ კარგავდა! ჭაბუკი მოტრიალდა და სასწრაფოდ მიაშურა სადგურს. მაგრამ კვლავ დასძალა იმ საცოდავი, გაოგნებული პატარა ფიგურის მოგონებამ, იმ დაფეთებულმა თვალებმა, გამვლელთ რომ დაკვირვებით შესცქეროდა სახეში, და ეშერსტმა ერთხელ კიდევ იბრუნა პირი ზღვისაკენ. გოგონას ქუდი აღარსად ჩაიდა — პაწია ცისფერი ლაქა გაუჩინარდა შუადღის მოსეირნეთა ნაკადში და მას ანაზღად უბიძგა იმ თავდაუჭერელმა სურვილმა, რომელიც კაცს უჩნდება ხოლმე, როცა ეჩვენება, რომ ცხოვრება რალაცას სტაცებს ხელიდან და იგი გაქანდა წინ. მეგენი აღარსად ჩანდა. ნახევარ საათს მაინც ეძება იგი აქეთ-იქით და მერმე სანაპიროზე თავდაღმა ჩაემხო ქვიშაში. ჩინებულად იცოდა, რომ მის საპოვნად მხოლოდ სადგურზე გასვლა და დაცდა იყო საჭირო, ვიდრე ქალი დაბრუნდებოდა თავისი უნაყოფო ძიებიდან, რათა შინ დაბრუნებულიყო მატარებლით; ანდა თვითონვე უნდა ჩამჯდარიყო მატარებელში, ჩასულიყო ფერმაში და როცა მეგენი დაბრუნდებოდა, იქ დახვედროდა. მაგრამ ყმაწვილი ურ-

რავად იწვა ქვიშაში პაწია ნიჩაბ-ვედროებიანი, უდარდელი ბავწევების გუნდებს შორის. მეგენის სახეებისადმი სიბრალოული თითქმის შთანთქა და გააბათილა მისი სისხლას გაზაფხულურმა დუღილმა, ვინაიდან ახლა უკვე მთლიანად გახელებულმა ვნებათა დელვამ შეიპყრო იგი — წინახდელი რაინდობა სადღაც გამქრალიყო.

ეშერსტს კვლავ სწყუროდა იგი, სწყუროდა მისი კოცნა, მისი ნაწი, სათუთი, პატარა სხეული, მისი თავდავიწყება, მთელი მისი გახელებული, მხურვალე, პირველყოფილი გრძნობიერება; სწყუროდა იმ საოცარი, მოძალოებელი ღამის განცდა, მთვარის ვერცხლისფერი შუქათ აციაგებული, გაპენტილი ვაშლის რტოების ქვეშ; სწყუროდა ყველაფერი ეს საშინელი ძალით, ვითარცა ფაფნუსს სწყურია ნიმფა. პატარა, გამკამა კალმახიანი მდინარის სწრაფი რაკრაკი, ბაიების თვალისმომჭრელი ბზინვა, „ავი სულების“ კლდეები; გუგულეზის „გუ-გუ“, კოდალების კაკუნი, ბუების კვილი; ხავერდოვანი წყვილიადიდან წითელი მთვარე რომ იტყვიტებოდა თეთრად გადაპენტილ ქორთა ყვავილებში; მისი თავდავიწყებული სიყვარულით გაშუქებული სახე, სარკელიდან ძირს გადმოხრილი; ქალწულის მკერდი მის მკერდს ჩაკონებული, ხოლო ბაგე ბაგეს შეწებებული, ბებერი ვაშლის ხის რტოებს ქვეშ — ყოველივე ეს შემოეჭიდა გულზე. მაგრამ ეშერსტა მაინც გაუნძრევლად იწვა. რა ებრძოდა მასში ამ სიბრალოულსა და გახელებულ წყურვილს და რა აჯაჭვავდა უძრავად ამ გახურებულ ქვიშას? სამი ქერათმიანი თავი; ალერსიანი, ცისფერ-მონაცრისფრო თვალებიანი სანდომიანი სახე; ნატიფი ბული, მისას რომ უჭერდა, აჩქარებით ნათქვამი მისი სახელი და — „მაშ სიკეთე ზომ გწამთ?“ ღიახ ეს და ის თავისებური გარემო, გალავანშემოვლებულ, მიხაკებიან, ღიღილოებიან, ვარდნარიან, ლავანდისა და იასამნის სურნელებში გაელენილ ძველებურ ინგლისურ ბაღში რომ სუფევს — გრილი, ზომიერი, თავშეკავებული, ლამაზი, უბიწო, თითქმის წმინდა გარემო — ყოველივე ის, რასაც პატარაობიდანვე შეეზარდა, ვითარცა, მისი გრძნობით, სუფთასა და კარგს. და უცბად თავში დასცეცხლა: „ხომ შეიძლება კიდევ გამოიაროს სანაპიროზე და დამინახოს!“ ამიტომ მსწრაფლ წამოხტა და შორს, სანაპიროს ბოლოს მდებარე კლდეს მიაშურა. აქ, ზღვის ზვირთების მხეფების ქვეშ, უფრო გულდინჯად შეეძლო ფიქრი.

დაბრუნებულიყო ფერმაში და ყვარებოდა მეგენი იმ ტყეებსა, კლდეებსა და მთელ იმ ველურ, პირველყოფილ გარემოში! ეს, ჩინებულად იცოდა, სრულიად შეუძლებელი იყო. წამოეყვანა იგი, ეს ბუნების ნამდვილი შვილი, დიდ ქალაქში და ერთ პატარა ბინაში, ახ ნაჭირავებ ოთახებში გამოეკეტა! — ესეც, ვითარცა პოეტს, თავზარსა სცემდა — მისი სიყვარული უბრალო, ვნებიანი, მსწრაფლ წარმავალი გატაცება იქნებოდა. ლონდონში სწორედ ეს უბრალოება, გულწრფელობა, მოკლებული ყოველგვარ ანტელექტუალურ წვრთნას, მხოლოდ ფარულ სათამაშოდ, თოჯინად აქცევდა მეგენს და მეტი არაფერი. რაც უფრო დიდხანს იჯდა კლდეზე, ზღვის მოშწვანო ტალღებისაკენ ფეხებგადაშვერილი, მით უფრო მკაფიოდ ჭვრეტდა ყოველივე ამას. მაგრამ ისე უჩვენებოდა, თითქოს მეგენის ხელები და მთელი მისი არსება უსხლტებოდა ნელ-ნელა ხელიდან და მორევში იკარგებოდა, რათა მერმე შორს, ზღვაში შთანთქმულიყო და მისი ზეაწვეული, მისკენ მოქცეული სახე, მისი დაბნეული სახე და ვედრებით მიპყრობილი თვალები, შავი, სველი თმა ეუფლებოდნენ, სდევნიდნენ, სტანჯავდ-

ნენ ჭაბუკს! ბოლოს წამოდგა, გადალახა დაბალი კლდე და ძირს ჩავიდა მოთარებულ ყურეში. ეგებ ზღვაში მაინც დაებრუნებინა სულის მშვიდობა; მოეშორებინა ეს შეშალონებელი ეივბ-ცხელება! გაიხადა და შეცურდა წყალში უნდოდა. ისე დადლილიყო, რომ აღარათვის გასაგისი აღარ ჰქონოდა და თავდავიწყებით მისცურავდა სწრაფად და შორს. მერმე უცბად, უძიხეზოდ შიში იგრძნო — ვთქვათ, ვედარ მოაღწიოს ნაპირს; ვთქვათ, მდინარეებში... ვთქვათ, ანდა გრუნჩხვა დაემართოს პოლიდეისავით! იბრუნა პირი და ნაპირს მოაშურა. წითელი კლდეება შორს, შორს ეჩვენებოდა. თუ დაიხრჩობოდა, მის ტანსაცმელს იპოვნინდნენ. პოლიდეები შეიტყობდნენ, მეგენი კი ალბათ ვერასოდეს ვერას გაიგებდა — ფერმაში ხომ არ იღებდნენ გაზეთებს! და ფილ პოლიდეის სიტყვები მოაგონდა კვლავ: „ერთი კემბრიჯელი გოგო, შეიძლებოდა, რომ... ხომ იცი... განეხარდა, რომ მისი ცოდვა არ დავიდეს!“ და ამ ანგარიშმიუცემელი, უძიხეზო შიშის ქამს ეშერსტმა დაიფიცა, მეგენის ცოდვას არამც და არამც არ დავიდებო. მერმე ამ შიშმა გაუარა, საკმაოდ იოლად გაცურა ნაპირზე, გაშრა მზეში და ჩაიცვა. გული უკვნესოდა, მაგრამ ტკვილით კი აღარ სტკიოდა; სხეულიც გაუგრილდა და მეტი მხნეობა იგრძნო.

როცა კაცი ეშერსტივით ახალგაზრდაა, სიბრალულის გრძნობა მძლავრად ვერ იკიდებს ფეხს მის გულში. და, პოლიდეების სასტუმრო ოთახში დაბრუნებული, მეგელივით დაიკბრა ჩაის. იგი ძალიან ჰგავდა დიდ ცივ-ცხელებისაგან გამომჯობინებულ ადამიანს. ყველაფერი ახლად და ნათლად ეჩვენებოდა. ჩაის, კარანფასმულ გაფიცებულ პურს, მურაბას საოცრად კარგი გემო ჰქონდა; არც მის დღეში მოუწევია ასე სურნელოვანი თამბაქო. მოჰყვა ცარიელ ოთახში სეირნობას — ხან აქ შეჩერდებოდა, ხან იქ; სინჯავდა ნივთებს, ათვალერებდა. ხელში აიღო სტელას სახელსაქმო კალწით; თითები შეახო ძაფის კოჭებსა და ჭყეტელაფერებიან საქარგავი აბრეშუმის შულოს; დაყნოსა ჩიტისთვალათი ავსილ პატარა პარკს, სტელას რომ თავის ნივთებს შორის ჩაედო. მიუჯდა როიალს და მოჰყვა ცალი თითით დაკვრას, თან ფიქრობდა: „ამბლამ სტელა დაუკრავს, მე კიდევ ვუყურებ, როცა ის დაუკრავს; მიყვარს, როცა ვუყურებ ხოლმე!“

ხელში აიღო ის წიგნი, რომელიც კვლავ იქ იდო, სადაც სტელამ დაუდო, და სცადა წაეკითხა. მაგრამ მუის მეგენის პაწია, სევდიანი ფიგურა დაუდგათვალწინ. ეშერსტი წამოდგა, გადაეყუდა ფანჯარაში, ყური მიუგდო სახლების წინ გაშენებულ ბაღში მოჭაბჭახე შაშვებს და დაუწყო ცქერა ხეებს იქით გადაშლილ მთვლემარე ლურჯ ზღვას. ფარეში შემოვიდა, ჩაის სუფრა აალაგა, ყმაწვილი კვლავ იქვე იდგა, ისუნთქავდა საღამოს პაერს და ცდილობდა არაფერზე ეფიქრა. მერმე ჭიშკარში შემოსულ პოლიდეებს მოჰკრა თვალი. სტელა ცოტა წინ მოდიოდა, უკან ფილი და ბავშვები მოსდევდნენ თავიანთი კალათებითურთ. ეშერსტი ინსტინქტურად მოაწყდა უკან. ისე სტკიოდა და ისე წამბდარი ჰქონდა გული, რომ უფრთხობდა მათთან შეხვედრას, თანაც ენატრებოდა მათი მეგობრული ნუგეში. ბოლმა უტრიალებდა გულში ამ ალერსიანი გავლენის წინააღმდეგ და თანაც ელტვოდა მის კდემამოსილ უმანკობასა და სტელას მომხიბლავი სახის ჭვრეტის სიამოვნებას. როიალის უკან, კედელთან აყუდებულმა დაინახა, როგორ შემოვიდა იგი ოთახში და, თითქოს იმედგაცრუებულს, ცოტა წყენაც დაეტყო. მერმე, ეშერსტს რომ მოჰკრა თვალი, მსწრაფლ შუქიანი

დიპილი შემოაგება, რომელმაც კიდევ მოუსალბუნა გულს და კიდევ გააღიზიანა ყმაწვილი.

— რატომ აღარ დაგვეწიეთ, ფრენკ?

— არა, ვედარ მოგახერხე!

— შეხედეთ, რა კარგი გვიანი იები დავკრიფეთ! — და ქალმა პატარა თავი გული გაუწოდა.



ეშერსტმა უყნოსა და ბუნდოვანმა ვნებამ გაუარა გულში, რომელიც გაუნელა მეგენის გაოგნებულმა სახემ, გამვლელ-გამომვლელთ რომ დაკვირვებით შეჰყურებდა თვალეზში.

ეშერსტმა მიუგდო, „რა კარგიაო!“ და პირი იბრუნა მისგან; გაემართა თავისი ოთახისკენ, თავი აარიდა ზემოთ ამომაეალ ბავშვებს, თავდადმა ჩაემსო ლოგინში და დიდხანს იწვა სახეზე ხელემაფარებული. ახლა, რაკი გრძნობდა, რომ წილი უკვე ნაყარი იყო და მეგენი განწირული, მას შესძულდა თავისი თავი, თითქმის შესძულდა პოლიდეებიც და მათი ჯანსაღი, ბედნიერი, ინგლისური ოჯახის ატმოსფეროც. რაღა ისინი გადაეყარნენ აქ, რათა პირველი სიყვარული წაერთმიათ მისთვის, რათა დამტკიცებინათ მისთვის, რომ იგი უბრალო შაცთუნებლის გარდა სხვა არა იყო რა. რა უფლება ჰქონდა სტელას თავისი სანდომიანი, კდემამოსილი სიმშვენიერით ბეჯითად შთაეგონებინა, რომ ის მეგენის შემრთველი არ იყო; დაეჩრდილა ყველაფერი და წილად ერგუნებინა ასე მწარე სინანულის გრძნობა და ასეთი სიბრაღული? მეგენი ახლა შინ იქნებოდა უკვე, სავალალო ძიებით ქანცმისხდილი. საბრალო პატარა გოგონა! — ვინ იცის, ელოდა, რომ დავბრუნდები, შინ დამხვდებო. ეშერსტმა სახელოს მოსჭიდა კბილები, რომ სინდისის ქენჯნისა და ბოდმისაგან გამოწვეული კენესა ჩაეხშო. სადილად პირმოღუშული და მდუმარე ჩავიდა და მისმა დაღვრემილობამ თვით ბავშვების გუნებაზეც იქონია გავლენა. მოწყენილი, შემადონებელი საღამო გაატარეს, რადგან ყველანი დაღლილები იყვნენ. ეშერსტმა რამდენჯერმე შენიშნა, სტელამ რომ გულნატკენად, შეშფოთებით გადმოსედა და ვაბოროტებულ გულზე ეს ეამა. უგეშურად ეძინა. ადრე ადგა და სახეტილოდ გამოვიდა გარეთ. სანაპიროსკენ დაუყვა. წყნარმა, ლურჯმა, მზის სხივებით გაშუქებულმა ზღვამ ცოტა მოუფონა გულს. თავმომწონე, მედიდური ტუტუცი! — რატომ ჰგონია, რომ მეგენი ასე სასტიკად განიცდის ამ ამბავს? ერთ ან ორ კვირაში თითქმის სულაც გადაავიწყდება! თვითონ კი, თვითონ ჯილდოს მიიღებს სიქველისათვის! კეთილშობილი ყმაწვილი! სტელამ რომ იცოდეს, დალოცავდა, წინ რომ აღუდგა იმ ეშმაკს, რომელიც მას სწამდა, და მწარედ გაეციხა. მაგრამ ნელ-ნელა ზღვისა და ლავარდის სიმშვიდემ და სიმშვენიერემ, ეული თოლიების ნავარდმა, სინდისის ქენჯნა აგრძნობინა. იბანავა და შინისაკენ გაბობრუნდა.

ბაღში, დასაკეც სკამზე სტელა იჯდა და ხატავდა. ეშერსტი უკნიდან მიეპარა. რა ტურფა და ლამაზი ჩანდა, ბეჯითად დაბრილი, შუბლშეჭმუხვნილი, ფუნჯით რომ ზომავდა და ვარაუდს იჭერდა.

ეშერსტმა წყნარად ჩაულაპარაკა:

— ბოდმის ვიხდი, ისე მხეცურად რომ ვიქცეოდი წუხელის, სტელა.

სტელამ მოიხედა, შეკრთა, აელანძა სახე და თავისებური აჩქარებით მიუგო:

— რა სათქმელია! მივხვდი, რაღაც გაწუხებდათ. მეგობრებს შორის ამას რა მნიშვნელობა აქვს!..

ეშერსტმა სიტყვა ჩამოართვა:

— მეგობრებს შორის... და ჩვენ ხომ დიხხაც მეგობრები ვართ?

ქალმა შემოხედა, ენერგიულად დაუქნია თავი და მისმა ზემო კბილებმა კვლავ მსწრაფლ გაიღვეს შუქიან ღიმილში.

სამი დღის შემდგომ ეშერსტი პოლიდეებთან ერთად დაბრუნდა ლონდონში. ფერმაში აღარაფერი მიუწერია, ანდა რა უნდა მიეწერა?

მომდევნო წლის აპრილის ბოლოს მან და სტელამ იქორწინეს...

აი, ეს მოაგონდა ლობესთან კურდღლისცოცხებში მიმჯდარ ეშერსტს თავისი ვერცხლის ქორწინების დღეს. სწორედ ამ ადგილას, სადაც ახლი საუზმე გაშალა, უნდა მდგარიყო ზეცის ლაქვარდის ფონზე გამონაკეთული ნეგენა, როდესაც პირველად მოჰკრა მას თვალი. რა საკვირველი დამთხვევა ხდება ხოლმე! და უცბად ძალიან მოუხდა, ჩასულიყო და კვლავ მოენახულებინა ფერმა, ბაღი და ბოშას აჩრდილიანი შინდორი. არც დიდი ხანი მოუხდებოდა ამას; სტელას კი, ალბათ, ერთ საათს მაინც კიდევ შეაგვიანდება!

რა კარგად ახსოვდა ყველაფერი: ფიჭვების აქორჩილი პატარა კორთმე და უკან ბალახიანი ბორცვი! ფერმის ჭიშკართან შედგა. ქვიტკირის დაბალი სახლი, ურთხლების ხეივანი, აყვავებული მოცხარი! — იოტასოდნად არაფერი შეცვლილიყო. ძველი მწვანე სკამიც კი ძველებურად იდგა ბალახში ფანჯრის ქვეშ, საიდანაც იმ დამეს ხელი მიაწვდინა მეგენს გასაღების ჩამოსართმევად. მერმე დაუყვა შუკას და ბაღის კარს მიეყრდნო — მაშინდელივით რუხ კარს. ხეებშიაც შავი ღორი დაბორიალობდა. ნუთუ მართლა ოცდაექვსი წელიწადი გავიდა, თუ სიზმარში იყო და ახლა გამოეჩინა, რათა დიდრონი ვაშლის ხის ქვეშ მომლოდინე მეგენს შეხედეს? უნებურად ხელი ასწია, შეჭადარავებულ წვერზე მოისვა და კვლავ ახლანდელ სინამდვილეს დაუბრუნდა. შეალო კარი, ღოლოსა და ჭიშკარში გაიკვლია გზა მდინარის ნაპირისაკენ და თვით იმ ბებერ ვაშლის ხეს მიადგა. არც ის შეცვლილიყო! ცოტა უფრო მეტი მონაცრისფრო-მომწვანო ქარაგოზა მოსდებოდა, ერთი-ორი გამბზარი ტოტი გამოჩნებოდა, სხვა მხრით კი თითქოს წუხელის იყო, მეგენის გაქცევის შემდგომ რომ ეხვეოდა მის ხავსიან ღეროს და იყნოსავდა მის ტყიურ სურნელს, ხოლო მის თავზე თითქოს სუნთქავდნენ და ფეთქავდნენ მთვარის შუქდაფრქვეული ვაშლის ყვავილები. ამ ადრიან გაწაფხულზეც უკვე გაფურჩქნილიყო რამდენიმე კუკური, შაშვეები ჭახჭახებდნენ, გუგულები „გუ-გუს“ გაიძახოდნენ, მზე კაშკაშებდა და აცხუნებდა. დაუფერებლად იგივე გახლდათ ყველაფერი — მოჩუხჩუხე, კალმახიანი პატარა მდინარე; ვიწრო გუბე, სადაც ყოველ დილით წვებოდა და გვერდებსა და მკერდზე ისხამდა წყალს; მდინარის გაღმა გაშლილ შინდორში წიფლნარის კორთმი და ლოდიც აქვე იყო, სადაც, ამბობდნენ, ბოშას აჩრდილი იჯდა ხოლმე; და გარდასული სიყმაწვილის ვნებათა დღევის, გამჭრალი სიყვარულისა და სილამაზის მტკივნეული სევდა მოაწვა ყელში ეშერსტს. ამ პირველყოფილი, ველური სილამაზის საუფლოში სწორედ უნდა შეენარჩუნებინა კაცს ის ხიბლი, როგორც ამ მიწამ და ზეცამ შეინარჩუნა იგი!.. მან კი ვერ მოახერხა!

ჩავიდა მდინარის პირას, დახედა პატარა გუბეს და გაიფიქრა: „სიჭაბუკე და გაზაფხული!.. ნეტავი რა დაემართა ყველა მათ?“ და მერმე უცბად შეეშინდა, ეს წმინდა მოგონებანი ადამიანების შეხვედრით არ წამებრილწოსო; კვლავ შეუყვია შუკას და, ფიქრებში გართული, დაუბრუნდა გზაჯვარედინს.

აგტომანქანის გვერდით ვიღაც მოხუცი, ჭალარაწვეწონისნაგლეჩი დაყრდნობდა ჯოხს და შოფერს ელაპარაკებოდა. ეშერსტის მხანღოქმბსუ ზერიკაცმა მყის შეწყვიტა ლაპარაკი, თითქოს მობოდიშებით ქუდზე ხელი მიიღო და დააპირა კოჭლობით განეგრძო გზა.

ეშერსტმა პატარა, მოგრძო მწვანე ბორცვზე ანიშნა:

— ხომ არ შეგიძლიათ, მითხრათ, ეს რა არის?

მოხუცი შეჩერდა. სახეზე ისეთი გამომეტყველება დაემჩნა, თითქოს ფიქრობდა: „ბატონო, სწორედ რომ შესაფერ კაცსაც ჰკითხეთო!“

— სამარე გახლავთ! — მოახსენა მან.

— მერმე აქ რატომ არის?

ზერიკაცს გაელიმა:

— ეგ, ასე ვთქვათ, მთელი ამბავია და არც პირველად ვყვები — ბევრი კითხულობს მაგ ბალახიანი ბორცვის ამბავს! აქაობაში „გოგოს სამარეს“ ვეძახით მაგას.

ეშერსტმა სათუთუნე ქისა გაუწოდა.

— გაიტენეთ ჩიბუხი!

მოხუცმა კვლავ ქუდზე მიიღო ხელი და დინჯად აივსო თიხის ძველი ყალიბი. მრავალ ნაოჭსა და ბანჯგვლებში გამომშირალ მის თვალებს ჯერ კიდევ არ მოჰკლებოდა გამჭრიახობა და სიმკვირცხლე.

— თუ არ გეწყინებთ, ბატონო, ჩამოვჯდები, — დღეს ცოტა მიკვნების ფეხი! — და ბალახიან სამარესთან დაჯდა.

— ამ სამარეზე ყოველთვის არის ხოლმე ყვავილები და არცთუ სულ მარტოკაა მიტოვებული. ბევრი ხალხი მიდი-მოდის ახლა თავიანთი ახალი მანქანებით და რაგინდართი... ძველად რომ იყო, ისე კი აღარაა! აღარც ეს გოგონაა აქ მარტოდ. საცოდავმა თვითონ კი მოიკლა თავი!

— რას ბრძანებთ! — შესძახა ეშერსტმა. — გზაჯვარედინზე დასაფლავება! არც კი ვიცოდი, თუ ეს წეს-ჩვეულება აქამდე იყო შემორჩენილი.

— თქ, ეს ხომ კარგა დიდა ხნის წინათ მოხდა! მაშინ ძალიან ღვთისმოშიში მღვდელი გვყავდა. მოშითმინეთ! მთავარანგელოზობას მეექვსე წელი შემისრულდა, რაც პენსიას ვიღებ და მე მაშინ სწორედ ორმოცდაათისა ვიყავი, ეს ამბავი რომ მოხდა. აღარავინ არ არის ისეთი, რომ ჩემოდენი იცოდეს ამ ამბისა. ის გოგონა აქვე ახლოს ცხოვრობდა, ერთ ფერმაში, სადაც მეც ვმუშაობდი ხოლმე ქალბატონ ნარაკუმთან — ახლა ნიკ ნარაკუმს ეკუთვნის იგი. ცოტ-ცოტას ახლაც წავაშველებ ხოლმე ხელს იმასაც.

ჭიშკარს მიყრდნობილ ეშერსტს, ჩიბუხს რომ უკიდებდა, მოხრილი ხელები დიდხანს ისევე სახეზე მიფარებული შერჩა ასანთის ჩაქრობის შემდგომაკ.

— მერმე? — ჩაეკითხა იგი და თვითონაც ეუცნაურა თავისი ხრინწიანი ხმა.

— ის საცოდავი ისეთი გახლდათ, ასში ერთი თუ გამოერევა მისთანა! ყოველ გავლაზე ყვავილს ვღებ ხოლმე მის საფლავზე. ლამაზი და კარგი გოგონა

იყო, თუმცა ეკლესიის სასაფლაოზე მაინც არ დაკრძალეს და არც კიდევ იქ, სადაც თვითონვე სურდა დაკრძალულიყო.

ბერიკაცი შედგა და ბანჯგვლიანი, დაჯირჯვლებული ხელი გადაუსვა ბაღა-
ხიან ბორცვს მაჩიტას ყვავილების გვერდით.

— შერმე? — წართქვა ეშერსტმა.

— სიმართლე რომ ვთქვათ, — განაგრძო მოხუცმა, — მე შგონს, ნსიუგნარუ-
ლის ბრალი იყო; თუმცა ბეჯითად ვერაფერ ვერას იტყვის. ვერ განმარტობთ,
თავში რა უტრიალებს ქალიშვილს, მაგრამ მე კი მგონია, რომ ასე გახლდათ
საქმე. — მან კიდევ გადაუსვა ხელი სამარეს. — ძალიან მიყვარდა ეს გოგონა
და არც არავინ ვიცი ისეთი, რომ არ ყვარებოდა. მაგრამ თვითონაც ძალიან
მოყვარული გული ჰქონდა — აი, რისი ბრალი იყო, მე მგონი.

ბერიკაცმა თავი ასწია და ეშერსტმა, რომელსაც წვერ-ულვაშით დაფარუ-
ლი ბაგეები უთრთოდა, კვლავ წიბუტბუტა:

— შერმე?

— ეს ამბავი გაზაფხულზე მოხდა, დაახლოებით ამ დროს, ანდა ცოტა
უფრო გვიან... ყვავილობის ეპოს... მაშინ ერთი ახალგაზრდა სტუდენტი იღვა
ჩვენთან... ჩინებული ყმაწვილი იყო, კარგი თვალტანადი. ძალიან მომწონდა და
არც არაფერი ურიგო შემიმჩნევია მათ შორის, მაგრამ, ჩემის ჭკუით, იმან დაას-
ხა თავბრუ გოგონას.

ბერიკაცმა ჩიბუხი პირიდან გამოიღო, გააფურთხა და ისევ განა-
გრძო:

— ხომ იცით, ის ყმაწვილი უცბად გაემგზავრა და აღარც დაბრუნებულა.
მისი ზურგჩანთა და რაღაც-რაღაცეები ახლაც აქა აქვთ. აი, ეს მეცა თვალში—
თავისი ნივთები აღარც აღარასოდეს მოუკითხავს! გვარად ეშესი თუ რაღაც
ამის მსგავსი გახლდათ.

— შერმე? — ერთხელ კიდევ შეეხმაურა ეშერსტი.

მოხუცმა გამშრალი ტუჩები მოილოკა.

— თვითონ გოგონას კრინტი არასოდეს დაუძრავს, მაგრამ იმ დღიდან და-
რეტიანებულივით დადიოდა; თითქოს სულ აღარ იყო თავის ჭკუაზე. ჩემს სი-
ცოცხლეში... ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასე ადამიანის შეცვლა! ფერმაში
კიდევ ერთი სხვა ყმაწვილი გახლდათ — ჯო ბიდეფორდი ერქვა; იმასაც ძალიან
უყვარდა საწყალი და, მე მგონი, გულს უწყალებდა თავისი არშიყობით. გოგონა
სულ გადაირია. ხანდახან საღამოობით ვხედავდი, როცა ხბოებს მოკრეკდი
ხოლმე შინ — იღვა ბაღში დიდი ვაშლის ქვეშ და გამოშტერებული იყურებო-
და შინ. ჰოდა, ვიტყოდე ხოლმე გულში: „არ ვაცი, რა დაგემართა, მაგრამ სწო-
რედ საცოდავად კი გამოიყურები-მეთქი!“

მოხუცმა კიდევ მოუკიდა ჩიბუხს და ფიქრებში წასული შეუდგა წევას.

— შერმე? — ჩაეკითხა კვლავ ეშერსტი.

— მახსოვს, ერთ დღეს ვკითხე კიდევ: რა დაგემართა-მეთქი, მეგენ? —
შისი სახელი და გვარი მეგენ დევიდი გახლდათ; იგი დეიდამისივით, მოხუცი
ქალბატონ ნარაკუმივით, უელსელი იყო. რაღაც გაწუხებს-მეთქი, ვუთხარი.
„არა, ჯიმ, — მითხრა, — არაფერიც არ მაწუხებსო“. „არა, გაწუხებს-მეთქი!“ —
ვუთხარი. „არაო!“ — ამბობს და ცრემლები კი დაპალუბით ჩამოსდის სახეზე.
„აი, სტირი! მაშ რაღად სტირი-მეთქი?“ — ვეუბნები. ის კიდევ გულზე იღებს

ხელს და მეუბნება: „აი, აქა მტკიცეა, მაგრამ მალე უკეთ ვიქნები, თორღ თუ რამე დამემართა, ჳიმ, მინდა სწორედ ამ ვაშლის ძირში დამმარხობო“. მე გამეცინა: „რა უნდა დაგემართოს, ნუ სულელიობ-მეთქი!“ „არა, მე სულელი არა ვარო“, — შითხრა. ჰოდა, ვიცი მე გოგონების აშბავი და აღარც მიმიქცევია ამისთვის ყურადღება. მაგრამ ორი დღის შემდეგ, დაახლოებით სულელების ეჭვს საათზე, ხბოებს რომ მოვერეკებოდი შინისკენ, იმ დიდი ვაშლის ახლოს წყალში რაღაც შავი შევნიშნე. გულში გავიფიქრე: თუ ღორია, აქ რა ჯანდაბამ შეიყვანა-მეთქი. ახლოს მივედი, და ვნახე, რაც იყო.

ბერიკაცი შეჩერდა, თავა აიღო. გატანჯული, სევდიანი თვალები უპრი-
ალებდა.

— ის გოგონა გახლდათ. ვიწრო, პატარა გუბეში იწვა კლდესთან, სადაც მინახავს, ის ყმაწვილი ერთი-ორჯერ რომ ბანაობდა. თავდაღმა იწვა წყალში. სწორედ მას თავთან კლდიდან ბაიები იყვნენ გადმოკიდებულნი. და რაცა მი-
ვედი და დავხედე, სახე ისე სანდობიანი, ღამაში ჰქონდა, ისე უმანკო, როგორც ბაღდს... საოცარი ღამაში რამ იყალ ექიმმა რომ გასინჯა, თქვა: ამ პატარა წყალ-
ში არამც და არამც არაფერი დაემართებოდა, რომ აღგზნებული არ ყოფილი-
ყოო. ჰოდა, მისი სახის გამომეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აგრეც უნდა მომხდარყო. პირდაპირ ტირილი წამსკდა, ისე ღამაში რამ იწვა! მაშინ ივნისი იდგა, მაგრამ მაინც საღდაც ეპოვნა ვაშლის ყვაილის პაწია რტო და ომაში გაეკეთებინა. ამიტომ მგონია, მართლაც აღგზნებული თუ იყო, ასე შორ-
თული რომ შეეგება სიკვდილს — აქ ხომ ფუტნახევარიც არ იქნება წყლის სი-
ღრმე! მაგრამ ერთს კი მოგახსენებთ — ის ადგილი ნაძრახი გახლავთ! ეგ შეც ვიცოდი და იმანაც იცოდა და ვერც ვერაფერს დამაჯერებს, არ არისო! მე ვთქვი, საცოდავმა რომ დამიბარა, იმ ვაშლის ძირში დამმარხეთო. მაგრამ, მე მგონია, სწორედ ამან წაახდინა საქმე — აშკარად ჩანდა, რომ მან მართლაც წინასწარი განზრახვით მოიკლა თავი, ამიტომ დაასაფლავეს იგი აქ. მღვდელი მაშინ ძა-
ლიან მკაცრი გვეყავდა.

ბერიკაცმა კიდევ გადაუსვა ხელი სამარეს.

— სწორედ საოცარია, — დასძინა მან ტკეპნით, — რას არ ჩაიდენენ გოგო-
ნები სიყვარულის გულისთვის. ძალიან მოსიყვარულე გული ჰქონდა და, მე მგონი, ის გული ჩაწყდა. მაგრამ აბა ჩვენ საიდან უნდა გავვეგო დანამდვი-
ლებით?

თბრობა რომ დაასრულა, თითქოს მოწონებას ელისო, მოხუცმა თავი ასწია, ჩაგრამ ეშერსტმა ისე ჩაუარა გვერდით და გასცდა, გეგონებოდათ, ბერიკაცი იქ არც მჯდარიყოს.

ეშერსტი ფერდობს შეუყვია, საუზმე რომ გაშალა, იმას იქით, ზემოთ; სხვე-
ბის თვალს მიეფარა და თავდაღმა დაემხო. აი, ასე დაჯილდოვდა მისი სიქველე და პატიოსნება; ასე იძია შური „კიპროსელმა“ სიყვარულის ქალღმერთმა! და ცრემლებით დაბინდულ თვალთა წინაშე შავ, სველ თმაში ვაშლის ყვაილის რტოგარჭობილი მეგენის სახე წარმოუდგა. „განა რა დავაშავე, რა დავაშა-
ვე?“ — უტრიალებდა თავში ეშერსტს, მაგრამ პასუხი ვერ გაეცა ამ კითხვისათ-
ვის. გაზაფხული იდგა თავისი თავდავიწყებული ვნებათა ღელვით, თავისი ყვა-
ვილებითა და სიმღერით, გაზაფხული ჩაბუდებულიყო მის გულშიაც და მეგე-
ნის გულშიაც! ეგებ სწორედ სიყვარულის ღმერთიც ეძებდა მსხვერპლს? მაშ

მართალი ყოფილა ძველი ბერძენი და „პიპოლიტოსის“ სატყვები დღესაც იმავე ჭეშმარიტებას დაჟღერებს!

გიქაფია სიყვარული,
ოქროს ფრთებით ელავს,
როცა უდგას გაზაფხული,
მას მორჩილებს ყველა.



ახალგაზრდა თუ ხანგრძლივი,
მთაში, ზღვაში, ტყეში,
ყველაფერი მსწიერი
სუნთქავს ტრფობის ეშხით.

ღიახ, ყველა შენს მზეს პფიცავს,
მეფის ტახტი გზევსია,
არას მთელი დედამიწა,
კიბროსელო, შენი!

ძველი ბერძენი პოეტი მართალიც ბრძანდებოდა! მეგენი, საბრალო პაწია ბეგენი, ფერდობზე რომ მოცქრილებდა! მეგენი, ჰებერი ვაშლის ქვეშ რომ იდგა და გულის ფანცქალით ელოდა! მეგენი გარდაცვლილი, ავლავ სათუთი და ლამაზი!..

— ოჰ, თურმე საღ ყოფილხარ! შეხედე! — მოესმა ხმა.

ეშერსტი წამოდგა, გამოართვა ცოლს სურათი და ხშაამოუღებლად დაამტერა თავალი.

— წინა მხარე კარგად არის, ფრენკ?*

— კარგია.

— მაგრამ, თითქოს რაღაც აკლიაო, არა?

ეშერსტმა თავი დაუქნია. აკლია? ოღონდაც რომ აკლია — ვაშლის ყვავილი, სიმღერა, ოქრო!

* ლექსი თარგმნა ვ. ჯაფარიძემ.



ურანო კაჯია

მოსსენაბითი აკრითი აკაღეპიას

თარგმანი
ზურაბ კაკაბაძისა

უფალო აკადემიკოსებო!

დიდ პატივსა მღებთ, როდესაც მთხოვთ, აკადემიას მოვახსენო ჩემი მაიმუ-
ნური წარსულის შესახებ.

სამწუხაროდ, ამგვარი აზრობა, არ შემიძლია შევასრულო თქვენი თხოვნა.
დაახლოებით ხუთი წელი მაშორებს მაიმუნის მდგომარეობისაგან. თუმცა, ეს
დრო კალენდრის მიხედვით მოკლეა, მაგრამ ჩემთვის უსასრულოდ გრძელი აღ-
მოჩნდა გასავლელად, უკეთ რომ ვთქვათ, გასარბენად... მე მივიღტვოდი ჩინე-
ბული ადამიანების, ნათი რჩევა-დარიგების, მოწონების შეძახილებისა და
საორკესტრო მუსიკის თანხლებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებითად მაინც
მარტოდმარტო ვიყავი, რამდენადაც ეგ თანხლება, ხატოვნად რომ ვთქვათ,
მუდამ შორს, ბარიერებს გადაღმა რჩებოდა. ჩემი ესოდენი წარმატება შეუძ-
ლებელი გახდებოდა, ჯიუტად რომ ჩავბლაუქებოდი ჩემს წარმოშობასა და
ახალგაზრდობის მოგონებებს. სწორედ ყოველნაირი თავნებობისა და სიჯიუტის
დათმობა გავიჩადე უმაღლეს ნორმად; მე, თავისუფალმა მაიმუნმა, ქედი
შევუდგი ამ უღელს. ხოლო ამით თანდათანობით სულ უფრო და უფრო ჩავახ-
შე მოგონებები. თავდაპირველად, თუკი ადამიანები მოისურვებდნენ, ძნელი
არ იყო ჩემთვის უკან დაბრუნება, ცასავით ღია ჩანდა უკან დასაბრუნებელი
კარი; მაგრამ მათრახის ცემით გამალეებულ ჩემს განვითარებაში თანდათანობით
დავიწროვდა და დაიხშო იგი; სულ უფრო და უფრო უკეთ, შინაურულად
გგრძნობდი თავს ადამიანთა სამყაროში. დაცხრა ქარიშხალი, რომელიც ჩემი
წარსულიდან ქროდა; დღეს ამ ქარიშხლისაგან სუსტი ნიავიდა დარჩა, რომე-
ლიც ოდნავ მიგრილებს ფეხის ქუსლებს; ხოლო შორეული ხვრელი, საიდანაც ეს
ნიავი უბერავს და საიდანაც ერთ დროს მეც გამოვედი, იმდენად დავიწროვდა.
რომ ტყავაუძრობლად ველარც გაეტევი შიგ, უკან დაბრუნების საკმაო ძალი

და სურვილი კიდევაც რომ აღმოჩნდეს. გულახდილად მოგახსენებთ, ჩემთვის ჩვეული ხატოვანებით, მაგრამ სავსებით გულახდილად: თქვენი მაიმუნური წარსული, რამდენადაც ამის შესავსი რამ თქვენს ზურგს უკან დგას, არ შეეძლება თქვენთვის უფრო ძორეული იყოს, ვიდრე ჩემი წარსულია ჩემთვის; ხოლო ეს მაიმუნური წარმოშობა ყველას უღიტინებს ფეხის ქუსლზე, ვინც კი მიწაზე დაიარება, როგორც პატარა შიმპანზეს, ასევე დიდებულ გენერალს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, თუმცა ფრიად შეზღუდული აზრით, მაინც შემოძლია ვუბასუხო თქვენს შეკითხვას და ამას დიდი სიანოვნებითაც მოვიმოქმედებ. პირველი, რაც მე ვისწავლე, ეს იყო ხელის ჩამორთმევა. ხელის ჩამორთმევა გულწრფელობას ნიშნავს. მე მინდა დღეს, როცა ჩემი კარიერის უმაღლეს მწვერვალზე ვიმყოფები, იმ პირველ ხელია ჩამორთმევას გულწრფელი სიტყვაც მივაშველო. ეს სიტყვა არაფერს შეიცავს აკადემიისათვის არსებითად ახალს და დიდად ჩამორჩება იმას, რასაც ჩემგან მოითხოვენ და რის თქმასაც, რაც უნდა მოვინდომო, მაინც ვერ შევძლებ. იგი მხოლოდ იმ შიმპანზეებს უჩვენებს, რომლითაც ყოფილი მაიმუნი ადამიანთა სამყაროში შეიჭრა და იქ დაშკვიდრდა. მე ვერ გავბედავდი მომეხსენებინა თქვენთვის ყოველი წვრილმანი და უმნიშვნელო დეტალი, როგორც ამას ახლა ვაპირებ, სავსებით დარწმუნებული რომ არ ვიყო ჩემი მდგომარეობის სიმტკიცეში და ჩემი ადგილი შეურყევლად გარანტირებული რომ არ მქონდეს ცივილიზებული სამყაროს ვარიეტეების სცენებზე.

მე წარმოშობით ოქროს ნაპირიდან ვარ. ჩემი შეპყრობის ამბავი სხვებისაგან შევიტყვე. ეს ასე მომხდარა: ჰაგენბეკის ფირმის მონადირეთა ექსპედიცია (სხვათა შორის, ამ ექსპედიციის ხელმძღვანელთან ერთად შემდეგ არა ერთი ბოთლი წითელი ღვინო დაეცალე) ჩასაფრებულიყო სანაპირო ბუჩქნარში, როცა მე სადამოთი მაიმუნების ჯოგთან ერთად წყლის დასაღვეად მივიჩქაროდი. ჩვენ გვესროლეს. ტყვია მარტო მე მომხვდა; თანაც, ორ ადგილას დავიჭერი.

ერთი ტყვია ლოყაში მომხვდა; ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა, თუმცა მან საკმაოდ დიდი, მოტიტვლებული წითელი ნაჭრილობევი დამიტოვა, რის წყალობითაც ჩემთვის ფრიად საძულველი, სრულიად შეუფერებელი, ჭეშმარიტად მაიმუნის მიერ შეთხზული სახელი, წითელი პეტერი, შემარჭვეს; თითქოს მე მხოლოდ ამ წითელი ნაჭრილობევით განვსხვავდებოდე აქა-იქ ცნობილი გაწვრთნილი მაიმუნის პეტერისაგან, რომელიც ამას წინათ მოკვდა. მაგრამ ეს სხვათა შორის მოგახსენეთ.

მეორე ტყვია თეოს ქვემოთ მომხვდა. ეს მძიმე ჭრილობა იყო; იმის წყალობითაა, რომ დღესაც ცოტათი ვკოჭლობ. ამას წინათ ერთ სტატიაში წავიკითხე (ჩემზე უამრავი თავქარიანი კალმოსანი წერს), თითქოს ჩემი მაიმუნური ბუნება ვერ კიდევ არ იყოს მთლად დათრგუნვილი; საბუთად იმ გარემოებას ასახელებს, რომ მნახველების წინაშე დიდი ხალისით ვიხდი ხოლმე შარვალს, რათა მათ ნატყვიარი ვუჩვენო. ამ ვაჟბატონს სათითაოდ უნდა დაუმტვრიო თითები, რომელთაც ეს დაწერეს. მე სრული უფლება მაქვს, ჩავიხადო შარვალი ვის წინაშეც მომესურვება; ვერაფერს დამინახავენ კარგად მოვლილი ბეწვისა და (აქ საჭიროა შეიჩქეს გარკვეული მიზნის შესატყვისი გარკვეული სიტყვა, რომელიც ამასთანავე გაუგებარი არ უნდა იყოს) ცოდვილი გასროლით წარმოქმნილი ნაჭრილობევის გარდა. არაფერია დასაფარავი, ყველაფერი დღის

სინათლეზე მაქვს გამოტანილი: როცა საქმე ჭეშმარიტებას ეხება, მანერებს უკუ-
 აგდებენ ხოლმე, ხოლო იმ კალმოსანმა სტუმრების წინაშე მარჯაო რომ ჩაი-
 ხადოს, მაშინ, ცხადია, რამდენადმე სხვაგვარი სანახაობა გადაიშლება: და მისი
 გონიერების ნიშნად მიმაჩნია, რომ ამას არ სჩადის, მე კი მომეშვას თავისი
 ტაქტიკა და დელიკატურობით.

შ რ ა ნ ც კ ა შ ბ ა

დაჭრის შემდეგ გონს მოვედი (აქ იწყება თანდათანობით ჩემი ჩსტგანხეები)
 გალიაში, პაგენბეკის ხობალების გემბანზე. ეს არ იყო ჩვეულებრივი, ოთხივე
 მხრიდან გისოსებშემოვლებული გალია. ყუთზე სამი კედელი დაესაგრებიანათ;
 მეოთხე კედელს თვითონ ყუთი ქმნიდა. მოლიანად ეს ნაგებობა ძალიან დაბალი
 გამოდგა. ასე რომ, ფეხზე ვერ ვდგებოდი. ძალიან ვიწროც იყო და დაჯდომაც
 გამიჭირდებოდა. ამიტომაც მოპირილი ჩავცუცქდი, მუხლები შეუჩერებლივ
 მიკანკალებდა. ამასთანავე, რადგან არავის დანახვა არ მსურდა და სიბნელეში
 ყოფნა მერჩია, პირით ყუთისაკენ შევბრუნდი, ისე, რომ უკნიდან გისოსის
 ღერები შიგ ხორცში მერქობოდნენ. ახლად შეპყრობილი გარეული ცხოველე-
 ბის ჩამწყვდევის ამგვარ წესს, საერთოდ, უპარატესობას ანიჭებენ, და დღეს
 ჩემი გამოცდილების შედეგად არ შემიძლია უარყო, რომ ადამიანური თვალ-
 საზრისით ეს საკსებით გამართლებულია. მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი. ჩემს
 სიცოცხლეში პირველად მოვხვდი ისეთ მდგომარეობაში, როცა არავითარი
 გამოსავალი არ ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, პირდაპირი გზით აქედან გასვლა
 არ შეიძლებოდა. ჩემ წინაშე ყუთი აღმართულიყო, ფიცარი ფიცარზე იყო
 მჭიდროდ დამაგრებული. თუმცა, ფიცრებშუა რალაც ნასვრეტი მოჩანდა, რასაც
 პირველად უმეცრების ბედნიერი ყმუილით მივესალმე, მაგრამ ეს კუდის გასა-
 ყოფადაც კი არ კმაროდა და მისი გაფართოების შესაძლებლობა მაიმუნის ყო-
 ველგვარ ძალ-ღონეს აღემატებოდა.

როგორც შემდეგ მითხრეს, უჩვეულოდ მშვიდად და უზმაუროდ მოვქცე-
 ულვარ. რის გამოც დაუსკვნიათ, მე ან მალე დაიღუპებოდი, ანდა, კრიტიკულ
 პერიოდს თუ გადავიტანდი, ერთობ იოლი გასაწვრთნელი ვიქნებოდა. მე გადა-
 ვიტანე ეს კრიტიკული პერიოდი. ჩემი ზღუტუნია, რწყილების მტკივნეული ძიე-
 ბა, ქოქოსის კაკლის არაქათგამომცლელი ლოკვა, ყუთის კედელზე თავის
 რახუნია, ვინმეს მოახლოებისას ენის გამოვლება— ეს გახლდათ ჩემი საქმიანობა
 ჩემს ახალ ცხოვრებაში, ყოველივე ამას კი თან აბლდა ერთადერთი გრძნობა:
 არავითარი გამოსავალი. ცხადია, დღეს მხოლოდ ადამიანური სიტყვით შემიძ-
 ლია აღენიშნო და გამოვხატო, რაც მაშინ მაიმუნის შესაფერისი გრძნობით
 განვიცადე. და თუკი ამით მთლად ზუსტად ვერ გადმოვცემ მაშინდელ მაიმუ-
 ნურ ჭეშმარიტებას, ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ეგ ჭეშმარიტება ჩემ
 მიერ აღწერილს უახლოვდება.

აღრე უამრავი გამოსავალი მქონდა, ამჯერად კი არც ერთი არ გამაჩნდა. მე
 ჩიხში ვიყავი მოქცეული. ზედ ფიცარზე რომ მიველურსმეთ კიდევაც, ამით
 ოღონადაც არ შემეცირდებოდა გადაადგილების ის თავისუფლება, რაც უამისო-
 დაც მქონდა. ეს კიდევ არაფერი: ფეხის თითებშუა მთლად რომ დამეგლიჯა
 ხორცი, ან თუნდაც ისე მივწოლოდი უკან გისოსის რკინას, რომ ლამის შუა
 გავხლიჩილიყავ, ვერავითარ საყრდენს ვერ ვიპოვიდი. მე არ გამაჩნდა არავითა-
 რი გამოსავალი, მაგრამ როგორმე უნდა მომეპოვებინა, თუკი სიცოცხლე
 შინდოდა. როგორ შემეძლო სულ მუდამ ამ ყუთის კედელთან ჩაცუცქული

ყოფნა — ასე ხომ სული ამომხდებოდა. მაგრამ ჰანგებეკის ფირმაში ასეა მიღებული: მაიმუნი ყუთის კედელთან უნდა იდგეს. სწორედ ამის შეგნებით დაეასრულე ჩემი მაიმუნობა. ეს არის აზრთა მშვენიერა წყობა, რომელიც როგორღაც მუცლით მოვიასრე, რადგან მაიმუნები მუცლით აზროვნებენ ჩუქურჭუქი.

ვშიშობ, სწორად ვერ გამოგებენ, თუ რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ ვამბობ. ამ სიტყვას უხმარობ საესებით ჩვეულებრივი და სრული აზრით. განგებ არ ვამბობ თავისუფლებას. მე არ ვგულისხმობ ყოველმხრივი თავისუფლების დიდ გრძნობას. როგორც მაიმუნი, შესაძლოა, ვიცნობდი კიდევ თავისუფლებას, ხოლო შემდეგ ადამიანები გავიცანი, რომლებიც მასზე ოცნებობენ. მაგრამ, ჩემდა თავად, არც მაშინ მსურდა და არც ახლა მსურს თავისუფლება. სხვათა შორის, უნდა ითქვას, ადამიანები თავისუფლებით ძალზე ხშირად იტყუებენ ხოლმე თავს და, როგორც თავად თავისუფლება, ისევე ეგ თავის მოტყუებაც უზენაეს გრძნობად მიაჩნიათ. ხშირად მინახავს ვარიეტეში ჩემი გამოსვლის წინ მსახიობთა წყვილის მუშაობა მაღლა ტრაპეციაზე. ისინი ქანაობდნენ, ირწყოდნენ, დაეკიდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს მკლავებზე, ერთი მეორეს კბილებით დაატარებდა. „ესეც ადამიანური თავისუფლებაა“ — ვფიქრობდი მე — „დიდებული მოძრაობა“. ო, წმინდა ბუნების ირონიაჲ. ვერავითარი მტკიცე ნაგებობა გერ გაუძლებდა და უეჭველად დაინგრეოდა ამ სურათის შემყურე მაიმუნთა მოდგმის ხარხარისაგან. არა, მე არ მივესწრადი თავისუფლებას, მე მხოლოდ გამოსავალს ვეძებდი; მარჯვნივ, მარცხნივ, საითაც არ უნდა ყოფილიყო; მე არ ვაყენებდი არავითარ სხვა მოთხოვნას; თუნდაც ეგ გამოსავალი მხოლოდ ილუზია ყოფილიყო; ჩემი მოთხოვნა მცირე გახლდათ და არც შესატყვისი ილუზია იქნებოდა უფრო დიდი. ოღონდ დავიძრა ადგილიდან, ოღონდ არ ვიდგე ასე ხელებაწვდილი და ყუთის კედელზე მიკრული.

დღეს ნათლად გხედავ, რომ უდიდესი შინაგანი სიმშვიდის გარეშე ვერასოდეს ვერ დავაღწევდი თავს ამ მდგომარეობას; ის, რაღაც მე ახლა ვიქვიცი, მართლაც, იმ სიმშვიდის შედეგი უნდა იყოს, რაც ვემზე დამეუფლა, ხოლო სიმშვიდეს, თავის მხრივ, ვემზე მყოფ ადამიანებს ვუმაღლი.

ყოველივეს მიუხედავად, კარგი ადამიანებიც არსებობენ. ხალისით ვიგონებ დღეს მათი მიმიე ნაბიჯების ხმას, რაც ძილ-ღვიძილში ჩამესმოდა ხოლმე. ისინი ყოველგვარ საჭმეს ძალზე ხელა და ზანტად აკეთებდნენ. როცა რომელიმე მათგანს თვალების მოფშენეტა მოესურვებოდა, ისე წამოსწევდა ხელს, თითქოს ზედ სიმძაბე ეკიდა. მათი ხუმრობა უხეში იყო, მაგრამ გულითადი, მათ სიცილს თითქოსდა სახიფათო, მაგრამ უწყინარი ხელება ერთვოდა ხოლმე. პირში მუდამ რაიმე მოეძვევებოდათ გასაფურთხებლად და მათთვის საესებით სულ ერთი იყო, საითაც გააფურთხებდნენ. მუდამ ჩიოდნენ, რომ ჩემი რწყილები ზედ ახტებოდნენ; მაგრამ ამის გამო სერიოზულად არასოდეს გამჯავრებიან; კარგად იცოდნენ, რომ ჩემს ბეწვში რწყილები იზრდებიან, ხოლო რწყილებს კი ხტუნვა უყვართ. ისინი ფაქტის ამ კონსტატაციით კმაყოფილდებოდნენ. მოცალეობის უამს ზოგნი ნახევარწრედ შემომისხდებოდნენ ხოლმე გარშემო. ეს ადამიანები უმალ შეპკრუტუნებდნენ ერთმანეთს, ვინემ ლაპარაკობდნენ. ყუთებზე გამოტოლინი ჩიბუნს აბოლებდნენ. მუხლზე ხელს დაპკრავდნენ ერთიმეორეს, როცა ჩემს მცირეოდენ მოძრაობას შეამჩნევდნენ. ზოგჯერ რომელიმე მათგანი ჯოხს აიღებდა და სწორედ იქ შემიღიტიანებდა. სადაც განსაკუთრებით მესიამოვნე-

ბოდა. დღეს ისევ რომ მიმიპატიუნ იმ გემზე იმგვარადვე სამოგზაუროდ, უარს განვაცხადებ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იმ გემბანიდან მარტო უსიამოვნო მოგონებები არ შემოპრჩხება.

სიმშვიდემ, რომელიც ამ ადამიანების წრეში შევიძინე, უპირველეს ყოვლისა, გაქცევის ცდისაგან შემაქავეებინა თავი. დღეს ისე მეჩვენება, თითქოს მაშინ გიგრეენი, რომ რაღაც გამოსავალი უნდა მენახა, თუკი სიცოცხლე მინდოდა, და რომ ამ გამოსავალს გაქცევით ვერ მივაღწევდი. მე მთლად დარწმუნებული არა ვარ, რომ შესაძლებელი იყო გაქცევა, მაგრამ მაინც მჯერა; მაიმუნისათვის გაქცევა ყოველთვის შესაძლებელი უნდა იყოს. ჩემი ახლანდელი კბილების პატრონი ფრთხილად უნდა ვიყო კაკლის მტვრევისას, მაშინ კი უთუოდ მოვახერხებდი ბოქლომის დაღრღნას; მაგრამ ეს არ მოვიმოქმედე. ან კი, რას მოვიგებდი ამით? გამოვყოფდი თუ არა გალიიდან თავს, მაშინვე ხელახლა დამიჭერდნენ და კიდევ უფრო უარეს გალიაში ჩამამწყვდევდნენ. ანდა, თუ სხვა მხეცებთან შეუშინებლად გავიქცეოდი, ისეთ მხეცებთან, როგორც არიან, მაგალითად, გიგანტური გველები, მათი მოხვევისას სული ამომძვრებოდა. ან, ვთქვათ, გემბანიდან ბაქანზე გადავმძვრალიყავი და იქიდან წყალში გადავმტარიყავ; მაშინ ერთხანს ოკეანის ტალღებზე ქანობა და მერე შიგ დახრჩობა მელოდა. მაშასადამე, ყოველივე ეს ფუჭი იყო. მაშინ მთლად ასე ადამიანურად არ ვანგარიშობდი, მაგრამ ჩემი გარემოცვის წყალობით ისე ვიქცეოდი, თითქოს აგრე ნაანგარიშევი მქონოდა.

არ ვანგარიშობდა, მაგრამ ყველაფერს ვაკვირდებოდი კი სრული სიმშვიდით. ვუცქეროდი ამ ადამიანებს, წინ და უკან რომ დადიოდნენ, მათს მუდამ მსგავს სახეებს, მსგავს მოძრაობებს; ხშირად მეჩვენებოდა, რომ ერთ ადამიანს ვუცქერდი და არა სხვადასხვას. ეს ადამიანი, ანდა ადამიანები მიდი-მოდიოდნენ სრულიად აღუწვთავებლად და სწორედ მაშინ შევიგნე ჩემი მაღალი მიზანი. არავინ დაპირებია, რომ თუკი მათი მსგავსი შევიქნებოდი, კარს გამიღებდნენ. ამგვარ დაპირებას არავინ იძლევა. ხოლო შესატყვისი პირობის შესრულების შემდეგ დაპირებას აღმოვაჩინეთ ხოლმე იქაც, სადაც ადრე ვერა ვხედავდით. ამ ადამიანებს მაინცდამაინც არაფერი ჰქონდათ ჩემთვის მიმზიდველი და მაცდუნებელი. მე რომ ხსენებული თავისუფლების მიმდევარი ვყოფილიყავი, უთუოდ ოკეანეში დაღუპვას ვამჯობინებდი იმ გამოსავალს, რაც მათ მკმუნვარე მზერაში გამოსტყვიოდა. ყოველ შემთხვევაში, ბევრად უფრო ადრე დავუწყე მათ დაკვირვება, ვიდრე ამგვარ გარემოებაზე დაფიქრებას შევძლებდი; ხოლო მოჭარბებული დაკვირვებანი გარკვეული მიმართულებით მიბიძგებდნენ.

ადამიანების წაბაძვა ერთობ იოლი საქმე აღმოჩნდა. გადაფურთხება პირველ დღეებშივე შევძელი. ჩვენ ვაფურთხებდით ერთმანეთს სახეში; განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მე ამის შემდეგ ლოკვით ვიწმენდდი სახეს, ისინი კი არა. მალე ჩიბუხსაც ვეწეოდი ძველი მწვეელივით; და თუ წვეის დროს ჩიბუხის თავს ცერით დავაწვეებოდი, მთელი გემბანი ერთბაშად მოილხენდა. მაგრამ ცარიელ და გატენილ ჩიბუხს შორის განსხვავების გაგება დიდხანს მიჭირდა.

ყველაზე დიდ ვასაჭირში არყის ბოთლმა ჩამაგდო. საშინლად მტანჯავდა მისი სუნით; მთელი ძალების დაძაბვით ვაიძულებოდი თავს, მაგრამ რამდენიმე კვირამ განვლო, სანამ ამ წინააღმდეგობას დავძლევდი. აღსანიშნავია, რომ

ადამიანები განსაკუთრებული სერიოზულობით სწორედ ჩემს შინაგან ბრძოლას ეკიდებოდნენ. კვლავ ერთმანეთისაგან განუსხვავებლად ვიხსენებ ამ ადამიანებს, მაგრამ ის კი მაგონდება, რომ ერთ-ერთი მათგანი, მარტო თუ ამხანაგებთან ერთად სხვადასხვა დროს, დღითა თუ ღამით, მოდიოდა ხოლმე ჩემთან, ბოთლით ხელში დადგებოდა ჩემ წინ და მამეცადინებდა. მას ჩემი ვერ გაეგო და ცდილობდა ჩემი არსებობის გამოცანა აეხსნა. ეს ყველაფერი ხელ-ნელა თავს მოხდიდა ხოლმე ბოთლს და დამაკვირდებოდა, გაიჭიჩქინებდა, ნიშნავს ყოველივე ესო. უნდა ვაღიარო, მე სულ უფრო და უფრო გაშმაგებული ყურადღებით ვაშტერდებოდი ამ კაცს. ადამიანი-მასწავლებელი მთელი დედამიწის ზურგზე ვერსად იპოვის ამგვარ ყურადღებიან ადამიან-მოწათეს. საცობის მოხდის შემდეგ ბოთლს პირისაკენ წაიღებდა. თვალს მივადევნებდი და მზერით ღამის ყელში ჩაკუძვრებოდი. ადამიანი თავს მიქნევდა, ჩემით კმაყოფილი, და ბოთლს ტუჩებზე მიიყუდებდა. თანდათანობითი შემეცნების გამო აღგზნებული ჭყლოპინით ვიკაწრავდი ტანს სიგრძე-სიგანაზე, სადაც კი მომიხდებოდა; ადამიანი, ყოველივე ამით განარებულ, მიიყუდებდა ბოთლს და გადაჰკრავდა; ვცდილობდი აქაც მივეყოლოდი და მოუთმენლობისა და სასოწარ-კვეთილებისაგან ჩავისვრიდი ხოლმე ჩემს გალიაში, რაც მას დიდ კმაყოფილებას გვრიდა; შემდეგ წინ გაიწედენდა ბოთლს, ტუჩთან მიიტანდა და სულმოუთქმელად დაცლიდა პედაგოგიური მოსაზრებით ზედმეტად უკანგადახრილი; ერთობ დიდი სურვილისაგან არაქათგამოლეული, ველარ მივდევდი და გისოსზე დავეკიდებოდი ხოლმე, როცა ადამიანი თეორიული გაკვეთილის ბოლოს მუცელზე ხელს გადაისვაძდა და გაიკრიჭებოდა.

შემდეგ დაიწყებოდა პრაქტიკული ვარჯიში. თითქოს თეორიული მეცადინეობით საკმარისად არ ვყოფილიყავი დაქანცული. მაგრამ ესეც ჩემი ხვედრი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ხელს ვტაცებდი გამოწვდილ ბოთლს, აცახცახებული მოვხდიდი თავს; წარმატებისაგან თანდათანობით ძალა შემატებოდა; ზეადმართავდი ბოთლს, ზუსტად ისევე, როგორც ჩემი მასწავლებელი აკეთებდა, მივიყუდებდი და ზიზლით გადავისროდი, ზიზლით, მიუხედავად იმისა, რომ ბოთლი ცარიელი იყო და მხოლოდ სუნი უდიოდა; ზიზლით დავანარცხებდი ბოთლს იატაკზე ჩემი მასწავლებლის სამწუხაროდ და კიდევ უფრო მეტად ჩემდა სამწუხაროდ; ვერც მას ვამშვიდებდი და ვერც თავს ვიმშვიდებდი იმით, რომ ბოთლის გადასროლის შემდეგ არ ვივიწყებდი მუცელზე ხელის გადასმას და გაკრეჭას.

ძალზე ხშირად სწორედ ამგვარად ჩავვიტარებია მეცადინეობა და, ჩემი მასწავლებლის სასიქადულოდ უნდა ითქვას, იგი არასოდეს არ გამჯავრებია; მართალია, ზოგჯერ ზედ ბეწვზე მომადებდა ანთიბულ ჩიბუხს და იქამდე ეჭირა, სანამ ბეწვი ტრუსვას არ დაიწყებდა ჩემთვის ძნელად ხელმისაწვდომ ადგილას; მაგრამ შემდეგ ოვითონვე ჩააქრობდა თავისი ვეებერთელა, კეთილი ხელით; არ მიწყრებოდა, იცოდა, რომ ჩვენ ორივე ერთნაირად ვიბრძოდით მაიმუნური ბუნების წინააღმდეგ და რომ ამ ბრძოლაში ჩემი ხვედრი უფრო მძიმე იყო.

რაოდენ დიდი იყო ჩვენი გამარჯვება, როცა მე ერთ საღამოს მაყურებელთა დიდი წრის წინაშე (მაშინ, ალბათ, რალაცას დღესასწაულობდნენ, გრამაფონი უკრავდა და სხვებთან ერთად ოფიცირიც სასეირნოდ გამოსულიყო), თითქმის

სრულიად უყურადღებოდ მიტოვებულმა, ჩემი გალიის წინ შეცდომით დარჩენილ არყის ბოთლს წაგავლე ხელი, მზარდი ყურადღებით გარემოცულმა, ბოთლს თავი მოეხადე ხასწავლი ხერხით, პირზე მივიყუდე და უყურებოდ, ტუჩების ამრეზის გარეშე, პროფესიონალი მსმელის მსგავსად, თვალმომკარკლულმა ნელ-ნელა, რაკრაკით, ბოლომდე დავცალე; მერე გადავისროლე ბოთლი, მაგრამ ამჯერად არა სასოწარკვეთილებით, არამედ ხელჩაქანის თაქდაჯერებულობით, თუმცა მუცელზე ხელის გადასმა კი დამავიწყდა. სამაგიეროდ, გრძნობათა მოჭარბების გამო თავი ვეღარ შევიკავე და ადამიანური ხმით „ჰაღღო“ წამოვიძახე; ადამიანური ხმა გავიღე და ამგვარად ადამიანთა საზოგადოებაში ვისკუბე; მისი ექო: „ყური უგდეო, ლაპარაკობს!“ კოცნის მსგავსად აღიბეჭდა ჩემს სხეულზე.

ვიმეორებ: თავისთავად სრულიადაც არ მიზიდავდა ადამიანების წაბაძვა; ვბაძვდი, რადგან გამოსავალს ვეძებდი. მაგრამ მოპოვებული გამარჯვება ჯერ არ იყო საკმარისი. მალე კვლავ მიმტყუნა ხმამ, მხოლოდ რამდენიმე თავის შემდეგ აღვიდგინე: არყის ბოთლისადმი ზიზღი კიდევ უფრო მეტის ძალით შემომიტყვედა ხოლმე. მაგრამ საჭმე ისაა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გეზი და მიმართულება ვიპოვე.

როცა პამბუტგში მწვრთნელს ნიშნობარეს, მოვხვდი, რომ მხოლოდ ორი შესაძლებლობა გამაჩნდა: ზოოლოგიური ბალი და ვარიეტე. მე არ შევწყაყმანებულვარ. ვუთხარი ჩემს თავს: იხმარე ყოველი დონე, რათა ვარიეტეში მოხვდე; ეს არის გამოსავალი; ზოოლოგიური ბალი მხოლოდ გალიაა; წიგ თუ მოხვდი, დაიღუპები.

მე ვსწავლობდი, ჩემო ბატონებო. ან კი, ვინ დაიხარებს სწავლას, როცა ასე სჭირდება. როცა გამოსავალს ვეძებ; ასეთ შემთხვევაში სწავლობენ ხოლმე უწყალოდ, მათრახით ხელში მეთვალყურეობენ საკუთარ თავს. ყალყზე შემდგარი მაიმუნური ბუნება გააფთრებულ წინააღმდეგობას მიწევდა ისე, რომ ჩემი პირველი მასწავლებელი თითქმის თავად იტყა მაიმუნად; მეცადინეობა შეწყვიტა და საავადმყოფოში წაიყვანეს; საბედნიეროდ, იქიდან მალე დაბრუნდა.

ბევრი მასწავლებელი გამოვიცვალე. უფრო მეტიც, რამდენიმე მასწავლებელი ერთდროულად მყავდა. როდესაც დავრწმუნდი ჩემს უხარში, როდესაც საზოგადოებამ აღიარა ჩემი წარმატებები და ჩემი მომავალი სავსებით ნათლად გამოიკვეთა, თვითონვე ავიყვანე მასწავლებლები, დავსვი ხუთ ერთმანეთზე მიყოლებულ ოთახში. ერთი ოთახიდან მეორეში განუწყვეტლივ ვბტოდი და ასე, ხუთივესთან ერთდროულად გავდიოდი წერხანას.

დიდი იყო ჩემი წარმატება. თანდათანობით გამოღვიძებულ ჩემს ტვინში ყოველი მხრიდან იჭრებოდა ცოდნის სხივები, არ უხარვყოფ; ფრიად მახარებდა ყოველივე ეს. ამავე დროს იმასაც მოგახსენებთ, რომ გადაჭარბებით არც მაშინ შემიფასებია ჩემი წარმატებები და მით უფრო, არც ახლა ჩავიდენ ამას. დიდი მონდომების წყალობით, რომლის მსგავსი შემდგომ მოელს დედამიწაზე აღარ განმეორებულა, მივალწიე ევროპელი კაცის განათლების საშუალო დონეს. ეს იქნებ თავისთავად იმდენი არაფერია, მაგრამ ჩემთვის ბევრს ნიშნავდა, რამდენადაც მე მისი საშუალებით ეგ განსაკუთრებული გამოსავალი, ადამიანური გამოსავალი, მოვიპოვე და გალიას თავი დავაღწიე. არსებობს შესანიშნავი გერ-

შანული გამოთქმა: ბუჩქებში მიმალვა; მე სწორედ ეს მოვიმოქმედე, ბუჩქებში მივიმალე, ე. ი. ხიფათს განვეერიდე. სხვა გზა არ მქონდა, რადგან თავისუფლების არჩევანი არცა მდგარა ჩემ წინაშე.

თვალს რომ გადავაფლებ ჩემს განვითარებას და ჩემს აქამომდელ მიზანს, არც არაფერს ვუჩივი და არც მაინცდამაინც კმაყოფილი ვარ. ხელუბრე მწიფების ჯიბეებში მიწყვია, მაგიდაზე ღვინის ბოთლი მიდგას, წამოწოლულ ვახრისაწვევლა სავარძელზე და ასე ვიცქირები ფანჯარაში. როდესაც ჩემთან სტუმრად მოდიან, როგორც წესი და რიგია, ისე ვხვდები. იმპრესარიო წინა ოთახში მიზის; ზარს დავრეკავ და მაშინვე ჩემთან შემოვა, რათა მომისმინოს; საღამოობით თითქმის ყოველთვის წარმოდგენაზე ვარ, სადაც, უნდა ითქვას, უკვე აღარ მატულობს ჩემი წარმატება. როდესაც გვიან ღამით რომელიღაც ბანკეტიდან თუ მეცნიერული საზოგადოებიდან, ანდა შინაურული, მყუდრო თავყრილობიდან შინ ვბრუნდები, იქ მელოდება გაწვრთნილი დედალი შიმპანზე, რომელთანაც მე მაიმუნურ ყაიდაზე სიტყობებს ვეძლევი ხოლმე. დღისით გავურბი მის დანახვას, რადგან დაბნეული გაწვრთნილი ცხოველის მზერა აქვს. ამას მხოლოდ მე ვამჩნევ და არ შემოძლია ავიტანო.

საერთოდ, უნდა მივალწიო იმას, რისი მიღწევაც მინდოდა. არავინ იფიქროს, რომ ყოველივე ეს არ ღირდა ოფლის ღვრად. კაცმა რომ თქვას, არც ვსაჭიროებ ადამიანთა შეფასებას და განაჩენს, მე მხოლოდ ცოდნის გავრცელება მსურს, მე მხოლოდ ცნობებს ვიძლევი; თქვენც, უფალო აკადემიკოსებო, მხოლოდ მოგახსენეთ და ცნობები მოგაწოდეთ.

მთარგმნელის სჯავნ

ჩემს ჯიხსა და მარხელ ბრუსტთან ერთად ფრანც კაფკას მე-20 საუკუნის დასავლეთის ლიტერატურის ფუძემდებლად ასახელებენ ხოლმე. მისი გავლენა ემჩნევა არა მხოლოდ ლიტერატურას, არამედ მხატვრული შემოქმედების სხვა დარგებსაც. ცნობილია იტალიელმა კინორეჟისორმა ფედერიკო ფელინიმ ერთ-ერთ საუბარში განაცხადა: „არის ისეთი წიგნები, რომლებმაც მომაჯადოვეს: მაგალითად, კაფკამ, უფრო ადრე კი—დოსტოვესკიმ“. დამახასიათებელია ეს დაკავშირება: კაფკა ლიტერატურაში დოსტოვესკის ხაზის თავისებური განმგრძობია.

იგი დაიბადა 1883 წელს პრაღაში, ჩეხურ-ებრაული წარმოშობის ოჯახში. სწავლა-განათლება გერმანულ ენაზე მიიღო, წიგნებსაც გერმანულად წერდა.

ხანმოკლე იყო ფრანც კაფკას ცხოვრება: 1917 წელს ტუბერკულოზით დაავადდა, გარდაიცვალა 1921 წელს. სიცოცხლეში მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა; დანარჩენები მისი სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა.

დაწერილი აქვს სამი რომანი: „ამერიკა“, „პროცესი“, „კოშიკი“. სამივე დაუმთავრებელია. მოთხრობებიდან ცნობილია „განაჩენი“, „მეტამორფოზა“, „მოხსენებითი ბარათი აკადემიას“, „დამხველ კოლონიაში“, „სოფლის ექიმი“, „შიმშილის ოსტატი“ და სხვ. გამოქვეყნებულია მისი დღიურები, აფორიზმები, პირადი ბარათები.

მკითხველს, უპირატეს ყოველისა, თვალში ეცემა, რომ კაფკას მოთხრობი ფანტასტიკურ მოღანდებს, კოშმარულ სიზმარსა მგავს; ვცადოთ გავერკვეთ კაფკას თხრობის ამ თავისებურებაში.

კაფკას შემოქმედებითი პრინციპის ნათელსაყოფად მივმართოთ თავისებურ ილუსტრაციას; წარმოვიდგინოთ: ორი ნაცნობი კაცის საუბარს შევესწარი; ვგრძნობ, რომ მათ არაფერი აინტერესებთ ერთმანეთის, ამიტომაც შინაგანად არც უსმენენ ერთმანეთს, არც არაფერი გაეგებათ

ერთმანეთის. თუმცა გარეგნულად ყველაფერი თავის წესსა და რიგზეა, საუბარი გრძელდება... ერთბაშად მეუფლება შთაბეჭდილება: მოსაუბრეებს ხმა ჩაუწყდათ, ამაოდ აღებენ პირს, არაფერი ისმის, საუბარი დაყრუვდა.

ნამდვილად ასე არ მომხდარა, ეს არაა სინამდვილე ჩვეულებრივი აზრით, ეს უფრო მოლანდება იყო და მოჩვენება... ოღონდ მოჩვენება, რომელსაც სინამდვილის ფარული შინაარსის გამოხატვის პრეტენზია ჰქონდა.

ანდა: ნაცნობ კაცს ვეწვიე, მძიმე ავადმყოფია. ცოლი უვლის, ადრევე მივრჩევდი და ახლაც ვგრძნობ, რომ ცოლს არ უყვარს იგი, სძულს, მისგან განთავისუფლებას ნატრობს ფარულად, ნატრობს ისე, რომ, იქნებ, თავის თავსაც არ უმხელს; ხოლო გარეგნულად ყველაფერი თავის წესსა და რიგზეა: თავს დასტრიალებს ავადმყოფს, წამლებს ასმევს, სასთუმალს უსწორებს, შეწუხებული გამომეტყველებაც მიუღია... ერთბაშად ვხედავ: სასთუმალს რომ უსწორებდა, ანაზღად ყელში სწვდა ავადმყოფს და... მიახრჩო.

ასე არ მომხდარა, ეს არაა სინამდვილე ჩვეულებრივი აზრით, ეს მოლანდება იყო და მოჩვენება... ოღონდ მოჩვენება, რომელიც ფარულ ქეშმარიტებას გამოხატავს.

კაფკა მოგვითხრობს: ადამიანებმა შეიპყრეს მაიმუნი, ქალაქში ჩამოიყვანეს, გაწვრთნეს და... მაიმუნი ადამიანთა ხაზოგადობის სრულყოფილებიან წევრად იქცა („მონხენებითი ბარათი აკადემიას“).

ცხადია, ეს ასე არ მომხდარა, არც შეიძლებოდა მომხდარიყო; ეს კაფკას ერთ-ერთი კოშმარული მოლანდება იყო; მაგრამ მისთვის ამ კოშმარულ მოლანდებას თანადროული ცხოვრების გარეგნული გამომეტყველების მიერ მიჩქმალული ფარული ქეშმარიტების გამხელის პრეტენზია ჰქონდა; და ეს ქეშმარიტებაა: კაპიტალისტური ინდუსტრიული ცივილიზაციის პირობებში ადამიანის ცხოვრებამ დაკარგა ყოველგვარი ადამიანური სიმალლე, რანგი და ცხოველურ, მაიმუნურ ყოფას გაუთანაბრდა.

დიახ, ფრანც კაფკას შემოქმედება კოშმარულ სიზმარსა ჰგავს; ოღონდ ამ კოშმარს თანადროული ბურჟუაზიული სამყაროს უსახური სახის „ნათელნიღვისა“ და მხილების პრეტენზია აქვს.

კაფკას თხზულებანი საბჭოთა მკითხველმა უკვე კარგა ხანია გაიცნო. თავდაპირველად უფრო ნაღ „ინოსტრანნაია ლიტერატურაში“ დაიბეჭდა მისი რამდენიმე მოთხრობა, შემდეგ კი გამოიცა კრებული, რომელშიაც შევიდა კაფკას მოთხრობები და რომანი „პროცესი“. კაფკას შემოქმედებას ნაწილობრივ ქართველი მკითხველიც იცნობს: რამდენიმე წლის წინათ უფრონაღმა „მნათობმა“ გამოაქვეყნა მისი ორი მოთხრობა („განაჩენი“, „მეტამორფოზა“). საბჭოთა კრიტიკა ხაზს უსვამს კაფკას შემოქმედების მამნილებელ ძალას, მაგრამ ამასთან აღნიშნავს მის ნაწარმოებთა მეტიმეტად პირქუსსა და პესიმისტურ ტონალობას.

XVII-სართული



შემწარი ბატი

თარგმანი შუია ივანიშვილისა

ახალწლის წინა საღამო იყო; ამ დროს ჩვენთან აწინაურებენ ზოგიერთებს. სამსახურში ერთხმად მოვილაპარაკეთ — ვისაც პირველად დააწინაურებდნენ, ლხინი გადაეხადა, შეეკრიბა თანამშრომლები და შემწვარი ბატით გამასპინძლებოდა. მეგობრები სიამოვნებით მიირთმევდნენ პურ-მარილს და არც მასპინძელს დატოვებდნენ დაულოცავს — დღეგრძელობასა და წარმატებას უსურვებდნენ.

მთხდა ისე, რომ დაწინაურება თქვენს მონა-მორჩილს ხვდა წილად. ასე რომ, ახლადშერთულ მეუღლეს ძმაკაცებთან მიღებული გადაწყვეტილება და სტუმრების მოწვევის ამბავი უმაღლეს ვაცნობე.

— ქორწილში არ გამასპინძლებიხარ მეგობრებს, — მომიგო მან, — და ახლა მაინც ეცი პატივი. მაგრამ ესაა, რომ ჭურჭელი და დანა-ჩანგალი არ გვეყოფა. მხოლოდ თორმეტი სულისა გვაქვს; ამიტომ ან ახლავე უნდა შევიძინოთ, ან არადა, სტუმრების რიცხვი შევამციროთ ისე, რომ შენთანად სულ თორმეტი კაცი იყოს.

— ისე შელაპარაკები, — ვუბასუხე მე, — თითქოს თავად არ იცოდე ჩემი ჯიბის ამბავი. ჩვენი მცირე ბიუჯეტი ახალი ნივთების ყიდვის ნებას არ გვაძლევს, ხოლო მეგობრების რიცხვი ოცდასამ-ოცდაოთხ კაცზე ნაკლები არ გახლავს.

— შენც ყველას ნუ დაბატიებ, — მითხრა ცოლმა, — მხოლოდ უფროსები მოიწვიე, დანარჩენებს თავი დაანებე, დაე, მათ ნერწყვი ყლაპონ...

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! ამ უბედურებს წელიწადში ერთხელ უწევთ გამასპინძლება და უკვე კარგა ხანია, ბატის მოლოდინში კბილები უკაწკაწებთ და წუთებსღა ითვლიან; მშრალზე რომ დავტოვო, თვალებს ამომკაწრავენ. ჩვენში დარჩეს და, მართალიც იქნებიან. ნუთუ არ შეიძლება ერთი წყება ჭურჭელი, სხვა საჭირო ნივთებთან ერთად, ნაცნობ-მეგობრებისაგან ვითხოვოთ?

— ეგ აზრი თავიდან გამოიბერტყე, — მითხრა გაგულსებულმა მეუღლემ, — ასეთი სისულელე გაგონილა? რაც დავქორწინდით, ჩვენთან პირველად მოდიან სტუმრები და ნათხოვარ ნივთებს შინ როგორ შემოვიტან?! განა არ იცი, ამას რა მოჰყვება? პირში დაგვეღუპება!

— მაშ, რა ვქნათ? — ვკითხე მე, — გამოდის, რომ ორ დღეს ზედიზედ მოგვიწევს სტუმრების გამასპინძლება. ერთ დღეს ერთი ნაწილი მოვა და ისინი მოვინებ, მეორე დღეს კი — მეორე.

მეუღლემ ჩემი გეგმა მოიწონა და გადაწყდა, რომ ასე მოვექცეულიყავით. ასე და ამგვარად, დადგა დღესასწაულის მეორე დღე, თადარიგით დაავიჭირეთ და დარბაზობისათვის თითქმის ყველაფერი მოგვარდა. აღსანიშნავია ბატის გარდა, მოვაშაადეთ ქერის დიდებული შეჭამანდი, ბატენის საუცხოო მწვადი, თრნაირი ფლავი ნაირ-ნაირი სოუსითა და სანელებლებით.

ცოლის ნამზითვე, ახალ საწოლში გავიშოტე და საღვეს მწვანისა და სურბრო მოთხოობების კითხვით ვიყავი გართული; მართლაც დიდ სიტკბოებას განვიცდიდი, რომ უეტრად ჩემი მეუღლე შემოვიდა და გამომიციხადა:

— ერთი აწოწილი ახალგაზრდა მოეთრა, ვიდაც მუსტაფა. თქვენი დვიძლი ბიძაშვილი ვარ და დღესასწაულის მოსალოცად მოვედიო.

მუსტაფა დედაჩემის დეიდის ბიძაშვილის მამიდაშვილი იყო. ახალგაზრდა, ასე, ოცდახუთ-ოცდაექვსი წლისა, ღარიბ-ღატაკი, საოცრად უმწყო, გონებაშეზღუდული, გონჯი და ულაზათო. თმა თავზე ფაფარივით პქონდა აქონჩილი. როცა ლაბარაკს დააბირებდა, ჯერ გაწითლდებოდა, შემდეგ გაყვითლდებოდა და, თითქოს ყელში სპილენძის ფილთაქვა გაეჩხირაო, პირს აღებდა და ხიხინს იწყებდა. კიდევ კარგი, წელიწადში მხოლოდ ერთხელ მქონდა შესაძლებლობა მისი ბრწყინვალეების მობრძანებით დავმტკბარიყავი.

ცოლს ვთხოვე:

— დეთის გულისათვის, უთხარი, შუა ძილშია-თქო და როგორმე ამ ურქო და უკუდო ეშმაკისაგან გამათავისუფლე. ჯანდაბას მაგისი თავი!

— ეგ ჩემი საქმე არაა, — მომიგო ცოლმა, — რაც ერიო, ის ბერიო. სადაური ნათესავია, ყვავი ჩხიკვის მამიდაო — გაფრინდა და წავიდაო. რაც ვიიდა, ისა პქენი. რაში მქირდება შენი მაწანწალა ნათესავ-აზლობლები, თანაც ამისთანა ყუყუჩი!

ვხედავ, გზა მოჭრილი მაქვს და დმერთიც არ მომიწონებს, ხელი ვკრა ამ უბედურს, რომელმაც საზეიმო დღეს რამდენიმე გროშის შოენის მოლოდინში შორი გზა მშიერ-მწყურვალმა და ფეხშიშველან გამოვლო. გულში გავიფიქრე: როდისღა განსაშტკიცებ ნათესაურ კავშირს, თუ არა ასეთ ბედნიერ დღეს? ამიტომ ავდექი და სტუმარი ოთახში შემოვიბატიყვე; თავჩაქინდრული შემოვიდა. ამას რას ვხედავ?! ჯვარი სწერია, და ეს ვაჟბატონი მთლად ხელიდან წასულიყო. სხეული უარესად დაგრძელებოდა, დრუნჩი გაცილებით საზიზღარი სანახავი გახდომოდა, ხოლო კისერი — ტურტლიან საყელოდან რომ ამოეყო, მეტასმეტად ჩამოჰგავდა იმ დედამკვდარი ბატის კისერს, ქვაბში რომ იხრაკებოდა. მისთვის რომ გეკითხათ, წვერი გაპარსული პქონდა, მაგრამ ხალათის საყელოდან ხუსტად თითის სიგრძე ყვითელ, წითელ და წაბლისფერ ბალანს ამოეყო თავი და დამპალ მარჩუბეში¹ ჩაბუდებულ მატლებივით კისრის ირგვლივ ყელყელოზდნენ. ტანსაცმელზე აღარას ვამბობ, გარდა იმისა, რომ შარვალი ხშირი რეცხვისა და ხმარებისაგან თითქმის ერთი მტკავლით დამოკლებოდა, მუხლისთავეები კი ისე პქონდა გამობერილი, ნამდვილად ვიფიქრე: გზაზე ორი ცალი საზამთრო აუცოცებია და ტოტებში დაუმალავს-მეთქი.

ამ იშვიათი და საკვირველი ქმნილების ჰკრეტიტ რომ ვიყავი გართული, ჩემი ცოლი ელდანაცენივით შემოვარდა და მითხრა:

¹ ხის ჯიში.

— ერთი მითხარი, რა წყალს მივცე თავი, ჩემო ყაირათიანო ქმარო? ვთქვათ, ეს ბატი დღევანდელ სტუმრებს მივართვი, ხვალინდელ სტუმრებს რაღას უპირებ? ყველა შენი მეგობარი ბატით გამასპინძლებას ელის, შენ კი მხოლოდ ერთი ბატი მოგიტანია!

ვხედავ, მეტი გზა არ არის, ცოლის სიტყვებს ანგარიშე უნდა გაეწიოს, ვუხნება შემეცვალა და ამოვღერდე:

— ნუთუ არ შეიძლება, ნახევარი ბატი დღეს მივიტანოთ მაგიდაზე, ხოლო მეორე ნახევარი — ხვალ?

ცოლმა ქვა აავდო და თავი შეუშვია:

— თავი გინდა მოიჭრა? ნახევარი ბატას სუფრაზე მიტანა სად გაცდნილა? მაშინა აქვს მას შნო და ღაზათი, როცა მაგიდაზე მთელსა და ხელუხლებელს მიიტან!

ცოლი ცამდის მართალი იყო და, ერთი მითხარით, რაღა მეტქმოდა? მიგხვდის, რა შავ დღეშია ც ვიყავი ჩაფარდნილი. ბევრი ფიქრის შემდეგ, აი, რა გადაწყვეტილება: ეიდრე გვიან არ იყო, ნემსის ყუნწში გავმძვრალაყავა და ერთი ბატი კიდევ მეშოვნა, გულში გავივლე: ეს მუსტაფა, მართალია, დიდი რეგენი და უტვინო ვინმე ბრძანდება, მაგრამ ერთი ბატის გამონახვა ასეთ ყეება ქალაქში, როგორც თეირანია, არ უნდა გაუჭირდეს. ბოლოს და ბოლოს, რას ვავალებ ისეთს? ეს რომ ამერიკის აღმოჩენა არ არის და არც დევგმიტ კოსტომის კისრის მოგრება, ამის გაკეთებას უთუოდ მოახერხებს-მეთქი.

ავდექი და ვუთხარი:

— მუსტაფა, ძვირფასო, მგონი, მიხვდი რაშიც არის საქმე. პოდა, მიჩვენე ერთი, რისი გაკეთება შეგიძლია, რა ვაკვაცი ხარ. ქვესკნელშია ც რომ დაგჭირდეს ჩასვლა, ერთი კარგი ბატი — სულ ერთია რამდენიც ედირება — უნდა გამოგვიძებნო.

მუსტაფა, ჩვეულებისამებრ, ჯერ გაწითლდა, მერე გაშავდა, ბოლოს ხორხის სიღრმიდან ისეთი ბუყბუყა ხმა ამოუშვა. გეგონებოდათ, ყალიანში წყალი აღის და ჩამოდისო, ძლივს გამაგებინა, რისი თქმაც უნდოდა:

— ამ სახეიმო დღეს ბატის შოვნაზე ხელი უნდა ჩავიჭნით; ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია, ვინაიდან მთელ ქალაქში, სანთლით რომ ეძიოთ, ერთ დუქანსაც ვერ ნახავთ ღიას.

— მაშ, რა გზას დავადგე? — ვკითხე ღონემიხდილმა.

იმავე ხმით და იმავე წესით, მას რომ სჩვეოდა, მომიგო:

— ღმერთმანი, აბა რა ვითხრათ? თქვენი საქმისა თქვენ იცით, მაგრამ აჯობებდა, სტუმრების მოწვევა გადაგედოთ.

— ნეტავი ღმერთს შენთვის ჭკუა მოეცა! ერთი საათის შემდეგ სახლი სტუმრებით აივსება და გადადება რანაირად შეიძლება?

— თავი მოიკვამყოფეთ, — დამარიგა მან, — და მეგობრებს აცნობეთ, თითქოს ეჭიმმა საწოლიდან წამოდგომა აგიკრძალათ.

— ამ დილით რამდენსამე მათგანს ტელეფონით ვესაუბრე, ახლა მოვობრა ვთქვა, შეუძლოდ ვარ-მეთქი.

¹ აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწვევი მოწყობილობა.

— მაშ ადექით და თქვით: ბატი, მართალია, ვიყიდე, მაგრამ ძალმა თვალსა და ხელს შუა ამაცალა-თქო.

— როგორც ჩანს, არ იცნობ ჩემს მეგობრებს, — სიტყვა მოვეუბნე მე, — ბალები ხომ არ არიან, თვალები აფუბა: ბატმა თქვენი ჭირი წაიღო-მეთქი და მათაც დამიჯერონ. ხომ მეტყვიან — მოვიკვდეს თავი, ნუთუ არ შეგეძლო სხვა ბატი გეყიდაო — და სულს ამომართმევენ — გვიჩვენე ^{სხვა ბატი, მაგრამ} გავუხსწორებთო.

— მაშ, თუ ნებას დაგვრთავთ, ვეტყვი — ბატონი შინ არ გახლავთ, წმინდა მასუბეს¹ საფლავის მოსალოცად წაბრძანდა-თქო.

ვნახე, რომ ბევრს მიუღ-მოეღება, გადავწყვიტე, ლაგამი ამომეღო მისთვის და ღვთის ანაბარა დამეგდო.

— მუსტაფა იცი რა, — დავიწყე მე, — საახალწლო საჩუქარი შენთვის მზადა მაქვს. პა ეს ფული და საჩქაროდ მოუხვი. ჩემი ოჯახის სახელით მოკითხვა გადაეცი ბიძაჩემის თანამეცხედრეს და უთხარი: ღმერთმა ინებოს ეს ახალი წელი თქვენთვის ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს და მრავალ ახალ წელს ტკბილად და ბედნიერად დასწრებოდეთ-თქო.

მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მუსტაფას ფიქრი და ოცნება სხვა რამეს დასტრიალებდა თავს, ჩემი სიტყვებისათვის ყური არ უგდია, თავისი ფიქრი განაგრძო და მომიგო:

— მოდი, ისეთი ხერხი ვიხმართ, დღეს სტუმრებმა ბატს ხელი არ ახლონ; ხვალ კი ბატი ხელახლა შევათბოთ და ისევ მივიტანოთ სუფრაზე.

ეს რჩევა, რომელიც თავდაპირველად საოცრად უაზროდ მეჩვენა, თანდათან ჭკუაში დამიჯდა. კარგად რომ აეწონ-დაეწონე, ჩემს დაბინდულ სულში იმედის ნაპერწკალმა გაიელვა. გახარებულმა და ღიმილმორეულმა, პირი მუსტაფასკენ ვიბრუნე და ვუთხარი:

— პირველი შემთხვევაა, რომ შენგან რიგიანი სიტყვა მესმის. ოღონდ, ჩემის აზრით, ეს ნასკვი შენივე ხელით გაიხსნება. ისეთი ფხა უნდა გამოიჩინო, რომ ძე-ხოციელმა ბატზე თითის დაკარებაც არ ისურვოს.

მუსტაფა საოცრად გამოცოცხლდა, მიუხედავად იმისა, ჯერ წესიერად ვერ გარკვეულიყო, რას ვისახავდი მიზნად — გამხიარულება აშკარად შეეტყო. ენა დავიშაქრე და, რაც შემეძლო, თავაზიანად ვუთხარი:

— რაღას უდგახარ, რატომ არ დაჯდები? უფრო ახლოს მოიწი, ამ ხავერდის სკამზე ჩამოჯექ, ჩემს გვერდით. შიამბე, როგორა ხარ, რას საქმიანობ? იქნებ გინდა რიგიანი სამუშაო გიშოვნო და ხეირიანი ქალიც გამოგიძებნო? ამ სასუსნავს რად არ გასინჯავ? მიირთვი, ღმერთმა შეგარგოს, იეზდიდან² ჩამომივიდა საჩუქრად...

მუსტაფამ თავისი აყლაყუდა და მოკუზული სხეული ხავერდგადაკრულ სკამზე მოათავსა და ჩემ მიერ ასეთი მოულოდნელი ყურადღებისა და სიყვარულის გამოჩენისათვის მოინდომა, რომ მისთვის დამახასიათებელი ზღაზვნით მადლობა გადაეხადა. მაგრამ არ ვაცალე და ვუთხარი:

— რას ამბობ. ღმერთმა შეგინდოს! სხვა რომ არა, შენ ჩემი უმცროსი

¹ ირანელი იმამის და, რომელიც დასაფლავებულია ყუმში.

² ქალაქი სამხრეთ ირანში.

ძმა ხარ; დღეს როგორ გაგიშვებ, ჩემი ძვირფასი სტუმარი უნდა იყო. მთელი ერთი წელია ფეხი ამოიკვეთე ჩვენგან და ძვირი სანახავი გაგვიხდი. რატომღაც მიივიწყე, რომ ამ ქალაქში ცხოვრობს ადამიანი, რომელიც ბიძაშვილად გვარგება. თუ ოდნავ მაინც შეგვრჩენია ჩვენი სიყვარული, დღეს ერთად ვისადილოთ, ახლავ დავაავალებ ცოლს — ერთი ხელი ჩემი საუკეთესო ტანსაცმელი მოგართვას, ჩაიცვამ და მაგიდასთან გვერდით მომიჯდები. მხოლოდ ერთი რამ უნდა დაიმახსოვრო. ქერის შეჭამანდის, ბატონის მწვადის, ბრინჯისა და ხორცის¹ შემდეგ, როცა მაგიდაზე ბატს მოიტანენ, შენ იტყვი: „გემუდარებით, გვაკმარეთ, ბიძაჩემო, მუცელში ერთი ბეწო ადგილიც აღარ დავგრჩენია: ამდენი ჭამა ხეირს არ დაგვაყრის. უძიარო ქვევრი ხომ არ არის ჩვენი მუცელი? ნამდვილად აფსუსია, ეს მშვენიერი ბატი ტყუილუბრალოდ დაეღუპოთ! ბიჭადად ჩემი და აქ დაქსწრე ბატონების სახელით უმორჩილესად გთხოვთ, კეთილ ინებონ და ეს ბატი უკანვე წაიღონ. მაგრამ თუ თქვენსას არ დაიშლით და დაბეჯითებით შეგვეპატიუებით, მაშინ შეგვიძლია გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ისევ მოვიყაროთ, თავი და გვარიანად მოვილხინოთ. ხოლო დღეს თუ კიდევ ჭამას გვაძლუბთ, ღმერთია მოწამე, აქვე ლოგინად ჩავვარდებით და თქვენივე საპატრონო გავხდებით. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი სიკვდილი ხომ არ გინდათ?“ იმ დროს მე ბევრიც რომ შეგეპატიუოთ, მტკიცე უარზე უნდა იდგე და სტუმრებიც შენს მხარეზე გადაიბირო.

მუსტაფა პირდაღებული და კისერწაგრძელებული უსმენდა ჩემს სიტყვებს. სახეზე დამცინავა ღიმილმა გადაუარა, აჭაოდა, მიგიხვდი, რასაც ფიქრობო, ცოტა ხნის შემდეგ თავისი სახმო აპარატი მომართა და მიპასუხა:

— კეთილი, გასაგებია. არხეინად ბრძანდებოდეთ, ასე მოვიქცევი.

გაკვეთილი რამდენჯერმე გავუმეორე, ვიდრე ზეპირად არ დაისწავლა. როცა დაერწმუნდი, რომ ამდენი ჩიჩინისაგან ტვინი კარგად გამოთლავდა, ტანსაცმლის გამოსაცვლელად და გამოსაკობტავებლად მეორე ოთახში შევგზავნე. მე კი კვლავ მოთხრობების კრებულს „ჩრდილ-ნათელს“ მივუბრუნდი.

ორი საათის შემდეგ, დანიშნულ დროს, როცა სტუმრები უკლებლივ შემოუსხდნენ მაგიდას და ცდილობდნენ არ ელაღატათ დევიზისათვის: „ეცო და ჩაყლაპე“, მოულოდნელად ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი, აბრეშუმის წინდებით, ძვირფასი ჰალსტუხითა და ზამშის გაკრიალებული ფეხსაცმლით დამშვენებული მუსტაფა მთვრალი ფარშავანგივით შემოფარფატდა ოთახში. წვერი გაეპარსა, სახეზე რომ ნაჩვრეტები და დაკენკილი ადგილები ჰქონდა, პუდრაითა და კრემით ამოვესო, თმისათვის ბზინვარება მიეცა, ყურში, ცხვირსა და კისერზე წამოზრდილი ზედმეტი ბალანი შეეკრიჭა, სუნამო ეპყურებინა, ერთი სიტყვით, საოცრად მორთულ-მოკაზმულიყო. გეგონებოდათ, ეკრანიდან ცნობილი კინოსახიობი გადმოსულა, რათა თავისი გამოჩენით ჩვენი მეგლისი შეამკოს და გააპატიოსნოსო. საოცარი ის იყო, ახმან სხეულზე ჩემი ტანსაცმელი რა მზაკვრობით მოირგო. ნამდვილად იფიქრებდი, თერძმა იგი საგანგებოდ მის ტანზე შეკერაო.

ბატონმა მუსტაფა-ხანმა სრული სიღარბაისლითა და მოხდენილობით შეასრულა მისალმების საყოველთაოდ ცნობილი ცერემონიალი, შემდეგ დინჯად

¹ კერძი, რომელიც ფლავის საკაზმად იხმარება.

და აღუღლებლად გვერდით მომიჯდა. იგი იმხანაგებს წარვუდგინე, როგორც დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსეული ჭაბუკი და, რაკი დავრწმუნდი, თავის პარობა-მოვალეობას მშვენივრად გაართვა თავი. გული ხაგულქმა ჩამიღდა.

მოწონების ნიშნად სირჩა არყით შევავსე და თავაზიანად მიმხმინებდი.
— პატონო მუსტაფა-ხან, მიართვი, გეთაყვა, ერთი ჭიქა ისტაპანური, მაინცდამაინც მაგარი არ გახლავთ.

მან ბავშვები კოკორავით შეკუმშა და მიბასუხა:

— მართალია, ფრანგულ კანიაკ „ვარსკვლავსა“ ვარ შეჩვეული, მაგრამ ახლა, რაკი დაბეჯითებითა მთხოვთ, უარს ვეღარ ვეტყვი! — თქვა თუ არა, არყით სავსე სირჩა სულმოუთქმელად ჩაისხა ხახაში, ჭიქა ხელმეორედ გამოძინდა და მითხრა: — არაყი, ასე თუ ისე, ურიგო არ გახლავთ, გემოთი ჩამოგავს „ოსობაია ლენინგრადსკაიას“, რომლის ჩამდენიმე ბოთლი ამას წინათ რუსმა საქმეთა რწმუნებულმა საჩუქრად გამომიგზავნა. აფსუს, რატომ იჭარბებოდით, მართლია, დიდებული რამ გახლავთ. თუმცა არც ეს ისტაპანური ჩამოუფარდება. საკმარისია, ირანელმა წახალისება იგრძნოს, რომ ევროპელს ჯიბეში ჩაისვამს. მიიღეთ მოწყალება და ერთი კიდევ დამისხით!

ეს რა ხათაბალა ავიტყვი! ჯერ შუა ჭამაშიაც არ ვიყავით, რომ არყის ორი მესამედი, სხვა სასმელებთან ერთად, ამ „ღირსეული ჭაბუკის“ გაუმადლარმა მუცელმა შთანთქა. ვკონებ, საჭირო არაა იმის აღნიშვნა, რომ სუფრაზე შეუჭმელს არაფერს უშვებდა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ღვინისა და ჭაბაბის წყალობით მუსტაფამ ისე აიწყვიტა თავი, რომ პირდაპირ ვეღარ იცნობდით. ყბას ერთი წუთით ან აჩერებდა, ენას იქარგავდა, ხუმრობდა, მანვილსიტყვაობდა, ანეგლოტებს ჰყვებოდა. ერთი სიტყვით, თავის უბადლო ორატორობით მეჯლისის ერთპიროვნულ მშვენივრად მოგვევლინა. არაყი ხომ ყველა ჭირისა და უბედურების წამალია და, რა თქმა უნდა, მუსტაფასაც ძალიან უშველა — დაბორკილი ენა აუხსნა და ახლა ისე ყოჩაღად ამოდრავებდა, თითქოს აღის¹ მანვილიათ.

ეს ურცხვი, უტიფარი კაცი, რომელსაც იმამ-ზადე დაუდისა² და აბდოლ-აზიშის³ გარდა ფეხი არსად გაუდგა, ჩიკაგოში, მანჩესტერში, პარიზში, ევროპასა თუ ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში საკუთარ თავგადასავალზე ისე გატაცებით ჰყვებოდა, თითქმის მზად ვიყავი შემეჩვენებინა საკუთარი თავი, მას რომ აქამდე ანგარიშს არ ვუწევდი.

ყველა სულგანაბული უსმენდა, მან კი ძაღლის ყბა გამოიბა და ენას მოსვენებას არ აძლევდა. ყველაზე საოცარი ის გახლდათ, რომ ერთდროულად ჭამასაც ახწრებდა და საუბარსაც. ნამდვილად იფიქრებდით, ხორხში უთუოდ ორი შილი უდვას, ერთი ლუკმის ჩასაყლაპად, ხოლო მეორე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების წარმოსათქმელადო.

როცა საუბარი ახალწლის დღესასწაულის მეცამეტე დღეს შეეხო, მუსტაფამ საკუთარი ყასბა წაგვიკითხა და თან დასძინა: ეს ლექსი გუშინ შევეთხნით.

1 არაბთი მეოთხე ხალიფა (656 — 661), წინასწარმეტყველ მოჰამედის სიძე.
2.3 იმამ-ზადე დაუდი და აბდოლ-აზიშა — თეირანის გარეუბნები.

ამის გავონებაზე სტუმრებმა ყოფინა ატეხეს, გაისმა შეძახილები: „ყოჩაღ, ჩინე-
ბულია!“ ორმა ფრიად პატივცემულმა ბატონმა, რომლებიც განათლებასა და
სწავლულობას იჩემებდნენ, ზოგიერთი სტრიქონის ორჯერ და სამჯერ გამეო-
რება შოთხავა, ხოლო ერთი დამსწრეთაგანი, რომელიც პოეზიის თავგანის-
მცემლად ითვლებოდა და პოეტის სახელზე თცნებობდა, ისევე მისაწერდა,
მიიჭრა მასთან, გადაკოცნა და შესძახა: „აი, ღმერთმანი, ჭემსაჭრის სტუმრებ-
ნება!“ თანაც ჰკითხა, რა ფსევდონიმით წერთ.

მუსტაფამ შეურაცხყოფილი ადამიანის პოზა მიიღო და განაცხადა:

— ბირადად მე ფსევდონიმი ზედმეტად და დროშოჭმულად მიმაჩნია,
დროა იგი დავიწყებას მივცეს, მაგრამ საქმე ისაა, რომ აწ განსვენებული ლიტე-
რატორის — ფაშაზარის — დაფინებულ თხოვნით, რომელიც თქვენს მონა-მორ-
ჩილთან კეთილგანწყობილებაში იყო და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში
გვერდიდან არ მიშორებდა, ფსევდონიმად სიტყვა „პროფესორი“ ავირჩიე. აქ
მინდა დავსძინო, რომ არ მიყვარს ამ სიტყვის ხშირ-ხშირად ხმარება.

დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად დაადასტურა, რომ ფსევდონიმი საოც-
რად ზედგამოჭრილია და ზუსტად შეეფერება ისეთი დიდი ნიჭისა და უნარის
პატრონს, როგორიც მუსტაფაა.

ამ დროს ვესტიბიულიდან ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ბატონმა „პრო-
ფესორმა“ პირი მსახურისაკენ იბრუნა და წარმოთქვა:

— მეგობარო, ვგონებ, წინაგან საქმეთა მინისტრი მირეკავს; გადაეცით, რომ
ამჟამად სუფრასთან ვზივარ და შემდეგში თავად დავურევავ.

სინამდვილეში კი, ცხადი იყო, ვიღაცამ ჩვენთან შეცდომით დარეკა.

ჩემი ძმურა რომ შემთხვევით მის თვალებს წაწყდომოდა, მაშინვე შევა-
წყვეტივინებდი იმ უთავბოლო ყბედობას, გონს მოვიყვანდი და სწორ გზაზე
დავაყუენებდი, მაგრამ მან იცოდა ეს, თვალებს ერთთავად თეთშებზე აცვებდა,
და გარე სამყაროს ყურადღებას არ აქცევდა.

ჭერის შეჭამანდის, ბატონის მწვადის, ფლავისა და სხვა სურსათ-სანთავაგის
მოთავეების შემდეგ დაიწყო ბოყინის „ტრანსლიაცია“ და შემწვარი ბატის შემო-
ტანისათვის შესაფერი დრო დადგა. ბატის მოლოდინში ჩემს გულს ბაგაბუგი
გაჰქონდა და ღმერთს ვებვეწებოდი, იგი სტუმრებია თავდასსმისაგან დაეფარა,
ამასობაში თვალი მოეკარი მსახურს, რომელიც ლანგრით ხელში შემოვიდა. მან
მაგიდის შუაგულში ჩადგა მსუქანი, კარგად დაბრაწული ბატი, რომელიც ჯერ
ისევ ერბოში მიშხინებდა, და თვალს მიეფარა.

და აი, ახლა მთელი ჩემი გულისყური მუსტაფასკენ არის მიმართული.
ნუთუ ბატის სუნი ისე გააბრუებს, ნებისყოფის სადავე ხელიდან გაუხსლტება?
მაგრამ არა! ღვთის წყალობით, ჭკუა-გონება ისევ შერჩენია და მის გოგრაზე
სამღურავე არ გვეთქმის! მოჰკრა თუ არა თვალი ბატს, სტუმრებს მიუბრუნდა,
და შესძახა:

— ბატონებო, გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ ჩვენი ძვირფასი მასპინძე-
ლი ახლა უკვე კარგს არას გვიქადის, ერთი მითხარით, რაღა დროს ბატია? ბი-
რადად მე ყელამდე ვარ სავსე და, თავიც რომ მომკვეთოთ, რავინდ საუცხოო
კერძიც არ უნდა იყოს, ხემსსაც ვერ გაესინჯავ. ჩვენ სულაც არ გვინდა აქედან
პირდაპირ საავადმყოფოში ამოგყოთ თავი. ადამიანის კუჭი განა ჭაა, ჩაჰყარო,
და არ აივსოს?

თქვა თუ არა, მსახური იხმო და დაავალა:

— მოდი ერთი, მეგობარო, ბატონებს სურთ, ამ ბატს ხელი მოჰკიდო და საჩქაროდ უკანვე გაიტანო.

სტუმრები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ და არ იცოდნენ, რა ელონათ, ერთი მხრივ, მათ შემწვარი ბატის სუნმა ყნოსვა გაუღიზიანა და სულაც არ იყვნენ წინააღმდეგი ერთი ლუკმა მაინც გაესიჩქარეთუნდაც ბატქნას ხორცთან შესადარებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, თავგამოდებული მოსოდება ისეთი ცნობილი პიროვნებისა, როგორც ბატონი „პროფესორი“ გახლდათ, სტუმრებს ხელ-ფეხს უბორკავდა და მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. მართალია, ისინი თვალებით ჭამდნენ ბატს, მაგრამ იძულებული იყვნენ დაედასტურებინათ მუსტაფას ნათქვამი და წარმოეთქვათ: „ღიახ, რასაკვირველია!“ მივხვდი, რომ ჩვენი შეთქმულება ხორცს ისხამდა; გულით მეწადა, მუსტაფასათვის ერთი ასჯერ მაინც შექმესხა ხობა და აქლემის ბაგეზე დავკონებოდი. ისიც ვიფიქრე, ამიერიდან მზრუნველობას არ მოვაკლებ და რიგიან სამუშაოს გამოვუძებნი-მეთქი.

ხოლო სხვების დასანახავად თავი გამოვიდე, გრძელ საყასბო დანას ხელი წამოგავლე და წმინდა იბრაჰიმის მსგავსად, რომელსაც ისმაილის მსხვერპლად შეწირვა სურს — ბატს (საუკუნო განსვენება მას) თავს დავესხი. თან ისე ვფაფხურობდი, თითქოს მსურდა ეს უმწეო ფრინველი ნაფლეთებად მექცია. ამავე დროს, ზრდილობის გულისათვის, ბატონ „პროფესორს“ დაეინებით ვთხოვდი, პატივი დაგვდეთ და ერთ ლუკმა მაინც გასინჯეთ, თორემ, სხვა თუ არაფერი, მზარეულს ეწყინება, შრომა არ დამიფასდაო.

კიდევ კარგი, ყასაბს ბატისათვის ენა თავთან ერთად მოეკვეტა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი უტიფარი ორპირობისათვის იმ ენით ხეირს არ დამაყრიდა. ერთი სიტყვით, რამდენსაც არ ვეპატიეებოდი, მუსტაფა მტკიცე უარზე იდგა. ბოლოს და ბოლოს, საქმე ისე მოაგვარა, რომ სტუმრებიც დაითანხმა და მათ ერთხმად მოითხოვეს ბატის უკან გაბრუნება. სტუმრები წინააღმდეგი იყვნენ ბატზე თითის დაკარებისა და ხელი არ ვახლოთო, მოითხოვდნენ.

ერთი სიტყვით, საქმეს სასურველი დასასრული უნდა მიეღო, რომ უმცრად დამცდა:

— ბატონებო, ბოლოს და ბოლოს, უსამართლობაა, ქვა და გუნდა მიაყაროთ ბატს, რომელსაც მუცელი საუკეთესო ქლიავითა აქვს ავსებული და საუცხოო საზღვარგარეთულ კარაქშია შემწვარი!

ვიდრე ჩემი საზიზღარი ბაგე ამ სიტყვების წარმოთქმას მოასწრებდა, თითქოს უეცრად ზამბარა გაუწყდაო — მუსტაფამ ხელი ანგარიშშიუცემლად გაიწოდა, ბატს ფრთა აავლიჯა, კბილებში მოიგდო და წარმოთქვა:

— ახლა, რაკი საუკეთესო ქლიავით დაგიჩურთავთ და იშვიათ საზღვარგარეთულ კარაქში შეგიწვავთ, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს პატივცემული მასპინძლის თხოვნას და მისი ზათრით ერთი ლუკმა არ გავსინჯოთ.

თითქოს ამ სიტყვებს ელოდნენო, დანარჩენებმაც ისარგებლეს შემთხვევით და ბატს დამშეულებივით დააცხრნენ თავს; თვალის დახამხამებაში ჩემი უბედური ბატი ძვლიან-ხორციანად თორმეტმა უღმიბელმა სახამ შეიწირა. ერთმა დუქიანმა კუჭ-ნაწლავმა პირწმინდად შთანთქა ლუკმა-ლუკმად ქცეული

ბატი და გადაუშავებას შეუდგა. ერთი სიტყვით, ჩვენში დარჩეს. და სუფრის წვერებმა ბატს ისე მოუთავეს ხელი, გეგონებოდა კვერცხიდან არ გამოჩქილა და, საერთოდ, არც არსებულა ამ ქვეყნად! ნათქვამია, ადამიანი ბორცისმჭამელი ცხოველიაო. მე კი მგონია, ჩემი სტუმრები ძვლისმჭამელებს უფრო ჩამოჰგავდნენ. მერწმუნეთ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ^{საქართველოს} ^{სამარქათო მუცელი} ჰქონდა. აბა, ეინ დაიჯერებდა, რომ სწორედ ეს ვაჟბატონები იყვნენ ისინი, რომლებმაც ამავე სუფრაზე, ამავე დანა-ჩანგლით აღჭურვილებმა ორი საათის განმავლობაში საშინელი გააფთრებით დაახლეს ერთი ხარვარი¹ ხორცი, უზომო ბოსტნეული, ბოლოს თეფშებიც კი გულმოდგინედ მოლოკეს! ახლა, თითქოს აქ არაფერიაო, თორმეტივემ თავიდან დაიწყო ჭამა! საკუთარი თვალით შევყურებდი, ჩემი დაედაეა ბატი — აწ უკვე დაფლეთილი და დაქუცმაცებული — როგორ გახდა ამ სეავების საბოლოო ნადავლი და თითქოს არც კი არსებულყო ქვეყნად, მათსავე მუცელში დაიმარხა.

ამ საზარელი სანახაობისაგან პირი გამიშრა, სუნთქვა შემიგუბდა. ნაძალადევი დიმილსა და პირფერობის გარდა, აღარაფერი შემეძლო.

ახლა ორიოდ სიტყვა ბატონ „პროფესორის“ შესახებაც მოისმინეთ. იგი კვლავ განცხრომასა და ნეტარებას ეძლეოდა, როცა თქვენი მონა-მორჩილის აბრეშუმის ცხვირსახოცი ჩემივე შარელის ჯიბიდან ამოიღო, ნაზად და კეკლუცად მოიწმინდა „კოპწია“ ტუჩები და თითქოს მოგონებებმა გაიტაცესო, კვლავ სალაპარაკოდ მოიმართა. თურმე წუ იტყვიო, და ეს ვაჟბატონი საზოგადოების ერთი დირსეული, სახელოვანი ნაწილის თანხლებით შვეიცარიის ტყეებში გარეულ ტახებზედაც ნადირობდა! შემდეგ კი თავის მიჯნურობაზე იქაურ დირსეულ, ულამაზეს ასულებთან ისეთი სისულელებები მორაშა, რომ შეუძლებელია მათი გადმოცემა. დამსწრე საზოგადოებამ ისე მიიღო ეს ამბავი, თითქოს მუსტაფას პირით ღვთაება დალადებდა და მის ყოველ სიტყვას მოწონების შეძახილებით ხვდებოდნენ.

იმ გაბურებული პურ-მარხლის დროს, როცა ბატის (დმერთმა შეიწყალოს!) მოსპობა-გაცამტვერების სურათმა ერთხელ კიდევ გამახსენა მერყევი და ორგული ბუნება მუსტაფასმაგვარი სულმდაბალი, ცბიერი, უტიფარი, ცრუპენტელა და საზიზღარი ხალხისა, კვლავ გაისმა ტელეფონის ხმა. გარეთ გავიჭერი, შემდეგ საჩქაროდ შემოვბრუნდი, პირი ბატონ „მონადირისა“ და „შეყვარებულითა მკვლელისაკენ“ გიბრუნე და ვუთხარი:

— ბატონო მუსტაფა-ხან! თვით შინაგან საქმეთა მინისტრია ტელეფონთან და დაყინებით ითხოვს, პირადად გესაუბროს!

იმ ტაპმა ჩემი ნათქვამი დაიჯერა და ნაცვლად იმისა, რომ ოდნავ მაინც შეეცბუნებულყო — უკან დამედევნა. ოთახიდან გავედით თუ არა, კარი მივიკეტე და მასთან ანგარიშის გასასწორებლად მოვემზადე. ბატონ „პროფესორს“ ისეთი ღაზათიანი სილა გავაწიანი, რომ თქვენი მონა-მორჩილის ხუთივე თითი სახეზე აღებეჭდა.

— შე ოჯახდაქცეულო, შევუტეე მე, — არ მოისვენე განა, ვიდრე მუცელი არ ამოიყორე?! რა იყო, რომ ბატის დანახვაზე სულ მოლად შეიშალე, სიტყვა გატეხე და საკუთარ მოვალეობას უღალატე! ეს საქმეა? მე, რომელმაც

¹ ხარვარი — წონის ერთეული.

შენისთანა ნაძირალას საიდუმლო გავუმხილე, არ დამინდე და პირში ჩაღა გამომაველე: ჰა, ესეც შენ! — დაგჭყიელე და ისევ სილა გავაწანი.

ისევ იმ წყვეტილი ხმით, მისთვის დამახასიათებელი უნის ბოროტიკითა და ნანერებით, რომლის ნიშანწყალიც სადილობის მთელი დროის განმავლობაში არ იგრძნობოდა, აღუდღუღდა:

— ჩემო ძვირფასო ბიძაშვილო, ნუთუ მე რაიმე დანაშაულებას მამყობის? იქნებ აღარ გახსოვთ, პირობის დადებისას მხოლოდ და მხოლოდ ბატის შესახებ რომ მესაუბრებოდით? აბა, როდის ახსენეთ, საუცხოო საზღვარგარეთულ ერ-ბოშია შემწვარი და მუცელშიც ქლიავი უწყვილო. კეთილ იხებეთ და დამეთანხმეთ, თუ მართლაც ჩაეიდინე დანაშაული, ეს, უბირველეს ყოვლისა, თქვენი ბრალია და არა ჩემი!

ისე ვიყავი გაბოროტებული, რომ თვალთ ვეღარას ვხედავდი. კარი ანგარიშშიუცემლად გამოვადე და ეს უმადური ახალგაზრდა კაცი დამპალი კომშივით ვისროლე გარეთ. შემდეგ, გონს რომ მოვსულყავი და შინაგანი დუღილი დამეცნრო, ეზოში ბოლთის ცემა დავიწყე. რაღას ვიზამდი, სახეზე ხელოვნური ღიმილი გადავიკარი და სტუმრებთან შევბრუნდი. სტუმრები ერთმანეთის პირდაპირ მოკალათებულყვნენ და ხარღს თამაშობდნენ. მთელი მათი გულისყური „შაშა და ბეშა“ დასტრიალებდა თავს და ერთმანეთის კარის ჩაკეტვაზე ოცნებობდნენ.

— ბატონი მუსტაფა-ხანი, — დავიწყე მე, — დიდ ბოდიშს ვიხდით, ვინაიდან იძულებული გახდა ისე წასულიყო, თქვენთან გამომშვიდობება ვეღარ მოახერხა. შინაგან საქმეთა მინისტრმა პირადი მანქანა გამოუგზავნა და საჩქაროდ გაიწვია.

ნადიმის ყველა მონაწილემ გაღწრფელი სინანული გამოთქვა მუსტაფას უეცარი წასვლის გამო და მერე, მის საუცხოო თვისებებზე, თავის დაჭერაზე, ზრდილობაზე, განსწავლულობასა და ნიჭიერებაზე დაიწყეს საუბარი. ჩემს სტუმრებს გულით ეწადათ იგი თავიანთ ოჯახშიაც მიეწვიათ, მთხოვდნენ, ნუ დაიზარებთ და მუსტაფას ტელეფონის ნომერი და ბინის მისამართი გვახსავლეთო. მეც, რაღა დაგიმალოთ, ურცხვად და უსინდისოდ, ისე რომ, წარბსაც არ ვიხრიდი, ვატყუებდა ყველას და მცდარ ნომერს ვუსახელებდა.

მეორე დღეს გამახსენდა, რომ სწორედ წინაღლით ჩემი ახალთახალი, საუკეთესო კოსტიუმი, რომელშიაც ბატონი „პროფესორი“ მუსტაფა-ხანი იყო „გამოხვეული“ ჩემივე გასახმობი ხელებით გარეთ გავუძახე, მაგრამ მშვილდიდან გატყორცნილ ისარს უკან რაღა დააბრუნებს? ასე და იმგვარად, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი რაოდენ ჭეშმარიტად უთქვამთ: „რაც მოგივა ალიაო, ყველა შენი ბრალიაო“ და ფიცი დავდე: ჩემს სიცოცხლეში არ ვინატრო დაწინაურება.

აკურყასან კილათი

ეტიკეტი

„ჩემს ძვირფას მკურნალს სვალ უსრულდებია თქვაშვიდი წელი, რომლის საბჭაბო აღნიშვნასაც მან ფაქტობით საღამოს ექვსიდან ცხობა საათამდე. გთხოვთ, თქვანი მოსვლით გაგვამოძინაოთ. ჩვენი თხოვნაა — მომრბანდეთ ზუსტად დანიშნულ დროს.“

მთხსენ სასთგაბი“.

მოსაწვევი ბარათი ხელით იყო დაწერილი და არა გადაბეჭდილი, ოფიციალური იერი რომ ჰქონოდა, მაგრამ ბოლოს დართულმა მინაწერმა მომრბანდით ზუსტად დანიშნულ დროსო, ცოტა არ იყოს, მაინც შემაწუხა და წერილის მომტანს, ბატონ სახთგირის ვაჟს ცუთხარი:

— სახთგირ ბატონო, რა საჭიროა ასეთი სიმკაცრე: ექვსი საათი ძალიან ადრეა; ჩემისთანა ზარმაცი ადამიანისათვის ამ პაპანაქებაში სახლიდან გამოსვლა ნამდვილი დასჯა იქნება და მეტი არაფერი! ისე შორს ცხოვრობთ, ხუთზე მაინც უნდა გამოვიდეთ შინიდან, რომ ექვსზე თქვენთან ვიყო.

ყმაწვილმა გაიღიმა, თავი ჩაღუნა და მიპასუხა:

— ხომ იცით მამაჩემის ამბავი, როგორ იცავს ბოლშე ეტიკეტს, წამებსაც კი ითვლის; ჩემი რა ბრალია?!

ეს მოთხრა, დამემშვიდობა და წავიდა. როცა თიხში შევბრუნდი, მომაგონდა, რომ ბატონ სახთგირის ამ ვაჟმა სამი წლის წინ მოათავა სამხედრო სამსახური, ახლა, წესით და რიგით ოცდახუთი წლისა უნდა იყოს. ბატონი სახთგირი კი მეუღლის დაბადების ოცდაშვიდ წელს შეიმობს. როგორ შეიძლება, ოცდაშვიდი წლის დედას ოცდახუთი წლის შვილი ჰყავდეს?! ეს ბატონი, რომელიც სავალდებულოდ ხდის ეტიკეტის დაცვას, დროს ზუსტად აღნუსხავს და ნახევარი საათით დაგვიანებასაც კი ამჩნევს, თავის მეუღლეს ოც წელს რატომღა აკლებს?!

ცხადია, ეს საკითხი ფსიქოლოგიური მეცნიერების სფეროს განეკუთვნება და ვინაიდან მე აქ უძლური ვარ, ავდექი და სხვა საკითხზე გადავედი. ეს გახლდათ პრობლემა უაზრობის სფეროდან. უაზრობას არც დასაწყისი გააჩნია და არც დასასრული. უაზრობაა, აბა რაა, ასეთმა გაჭირვებულმა ადამიანმა, როგორიც

ვარ მე, ავღვე ახლა და უკანასკნელი გროშები დავხარჯო, საჩუქარი ვუყიდო ქალს, ვისთანაც არავითარი ნათესაობა არ მაქავშირებს?! და ეს უნდა ჩავიღინო იმიტომ, რომ ერთ მწვენიერ დღეს იგი გაჩნდა ამ ქვეყანაზე. ბოლოს და ბოლოს, რა არის ეს ხარკი, რომელსაც ეტიკეტის, ანუ თავაზიანობისა და კლათწესის საფარველით ხალხი თავისი დაბადებისათვის ღებულობს? ხეწო, ხეწო, ხეწო ბატონო... პატივცემულო ქალბატონო... მე მოგიწვიეთ განა, ამქვეყნად რომ მოხვედით? ნუთუ მე ვარ მიზეზი თქვენი მობრძანებისა? ღმერთსა ვფიცავ, თქვენს შექმნაში ერთი ბეწო დამსახურებაც არ მაძიძღვის, იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ თქვენზე უმცროსი გახლავართ და თუ ისეთ თვითნებურ დოკუმენტს დაეჯერება, როგორცაა პასპორტი, მაშინ, როცა თქვენ მოველინეთ სამყაროს, მე დაბადებულიც არ გახლდით. საერთოდ კი თქვენს ამქვეყნად მობრძანებას ჰქონდა ალბათ რაიმე საფუძველი... კაცს რომ სხვის დაუხმარებლად შეეძლოს ქვეყნად გაჩენა, მაშინ, ცხადია, უფლებაც ექნება იამაყოს თავისი ნიჭიერებით და ამის გამო საჩუქარიც კი მიიღოს. მაგრამ ასე რომ არ არის! მაშ, რა აუცილებელია, თქვენი დაბადების აღსანიშნავად საჩუქარი მოგართვათ? მართლაც და რატომ? ბატონებო და ქალბატონებო, თქვენი დაბადების აღსანიშნავად აქეთ უნდა მოგვართვათ საჩუქარი და არა პირიქით, რადგან სწორედ თქვენ, დაბადებიდან დღემდე ჩვენ, ე. ი. თქვენს ირგვლივ მყოფთ, აურაცხელ შრომასა და ჯათას გვაყენებთ. ახლა თუ გსურთ, თქვენგან მოყენებული ეს ჯათა და ტანჯვა შეგვიმსუბუქდეს, კეთილ ინებეთ და თქვენი დაბადების დღეს საჩუქარი აქეთ მოგვიძღვენით, ვინაიდან, თქვენ რომ არ გაჩენილიყავით, არც ჩვენ დაგვატყუებოდა თავზე ესოდენი ჯათა და ტანჯვა!.. ნუ დაგავიწყდებათ, რომ სიტყვებს „ჩვენ“ და „თქვენ“ ვამბობ იმისათვის, რათა უკეთ შეეძლო ჩემი სურვილის გადმოცემა. თორემ კაცმა რომ თქვას, წესი მოითხოვს, ჩვენც, ჩვენი დაბადების დღეს, საჩუქარი გამოგიგზავნოთ, რადგან, ჩვენდა თავად, არანაკლებ ჯათასა და შრომას განიჭებთ ხოლმე!.. მაშ, ასეთი რამ ბუნებაში პირიქით რატომ უნდა ხდებოდეს? დიახ, დიახ რატომ? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ასეა ევროპაში? განა ყოველივე, რასაც ევროპა გვიკარნახებს, ჩვენთვის კანონია და ბრძალ უნდა ვბადავდეთ?! მაგრამ არა... ამ ამბავს, როგორც ჩანს, სხვა მიზეზიც უნდა ჰქონდეს...

ამ ფიქრში ვიყავი გართული, რომ თითქოს ვიღაცამ ყურში ჩამჩურჩულა: „ამდენ ჰაი-ჰუის თავი დაანებე, სულელო, ვალდებული ხარ საჩუქარი უყიდო იმ ქალს — მისი მეუღლე ხომ შენი უფროსია?! თორემ ავერ ათი დღის წინ ვარაფთეს დის დღეობაზე არც საჩუქარი მოგიტანია და არც ამნაირი საკითხების გამო გიმტვრევია თავი!“ მივხვდი, რომ სიმართლეს ვეღარსად გავექცეოდი. ეს იყო და ეს; წუწუნს თავი დავანებე და ენა ხელმეორედ მხოლოდ და მხოლოდ ვერცხლეულით მოვაჭრესთან ამოვიღვი.

— ბატონო, — ვკითხე მე, — ამ წყვილ ვერცხლის ლარნაკს რამდენად მომცემდით?

გამყიდველმა ეტიკეტისა თუ ზრდილობის გამო, სინამდვილეში კი იმისათვის, რომ უფრო ადვილად გავვეცურებინე, შევაჭრება არ მაცალა და ორი ლარნაკი ას ოც თუმნად შემომმაჩეჩა ხელში. ასე რომ, თუ ვინცობაა, მაშინვე მოვიინდომებდი მათ ნახევარ ფასში გაყიდვას, არც ერთი სულელი არ იყიდდა.

მართალია, გამოცდილებით ვიცოდი, რომ ჩვენში დაგვიანება მოდადაა

ქცეული, რომ აღმოსავლეთში ექვსი საათი შვიდ საათს უდრის, მაგრამ მეორე დღეს, ვითომ ეტიკეტის დასაცავად, სინამდვილეში კი ჩემი უფროსის— სახთგირის შიშით, დიდის ამბით გავემზადე, რათა დანაშნულ დროისათვის მასთან ვყოფილიყავი. ექვსს ოცი წუთი აკლდა, როცა ავტობუსის გაჩერებასთან მივედი.

მორახრახდა ერთი დანჯდრეულ-დამტვრეული ავტობუსი. ეჰ, ქვეყნად რომ სამართალი ყოფილიყო, იგი ათი წლის წინათ უნდა გაეშვათ პენსიაში, მაგრამ რატომღაც ბედს დიესაჯა და ჯერ კიდევ, ვიდრე საბოლოოდ აღმოხდებოდა სული, აიძულებდნენ ტვირთი და ხალხი გადაეყვანა. ეს ავტობუსი ძველისძველი რამ იყო და გაჩერებული თუ ასე საცოდავად ირყეოდა, წარმოგიდგენიათ რა დაემართებოდა, როცა დაიძრებოდა? ავტობუსის პატრონი არ ვიცი როგორ აკვარასტინებდა უფროსებთან საქმეს, ერთი კი ცხადია: მისმა თანაშემწემ იმდენი მგზავრი შეტენა შიგ, რამდენიც უნდოდა. მანქანა ისე გაჭედა, ნემსი არ ჩაემატებოდა. ავტობუსი დაიძრა თუ არა, მისი ყოველი ნაწილი აქლრიალდა და არახრახდა, საყვირას გარდა ყველაფერი ყვიროდა! არ დამაგვიანდეს-ძეთქი და ამიტომ ჩაეჭექი ამ ავტობუსში, ახლა კი ხალხმა ლამის ცოპით მომზილა. კიდევ კარგი, მანქანის ღვანჯრებს არც ერთი მინა არა ჰქონდა, თორემ პირველსავე ას მეტრზე ყველანი გავიგულდებოდით და მძლოლი ალბათ კურსს შეცვლიდა და სასაფლაოსკენ გაგვაქანებდა. არა და, ორთავე ლარხაკი ილიაში ამოვიჩარე, ხელები დაკავებული მქონდა და ვერაფერს ვეყრდნობოდი. ყოველი მხრიდან საშინლად მაწვეებოდნენ. გულში ვამბობდი: „ღმერთო, ნეტავ ეს ლარხაკები არ დამემსხვრეს და ჩემი თავი კი ჯანდაბას-მეთქი!“

ბოლოს, როგორც იქნა დიდი ტანჯვა-წაძებით მივალწიე ჩემი უფროსის სახლს და გაოგნებული გადმოვედი ავტობუსიდან. პიჯაკი და შარვალი საშინლად დამსვროდა — დაუთოების არავითარი კვალი აღარ ეტყობოდა. გახანებული საყულო ოფლისაგან დამსველებოდა, დაჭმუჭნილიყო და ულვაშივით ზევით აბრებილიყო. მის ნაწიბურებს ისე შეეცვალა მამართულება, რომ ნიკაბ-ქვეშ უსიამოდ მიღიტინებდა. სათვალე მობრეცილიყო, თმა ამწეწოდა... თან არც საეარცხელი მქონდა, რომ დამეეარცხნა. პოდა, როგორ უნდა მივსულიყავი ზეიმზე?.. ვითომ ეტიკეტის დასაცავად, ნამდვილად კი ამიტომ, რომ უსიამოვნება არ მომსვლოდა უფროსთან, მიზანშეწონილად ვცანი ხელი ამელო ზეიმზე და კარზე დავაკაკუნე.

კარი მსახურმა გააღო.

— ლაქია ვარ ამა და ამ კაცისა, — ვუთხარი მე, — დამავალა, ეს ორი ლარხაკი ბატონი სახთგირისათვის გადამეცა.

მსახურმა საჩუქარი მინ შეიტანა და გამობრუნდა, ფეხის ქირად თუმნიანი მაჩუქა! ეს ჩემთვის ყოველგვარ შეურაცხყოფაზე უარესი იყო! მაგრამ რაღას ვიზამდი, გამოვართვი და სასწრაფოდ წამოვედი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს უფროსს დავურეკე და მეუღლის დაბადების დღე ტელეფონით მივულოცე, თან მიუსვლელობის გამო ბოდიშიც მოვიხადე.

მეორე დღეს, დილით, სამსახურში რომ მივდიოდი, ჩემს გულში ვამბობდი: დღეს, უწინარეს ყოვლისა, ჩემი უფროსი „ეტიკეტის“ მიხედვით ლარხაკების გაგზავნის გამო მადლობას გადამიხდის. შემდეგ, ცხადია, წუწუნს დაი-

წყებს, რატომ თავად არ მესტუმრეო და მიზეზს გამოძიებდა. მეც სახელდახელოდ რაიმე ტყუილს გამოვაცხობ — ძალიან დაკავებული ვიყავი-მეთქი და ა. შ.

მაგრამ თქვენც არ მომიკედეთ! ბატონმა უფროსმა ფეხქვეშ გათელა ეტიკეტის ყოველგვარი ნორმა — არც მადლობა უთქვამს და არც წუხინდელი მიუსვლელობის მიზეზი გამოუკითხავს. როგორც კი ~~ფეხქვეშ~~ მომახალა:

— იმ სულელმა, წუხელ რომ ლარნაკები მომიტანა, არ ვიცი გზაში რას მიართყა ისინი. ერთ მათგანს მუცელი შეჭყლეტია, ხოლო მეორეს კიდები გაღუნვია.

ვუბასუხე:

— ყორბან¹, წარმოგიდგენიათ, დავავალე ტაქსით წადი-მეთქი! ის კი, როგორც ჩანს, ხალხით გაჭედულ ავტობუსში ჩამჯდარა და ლარნაკები მიუმსხვრევია!

— დიდი ტუტუცა და ვირი ვინმე ყოფილა, არა?

„ეტიკეტის“ დაცვის მიზნით კვლავ დავეთანხმე უფროსს და მივუგე:

— დიახ, დიახ, ნამდვილად!

¹ ყორბან — აჭ. ბატონო!

გასტონ ბუაჩიძე

აპოლინერი

ეს სახელი მათთვისაც კი ვინც პოეზიის მოყვარული არ არის, პოეზიას განსახიერებს. მისი მარცვლები მიეძინება, ვით სენა შირაბოს ხაღჭვეში. აპოლინერი — ფრანგული პოეზიის ნაშვალევი და თვით ფრანგული პოეზია, აპოლინერი — მტერთა და მოყვარეთა შეხვედრის არე. აპოლინერა — ესე იგი, ლიტონში, ესე იგი, სიყვარული, ეს იგი, გულწრფელობა.

ეს არის ვაცი, ქცეული ლეგენდად. საფრანგეთისათვის მიღებული კრილობა და ტრეპანაცია. შემდეგ — მითი. უკეთ — მითები, ერთ მითად გადაღობილი, „ბესტიარეუმის“ ორფეთსი, უიღბლოდ შეყვარებული, მოკლული პოეტი...

მთლიანად და ხის, სახლისა და კარსკვლავის, შაფრენისა და მტრედის მოყვანილობისა. მაგრამ ეს რომ ძველი ზეგონებისთვისაც კარგად ცნობილი თავის შექცევაა, მეფე არტურის ციკლის რაინდულ თქმელებათა რემინისცენციებით. პეროს ზღაპრებით სადა. „ათას ერთ და მესამე“ მორთულ-მოყვარული. „შვიდი ხმლის“ ორაციონალური სიღუმლოებით მოცული. რაითა სვლის შეგონებითა და ვიონისებურა ვედრებით. მუსიკითა და რიტმებით, ნერვალისა და ვერლენს რომ გაგონებთ. რემბოს მოუსვენარი მუზის მონათესავე სახეებით. ფერწახული პარალელებით. სიტყვათა თამაშით, კალამბურებით, ჭერ კიდევ კლემან მაროს რომ ემარჯვებოდა. და მაინც, აპოლინერი ახალი ხელოვნების პიონერია, მეოცე საუკუნის მოტრფილ...

უცნაურია, რომ ვიომ აპოლინერმა ასე ბუნებრავად შესძლო შერწყმობა ფრანგული პოეზიის საუკუნოვან ნაკადს, მის ფარულ არსს. აპოლინერი ფრანგული პოეზიის სტიქაონში გამდნარი ხელოვანია. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებს მისი სელექციური ლექსისაგან მიღებულ სიამოვნებას, თითქოს საქმე გვექონდეს ეროვნული პოეტური ცნობიერების გაფარვარებულ მაგმასთან. აპოლინერი წარმოუდგენელ სიტუაციას ასახიერებს: მთელი ფრანგული პოეზიის ნაკადის, მისი რიტმებისა და განწყობილებების, ინტონაციებისა და საჭირობოროტო თემების, თვალთახედვისა და ელურადობის ერთ სახედ ქცევას; მრავლის დიალექტიურ ერთიანობას, კვანძს. მარტივად რომ ვთქვათ, ჭირს აპოლინერის განყოფილა ფრანგული პოეზიიდან. უფრო ნათელია პერსპექტივა: აპოლინერი — ფრანგი პოეტი, ვიდრე: ფრანგი პოეტი — აპოლინერი.

და ყოველივე ეს შელაუნდება „მირაბოს ხიდში“. „მირაბოს ხიდი“ ისევე იქცა აპოლინერის პოეზიის სიმბოლოდ, როგორც ვიფელის კოშვი—პარიზის პირობით ნიშნად. კაცს შეიძლება პოეტის ლექსები არ პქონდეს წაკითხული, მაგრამ „მირაბოს ხიდი“ უთუოდ გავიონილი ექნება. ესე გომერონის თქმით, ამ ლექსს უნდა უშადლოდეს ვიომ აპოლინერი „თავისი დიდების ოთხმოცდაათ პროცენტს“. ხედავს რა „მირაბოს ხიდში“ ვერლენის გამოძახილს, კრიტიკოსი იმ დაბნეულობას აღნიშნავს, რომელსაც აპოლინერის პოეზია იწვევს შეფასების ცდისას: „დაბნეული რჩები. ესოდენი ხელოვნება, ესოდენი ხერხი, ესოდენი...“

დენი თვალთმაქცობა იმისათვის, რომ არაფერი თქვა, რომ გაპყვე იმავე სენტიმენტალურ ბილიკს, უკვე ამდენჯერ თელილს. საუცხოოა? დაახ. მაგრამ არა ნაკლებ სავალიალო. ამ წამობახილშია აბოლიტორის პრობლემა და ამოცანა.

გიომ ამოლიტორს, როგორც ოსტატს, თუშცა პოლ ვალუარიზე ნაკლები მეტაფორი გამო- უჩნდა, მაინც არ აკლია განმარტავადებელი დასკვნები. მისი პოეზიის თავისებურებებს უკველი მსრილად მიუდგნენ და ბევრ რამეში დაადგინეს კადეც. ამ აღმოჩენებს სხვადასხვა მსგესება არ სჭირდება და აქ მათი თავმოყრაე იკმარებს: ცნობილია ამოლიტორის ტონისტიკა, მისი პოე- ტიკა სასწაულისა, თახამედროვე სახე, ყოველდღიური ცხოვრების ფერნიზაცია, რომანტიკუ- ლად გადმოცემული ღრთის თემა, რომანტიკული ოხვრა, შობაქტადლებათა სიმულტანური გად- მოცემის ცდები, ეგზოტიზმი, კოსმოპოლიტიზმი, პრიმატიულ ხელოვნებასადმი ყურადღება, ათეიზმი, ვალური თხუეხუობა, ერთტიზმი; ამოლიტორა — უბადლო მეხატბე ქალის სხეუ- ლისა და სილამაზისა (გომეგრონი); წყლისა და ალკოჰოლის სამფლობელო, ფორმათა და ცაუბათა ნგრევისა და აშენების პროცესები, რიცხვთა უცხაური პოეზია; ამოლიტორის შემოქ- მედება, ისევე, როგორც თანამედროვე ხელოვნება, არის არა მიბადვის, არამედ ჩანასახის (conception) ხელოვნება; ხოლო პოეზია არის უმოკლესი გზა, რომელსაც რეალიზადმდე მივ- ყავართ (ჟან-კლოდ შუეალიე); ამოლიტორთან უბირველესია გონება (ფრანც ელენსა), მას ახასიათებს გრაციოზულობა; ამოლიტორი ფრანსვია გულათ და ენითაც ფრანგია (კლოდ შოხე), ჩასთახ ერთად ახალი რიტორიკა, ახალი პოეტიკა დაიბადა (როვე შატოხე); ამოლიტორი ქეშნა- რიტად თანამედროვე პოეტიკა (მიერ ლაგრიუ), მომჭადობელი (ბლუხ სანდრაარი); უდიდესი პოეტი, რომელიც კი გვეოლია საფრანგეთში რომსარის აქეთ (მაქა ჟაკობი); ლირიკული ელ- ვარება (ჟოკ დუსე); ვაღახინულობის, საკუთარ ფესვთა დიკარგვის პოეტი (როვე ნაფარი); უკანასკნელი ელევგოსი, პრესიურტეალისტი, სიმბოლიზმს მოწუგეტადი, ხმელთაშუა ზღვის უდიდესი პოეტი, ხმელთაშუა ზღვის სანათლის პოეტი (ანრი მეშონიკი); სიურრეალისტების უშუალო წინამორბედი (ფრანსუა ააი); მის ესთეტიკაშია: აბსოლუტური ტრფილი ხელოვ- იებისა, სილამაზისა; წესრევი და თაფვადასვადი, ამოლოხი და დიონისე, კლასიციზმი და ნოღერნიზმი, მეტრიკება და ხელოვნება, იდეალიზმი და რეალიზმი, ინტელექტუალიზმი და ლირიზმი, ინსტიტუტი და გონება, კუზნიზმი და ორფიზმი; თახამედროვე სილამაზე, ფორ- მებისა და ფერების აეტონომია; პლისტიური დინამიზმი, სიმულტანურობა და კოსმეტური ხელოვნება; მოულოდნელობა და ენერგია (ნაყმა ბლუმენკრანცი); პოეტის მოთიერი სამ- ყართ, ჟართო კულტურა, სიმბოლოთა მრავალი მნიშენელობა, მოულოდნელობის ესთეტიკა (ლიასელ ფოლე) და სხვ.

ანგვარ მიმოხილვას, თავისი განყენებული ჩასიათის გამო, გიომ ამოლიტორის სამე- როზე საერთო წარმოდგენის შექმნაც შეუძლია და ამ წარმოდგენის გაფანტუეც. კრიტიკის არხენალი სხვა, უფრო ვიწრო რადიუსში მოქმედ, მაგრამ თავისთავადსა და ყოვეტურ ხერბს გვთავაზობს: მსგავსი მომენტების შეპირისპირებით მითი ახელობის გიმოცლენას, ამოლიტორს მეტ-ნაკლებად აბლოგებენ სხვაულისხვა დროის მრავალ ხელოვანთან. შევხუტდეთ ამ სთახლო- ეის ზოგიერთ გამოვლინებაზე და მათ ფთახზე, შესაძლოა, უფრო მეფვიოდ გაიანს პოეტის ამის მოდულაციები.

ხ მ ე ლ თ ა შ უ ა — ზ ღ ვ ის შ უ ქ ის ა კ ე ნ გ ზ ა ს გ ა ვ უ ლ გ ა უ დ ა ბ ნ ე უ ლ თ ბ ა ს წ ვ რ ტ ი ლ ი - დ ა ნ — „ მ ი რ ა ბ ო ს ხ ი დ ი დ ა ნ “. ეს ლირიკული შედევრი, შინაარსის მხრივ, მარტლაც სესე- ლით ბანალურია. ლექსში გატარებული პარალელი: ჟანთა სვლა — წყლის დინება, პერაკლი- ტუდან მოყოლებული, ტრფიზმიად იქცა. ლექსი მარტივი ქეშნარიტებით იხსნება: „მირაბოს ხაღქვეშ მიედინება სენა“. პროზას მსგავსი იტკიცებანი მაინცდამაინც არ დაამშენებდა, არ- სეპელო სახით კი ეს სიტყვიბი ვეელას პირზე აკერია. ეტყობა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მაროლდება ჟან-პოლ სარტრის აზრი: „პოეზიაში ის კი არ არის მოიგარი, რა ითქვა, არამედ — როგორ ითქვა“. მაგრამ სწორედ ესაა საკითხავი: როგორ? რა არის გასაკუთარებელი ამ სტრიქონში, ლექსის დანარჩენ სტრიქონებში, ამოლიტორის სხვა ლექსებში? ეამთი სვლა — ეს უკვე მოელი ვითონია. ამოლიტორი ძალიან აბლოა ვითონთან. მაშ, რას ნიშნავს ამოლიტორი ვითონის გვერდით?

Allé s'en est, et je demeure.
Les jours s'en vont je demeure
ეგი წავიდა და მე კი ვრჩება.
დღენი მიდიან მე ვრჩები

დააკვირდა ამ ორ ტყეშს, ტყუპებივით რომ პგენან ერთიმეორეს. პირველში პოეტის მოთქვამს, რომ ახალგაზრდობა „შეჯდა ცხენზე“ და წავიდა, მეორეში კი დასტირის დღეთა რბენას. აქაც და იქაც დროის უღმობელ დიხებას უპირისპირდება ცვალებადობაში უცვლელი უფიქრებდა. იქნებ, სწორედ ეს აერთებს ამ ტყუპ სტრიქონებს, რომელთა დაზადებები დღეებს შორის ხუთი საუკუნე ჩამწყრივებულა?

ცხადია, თუ დედამს დაუბრუნდებით, არ გამოგეპარებათ პირველი სტრიქონის სიტუაციური წყობის კუთხუბობილური არქაული იერა: ენა იცვლება, ლალატობა მსაქტს, ცხოველობს დააბეროს დაუბერებელი ნათქვამი. მეორე სტრიქონს, ნორჩსა და თანამედროვეს, მსაქტაული ასევე უქადის მიწასთანა გასწორებას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ეს მეორეხარისხოვანია, დაკლებ მნიშვნელოვანი, გარეგნული. ჩვენ ამ ორი ლექსის ნათესაობაშივე ვეძებთ სულთა სხვაობას. პირველი, ფრახსუა ვიონის ხელთ გამოკვანილი მწყრივა, თუნცა მშფოთთეარე ძიებით, მღელვარებით არის ნაკარნახევი, მაინც მამაკაცურად მტკიცედ და დინჯად სუბთქავს ორ თანაბარზომიერ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალკრის რიომის დამატებით მარცვალს) ტაქტად დაყოფილი. აბოლინერთან მეორე ნახევარტაქტს აკლია მარცვალი და ეს ანიჭებს ლექსს უთანასწორობის, ნერვიულობის ელფერს. თავიდაც ბოლომდე თუ ჩაუყვებით „მირაბოს ხიდს“, დაგრწმუნდებით, რომ ეს შეგვრძნება შემთხვევითი არაა. თუ გაღვივითხავთ მოლიანად აბოლინერის პოეტურ შემოქმედებას, ამ განწყობილებას, ამ წყობას არა კრთხელ წავაწყდებით. ვიონისა და აბოლინერის ამ ორი სტრიქონის დაშორებაში გველაფერი: ორი ტემპერამენტი, ორი ეპოქაც.

სხვა მხარეც ანათხავენს აბოლინერს ვიონთან: გოდება, ეედრება, შეწყურების თბოგზა, ადამიანის წარმაგლობისა და სისუსტის გასცდა. ერთი და იგივე სიტყვები ხანის ამ განწყობილებათა ნაკადს ორივე პოეტთან: დ მ ე რ თ ი, შ ე რ ყ ა ლ ე ბ ა, ს ე ც ი ლ ი (უარყოფითი ხიშნით, უადგილო, უგონო), ც ო დ ე ა; ეიონის მიმართავს: მ მ ე ბ თ, ა დ ა მ ი ს ქ ე ნ ო, აბოლინერი: ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ო, ყ ო ვ ე ლ ო მ ხ რ ი ს ა და, გ ა ხ ს ა კ უ ო რ ე ბ ი თ, ა ქ ა უ რ ნ ო. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემოთ, ეიონი აუთენტურია, ფიქრითა და მოქმედებით სიტყვასთან შერწყმული, ხოლო აბოლინერთან გათრებაც ივრძნობა და განცდათა სტილიზაცია.

ვიონის პოეზია რედრენზე, სიტყვათა და სტრუქტურათა გამეორებაზე აგებული. ყველი ეს ელემენტი აბოლინერისთვისაცაა დამახასიათებელი, ოღონდ სხვა ტონალობით ვიონთან რედრენი აბოლოებს, ზღუდავს, გაშხალს აღუმაართავს მის მწყურარე, ფიქრის მსგავს ჩამოთვლის. ეს რედრენი მეტანქოლიტრიცაა და მოუსვენარიც. თითქოს ს ა ბ რ ა ლ ო მ ო ს წ ა ე ლ ე ფ რ ა ნ ა უ ა ეიონის პასუხს თხოვს ბუნებასა და დმერთს, აბოლინერის ტკივილსა და მოფორენალობაში კი უქალღრების მეტანქოლია იმლება და ბატონობს. ვიონის ხილვა სინამდვილეს ეტანება წარსულის, აწმყთა თუ მომავლის უხეში მწვერძეტყველებით აღბეჭდილ სურათებში. აბოლინერის მდღარი წარმოსახვითი გენია ზოგჯერ დუხდება და სინამდვილესა და პოეტურ ტერეტას შორის ადგილს უთმობს ოცნების, მირაგს, როგორც რომანტიკოსებთან, როგორც დამარტირის „ტ ბ ა შ ა“:

L'homme n'a point de port, le temps n'a point de rives;

Il coule, et nous passons,

ადამიანს არა აქვს თავშესაფარი, დროს კი—ნაპირი;

ის მიედინება, ჩვენ კი მივდივართ.

ენა იცის, XIX სოუკუნის შუაში რომ დაწერილყვა „მირაბოს ხიდი“, ეს სტრიქონებიც იქ მოთავსებულიყო? დამარტირისა და აბოლინერის ლექსიკონი ხომ ერთია, არსებითი სახელებითა და ზმნების ჩათვლით: დ რ ო, დ ი ნ ე ბ ა, ს ვ ლ ა, მაგრამ აქ ო რ ბ დ რ ო ა, ო რ ბ ჯ ა ნ ე ბ ა და ო რ ბ ს ვ ლ ა დამარტირის მშრალი და რიტორიკული თემის მიხვედრად გვეგლინება. მასწავლებლად, დაფაზე რომ დაუწერს მოსწავლეებს თხზულების სათაურს, აბოლინერი კი ბრწყინვალე ვარაიციებს ქმნის შემოთავაზებულ თემაზე.

თუ ვიონიდან დამარტირამდე თვალს გადავაგლებთ უაშთა სვლის სხვა მკოსანს, რონსარს, მის გვერდით სრული სიცხადით წარმოგვიდგება აბოლინერის პოეზიის ერთი თვისება: იგი დისპროპორციულია მარმონიულობაში. რონსარი, გარკვეულ გამოვლინებებში, აბოლინერის ატიპობდია: დინჯა, დახვეწილი, სრულყოფილი, კლასიკური იმ ვაგებით, რომელსაც, ახალი პოეტებიდან პოლ ვალერა განასახიერებს. მომდევნო სტრიქონების ავტორი საკუთარ

განცდებს იმორჩილებს, ფილოსოფიური კუთხით აღიქვამს მათ, სატრფოს ჩინებულად უდას-
ტურენს თავის მოსაზრებას და შესცქერის შეყვარებული გონების თვალთა:

Le temps se passe et, se passant, Madame,
Il fait passer mon amoureuse flamme...

დრო გადის, ქალბატონო, და თავისი სკლფო
მიაქვს ჩემი ტრფილის ალი...



შთამბეჭდავ, თანამედროვე ელფერს ღებულობს სიტყვის ასეთი პრაგმატიკისი შემოტრია-
ლება, სიტყვათა სემანტიკურ-მხატვრული რგოლიდან გამოსვლის, ამ რგოლის გარეშე წყვილად-
ში სხივის გაგზავნის ცდა! თითქოს პოეტის ხელი ყრუ კედელზე აკაკუხებს და ამ კაკუნის
ხმას უგდებს ყურს...

მაგრამ აპოლინერისათვის უფრო ახლობელ ნერვალსა და ვერლენს მიუბრუნდეთ. ვერარ
დუ ნერვალთან აპოლინერს აახლოებს ემფატიურობაზე უარის თქმა, სიტყვათა მარაგის ეკო-
ნომიური და ძალდაუტანებელი ხარჯვა, საუბრის განწყობილება. ინთავიოვე ჩანს სავაობაც,
დანიორებულობა: ნერვალის ელერადი ლექსი — უსაარულო ტანჯვის ტრაგიკული აგონიაა,
ამაფრი და ყოველისმომცველი. ამ სდეროში კი აპოლინერი მოულოდნელად უკან იხევს:
ერთ ხანს გაბყვება რონსარისეულ გოხებით გასხვიოსნებულ გზას, შემდეგ გადაუხვევს ნერ-
ვალის სამფლობელოსკენ, რომელსაც ვერასოდეს მიაღწევს. თუ ვიიონსა და სერვალთან
უხვად გვლგადამლილ პოეზიისთან ვვაქვს საქმე, აპოლინერის ლირიკულ განცდებში
იჭრება რონსარისა და პეტრარკასეული თამაში ოსტატისა, გალათეის ნაკვეთების წინაშე
პიგმალიონის გატაცება. ამიტომაცაა, რომ აპოლინერის პანგებში ხან უფრო ტრფილი და ტკი-
ვილი გაისმის, ხან კი — ენაწყლიანი ტკბილედერადობა, უფრო ხშირად კი ზღვარის გავლება
შეუძლებელია და არც სასწორის დახრა სერბდება ერთსა თუ მეორე მხრისაკენ. ამ გარე-
ძობამ წარმოშვა დიამეტრალურად დაშორებული, ერთმანეთის გამომრიცხავი ოვალსაზრი-
სები. გომერონის აზრით, „აპოლინერს არა სწამს სიყვარულისა; საჭიროა, გწამდეს მისი და
პოეტს კი სრულებითაც არა სწამს, მას არაფრისა არა სწამს... თუკი სიყვარული ყალბია, შე-
იძლება მხოლოდ სენტიმენტალური კომედიის გათამაშება და ვიიონიც მიჯნურის, მოტრუია-
ლის, მიცოუხებლის, პესარის ტანსაცმლზე იმოსება წუთიერი განწყობილების მიხედვით.
მას ძალიან სჭირდება თავი მოაწონოს ვინმეს და ხელოვანურდება (s'artificialise), რათა
გააბრუოს მსხვერპლი თავისი ბრწყინვალეობით“, ხოლო აპოლინერის ცნობილი სპეცილისტის
მიმედ დეკოდესის აზრი საპირისპიროა: „საჭიროა ერთხელ კიდევ დაუბრუნდეთ მის შემო-
ქმედებას, მის სინაზეს, სენტიმენტალურ ბელანქოლიას, რათა ვაღიაროთ, რომ მისთვის
უცბოა გახრწნილება და მას უბრალოდ სწამს სიყვარული“. რა თქმა უნდა, ასეთი დილემის
გადაჭრა ვალმის ერთი მოსმით სასაცილო იქნებოდა. ჩვენთვის სიმბტომატურია ავიით აზრთა
სწვაობა, რაც ანალოგიურ ასპექტში ნერვალის მიმართ ძნელად წარმოსადგენია.

ვერლენს თუ ენათესავება პოეტა? — ლექსის მუსიკით ენათესავება, ხოლო მუსიკა ლექსი-
დან ვის გამოუყვია? და მაინც, ვერლენის „უსიტყვო მელოდიებს“ ბუნება და მიაშიტობა ასა-
ზრდობებს, აპოლინერის მუსიკას კი — აბალი ცივილიზაცია და ირონია. იმასაც ნუ დავივიწყებთ,
რომ „პარიზის ბებავი ტრუვერი“ ვერლენი და აპოლინერი, რომელმაც „აცის ლე დედოფალ-
თათვის“ — ერთი გენეალოგიური ხის განშტოებანი არიან.

ვერლენის „ce coeur qui s'écoeur“-ის მსგავსად, აპოლინერი ხშირად სიბივიი
ჭიმივს ან ფისივით წელავს სიტყვას. სიტყვათა თამაშს, კალიამბურს დრანგული ენისა და
მწერლობის არსში ღრმა ფესვება აქვს გადგმილი. ეს მოვლენა შემთხვევითობის ან ღღესის-
ყაულებრივი განწყობილების ფარგლებს სცალდება და ფოლკლორიდან პოეზიაში, პოეზიიდან
სცეხაზე, სცენიდან პროზაში, პროზიდან კრიტიკულ ესეებში ინაცვლებს და მას ეველგან ხელ-
გაშლით ეგებებიან. შემოქმედს, რომელიც ფრანგულად წერს, ამ შემოსევაში ენის გენია ამა
თუ იმ მიმართულებით უბიძგებს. თუ ენას შეყვებათ, როგორც პირობით ნიშნებში მოქცე-
ული სინამდვილის გარკვეული ნაწილის ათვისება-გაცნობიერების ცდას, ხოლო პოეზიას —
როგორც ამავე სინამდვილის ახალი განზომილებების საღრმეში ჩაბეღეს, ძებნას, მაშინ აშ-
კარა გახდება, რომ კალიამბურის მიზანი, განვითარება, მიმართულება პოეზიის მიმართუ-
ლების პარალელურია და ამიტომ იშვიათია დიდი პოეტი, რომელიც მასთან დაახლოების, მისი
ასიმილაციის ცოუნებას ასცდენოდეს. სიტყვათა განზომილებების გამოსავლენად პოეტები

სხვადასხვა ენის ფენებში სამდვიო გეოლოგიურ ძიებას აწარმოებენ და კალამბურის მიგნებას განსაკუთრებული ფასი აქვს. რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების ან აღორძინების ეპოქის ნაწერებში ამ ენობრივ-პოეტური შრომის დანიშნულება და მოქმედების არც ისე განსხვავდება XX საუკუნის თხზულებათაგან, როგორც კოლუმბის აფრიკის გემისაგან განსხვავდება დღევანდელი ატომური ენერჯით მოძრავი წყალქვეშა ნავი. ხოლო თუ ფრანგულ პოეზიას დავუბრუნდებით, მასში კალამბური და სიტყვათა თამაში ყოველთვის ზედაპირზე იყო და მოსაწყვეტად მხოლოდ ხელის გაწვდომას მოითხოვდა.

მან, არსებითად რა განსხვავებაა აპოლინერის კალამბურსა და, ვთქვათ, კლემან შაროს კალამბურს შორის? ლექსში „მ ც ი რ ე ბ ა რ ა თ ი მ ე უ ი ს ა დ ნ ი“ კლემან შარო მოხერხებულად იმარჯვებს კალამბურს საკუთარი, ცხოვრებისეული მიზნებისათვის. მის ხელში იგი ძალაა, ნოქნილი იარაღი, საშუალება, რომლითაც პოეტი ხაზლავს, თავბრუს ახვევს მსმენელს, უხევენებს მას თავისი მხატვრული ნიჭის უპირატესობას, ბრწყინვალეობას, გადაუშლის მთელი დონობითაა ნაკადს და ყოველივე ამით ამტკიცებს საკუთარი პიროვნებისა და შემოქმედების ღირსებას. კალამბურთა გამებისა და ვარიაციების ოსტატს კლემან შარო გრძნობს ზმნებში მთვლემარე შესაძლებლობებს, მაგრამ კარის კვრტუნიული მგონის კალამბური არსად არ სცდება ემპირიული სინამდვილია მონაცემებს, სიტყვათა თამაში არსად არ ამღვინებს არსებითად აბალ სახით განზომილებას, თუ არა საკუთრივ ენის გარეშეში. კლემან შაროს პოეზიაში კალამბურის მოქმედების არც შემოდარგულთა და ამ ხერხმა თავისი ადგილი იკის. კალამბურს კლემან შარო, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეზიის ზედაპირზევე ტოვებს და მიმართავს უმთავრესად თავის დარბაისლურ ქმნილებებში, რომლებიც მეტწილად პრაქტიკული მოსაზრებით ან მიმდინარე ამბებით იყო ნაკარნახევი, რაც ნაკლებად დარბაისლურია ლექსი, შით ნაკლები რაოდენობითაა მასში სიტყვათა თამაში. მაგალითად, ლექსში „ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ დ ' ა ლ ა ნ ს ო ნ ს“ კალამბური დაქვემდებარებულია, იგი სახის ან შედარების დახვეწას, დაზუსტებას, გამოცოცხლებას ემსახურება, პოეტურა შარო ღის დანიშნულებას ასრულებს, ასეთ შემთხვევებში კლემან შარო გზას უკადვავს მომდევნო ტენდენციებს. ინტუიციურად გვს იღებს აპოლინერისაკენ, თანაც მრავალ ლექსში კლემან შარო საერთოდ არ მიმართავს კალამბურსა და სიტყვათა თამაშს. აქედან ჩანს, რომ ეს ორი კომპონენტი არ არის პოეტისათვის არსებითი და აუცილებელი. მაშინ, როდესაც აპოლინერთან ამა თუ იმ სახით, ცხადად თუ შეფარვით, ისინი თითქმის უწყვეტ ნაკადადაა წარმოდგენილი. აპოლინერს ასე ხშირად მიუმათავს კალამბურისათვის, რომ მკვლევარებს გადაედოთ ეს სენა და ზოგიერთი მათგანი კალამბურს იქაც ხედავს, სადაც ავტორი, შესაძლოა, მას არც ვარაუდობდა. კლემან შაროსათვის კალამბური ბუნებისაგან მიღებული ფაქიზი და ხალისის მომგვრელს სამკაულია, აპოლინერისათვის კი — მისი პოეზიის უანგბადი.

გარდა ამისა, აპოლინერთან სიტყვათა თამაში საფეხურია, სასტარტო მოედანია, საიდანაც სათავეს იღებს მისი უახლესი პოეტური იარაღი: სპონტანურობა, ტრანსფორმაცია, სინულტანურობა... „შ ვ ი დ ხ მ ა ლ შ ი“ არის სახელი *Paline*, რომელიც პოეტმა შიილო ორი სიტყვის შერწყმით: *pâle* (ფერმკრთალი) და *caline* (ნაზი, მთაღერსე). ვასაგებია, რომ პ ა ლ ი ნ არ არის არც ფერმკრთალი და მოაღერსე, არც ფერმკრთალ-მოაღერსე, არამედ მესამე განზომილება, რისაც თანამედროვე ადამიანს თანამედროვე პოეზია აწვდის.

პალინმა შეგვიყვანა აპოლინერთან როგორც თანამედროვე პოეტთან. მართლაც, აპოლინერი დღესაც თანამედროვეა ფრანვი მკითხველისათვის. ამას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ აპოლინერის მთელი შემოქმედება აწმყოა და მოწავლისაკენ არის მიმართული. აპოლინერი გულისხმიერად აღწესხავს ახალი ცნებების, ნივთების, აღმოჩენების შემოსვლას მეოცე საუკუნის ადამიანის ცხოვრებაში. ესაუზიანებით ეგებება პოეტი ელექტროენერჯის გაგრძელებას. აპოლინერისათვის თანამედროვეობა და ელექტროენერჯია ერთმანეთს აესება.

Moderne Italie
O électrique
თანამედროვე იტალიაც
ო ელექტრონიანო

ოტაცებით აღევსებს თვალს აბოლინერი ფოტოგრაფიის მაშინ ჯერ კიდევ ახალ-
ვაზრდა ხელოვნებას. რა თქმა უნდა, პოეტის ქმნილებაში თითოეული ახალი ცნება ერწყმის
ლირიკულ კონტექსტს, როგორც ეს ხდება ვიფელის კომპის ბუკალიერის სახეში:

Bergère o tour Eiffel le troupeau des ponts bête ce matin

მწყემსო ქალო ვიფელის კომპო ხიდების ფარა ბღავის მწყემსო
ბიზ...
ბიზ...
ბიზ...

აქ ჩვენ მივადექით „ბესტიარიუმის“ ავტორის ინოვაციური ახირებას. რე-
ტიფ დე ლე ბრეტანის ფანტასტიკური კოსმოგონიის მაგავსად, აბოლინერთა „თვითმპირნივები-
კვერცხს დებენ“, „ჩარი... ეფეს“, კაფუების „წარწერები... თუთიყუშებივით წივიან“, „თვით-
მპირნივეი ღრთების დაუკეცავად გშევიბა“, გვეგებება „ხიდების კავალერია“, „პეიზაჟების მკენე-
საგი ფარა“ და სხვა მრავალი. ახირება ახირებად, მაგრამ აქ თავისებური თანმიმდევრობაცაა.

აბოლინერის სამკარო წარმოუდგენელია ავტომობილის, გაზეთის, ინფორ-
მაციის გარეშე. „XIX საუკუნის ძველ სამყაროს“ პოეტი უპირისპირებს „ტრაქტორთა-
სმაუტს, რომლებიც ველზე მიცოცავენ“. თავისი შემოქმედების პათოსს აბოლინერი ისე აჯა-
წყებს:

A la fin lu es las de ce monde ancien

და ბოლოს შენ მოგბეზრდა ეს ძველი სამყარო

ასე იწყება ლექსი „ზონა“, რომელმაც პოეტების არა ერთი თაობა აღზარდა.

თვით ადამიანები, რომლებიც იყენებენ ახალ ტექნიკას, მშვენიერსა არიან პოეტის
თვალში: „მშვენიერი სტენოგრაფისტი-მემანქანეებს“...

ყმილ ვერპარნთან ერთად, აბოლინერი ინდუსტრიული პეიზაჟების პოეტი:
„მიუვარს ამ ინდუსტრიული ქუჩის მოქნილობა“.

„ილქოპოლების“ პოეტი ენათესავება რემბოს, როდესაც წარმოგვიდგენს ელექტრონერ-
გიით განათებული მოტორალი პარიზის სურათს:

პარიზის საღამოებო ჯინით მოვრალეობ
ელექტრონით გაკამკამებულნო
ტრამპეები მწვანე შუქზე ხერხემლით
ამუსიკებენ ლიანდაგის გასწვრივ
მანქანისეულ თავიანთ სიშაყეს

აქ აბოლინერი თითქოს განაგრძობს ზოლის „აღაპიან-მხეცეშა“ აწვებულ მატარებ-
ლის გოგური რბენის სურათს და, ამავე დროს, ამ სტრუქტურის ტონალობა ებზაურება უოტ უატკე-
ნის პოეზიის წინსვლის, ბარბეტების რღვევით, სიკეთეში განიშვლებული არსებობის ქაბილს.

ახალი ციკლისთვის ხმაური პოეტს ნელოდიურ სიმღერად ჩაესძის:

ო თქვენს-ფეირფასო თანამეზავრებო

სადეურების ელექტრონის ზარებო სამკალი მანქანების სიმღერავ

სიურრეალისტურ დრამაში „ტირეზიას ძუძუ-მკერდი“ აბოლინერს სცენაზე გამო-
კვესს ბეკაფონი, გაჩეიების კითხვა, კოლექტიური პერსონაჟიც კი. მოქმედი პირები იყე-
სებენ რევოლუტარს, იხსენიებენ ტელეგრაფიატს, რკინიგზას. ყოველივე ეს, ცხადია, უფრო
პოეტური რეკვიზიტის სფეროა, ვიდრე საკლთრივ პოეზიასა, მაგრამ ახალი სიტყვებისა და
ცნებების შემოსვლას თან სდევს მათი მხატვრული ათვისება, რაც ხდება ამ სიტყვებისა და
ცნებების „მოშინაურებით“, მათი „გაცოცხლებით“.

ახალი საუკუნისათვის ნიშანდობლივია, რომ აბოლინერი ცოდნასა და ურუდიციასე დაყრდ-
ნობილი შემოქმედი და რომ მისთვის კითხვა და წერა ორი ურთიერთდაკავშირებული გადა-
კაჭვული პროცესია: „ისწივლეთ ახალი, რამეთუ ყველაფერი უნდა იცოდეს“.

„ტირეზიას ძუძუ-მკერდის“ წინასიტყვაობაში აბოლინერი ესალმება აღმოჩენის
პათოსს და ხოტბას ასხამს გენიოსებს, რომლებიც წიხ უაწრებენ და გეზს აძლევენ კაცობრიო-
ბის სვლას: „...ისინი წარმოუდგენენ კაცობრიობას ახალ სამყაროებს, რომლებიც პორანონტებს

აფართოებენ, ამრავლებენ მისი ხილვის შესაძლებლობას, აწვდიან მას ყველაზე საოცარა აღმოჩენების სიხარულსა და პატივს. ამ სიტყვებით, მართლაც რომ XX საუკუნის, აღმოჩენათა სიუკუნის ზღურბლიან მდგარი ადამიანი მოგვმართავს. ამ ტექსტში აგრეთვე აღსანიშნავია კულტურული ტრადიციების განუწყვეტლობის იდეა, რომელიც აპოლინერმა განუწყვეტლივ ყოყმანის შემდეგ გაიზარა და ამით თავისი დროის ამოცანების დასწრედ ამსოფლდა.

ინტერესით აღევნებს თვალს აპოლინერი მეცნიერების განვითარებას და მასში ჩველი დროის ნიშანდობლივ მხარეს ხედავს. ცოდნა და მეცნიერება აპოლინერის მხარეს მოათავსებს. პოეტი წინასწარმეტყველურად გრძნობს მეცნიერების შემდგომ განვითარებას შთაფარ მიმართულებას: „მანქანებმა ბოლოს და ბოლოს ფიქრი რომ დაიწყონ“, „ხვალ თქვენ გამოვიკვლევინ ცნობიერების სიღრმენო“... „წინასწარმეტყველებს... ზუსტი რანგები ეცოდინებათ|| როგორც მეცნიერებს ჰგონიათ რომ იცოიან|| და ყველგან გადაგვიყვანენ“, „თვითონ ადამიანში დაიწყებენ ძებნას|| გაცოდებით მეტისას, ვიდრე უძებნიათ ოდესმე“ და სხვ. და ა.შ. აპოლინერი ყოველთვის მეცნიერებისა და ცოდნის მხარეზეა. ამავე დროს ის ილაშქრებს ცრუ მეცნიერების წინააღმდეგ, რომელიც ადამიანისა და კაცობრიობის, სიცოცხლის ინტერესებიდან არ გამოდის:

ვინ არიან ეს სულელი ეკონომისტები
რომლებიც წარმოგვიდგენენ თითქოს ბავშვი
სიღარიბეთა
მაშინ როდესაც ეს პირიქითაა
(„ტ ი რ ე ზ ი ა ს ძ უ ძ უ-მ კ ე რ დ ი“).

პიესაში „დროის ფერი“ ანსაღდენი ეუბნება მაგისტრს, რომ ამ უკანასკნელს ყველაზე უფრო მეცნიერება უყვარს. ამავე ნაწარმოებში ავტორი კიცხავს უსულო ტექნიციზმს, ავტომატიზმს, რომელიც არა ერთხელ გახდება კრიტიკის საგანი თანამედროვე ლიტერატურაში. ფრიად საგულისხმათა მაგიზის რეპლიკა:

მე გიძებ მეცნიერულ ფორმულას
რომელიც შეიცავს მთელ სიძლიერეს
...
ჩვენ გავაერთიანებთ თუ ვსურთ
მეცნიერებას და პოეზიას
ისე როგორც ეს თავდაპირველად იყო

ამგვარი სინთეზის, სანკრეტიზმისაკენ ლტოლუა აპოლინერთან განპირობებულია მისი პოეტური აზროვნების შინაგანი სტრუქტურებით, პირველ რიგში — პოეტის მისწრაფებით აღიქმისა და გარემოცვის პარმონიული ურთიერთობის დამყარებისაკენ. აპოლინერი უდავოდ ვოცებს ტიპის შემოქმედია, მისთვის პოეზია და მეცნიერება ერთმანეთს ავსებს, ერთი მეორის განვითარებას უწყობს ხელს. ამ ურთიერთობის ხასიათს საბოლოოდ აზუსტებს აპოლინერი თავის გვიანდელ გამოსვლაში „ახალი სულთსკვლეობა და პოეტები“, სადაც იგი ამტკიცებს, რომ პოეზია წინ უსწრებს მეცნიერებათა აღმოჩენებს. ამაშია პროგრესის პუმატური ხასიათი და, ვფიქრობთ, რომ ამით აპოლინერმა გზა გაუკვლია თანამედროვე ფილოსოფოსებისა და შემოქმედების საზრუნავს, კერძოდ უკანასკნელ დროს გავრცელებულ ვანსხვისების სიტუაციასა და პრობლემის, რომელიც გამოწვეულია ადამიანის მიერ მის შემოქმედებაზე კონტროლის დაკარგვის საშიშროებით.

სხვაგან, ამავე პიესაში, ანსაღდენი ბანეგირიკს უმღერის სიცოცხლეს, ნშვილობას და მეცნიერებას, რომლებიც აპოლინერისათვის ერთმანეთსაგან განუყოფელი არიან:

პარმონიულად მშვენიერი მშვიდობა
ეს სრულყოფილი და წმინდა მეცნიერებაა

თუ საპირისპირო მტკიცება, სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის მართალი, ანსაღდენის სიტყვები იმის შესახებ, რომ „მეცნიერება... მშვიდობის სიცოცხემ შეინახა“ უკვე კარგა ხანია

იმ ქუეშხარტედათა მწკრივს ეუთვნას, რომელთა მტკიცება არაა სიკარო, მაგრამ გამოვრება არ ვხვდეს.

თანადროულ პოეზიას პლანეტარული განსოთხება ახასიათებს. აბოლინერის ლექსსაც ასეთი გლობალური ნისშტაბები აქვს. ხოტრ-დაძიდან, საკრე-კვირიდან, მონმარტრი-დან და მარტრიდან წამოსული, იგი საფრახგეთსა და მსოფლიოს მოივებს; მარტრი, კომ-ლენცი, რომი, იპონია, ამსტერდაში, ლეიდი, ვუდა, არგენტინა, ჯერსე, ნიუ-ჯორჯის ზაქქერი, ნორვეგიული ჯამა, ხიუ-აორკი, ზანზიბარი, ტრთა, უკაცოელი გუნდული მან-ლობლაუ, ციმბირი, ტიბუტი, ჩინეთი, ოკეანია, გვიხუა, ლონდონი, ეგვიპტი, წითელი ზღვა, გერმანია, პანაანი, ზაბოროველი კაზაკები, აურგეთი, კვიპროსი, იდმოსელები, მიუნხენი, ჯორმია, შანხაი, მუევიკი, ედფრატა... როგორც ვხედავთ (და როგორც მოსლოდნელი იყო), პოეტის წარმოსახვა აერთიანებს აწმყოსა და წარსულს, ისტორიას და მითოლოგიას, გეოგრა-ფიას და ბიბლიას. ცალკე განოსყოფია გერმანია და ლონდონი, რომლებსაც თავიანთი კვალი დასტოვებს აბოლინერის სატრფიალო ლირიკაში, და აგრეთვე პრადა, რომელსაც პოეტ-ისხავანად დაუახლოვდა.

რენბოსა და ლოტრეამონიას ერთად, აბოლინერი მიიჩნიათ სიურრეალიზმის მიმომთავრად. „ტიბეტისა და მუქ-მკერდის“ წინასიტყვაობაში აბოლინერმა თავსებური განმარტება მოგვცა სიურრეალიზმისა. მისთვის სიურრეალიზმი ნიშნავს სისამდვილის ღრბა წარმოსახვას. რომელიც უპირისპირდება ფოტოგრაფიულ ასახვას, ნატურალისტურ ტენდენციას, ფრანკულ სცენაზე რომ მოიღვა ფეხი ხიველ და ლამოსედან სკრიბამდე. გაუზიარებს რა შეითხველს თავის განზრახვას „დაუბრუნდეს ბუნებას, მაგრამ არ კი შიბალოს მას ფოტოგრაფების ყაიდა-ზე“. აბოლინერი განავრცობს: „როდესაც ადამიანი მოსურვა სიარულისათვის მიებაძი, მან შექმნა ბორბალი, რომელიც ფეხს არა პგავს. ამრიგად, იგი სიურრეალისტურად მოქცა, ისე, რომ ეს არც კი იცოდა“. ცნობილია, თუ რა გამოხიპურება პპოვა აბოლინერის ამ გონებანი-ხეილურმა დუფინიციამ XX საუკუნის ლიტერატურაში. თუ დავივიწყებთ მის კონკრეტულ სა-იანს, აბოლინერმა აქ იფორისტულად წარმოადგინა საერთოდ ხელოვნების სპეციფიკა.

მაგრამ აბოლინერი არსებითად პრაქტიკოსია და არა თეორეტიკოსი. იგი ახალი ესთეტიკის მოთხოვნებებს თავის ლექსებში მეტს სიცხადითა და დამაჯერებლობით ასხამს ხორცს, ვიდ-რე თავის ნსჯელობებში.

მინიატურების კრებულში „ბესტიარიუმი“ ელინდება აბოლინერის პოეზიის ზოგა-ერთი დამახასიათებელი თვისება: დაუსრულებლობის შთაბეჭდილება. ლექსის მოძრაობის, დანების ხეების მიერობა, ესკიზურობა. ლექსში „ტიბეტური თხა“, გარდა ჩამოთვლილი თვისებებისა, ვხვდებით აბოლინერისეულ ელიპტურობას, ისევე, როგორც „გველში“, პოეტი მოულოდნელად (მაგრამ სწორედ ეს მოულოდნე-ლობა იქცევა აბოლინერის პოეზიის მოსალოდნელ მომენტად) გადადის ზოგადი მსჯელობიდან კერძოზე. ამალღებული ტონიდან—ყოველდღიურზე, ზღაპრული ან ძალოლოგიური თემიდან—გარჯად ნაცნობზე. შეშეცნებისა და პედაგოგიკის თვალსაზრისითაც გამართლებული ეს მიდრე-კილება უცხო არ არის XX საუკუნის ლიტერატურის იმ ტენდენციისათვის, რომელიც მოთე-ბის მრავალგანზომილებიან ამოკითხვაში მდგომარეობს.

აბოლინერის პოეზიაში ვხვდებით ასოციაციურ სურათს ან სიტუაცია-სახაბა, როგორიცაა ერთ-ერთ მინიატურაში წიგნებს შორის მოსვირზე კატა. „კატაში“ ასოცია-ციების გადმოცემისას აბოლინერი მიმართავს მოქნილ რაკურსს.

აქ და სხვა ლექსებშიც ჩაქსოვილია ოდნე შეხამნევი იუმორი, რომელიც ლირიკშია ზღვართანაა მისული და, ხშირად, თვით ლირიკული ფუნქციები აქვს დაკისრებული; ის, რომ ზოგჯერ (როგორც ჩვენს შემთხვევაში) ხემრობას შეიძლება დრამატისმიც სდევდენ-თან. ეს დრამატისმი კი სხვაგან („ლოში“) ირონიის სახეს იღებს. თვითონ ხუმრობა აქა-იქ თანამედროვე მეტყველების გარკვეულ სქემებს ეწოდება ხოლმე, როგორც „აქლეში“.

აბოლინერის პოეზია ფილოსოფიურიცაა და მარტივიც, ვიზუალური, თვალსაჩინო. სხვიდასხვა დონის შეითხველისათვის და სხვიდასხვა სიღრმეზე მისაწვდომი. თავის ლეიტმოტივებს, როგორც ხსენებულ დროის დიხების შეგრძნებას, პოეტი სიგანგებო მახვილის გარეშე, მსუბუქად გვაწვდის, იქნება ეს „მირაბოს ხიდის“ ცვალებადი პეი-ზაჟი თუ მინიატურა „თაგვის“ იგაფური ტონალობა.

პოეტი თავის გულსტიკივლსაც ხან უიღბლოდ შეყვარებულის შეღანქოლით.

ჩანს კი ხუმრობით გადმოგვეცემს. ამაში მგერსიანობის, სენტიმენტალობის დახშობის, შეზღუდვის ტენდენცია ჩანს; ჩანს ჩვენი დროის გადასხვაფერებული, შორიდებული სტოიციზმი (იხ. თუნდაც „რწყილი“) და არა ამავი და მწარე, როგორც აღფრედ დე უინისთან.

აპოლინერის პოეზიაში მატულობს მეტაფორის ხვედრითი წონა, ფართოვდება მისი ფუნქციები. ზოგჯერ მეტაფორა ემსახურება პოეტის ობტიმისტურ, სენარულეს მონტავალესოდღეგვარძნებას:



Les étincelles de ton rire dorent le fond de ta vie
შენი სიცოცხლის ჩაპერწყვლები აოქროვებენ შენი სიცოცხლის ხიდრმეს

ზოგჯერ სიცოცხლის ინტენსიურ აღქმას გამოხატავს:

Et tu bois cet alcool brûlant comme ta vie
Ta vie que tu bois comme une eau-de-vie

და შენ სვამ ამ ალკოჰოლის მწვევეს როგორც შენი სიცოცხლე
შენი სიცოცხლე რომელსაც შენ სვამ როგორც არაყს (სიცოცხლის წყალს)

ზოგჯერ მეტაფორა ერწყმას სიტყვათა თანაშის, რომელიც შიგლის პოეტურ სანქში ახლებურად გაიფლავებს:

Soleil cou coupé.
კიანერმოჭრილი მზე

ისევე, როგორც მარსელ პრუსტი თავის პროზაში, აპოლინერიც აღრევს ხოლმე წარსულს, აწმყოსსა და მომავალს, როგორც ამას გრძნობების, აფექტების სფეროში აქვს ადგილი. ამ პრინციპით არის დაწერილი უიღბლოდ შეეკვარებული სიმღერა, ამ ლექსის წყობას, ატმოსფეროს შეესაბამება და როგორც წვეთი მოლიანობას, ისე ასახავს ეს მეტაფორა:

J'ai hiverné dans mon passé
გამოვიზამირე ჩემს წარსულში

აპოლინერს აქვს ისეთი ვაბედული პოეტური აღმოჩენებიც, რომელთა ანალოგიებს დღემდე ვხვდებით პოეზიაში და რომელთა გამოვლინებას ზოგიერთ კრიტიკოსთა ყური ვერაღ ვერ შეეგუა. შეიადარეთ:

Mes rêveuses pensées pieds nus vont en soirée
ჩემი მეოცნებე დიქრები ფეხშიშველები მიდიან საღამოთი

და სენ-ჟონ პერსის „ზღვა ფეხშიშველი...“

აპოლინერის პოეზიის ანიმალისტურ მიდრეკილებებთან არის დაკავშირებული ზოგიერთი აგრესიონიფიკაცია, ხოლო რუმბოსავით ჩვენი პოეტიც სშარად მიმართავს ფოლკლორისათვის დამახასიათებელ გამეორების ხერხს:

Les étoiles mouraient dans ce beau ciel d'automne

Nous étions là mourant de la mort des étoiles
ვარსკვლავები კვდებოდნენ შემოდგომას ამ მშვენიერ ცაში
ჩვენ აქ ვიყავით და ვარსკვლავთა სიკვდილით ვკვდებოდით

ვროტესკს, მეტამორფოზას, ფანტასტიურობას მიმართავს აპოლინერი „ტირეზიას ძუძუ-მკერდში“. ეს და ზოგიერთი სხვა ელემენტი დამახასიათებელია აბსურდის თეატრისათვის და ისეთი დრამატურგი, როგორცაა ბონესკო, აპოლინერისაგან ბევრითაა დავალებული.

ამავე პიესაში აპოლინერი იუმორისტული ფორმით ავითარებს ნაყოფიერების, კაცობრიობის ზრდის იდეას, რითაც უპირისპირდება ბოდლერის ლექსში გამოსატულ ტენდენციას:

La froide majesté de la femme stérile
უნაყოფო ქალის ცივი სიდიადე



ეროვნული

სიმბოლისტების კვლადიკვალ აპოლინერის პოეზიას განაპირობებს მტკიცე სტრუქტურული ნებისმიერი სიმბოლიკა: ცისფერი სახე, თეთრი სამეფო...

ფრანგული პოეზიის ეკ პრეცედენტული ნაკადის ფესვებიც მოიძებნება აპოლინერთან. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მუსიკალური გასაღებით გახსნილი სასაუბრო ინტონაცია და კასტრუქციები:

Quelle fichue idée j'ai eue de ma fier à la presse
Je vais être dérangé
Toute la sainte journée
Il faut que ça cesse
ეს რა წყვეული იზრი მომსვიდა პრეხისათვის მიმენდო თავი
უთენია
შემაწუხებენ
დროა ამას ბოლო მოვუღო

ასე ესკიზურად თუ ვაკვირთ, წინამორბედებთან, თანამედროვეებთან, მომდევნო თაობებთან, პოეტის საკუთარ თავთან შეპირისპირებით, მიახლოება ვცადეთ აპოლინერის პოეზიის სუნთქვასთან.

ზვიად გამსახურდია

უიტიმანები XX საუკუნის ამერიკულ პოეზიაზე

როდესაც საუბარია ამერიკულ პოეზიაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი თვითმყოფად განვითარება იწყება XX საუკუნიდან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის თავისებურებანი, რომლითაც გამოირჩევიან ახალი ამერიკელი პოეტები, უკვე საცნაურნი არიან XIX საუკუნის ამერიკულ პოეზიაში. ინგლისური პოეზიის მდიდარი ტრადიციები თავისებურად აღორძინდნენ ამ ახალ მიწაზე. მაშინ, როდესაც ევროპა დეკადანსის მწიუხროთ იბურებოდა, ამერიკაში აღმოცენდა ახალი, უიტიმანისებური ტიპი პოეტისა, ცხოვრებასთან წილხაყარი, მიწიერი განცდებით დატვირთული.

მაგრამ ჩვენ ასეც უნდა გვახსოვდეს, რომ სიმბოლიზში ამერიკიდან მოგვანა ევროპის კონტინენტს. ედგარ პოს უშუალო ვაგლენას განიცდიდნენ ფრანგი და საერთოდ ევროპელი დეკადენტები (უნდა აღინიშნოს, რომ ედგარ პოს თავისი ქვეყნის ლიტერატურაზე არ მოუზღვნიდა ისეთი დიდი ზეგავლენა, როგორც ევროპის ლიტერატურაზე). რაც შეეხება უიტიმანს ტრადიციებს, მისი ზეგავლენა უფრო საგრძნობია დღევანდელ ამერიკულ პოეზიაში. მისი ჟურნალიზმი, მისი ჭანსალი, დემოკრატიულ კონცეპციებზე დაფუძნებული მსოფლმხედველობა, მისი თავისუფალი ლექსი მრავალი სახით აღორძინდა ამერიკულ პოეტთა შემოქმედებაში.

უიტიმანამდელი ამერიკული პოეზია გვიანდელი რომანტიზმის ერთგვარი გამოძახილია. იგი ინგლისური „ტბის სკოლისა“ და ვიქტორიანული პოეტების ტრადიციებს ავრქელებს. ედგარ პოს, ლონგფელტს, ჯემს ლოუფელს ესთეტიკა ნაკლები თვითმყოფადობით გამოირჩევა, სამაგიეროდ ინგლისურა ბოლორიტიმოვანი ლექსი მათ შემოქმედებაში არჩაჩულ სწავლევებს აღწევს. მუსიკალურ პრინციპს ინგლისური ლექსის ისტორიაში აროდეს ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ედგარ პოს შემოქმედებაში. ამიტომაც გამოიწვია მისმა პოეზიამ ის საყოველთაოდ ცხობილი ლიტერატურული მემდინარეობა, რომელმაც ქართულ ლიტერატურაშიაც ჰპოვა გამოძახილი.

მაგრამ ამერიკული ლიტერატურის ორგანიზმს ვერ შეეხისხლხორცა სიმბოლიზმის მამანთაყრის შემოქმედება. ვივბა ახალმწიგების, მამიე ინდუსტრიის და ფენომენალური ტექნიკის ქვეყანაში, გრანდიოზული სოციალური ძვრებისა და შეჯახებების ეპოქაში. უკმარი აღმოჩნდა კამერული ლირიკა ზემოხსენებული პოეტებისა. ახალ თემებს, ახალ კილოებს მოითხოვდა განახლებული ცხოვრება, ამიტომაც შესცვალა „წმინდა ხელოვნების“ იდეალები უხეშმა ჟურნალიზმმა, ხოლო ედგარ პოს რადიციზმული სალექსო სტრიქონი უიტიმანის თავისუფალმა ლექსმა, რომლის ინტონაციები ხშირად „ნაუ-იორკ პერალდ ტრიბუნს“ აგონებდა მკითხველებს.

უიტიმანის სიკვდილის შემდეგ ერთგვარი კრიზისი შეიმჩნეოდა ამერიკულ პოეზიაში. სი-

ზოგადობამ ვერ შეამჩნია ემილი დიკინსონის დიდი ტალანტი, რომლის შემოქმედებაც შემდგომში საფუძვლად დაედო მთელს მიმდინარეობას ამერიკულ პოეზიაში.

მეოცე საუკუნის ათიან წლებში იწყება ის გარდატეხა, რომელსაც ამერიკულ კრიტიკაში „რენესანსის“ დასაწყისს უწოდებენ. და მართლაც, ფაქტიურად ამ დროიდან იწყება ამერიკული პოეზიის ნამდვილი, თვითმყოფადი განვითარება. ამ დროისათვის გამოდიან ასპარეზზე დიდი ამერიკელი პოეტი რეალისტები: ედვინ არლინგტონ რობინსონი, მდგომარეული მასტერსი, კარლ სენდბერგი, ვეიხელ ლინდზი და რობერტ ფროსტი, რომელნიც მთელს სიმწვავეთ სწამენ დიდმნიშვნელოვან სოციალურ საკითხებს, უბრუნდებიან უიტმანისეულ, საერთო-საბალხო გაგებას პოეზიისას. მათი ესთეტიკა რომანტიზმის საპირისპირო პრინციპზეა აგებული. მათთვის არ არსებობს „რჩეული“ თემები, პოეზია უნდა ემსახურებოდეს ადამიანური ყოფის ყოველ უბანს, არ უნდა იუცხოოს არც ერთი დეტალი ადამიანის განცდათა სამყაროსი. რეალიზმი მათთვის საზოგადოებრივ მანკიერებათა მხილებადაც ნიშნავს. 1915 წელს გამოდის მასტერსის „სპუნ რივერის ანთოლოგია“, ყველაზე პოპულარული წიგნი ამერიკულ პოეზიაში, სადაც საოცარი მხატვრული ძალითაა აღბეჭდილი შემზარავი დეტალები შუადასავლეთის ერთ-ერთი პატარა ქალაქის ცხოვრებისა. მსგავსი დაახლოება ყოფასთან შემოწმნევა სხვა ამერიკელ პოეტებთანაც. მასტერსის თავისუფალი ლექსი, ისევე როგორც სენდბერგისა, უიტმანისას უაბლოვდება. შედარებით მეტ კონსერვატიზმს იჩენენ ლექსაწერობის საკითხში რობინსონი, ფროსტი და ლინდზი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი სტრაქონისთვისაც დამახასიათებელია სასაუბრო ინტონაცია.

მეორე პლეადა პოეტებისა: ეზრა პაუნდი, ემი ლოუელი, პილდა დულიტილი, ტომას სტერნზ ელიოტი და სხვანი უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ევროპული პოეზიის ტრადიციებთან. პაუნდი იმედიზმის დროშით გამოდის, თუმცა მისთვისაც არ არის უცხო თანამედროვე ფსიქოლოგიის გაშუქება და ჩაგრულთაღში სიმპათია („კენძული ტბაზე“, „დავალება“). ტომას სტერნზ ელიოტი უმოციით განსჯვალული აზრის დომინირებას პოეზიაში ათავსებს ფორმის მტკიცე ნაჭედობასთან, იგი იბრძვის სალექსო სტრიქონის ზედმეტად მოღუწების წინააღმდეგ თავისუფალ ლექსში, რითაც მასტერსს და „მასტერსიზმს“ უპირისპირდება.

განცალკევებით დგანან უოლეს სტივენსი და რობინსონ ჯეფერსი. სტივენსისთვის სრულიად უცხოა ის ეურნალიზმი, რომელსაც ეხოლენ ფართოდ გაუღეს კარი ზემოხსენებულმა პოეტებმა. იგი უპირველეს ყოვლისა ენის სტიქიიდან გამოდის. მისი ლექსი გვიზიდავს თავისი მუსიკალობით. პოეტურ სახეთა ეგზოტიურობა მას სიმბოლიზმის კორიფეებთან ანათესავებს. რობინსონ ჯეფერსი, კალიფორნიის კლდოვან სახაპიროზე განმარტობებით მცხოვრები პოეტი, ასე აბასიათებს შეერთებულ შტატებს: „ბრწყინავს დალობვია გზაზე თქვენი რესპუბლიკა“. წყნარი ოკეანის სანაპიროს უჩვეულო პანორამები უჩვეულო პოეტურ სახეებად იქცნენ მის შემოქმედებაში. იგი პქმნის სათაურებს: „კოში ტრაგედის მიღმა“, „გაუწყურით მზეს“, „მიეცი თქვენი გული ქორებს“ და სხვა. თავად სათაურები გვაგრძობინებენ ჯეფერსის შემოქმედების ხასიათს, ამ დიდი, მუაშბოხე სულის წვასა და მარტვილობას.

როგორც აღინიშნა, XX საუკუნის ამერიკელი პოეტების დიდი ნაწილი უიტმანის მიერ გავრავლულ გზას მიჰყვება. უიტმანის მიერ შემოღებული სალექსო ინსტრუმენტი ფართოდაა გავრცელებული ამერიკულ პოეზიაში. ამერიკელი პოეტებისათვის თავისუფალი ლექსი გულისხმობს მეტრიკისადმი ნებისმიერ დამოკიდებულებას, სალექსო სტრიქონში მახვილების ნებისმიერ განაწილებას, რაც ნაკლებად ბორკავს პოეტს და მიმართავს მკითხველის ყურადღებას ლექსის შინაარსობრივი მხარისადმი. თავისუფალი ლექსი უფრო მრავალფეროვანია და ნაკლებად მონოტონური, ვიდრე ბოლორიითმოვანი ლექსი. თუ ბოლორიითმოვანი ლექსის სტრიქონში ტერფები მეტრული კანონის საფუძველზე ერთიანდებიან, თავისუფალი ლექსის სტრიქონი აერთიანობს სხვათაშხვა ხასიათის ტერფებს, რომელთა შერჩევა და ურთიერთდაკავშირება პოეტის ინტონაციის საქმეა. ასე რომ, ამ შემთხვევაში პოეტი თავისუფალია ყოველგვარი მეტრულ-რიტმული დოგმებისაგან. მაგრამ აქაც უნდა იგრძნობოდეს მკვეთრი შინაგანი რიტმი. აი რას ამბობს ტომას სტერნზ ელიოტი თავისუფალი ლექსის შესახებ: „თვით ყველაზე თავისუფალ ლექსშიც კი, უკანა პლანზე უნდა მოსჩანდეს ლანდი რომელიმე უბრალო მეტრისა, რომელიც წინ წამოიწევს, როდესაც ჩავთვლემით, და გაუჩინარდება, როდესაც განვიფრთხობთ ძიოს. ლექსში თავისუფლება მხოლოდ მაშინაა ქვეშარიტი თავისუფლება, როდესაც იგი წარმოვეიდგება ხელოვნური შეზღუდვის ფონზე“.

„ამერიკული პოეზია, ისტორიული გაგებით, მოლიანად „ახალი“ — წერდა კრიტიკოსი ჯეფრი მური 1953 წელს ახალი ამერიკული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაში. და მართლაც, ეს ანთოლოგია იწყება XIX საუკუნის ნიჭურულში გარდაცვლილი პოეტი ქალის ემილი დიკინსონის ლექსებით და მთავრდება უაზლესი, 1927 წელს დაბადებული პოეტით უ. ს. მერვინიტ. დროს ამ მცირე მონაკვეთში ამერიკულმა პოეზიამ მართლაც რომ დიდი გზა განვლო განვითარებისა. ერთის მხრივ, ხდებოდა მისი დიფერენციაცია ევროპული პოეზიისაგან. მეორეს მხრივ კი, ამერიკული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლები ტ. ს. ელიოტი, რ. ჯეფერსი, რ. ფროსტი, უ. პ. თლენი და სხვანი უფრო და უფრო ამკაცრდებოდნენ კულტურას, რათა მათი პოეზია არ ყოფილიყო ჩაკეტილი ვიწრო ამერიკულ სპეციფიკაში. მაგალითად ტ. ს. ელიოტის შესახებ თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი აღარ არის ტიპური ამერიკელი პოეტი, არა მარტო იმიტომ, რომ იგი ინგლისს გადასახლდა და მიიღო ინგლისის მოქალაქეობა, არამედ იმიტომ, რომ მისი შემოქმედება სცილდება, საერთოდ, ნაციონალური ლიტერატურის ფარგლებს. ელიოტი ამ თვალსაზრისით შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც დასავლეთის პოეტი და არა როგორც მხოლოდ ინგლისელი ან ამერიკელი პოეტი. ვინაიდან მისი შემოქმედება ორგანულად არის დაკავშირებული, საერთოდ, დასავლეთის კულტურის ტრადიციებთან. აქ არის ამერიკული პოეზიის სპეციფიკაც (მაგ. ლექსი „ბოსტონ ივინგ ტრანსკრიპტი“ და სხვ.), ფრანგული სიმბოლიზმის გავლენებიც („ალფრედ პრუფრის სამიჯნურო სიმღერა“, „ქარიანი ღამის რაფსოდია“), ინგლისური მეტაფიზიკური პოეზიის ახლებური აღორძინება, პროვანსალური და საერთოდ რაინდული ლიტერატურის მოტივები და სხვ. იგივე ითქმის რობერტ ფროსტის შესახებ. მისი ლექსი უფრო დაკავშირებულია ინგლისური კლასიკური ლექსის ტრადიციებთან, ვიდრე უიტმანის, სენდბერგისა და მასტერსის თავისუფალი ლექსის გაგებასთან. ასევე უდვის არლინგტონ რობინსონი, რომელიც ეკუთვნის პოეტი რეალიზტების დიდ ხუთეულს. მისი ლექსი გამოირჩევა ფორმის კლასიკური დახვეწილობით, თემატიკაში იგი ხშირად უბრუნდება ევროპული ლიტერატურის ტრადიციებს: არტურის ციკლის ლეგენდებს, კელტურ საგებს და სხვა. ამერიკელი კრიტიკოსი ჩარლზ ტ. დევისი სთვლის, რომ რობინსონით იწყება ახალი ამერიკული პოეზია, თუმცე ჯეფრი მურმა თავის ანთოლოგიაში ემილი დიკინსონით დაიწყო ახალი ერა ამერიკულ პოეზიაში. საერთოდ მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ემილი დიკინსონმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ამერიკული პოეზიის განვითარებაზე. იგი ერთგვარ ბოლარობას ჰქმნის უიტმანთან დაპირისპირებისას. ეს არის უნატიფესი კამერული ლირიკა, რომელიც გამოირჩევა პაეროვანი, ჭერეტითი ხასიათით. განგებასად გაუბრალოებული მხატვრული ხერხები დიდ ინტიმურ სიბზოზს და ბუნებრიობას აძლევენ მის ლექსებს, რომელნიც მსუბუქი იროხიითა და დიდი ლირიული გრძნებით არიან გამსჭვალულნი. ჯეფრი მური „მეტაფიზიკურს“ უწოდებს ემილი დიკინსონის პოეზიას და მართლაც, მისი მხატვრული სახეები ძლიერ დაშორებულნი არიან იმ სინამდვილეს, რომელიც აძლევდა პოეტურ შთაგონებას უიტმანს, მასტერსს და სენდბერგს. ამ ტერმინთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ, ჯერ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი ემილი დიკინსონის დამოკიდებულება ინგლისელი მეტაფიზიკოსი პოეტების: — ჯონ დონის, ბიშოპ კინგის, აბრაჰამ კაულის, ჯონ ვებსტერის და სხვათა შემოქმედებასთან. აზრის განსჭვალვა ემოციით, აზროვნების ემოციურ პროცესად ქცევა, რასაც ტ. ს. ელიოტი მეტაფიზიკური პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებად სთვლიდა, ემილი დიკინსონის პოეზიაში სრულიად ახლებურ ელფერს ღებულობს. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ის შეუსაბამობა მხატვრულ სახეებს შორის, რომელიც ახასიათებდათ მეტაფიზიკოს პოეტებს. შეუფერებელი, ერთი შეხედვით გაუგებარი კონტრასტები, უჩვეულო შედარებები, შედარების შეუსაბამობა შესადარებელ საგანთან, ყოველივე ეს საცნაურია მის ლექსებში.

ემილი დიკინსონი მშვიდი, გარეგნულად შეუმჩნეველი ცხოვრებით ცხოვრობდა. მისთვის უცხო იყო სოციალური პრობლემატიკა და ის შემართება პოეტი-ტრიბუნისა, რომელიც ახასიათებს უიტმანისებური ტიპის პოეტს. მაგრამ მისი შინაგანი, სულიერი ცხოვრება მაინც გამოირჩეოდა მძაფრი დრამატიზმით. მართალია, მისი პოეტური ხმა არსად არ გადადის პათეტიურ რაოდში. მაგრამ აშკარად ჩანს მის ზოგიერთ ლექსში, თუ რა დიდი სოლიერო ძარბები გამოიარა მან, ზოგჯერ მის სტრიქონებში გამოსჭვივის ფარული ტრაგიზმიც, რომელიც არასოდეს ცდილობს მკითხველის ყურადღების მიპყრობას და არც არასოდეს აღიზიანებს მის ცნობისმოყვარობას.

რობინსონის შემოქმედებაშიც ხშირია ფარული დრამატიზმის ერთგვარი „შენიღბვა“ გარეგანი უბრალოებით. ხშირად იგი ძლიერ მარტოვ თემებს ირჩევს, რათა უფრო მკაფიოდ წამოსწიოს წინა პლანზე ემოცია. გარდა ამისა, მას სჩვევია ძლიერ ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებები. იგი რომანტიკოსი პოეტების მსგავსად მხოლოდ „ძლიერი“ და „რბიული“ ადამიანებით როდი ინტერესდება, არამედ უფრო მეტად ინტერესებს უბრალო ადამიანების სულიერი სამყარო, უნიკსუელ ადამიანების მნიშვნელობა, მათი განცდები, მათი თვისებებები (ლექსები „Rouben Bright“, „Minever Cheevy“ და სხვანი). რობინსონის შემოქმედების ეს მხარე ნაწილობრივ ენათესავება ედვარდ ლი მასტერსსაც, რომელმაც არნახული ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით წარმოგვიჩინა შუა დასავლეთის ერთ-ერთი პატარა ქალაქის მკვიდრთა შინაგანი სამყარო. მასტერსის წიგნი „სპუნრივერის ანთოლოგია“, როგორც უკვე ითქვა, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნია ამერიკულ პოეზიაში. მასტერსის თქმით, მისი მიზანია იყო, მოეცა ერთგვარი დანტესეული „ღვთაებრივი კომედია“ შუა დასავლეთის პატარა ქალაქის ცხოვრებასა. იგი ამ წიგნში აღაპირავენს მიცვალებულებს თავიანთ ცხოვრებაზე, თავიანთ განცდებზე, ზოგჯერ მათ ნაუბარში მოისმის მკაცრი მხილება საზოგადოებრივი წყობისა, ზოგჯერ მოსტემა ამსოფლიური ამოებისა და სხვა. მასტერსი ეკუთვნის პოეტების იმ ბლედას, რომელთაც სცადეს დაპირისპირებოდნენ რომანტიზმის ტრადიციებს და „წმინდა ხელოვნების“ იდეალებს. მან ფართოდ გაუღო კარი ყოველღდიურ, საყოფაცხოვრებო თემებს. მასტერსისეული თავისუფალი ლექსი, ძლიერ უახლოვდება პროზაულ მეტაფორებს. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ზედმეტად „საყოფაცხოვრებო“ მოტივებისა, მასტერსის პოეზია ალფ-ალფ სუნთქავს მეტად ფაქიზი ლირიზმით (მაგ. ლექსი „გორაკი“).

მსგავსი ტენდენციებით ხასიათდება კარლ სენდბერგის შემოქმედება. სენდბერგი დაიბადა ილინოისში, 1878 წელს. იგი წარმოშობით შვედია. ახალგაზრდობაში მან რამდენიმე პროფესია გამოიცვალა. 1910 წელს გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. შემდგომში ხდება ჟურნალისტი, მოგზაური მგოსანი-დეკლამატორი, ლინკოლნის ბიოგრაფი. მისი პოეტური ხმა და შემოქმედებითი მანერა უტიმასს გვაგონებს. მისთვისაც უცხო იყო სამბოლიზმისათვის დამახასიათებელი ეთერული ლირიკა, ლექსის მღერადობა, ფრაზის მუსიკალობა. მისი ლექსის ინტონაცია ბუნებრივ თსრობას უფრო უახლოვდება. მისთვის უცხოა ყოველგვარი ყალბი რიტორიკა და გრძობებს აყოლა. სენდბერგმა თავისი შემოქმედების ხასიათი შესანიშნავად მოგვცა ლექსში „არჩევანი“. აქ მან შესანიშნავად განსაზღვრა აგრეთვე ახალი პოეზიის იმ ფრთხი თვისებებები, რომელსაც თავად ეკუთვნოდა:

ისანი ბერს შემოვთავაზებენ,
მე — სულ მცირეოდენს.

მთვარის ლიკლაცი შუალამის შადრევნის ფონზე,
და წყლის რაგრაჟა თვლენის მომგვრელი,
გამსწვლელებული მხრები, ღამიღო,
ხან სიყვარული, ხან დალატი, ურთერთს რომ სცეკლიან,
სიკვდილის შიში, სინანულის კვლევ დაბრუნება —
ყოველივე ამას გთავაზობენ თქვენ —
მე ვა მოვდივარ.

მომაქვს პური მარილმთყვრილი,
მძიმე ჯაფის უღელი,
დაუცხრომელი ბრძოლა

და გეუბნებით:
აჰა. იიღუთ;
შემშილი,
საფროზე
და სიძულელი.

აქ შესანიშნავად მოხიანს, თუ როგორ უპირისპირდება რომანტიზმისა და სიმბოლიზმის განწყობილებებს ხალხიდან გამოაული პოეტის უხეში, მაგრამ დამაჯერებელი ხმა.

მაგრამ სენდბერგი სხვა ეურნალისტი პოეტების მსგავსად, მოვლენათა ზედაპირით როდი კმაყოფილდება. ცხოვრების მისტერიები მასში აღძრავენ მძლავრ წყურვილს შექცევებისას. იგი ხედავს, რომ ბოლომდე შეუძლებელია ცხოვრების ყველა მოვლენის რაციონალიზება, რომ არის ისეთი ამბები, „რაც ჩვენს ბრძენებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ“. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ლექსში „უდაბნო“, სადაც პოეტი ცდილობს ჩასწვდეს ადამიანის სიღრმელს. იგი ჩემს, რომ შეუძლებელია ადამიანის ახსნა, როგორც მხოლოდ ცხოველის უბრალო გაგრძელებისა. ენაიდან ადამიანში, ცხოველური ინსტანქტებისა და ლტოლვების გარდა, არის ნაღალი, სულიერი იდეალები.

სენდბერგის ესოტიკისათვის დამახასიათებელია ირაციონალიზმი. მისი თვალსაზრისით, ხელოვნება არ არის ისეთი ფენომენი, რომლის ახსნაც შესაძლებელი იყოს გრძობადი, ემპირიულ საშუალოს მონაცემებით.

განსაკუთრებით მკაფაოდ სჩანს ეს ტენდენცია სებასტიან ბახისადმი მიძღვნილ ლექსში „რიცხვების კაცი“, სადაც აშკარად მოხიანს სენდბერგის მიდრეკილება თელტიზმისაკენ. სენდბერგის ძირითადი წიგნებია „ჩიკაგოს ლექსები“, „პური მღვწისი“, „კვამლი და ფოლადი“, „დილა მწვედობისა ამერიკაში“ „ხალხი, დიახ“.

სენდბერგი იყო იგრეთვე ხალხური ბალადების შემგროვებელი, იგი წერდა პროზაულ ნაწარმოებებსაც (მაგ. რომანი „მოვონების კლდე“, საბავშვო მოთხრობები, ლინკოლნის ბიოგრაფია და სხვ.).

პოეტ რეალისტებს შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ რობერტ ფროსტსა და ვეინელ ლინდზის. რობერტ ფროსტისათვის უცხოა ის ექსტრაეგანტური სიახლენი თემატიკაში, ევრსიფიკაციაში და პოეტურ სახეთა წყობაში, რაც ახასიათებს სხვა თანამედროვე ამერიკელ და ევროპელ პოეტებს იმავე თაობისას. ჭეშმარიტი ნოვატორის დიდსულოვნებით აღჭურვილი, ფროსტი განსაკუთრებული სიფრთხილით ნერგავს პოეზიაში ყოველივე ახალს, უჩვეულოს და ამავე დროს მისაღებას და ადეკვატურა თანამედროვე მკითხველისათვის. ხაწილობრივ ამითაც აიხსნება მის მიერ ბოლორიითმოვანი ლექსის კულტივაცია, რომელსაც გაემიჯნა სხვა დანარჩენი თანამედროვე პოეტების უმრავლესობა. ფროსტის სტილი სადაა და გამჭვირვალე, ეს სისადავე შერწყმულია სახეთა პოეტური დალაგების პარმონიულობასთან და კომპლექსურობასთან. ფროსტის თემატიკაც, ერთის შეხედვით, ახალ არაფერს გვაწვდის. იგი უმეტეს შემთხვევაში შემოფარგლულია პასტორალურ-იდილიური მოტივებით, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ ეს ყოველივე დანახულია თანამედროვე პოეტის თვლით. მისი ლექსების უმრავლესობას ახასიათებს მშვიდი, მედიტაციური განწყობილება, თუმც ფარული ემოციური დააბულობაც ხშირად საცნაური ხდება მის სტრიქონებში. ამერიკელმა პოეტმა და კრიტიკოსმა მარკ ვან დორენმა მოხდენილად თქვა ფროსტის შესახებ: „იგი ფილოსოფიური პოეტა იყო, რაც მისი გაგებით ხიშნავდა ღრმა და ვაქიზა გულის შერწყმას ინტელექტთან, რომელიც მუდამ დაეძებდა ღრმა აზრს ცხოვრებაში“. რობერტ ფროსტის ცნობილი წიგნებია „ბიჭის სურვილი“, „ბოსტონის ჩრდილოეთი“, „დასავლეთისაკენ მიმდინარე ნაკადული“ და სხვანი.

ვეინელ ლინდზი (1879—1931) უაღრესად თავისებური დიგურაა ამერიკულ ლიტერატურაში. იგი პროფესიით მხატვარი იყო. მაგრამ პარალელურად წერდა ლექსებსაც. მან შემოიტანა პოეზიაში უაღრესად მონოლითური, მკვეთრი სურათოვნება, ამისთანავე უნდა აღინიშნოს მისი ლექსების იშვიათი მუსიკალობა, რომელთა უმეტესობაც სასიმღეროდ იყო განკუთვნილი. ლინდზის თავისუფლად შეიძლება ვთქვოდეთ პოეტი-ფერმწერი, ენაიდან მის ლექსებში მხატვრის, ფერმწერის თვლი ხშირად ჩრდილავს პოეტის თვალს. განსაკუთრებით ეს ითქმის მის ცნობილ ლექსზე: „ზანგური ქადაგება: სიმონ ლეგრი“. თუმც უნდა ითქვას, რომ ეს ტენდენცია განსხვავდება იმაქასტი პოეტების ტენდენციებისაგან, რომელნიც ასევე ცდილობდნენ ლექსში სურათის, ხატის შემოტანას. განსხვავება, ჩვენი აზრით, იმანი მდგომარეობს, რომ ლინდზისთან ჩვენ ვხედავთ თითქოსდა დასრულებულ, ხორცშესხმულ ფერწერულ ტილოებს, ხოლო იმაქისტებთან ხატი უფრო პეროვანია, ხშირად გაბუნდოვანებული, ზოგჯერ მხოლოდ ემოციური განწყობილება დატოვებული, რომელსაც იწვევს რაიმე წარმოსახვითი ხმანება. გარდა ამისა, ლინდზი

უმთავრესად იძლევა რეალისტურ სურათებს თავის ლექსებში, ხოლო იმაჟისტება უფრო ირეალურ პლანში იძლევიან სატს, მათი პოეზია უფრო იმპრესიონისტულ განწყობილებებს უახლოვდება. ვეიჩელ ლინდზი იყო სვედენბორგიანული ფილოსოფიის მიმდევარი, მას აქვს რამდენიმე ნაშრომი ამ დარგში, რომელთაგან გამოირჩევა „სპრინგფალდის ოქროვანი წიგნი“. მისი ცნობილი წიგნებია: „კონგო და სხვა ლექსები“, „კალიფორნიის ოქროს მუხრეტული მზისსკენ სვლა“ და სხვანი. ეს წიგნები გამოვიდა 1914, 1920, 1923 წლებში.

ჩვენი გვალეთ გვეპოვნა განსხვავება იმაჟისტების პრინციპებსა და ლინდზის შემოქმედებას შორის. უნდა ითქვას, რომ იმაჟისტებში დიდად გავრცელებული მამდინარეობა იყო ათიანი და ოციანი წლების ამერიკულ პოეზიაში. როგორც თვით სახელი მიგვითითებს ამ მამდინარეობისა (image — ხატი), მისა მთავარი პრინციპი იყო პოეტური სახისათვის სტატიურობის, ხედვითი სიმკვეთრის მინიჭება, იმაჟისტებს ახასიათებდათ აგრეთვე ლექსიკურ-მეტაფორული მასალის ერთგვარი დისტალირება, ღირიული გზნების ერთგვარი შეფარვა. იმაჟისტი პოეტები არიან, როგორც უკვე ითქვა, ეზრა პაუნდი, პალდა დულიტლი (H.D.), ემა ლოუელი და სხვანი. ეზრა პაუნდი რომანული ენების სპეციალისტია, მთარგმნელი, ფილოლოგი. მისი შემოქმედება ვერ ჩაეტევა ვერც ერთი ნაციონალური ლიტერატურის ფარგლებში. იგი ისევე ორგანულად არის დაკავშირებული ჩინური პოეზიის ტრადიციებთან, როგორც ანგლო-საქსურ ან პროვანსალურ პოეზიასთან. ჩინელი, რომაელი, შუა საუკუნეთა ევროპელი პოეტების თარგმანსთან ერთად იგი ეწევა ერთგვარ მოდერნისტულ სტილიზაციას, რითაც თანამედროვე სულს უახლოვებს ძველი პოეზიის განწყობილებებს. ტ. ს. ელიოტი თვით, იგი არის „გამომგონებელი ჩინური პოეზიისა ჩვენს დროში“. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა პაუნდი მაინც ამერიკულ პოეზიას სთვლის თავის მშობლიურ ნადავად. საუკეთესოდ არის ეს გამოხატული უოლტ უიტმანისადმი მიძღვნილ ლექსში „პაქტი“. გარდა ამისა, პაუნდი ცნობილია როგორც ესეისტი, კრიტიკოსი. მისი ესეების წიგნია Polite Esseys Faber (1937) აგრეთვე ABC of reading (1934). მისი ყველაზე პოპულარული წიგნია Carlos, რომელიც ჩვენს ენაზე გადმოითარგმნება სიტყვით „ქებანი“. ეს არის ქებათა სერია, რომელიც ვერ არც უნდა იყოს დასრულებული და რომელიც ხასიათდება თანავე ავადმყოფური და ქაოტური პოეტური სახეებით.

იმაჟისტებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა პოეტი ჯალი პილდა დულიტლი, რომელიც ახდენს ძველბერძნული ლირიკის ტრადიციების ერთგვარ მოდერნიზაციას. იგი ამჟღედროს ცნობილია, როგორც საუკეთესო მთარგმნელი ძველბერძენი პოეტებისა. იგი იყო მეუღლეს იმაჟისტი პოეტის რიჩარდ ოლდინგტონისა, რომელიც უფრო ცნობილია როგორც რომანისტი. პალდა დულიტლი უფრო ტიპური იმაჟისტია, ვიდრე პაუნდი. მისი წიგნებიდან აღსანიშნავია „პელიოდორა“ (1924), „ყუდლები არ იქცევიან“ (1944) და „ხარკი ანგელოზებისადმი“ (1946). ჩვენი საუკუნის დასაწყისში ასპარეზზე გამოსული პოეტებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ უოლეს სტივენსი (1879—1955), უილიამ კარლოს უილიამსი (1883), მერიენ მორი (1887), რობინსონ ჯეფერსი (1887), ტ. ს. ელიოტი (1888—1965), კონრად ეიკენი (1889) და სხვანი.

უოლეს სტივენსი პროფესიით ადვოკატი იყო. იგი სრულიად განცალკევებით დგას ამერიკულ პოეზიაში, მეტად რთულია მისი მიგუთვნება რომელიმე მიმდინარეობისადმი. ჩვენას აზრით, ჯეფერი მური ამოად ცდილობს რომ იგი დაუკავშიროს ედვარდ პოს ხაზს ამერიკულ პოეზიაში. სტივენსისათვის დამახასიათებელია სრულიად ახლებური შერწყმა მუსიკისა და ფერწერისა პოეზიაში. მაგრამ მუსიკასთან მისი დამოკიდებულება იმგვარი როდია, როგორც სიმბოლისტებისა იგი ლექსის ბგერითი სტრუქტურით როდი ცდილობს დაუახლოვდეს მუსიკას. მის ლექსებში უფრო მხატვრულ სახეთა წიკობა და შინაარსი იწვევენ მუსიკალურ ასოციაციებს (წიგნი Harmonium 1923). მართალია, სტივენსისათვის უცხოა თვითმზნური გიტაკება ასონანსებითა და ალიტერაციებით, მაგრამ მისი ლექსი ამით როდი ჰკარგავს კეთილზმოვანებას. აღსანიშნავია, რომ იგი, ფროსტის მსგავსად კლასიკური ლექსის პოზიციებზე რჩება.

მერიენ მორის პოეზია ემილი დიკინსონისა და H.D-ის მსგავსად დაშენდობითა და დიაბაზონის მოჩვენებითი სიეწროვით ხასიათდება. მისი ლექსები უფრო მედიტაციური ხასია-

თისა. მის მიერ ტიპოგრაფიული ეფექტების ხმარება არასოდეს გადადის სასტამბო ნიშნებით ქონგლიორიბაში, რაც ხშირია ზოგიერთ სხვა ამერიკულ პოეტ-მოდერნისტთა შემოქმედებაში. მისი წიგნებია „პანგოლინი და სხვა ლექსები“, „რანი არიას წლები?“, და სხვ.

უილიამ კარლოს უილიამსი (1883) თავდაპირველად იმაჟისტების ფრფას ეკუთვნოდა, იგი განიცდიდა განსაკუთრებით პაუნდის გავლენას. შემდეგ კი ჩამოშორდა იმაჟისტებს, მის პოეზიას ახასიათებს „წმიხდა“ ამერიკული სპეციფიურობა, რამდენადაც იგი ცდილობს დაუპირისპირდეს ევროპულ და მსოფლიო ტრადიციებს. მისივე სიტყვით რომ ეთქვას, იგი ცდილობდა „აღვილობრავ პირობებში ხელახალ აღმოსენას პირველადი იმპულსისას, ხელაგნების ელემენტარული პრინციპისას“.

მისი წიგნებია „გაზაფხული და ყველაფერი“, „სიყვარული და მოგზაურობა“. რობინსონ ჯეფერსის პოეტური სამყარო გვიტაცებს თავისი უჩვეულობით. იგი დაიბადა პიტსბურგში 1887 წელს. ბურჟუაზიული ფილისტერული საზოგადოების გულარძნილობამ და ბანალურმა მატერიალიზმმა, გაშიშვლებულმა უტილიტარიზმმა ჯეფერსში აღძრა მძლავრი პროტესტის გრძნობა და ამიტომ ხშირად მისი სტრიქონებიდან მოგვესმის ხმა ადამიანის ბუნებრივ სიქველესში დაეჭვებული კაცისა. ჯეფერსი დაიბადა კლასიკური ფილოლოგიის პროფესორის ოჯახში, იგი თავად უდიდესი მეცოდნეა ანტიური პოეზიისა, თემატიკაში იგი ხშირად მიმართავს ანტიურობის თემებს, მისი თავისუფალი ლექსიც კლასიკურ მეტრებს ეფუძნება. იგი გამოირჩევა საოცარი დინამიურობით, გააწყობილებათა და სახეთა ქაოტიური აღრევის ნილაბქვეშ იმალება დიდი შინაგანი მოწესრიგებულობა ლექსის კომპოზიციური მიმდინარეობისა. ჯეფერსმა ახლებურად დაამუშავა ორესტესისა და ელექტრას ლეგენდა. აგრეთვე შედგას თემა. მისი სხვა წიგნებია „წვედრებთან ჩასვლა“ (1931), „მიეციოთ თქვენი გული ქორებს“ (1933), „გაუწყვრით მზეს“ (1941) და სხვა.

ტომას სტერნზ ელიოტი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს პოეტადაა აღიარებული. წარმოშობით იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის, თუმც 1914 წლიდან ინგლისში ცხოვრობდა უშეტესად და 1927 წელს მიიღო ინგლისის მოქალაქეობა; ელიოტი იმავე მიზეზით გამოექცა ამერიკას, რა მიზეზითაც განმარტოვდა თავის კომპოზიციური რობინსონ ჯეფერსის, რომელმაც განდევნის ცხოვრება არჩია დღევანდელი ამერიკის ლიტერატურულ ბიზნესში ჩაბმის. თუმც უნდა ითქვას, რომ უიტმანიდან დაწყებული, დიდი ამერიკელი პოეტები მუდამ ასხვავებულენ ორ ამერიკას: ერთს — დიდი პუშინისტი მწერლებისა და მოღვაწეების ამერიკას და მეორეს — ლინკოლნის მკვლელსა და ლინის კანონის შემომღებს.

მართალია ზოგი კრიტიკოსი ცდილობს გამოაცხადოს ელიოტი მხოლოდ ინგლისური პოეზიის კუთვნილებად, მაგრამ ჯეფერი მური ძლიერ დაბაჯრებლად ამტკიცებს, რომ თვით ინგლისში ყოფნისას და მუშაობისას ელიოტი ინარჩუნებდა პირწმინდა ამერიკულ სპეციფიურობას. მურის აზრით „აღფრედ პრუფროკის სამიჯნურო სიმღერაში“ გარემო ამერიკულია, გმირი უფრო ამერიკელია თავისი ფსიქოლოგიით, თავისი ასოციაციებით. იგივე ითქმის არამარტო მის სხვა ადრეულ ლექსებზე („ბრელუდიები“, „ქარაიანი დამის რაფსოდია“, „სუინი მებრძოლი“ და სხვ.), არამედ „ოთხ კვარტეტზეც“, რომელიც უფრო გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის (30-იან წლებს). „ოთხ კვარტეტში“ სახსენებო დიდი მდინარე, რომელსაც პოეტი „ჟაგისდერ“, პირქუშ ღმერთს უწოდებს“, ჯეფერი მურის თქმით, მისისიპია, სადაც ელიოტი ხშირად ნოსტალგიად მასაჩუსეტის კლდოვან ნაპირთან.

მური აგრეთვე ცდილობს ელიოტის პოეზია დაუნათესავოს იმაჟისტებს და ეზრა პაუნდს, მისი აზრით, ელიოტის პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია ეიზუალურობა. ჩვენის აზრით, ეს ერთგვარი ტენდენციურობაა მისი მხრით, რათა გაამართლოს თავის მიერ წინასწარ

აღებული დებულება. ამის თქმა შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ ადრეულ ლექსებზე და არა მთელს შემოქმედებაზე. მერს მოჰყავს ელიოტის ციტატა, სადაც ელიოტი ამბობს: „დენტეს გარკვეულობას შექსპირის ბუნდოვანებას“. რატომ უნდა დავასვენათ, რომ აქ საქმე ეხება ვიზუალურ გაურკვევლობას? ჩვენის აზრით აქ უფრო აზრისა და აზრის გამოხატვის გარკვეულობას გულისხმობს პოეტი.

მომდევნო თაობის პოეტებს შორის უნდა აღინიშნოს არჩიბოლდ მაკლიში (1892), ჯონ პილ ბინოპი (1892 — 1944), ე. ე. კამინგსი (1894), ოლენ ტეიტი (1899), რიჩარდ ენერპარტი (1904), სტენლი კუნიცი, ელიზაბეტ ბიშოპი (1911), მიურიელ რეკისერი (1913), კარლ შაპირო (1913), რენდოლ ჯერელი (1914), ტედორ როეტკე (1908), რობერტ ლოელი (1917) და სხვანი, რომლებიც სიტყვას უიტყვიან ზოგიერთ მათგანზე.

ე. ე. კამინგსი ჰქმნის სავსებით ახლებურ სტილს, რაც გამოიხატება პოეტური ფაქტურის უცნაურ და აწვევრებაში: იგი არღვევს სინტაქსს, სატყუების ნაცვლად ხშირად ხმარობს მარცვლებს, იშველიებს სასტამბო ნიშნების უჩვეულო ხმარებით მიღებულ ეფექტებს. იგი ჰქმნის საკუთარ პერსონაჟებს, ირვალურ არაადამიანურ არსებებს, ჰქმნის ასეთსავე ფანტასმაგორიულ სიტუაციებს. ევროპულ პოეზიაში ამ მხრივ მას შეიძლება დავუნათესავოთ გერმანელი თანამედროვე პოეტი ქრისტიან მორგენშტერნი. თუმცა უნდა ითქვას, რომ კამინგსისთვის უცხოა მორგენშტერნის დიდა ფილოსოფიური სიღრმე. კამინგსის ფანტაზიის უცნაურობის საწყისი ჩვენის აზრით ჯერ კიდევ ედგარ პოსთან უნდა ვეძიოთ (იგულისხმება ლექსი „ულაილუმ“ და სხვანი).

ოლენ ტეიტი გამოჩენილი პოეტი და დიდად საყურადღებო კრიტიკოსია. მისი პოეტური პოზიცია განსაზღვრა მისი ესეების წიგნმა, სადაც იგი უპირისპირდება რომანტიზმის მანერულობას (ელიოტის მსგავსად) — კლასიციზმის პოზიციებიდან. ჯეფრი მური ედგარ პოს უკავშირებს მის პოეზიას. ელიზაბეტ ბიშოპს მეტად თავისებური მანერა ახასიათებს, რაც გამოიხატება მისი ლექსების, ასე ვთქვათ, ურბანისტულ ფანტასტიკაში. ჯეფრი მურს კარგად აქვს შენიშნული კავკასიური პენსიზმი იიშოპის შემოქმედებაში, რომელიც თავს იჩენს დიდი ელექსისა და პიროვნების დაპირისპირებისას (ლექსი „ადამიანი-ხოჭო“). კარლ შაპირო და რენდოლ ჯერელი უიტმან-სენდბერგისეულ ხაზს აგრძელებენ, ისინი არ განიხილავენ მოელენებს და სავსებს „შერჩევის“ თვალსაზრისით. ეურნალისტური პოეზია მათში ახლებურად გრძელდება.

ახალ ამერიკულ პოეზიაში შეიმჩნევა, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად, ორი მიმართულება. ერთი მათგანი დაკავშირებულია უიტმანთან და მისი ტრადიციების გამგრძელებელ პოეტებთან, ხოლო მეორე — ემილი დიკინსონთან. პოეტი-რეალისტები უფრო უიტმანისეულ ხაზს ეკუთვნიან. ამერიკულ პოეტებზე ლაპარაკისას ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე განვიხილოთ თანამედროვე კრიტიკის აზრი მათ შესახებ. წინამდებარე წერილში ნაწილობრივ უკვე არის ამის ცდა. მნიშვნელოვანი პრობლემაა ჩვენის აზრით, აგრეთვე იმის გაშუქება თუ რა მიმართებაა ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურებს შორის, ამ მიმართულებით განხილულ უნდა იქნეს ამერიკულ-ინგლისელი პოეტები, რომელნიც ორივე ქვეყნის ლიტერატურის ისტორიას ეკუთვნიან (მაგ. ტ. ს. ელიოტი). ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ზუსტად გახე-საზღვროთ ამერიკული პოეზიის სპეციფიკა. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „რენესანსი“ არ უნდა იქნეს გაგებული ლიტერატურული მიმდინარეობის ან დაჯგუფების გაგებით. ეს არის უფრო პერიოდის სახელწოდება, როდესაც დაიწყო აღმავლობა ახალი ამერიკული პოეზიისა, არ არსებობს რაიმე საერთო დეკლარაცია, ან მანიფესტი, ან თუნდაც ესთეტიური კრედო, რომელიც აერთიანებს ამ ხანის პოეტებს, მათი კონცეპციები, მსოფლმხედველობა, პოეტური სტილი დიდად განიჩევა ურთიერთისაგან. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ გარკვეულ დაჯგუფებებზე, როგორც მაგ. „იმპრესიონისტები“ და „პოეტი რეალისტები“. მაგ-


რამ ამავე დროს არიან პროექტები, რომელნიც განცალკევებით დგანან, არ ეკუთვნიან არც ერთ დაჯგუფებას. ამიტომ ტერმინი „რენესანსი“ ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის და კრიტიკოსებისათვის უფრო ხელსაყრელია, რათა განსაზღვრულ იქნეს გარკვეული პერიოდის თავისებურება. უნდა აღინიშნოს რომ ზოგადი კრიტიკოსი (მაგ. ფ. მარტინი) ტერმინს „ამერიკული რენესანსი“ უფრო ფართო გაგებით ხმარობს, კერძოდ, XIX საუკუნის ამერიკის აზროვნებასთან და მწერლობასთან დაკავშირებით (ეშერსონი, პოთორნი, კრეტიუი და სხვ.), მაგრამ ამ შემთხვევაში ტერმინი „რენესანსი“ ჩვენს მიერ ნახშირია სრულად უსწავს.


ჩვენი წერილი მიზნად ისახავდა იმ ამერიკულ პროექტთა მიმოხილვას, რომელნიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე. მიმოხილვას, ცხადია ინფორმაციული ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე აგლევითი, ვინაიდან ძლიერ რთულია ეტრნალისათვის განკუთვნილ წერილში ნათელი წარმოდგენის შექმნა XX საუკუნის ამერიკულ პოეზიაზე. ჩვენ ვცადეთ მიგვეჩინებინა ძირითადი მაგისტრალური გზები, რომლებითაც მიემართება თანამედროვე ამერიკული პოეზია, ზოგადი შტრიხებით დაგვეხასიათებინა მათი მრწამსი, მათი შემოქმედებითი სტილი და მეთოდი. მრავალ რამ მხოლოდ მინიშნებით იყო თქმული.

ՅՕՆՊՅԻՈՒ ՈՂՅՊԻՈՒ


ՅԿՐԻՅԵՅԻ
ՆՈՅՆՈՒՄԵՅՅ










ገጽ ፳፻፲፱
ጥቅምት ፳፻፲፱







16935520
3024010333





გამომცემლობის რედაქტორები:
ლ. იმერლიშვილი, მ. იორდანიშვილი
მხატვრული რედაქტორი ლ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორები: ო. ცინცაძე, ნ. თაყაიძე

გადაეცა წარმოებას 11/XI-68 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/II-69 წ.
ქაღალდის ზომა 70 X 108¹/₁₆
ბირობითი ნაბეჭდი თაბახი 26,8
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22,08
ტირაჟი 40 000. შეკვ. № 1606
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლოგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главопиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

ჩ
18—62
ს. 722



Х О М Л И № 2
Альманах иностранной литературы
(На грузинском языке)
Издательство «Сабчота Сэкарთველი»
Тбилиси, Марджанишвили, 2
1969

7 3—4
229—68 000.